



**Zhuzhuna Peikrishvili  
Iveta Vashakidze**

**Materials  
for the History  
of International Kartvelian Studies**

**Book 1**



**Publishing House “UNIVERSAL”**

Tbilisi 2012

შუალუნა ფეიქრიშვილი  
ივეტა ვაშავიძე

მასალები  
საზღვარგარეთული  
ქართველოლოგის ისტორიისათვის  
(წიგნი პირველი)



გამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი 2012

ნაშრომში მოთხოვბილია უცხოეთის რამდენიმე ქვეყანაში ქართველობის კვლევის განვითარების გზებზე, წარმოჩენილია იქაურ ქართველობის ღვაწლი.

წიგნი კეთილ მეტზურობას გაუწევს მკითხველთა ფართო წრეს საზღვარგარეთული ქართველობის ისტორიის საინტერესო ფურცლების გასაცნობად.

რედაქტორი

პროფ. **რუსუდან ზექალაშვილი**

რეცენზიენტები:

პროფ. **რუსუდან სალინაძე**  
**ლელა შარვაძე**

© ჟ. ფეიქრიშვილი, ი. ვაშაკიძე, 2012

**გამომცემლობა „უნივერსალი“, 2012**

---

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, : 222 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-775-0

## წ ი ნ ა თ ქ მ ა

საზღვარგარეთული ქართველობის ანტიკური ხანიდან იღებს სათავეს. საქართველოს შესახებ აღწერითი ხასიათის ცნობებს პირველად ვხვდებით ძევლი ბერძნი და რომაელი ისტორიკოსების (პერიოდოტეს, ჰიპოკრატეს, არისტოტელეს, სტრაბონის, პლინიუსის, ტაფიტესის, პლუტარქესა და სხვ.) ნაშრომებში, ამ ასპექტით ფასეულია აგრეთვე IV-XV საუკუნეების დასავლეთ ეკროპის მოგზაურთა ჩანაწერები, სადაც აღწერილია არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ულამაზესი ბუნება, მისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებანი, არამედ მითითებულია ამ მხარის კულტურის უძველესობაც. მაგრამ ეკროპის ქვეყნებში ქართველოლოგიური საკითხების სპეციალური კვლევა იწყება ცოტა მოგვიანებით, XVII-XVIII საუკუნეებიდან და თანდათან იძენდა ფართო ხასიათს. მაგალითად: 1608 წელს შვაიგერმა გამოაქვეყნა ქართული ნუსხური ანბანი, 1629 წელს დაიბეჭდა რომელი „ქართულ-იტალიური ლექსიკონი,” 1643 წელს — „ქართული გრამატიკა“ (ლათინურ ენაზე); XVII საუკუნეში გამოიცა აგრეთვე ბიეტრო დელა ვალეს, არქანჯელო ლამბერტის, ფან ბატისტ ტავერნიის, ფან შარლენისა და სხვათა ჩანაწერები; ბიეტრო დელა ვალემ საქართველოდან რომელი ჩაიტანა ძველი ქართული ხელნაწერი „ოთხთავი“, რომლითაც საფუძველი ჩაეყარა ქართულ ხელნაწერთა შეკრებას.

უცხოელთათვის განსაკუთრებით საინტერესო კვლევის ობიექტად იქცა ქართული ენა — მსოფლიოს ერთ-ერთი უხუცესი და სტრუქტურულად სრულიად ორიგინალური ენა. გარდა ამისა, ეკროპელ მკვლევართა ყურადღების ცენტრში იმთავითვე მოექცა მდიდარი ტრადიციების მქონე ქართული მწერლობა, პირველ ყოვლისა, შოთა რუსთაველი და მისი უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“ (რუსთაველი გერმანიაში იხსენიება 1804, საფრანგეთში — 1810, პოლონეთში 1830 წლიდან და ა.შ.).

ძველი ქართული მწერლობის, მათ შორის, ხელნაწერი ტექსტების მეცნიერულ შესწავლას განსაკუთრებული ბიძგი მიეცა მას შემდეგ, რაც აკად. ნიკო მარმა აღმოაჩინა ისეთი ლიტერატურული ძეგლები, რომლებიც უმდიდრეს ბიზანტიურ მწერლობაში დაკარგულად ითვლებოდა და შემონახული იყო მხოლოდ ქართულ თარგმანებში, ზოგი კიდევ ქართულიდან უთარგმნათ ბერძნულ ენაზე. ამ აღმოჩენამ, კ. კეკელიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, ყუმბარასავით იფეთქა ეპრობას სამეცნიერო წრეებში და ქართული მასალით ბიზანტიოლოგებიც დააინტერესა.

დღეს კიდევ უფრო მასშტაბური და ნაყოფიერია უცხოეთის ქართველოლოგია. საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში არსებობს ქართველოლოგიური ცენტრები, სადაც სწავლობენ და მეცნიერულად იგვლევენ ქართულ ენსა და ლიტერატურას, ისტორიასა და, საერთოდ, კულტურას; იზრდებიან თაობები, რომელთა ცხოვრება და მოღვაწეობა განუყრელადაა დაკავშირებული საქართველოსთან...

საზღვარგარეთული ქართველოლოგიის თანამედროვე დონის შექმნაში უდავოდ დიდია ქართველი ემიგრანტი მეცნიერების დამსახურება. ისინი, მშობლიურ მიწა-წყალს სამუდამოდ მოწყვეტილნი, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გადახვეწილნი, დედასაშობლოს გაუნედებელ სიყვარულსა და მისი ხილვის დაუკეტებელ წყურვილს იკლავდნენ ქართული კულტურის კვლევითა და პოპულარიზაციით, დღეწიადაგ იღვწოდნენ ერთადერთი მიზნისათვის – ისე გაეღვივებინათ და გაეძლიერებინათ უცხოეთში საუკუნეების მანძილზე აღმოცენებული ინტერესი საქართველოსადმი, რომ იგი მოქცეულიყო მსოფლიოს მეცნიერული აზროვნების სფეროში. ჩვენდა საამაყოდ, ბევრმა მათგანმა პირნათლად მოიხადა ვალი საშობლოს წინაშე.

\*\*\*

წლების მანძილზე ქართველი მკითხველი საზღვარგარეთული ქართველოლოგის ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხზე მეტ-ნაკლები სისრულის ინფორმაციებს ეცნობოდა ძირითადად პრესის მასალებით, ასევე სპეციალური გამოკვლევებით, წიგნებით. მიუხედავად ამისა,

დღეს, როცა, ერთი მხრივ, კიდევ უფრო ფართოვდება მეცნიერულ-კულტურული კონტაქტები უცხოეთის ქვეყნებთან, ხოლო, მეორე მხრივ, დღეგანდელი ქართული პრესის ზღვაში გაბნეული ინფორმაციებისა და, აგრეთვე, უკვე საარქივო მასალების თავმოყრია და მათი მთლიანობაში აღქმა სპეციალისტებისთვისაც კი ერთობ ძნელი ხდება, ვფიქრობთ, უპრიანია დაიწეროს საზღვარგარეთული ქართველო-ლოგის ისტორია, სადაც ქრონილოგიური თანმიმდევრობით (სათავებიდან დაწყებული) აღიწერება უცხოეთის თითოეულ ქვეყანაში ქართველოლოგიური კვლევის განვითარების გზა, რათა მკითხველს მთლიანობაში მიეწოდოს შედარებით სრული ინფორმაცია ცალკეული ქვეყნების ქართველოლოგიური ცენტრებისა და იქ მოღვაწე მკვლევართა შესახებ.

ეს იქნება ძალზე შრომაგენტადი, საკმაოდ რთული სამუშაო, მაგრამ მეტად ფასეული და საჭირო ქართველი ხალხის ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობისათვის. თანამედროვე ფართო საზოგადოებამ, განსაკუთრებით, ახალგაზრდობამ უფრო ახლოს უნდა გაიცნოს და დააფასოს ჩვენი უცხოელი გულშემატკივრების მიერ ქართული კულტურის უანგარო მსახურებისა და პიპულარიზაციისათვის გაწეული უდიდესი დგაწლი; იმაგლობლივად არ დაივიწყოს საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი თანამემამულების სანიმუშო შრომითი საქმიანობა მშობლიური ქვეყნის საკეთიდღლეოდ.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება ჩვენი წიგნიც. მასში ცალ-ცალკეა წარმოდგენილი უცხოეთის 11 ქვეყნაში (სადაც ქართული კულტურით საგანგებო დაინტერესება უფრო ხანგრძლივი და ტრადიციულია) ქართველოლოგიური კვლევის განვითარების გზა დაახლოებით XX საუკუნის ბოლომდე. ნაშრომში ძირითადად საუბარია იმ უცხოელ (და რამდენიმე ქართველ ემიგრანტ) მეცნიერთა შესახებ, რომელთა ქართველოლოგიური საქმიანობა უკვე ისტორიის კუთვნილებაა, ამიტომ ამჯერად არ შევხებივარო მსოფლიოში სახელგანთქმულ იმ ქართველოლოგებს, რომლებიც დღესაც ეწევიან აქტიურ შემოქმედებით

კვლევა-ძიებას და მომავალშიც ბევრ საინტერესო ფურცელს ჩაწერენ საზღვარგარეთული ქართველოლოგის ისტორიაში.

წიგნს არა აქვს სისრულისა და დამოუკიდებელი კვლევის პრეტენზია(ორიოდე გამონაკლისის გარდა). ჩვენი ოხრობა ემყარება ამ საკითხებთან დაკავშირებით წლების მანძილზე საქართველოში გამქვეყნებულ მასალებს, მათ შორის, თანამედროვე ელექტრონულ საშუალებებს (იხ. გამოყენებული ლიტერატურა), განსაკუთრებით დიდი სამსახური გაგვიწია ს. თურქეთის, გ. შარაძის, ვ. იმნაიშვილის წიგნებმა თუ ცალკეულმა სტატიებმა... მადლობით მოგიხსენიებთ ყველა აყტორს.

მიგვაჩნია, რომ ამგვარი სახის ნაშრომებით გავაცოცხლებთ არა მხოლოდ უცხოელ მკვლევართა დღაწლს, არამედ იმავდროულად თვალსაჩინოს გაფხდით ქართველი მეცნიერების უდიდეს დამსახურებას საზღვარგარეთული ქართველოლოგის თანამედროვე დონის შექმნაში. ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის მდიდარი ისტორიის გაბნეული ფურცლები, ერთ დაზ წიგნად აკინძული, უნდა შემოენახოს მომავალ თაობებს.

აღმართ, წიგნში ვერ მოხვდა საკითხთან დაკავშირებული არაერთი საგულისხმო ინფორმაცია, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ქართული კულტურით დაინტერესებულ პირთა მიერ კვლავ გაგრძელდება ამგვარი საქმიანობა და უცხოეთის ქართველოლოგიური ყველა ცენტრის შესახებ დაიწერება მონოგრაფიები, რომლებიც გამოაშვეურებენ პირადს არქივებსა თუ სხვა წყაროებში დაცულ ახალ-ახალ მასალებს და შეაქცებენ საზღვარგარეთული ქართველოლოგის სრულ ისტორიას.

წიგნის ხასიათის გამო ვერ აგცდით ზოგიერთი ფაქტის განმეორებას. მრავალთევროვან წყაროთა სხვადასხვაგვარი ინფორმაციის გამოც, აღმართ, ვერ ვიწევბით დაზღვეული ზოგიერთი უზუსტობისა-განაც.

## იტალია

თანამედროვე ქართველოლოგიური ცენტრებიდან ყველაზე ხანგრძლივი და მდიდარი ტრადიცია აქვს იტალიას. ცნობილია, რომ ევროპელთაგან პირველად იტალიელები დაინტერესდნენ ქართული ენითა და დამწერლობით, ლიტერატურითა და, საერთოდ, კულტურით. აქ XVII საუკუნის პირველი მეოთხედიდან დაიწყო ფართო ხასიათის ქართველოლოგიური საქმიანობა, რაც განაპირობა იტალიელი მისიონერების მოღვაწეობამ საქართველოში. ამ მხრივ დიდი დამსახურება მიუძღვით სტეფანე ბაოლინის, ანტონიო ჯარდინას, ფრანცისკ მარიო მაჯოს, ბერნარდო ნეაპოლელს, კრისტოფორო დე კასტელის და სხვებს. საგულისხმოა ისიც, რომ პირველი ქართული წიგნები სწორედ ამ ქვეყანაში დაიბეჭდა.

XVII საუკუნის დასაწყისისათვის იტალიაში საქართველო საკმაოდ ცნობილი ქვეყანა იყო. აღმოსავლეთის ქვეყნებში მოღვაწე იტალიელი კათოლიკე მოგზაურები საინტერესოდ აღნერდნენ საქართველოს თვალწარმტაც ბუნებას, ჩვენი ხალხის ზნე-ჩვეულებებს, ენასა და კულტურას (ამ თვალსაზრისით მეტად ფასეულია პიეტრო დელა ვალეს, არქანჯელო ლამბერტისა და სხვათა რელაციები საქართველოზე).

ისტორიული წყაროებით ცნობილია, რომ XVII საუკუნის დამდეგიდან რომის კათოლიკურმა ეკლესიამ გააფართოვა სამისიონერო მოღვაწეობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, შესაბამისად, 1622 წელს შეიქმნა სამისიონერო ცენტრალური ორგანო – „კათოლიკური სარწმუნოების გამავრცელებელი საზოგადოება“ – „კონგრეგაციონე დე პროპაგანდა ფიდე“ (შემოკლებით „პროპაგანდა ფიდე“), რომლის სამუშაო პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნით, მისიონერებს აუცილებლად უნდა ესწავლათ იმ ქვეყნის ენა, სადაც მოუხდებოდათ მოღვაწეობა. ამიტომაც „პროპაგანდა ფიდემ“ მისიონერთათვის საჭირო ლიტერატურის დასაბეჭდად 1626 წლის ზაფხულს დააარსა საკუ-

## იტალია

---

თარი სტამბა რომის ცენტრალურ უბანში, სტამბის ოფიციალური მმართველის – აქილე ვენერიოს საკუთარ პინაში.

სტამბის ტექნიკური გამართვა დაევალა იმ დროს იტალიაში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ მესტამბეს **სტეფანე პაოლინის**, „ბრწყინვალე მძეჭდავს“. მასთან ერთად მუშაობდა ვატიკანის სტამბიდან გადმოსული ორი სხვა თანამშრომელი.

გამოცდილმა მესტამბებმა მოკლე დროში შექმნეს 2 ათეულზე მეტი ნაირსახეობის მრავალენოვანი საშრიფტო მურნეობა, რომლის წყალობით, „პოლიგლოტას“ სახელნოდებით ცნობილმა სტამბამ მალე გაითქვა სახელი.

1626 წელს, პოლიტიკურ-სარწმუნოებრივი მიზნებიდან გამომდინარე, „პროპაგანდა ფიდეს“ გადაწყვეტილებით, რომის პაპმა საქართველოში გამოგზავნა თეატინელთა ორდენის წევრები – პირველი მისიონერები: **პიეტრო ავიტაბილე და ჯაკო-მო დი სტეფანო**. ცოტა მოგვიანებით მათ შეუერთდა რამდენიმე ახალი მოძღვარი (არქანჯელო ლამბერტი, ჯოზეფო ჯუდიჩე, კლემენტო გალანო, ჯერონიმე კარაფა, კრისტოფორო დე კასტელი, ანტონიო ჯარდინა, სერაფინო ფილინჯერი...). მისიონერებს ევალებოდათ კათოლიკური დოგმების გავრცელება, ქართველი ბავშვებისათვის სკოლების გახსნა, ლათინური ენის სწავლება, ნიჭიერი ახალგაზრდების გაგზავნა რომში. გარდა ამისა, მათ ვატიკანისათვის უნდა მიეწოდებინათ ცნობები საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების შესახებ.

სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა საქართველოდან დიპლომატიური მისიონ გაგზავნილი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის მოგზაურობა ევროპაში. **ნიკოლოზ (ნიკიფორე) ჩოლოყაშვილი** (ბერბაში „ნიკიფორე ირბახად“ წოდებული) ცნობილი საზოგადო მოღვაწე და უაღრესად განათლებული პიროვნება ყოფილა. იგი, ქვეყნის პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, მეფე თეიმურაზ I-მა 1626 წელს ელჩად წარგზავნა ესპანეთსა და იტალიაში.

ნიკიფორე თანმხელები სამი ქართველით იმავე წლის ზაფხულში ჩავიდა მესინაში, სადაც შეხვდა საქართველოში მიმავალ მისიონერებს – პიეტრო ავიტაბილესა და მის ორ ამხანაგს. 6.

ჩოლოყაშვილი სწორედ მათი მეშვეობით აქვე გაეცნო თეატრი-ნელთა ორდენის სხვა წარმომადგენლებსაც, რომელთა უშუალო რეკომენდაციებით განხორციელდა ქართველთა ელჩობა ესპანეთსა და იტალიაში. და, რაც მთავარია, ნიკიფორე ირბახი ამ მისიონერთა დახმარებით დაუკავშირდა „პროპაგანდა ფიდეს“, მის სტამბას; გაეცნო სტეფანე პაოლინის და მათი ერთობლივი შრომისა და დიდი მონძომების შედეგად იქაურ სტამბაში დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნები.

**შენიშვნა:** ნიკიფორე ირბახი რომში დარჩენილა ერთ წელინადს. ამ ხნის მანძილზე უსწავლია იტალიური ენა. თავის მხრივ, პაოლინისათვის „უსწავლები“ ქართული. თანვე „ფიდეს“ სტამბაში, სადაც ნიკიფორემდეც სცოდნიათ საქართველოში სასულიერო და საერო მნერლობისათვის გამოყენებული ნუსხური და მხედრული ანბანების შესახებაც, ნიკიფორეს დახმარებით დაუმზადებით მხედრული, ნუსხური და ასომთავრული ასო-ების პუნქტონები და მატრიცები, შემდეგ კი ჩამოუსხამთ შესანიშნავი ფილიგრანული ხელოვნებით შესრულებული შრიფტი (ჯ. ვათეეძვილი).

ცხადია, იმხანად რომში ქართული წიგნის შექმნა-დაბეჭდვას განაპირობებდა ორმხრივი ინტერესი: იტალიელთა ძირითადი მიზანი იყო, მისიონერებისათვის მიერთოდებინათ აუცილებელი მასალები ქართული ენის გაცნობა-დასაუფლებლად, ნიკიფორე ირბახისა და მისი თანამგზავრების გულმოდგინე საქმიანობით კი აღსრულდებოდა ქართველთა სანუკვარი ოცნება – ქართული ნაბეჭდი წიგნის ისტორიაში ჩაინერებოდა პირველი ფურცლები.

1629 წელს „პროპაგანდა ფიდეს“ სტამბაში დაიბეჭდა სხვადასხვა მოცულობის სამი ქართული წიგნი:

1. „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“ (ინყება ანბანის ჩამოთვლით, შემდეგ მოსდევს ლოცვები: „მამაო ჩვენო“, „გიხა-როდენ“, „მრნამსი“, „ათი მცნება“).

2. „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“. მისი სრული სახელწოდებაა „ლექსიკონი ქართული და იტალიური, შედგენილი სტეფანე პაოლინის მიერ, ქართველ ნიკიფორე ირბახის წმ. ბასილის (წესის) ბერის დახმარებით – სახმარად სარწმუნოების

გამავრცელებელი სასულიერო საზოგადოების მისიონერთა“ (1629).

ლექსიკონი შეიცავს 3084 სიტყვას. ტექსტი სამ სვეტად მიდის: I – ქართული, II – ლათინური ტრანსლიტერაცია, III – იტალიური შესატყვევისი.

მიუხედავად ლექსიკონის ქართულ დაწერილობაში დაშვებული შეცდომებისა (რაც ძირითადად გამოწვეული ჩანს უშუალოდ წიგნის ბეჭდვის დროს ნიკიფორე ირბახის რომში არყოფნით და, აგრეთვე, ქართულ ენაში პაოლინის ნაკლები განაფულობით), ამ ლექსიკონს აქვს ისტორიული ღირებულება. იგი იყო პირველი ნაბეჭდი ქართული ლექსიკონი (ქართული წიგნი).

3. „**ლოცვა ლვითისმშობლისადმი**“ („ლიტანია ლაურეტანა“), რომელიც ლათინურიდან უთარგმნია 6. ჩოლოყაშვილს.

**შენიშვნა:** ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველ ქართულ ნაბეჭდ წიგნად ტრადიციულად სახელდება „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“, სხვა დანარჩენები არ მიიჩნევა ცალკე ნაშრომებად აღბათ იმიტომ, რომ არიან რელიგიური ხასიათის, აქვთ მცირე მოცულობა და არ გააჩნიათ საგანგებო პრაქტიკული დანიშნულება (შდრ. ლექსიკონი, გრამატიკა).

1629 წელს იტალიაში ქართული წიგნების გამოცემას, გარდა ლინგვისტური ღირებულებისა, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პოლიტიკური თვალსაზრისითაც: აგრესიულად განწყობილ მუსულმანურ სამყაროში მოქცეული საქართველოსათვის „ეს იყო პირველი შედეგიანი ცდა მტრული გარემოცვის გარღვევისა და კულტურულ სფეროში დასავლურ ქრისტიანულ სამყაროსთან აქტიური კავშირ-ურთიერთობის აღდგენისა“ (ჯ. ვათეიშვილი).

აქვე გვინდა მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ ერთ საგულისხმო მომენტზეც: როგორც ირკვევა, „პროპაგანდა ფიდეს“ თანამშრომლები თავიდანვე გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ ნაბეჭდი წიგნების ხარისხს, მათს შინაარსობრივ თუ ტექნიკურ მხარეებს. მაგალითად, საქართველოში მიმავალი მისიონერებისათვის 1630 წელს კონგრეგაციას შეუდგენია საგანგებო ინსტრუქცია, რომლის მიხედვით, მისიონერებს ევალებოდათ:

1. გვაცნობონ, კარგი გამოვიდა თუ არა ქართული შრიფტი და სხვა დაპეჭდილი ტექსტები (რომლებიც თან მიაქვთ). თუ მათში შეცდომებია გაპარული, ჩასწორონ და სათანადო კორექტურით უკან გამოგვიგზავნონ და, თუ რაიმეა გამოტოვებული, თავაზიანად მიგვითითონ.

2. გვაცნობონ იმ სასულიერო და საერო წიგნების შესახებ, რაც მოიპოვება იმ მხარეებში, აგრეთვე, მათ ავტორებსა და შინაარსზე, განსაკუთრებით ბიბლიასა და სხვა სასულიერო წიგნებზე, რომ მათი გადაღებული ასლები გაეგზავნოს წმ. კონგრეგაციას.

3. საჭიროა, ისწავლონ წერა-კითხვა იმ სამეფოში გავრცელებულ ენაზე... შეიტყონ აგრეთვე, აქვს თუ არა ამ ხალხს ლექსიკონები და გრამატიკები იმ ენაზე, რომელზედაც ლაპარაკობენ და, თუ საშუალება ექნებათ, გამოგვიგზავნონ.

ცნობილია, რომ იტალიელი მისიონერები პირველად გორში დამკვიდრდნენ, მაგრამ მალე მოღვაწეობა დაიწყეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, რასაც ბუნებრივად მოჰყვა იმ მხანად ქართულ-იტალიური ურთიერთობის შესამჩნევი გაფართოება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მისიონერების მიერ გორში, გურიასა და სამეგრელოში დაარსებული სკოლები, სადაც ლათინურისა და იტალიურის გვერდით ქართულ ენასაც ასწავლიდნენ საკუთარი ხელნაწერი გრამატიკებისა თუ ლექსიკონების მიხედვით (მიხ. თამარაშვილი). ამ მხრივ პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ **ანტონიო ჯარდინა**. მას ჯერ გორში უმოღვანია, 1634 წელს იგი სხვა ორ მისიონერთან (კრისტოფორო დე კასტელი, ფრანგი ძმა კლავდიო) ერთად გურიის ეპისკოპოსს – შემოქმედელს წაუყვანია შემოქმედში, 1636 წელს კი მისიონერები იზურგეთში გადაუყვანია გურიის კათალიკოს მთავარს მალაქიას, რომლის ხელშეწყობით ისინი ეწეოდნენ ნაყოფიერ საქმიანობას. ჯარდინას მოღვაწეობიდან ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის იყო, რომ მას **ოზურგეთში გაუხსნია სკოლა** (ერთგვარი კოლეჯი), სადაც 20-მდე ბავშვს მის მიერვე შედგენილი სახელმძღვანელოთი ასწავლიდა წერა-კითხვას ქართულად და იტალი-

ურად, ასევე, ქრისტიანულ მოძღვრებას და სხვ. (პროფ. ი. ტაბა-ლუამ ვატიკანის არქიეპი აღმოაჩინა ამ სკოლის სურათიც. მასზე გამოსახულია 20-მდე ბავშვი, მასწავლებელი დონ ანტონიო ჯარდინა და კრისტოფორო დე კასტელი. იხ. გაზ. „განათლება“, 1993, 30.07). არქანჯელო ლამბერტის ცნობით, „ჯარდინა ადვილად ეუფლებოდა ენებს. მან უკვე შეადგინა ქართული გრამატიკის კარგი ნიმუში. ამ ენაზე ისე სწრაფად ლაპარაკობდა, რომ ამ ქვეყნის მკვიდრი გეგონებოდათ. იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ყველას წინაშე, განსაკუთრებით ზემოხსენებული კათალიკოს მთავარის წინაშე“. ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, სწორედ ანტონიო ჯარდინას მიერ უნდა იყოს შედგენილი პირველი ქართული გრამატიკა, თუმცა, სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული სხვა მოსაზრებით, ჯარდინას გრამატიკაც არ უნდა იყოს პირველი. პალერმოს არქიეპში დაცულ ერთ-ერთ წერილში, რომელიც ეკუთვნის ავტორიტეტულ მისიონერს, დონ ჯუსტო პრატოს, ნათქვამია: **დონ ჯაკომო დი სტეფანო** გორში თეატინელი მისიონერების მიერ დაარსებულ სასულიერო სასწავლებელში ასწავლიდა ქართულს, ლათინურს, იტალიურს. მან შეადგინა იტალიურ-ქართული სიტყვარი და საერთოდ მუშაობდა ქართულ გრამატიკებზე. ეს უნდა მომხდარიყო ანტონიო ჯარდინას გურიაში წასვლამდე (ი. ტაბალუა).

მართალია, ჯარდინას გარდაცვალების გამო გრამატიკა გამოუქვეყნებელი დარჩა, მაგრამ, საფიქრებელია, იგი იქნებოდა გამოყენებული და ასახული იტალიელი მისიონერების მიერ შედგენილ მომდევნო ხანის გრამატიკებში.

მაშასადამე, უცხოური წყაროების მიხედვით, ჯერ კიდევ XVII საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში უნდა არსებულიყო უცხო ენაზე შედგენილი ხელნაწერი სახელმძღვანელოები ქართული გრამატიკისა. მიუხედავად ამისა, კონგრეგაციაში მალე დარწმუნდნენ, რომ სასაუბრო ქართულის დასაუფლებლად, მისი გრამატიკული სისტემის შესასწავლად არ იყო საკმარისი ზემოდასახელებული ლექსიკონები თუ ხელნაწერი სახელმძღვანელოები; მისიონერთათვის სპეციალურად უნდა შეედგინათ

უფრო ვრცელი სახელმძღვანელო ქართული ენის გრამატიკისა (რაც მაშინ თვით საქართველოშიც არ არსებობდა). ამიტომ რომის პაპის მითითებით, „პროპაგანდა ფიდემ“ საქართველოში გამოგზავნა პალერმოელი მღვდელი **ფრანჩესკო მარიო მაჯო** საგანგებო დავალებით – საფუძვლიანად შესწავლა ქართული ენა და დაეწერა ამ ენის გრამატიკა.

20 წლის მაჯო საქართველოში ჩამოსულა 1637 წელს. პირველად დამკვიდრებულა გორში, ცოტა ხნის შემდეგ, 1638 წელს, იგი ნაუყვანიათ სამეგრელოში, აქედან კი გადასულა გურიაში. მაჯო თავისუფლად მოგზაურობდა აგრეთვე დასავლეთ საქართველოს სხვა მხარეებში, აფხაზეთშიც. ცხადია, ყოველივე ეს დაეხმარებოდა ახალგაზრდა უცხოელს, უკეთ დაუფლებოდა სასაუბრო ქართულს და დაჰკვირვებოდა მის გრამატიკულ სისტემას (მაჯოს 8 წელიწადი უცხოვრია საქართველოში. აქ იგი დიდი ინტერესით სწავლობდა ქართულს. შეუგროვებია ქართული ენის ხელნაწერი წიგნები, მათ შორის, გრამატიკული შენიშვნები). გარდა ამისა, მაჯოს მუშაობას უთუოდ გაუადვილებდა გურიაში ჯერ კიდევ 1634 წლიდან დაწყებული მისიონის საგანმანათლებლო საქმიანობის ტრადიცია, რომელსაც სათავე დაუდო ანტონიო ჯარდინამ. მართალია, ჯარდინა გარდაიცვალა 1637 წელს, მაჯოს გურიაში ჩამოსულამდე ცოტა ხნით ადრე, მაგრამ უდავოა, რომ მაჯო გურიაში გააგრძელებდა მისი წინამორბედის საქმიანობას, გაეცნობოდა მის ხელნაწერ გრამატიკასაც. ამის თქმის საფუძველს იძლევა თვით მაჯოს ჩანაწერი („გრამატიკის“ პირველ ნაწილში), სადაც მითითებულია იბერიული (ქართული) ენის შესწავლის ასპექტით ჯარდინას დამსახურებაზე: „ჯ. სტეფანიუსმა და ანტონიო ჯარდინამ, როგორც ყველაზე მეტად დახელოვნებულებმა, შეამკეს თავიანთი ნაწერებით იბერიული ენა“ (თუმცა ისტორიულ წყაროებში არ ჩანს, გამოიყენა თუ არა მაჯომ ეს გრამატიკა).

1641 წლისათვის მაჯოს დაუსრულებია ქართული ენის გრამატიკა. იმავე წლის 10 ივნისს „პროპაგანდა ფიდეს“ სხდომაზე კიდეც განუხილავთ საკითხი ამ თხზულების დაბეჭდვის

შესახებ. კონგრეგაციას მიუღია საგულისხმო დადგენილება: ნაშრომის ხელნაწერი უნდა შეემონმებინა ქართული ენის მცოდნეს (თუკი ასეთი რომში მოიძებნებოდა) და, თუ იგი დაადასტურებდა, რომ გრამატიკა სწორადაა შედგენილი, მხოლოდ შემდეგ გადაეცემოდა სტამბას დასაბეჭდად.

როგორც ჩანს, მაჯოს ნაშრომს აპრობაციის შედეგად და-დებითი შეფასება მიუღია და იგი კიდეც დაიბეჭდა **1643** წელს (მეორედ გამოიცა **1670** წელს) სახელწოდებით: „**ნაშრომი აღ-მოსავლურ ენათა შესახებ...** ნიგნი პირველი (ქართული გრა-მატიკა), რომელიც შეიცავს ქართული ანუ იბერიული სასა-უბრო ენის გრამატიკულ წესებს – შედგენილი ფრანგესკო მა-რია მაჯოს მიერ... რომში სარწმუნოების გამავრცელებელი წმ. კონგრეგაციის სტამბიდან უზენაესის ნებართვით“. მაჯოს ქარ-თული ენის გრამატიკა (რიგით მეოთხე ნაბეჭდი ქართული წიგ-ნი) დანერილია ლათინურ ენაზე. ავტორს იგი მიუძღვნია უწმინ-დესი და უნეტარესი მამის ურბანოს **VIII** პაპისადმი. ნიგნი შედ-გება ორი ნაწილისაგან: პირველია „ქართული გრამატიკა“, მეო-რე კი შეიცავს არაბული და თურქული ენების შესახებ გამოკ-ვლევას და ქართულთან მათს დამოკიდებულებაზე ავტორისე-ულ ცალკეულ დაკვირვებებს. თავისი მხრივ, „ქართული გრამა-ტიკის“ ნაწილებია: 1. ორთოგრაფია; 2. ეტიმოლოგია; 3. სინტაქ-სი; 4. პროსოდია (მახვილიანი და უმახვილო ბგერების საკითხი).

ისტორიოგრაფიაში აღიარებულია, რომ მაჯოს გრამატიკა ენათმეცნიერული თვალსაზრისით და, საერთოდ, ქართული კულტურისათვის უფრო დიდი მნიშვნელობის აღმოჩნდა, ვიდრე მას ევალებოდა სასულიერო ინტერესებიდან გამომდინარე. ეს გრამატიკა არის ქართული ენის თავისებურებათა შედარებითი შესწავლის პირველი ცდა. მაჯოს მიერ გამოყენებული კვლევის მეთოდი შეესაბამებოდა ლინგვისტური მეცნიერების კვლევის მაშინდელ დონეს. არნ. ჩიქობავას შეფასებით, მაჯოს შრომა პირველი გრამატიკაა ქართული ენისა. იგი იმავე დროს „**ნარმო-ადგენს პირველ გრამატიკას**“ იბერიულ-კავკასიურ ენობრივ სამყაროში. ამდენად, მაჯოს ამ შრომას – მიუხედავად ყველა

მისი ნაკლისა – განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. სანამ მარი ბროსეს ქართული გრამატიკა გამოვიდოდა (1834) – ე.ი. თითქმის 200 წლის მანძილზე – ევროპის სწავლულები მაჯოს შრომის საცუალებით ეცნობოდნენ ქართულ ენას“.

**შენიშვნა:** იტალიაში განხორციელებული ამ უმნიშვნელოვანესი ფაქტის შესახებ შედარებით ვრცელი ინფორმაცია ჩვენში გავრცელდა XX საუკუნის დამდევიდან, მიხედვით თამარაშვილის მიერ უცხოეთში მოძიებული ცნობების წყალობით.

საგულისხმოა, რომ XVII საუკუნის მეორე ნახევარშიც კვლავ აქტიურად მუშაობდნენ იტალიელი მისიონერები ქართული ლექსიკონებისა და გრამატიკული ნაშრომების შედგენაზე. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ბერნარდო ნეაპოლელის ქართული იტალიური და იტალიურ-ქართული ლექსიკონები (ხელნაწერის სახით დაცულია ნეაპოლის ბიბლიოთეკაში).

თეოლოგიასა და ფილოსოფიაში ღრმად განსწავლული ბერნარდო ნეაპოლელი საქართველოში ჩამოსულა 1670 წელს. აქ დარჩენილა თითქმის ათი წელი. ისე კარგად შეუსწავლია ქართული, რომ ამ ენაზე რელიგიური ხასიათის თხზულებაც კი დაუწერია. ბერნარდო ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობასაც, თანაც ასწავლიდა მისიონერების მიერ გახსნილ ქართულ სკოლაში.

ბერნარდო ნეაპოლელის ლექსიკონები, რომლებიც განკუთვნილი იყო საქართველოში მოღვაწე იტალიელი მისიონერებისათვის სახელმძღვანელოდ, მართალია, არ არის დასრულებული, თარგმნისას დაშვებულია შეცდომებიც, მაგრამ ისინი პირველ ლექსიკონთან შედარებით მოცულობითაც ვრცელია და თვისებრივადაც – უფრო სრულყოფილი. ჩანს, ავტორი წინამორბედებზე უკეთ ერკვევა ქართული ენის თავისებურებებში. ამიტომაა, რომ ლექსიკონში გრამატიკული მასალაცაა შეტანილი.

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ იტალიელმა მისიონერებმა ჯერ კიდევ XVII საუკუნეში ქართული ენის შესახებ შექმნეს სერიოზული გრამატიკული ლიტერატურა და ერთგვარად შეუწყვეს ხელი გრამატიკული მეცნიერების დანერგვას საქართველოში.

დაახლოებით 1632-1656 წლებში საქართველოში ცხოვრობდა იტალიელი მისიონერი დონ კრისტოფორი დე კასტელი, რომლის მრავალმხრივი მოღვაწეობიდან (იყო ექიმი მკურნალი, ასწავლიდა გურიაში მის მიერ დაარსებულ სკოლაში, შეადგინა არითმეტიკის სახელმძღვანელო...) ჩვენი ქვეყნის ისტორიისათვის მაინც განსაკუთრებით ფასეულია თეატინელთა ორდენის შეკვეთით შესრულებული ნახატები, რომლებიც ცოცხლად წარმოაჩენენ XVII საუკუნის საქართველოს, კერძოდ, იმერეთის, გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის ისტორიის ეპიზოდებს, უცნობ მასალებს.

**შენიშვნა:** ქართლსა და გურიაში თეატინელთა მისიონერების ხანგრძლივი შემოქმედებითი საქმიანობის შესახებ საინტერესოდ მოუთხრობს მკითხველს იტალიელი ისტორიკოსის ანა პატრიცია ლიჩინის ნიგნი „კრისტოფორი კასტელი და მისი მისია საქართველოში“, რომელიც შეიცავს კასტელის ჩანაწერებს, და, შესაბამისად, საქართველოს ისტორიისათვის მეტად საყურადღებო ცნობებს.

საქართველოში კასტელის მოღვაწეობას მიეძღვნა, აგრეთვე, მიღანის უნივერსიტეტის პროფესორ ბერნადეტე მაიორანას ნაშრომი „დიდებული საქმე. XVII საუკუნის მოვზაურობის ისტორია და სახეები“, რომელიც გამოიცა სიცილიაში. წიგნის პირველი ნაწილი გამოკვლევაა, მეორეში წარმოადგენილია კასტელის 110 ნახატი ავტორის სეული მინაწერებით. მაიორანას წიგნი შეიცავს საქართველოს ისტორიისათვის ძევრ საინტერესო მასალას (ი. ტაბაღუა).

თავისი ხანგრძლივი (18 წლიანი) მოღვაწეობით თანამედროვე ქართველთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა დონ არქანჯელო ლამბერტიმ. განსაკუთრებით ფასეულია მისი წიგნები „სამეგრელოს აღნერა“ და „წმინდა კოლხეთი“, რომლებშიც პირველი და მარტო ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიულ-ეკონომიკური ვითარება, არამედ ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებანი, მეფეთა და მთავართა კეთილგონიერება, შორსმჭვრეტელობა, განსაკუთრებული გულისხმიერება, უცხოელთა მიმართ...

იტალიაში XVIII საუკუნეშიც არ შენელებულა ინტერესი ქართული ენისა და კულტურისადმი. ამ მხრივ კვლავ დიდია იტალიელი მისიონერების დამსახურება. მაგალითისათვის და-

ვიმოწმებთ XVIII საუკუნის ერთ-ერთი მისიონერის მიერ შედგენილ ხელნაწერ „ქართული ენის გრამატიკას“ (მიაკვლია ცნობილმა ქართველობოგმა ლუიჯი მაგაროფომ 1977 წელს ვენეციის სან მარკოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში). წიგნი შედგება მორფოლოგიისა და სინტაქსისაგან. ჩანს, ავტორი იცნობდა ანტონ კათალიკოსის „ქართულ ღრამატიკას“ და კიდეც გამოუყენებია იგი. ხელნაწერი გრამატიკა იმაზეც მეტყველებს, რომ ავტორს კარგად სცოდნია სასაუბრო ქართული და ჩვენი ენის გრამატიკის ბევრი საკითხი საკმაო სისრულითაც განუხილავს. უცხოური წყაროების მიხედვით, აღნიშნული გრამატიკის ავტორად ივარაუდება ახალციხელი პატრი ჯიროლამო და ნორჩა, რომელსაც ეს ნაშრომი დაუწერია ახალი მისიონერებისათვის სახელმძღვანელოდ (ლ. მაგაროტო, ი. ტაბალუა).

**ქართული გრამატიკი** იყო იტალიელი დრამატურგი. მან საქართველოსა და ქართველ ხალხს უძღვნა პიესა „მშვენიერი ქართველი ქალი“, რომელიც 1761 წელს დაიდგა სცენაზე. მართალია, გოლდონს საქართველო არასოდეს არ ენახა, მაგრამ იმდენად ბევრი სმენოდა ამ ქვეყნის შესახებ, რომ საგანგებოდაც დაინტერესებულა მისით. იგი ჯერ გასცნობია საქართველო-სადმი მიძღვნილ თანამემამულეთა ნაშრომებს, შემდეგ — ჟ. შარდენის თხზულებას „მოგზაურობა საქართველოში“, ღრმად ჩასწვდომია ჩვენი ხალხის ზნე-ჩვეულებებს, ქართველი კაცის ბუნებას და კიდეც შეუქმნია შესანიშნავი პიესა, რომლის პერსონაჟები არიან: თამარი, ბაგრატი, ვახტანგი (სახელები აღებულია შარდენის თხზულებიდან).

პიესის მთავარი გმირია თამარი — ბაგრატ გურიელის ასული. იგი მშვენიერია გარეგნობით, მომხიბვლელი — გონებითა და კდემამოსილებით. გოლდონის პიესაც „მშვენიერი ქართველი ქალი“ დაწერილია ჩვენი ხალხის სიყვარულით. მასში გამუღავნებულია ავტორის კეთილგანწყობა საქართველოსადმი.

1722 წელს იტალიელმა მისიონერმა და ორიენტალისტმა **მათემ რიპამ** ნეაპოლში დააარსა აღმოსავლურ ენათა კოლეჯი და „ევროპის ენათა სკოლა“ უცხოელთათვის. 1732 წლიდან

## იტალია

ასეთ სკოლებს ენოდა „კოლეჯიო აზიატიკი“, უფრო მოგვიანებით კი — „ინსტიტუტე ორიენტაციე“ (აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი). სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი კავკასიის ხალხთა ენის, ისტორიისა და კულტურის მეცნიერულ შესწავლას.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ევროპელი მეცნიერები საგანგებოდ მსჯელობდნენ ქართული ენის ნარმოშობისა და ნათესაობის შესახებ. ამ მხრივ საგულისხმოა იტალიაში მოღვაწე ესპანელი მეცნიერის **ლორენცო ერვასის** (1735-1809) თვალსაზრისი. მკვლევარი შეეცადა ქართული ენა და ეკავშირებინა ბერძნულ-ლათინურთან, იგი მიუთითებდა აგრეთვე ევროპელი და კავკასიელი იბერების ნათესაობაზე.

ლ. ერვასი დაინტერესებული იყო მსოფლიოს ენებითა და დიალექტებით, ადგენდა მათს კატალოგს. 1787 წელს გამოსცა მრავალენოვანი ლექსიკონი. ქართულის გარდა იგი ყურადღებას აქცევდა სხვა ქართველურ ენებსაც. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში მან პირველმა დაბეჭდა ჭანური დიალექტის ორი ნიმუში.

ხანგრძლივ ტრადიციებზე დაფუძნებული ქართველოლოგიური მუშაობა იტალიაში კიდევ უფრო გაფართოვდა და მრავალმხრივი გახდა XX საუკუნის პირველ ნახევარში, რასაც დიდად შეუწყო ხელი იქ მცხოვრები ემიგრანტი მეცნიერების: მიხ. თამარაშვილის, შ. ბერიძის, რ. ინგილო-ივანიცკისა და მიხ. თარ-ხნიშვილის მოღვაწეობამ. მათ უდავოდ დიდი როლი შეასრულეს არა მხოლოდ იტალიაში, არამედ მთელს ევროპაში ქართული ენისა და ლიტერატურის გაცნობა-პოპულარიზაციის თვალსაზრისით.

**გიხეილ თამარაშვილი** (1858-1911) უცხოეთში მოღვაწე ქართველ მეცნიერთა შორის ერთ-ერთი გამორჩეულია. მან პირველმა აზიარა ევროპელი მკითხველი საქართველოს ისტორიასა და კულტურას.

მიხეილ თამარაშვილი დაიბადა ახალციხეში, წვრილი ხელოსნის ოჯახში. 1878 წლიდან სწავლობდა ჯერ კონსტანტინოპოლში (კათოლიკე მოძღვრის პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ

დაარსებულ ქართველ კათოლიკეთა მონასტრის სკოლაში), შემდეგ კი (1881-1883) – ესპანეთში, სასულიერო სემინარიაში. მოგვიანებით (1888) დაამთავრა პარიზის წმინდა ლაზარეს სასულიერო სასწავლებელი. სწორედ იქ, პარიზის წმინდა ლაზარეს სასულიერო სასწავლებელი, არქივებში გაეცნო მიხეილი ნამდვილ მეცნიერულ ცხოვრებას და თავადაც იქვე გადადგა პირველი ნაბიჯები სამეცნიერო მუშაობაში...

ღრმად განსწავლული ახალგაზრდა 1880-იანი წლების ბოლოს დაბრუნდა საქართველოში (დანიშნეს თბილისის კათოლიკეთა „მიძინების ეკლესიის“ მღვდლად). თამარაშვილს სურდა, სასულიერო საქმე შეეთავსებინა მეცნიერულ მუშაობასთან. ამ მიზნით კიდეც შეუდგა პრაქტიკულ საქმიანობას: „ნირვის დროს მოძღვარი ეკლესიის კათედრიდან მრევლს ეროვნული ისტორიის პატრიოტულ ფურცლებს ახსენებდა... მისი ქადაგება ეროვნულ საკითხებზე ჩატარებულ ლექციებს უფრო ჰგავდა“ (შ. ლომსაძე), მაგრამ 1890 წელს ცარიზმის მოხელეებმა იგი, როგორც „უცხო იდეებით“ გამსჭვალული და მთავრობისათვის „სერიოზულად საშიში“ პირვენება, გააძევეს საქართველოდან.

1891 წელს მ. თამარაშვილი იძულებული გახდა სამუდამოდ მიეტოვებინა მშობლიური კუთხე. იგი ცოტა ხანს კონსტანტინოპოლის ქართველ კათოლიკეთა სავანეში შეჩერდა, შემდეგ რომში ჩავიდა სწავლის გასაგრძელებლად, ჩაირიცხა სასულიერო აკადემიაში, რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგ, 1894 წელსვე, მოიპოვა ლვისმეტყველებაში დოქტორის ხარისხი და იქვე შეუდგა სამეცნიერო მოღვაწეობას. წლების განმავლობაში მუშაობდა რომის უნივერსიტეტში პროფესორად; ლექციებს კითხულობდა, აგრეთვე, სხვადასხვა კოლეჯში. ამ დროისათვის იგი ზედმიწევნით კარგად ფლობდა მრავალ უცხო ენას: ფრანგულს, იტალიურს, ლათინურს, თურქულს, სომხურს, რუსულს.

მიხ. თამარაშვილი, როგორც მეცნიერი, განსაკუთრებით დაინტერესებული იყო საქართველოს ისტორიით. იგი ბავშვობიდანვე კარგად იცნობდა (და ყოველთვის მტკიცნეულად გა-

ნიცდიდა) იმ პერიოდის საქართველოში, განსაკუთრებით კი, სამცხე-ჯავახეთში შექმნილ მძიმე პოლიტიკურ ვითარებას, როცა მეზობელი მუსულმანური სახელმწიფოების აგრესისა თუ რუსეთის იმპერიული ზრახვების წყალობით, იმ კუთხის ქართველობისათვის ეროვნულობისა და ქრისტიანული რწმენის შენარჩუნება უდიდესი საფრთხის წინაშე იდგა. გარდა ამისა, უცხოენოვან წიგნებსა თუ პრესაში სხვადასხვა გზით ვრცელდებოდა ყალბი ინფორმაციები საქართველოს წარსულისა და ანტყოს შესახებ. სამწუხაროდ, მაშინ ჩვენში არ მოიპოვებოდა ისეთი ნაშრომები (უტყუარი საბუთები), რომლებიც აღადგენდნენ ჩვენი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური თუ რელიგიური ცხოვრების განვლილ გზას. სწორედ ამიტომაც მიიჩნევდა მ. თამარაშვილი აუცილებლობად, საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული ცნობები პირველ რიგში დაძებნილიყო ევროპის დიდი ქალაქების არქივებში. ამიერიდან თამარაშვილის ცხოვრების ერთადერთი მიზანი გახდა ქართველთა ჭეშმარიტი ისტორიის აღდგენა, ცრუ „ისტორიკოსების“ მხილება... სწორედ ამ მიზნის აღსრულებას შეალია მთელი სიცოცხლე.

უცხოეთში გადახვეწილმა მკვლევარმა, ეკონომიკურად მეტისმეტად შეჭირვებულმა, მრავალნლიანი მძიმე, მომქანცველი შრომის შემდეგ ვატიკანის, რომის, ფლორენციის, პალერმოს, პარიზის, ლონდონის, მოსკოვის, ალექსანდრიის, ბეირუტის, ტრაპიზონის, ალეპოს, ქაიროს, კონსტანტინოპოლისა და უცხოეთის სხვა დიდი ქალაქების არქივებსა და ბიბლიოთეკებში მოიძია საქართველოს ისტორიის ამსახველი დიდძალი მასალა, რომლის ანალიზის საფუძველზე შექმნა ფუნდამენტური ნაშრომები – საქართველოს ისტორიოგრაფიისათვის მეტად ფასეული წიგნები.

1902 წელს თბილისში დაიბეჭდა საქმაოდ დიდი მოცულობის ნაშრომი „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანით და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე“. სპეციალისტების აზრით, წიგნი მხოლოდ ქართველ კათოლიკეთა ისტორია როდია, რეა-

ლურად იგი არის ერთიანი საქართველოს შვიდსაუკუნოვანი მატიანე, უცხოური წყაროებით დამოწმებულ-დასაბუთებული, სადაც კათოლიკობის ისტორია ბუნებრივად არის შერწყმული ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური თუ კულტურული ცხოვრების აღნერასთან.

ქართველი ინტელიგენცია ამ ნაშრომის გამოსვლას დიდი მოწოდებით შეხვდა. **ი. ჭავჭავაძის** შეფასებით, მას დამსახურებულად უწოდეს „**მეორე ქართლის ცხოვრება**“: „ნიგნს ქართველებისათვის უფრო მეტი, უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ამ მნიშვნელობას გამოხატავს თვით გამოცემის სათაური“ (მ. ჯანაშვილი); „მიხ. თამარაშვილის მიერ მიკვლეული და გამოქვეყნებული მასალები, საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და ფარული თუ აშკარა დიპლომატიის შესასწავლად, ფასდაუდებელ ცნობებს შეიცავდა, ცნობებს, რომლებიც ვერ აისახა ოფიციალურ ქართულ მატიანებსა და ქრონიკებში“ (ელ. მეტრეველი).

**შენიშვნა:** ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული ნიგნი „კათოლიკობის ისტორია ქართველთა შორის“ რეპრინტის ნეხით გამოიცა 2011 წელს (თამარაშვილის გარდაცვალების 100 წლისთავთან დაკავშირებით) საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივითა და მხარდაჭერით.

ღირსასაცნობია ისიც, რომ მალევე, **1904** წელს, თბილისში დაიბეჭდა მ. თამარაშვილის ახალი ნიგნი „**პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც უარჲოფენ ქართველ კათოლიკობას**“. სათანადო დოკუმენტებზე დაყრდნობით, ავტორმა საკადრისი პასუხი გასცა საქართველოს ისტორიის გამყალბებელ სომებს მწერლებს – ცრუ „ისტორიკოსებს“. თანამედროვე ისტორიოგრაფიაშიც აღიარებულია, რომ თამარაშვილის მეორე ნიგნი ისეთივე ძალისა და მნიშვნელობის პუბლიცისტიკაა, როგორიც – ილია ჭავჭავაძის „ქვათა ღაღადი“.

ევროპის სამეცნიერო წრეებში განსაკუთრებით დიდი გამოხმაურება მოჰყვა მ. თამარაშვილის მესამე ნიგნს „**ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე**“, რომელიც გამოიცა 1910 წელს რომში ფრანგულ ენაზე. მის შესახებ სხვადასხვა უურ-

ნალ-გაზეთში დაიბეჭდა 50-ზე მეტი გამოხმაურება-რეცენზია ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ, ესპანურ, იტალიურ, პოლონურ და სხვა ენებზე; წიგნს უმაღლესი შეფასება მისცეს რომის პაპმა და კარდინალებმა, მიანიჭეს ვატიკანის სპეციალური პრემია. უცხოელ მეცნიერთა რეცენზიებში აღიარებული იყო საკითხის აქტუალობა და მკვლევრის მიერ გამოტანილი დასკვნების მნიშვნელობა.

წიგნი სცილდება ქართველი ერის რელიგიური ცხოვრების ჩარჩოებს, იგი ჩვენი ქვეყნის მთლიანი ისტორიაა, სადაც მკითხველი უთუოდ იპოვის საინტერესო ცნობებს ქართველთა ყოფა-ცხოვრების თითქმის ყველა მხარეზე. ამ ნაშრომის მნიშვნელობას კიდევ უფრო აძლიერებს თანდართული 104 პორტრეტი, ქართულ ძეგლთა რეპროდუქციები, ორი გეოგრაფიული რუკა და მრავალი გამოუქვეყნებელი დოკუმენტი.

მიუხედავად იმისა, რომ წიგნი ფრანგულ ენაზე იყო დაბეჭდილი და საქართველოში ჩამოაღწია მხოლოდ რამდენიმე ცალმა, ქართველი ინტელიგენცია ინტერესით გაეცნო მას; ზეპირი თუ წერილობითი სახით დიდ მადლობას უხდიდნენ ავტორს, ხაზგასმით აღნიშნავდნენ მიხ. თამარაშვილის ნაღვანის მნიშვნელობას ერის ისტორიაში. „ამ წიგნის გამოცემით მიხ. თამარაშვილმა ევროპაში ქართველებს დიდი ძეგლი დაუდგა“, – აღფრთოვანებით წერდა ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ზაქარია ჭიჭინაძე.

**შენიშვნა:** „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე“ მოგვიანებით ითარგმნა ქართულად და გამოიცა თბილისში 1995 წელს.

ზემოდასახელებული მონოგრაფიების გარდა, მიხ. თამარაშვილმა ქართულ კულტურას დიდი ამაგი დასდო იმ მხრივაც, რომ მან საქართველოსთან დაკავშირებული არაერთი საინტერესო მასალა გამოავლინა, მისაწვდომი გახადა ფართო მკითხველისათვის და, რაც მთავარია, უხვი უცხოენოვანი წყაროებით გაამდიდრა ქართული ისტორიოგრაფიის საგანძურო. მაგალითად, მან პირველმა მოიძია სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში მოგზაურობის მასალები, პირველმა აღმოაჩინა სიცილიაში

კრისტოფორო დე კასტელის მიერ საქართველოში შესრულებული ჩანახატების, სურათების ალბომი, რომლის ფოტოსასლის გადმოსაღებად და წარწერების შესასწავლად დიდ ხარჯთან ერთად დიდი შრომაც გასწია. „ყველა საქმე დიდის სიამოვნებით ვიტვირთეთ, რათა საქართველოსათვის შეგვეძინა ეს ძვირფასი განძი ჩვენი წარსულისა“, – წერდა სახელოვანი მამულიშვილი.

მიხ. თამარაშვილს სურდა, აგრეთვე, მის ხელთ არსებული საარქივო მასალების საფუძველზე დაწერა საქართველოს ისტორია ცალკე წიგნად, რომლის ძირითადი მონახაზი უკვე გაკეთებულიც ჰქონია. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ სურვილის აღსრულება ვეღარ შეძლო – 1911 წელს, 53 წლის ასაკში, დაიღუპა ტრაგიკულად (აღელვებულ ხმელთაშუა ზღვაში გადაეშვა უცნობი კაცის მისაშველებლად. უცნობი გადარჩა, მიხეილი კი დაიხრჩო). საქართველოს ისტორიის პირუთვნელი მემატიანის გარდაცვალებას ქართველი ერი, მონინავე ინტელიგენცია ჩვენი ისტორიოგრაფიის აუნაზღაურებელ დანაკლისად მიიჩნევდა.

მიხ. თამარაშვილი დიდი პატივით დაკრძალუს იტალიაში. მოგვიანებით, 1978 წელს, მისი ნეშტი გადმოსავენეს სამშობლოში და დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში მიუჩინეს სამუდამო განსასვენებელი. ამიერიდან ამაგდარი მამულიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობა საბოლოოდ იქცა ჩვენი ქვეყნის ისტორიოგრაფიის განუყოფელ ნაწილად.

**რაფიელ იეგილო-ივანიცი (1896-1966)** დაიბადა საინგილოში. რაფიელის მამა – ალექსანდრე – ალ. ჭავჭავაძის კარზე იზრდებოდა 1854 წლამდე, სანამ შამილი აიკლებდა ოჯახს. ალექსანდრეს თავი დაუღწევია ტყვეობიდან, ჩამოსულა თბილისში და მფარველობა უთხოვია ვორონცოვისათვის. აქ იგი უშვილებია პოლონელ ივანიცკის. ალექსანდრეც ამ გვარს ატარებდა, რის გამოც მის შთამომავლობას საკუთარი გვარი არ ახსოვს. რადგან რაფიელის წინაპრები საინგილოდან ყოფილან და ალექსანდრეს ოთხივე შვილს მოღვაწეობა საინგილოში დაუწყის (მათ ქრისტიანი მისიონერების როლი ეკისრათ), ამიტომ გვარად აურჩევიათ ინგილო-ივანიცკი.

რაფიელ ინგილომ რუსეთში მიიღო იურიდიული განათლება, შემდეგ დაპრუნდა საქართველოში და შევიდა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში. ამავე დროს არჩეულ იქნა საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს წევრად.

1921 წლიდან რ. ინგილო ცხოვრობდა საზღვარგარეთი: ჯერ გერმანიაში, შემდეგ – იტალიაში. რომის პაპის კარზე იგი ითვლებოდა საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლად. იტალიის მეფის ვიქტორ ემანუელ მესამის სასახლის დაკვეთით, რაფიელმა 1941 წელს რომში იტალიურ ენაზე გამოსცა „საქართველოს ისტორია“ და „ვეფხისტყაოსნის“ მოკლე შინაარსი.

1943 წელს რ. ინგილო რომიდან პარიზს გადავიდა და ეკურთხა მღვდლად. შემდეგ გაემგზავრა ესპანეთში, მადრიდს, სადაც შეუდგა მღვდელმსახურებას. მის მრევლს შეადგენდნენ ქართველები, ბერძები, რუსები, რუმინელები. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მშობლიურ მხარეს მოწყვეტილი რაფიელი მსმენელებს მარტო მშვენიერი გალობით როდი ხიბლავდა, იგი საინტერესოდ მოუთხრობდა საქართველოს ისტორიის შესახებაც.

თითქმის ორი ათეული წელი გაატარა რაფიელ ინგილომ მღვდელმსახურებაში. ბედმა მრავალი უცხო ქვეყანა შემოატარა, მაგრამ იგი ბოლომდე თავისი სამშობლოს ერთგულ ქომაგად დარჩა. „რომ უფრო ახლოს ეგრძნო თანამემამულეთა სითბო და სიყვარული“, ანდერძის თანახმად, იგი 1966 წელს დაკრძალეს პარიზის მახლობლად, ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

**მოხეილ თარხნიშვილი (1897-1958)** გახლდათ უცხოეთში ქართული კულტურის უანგარო მსახური. ცნობილი ბელგიელი ქართველობის – უერარ გარიტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მ. თარხნიშვილი მთელი დასავლეთისათვის ქართული ისტორიისა და ფილოლოგიის მასწავლებელი იყო. არ არსებობს საქართველოს ისტორიის, მისი ენის, ლიტერატურისა და ლიტურგიის დარგი, მათი მიმართება მეზობელი ქვეყნების ლიტერატურასა და ეკლესიასთან, რომელშიც თავისი მნიშვნელოვანი წვლილი მას არ შეეტანოს. მან პირველმა დაანახა დასავლელ

მკვლევარებს ქართული ლიტერატურის ნაკლებად ცნობილი საგანძურო.“

მ. თარხნიშვილი დაიბადა ახალციხეში. ცოტა ხნის შემდეგ მისი ოჯახი გადასახლდა ხიზაპავრში, 1911 წლიდან კი – გორის რაიონის სოფელ სკრაში. აქ იგი სამ წელიწადს სწავლობდა სახალხო სკოლაში.

1917 წელს, სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სამონასტრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, მ. თარხნიშვილი შვიდ სხვა ქართველ ჭაბუკთან ერთად სწავლის გასაგრძელებლად გერმანიაში (ქ. ეტალში) გააგზავნეს.

1919 (სხვა ცნობით - 1918) წელს მ. თარხნიშვილი დაბრუნდა საქართველოში, მაგრამ მალე გაემგზავრა კონსტანტინოპოლის. აქ მან დაამთავრა კაპუცინების კოლეჯი, ხოლო 1924 წლიდან აესტრიიაში (ვენაში) ეუფლებოდა ფილოსოფიასა და თეოლოგიას. 1928 წელს კვლავ კონსტანტინოპოლიშია, მაგრამ იქ ვერ მიიღო სტამბოლის მოქალაქის პასპორტი და იძულებული გახდა იტალიაში გადასულიყო. ერთხანს იგი ბერძნული კოლეჯის თავისუფალი მსმენელი იყო. 1931 წელს ეკურთხა მღვდლად.

1930-1933 წლებში მ. თარხნიშვილი სწავლობდა რომის პაპის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. 1933 წელს აქვე დაიცვა **სადოქტორო დისერტაცია თემაზე „თეატინელთა მქადაგებლები საქართველოში XVII საუკუნეში“**. 1933-1943 წლებში მოღვაწეობდა მღვდლად საფრანგეთში, ბელგიასა და გერმანიაში. ამ ქვეყნებში მყოფ ქართველთაგან აღმოსავლური ეკლესიისათვის მას უნდა აღეზარდა წარმომადგენლები. მეორე მხრივ, საფრანგეთისა და ბელგიის მმართველი წრეები თურმე მას თვლიდნენ გერმანელი ფაშისტების აგენტად, ამიტომ ყოველმხრივ ავინროებდნენ და ნორმალური საქმიანობის საშუალებას არ აძლევდნენ.

1943 წელს მ. თარხნიშვილმა გამოითხოვა ნებართვა რომში დასაბრუნებლად და ამის შემდეგ სამუდამოდ დასახლდა იტალიაში. იქ მან საეკლესიო საზოგადოებისაგან მიიღო დავალება –

## იტალია

---

მოემზადებინა ლიტერატურული წიგნები და სხვა მსგავსი ნაშრომები. მართალია, იგი 1950 წლიდან ხშირად ავადმყოფობდა, მაგრამ მაინც ეწეოდა ინტენსიურ სამეცნიერო მუშაობას. მის-თვის ამ მხრივ ყველაზე ნაყოფიერი იყო 1951-1958 წლები.

მ. თარხნიშვილი გარდაიცვალა 61 წლის ასაკში ყელის კიბოთი, დაკრძალეს რომის ცენტრალურ სასაფლაოზე, ვატიკანში მოღვაწე უცხოელ მამათა საერთო აკლდამაში.

მიხეილი უდიდესი განათლების მქონე პიროვნება იყო. მას ისე ბრწყინვალედ სცოდნია გერმანული, ფრანგული, იტალიური, ლათინური, ბერძნული, სირიული, რუსული ენები, რომ თითოეულ მათგანზე წერდა სამეცნიერო ნაშრომებს.

მეტად მრავალმხრივი იყო მ. თარხნიშვილის შემოქმედების თემატიკა: ქართული სასულიერო მწერლობის ისტორია თუ საქართველოს ისტორია, მთარგმნელობითი თუ ლექსიკოგრაფიული საქმიანობა... იგი იკვლევდა ძველი ქართულის, ქრისტიანული აღმოსავლეთისა და ბიზანტიის ლიტერატურის საკითხებს; განსაკუთრებით ფასდაუდებელია მისი ლვანლი უცხოეთის სხვა-დასხვა ქვეყანაში დაცული უძეველესი ქართული წარწერების, ხელნაწერებისა და ლექციონარების გამოქვეყნება-შესწავლაში.

ქართული წარწერების კვლევას მიეძღვნა თარხნიშვილის რამდენიმე სპეციალური ნაშრომი: „ლვთისმშობლის ხატის წარწერა პეტრიწონის მონასტერში“ (1950), „წმ. თეოდორეს მონასტრის წარწერები ბირ-ელ-ყუთში“ (1953), „ახლად აღმოჩენილი ქართველთა მონასტერი ბეთლემში“ (1954), „ბირ-ელ-ყუთის მონასტრის მოზაიკური წარწერები“ (1955), „1066 წლის ქართული წარწერის აღმოჩენა“ (1957) და სხვ. ამჯერად ზოგადი ინფორმაციისათვის მოკლედ შევწერდებით პალესტინის წარწერებზე.

ცნობილია, რომ 1951 წელს იერუსალიმის მახლობლად, ბირ-ელ-ყუთის უდაბნოში, ჩატარებული გათხრების შედეგად იტალიელმა არქეოლოგმა ვიორჯილიო კორბომ აღმოაჩინა ძველი ქართული წარწერებით დამშვენებული სამონასტრო კომპლექსის ნაშთები, რომელიც უკავშირდება V საუკუნის გამოჩენილი ქართველი საეკლესიო მოღვაწის, პეტრე იბერის, სახელს.

ამ წარწერების შესასწავლად მიიწვიეს იმხანად იტალიაში მცხოვრები სახელგანთქმული ქართველი მეცნიერი მიხ. თარ-ხნიშვილი, რომელმაც პირველმა გაშიფრა წარწერები და გა-მოთქვა საყურადღებო მოსაზრებანი. კერძოდ: ქართულ მონას-ტერში აღმოჩენილი, ერთმანეთისაგან ასოთა მოხაზულობით და, შესაბამისად, შესრულების დროითა და მანერით განსხვავე-ბული ოთხივე წარწერა დაწვრილებით შეისწავლა, გადაწერა ტექსტები ასომთავრულად და მხედრულად ლათინური თარგმა-ნითურთ, მოახდინა მათი პალეოგრაფიული, ენობრივი და ის-ტორიული ანალიზი, რის საფუძველზედაც სწორად ამოიკითხა წარწერებში მოხსენიებულ პირთა სახელები (წმ. თეოდორე, ან-ტონი, აბად, იოსია, ბაკურ, გრი-ორმიზდ, მარუან და ბურზენ). ასევე მართებულად ივარაუდა, რომ B წარწერა უფრო ძველი უნდა ყოფილიყო, ვიდრე A. თუმცა, სამწუხაროდ, ამ მიმართუ-ლებით შემდგომი კვლევა ვეღარ გააგრძელა, მაშინ კი ყველა წარწერა ზოგადად დაათარიღა VI საუკუნით.

პალესტინის წარწერებთან დაკავშირებით მიხ. თარხნიშ-ვილის ღვაწლს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მისმა გამოკ-ვლევებმა მეტად ფასეული სამსახური გაუწია შემდგომში ქარ-თველ სპეციალისტებს ამ წარწერების ქრონოლოგის დადგენა-დაზუსტებაში.

მ. თარხნიშვილმა დიდი შრომა გასწია გრაცის (ავსტრია) უნივერსიტეტისა და ვატიკანის ბიბლიოთეკებში დაცული ქარ-თული ხელნაწერების გამოსაცემად. მაგალითად, გამოაქვეყნა „ძველი ქართული უამის წირვები“, „ქართველთა პეტრიონინის მონასტრის ტიბიკონი“, „იერუსალიმის ეკლესიის დიდი ლექცი-ონარი“ და ძველი ქართული მწერლობის სხვა ძეგლები ვრცელი გამოკვლევებითა და ლათინური თარგმანებითურთ. ასევე შეუ-ნელებელი ინტერესით იკვლევდა ქართული სასულიერო მწერ-ლობის ისტორიას. იგი, თავის მხრივ, მაღალ შეფასებას აძლევ-და კ. კაკელიძის ძველი ქართული მწერლობის ისტორიას და წუხდა, რომ ქართულად დაწერილი ეს ნაშრომი უცხოელთათ-ვის ნაკლებ მისაწვდომი იყო. ამიტომ მან გერმანელ ქართველო-

ლოგი იულიუს ასფალგთან ერთად კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ | ტომი გადაამუშავა და თარგმნა გერმანულ ენაზე. წიგნი გამოიცა რომში 1955 წელს სახელწოდებით „ქართული საეკლესიო მწერლობის ისტორია“. იმავე წელს გამოაქვეყნა ეგვიპტეში თებეს ნეკროპოლში აღმოჩენილი ქართული ნარწერები.

გარდა ამისა, მ. თარხნიშვილი ევროპულ ენციკლოპედიებს სისტემატურად აწვდიდა მასალებს საქართველოს შესახებ, შეადგინა ქართულ-ფრანგული ლექსიკონი.

დიდია მეცნიერის დამსახურება იმ მხრივაც, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე იყო იყო უცხოეთში ქართული კულტურის ერთგული დამცველი და ქომაგი. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ერთი ასეთი ფაქტი: ევროპის სამეცნიერო წრეებში იმხანად გაბატონებული იყო პ. პეტერსის დებულება, რომლის თანახმად, „ბალავარიანის“ ბერძნული თარგმანი ქართულიდან უნდა იყოს შესრულებული ექვთიმე ათონელის მიერ XI საუკუნის | მეოთხედში და ამ გზით გავრცელდა თხზულება მთელს ევროპულ ლიტერატურაში. მაგრამ მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორმა დოელგერმა სცადა დაერღვია ეს დებულება და უარყო „ბალავარიანის“ ბერძნული თარგმანის ქართულიდან ნარმომავლობა. მ. თარხნიშვილმა გერმანულ და ქართულ ენებზე დაწერილ ორ ნაშრომში გააკრიტიკა დოელგერის თვალსაზრისი და მეცნიერულად დაასაბუთა, რომ „ბალავარიანის“ თავდაპირველი ქართული რედაქცია გადმოკეთებული უნდა იყოს არაბული-დან არა უგვიანეს VII საუკუნისა, ხოლო ამჟამინდელი ბერძნული თარგმანი ქართულიდან უნდა მომდინარეობდეს.

მ. თარხნიშვილი სიცოცხლეშივე იყო აღიარებული, როგორც სახელგანთქმული მეცნიერი, ღრმად განსწავლული პიროვნება. მან ევროპაში აღზარდა ქართველოლოგთა მთელი თაობა. პარიზული ჟურნალი „ერის დიდება“ სასიქადულო მამულიშვილის ღვანლს ასე აფასებდა: „ამ საუკუნის დასაწყისში სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სავანემ მოგვცა ისეთი დიდი მკვლევარი და მასალების დამგროვებელი, როგორიც მ. თარხნიშვილი იყო. მ.

თარხნიშვილი გამგრძელებელია თამარაშვილის ტრადიციებისა და მეტად ღირსეული გამგრძელებელი, რადგან სათანადო ცოდნასთან ერთად ის შეიარაღებულია სათანადო თანამედროვე მეცნიერული მეთოდებით. ის უკვე კარგა ხანია მოღვაწეობს ქართული სასულიერო მწერლობის დარგში და აქამდე მან არაერთი შესანიშნავია მონოგრაფია და გამოკვლევა შესძინა მეცნიერებას.“

„მიხ. თარხნიშვილს ბევრი ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა, მაგრამ იმით, რისი გაკეთებაც მოასწრო თავისი ნაყოფიერი და საინტერესო ცხოვრების მანძილზე, გაამდიდრა ქართველოლოგიური კვლევა საზღვარგარეთ, გაამრავლა ქართული კულტურის თაყვანის მცემლების რიცხვი და წარუშლელი კვალი დატოვა მეცნიერებაში (თ. ჭუმბურიძე).“

ჭეშმარიტად! მ. თარხნიშვილი – „ლვთისმოსაობით შემკული, მუშაობაში მუყაითი და სანიმუშო, მახვილი გონებისა და ღრმა ცოდნის პატრონი“ – მთელი სიცოცხლის მანძილზე რუდუნებით, სიყვარულითა და საოცარი მხნეობით თავს დასტრიალებდა ქართულ მწერლობას, ქართულ კულტურას.

**შალვა ბერიძე** (1892-1970) – იტალიაში მოღვაწე ქართველი მეცნიერი, ნეაპოლის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტის პროფესორი – დაიბადა ახალ სენაკში, დეკანოზ გიორგის ოჯახში.

შ. ბერიძე თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის დამთავრების შემდეგ შევიდა ხარკოვის უნივერსიტეტში. სტუდენტობის პერიოდში დაწერილი შრომისათვის (რომელიც ი. ჭავჭავაძის მოღვაწეობას ეხებოდა) იგი დააჯილდოვეს ვერცხლის მედლით.

1917 წელს შ. ბერიძემ დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტი, 1917-1918 წლებში მოღვაწეობდა მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტში. ამ პერიოდში მან ცალკე წიგნებად გამოაქვეყნა შრომები ნ. ბარათაშვილზე, აკ. წერეთელზე, პოეტ ტეპლიაკოვის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. მოსკოვში ყოფნის პერიოდში შ. ბერიძე დაუახლოვდა ცნობილ ქართველ მეცნიერებს ნ. მარსა და ალ. ხახანაშვილს, რომლებმაც ჭაბუკს მაღლ შეამ-

ჩნიეს ფილოლოგიური კვლევის განსაკუთრებული ალლო და საქმის სიყვარული. ამიტომ მათივე რეკომენდაციითა და თაოსნობით რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ 1919 წლის მარტში შ. ბერიძე გამოგზავნა საქართველოში მეგრული ზეპირსიტყვიერებისა და ეთნოგრაფიული მასალების ჩასაწერად. იმ ხანებში არეულობისა და ცხოვრების მძიმე პირობების მიუხედავად, შ. ბერიძეს გულმოდგინედ დაუწყია მუშაობა, შეუკრებია ბევრი საყურადღებო და საჭირო მასალა და 1920 წელს თბილისში ხელნაწერის უფლებით გამოუცია 220-გვერდიანი წიგნი „**მეგრული (ივერიული) ენა. შესავალი და მასალები**“. ავტორს ჩაფიქრებული ჰქონია, მოპოვებული მასალები მეცნიერულად და-ემუშავებინა და შემდეგ რამდენიმე ტომად (ნაკვეთად) გამოეცა. ამ დროისათვის მას დაწერილი ჰქონდა სხვა ენათმეცნიერული ნაშრომებიც: „ი. ყიფშიძე – ცხოვრება და მოღვაწეობა“, „ბასკები და ქართველები“, „მოკლე ისტორია იბერიული კავკასიისა“, „განახლებული ქართული მართლწერა“ და სხვა.

შ. ბერიძე 1920-იანი წლებიდან იმყოფებოდა ემიგრაციაში, სადაც კვლავ აგრძელებდა სამეცნიერო მუშაობას. 1930-1931 წლებში ლონდონში **ინგლისურად** გამოსცა ანთოლოგია „**ქართველი პოეტები**“, ფრანგულად დაწერა ნაშრომი „**ბაირონი და პუშკინი**“, ხოლო იტალიურად — „**ლერმონტოვი კავკასიაში**“. ხელნაწერის სახით დარჩენია „**ვეფხისტყაოსნის**“ სრული ფრანგული თარგმანი...

1934 წელს შ. ბერიძემ დაამთავრა სორბონის უნივერსიტეტი. ამ დროისათვის საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებში (საფრანგეთში, ინგლისში, იტალიაში, გერმანიაში...) მას იცნობდნენ, როგორც ფრიად ერუდირებულ პიროვნებას, მრავალი ენის მცოდნესა და მეტად ნაყოფიერ მკვლევარს.

1936 წლიდან შ. ბერიძე ნეაპოლში ცხოვრობდა. იგი პროფესორმა ბერნარდო ბარბიელინიმ მიიწვია აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ქართველოლოგის კათედრის გამგედ და მიანდო ლექციების წაკითხვა ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ნეაპოლის ინსტიტუტში დაიწყო შ. ბერიძის მოღვაწეობის ახა-

ლი პერიოდი. მას იქ მიეცა სრული შესაძლებლობა არა მარტო სამეცნიერო ნაშრომებით, არამედ პრაქტიკული საქმიანობითაც გაეწია დიდი სამსახური მშობელი ქვეყნისათვის.

შ. ბერიძის მონდომებითა და ბ. ბარბიელინის თანადგომით ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება ინსტიტუტში საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა. ლექციებს 20-მდე სტუდენტი ეს-წრებოდა (უმთავრესად სიცილიელი ახალგაზრდები) და დიდი ინტერესით სწავლობდნენ. 1937 წელს ერთ-ერთ სტუდენტს მოხსენებისათვის „რუსთაველი და მისი პოემა“ დაუმსახურებია ინსტიტუტში საგანგებოდ დაწესებული „რუსთაველის პრემია“, მაგრამ, სამწუხაროდ, მალე (ბარბიელინის გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ), 1943 წელს, ინსტიტუტში ახალმა ხელმძღვანელობამ ქართველოლოგის ეს ძლიერი ცენტრი გააუქმა, რაც მეტად მტკიცნეულად განიცადა შ. ბერიძემ. ამიერიდან ფრთხები ეკვეცებოდა მის ბევრ მნიშვნელოვან ნამოწყებასა და ჩანაფიქრს. ამასთან დაკავშირებით მეცნიერი გულისტკივილით წერდა: „ინტერესი ქართული ენისადმი დიდი იყო ნეაპოლში. მაგრამ ომმა ფრიად დააზიანა კავკასიის შესწავლის საკითხი. ყველაფერ დაკარგულის აღდგენას კათედრებისას თუ სხვას იტალიაში თუ სხვაგან – ევროპაში შეძლებს თავის დროზე მხოლოდ თვით საქართველო“.

მიუხედავად ამისა, შ. ბერიძეს არ შეუწყვეტია მეცნიერული მუშაობა საქართველოს ანმყოსა და ნარსულის შესწავლის თვალსაზრისით. ქართული ენისა და ქართული კულტურის პოპულარიზაციის მიზნით საჯარო ლექციებსა და მოხსენებებს კითხულობდა იტალიის ქალაქებში. იგი უაღრესად ნაყოფიერი მეცნიერი იყო: არაერთი საყურადღებო ნაშრომი გამოაქვეყნა ჟურნალში „ბედი ქართლისა“, განსაკუთრებით აღსანიშნავია წიგნი „ქართული ენა იტალიაში“, რომელიც წარმოადგენს საგულისხმო მასალას იტალიაში ქართველთმცოდნეობის განვითარების ისტორიის გასათვალისწინებლად. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს აგრეთვე ნაშრომი „ბასკური და ქართული“. მასში ავტორი დიდი მეცნიერული სიფრთხილით მსჯელობს ქართვე-

ლებისა და ბასკების ეთნიკურ მსგავსებაზე, მათი ენების ზოგად სიახლოებზე შორეული აღმოსავლეთის ენებთან.

შ. ბერიძეს მრავალი საინტერესო მოგონება აქვს დაწერილი თვალსაჩინო პიროვნებებზე. და მაინც ყველაზე მეტად ფასეულია მისი **ლვანლი რუსთველოლოგიაში**. მეცნიერმა არაერთი ნაშრომი უძლვნა შოთა რუსთაველსა და მის პოემას, 1945 წელს ნეაპოლში დაბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ პროზაული თარგმანი. ეს იყო შოთას უკვდავი პოემის პირველი სრული პროზაული თარგმანი იტალიურ ენაზე. შესანიშნავად ილუსტრირებულ წიგნს მაღალი შეფასება მისცეს როგორც ქართველმა, ისე უცხოელმა სპეციალისტებმა. „უცხოეთში გადახვეწილ ქართველ კაცს პატიოსნად მოუხდია ვალი სამშობლოს წინაშე: დანტესა და პეტრარკას ენაზე გადაუდია მათი ქართველი წინამორბედის უკვდავი ქმნილება“, – ვკითხულობთ ერთ-ერთ რეცენზიაში.

1966 წელს პარიზში გამართულ შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომაზე შ. ბერიძემ წაიკითხა მოხსენება „რუსთაველის მსოფლიო მნიშვნელობა“, 1967 წელს კი რომში იტალიურ ენაზე დაბეჭდა ახალი ნაშრომები: „რუსთაველი და მედიცინა“, „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმები და ანდაზები.“

შ. ბერიძეს ცოლად ჰყოლია იტალიელი პოეტი ქალი კატერინა რუბერტო. მათ მემკვიდრე არ დარჩენიათ.

**პერნარდო ბარბიელი** იყო ორიენტალისტი, იკვლევდა სპარსულსა და ინდოეთის ენებს. მის სახელთან დაკავშირებულია აგრეთვე იტალიაში იმ პერიოდის ქართველოლოგიური სკოლის საქმიანობა. იგი 1930-1935 წლებში ცხოვრობდა კავკასიაში, დაუახლოვდა ქართველ ინტელიგენციას. პირადად იცნობდა თბილისის უნივერსიტეტის რექტორს დ. ალნიაშვილს, პროფესორ-მასწავლებლებს. ბ. ბარბიელინიმ პრაქტიკულად შეისწავლა ქართული ენა და, საერთოდ, კარგად ერკვეოდა ჩვენს კულტურასა და ისტორიაში, მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ხევსურეთში მიღებული შთაბეჭდილებანი, მეცნიერული დაკვირვებანი ჩამოაყალიბა ნაშრომში

„ვინ არიან ხევსურნი?“ ბ. ბარბიელინი გამორჩეული ყოფილა ადამიანური თვისებებითაც. მუდამ სიმართლის დამცველი იპ-რძოდა პატარა ერების დამოუკიდებლობისათვის, პატივს სცემ-და ამ ხალხთა ისტორიასა და კულტურას.

1935 წელს გრაფი ბ. ბარბიელინი სათავეში ჩაუდგა წეა-პოლის განახლებულ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტს. 1936 წლიდან მისივე თაოსნობით ინსტიტუტში დაარსდა ქარ-თველოლოგის კათედრა. ახლო აღმოსავლეთის შემსწავლელ სტუდენტთათვის შემოღებულ იქნა ქართული ენის სავალდებუ-ლო ორნლიანი კურსი (ამით ბ. ბარბიელინიმ კიდევ ერთხელ გა-მოხატა სიყვარული ქართველი ხალხისა და ქართული ენისად-მი). იმავე წელს ბარბიელინის ხელმძღვანელობით ინსტიტუტში შეიქმნა „კავკასიის კაბინეტი“, სადაც უხვად იყო წარმოდგენი-ლი ქართულ, სომხურ, იტალიურ, ფრანგულ, ინგლისურ, რუ-სულ ენებზე არსებული მასალები კავკასიის შესახებ, ეთნოგრა-ფიული და გეოგრაფიული რუკები, სურათები და მისთ.

იტალიელმა მკვლევარმა არაერთი ნაშრომი უძღვნა სა-ქართველოს ანტყოფასა და კულტურულ წარსულს. მათ შორის აღ-სანიშნავია „ელემენტები კავკასიის პოლიტიკური და ლინ-გვისტური სწავლებისათვის“ (შესწავლისათვის).“ ნაშრომს ახ-ლავს რუკა და სურათები.

სამწუხაროდ, ნეაპოლის ინსტიტუტში დიდხანს არ გაგ-რძელებულა ესოდენ ნაყოფიერი ქართველოლოგიური საქმია-ნობა. დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. 1940 წლის დეკემბერში ბ. ბარბიელინი ბრძოლის ველზე დაიღუპა საბერძნეთში. ინსტი-ტუტს სათავეში ჩაუდგა აკად. შ. გვიდი (არაბისტი), რომელიც არ იყო დაინტერესებული კავკასიის ხალხების ისტორიით. შე-საბამისად, თანდათან მცირდებოდა ინსტიტუტის კათედრების რაოდენობა. 1943 წლიდან კიდევ გაუქმდა ქართული, სომხური, უკრაინული და პოლონური ენების კათედრები. გარდა ამისა, ნეაპოლის დაბომბვის შედეგად თითქმის მთლიანად განადგურდა „კავკასიის კაბინეტის“ ძვირფასი მასალები. მართალია, ინ-სტიტუტში ბ. ბარბიელინის მიერ ენთუზიაზმით დაწყებული

ქართველოლოგიური საქმიანობა შეფერხდა და შემდგომ მთლიანად შეწყდა, მაგრამ უდავოა, რომ ნეაპოლში მიმდინარე ნაყოფიერმა სამეცნიერო კვლევა-ძიებამ მყარი ნიადაგი მოუმზადა იტალიაში ქართველოლოგის შემდგომ განვითარებას.

იტალიაში ქართული კულტურისადმი საუკუნეების წინათ აღმოცენებული განსაკუთრებული ინტერესი დღეს უფრო მასშტაბური ხდება. აქ არა მარტო მეცნიერები იკვლევენ ქართველთა კულტურული (სულიერი) ცხოვრების ცალკეულ ასპექტებს, არამედ აშკარად გამოიკვეთა ქართული პრაქტიკული სასაუბრო ენის, ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და კულტურის ზოგადი საკითხებით დაინტერესებულთა ფართო წრის არსებობა. და ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, სამი საუკუნის წინათ იტალიელთა მიერ შედგენილი გრამატიკები და ლექსიკონები, რომელთაც თავის დროზე მთელი ევროპის მასშტაბითაც კი მართლაც დიდი როლი შეასრულეს ქართული ენის პოპულარიზაციაში, თანამედროვე იტალიელს ვეღარ გაუწევს სათანადო დახმარებას; მათ სჭირდებათ თანამედროვე ქართული ენის გრამატიკა და ლექსიკონი. სწორედ ასეთ ვითარებაში ჭეშმარიტად დასაფასებელია იტალიელი მღვდლის, ლუიჯი მანტოვანის, ქართველოლოგიური საქმიანობა.

**ლუიჯი მანტოვანი** დაიბადა 1931 წელს ვერონის ახლოს, სოფელ ლავანიოში. სწავლობდა სტიმატინების მონასტერთან არსებულ სასწავლებელში. მიიღო კლასიკური განათლება, შეისწავლა თეოლოგია. დაამთავრა აგრეთვე პადუის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი და მიღანის წმინდა საგალობლების სამუსიკო ინსტიტუტი. მღვდლის ხარისხი მიიღო 1955 წელს. არის სტიმატინების კონგრეგაციის წევრი. ცხოვრობდა ვერონაში, სადაც პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. ასწავლიდა იტალიურს, ლათინურს, მუსიკას, ისტორიას, გეოგრაფიას ვერონის საშუალო სკოლაში, რომლის დირექტორიც თავად იყო წლების მანძილზე. იგი საფუძვლიანად ფლობს რამდენიმე ენას: ლათინურს, ბერძნულს, იტალიურს, ფრანგულს, ინგლისურს, ესპანურს, პორტუგალიურს, ქართულს, რუსულს. ზოგ

მათგანს მეცნიერულადაც იკვლევს. დაწერილი აქვს „**იტალიური ენის მცირე გრამატიკა**“ (1991). წიგნი განკუთვნილია საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის.

ლ. მანტოვანი ქართულ ენას გაეცნო რამდენიმე წლის წინათ: 1994 წელს, ვერონის სტიმატინების კონგრეგაციის გადაწყვეტილებით, საქართველოში ადგილობრივი კათოლიკე მრევლისათვის უნდა გამოეგზავნათ მღვდლები ჯუზეპე პაზოტო და გაბრიელე ბრაგანტინი, რომლებმაც აქ ჩამოსვლამდე იტალიაშივე დაინტეს ქართული ენის შესწავლა პრაქტიკული საჭიროებისათვის იმხანად ვერონის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტის – **ლელა ბერიძის** დახმარებით. მალე ლ. ბერიძე გაიცნო ლ. მანტოვანიმაც. ცოტა ხნის შემდეგ მათი ნაცნობობა მეცნიერულ თანამშრომლობაში გადაიზარდა. პირველივე დღეებიდან ლუიჯი მანტოვანი მოიხიბლა ქართული ენის მუსიკალური ჟღერადობით, იმავდროულად დაინტერესდა ჩვენი ენის მეტად ორიგინალური სტრუქტურითა და გრამატიკული სისტემით.

განსაკუთრებულმა ენათმეცნიერულმა ალლომ და სრულიად ახალი ენობრივი სამყაროს ახლოს გაცნობის სურვილმა ლ. მანტოვანი მალე ისე მჭიდროდ დააკავშირა ქართულ ენასთან, რომ იმ დროიდან მისი შემოქმედებითი ცხოვრების ძირითად საქმიანობად ქართველობოგიური კვლევა იქცა. იგი გულმოდგინედ და შესაშური ინტერესით შეუდგა ქართული ენის საფუძვლიან შესწავლას. იტალიაში ისმენდა ლ. ბერიძის კონსულტაციებს, საზაფხულო არდადეგებს ქუთაისში ატარებდა (როგორც კათოლიკური ეკლესიის მღვდელი), უშუალოდ აკვირდებოდა სასაუბრო ქართულს, ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებებს; ეცნობოდა საქართველოს ისტორიასა და კულტურულ მემკვიდრეობას. ქუთაისში მას დახმარებას უნდა პროფ. ქ. ფეიქრიშვილი საჭირო კონსულტაციებით, ანვდიდა ქართული ენის სახელმძღვანელოებს... გარდა ამისა, მომავალმა ქართველობოგმა, პირველ ყოვლისა, საფუძვლიანად შეისწავლა იტალიელ წინამორბედთა მიერ XVII საუკუნეში შედგენილი პირველი ქართული ენათმეცნიერული ნაშრომები, შემდეგ გა-

## იტალია

---

ეცნო ჰ. არონსონის, ჰ. ფოგტის, ჰ. ფენრიხისა და სხვათა ქართული ენის თანამედროვე გრამატიკებს.

საგულისხმოა, რომ ევროპული ენების საფუძვლიანმა ცოდნამ მანტივანის საშუალება მისცა შედარებით ადვილად გარკვეულიყო ქართული ენის ორიგინალურ სტრუქტურაში და ამ ხაზით გამოეკვეთა ჩვენი ენის სპეციფიკურობა. მას მიაჩნია, რომ უცხოეთში უფრო უკეთ უნდა იცნობდნენ ამ უმშვენიერეს მხარეს არა მარტო თავისი უძველესი ისტორიული წარსულითა და დღევანდელობით, არამედ საოცრად მდიდარი და **მუსიკალური ჟღერადობით გამორჩეული ქართული ენით**. სწორედ ამ კეთილშობილურმა სურვილმა და ქართველი ხალხის პატივისცემამ შეაქმნევინა მამა ლუიჯის „**ქართული ენის მცირე გრამატიკა**“, რომელიც დაიბეჭდა იტალიაში 1997 წელს გამომცემლობა „Edizioni Urban“-ის მიერ. ესაა იტალიურად დაწერილი პირველი ნაბეჭდი გრამატიკა ქართული ენისა, განკუთვნილი უცხოელთათვის. სარეცენზიონ წიგნი ფართო ფორმატის 436-გვერდიანია. შედგება რამდენიმე ნაწილისაგან (შესავალი, ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი).

შესავალში წარმოდგენილია მოკლე ინფორმაცია საქართველოს ისტორიული წარსულისა და თანამედროვე ვითარების შესახებ, აქვეა წარმოჩენილი ქართული ენის ზოგადი ბუნება, მისი სპეციფიკურობა სხვა ენებთან შედარებით.

წიგნში საკმაო სისრულითაა დახასიათებული ქართული ენის ფონეტიკის საკითხები, კერძოდ: ბეჭედი შედგენილობა, ხმოვანთა და თანხმოვანთა სისტემა, საგანგებოდაა გამოყოფილი ე.წ. ხმარებიდან გასული ასოები; აქვეა საუბარი ქართული დამწერლობის განვითარების საფეხურებზეც.

წიგნის ძირითადი ნაწილი მორფოლოგიას ეძლვნება. მოცემულია ბრუნებისა და უღლების პარადიგმატული სისტემები. საგულისხმოა, რომ გრამატიკის ავტორი უცხოელი მკითხველი-სათვის საგანგებოდ გახაზავს ქართულ ენაში არსებითი სახელის სიმარტივეს სქესის კატეგორიის უქონლობის გამო და, სამაგიეროდ, ზმნის მეტისმეტ სირთულეს. სწორედ ქართული

ზმნის მრავალფეროვნებამ და კატეგორიების სიუხვემ ათქმევინა ლუიჯი მანტოვანის: „ქართული ენა ლამაზია, მაგრამ – რთული.“

მორფოლოგიასთან შედარებით მოკლედაა განხილული სინტაქსის საკითხები, თუმცა ძირითადად მაინც გამოკვეთილია ქართული ენის მარტივი და რთული წინადადებების სტრუქტურული მხარე და მისი სპეციფიკურობა. წიგნის თეორიული წანილი დაწერილია იტალიურ ენაზე, ხოლო შესაბამისი საილუსტრაციო მაგალითები, გრამატიკული ტერმინოლოგია წარმოდგენილია ქართულ-იტალიურად, საჭიროების შემთხვევაში გამოყენებულია ტრანსკრიფციაც. ნაშრომი ფასეულია იმითაც, რომ საილუსტრაციო წინადადებები ძირითადად შერჩეულია ქართული სინამდვილიდან, რასაც, თავის მხრივ, ზოგადი შემეცნებითი მნიშვნელობაც აქვს. „ქართული ენის გრამატიკა“ ჭეშმარიტად არის კარგი საჩუქარი იტალიელი მკითხველისათვის და, ამავე დროს, ქართველებისა და იტალიელების მრავალსაუკუნოვანი კულტურული ურთიერთობის კიდევ ერთი ნათელი გამოხატულება.

ღ. მანტოვანი გამოცდილი პრაქტიკოსი პედაგოგიცაა. მან, რადგან უკვე კარგად უწყის ქართული გრამატიკის, მით უფრო, ზმნის სისტემის სირთულე, თანამემამულეთა დასახმარებლად, კერძოდ, იმათვის, „ვისაც ქართული ენის შესწავლის სურვილი აქვს“, შეადგინა და ღ. ბერიძის თანაავტორობით 1998 წელს იტალიაში ცალკე წიგნად გამოსცა „ქართული ენის სავარჯიშოების მცირე კრებული“, რომელიც ზემოაღნიშნული გრამატიკის უშუალო გაგრძელებაა. იგი შედგება ორი ნაწილისაგან: პირველში მოცემულია კითხვის წესების სავარჯიშოები, მეორე კი ეთმობა გრამატიკული საკითხების სავარჯიშოებს 10 გაკვეთილის მოცულობით. წიგნს დანართის სახით ახლავს ქართულ-იტალიური ლექსიკონი. „ქართული ენის სავარჯიშოების მცირე კრებული“ საინტერესოა იმითაც, რომ მასში დამოწმებული მაგალითები აღებულია ქართული სასაუბრო ენიდან, აქვეა „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმები, ქართული ხალხური ანდაზები

## იტალია

---

და ფრაზები (წინადადებები) ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებებიდან.

ლ. მანტოვანის ქართველოლოგიურ ნაშრომებს მოწონებითა და მადლიერებით შეხვდა უცხოელი მკითხველი. სწორედ ამ გრამატიკებით ეზიარა ბევრი მათგანი მშობლიურ ენაზე ქართული ენის ხიბლსა და მადლს...

იტალიელი მკვლევარი 1998 წლიდან გახდა საქართველოს მკვიდრი. ძირითადად ცხოვრობს ქუთაისში (არის ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის მღვდელი). კარგად ფლობს როგორც ქართული ენის გრამატიკის თეორიულ საკითხებს, ისე სამეტყველო ენასაც. ქუთაისში იგი ძირითადად დაკავებულია სამეცნიერო საქმიანობით. „ქართული ენის მცირე გრამატიკისა“ და სავარჯიშოების კრებულის გამოცემის შემდეგ დაიწყო ინტენსიური მუშაობა ვრცელი იტალიურ-ქართული ლექსიკონის შედგენაზე.

...1999 წლის აპრილში ლუიჯი მანტოვანი მიიწვიეს ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ენის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაზე. სტუმარმა მასპინძლების წინაშე ჩვენი ქვეყნისა და ქართული ენის სიყვარული ასე გამოხატა:

„პატივცემულო რექტორო, პროფესორებო და სტუდენტებო! ბედნიერი ვარ, რომ თქვენთან ვიმყოფები დედაენის დღესასწაულთან დაკავშირებით. მე მჯერა, რომ ეს დღესასწაული განსაკუთრებულია საქართველოსთვის. ეს თქვენი სიამაყეა, რადგან მშობლიური ენის სიყვარული ნიშნავს საკუთარი სამშობლოს სიყვარულს. მართლაც, ყოველი ენა ხალხის სულის სარკეა და, აგრეთვე, მისი ქვეყნის თითქმის ისტორიული სინთეზიც.

მე ძალიან მომწონს თქვენი ენა, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი პირველი შეხება მასთან (გრამატიკული სახელმძღვანელოს გარეშე) გადაულახავ ბარიერად მეჩვენებოდა.

მას განსაკუთრებით სამი ასპექტის გამო ვაფასებ:

1. ზმნის შედგენილობა, შერწყმული, სინთეტური, ძალიან მდიდარი უხვესიტყვაობით... განსხვავებით სხვა ენებისაგან, ქართულ ენაში ზმნის ცოდნა ნიშნავს ენის ნამდვილ ცოდნას.

2. სიტყვები და გამოთქმები, რომელიც **აირეკლავენ ქართველი ხალხის მგრძნობიარე და კონკრეტულ ხასიათს.** რა მშვენიერია, მაგალითად, სიტყვა „გულისყური“.

3. წინადადების შედგენილობა ქართულში, ჩვეულებრივ, მარცხნივაა მიმართული, ზმნასთან შესაბამისად, იტალიურისა-გან განსხვავებით, რომელიც მარჯვნივაა მიმართული. აღბათ, იმიტომაც მომზნონს ქართული ენა, რომ ის მსგავსია ლათინური-სა, რომელიც მე მიყვარს.

ჩემი დაახლოება ქართულ ენასთან მსახურების სურ-ვილმა განაპირობა, ჯერ პირადად ჩემთვის, ხოლო შემდეგ მათვის, ვისაც ქართული ენის შესწავლის სურვილი აქვს. დღეს, როცა ეკონომიკური თუ კულტურული მიზეზებით და-სავლეთისაკენ გაიხსნა გზა, ბევრი პიროვნება გამოხატავს ამ ენის გაცნობის სურვილს.

აქედან წარმოიშვა ჩემი „ქართული ენის გრამატიკა“ (რო-მელსაც უკვე იცნობთ) და „ქართული ენის სავარჯიშოების მცი-რე კრებული“. ორივე ნაშრომის გამო მოვალე ვარ მადლობა გა-დავუხადო პედაგოგს თბილისიდან, ლელა ბერიძეს და ასევე ამ უნივერსიტეტის ლექტორს – ქალბატონ ჟუჟუნა ფეირიშ-ვილს...

დღესდღეობით ვმუშაობ იტალიურ-ქართულ ლექსიკონ-ზე, შემდეგ მას, ლვთის ნებით, მოჰყვება ქართულ-იტალიური ლექსიკონიც...

მართლაც, უცხოელი მეგობრის დიდმა შემართებამ, ფუტ-კარივით მოუღლელმა შრომამ შედეგიც მალე გამოიღო – 2006 წელს, იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, კულტურული თანამშრომლობისა და განვითარების გენერა-ლურმა გამომცემლობამ თბილისში დაბეჭდა ლ. მანტოვანის „იტალიურ-ქართული ლექსიკონი“ (თანაავტორია მარინე ოც-ხელი).

ნიგნი შეიცავს:

- 1120 გვერდს, 30 ათასამდე სასათაურო სიტყვას (65 ათა-სამდე სიტყვასა და გამოთქმას);
  - დიდი რაოდენობით მნიშვნელობებს შესაბამისი მაგალი-თების, იდიომატური ფრაზებისა და ანდაზების თანხლებით;
  - მსოფლიოს ქვეყნების სახელებს თავიანთი დედაქალაქე-ბით და მათზე აგებული არსებითი და ზედსართავი სახელებით;
  - 11 უმთავრეს ნომენკლატურულ ცხრილს;
  - ორ გეოგრაფიულ ფიზიკურ რუკას (ერთია იტალიის, მე-ორე – საქართველოსი).

დამატებითს ნაწილში მოცემულია:

- გრამატიკული ალბომი, ხანგრძლივი პედაგოგიური გა-მოცდილების წყობით;
- დამხმარე და წესიერი ზმნების უდლება;
- ძირითადი არანესიერი ზმნების მოკლე სურათი გამარ-ტივებული ულლების ფორმებით.

„იტალიურ-ქართულ ლექსიკონს“ მაღალი შეფასება მის-ცეს ქართველმა და უცხოელმა სპეციალისტებმა, აღნიშნეს ამ წიგნის მეცნიერული ღირებულება და პრაქტიკული მნიშვნე-ლობა თანამედროვე მკითხველისათვის.

ლ. მანჭოვანის, როგორც ქართველოლოგის, მოღვაწეო-ბაში უნდა გამოიყოს მისი პედაგოგიური საქმიანობაც. იგი 2002-2006 წლებში ასწავლიდა ლათინურ ენას თბილისის სულ-სან-საბა ორბელიანის სახელობის თეოლოგიის, ფილოსოფიისა და კულტურის ისტორიის ინსტიტუტში. თეოლოგიის ფაკულ-ტეტის სტუდენტთათვის ქართულ ენაზე შეადგინა ლათინური ენის სახელმძღვანელო (გამოიცა თბილისში 2007 წელს).

„ქართული ენის მსახურება“ იყო და დღესაც არის ლუიჯი მანჭოვანის წაყოფიერი ქართველოლოგიური საქმიანობის ძი-რითადი შთამაგონებელი ძალა. ქართული ენის სიყვარულმა და პროფესიულმა ინტერესმა წლების მანძილზე შეაჭიდა იგი ქარ-თულ სიტყვას და შეაძლებინა შეექმნა უცხოელთათვის მეტად

საჭირო წიგნები, ფართო პოპულარიზაცია გაეწია ქართული კულტურისათვის.

მიუხედავად სოლიდური ასაკისა, ჩვენი უცხოელი მოკეთე დღესაც ახალგაზრდული შემართებით აგრძელებს ლექსიკოგრაფიულ საქმიანობას, თითქმის ბოლომდე მიიყვანა ახალი წიგნი – ვრცელი „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“, რომლის ბოლო სიტყვებს ჩვეული გულისხმიერებით დასტრიალებს თავს, აზუსტებს ზოგიერთ მათგანს, ხვეწს ყოველ ფრაზას, რათა დროულად წარუდგინოს იგი მკითხველს.

აღსრულებოდეს შემოქმედებითი მიზნები ჩვენს უცხოელ მოკეთეს!

\* \* \*

საქართველო ყოველთვის იქნება გულლია მასპინძელი იმ უცხოელთათვის, რომლებიც სწავლობენ, აფასებენ, ქომაგობენ და საინტერესო გამოკვლევებით მსოფლიოს აცნობენ ჩვენს მშობლიურ ენასა და ლიტერატურას, ისტორიასა და კულტურას... ამგვარ გულშემატკივართა შორის უნდა დავასახელოთ აგრეთვე იტალიის თანამედროვე ქართველოლოგიურ ცენტრებში მოღვაწე ცნობილი მეცნიერები, მწერლები: **ლუიჯი მაგაროტო**, მიმო მორინა, ჯორჯო როტა, **ლუკა ტაუფერი**, ნინო ყაუხჩიშვილი... ასევე: ანდრია ფერირაზი, ჯულია ჯეროდი, ერიდანო ბასარელი, ჯორჯო ძიფერი, მარცელა ფრანგიპანე, მარია საუნა და სხვები.

## გერმანია

გერმანიაში (გერმანულენოვან ქვეყნებში) ქართველოლო-  
გიური ცენტრი გამორჩეულია მრავალმხრივი შემოქმედებითი  
მოღვაწეობითა და მდიდარი ტრადიციებით. მართალია, ჯერ კი-  
დევ შუა საუკუნეებიდან მოყოლებული გერმანელი, ავსტრიე-  
ლი, შევიცარიელი მოგზაურები, დიპლომატები, სწავლულები,  
წმინდა მამები საქართველოში ჩამოდიოდნენ სხვადასხვა მიზ-  
ნით და მეტ-ნაკლებად განსხვავებულ ცნობებს აწვდიდნენ თა-  
ნამემამულებს ამ ქვეყნის ისტორიისა და კულტურის შესახებ,  
მაგრამ ქართველოლოგის სათავედ მაინც XVII საუკუნე ით-  
ვლება, როცა გერმანელთა წიგნებში პირველად გაჩნდა ცნობე-  
ბი ქართული ენისა და დამწერლობის შესახებ. საგულისხმოა,  
რომ ამავე პერიოდში დაიწყეს გერმანელმა მეცნიერებმა მსჯე-  
ლობა ქართველური ენების ნათესაობის შესახებაც.

**გოთიზრიდ ვილჰელმ დაიგნიცი (1646-1716)** ერთ-  
ერთი პირველთაგანია, რომელმაც სცადა მოეძებნა მსგავსება  
ქართულსა და ინდოევროპულ ენებს შორის. მას სარწმუნოდ  
არ მიაჩნდა ქართული ენის დაკავშირება ეგვიპტურ ენებთან,  
როგორც ეს მოცემული იყო ანტიკურ წყაროებში. მართალია, გ.  
ლაიბნიცის მიერ გამოტანილი დასკვნები ზოგჯერ არ ეყრდნო-  
ბოდა დამაჯერებელ ფაქტობრივ მასალას, მაგრამ, საერთოდ,  
ამ დიდი ავტორიტეტის შრომებში მოცემულ მსჯელობას ქარ-  
თული ენის შესახებ უთუოდ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა უცხო-  
ეთის სამეცნიერო წრეებში ქართული ენის პრობლემებისადმი  
ინტერესის გამოჩენის თვალსაზრისით (არნ. ჩიქობავა).

**ვრაეც კარლ ალფერი (1749-1804)** – გამოჩენილი ავ-  
სტრიელი აღმოსავლეთმცოდნე, ფილოსოფიის დოქტორი, ბერ-  
ძნული ენის პროფესორი – ითვლება ევროპული ქართველოლო-  
გის ერთ-ერთ ფუძემდებლად. იგი პრალაში ეუფლებოდა ეკლე-  
სიის ისტორიას, ბერძნულსა და ებრაულს. ვენის უნივერსიტეტ-

ში კითხულობდა ლექციებს, განაგებდა ვენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას.

ფ. ალტერი მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. მათ შორის აღსანიშნავია ქართველოლოგისადმი მიძღვნილი წიგნი „ქართული ლიტერატურის შესახებ”, რომელიც გამოიცა ვენაში 1798 წელს. ავტორის დაკვირვებით, იმ დროისათვის საყოველთაო კაზმულსიტყვაობის ისტორიაში ქართული ლიტერატურათმცოდნეობა სრულიად გაუტეხელი ყამირი იყო, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა ინტერესი ამ მიმართულებით. ნაშრომში განხილულია სასულიერო მწერლობის ნიმუშები; ქართულ ბიბლიასთან შედარებულია ძველი ქართული ენის, დამწერლობის, ქართული ენის დიალექტების, აგრეთვე, სვანურისა და მეგრულის ცალკეული საკითხები. სპეციალისტების აზრით, მიუხედავად ზოგიერთი შეცდომისა, ალტერის შრომა ქართულ ენაზე, მის დიალექტებსა და ლიტერატურაზე უცხოეთში მასალის შევსების, სისტემატიზაციისა და შესწავლის პირველი საინტერესო და საყურადღებო ცდაა (შ. რევიშვილი).

**ვლანც გოვი (1791-1867)** – ლინგვისტური მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი, უდიდესი გერმანელი მეცნიერი, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი, პრუსიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი – დაინტერესდა ქართველური (იბერიული) ენების გენერალოგიის საკითხით. მან 1846 წელს ბერლინში გამოსცა წიგნი „ქართულის შესახებ ენათა ნათესაობის თვალსაზრისით”, 1847 წელს კი – „ინდოევროპულ ენათა ოჯახის კავკასიური წევრები”, რომლებშიც ცდილობდა დაესაბუთებინა ქართველური ენების (მისი ტერმინით: იბერიული ანუ ქართულის) ინდოევროპულობა.

**XIX საუკუნის გერმანულ ქართველოლოგიაში მოიხსენიება გეორგ როზენის (1820-1891) სახელიც. ცნობილია, რომ 1830-იან წლებამდე გერმანიაში არ არსებობდა ნაშრომები მეგრულ-ჭანურის, სვანურისა და მთის კავკასიური ენების გრამატიკული სისტემის შესახებ. ამ ენებს როზენმა პირველმა მიაქცია ყურადღება და წარმოადგინა საინტერესო დასკვნები ნაშ-**

## გერმანია

---

რომებში: „ლაზების ენის შესახებ” (1884), „მეგრულ-სვანური და აფხაზური ენის შესახებ” (1886).

**ვრიდრის მიულერი** (1834-1898) – ავსტრიელი ენათ-მეცნიერი და ეთნოგრაფი – იკვლევდა იძერიულ-კავკასიური ენებისა და ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხების სოციალურ-საზოგადოებრივ მდგომარეობას. საინტერესო დაკავირვებებია წარმოდგენილი მის ნაშრომებში: „ქართული ზმნის ულლების შესახებ” (1869), „ქართული შრიფტების წარმომავლობის შესახებ” (1897), „კავკასიურ ენათა ადგილი ენათმეცნიერებაში” (1864) და სხვ.

ფრ. მიულერმა 1864 წელს ქართველურ ენათა ნათესაობის პრობლემასთან დაკავშირებით წამოაყენა ახალი თვალსაზრისი, რომლის მიხედვით, ქართველურ-კავკასიური ენები არ ენათესავება მსოფლიოში არსებულ არც ერთ ენათა ოჯახს, არა-მედ ისინი ქმნიან ცალკე დამოუკიდებელ ჯგუფს და განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ მსოფლიოს ენათა სისტემაში. ბასკურის მსგავსად, ქართველური ენებიც კავკასიის ტერიტორიაზე და მის სამხრეთით ოდესლაც დასახლებულ სემიტურ, არიულ და ურალურ-ალთაურ ენებზე მოლაპარაკე ხალხების ბევრად უფრო დიდი ენათა ჯგუფის ადრეული გადმონაშთი უნდა იყოს. გარდა ამისა, მეცნიერი მიუთითებდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის იბერების ენათა კავშირურთობაზეც.

**ჰუგო შუხარდტის** (1842-1927) ღვანწლი განუზომელია ქართველოლოგიაში. ავსტრიელი ენათმეცნიერი მსოფლიო ლინგვისტიკაში ცნობილია, როგორც ინდოევროპული ენების გამოჩენილი სპეციალისტი, უდიდესი თეორეტიკოს-ენათმეცნიერი. მსოფლიო ლინგვისტური მეცნიერების კორიფე იყო ვენის, ბერლინის, მიუნხენის, ბუდაპეშტის, კრაკოვის, რომის, ლისაბონისა და კოპენჰაგენის სამეცნიერო აკადემიების წევრი, აგრეთვე, სან სებასტიანის ბასკური ენის აკადემიისა და თბილისის ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების საპატიო წევრი.

ჰ. შუხარდტის მეცნიერული მემკვიდრეობა ითვლის 770-მდე გამოქვეყნებულ ნაშრომს, რომელთა ძირითადი ნაწილი ეძ-

ღვნება რომანული ფილოლოგიისა და ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემებს; იგი იკვლევდა ხალხურ (ვულგარულ) ლათინურ, რომანულ და სხვა ინდოევროპულ ენებს, აგრეთვე: ბასკურ, კავკასიურ, სემიტურ-ქამიტურ, უნგრულსა და სხვა ენებს. წამოაყენა ახალი იდეები (დეპულებები) „ენათა შერევის”, ზოგიერთი ენის წინადადების ერგატიული წყობის, ლექსიკისა და გრამატიკის ურთიერთებების შესახებ. შუხარდტის შეხედულებებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საზღვარგარეთული ენათმეცნიერების რიგ მიმართულებებზე.

ჰუგო შუხარდტი დაიბადა გოთაში, არისტოკრატის ოჯახში. მამა იურისტი იყო, დედა – შვეიცარიელი ფრანგი ქალი, წარჩინებული გვარისა (ჰუგოს ოფიციალური სახელია **ჰუგო ერნსტ მარიო**).

ბავშობიდანვე გამოიკვეთა თურმე ჰუგოს გასაოცარი ნიჭიერება, ენების ათვისების განსაკუთრებული უნარი და თავისებური ხასიათიც. სამი წლისას დაუწყია ფრანგულის სწავლა, იმავდროულად იწაფებოდა გერმანულის კითხვაშიც, მალე ჰოლანდიური ასოებითაც დაინტერესდა, ხოლო შვიდი წლისა კერძო მასწავლებელთან სწავლობდა ლათინურსა და შემდეგ – ბერძნულს. ამ ასაკში მას განსაკუთრებით ხიბლავდა თურმე ალფაბეტი – ასოთა მოხაზულობა (აქვე დავსძენთ: შემდგომშიც შუხარდტი თავისი სურვილით ირჩევდა ენებს შესასწავლად და ეუფლებოდა მათ სხვადასხვა სახელმძღვანელოს საშუალებით).

ეს უცნაური ბავშვი ბევრს კითხულობდა მისთვის საინტერესო წიგნებს... ათი წლისას დაუწერია თხზულება „პოლინეზიელების ისტორია“. სკოლის პერიოდში ხშირად იცვლებოდა შუხარდტის სამომავლო გეგმები და ინტერესები, რასაც განაპირობებდა, ერთ მხრივ, მამის სურვილი და, მეორე მხრივ, ყმაწვილის სწრაფად ცვალებადი გატაცებანი მეცნიერების ამა თუ იმ დარგით. მაგრამ 1859 წელს, 17 წლისამ, უკვე მტკიცედ განაცხადა, რომ მისი ვარსკვლავი იყო ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი – გერმანელი ენათმეცნიერი, ფილოსოფოსი, ზოგადი ენათმეცნი-

## გერმანია

---

ერებისა და ენის ფილოსოფიის ფუძემდებელი. ამ პერიოდში ჭაბუკი დამოუკიდებლად ეუფლებოდა არაბულსა და ბასკურს.

ჰ. შუხარდტმა დაამთავრა ბონის უნივერსიტეტი კლასიკური ფილოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის განხრით. 1864 წელს ბრნიცის უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ვულგარული (ხალხური) ლათინურის ვოკალიზმი“. ამ ნაშრომით (დაიბეჭდა დასრულებული სახით 1867 წელს) ავტორი მტკიცედ ჩადგა პირველ სწავლულთა რიგში.

1870 -1876 წლებში შუხარდტი კითხულობდა ლექციებს ჯერ ლაიფციგის, შემდეგ — ჰალეს უნივერსიტეტებში, 1876 წელს მიიწვიეს ავსტრიაში, გრაცის უნივერსიტეტში პროფესორად. იგი სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ავსტრიაში (ეს ქვეყანა ძალიან უყვარდა და, მიუხედავად მისი გერმანული წარმოშობისა, თავს თვლიდა ავსტრიელ მეცნიერად). სწორედ ამ სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად, შუხარდტის ანდერძის თანახმად, 1927 წელს, მისი გარდაცვალების შემდეგ, მთელი ქონება (საცხოვრებელი სახლი) და უმდიდრესი ბიბლიოთეკა, რომელიც ითვლიდა 20 ათასამდე წიგნს, გადაეცა გრაცის უნივერსიტეტს (შუხარდტის ბიოგრაფიული მონაცემები დამოწმებულია ვ. იმნაიშვილის წიგნიდან „არდავინიყება მოყვრისა“, თბ., 2006).

აღიარებულია, რომ ჰ. შუხარდტი ფლობდა უამრავ ენას. გერმანიული ენების გარდა იცოდა კელტური, სლავური, რომანული ენები, ებრაული, არაბული, უნგრული, ბასკური... საფუძვლიანად შეუსწავლია კავკასიური ენები, მათ შორის, ძველი და ახალი ქართული, რომელიც, მისი აზრით, ნამდვილად არის „მეტად თავისებური, საინტერესო და მსოფლიო მეცნიერებისათვის საყურადღებო ენა.“

ჰ. შუხარდტი ინტერესით იკვლევდა ენათა შერევას (ათეულობით ჯგუფი შეისწავლა ამ თვალსაზრისით) და ზოგადი ენათმეცნიერების საკითხებს (ორთოგრაფიას, ენათა ნათესაობას..). თუ მართ ბროსე იყო პირველი უცხოელი ორიენტალისტი, რომელსაც ხელი მიუწვდებოდა ქართულ მასალაზე, შუხარდტი

ქართული ენის მცოდნე პირველი უცხოელი ენათმეცნიერია, რომელიც ქართული ენით დაინტერესდა XIX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან: „ქართულის თეორიული კვლევა დაახლოებით 40 წლის ნინ დავიწყე, — მოვიანებით წერდა იგი, — როცა 1890 წელს სტატია გამოვაქვეყნე ქართულისა და, ზოგადად, კავკასიური ზმნის პასივის შესახებ. გრაცში ხანგრძლივი დროით იმყოფებოდა ოდესიდან პროფესორი პეტრე მელიქიშვილი. მისგან, ქიმიკოსისგან, ვისწავლე პრაქტიკულად ქართულის საფუძვლები. მან დამაკავშირა მის ბევრ თანამემამულესთან და აქედან დიდი სარგებლობა მივიღე, მაგრამ მაშინ სწრაფად ვერ წავედი წინ. ეს უფრო გვიან მოხდა. მე ვთიქრობ, 1904 წელს, როცა თბილისიდან ჩვენს უნივერსიტეტში ახალგაზრდა კაცი, ალექსანდრე ბერძენიაძე ჩამოვიდა, როგორც ვთვლიდი, იმ მიზნით, რომ ის ჩემთან თეორიულად მომზადებულიყო ქართულში ან კავკასიურ შტუდიებში”...

პ. შუხარდტი ქართული ენის თეორიულ-პრაქტიკულ ცოდნას სისტემატურად იღრმავებდა. ამ მიზნით იგი უკავშირდებოდა ევროპელ ქართველოლოგებს, საქართველოში და იმხანად უცხოეთში მცხოვრებ ქართველ კოლეგებს, სტუდენტებს. განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა ჰქონდა პ. მელიქიშვილთან, ი. ჭავჭავაძესთან, ალ. ხახანაშვილთან, მ. ჯანაშვილთან, ფ. გოგიჩაშვილთან, ნ. უორდანიასთან, აკ. შანიძესთან... საჭირო ლიტერატურის ნაკლებობის გამო შუხარდტი მეგობრების გარდა ხშირად მიმართავდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგებას, პირადად თავმჯდომარეს ილია ჭავჭავაძეს და სთხოვდა, გაეგზავნა წიგნები, „ივერიის” ნომრები, რომლებშიც მოთავსებული იყო წერილები ქართველი ხალხის ცხოვრების, ეთნოგრაფიისა და, საერთოდ, ქართული ენათმეცნიერების შესახებ.

1895 წელს შუხარდტი ილიას წერდა: „ბატონო! კეთილ ინებეთ, მიპასუხეთ, თუ შეიძლება მოინახოს ჩემთვის „ივერია“ 1884, 1885 წლებისა, სადაც მოთავსებულია ჩუბინოვის წერილები „ეთნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაპადოკიის ან ჭანე-

## **გერმანია**

---

თის მკვიდრთა მოსახლეთა”. ამავე დროს მინდა ვიცოდე, თუ ამ ჟურნალში მოიპოვება სხვა წერილები, რომელიც ქართულ ენათ-მეცნიერებას ეხებიან. გთხოვთ მაპატიოთ შეწუხებისათვის. მე დაინტერესებული ვარ ქართული ენათმეცნიერებით.”

ქართველი ინტელიგენცია, თავის მხრივ, დიდ პატივს სცემდა ქართული კულტურის უცხოელ მოამაგეს, ხელს უწყობდა მის მეცნიერულ საქმიანობას. ი. ჭავჭავაძის საპასუხო წერილში ვკითხულობთ: „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა, რომელიც დიდად აფასებს თქვენს შრომას ქართული ენისათვის, ფრიად ბედნიერად ჩათვლის თავის თავს, თუ როგორმე დაგეხმარებით ქართული ენის შესწავლაში და მის მეცნიერულ გამოკვლევაში. ამ მიზნით იგი მოვალედ თვლის თავს მოგაწოდოთ როგორც ყოველნაირი ქართული წიგნი, რომელიც კი თქვენის შრომისათვის საჭირო იქნება, აგრეთვე ყოველნაირი თქვენთვის გამოსადეგი ცნობა.”

ჰ. შუხარდტი, მრავალი ენის მცოდნე და მკვლევარი, მაღალ შეფასებას აძლევდა ქართულ ენას მსოფლიოს ენათა სისტემაში. იგი თავის მეგობარს, პეტრე მელიქიშვილს, ხშირად ეტყუდა თურმე: „თავისებური, მდიდარი, საინტერესო და მსოფლიო მეცნიერებისათვის საყურადღებო ენა გაქვთ და მისი შესწავლა კი ყველაზე უკეთესად ქართველებს შეგიძლიათ.”

ჰ. შუხარდტი განსაკუთრებით უსვამდა ხაზს ქართულის, როგორც „მთავარი” ენის შესწავლის მნიშვნელობას, ერთი მხრივ, ქართველურ ენათა კვლევის, მეორე მხრივ, კი—ჩრდილოკავკასიურ ენებსა და ბასკურთან ნათესაობის დადგენის თვალსაზრისით.

ავსტრიელი მკვლევარი იყო პრაქტიკოსი მასწავლებელიც. მისი მოღვაწეობის პერიოდში გრაცის უნივერსიტეტში ფართოდ გაიშალა მრავალმხრივი ქართველოლოგიური საქმიანობა. შუხარდტმა უნივერსიტეტში შეადგინა ქართული ენის შემსწავლელი სტუდენტების ჯგუფი, რომელსაც თვითონ ამეცადინებდა: ასწავლიდა ქართულ ანბანს, აცნობდა ქართულ კულტურას, კლასიკურ მწერლობას... გრაცის უნივერსიტეტის

ქართველი სტუდენტის – ალ. ბეჭედაძის მოგონებით, „ჰ. შუ-ხარდტის მონაცენები ძველ ქართულზე ლაპარაკობდნენ და ისე-თი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს შოთა რუსთაველის ეპოქის ადამიანებთან ვსაუბრობდი... ერთ-ერთმა მათგანმა მორიდე-ბით მკითხა: თქვენ მართლა ნამდვილი ქართველი ხართ თუ არა? ალბათ ეს ეჭვი ძველი ქართულის მცოდნე ავსტრიელ სტუდენტს ჩემში ახალი თანადროული ქართულის მოსმენის სა-ფუძველზე დაებადა. ბოლოს, მოხდა ისე, რომ მე მათგან ძველ ქართულს ვსწავლობდი, ხოლო ისინი ჩემგან – ახალ ქართულს... შუხარდტი გატაცებით მიკითხავდა „ვეფხისტყაოსანს”, მიხსნი-და ჩემთვის გაუგებარ ადგილებს და აღტაცებას გამოთქვამდა შოთას ჯადოქრული ლექსის გამო.“

ჰ. შუხარდტი სრულყოფილად ფლობდა ქართულ ენას, ად-ვილად ერკვეოდა მის სტრუქტურულ თავისებურებებში, მან პირველმა მიუთითა ქართული ენის ზოგ ისეთ მოვლენაზე, რო-მელიც მაშინ ქართველი სპეციალისტებისთვისაც კი უცნობი იყო. მაგალითად, მკვეთრი თანხმოვნების (აბრუპტივების) თა-ვისებურება ქართულში, მახვილის ბუნება, მოქმედებითი ბრუნ-ვის **ივ** ნიშნიანი ვარიანტი, მოთხრობითი ბრუნვისა და გარდა-მავალი ზმნის რაობა (ერგატიული კონსტრუქცია), დიალექტებ-ში **ყე** ნაწილაკის გამოყენება ირიბი ობიექტის მრავლობითობის აღსანიშნავად და ა. შ.

ავსტრიელ მეცნიერს საინტერესო მოსაზრებანი აქვს გა-მოთქმული ქართველურ ენათა ნათესაობაზე (ქართული ენის ურთიერთობაზე მთის კავკასიურ და აგრეთვე წინა აზიის ძველ ენებთან). გარდა ამისა, ბასკური და ქართული ზმნების ანალი-ზის საფუძველზე იგი არ გამორიცხავდა ამ ენათა მსგავსებასა და „შინაგან ნათესაობას“.

ჰ. შუხარდტი თავის შრომებში იშველიებდა ზ. შანშოვანის, ანტონ პირველის, პლ. იოსელიანის, დ. ჩუბინაშვილის გრამატი-კებს: „მისი გულისყური იყო მიპყრობილი უმთავრესად გრამა-ტიკული ლიტერატურისადმი. მან ყველაფერი იცოდა, რაც და-

## გერმანია

---

წერილა ამ მხრივ ზურაბ შანშოვანიდან და ანტონ კათალიკოსი-დან მოყოლებული მსოფლიო ომამდე” (ა. შანიძე).

**შუხარდტმა მსოფლიო ლინგვისტიკაში გზა გაუკვალა ტერმინს – „ქართველური ენები”.** საგულისხმოა ისიც, რომ მან საფუძვლიანად ამოიცნო ქართული ენის ბუნება, მისი სპე-ციფიკურობა, ქართული ზმნის საოცარი სირთულე, ამიტომაც მოხდენილად შენიშნავდა: „ქართულში ვინც სახელი იცის, მან თითქმის არაფერი იცის, ხოლო, ვინც ზმნა იცის, მან თით-ქმის ენა იცის. ზმნა ენის სული და გულია.”

დიდია ავსტრიელი ქართველოლოგის დამსახურება ძველი ქართული ხელნაწერების დაცვა-გადარჩენასა და შესწავლაში. ცნობილია, რომ XIX საუკუნის დასასრულს სირია-პალესტინი-დან დაიწყეს უძველესი ხელნაწერების გატანა ევროპის ქვეყ-ნებსა და ამერიკაში. სწორედ ამ გზით მოხვედრილა ავსტრიაში VII საუკუნის ერთ-ერთი ქართული ხელნაწერი „ხანმეტი ლექ-ციონარი”, რომელიც შუხარდტს შეუძენია 1895 წელს ვიღაც მხატვარ მილიზისაგან (ამ დროისათვის მას ხელთ ჰქონია აგ-რეთვე 4 სხვა ქართული ხელნაწერი). შუხარდტს იგი მალევე შე-უსწავლია მეცნიერულად და დაუწერია ნაშრომი „ცნობები ქართული ხელნაწერის შესახებ”, თუმცა მაშინვე არ გამოიქ-ვეყნებია და ქართველი კოლეგებისთვისაც ამის შესახებ არაფე-რი უცნობებია. ამ ნაშრომთან დაკავშირებით შუხარდტი გარ-დაცვალებამდე ოთხი დღით ადრე აკ. შანიძეს წერდა: „რადგან გული მტკივა, რომ ჩემთვის ასეთი სიმპათიური და საინტერესო ენა, როგორიც ქართულია, უნდა მიმეტოვებინა, უკანასკნელ დღეებში ჩემი ქაღალდები გადავქექე და მათში „ცნობები ქარ-თული ხელნაწერებიდან” ვიპოვე, რომელიც, როგორც მოწმე ჩემი ინტერესებისა, გუშინ დაზღვეული წერილით გამოგიგზავ-ნეთ.” ეს ნაშრომი აკ. შანიძემ გამოაქვეყნა საქართველოში ვრცელი გამოკვლევითურთ 1928 წელს (დაიბეჭდა ტფილისის უნივერსიტეტის მოამბეში, ტ. VIII). აკ. შანიძემ მაღალი შეფასე-ბა მისცა უცხოელი ქართველოლოგის ნაშრომს და ხაზგასმით მიუთითა: „ჰ. შუხარდტს თითქმის სწორად გაუგია ხანმეტობის

არსი, ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ ხანმეტი ძეგლების შეს-ნავლის წამოწყება პირველად მაინც შუხარდტის სახელთან იქ-ნება დაკავშირებული".

ამჯერად ძნელია სრულყოფილად მიმოვიზილოთ ჰ. შუ-ხარდტის ქართველოლოგიური ნაშრომები, რომელთა რიცხვი ორ ათეულზე მეტს აღწევს. დავასახელებთ მხოლოდ რამდენი-მეს: „ქართული ენის შესახებ” (1895)<sup>1</sup>, „გარდამავალი ზმის პა-სიური ხასიათის შესახებ კავკასიურ ენებში” (1895), „ქართვე-ლური ენათმეცნიერება” (I, II, III, 1896-1897), „ქართული ხელნა-ნერი Torre del Greco-ში” (1896), „ქართული ყე ნაწილაკი” (1896), „ქართველური (სამხრეთ კავკასიური) ენების გეოგრაფიისა და სტატისტიკისათვის, რუკითურთ“ (1897), „რუმინული ქართულ შრიფტში” (1897), „პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის №17 ქართული ხელნანერის შესახებ” (1898), „ქართული ნ და ჭ” (1902), „ცნობები ქართული ხელნანერებიდან” და ა.შ.

როგორც აღინიშნა, ჰ. შუხარდტმა მრავალი ენა იცოდა. იგი მოგზაურობდა სხვადასხვა ქვეყანაში, განსაკუთრებით აინ-ტერესებდა ცოცხალი სასაუბრო მეტყველება და უშუალო დაკ-ვირვების საფუძველზე წერდა გამოკვლევებს. ამის გამო და, აგ-რეთვე, უამრავი მეგობრის ნახვის სურვილითაც მეცნიერს ძა-ლიან უნდოდა საკუთარი თვალით ენახა საქართველო, უშუალო შეხება ჰქონოდა ქართველურ ენებთან; მოესმინა სიმღერები, დამტკბარიყო ქართული ცეკვებით, ენახა ქართული სუფრის განსაკუთრებული ეტიკეტის მოხდენილობა და მეფური გამას-პინძლება. გარდა ამისა, აინტერესებდა ქართული კულტურის ძეგლების, მუზეუმებისა და ნიგნისაცავების დათვალიერება. სამწუხაროდ, ვერ შეძლო თავისი სურვილის განხორციელება.

„უაღრესად დიდია შუხარდტის დამსახურება ქართველო-ლოგიის სფეროში. ის იცნობდა მთელს ლიტერატურას, რომე-ლიც კავკასიის ენათმეცნიერებას ეხებოდა. საზოგადოდ, მის

<sup>1</sup> ეს პირველი ვრცელი გამოკვლევა ავტორმა უძლვნა პეტრე მელიქიშვილს („ნიშნად მადლიერებისა. ვუძლვნი ჩემს საყვარელ მეგობარს პროფესორს პ. მელიქიშვილს. გ. შუხართ”).

## გერმანია

აუზრბელ ნაწერთაგან ოციოდე სპეციალურად კავკასიურ ენებს ეხება. ამ ენათაგან მისი კვლევის საგანი უმთავრესად ქართულია” (ა. შანიძე); „ჰუგო შუხარტის სამეცნიერო ჰორიზონტის სიფართეს მისივე პიროვნების სიღრმელა თუ შეედრება” (არნ. ჩიქობავა).

ჰ. შუხარდტის ქართველოლოგიური მოღვაწეობა გახდა სათავე ქართული და, საერთოდ, ქართველური ენების იმ აღნერითი და ისტორიულ-შედარებითი კვლევა-ძიებისა, რომელიც ასე ნაყოფიერად გაიშალა XX საუკუნის დასაწყისში უცხოეთში და გრძელდება გერმანულენოვან სამყაროში.

**ადოლფ ჰარნაკი (1851-1930)** – გერმანელი თეოლოგი, პრუსიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ბერლინის უნივერსიტეტის რექტორი – 1900-იანი წლებიდან დაინტერესდა ქართული კულტურით. იგი ავტორია მრავალი თეოლოგიური გამოკვლევისა. მათ შორის აღსანიშნავია: „დოგმების ისტორია” სამ ტომად (1885-1890), „ძველი ქრისტიანული ლიტერატურის ისტორია ევსებიოსამდე” სამ ტომად (1893-1904), „ქრისტიანობის არსი” (1900), „მონაზვნობა, მისი იდეალები და ისტორია” (1903, მეექვსე გამოცემა) და სხვ.

ა. ჰარნაკთან პეტერბურგის უნივერსიტეტიდან მიავლინეს ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართველმა მკვლევარმა აქ 1901 წელს გერმანულ ენაზე გამოაქვეყნა „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა”, რომელსაც ახლავს ჰარნაკის კომენტარები. შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდიდან ჩაეყარა საფუძველი გერმანელი მეცნიერის მხრიდან ქართული მწერლობისა თუ, საერთოდ, საქართველოს ახლოს გაცნობის სურვილს; ეს ინტერესი უფრო გააღმიავა 6. მარის მიერ 1903 წელს გამოქვეყნებულმა შრომამ „სინის მთაზე მუშაობის წინასწარი ანგარიში”. ა. ჰარნაკმა გერმანელ მეცნიერებს მოუწოდა, შეესწავლათ საქართველოს ისტორია და კულტურა, რასაც დიდი გამოძახილი ჰქონდა დასავლეთ ევროპაში (ი. ლოლაშვილი).

**არტურ ლაისტი (1852-1927)** – ცნობილი გერმანელი მწერალი, პუბლიცისტი, მთარგმნელი – გახლდათ ქართული

კულტურის უანგარო მსახური და უცხოეთში მისი აქტიური პო-  
პულარიზაციონი. იგი სწავლობდა ბრესლაუს უნივერსიტეტში.  
1881 წელს გაიცნო ბოდენშტედტი. მისი რჩევით დაინტერესდა  
აღმოსავლეთის ქვეყნებით, კერძოდ, საქართველოთი. პირველ  
ყოვლისა, დაწყო ქართული ენის შესწავლა. ამ მიზნით დაუკავ-  
შირდა ცნობილ მოღვაწეებს: ნ. ნიკოლაძეს, დ. ერისთავს, ი. ჭავ-  
ჭავაძეს, ა. კ. წერეთელს, ი. მეუნარგიას და სხვებს.

1882 წელს პოლონეთის პრესაში გამოქვეყნდა ა. ლაისტის  
წერილი „ქართველებისა და სომხების ლტოლვა განათლებისა-  
კენ“, ხოლო 1883 წელს გერმანულ პრესაში – „მივიწყებული  
ლიტერატურა“.

1884 წელს ა. ლაისტი ი. ჭავჭავაძის მოწვევით ერთი თვე  
იყო საქართველოში. გერმანიაში დაბრუნებულმა გამოსცა წიგ-  
ნი „საქართველოს ბუნება, ადათ-წესები და მოსახლეობა“  
(დაიბეჭდა პოლონურ ენაზეც). 1885 წელს ლაისტი კვლავ ეს-  
ტუმრა საქართველოს. ილიას თხოვნით იგი შეუდგა „ვეფხის-  
ტყაოსნის“ თარგმნას. ილიასა და ივ. მაჩაბლის დახმარებით და-  
ასრულა ეს დიდებული საქმე. წიგნი დაიბეჭდა 1890 წელს  
დრეზდენსა და ლაიფციგში. ეს იყო „ვეფხისტყაოსნის“ პირვე-  
ლი გერმანული თარგმანი.

ცნობისათვის შევნიშნავთ, რომ ლაისტის შემდეგ „ვეფ-  
ხისტყაოსანი“ გერმანულ ენაზე თარგმნეს ჰ. ჰუპერტმა და ჰ. ბუ-  
დენზიგმა. სპეციალისტების აზრით, ლაისტის მიერ შესრულე-  
ბული თარგმანი ყველაზე საყურადღებოა არა მარტო იმიტომ,  
რომ პირველი თარგმანია ევროპულ ენაზე, არამედ სისრული-  
თაც. კ. ჸ. შმიდტის შეფასებით: კავკასიური და განსაკუთრებით  
ქართული ლიტერატურის გერმანულ ენაზე მთარგმნელთა შო-  
რის ა. ლაისტმა გამორჩეული ადგილი მოიპოვა ქართული  
ეროვნული ეპოსის — შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“  
გერმანულ ენაზე აუდერების წყალობით.

1887 წელს ა. ლაისტმა გერმანულ ენაზე გამოაქვეყნა ქარ-  
თული პოეზიის ანთოლოგია (ეს იყო ქართული პოეზიის პირ-  
ველი ანთოლოგია უცხოურ ენაზე).

## გერმანია

---

1892 წლიდან გერმანელი მწერალი საქართველოში დამკვიდრდა, 1927 წლამდე მუდმივად ცხოვრობდა თბილისში. ამიტომაც უწოდა ლაისტს ილიამ „შორეული თავისიანი“. იგი აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. 1904 წელს გამოაქვეყნა წიგნები „ქართველი პოეტები“ და „ქართველი ხალხი“, რომლებიც მრავალ ევროპულ ენაზე ითარგმნა. 1906 წელს დაარსა გერმანული გაზეთი „Kaukasische Post“, რედაქტორობდა წელიწად-ნახევრის განმავლობაში.

XX საუკუნის დასაწყისისათვის არტურ ლაისტი უცხოეთში ცნობილი იყო, როგორც ქართველი ხალხის დიდი მეგობარი, ქართული მწერლობის სახელმოხვეჭილი მკვლევარი. იგი, როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის მცოდნე, დიდ დახმარებას უწევდა ჰ. შუხარდტს, ასევე ჩვენი კულტურით დაინტერესებულ პროფესორებს: კ. პაუპტისა და გ. მერცბახერს.

ქართული უნივერსიტეტის გახსნამდე ივ. ჯავახიშვილსა და მის კოლეგებს მოფიქრებული ჰქონდათ რუსეთ-ევროპის საუნივერსიტეტო ქალაქებიდან მოენვიათ იქ მოღვაწე გამოჩენილი ქართველი პროფესორ-მასნავლებლები, რომლებიც თბილისის უნივერსიტეტის პირველ შემადგენლობაში შევიდოდნენ, ამათ შორის დასახელებული იყო ერთი უცხოელიც — არტურ ლაისტი. მას მიენდო გერმანული ენის სწავლება. 1918 წლიდან ლაისტი თბილისის უნივერსიტეტში გერმანული ენის ლექტორია.

1922 წელს ქართველმა საზოგადოებამ დიდ პატივით აღნიშნა გერმანელი ქართველოლოგის მოღვაწეობის 40 წლის იუბილე. ქართული მწერლობისა და კულტურის პოპულარიზაციაში განეული დიდი დამსახურებისათვის ა. ლაისტს ჩვენმა ხალხმა გულთბილი სიტყვებით გადაუხადა მადლობა.

1923 და 1927 წლებში გამოიცა ა. ლაისტის თხზულებათა კრებული „საქართველოს გული“ ორ წიგნად. ევროპის სამეცნიერო წრეებშიც მაღალ შეფასებას აძლევდნენ მის ქართველოლოგიურ საქმიანობას. ინერებიდა რეცენზიები და გამოხმაურებანი გერმანელი მწერლის შემოქმედებაზე, ცალკეულ ნაშრომებზე...

გარდაცვალების წინა ხანებში ა. ლაისტმა საოცარი სიტყვები გაანდო ქაღალდს: „მაპატიე, ჩემო პატარა სამშობლოს ნაცვალო – საქართველო, თუ ჩემი მნირი ღვანლით ღირსი არა ვარ შენს წმინდა მიწაზე დასაფლავებისა“.

1927 წელს ქართველი ხალხი, ერთიანი საქართველო დიდი მწუხარებით გამოეთხოვა თავის ერთგულ უცხოელ მეგობარს და სამუდამო განსასვენებელი მიუჩინა თბილისში, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

**პაირის გუსენი (1863-1927) და ვრიძრის ცორელი (1863-1947)** გერმანული ქართველოლოგიური სკოლის წარმომადგენლები არიან.

ბონის უნივერსიტეტის პროფესორმა ჰ. გუსენმა 1923 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „ქართველთა ბეჭდვისა და ხელნანერთა შესახებ“, რომელიც მიზნად ისახავს აღადგინოს ძველი იერუსალიმის კალენდარი. ამისთვის მეცნიერს უსარგებლია კ. კეკელიძის მიერ გამოცემული ქართული წყაროებით. კ. კეკელიძე მაღალ შეფასებას აძლევს ამ ნაშრომს: მართალია, მასში არის ზოგიერთი სადაც საკითხი, მაგრამ საერთოდ ნაშრომი საინტერესოა ძველი კულტურისა და კალენდრის შესასწავლად. ისიც ირკვევა, რომ პროფ. გუსენმა საკმაოდ კარგად იცოდა ძველი ქართული ენა.

XX საუკუნის 20-იან წლებში დაიწერა ფ. ცორელის ნაშრომი „დაბადების ძველი ქართული თარგმანის გრამატიკა“, 1950 წელს კი რომში გამოქვეყნდა „გრამატიკა ძველი ქართული თარგმანების ენისა, ტექსტებითა და ლექსიკონით“.

**ადოლფ დირი (1867 -1930) –** გერმანელი ეთნოგრაფი და ენათმეცნიერი, კავკასიოლოგი, მიუნხენის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, პროფესორი, ბოლონიის (იტალია) აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მიუნხენის ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი – 1902-1913 წლებში ცხოვრობდა კავკასიაში. თბილისში ასწავლიდა გერმანულ ენას. თავად სწავლობდა კავკასიის ხალხების ყოფასა და ენებს, ფოლკლორს. XX საუკუნის დასაწყისში გამოაქვეყნა საინტერესო შრომები: „ახალი შეხე-

## გერმანია

დულება ხევსურთა წარმოშობაზე”, „კავკასიურ ენათა კვლევა, მისი ისტორია და შემდგომი ამოცანები”, „კავკასიის ხალხთა ან-თროპოლოგია და ეთნოგრაფიული მიმოხილვა” და სხვ.

ა. დირის ქართველოლოგიურ ნაშრომთაგან საინტერესოა „თეორიულ-პრაქტიკული გრამატიკა თანამედროვე ქართული ენისა” (დაწერილია გერმანულ ენაზე, დაიბეჭდა 1904 წელს). ლ. ტარდის ცნობით, ეს გრამატიკა უნდა ჩაითვალოს ევ-როპაში ქართული ენის პირველ სახელმძღვანელოდ.

დირის ნარკვევებში, რომელთა დიდი ნაწილი თბილისში გამოიცა, წარმოდგენილია დალესტნური ენების გრამატიკული მიმოხილვა, ტექსტები (რუსული თარგმანითურთ), ლექსიკონი. ამ ნარკვევებისათვის ავტორს 1908 წელს მიენიჭა მიუნხენის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება, 1909 წელს – პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის მაკარის სახელობის პრემია. ასევე მისი „კავკასიურ ენათა შესწავლის შესავალი” (1928) იმ დროისათვის ყველაზე ვრცელი შემაჯამებელი გა-მოკვლევა იყო, სადაც სრულადაა წარმოდგენილი იბერიულ-კავკასიური ენობრივი სინამდვილე.

„დირის ნაშრომებს დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა. მის მიერ დაარსებული უურნალი „Caucasica” პირველი საენათ-მეცნიერო — კავკასიის მცოდნეობითი უურნალია“ (ა. ჩიქობავა).

1920 წელს ქ. იენაში დირის ავტორობით გერმანულ ენაზე გამოსული „კავკასიური ზღაპრები” „მსოფლიო ლიტერატურის ზღაპრების” სერიაში შევიდა.

**რიხარდ მეკალაინი** (1880 -1948) გერმანიაში ქართველოლოგიური კვლევის ტრადიციების თვალსაჩინო გამგრძელებელია. იგი იყო ენათმეცნიერი, ლექსიკოგრაფი, ქართველოლოგი და სლავისტი. ბერლინის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ბერლინის სამეცნ სახელმწიფო ბიბლიოთეკაში, 1921 წლიდან ბერლინის უნივერსიტეტში კითხულობდა ქართული, პოლონური, რუსული, სამხრეთ სლავური და ესპანური ენების კურსს.

1918 წელს რ. მეკელაინმა ქართულ ენაზე შეადგინა გერმანული ენის სახელმძღვანელო ქართველთათვის. წიგნი რამდენჯერმე გამოიცა. წინასიტყვაობაში ავტორი წერდა: „გერმანიაში დაიბადა ინტერესი არა მარტო საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრისადმი, არამედ ამ მნიშვნელოვანი კულტურული ერის ისტორიისა და მწერლობისადმი.“

რ. მეკელაინი განსაკუთრებით ზრუნავდა ბერლინის უნივერსიტეტში ქართული ენის მაღალ დონეზე სწავლებისათვის. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა აკ. შანიძის მოგონება: „მეკელაინი გავიცანი 1928 წელს, როცა ოქსფორდიდან ვპრუნდებოდი და ბერლინში შევჩერდი. მეკელაინმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, როგორც მშვენიერმა მოსაუბრემ, ქართული ენის კარგმა მცოდნემ და მისგან უხილავი საქართველოს გულმხურვალე პატრიოტმა. იმ წელს ის ლექციებს კითხულობდა ბერლინის უნივერსიტეტში. ორშაბათობით და ხუთშაბათობით მისი წაკითხული ლექციების სახელწოდება იყო – „ქართული ენის შესახებ“, ხოლო ოთხშაბათობით ჩატარებული ლექციების ციკლი შეეხებოდა საკითხს – „ქართველები და კავკასიის სხვა ერები“, დანარჩენ დღეებში კი სტუდენტებს ამუშავებდა „ქართულ ტექსტებზე“.

რ. მეკელაინი ურთიერთობას ამყარებდა გერმანიაში ჩასულ ქართველ მეცნიერებთან, მწერლებთან (ა. შანიძე, კ. გამსახურდია, ს. ყაუხჩიშვილი, რაფ. ნიუარაძე...), სტუდენტებთან, უურნალისტებთან, ხანგრძლივი მივლინებით ბერლინში მყოფ ქართველ სპეციალისტებთან, რომლებიც, თავის მხრივ, დიდ დახმარებას უწევდნენ ლინგვისტს ბერლინში ქართულ-გერმანულ საურთიერთო საკითხების მოგვარებაში.

1922 წელს მეკელაინის თაოსნობით ბერლინში დაარსდა „რუსთაველის საზოგადოება“.<sup>1</sup> მისი მიზანი იყო ქართულ და ევროპულ კულტურულ მონაპოვართა ურთიერთგაცნობა, იქ

<sup>1</sup> „რუსთაველის საზოგადოება“ 12 წევრისგან შედგებოდა, მათ შორის იყვნენ ქართველი ძმები ვარაზაშვილები (მეკელაინის მეგობრები), რომელთა მატერიალური მხარდაჭერით შეიქმნა ეს საზოგადოება.

## გერმანია

მყოფი ქართველი სტუდენტებისადმი დახმარება: სწავლაში ხელმძღვანელობა და მატერიალური უზრუნველყოფა. იმავე წელს რუსთაველის საზოგადოების ინიციატივით ბერლინში შეიქმნა გამომცემლობა „ახლო აღმოსავლეთი”, რომელშიც დაიბეჭდა რ. მეკელაინის შრომები ქართველობობის. მალე გამომცემლობამ რ. მეკელაინის რედაქტორობით გერმანულ ენაზე დაბეჭდა ილუსტრირებული უურნალი „მორგენლანდი” (მისი პირველი ნომერი მიეძღვნა საქართველოსა და კავკასიას), რათა გაეცნო ცივილიზაციული სამყაროსათვის ახლო აღმოსავლეთის კულტურა, მეცნიერება, ცხოვრების წესი, ისტორია...

უურნალში თანამშრომლობდნენ მეკელაინის მეგობრები, რომლებიც ბეჭდავდნენ საინტერესო სტატიებს საქართველოსა და, საერთოდ, კავკასიის შესახებ. მასში აგრეთვე მოთავსებულია რამდენიმე ილუსტრაცია: კავკასიის ტიპები, ქუთაისის ხედი, ბაგრატის ტაძრის ნანგრევები, სოფელი მესტია და სხვა. ამ საინტერესო და მაღალი გემოვნებით გამოცემულ უურნალს უხელფასოდ ამზადებდა რ. მეკელაინი.

1919 წელს ბერლინში გამოვიდა გერმანელი მეცნიერის წიგნი „ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში და პრუსიის წიგნებისაცავში არსებული ქართული გრამატიკისა და ლექსიკონების ბიბლიოგრაფია”. განსაკუთრებით ფასეულია მისი „ქართულ-გერმანული ლექსიკონი“ (1928. ლექსიკონის პირველ გვერდზე დიდი ასოებით ანერია: „ქართველ ერს ცუძღვნი ამ წიგნს“) და „გერმანულ-ქართული ლექსიკონი“ (I ტ. 1937; II ტ. 1943).

რ. მეკელაინი იყო ჩვენი ხალხის ჭეშმარიტი მეგობარი და ქართული კულტურის უცხოელი მოამაგე.

**რობერტ გლაიხშტაინერი** (1891-1954) – ცნობილი ქართველობოგი, ავსტრიელი ენათმეცნიერი, მთარგმნელი, ეთნოგრაფი, ვენის უნივერსიტეტის პროფესორი – განსაკუთრებით დაინტერესებული იყო ქართული ლიტერატურის ისტორიით, კლასიკური მწერლობით. ამ მხრივ მისი საყურადღებო ნაშრომებია: „ქართული ბალადა ამირანის შესახებ“ (1918), „ქართული ანდაზები, თქმულებები და ზღაპრები“ (1919), „ვეფ-

ხისტყაოსანი” – XII საუკუნის ქართული მინეზინგური პოემა“ (1940), „ქართული ლიტერატურა” (1948), „დიდი ქართველი პოეტი ნ. ბარათაშვილი” (1949).

რ. ბლაიხშტაინერი, როგორც ენათმეცნიერი, **იკვლევდა იბერიულ-კავკასიურ ენებს**, მათ შორის, **ქართულსა და მის დიალექტებს**. დაწერილი აქვს სტატიიები „კავკასიელი ხალხების და ენების მიმოხილვა” (1918), „გურული დიალექტის გაგები-სათვის”, „ქართველთა ტომის გურულების ენისა და ეთნოგრა-ფიის შესახებ”, „კავკასიელი ხალხები”, „ქართველი ხალხი” და სხვა, რომლებშიც ავტორი წმინდა გრამატიკული საკითხების მიმოხილვის გარდა ცდილობდა დაედგინა კავკასიის ენების მი-მართება სხვა ენებთან (ბასკური, პამირის ენები). იგი თავისუფ-ლად ფლობდა ქართულ და სომხურ ენებს; აგრძელებდა შუხარ-დტის საენათმეცნიერო სკოლის ტრადიციებს.

მეცნიერული კვლევა-ძიების გარდა, რ. ბლაიხშტაინერი მთარგმნელობით მუშაობასაც ეწეოდა. მან **გერმანულად თარ-გმნა „ვეფხისტყაოსნის” ხალხური ვარიანტი**. 1946 წელს ვე-ნაში გერმანულ ენაზე გამოსცა კრებული „ახალი ქართველი პოეტები”. მასში შეტანილია ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, გალაკტიონის, ვ. გაფრინდაშვილის, ს. შანშიაშვილის, კ. ლორ-თქიფანიძის და სხვათა ლექსების მისეული თარგმანები.

რ. ბლაიხშტაინერი საქართველოს ენვია 1950 წელს, ახ-ლოს გაეცნო ჩვენი ხალხის ცხოვრებასა და კულტურას, მოგზა-ურობის შთაბეჭდილებები მხატვრულად ასახა ნარკვევებში „საქართველო გუშინ და დღეს”. უურნალ „რევიუ დე კარტვე-ლოლოჟის“ 1958 წლის XXX-XXXI ტომში დაბეჭდილია ავსტრიე-ლი მეცნიერის წერილები ლიტერატურის საკითხებზე, ასევე – მის მიერ გერმანულ ენაზე თარგმნილი ჭ. ლომთათიძის „ლეგენ-და საქართველოზე“.

ჩვენში და საზღვარგარეთის სამეცნიერო წრეებში კარგა-და ცნობილი რ. ბლაიხშტაინერის დამსახურება ქართული კულტურის წინაშე. სპეციალისტები მაღალ შეფასებას აძლევენ მის ნაშრომებს.

**გერმანდო დეეტერსი (1892-1961)** – ენათმეცნიერი, ბონის უნივერსიტეტის პროფესორი, კავკასიოლოგი, ცნობილი ქართველოლოგი – **იკვლევდა ქართველურ და მთის კავკასიურ ენებს.** ამ მხრივ საყურადღებოა მისი ნაშრომები: „ქართველური ზმნა” (1930), „აფხაზური ენის აგებულება” (1931), „სომხური და სამხრეთ კავკასიური ენები” (1932) და აგრეთვე მთელი რიგი სტატიებისა ქართული ენის საკითხებზე, რომელშიც გამოტანილია მრავალი საგულისხმო დასკვნა. გ. დეეტერსი მსჯელობდა აგრეთვე ქართველურ ენათა გენერალოგიისა და ქართული ანბანის წარმომავლობის საკითხებზეც. მან პირველმა შეადგინა პრექართველური ფუძეენის დიფერენციაციის სქემა; ქართული ანბანის შემოღება დაუკავშირა ქრისტიანობის გავრცელებას.

გ. დეეტერსმა არაერთი ნაშრომი უძლვნა ქართულ მწერლობას, მათ შორის, რუსთაველს („შოთა რუსთაველის 750 წლის საიუბილეოდ”, „ვეფხისტყაოსნის” თარგმანი ჰუგო ჰუპერტისა“, 1958). 1963 წელს, დეეტერსის გარდაცვალების შემდეგ, დაიბეჭდა „ქართული ლიტერატურა”, რომელშიც მოკლედ არის მიმოხილული ქართული მწერლობის ისტორია მე-5 საუკუნიდან მე-20 საუკუნის ჩათვლით. ავტორი ქართულ ლიტერატურას ყოფს ოთხ პერიოდად:

- 1) ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა (V-XI);
- 2) შუა საუკუნეების პოეზია (XI-XIII);
- 3) აღორძინება, განმანათლებლობა, რომანტიზმი (XVI-XIX საუკუნის I ნახევარი);
- 4) ახალი ქართული ლიტერატურა.

სასულიერო მწერლობის მიმოხილვისას მკვლევარი შედარებით უფრო ვრცლად მოგვითხრობს ორიგინალურ ქართულ ჰავალებისა და ჰიმნოგრაფიაზე, დიდად აფასებს იაკობ ცურტაველისა და გიორგი მერჩულეს ნაწერებს. მას სარწმუნოდ მიაჩინა თვალსაზრისი, რომ ექვთიმე ათონელმა ქართულიდან გადაიღო ბერძნულ ენაზე „სიბრძნე ბალავარისა”.

შუა საუკუნეთა საისტორიო ძეგლების „პროზაული სარა-ინდო რომანების“ („ამირან-დარეჯანიანის“, „ვისრამიანის“) და საკარო-სახოტბო პოეზიის დახასიათების შემდეგ გ. დეეტერსი ცალკე თავში განიხილავს „ვეფხისტყაოსანს“. მას მკვლევარი უწოდებს მსოფლიო მნიშვნელობის „ეროვნულ ეპოსს“, რომე-ლიც ქართველებისთვის რჩება საუკუნეთა მანძილზე. მოკლე შინაარსის გადმოცემის შემდეგ იგი აშუქებს „ვეფხისტყაოსანის“ პროლოგ-ეპილოგის საკითხს, აანალიზებს მიჯნურობისა და შა-ირობის თეორიებს. მკვლევარი მსჯელობს შაირის მეტრის რაო-ბასა და რუსთაველის პოეტურ ენაზე. მოცემულ ნაკვეთს ახ-ლავს საკმაოდ ვრცელი ბიბლიოგრაფია.

ე.ნ. აღორძინების პერიოდიდან დეეტერსი ეხება თეიმუ-რაზ პირველს, არჩილს, ვახტანგსა და მის შვილებს, სულხან-სა-ბა ორბელიანს, ანტონ კათალიკოსს, დავით გურამიშვილს, ბე-სიკასა და საიათნოვას, იძლევა თითოეულის მოღვაწეობისა და შემოქმედების დამახასიათებელ შტრიხებს. იოანე ბატონიშ-ვილს უწოდებს განმანათლებლობის ორიგინალურ წარმომად-გენელს, ხოლო მის „კალმასობას“ — თავისი დროის ცოდნის ენციკლოპედიას.

მესამე კარის უკანასკნელი თავია „რომანტიზმი და რეა-ლიზმის დასაწყისი“. რომანტიზმის წარმომადგენლებად მიჩნე-ულნი არიან ალ. ჭავჭავაძე, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები. ნ. ბარათაშვილს დეეტერსი თვლის ყველაზე ორიგინალური ტა-ლანტის რომანტიკოსად. შემდეგ განხილულია „ქართული კომე-დიის შემქმნელის“ გ. ერისთავის, აგრეთვე ლ. არდაზიანისა და დ. ჭონქაძის ცხოვრება და შემოქმედება.

მეოთხე კარი ეძღვნება ახალ ქართულ ლიტერატურას. ავ-ტორი ი. ჭავჭავაძეს უწოდებს საქართველოს მთელი კულტუ-რული ცხოვრების გამძლოლს (რომლის დაკრძალვა გადაიქცა ქართველთა ეროვნულ დემონსტრაციად), აკ. წერეთლის ლექ-სებს კი — მეტად მუსიკალურს. „ახალი რომანტიზმის“ წარმო-მადგენლებად აღიარებს ა. ყაზბეგსა და ვაჟა-ფშაველას, რო-

## გერმანია

---

მელთა შემოქმედების თემატიკას უკავშირებს ახალი, ცივილიზაციით ხელუბლებელი საქართველოს მთიანეთის ცხოვრებას.

საგანგებო თავად არის გამოყოფილი „რეალიზმი 1900 წლის წინ და შემდეგ“. აქ დეეტერსი მოგვითხრობს ე. ნინოშვილის, დ. კლდიაშვილის, ვ. ბარნოვის, ლ. ქიაჩელის, ნ. ლორთქიფანიძის, მ. ჯავახიშვილისა და შ. დადიანის შემოქმედებაზე.

მეოთხე თავად მოდის „ესთეტიზმი და სიმბოლიზმი“. სიმბოლიზმის მოთავეებად მიჩნეული არიან ტ. ტაბიძე და პ. იაშვილი. აქ საუბარია გ. ტაბიძის, გ. ლეონიძისა და კ. გამსახურდიას შემოქმედებაზე.

თავისი მრავალმხრივი ნაყოფიერი მოღვაწეობით გ. დეეტერსი ხელს უწყობდა გერმანიაში ქართველობობიური საქმიანობის ფართოდ გაშლასა და თვისებრივ სრულყოფას, წინამორბედი კოლეგების მსგავსად განსაკუთრებით ზრუნავდა ახალი კადრების აღზრდაზე.

**პერმან პუდენზიგი (1893 -1976)** — გამოჩენილი გერმანელი მწერალი, მეცნიერი, მთარგმნელი, ფილოსოფოსი, სოციოლოგი, პუბლიცისტი — გახლდათ ქართული ენის დიდი ქმაგი.

ჰ. ბუდენზიგი დაიბადა გერმანიის ქალაქ აიზენახში, აფთიაქის მეპატრონის ოჯახში. ამავე ქალაქში დაასარულა ჰუმანიტარული გიმნაზია. **მიუნხენის, იენისა და ჰაიდელბერგის** უნივერსიტეტებში შეისწავლა მსოფლიო ლიტერატურა, ფილოსოფია, იურისპრუდენცია და სხვა მეცნიერებანი.

1915 წელს დაამთავრა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი, ემზადებოდა სადოქტორო დისერტაციისათვის, მაგრამ ჯარში გაიწვიეს. 1920 წელს, 27 წლისამ, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში დაიცვა **სადოქტორო დისერტაცია** თემაზე: „ვილჰელმ ვაიტ-ლინგი და ადრეული გერმანული სოციალიზმი“, მიენიჭა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

ჰიტლერის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ ჰ. ბუდენზიგი ჰაიდელბერგის ახლოს, პატარა ქალაქში, დასახლდა ოჯახთან ერთად. იგი წერდა ლექსებს, ნარკოვევებს, სტატიებს, მაგრამ გამოქვეყნების საშუალება არ ჰქონდა. მას დევნიდნენ,

რადგან ეს დიდი ჰუმანისტი არსებული რეჟიმისადმი ოპოზიციურად იყო განწყობილი. მის მოღვაწეობას გასაქანი მიეცა მხოლოდ ჰიტლერის რეჟიმის დამხობის შემდეგ. ამ პერიოდში შეიქმნა ლექსების კრეპულები: „საბერძნეთის ლმერთებს“ (1947), „სამყაროს თამაში“ (1950), „ნლიური სენტენციები“ (1966), „ნიმფებს“ (1950), „სამყაროს შეცვლა“, „დროის ნიშანი“ და სხვ.

ბუდენზიგი იყო ლიტერატურის ისტორიის მკვლევარიც. დანერილი აქვს საყურადღებო გამოკვლევები: „გოეთეს პოეტური ყოფიერება“, „გოეთე და სამყაროს საიდუმლოება“, „ნმინდა ავადმყოფობა“, „ლმერთები და სარწმუნოება“, „ადამიანი თუ ზეკაცი“ და ა.შ. იგი მთარგმნელობით მუშაობასაც ეწეოდა: გერმანულად თარგმნიდა პოლონელი და ლიტველი პოეტების ლექსებს, ხშირად სტუმრობდა ამ ქვეყნებს, მოხსენებით გამოდიოდა სამეცნიერო სესიებზე, ლიტვურსა და პოლონურ ლიტერატურაში თავისი ცოდნით ხიბლავდა მსმენელებს. ამიტომაც იყო, რომ პოლონეთის მიცევიჩის საზოგადოებამ ბუდენზიგი თავის წევრად აირჩია, ხოლო ლიტვის საბჭოთა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიამ დააჯილდოვა საპატიო ნიშნის ორდენით.

ჰ. ბუდენზიგის დაბადების 75 წლისთავი 1968 წელს ფართოდ აღინიშნა პოეტის სამშობლოში, ასევე პოლონეთსა და ლიტვაში.

პოეტი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე იღვნოდა იმისათვის, რომ ახალი სიტყვა ეთქვა, ამიტომ დევიზად გაიხადა: „ყოველთვის უნდა გააკეთო ის, რაც ჯერ სხვას არ გაუკეთებია.“ ეს სიტყვები ასაზრდოებდა მთელ მის შემოქმედებას.

ბუდენზიგმა მჭიდრო კავშირები დაამყარა საქართველოს-თან. იგი 1971 -1972 წლებში ორჯერ იყო თბილისში ჩამოსული რუსთაველის პოემის თარგმნასთან დაკავშირებით. მან „ვეფ-სისტყაოსნის“ გერმანული თარგმანი ჯერ თავის უურნალის „მიცევიჩ ბლეტერის“ ფურცლებზე დაბეჭდა, შემდეგ, 1976 წელს, ცალკე წიგნად გამოსცა „საბჭოთა საქართველომ“. თარგმანს ნამძღვარებული აქვს ჰ. ბუდენზიგის ვრცელი შესა-

ვალი სტატია, რომელიც დაწერილია სიყვარულითა და საქმის კარგი ცოდნით. აქ ჩანს პოეტის დიდი ინტერესი ქართული კულტურისადმი. მან თარგმანი მიუძღვნა ქართველ ხალხს: „ვუძღვნი რუსთაველის გამჩენ ქართველ ხალხს, რომელიც დღესაც მისი ერთგულია“. თარგმანს მაღალი შეფასება მისცეს სპეციალისტებმა: „მასში გადმოცემულია რუსთაველის ლექსის აზრობრივი დეტალები, გრძნობათა და ემოციათა ნიუანსები, ამასთანავე ლექსი იყითხება ლალად და თავისუფლად, გასაგებად და მსუბუქად“.

ბუდენზიგი გარდაიცვალა 1976 წელს. იგი ვერ მოესწრო თავისი თარგმანის ხილვას. 1977 წელს პოეტის მეუღლემ, ქ-ნმა ილზემ თბილისში გამოაგზავნა წერილი, რომელშიც წერდა: „1977 წლის 3 ივნისს, სწორედ ჩემი ქმრის დაბადების დღეს მივიღე თქვენ მიერ გამოგზავნილი „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის 20 ეგზემპლარი... წიგნი გამოცემულია ძალიან კარგად, როგორ გაეხარდებოდა ჩემს ქმარს, მისთვის რომ მოესწრო. ეს იყო მისი უკანასკნელი ნაშრომი“.

1978 წელს „განათლებამ“ გამოსცა ი. აბაშიძის „რუსთაველის ნაკვალევზე“ და „პალესტინა, პალესტინა“, რომლის გერმანული თარგმანი შესრულებულია ჰ. ბუდენზიგის მიერ.

**იოსეპ მოლიტორი (1903-1978)** — გერმანელი ფილოლოგი, ქართველოლოგი — იკვლევდა ძველ ქართულ საეკლესიო მწერლობას, კერძოდ, ქართული ახალი აღთქმის ისტორიას. მისი უმთავრესი ნაშრომებია „ქართულ-ლათინურ-ბერძნული ლექსიკონი“, „ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების კრებული“ (ქართველ მეცნიერთა პუბლიკაციების მიხედვით).

**პუბლ პუპერტი (1902 -1982)** — ავსტრიელი მწერალი, პოეტი, ლიტერატურის კრიტიკოსი, ევროპაში სახელგანთქმული ქართველოლოგი — თითქმის ერთნაირადაა ცნობილი ავსტრიაში, გერმანიასა და საქართველოში.

ჰ. პუპერტმა 1925 წელს დაამთავრა ვენის უნივერსიტეტი და მიენიჭა **საზოგადოებრივ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი**. 1926 წლიდან მოღვაწეობდა პარიზში, სწავლობდა სორ-

ბონის უნივერსიტეტში. 1928 - 1932 წლებში მუშაობდა მოსკოვში, მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტში, 1936 წლიდან — ურნალ „ინტერნაციონალური ლიტერატურის“ („გერმანული ფურცლები“) მთავარი რედაქტორის მოადგილედ, 1939 - 1941 წლებში — მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტში. 1944 - 1945 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიაში.

ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის ჰუპერტი 1963 წელს აირჩიეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელოვნების აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1964 წელს მიენიჭა გდრ-ის ჰ. ჰაინრიხ სახელობის პრემია, 1967 წელს კი — გდრ-ის ეროვნული პრემია. 1969 წელს ავსტრიის რესპუბლიკამ მიანიჭა პროფესორის წოდება და დაჯილდოვა მეცნიერებისა და ხელოვნების საპატიო ჯვრით.

საქართველო უცხოელი პოეტის შემოქმედების ერთ-ერთ ძირითად თემად იქცა XX საუკუნის 50-იანი წლებიდან. ჰუპერტის სახელი ჩვენში ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც იგი პირველად ჩამოვიდა საქართველოში (1949) და დაიწყო მზადება „ვეფხისტყაოსნის“ სათარგმნელად (ჰუპერტს ეს გადაწყვეტილება მიუღია მიხ. კვესელავასა და ალ. ფადეევის შეთავაზება-თხოვნით). სტუმარი გაეცნო ქართულ კულტურას, მოიარა მუზეუმები; შეისწავლა საარქივო მასალები, გეოგრაფიული ლიტერატურა, კულტურული ძეგლები; განსაკუთრებით, რუსთაველის დროის ქართული ფრესკული მხატვრობის დოკუმენტები....

ქართველმა კოლეგებმა ჰუპერტს შესანიშნავი მასპინძლობა გაუწიეს, ყოველნაირად უწყობდნენ ხელს მუშაობაში. მ. კვესალავამ მას დაუთმო საკუთარი ბინის ერთი ოთახი, ამარაგებდა ყველა საჭირო ლიტერატურით; მიუჩინა საუკეთესო კონსულტანტები, რომელთა შორის სტუმარი განსაკუთრებული სიყვარულით იგონებდა აკად. შალვა ნუცუბიძეს. ქართველი მეცნიერი ყოველ თარგმნილ მონაკვეთს გულდასმით ადარებდა დედანს, ალაგ-ალაგ ასწორებდა კიდეც...

ჰ. ჰუპერტმა 1954 წელს დაასრულა „ვეფხისტყაოსნის“ პოეტური თარგმანი, რომელიც დაიბეჭდა ბერლინში 1955 წელს

## გერმანია

---

მთარგმნელის წინასიტყვაობით — „რუსთაველი და მისი ეპოქა“ (წიგნი რამდენჯერმე გამოიცა).

ავსტრიელი პოეტი წინასიტყვაობაში ვრცლად განიხილავს რუსთაველის პოემას. მისი აზრით, რუსთაველისათვის, ადრინდელი მებრძოლი ჰუმანისტისათვის, ფილოსოფიური პოეზია ნიშნავს ცხოვრებისეულ სიპრძეს ადამიანურ სფეროში, მითითებას მოქმედებისაკენ, ამქვეყნიური კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის ბრძოლისაკენ. რუსთაველი არის ფილოსოფიური პოეზიის წარმომადგენელი, რომელიც ბრმად არ მიჰყვება არც აღმოსავლეთს და არც დასავლეთს. იგი არ ეძებს კავშირს წინააღმდეგობათა შორის, არამედ ცდილობს დაპირისპირების მოხსნას, რადგან სამყაროს ჰარმონიას სიკეთესა და მშვენიერებაში ხედავს. მთარგმნელის შეფასებით, „ვეფხისტყაოსანი“ დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ ბადალია.

შოთა რუსთაველის პოემის ჰუპერტისეულ თარგმანს ფართოდ გამოეხმაურა ევროპელი მკითხველი. გერმანელმა ქართველოლოგებმა გ. დეეტერსმა, გ. პეჩმა, ი. ასფალგმა, კ. შმიდტმა, ჰ. ფენრიხმა გერმანულ უურნალ-გაზეთებში გამოაქვეყნეს დადებითი რეცენზიები, მთარგმნელს მიენიჭა გდრ-ის კულტურის მინისტრის პრემია. დაჯილდოების სიგელში ნათქვამია: „ჰუგო ჰუპერტი შეძლო თავისი ბრწყინვალე ხატოვანი ენით არა მარტო ტექსტური სიზუსტით გადმოეცა ამ დიდი საგმირო პოემის შინაარსი, არამედ მიაღწია იმას, რომ გასაოცარი სისრულით გადმოსცა ამ ნაწარმოების თავისებური ფორმა, რაც ესოდენ უჩვეულოა და უცნაურიც კი გერმანული ენისათვის“.

საქართველოში მიღებულმა შთაბეჭდილებებმა ჰ. ჰუპერტს მხოლოდ შოთას პოემა როდი ათარგმნინა. 1954 წელს დაწერა ლირიკული ლექსების მთელი ტომი „ყარიბის ქართული არგანი“ // „მოგზაურის ქართული კვერთხი“, // „ქართველი მოგზაურის კვერთხი“). ავსტრიელი პოეტის ლექსთა კრებულის ძირითადი ლირსება სწორედ ის არის, რომ იგი ნათელ წარმოდგენას აძლევს უცხოელ მკითხველს თანამედროვე საქართველოზე და ამ კულტურის შემქმნელ ქართველ ხალხზე. „ამ წიგ-

ნით საქართველო გველაპარაკება გერმანულ ენაზე. აიღეთ ხელში იგი და იმოგზაურეთ არა ფანტაზიის სამეფოში, არამედ ხელშესახები ზღაპრული სილამაზის ქვეყანაში.” დასავლეთ საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებები ჰუპერტს აღწერილი აქვს ნარკევეში „შენი ვალი მაქვს, ბალდადის ზეცავ.”

ავსტრიელი ქართველოლოგი გერმანიის უურნალ-გაზე-თებში სისტემატიურად აქვეყნებდა საქართველოსადმი მიძღვნილ წერილებს: „რეპორტიორის თვალით დანახული რუსთაველი”, „ლირს პატივსაცემი თბილისი”... რომლებიც გაერთიანდა ავტორის პუბლიცისტური წერილების კრებულში „ნუთები და მომენტები” (1978, გდრ).

ჰ. ჰუპერტი 1958 წელს ავსტრიის სხვადასხვა ქალაქში კითხულობდა მოხსენებათა ციკლს სათაურით „საქართველო – კალიფორნია შავი ზღვის პირას”.

1966 წელს ჰუპერტი საქართველოში უკანასკნელად ჩამოვიდა რუსთაველის საიუბილეო ზემოში მონაწილეობის მისაღებად. თავის შესანიშნავ სიტყვაში მან ერთხელ კიდევ გამოკვეთა „ვეფხიტყაოსნის” ფილოსოფიური სილრმე, მუსიკალობა და აღნიშნა, რომ „ვეფხისტყაოსანი” მსოფლიო ლიტერატურის შედევრია, ხოლო თავად რუსთაველი – დიდი ჰუმანისტი და მსოფლიო კლასიკოსი.

1979 წელს გამოცემულ სამწიგნიანი მემუარების მე-3 ტომში „ქიში ორეულს” შეტანილია პოეტის მოგონებები საქართველოზე. ჰ. ჰუპერტს სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტია ფიქრი საქართველოზე. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „უნებურად სულ მუდამ ანდამატივით იზიდავდა, თავისკენ ეწეოდა შუადლის ქვეყანა, მოსძახოდა კავკასია, უხმობდა საქართველო”.

ავსტრიელი მოკეთე საქართველოს ნამდვილი პატრიოტი იყო. „საქართველომ ცხოვრების უძნელეს ჟამს გადამარჩინა როგორც პოეტი. სანამ ცოცხალი ვარ, შევეცდები საქართველოსა და ქართველების ამაგი გადავიხადო“, – ამბობდა იგი და, მართლაც, თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობით ჭეშმარიტად მოიხადა ვალი ჩვენი ხალხისა და კულტურის წინაშე.

## გერმანია

---

ქართველი საზოგადოება დიდად აფასებს უცხოელი ქართველოლოგის ღვაწლსა და დამსახურებას. თბილისში რამდენჯერმე გაიმართა ჰ. ჰუპერტის შემოქმედებითი საღამო. მადლი-ერების ნიშნად იგი ჩვენი ქვეყნის სახელით დაჯილდოვდა „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

**გერმანიული კერძოები (1910-1989)** – XX საუკუნის საზღვარგარეთული ქართველოლოგის ღირსეული წარმომადგენელი – დაიბადა დასავლეთ გერმანიაში. ქ. მიუნისტერის ქალთა ლიცეუმში ეუფლებოდა ფრანგულ, ინგლისურსა და ლათინურ ენებს, 1929 წლიდან კი მიუნისტერისა და ტიუბინგენის უნივერსიტეტებში – სემიტურ ენებსა და ქართულ ენას. გარდა ამისა, სწავლობდა ორიენტალისტიკას (აღმოსავლურ ენებსა და ეთნოგრაფიას, ლიტერატურასა და ისტორიას).

გ. პეჩი ქართული ენით დაინტერესდა ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში: „აღმოსავლეთის ქრისტიანული ლიტერატურის შესწავლისას დამჭირდა ქართული ენის ცოდნაც. მე სემიტურ ენებს ვსწავლობდი, შემუშავებული მქონდა მათი ათვისების საკუთარი მეთოდი და სწორედ ამ მეთოდით მივუდექი ქართულ ენას“.

პეჩმა მაღლ ისე შეიყვარა და გაითავისა ქართული ენა, რომ 1937 წელს ბრწყინვალედ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „პირიანი ზმნა მარკოზის სახარების ძველ ქართულ თარგმანში“, 1951 წელს კი – სადოქტორო დისერტაცია („ინდონეზიური ზმნა“).

1951 წელს გ. პეჩი მიიწვიეს დოცენტად ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტში, სადაც წინა აზიის ინსტიტუტში ხელმძღვანელობდა კავკასიოლოგიას, ხოლო ინდოგერმანულ ინსტიტუტში – ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილებას. 1959 წელს აირჩიეს პროფესორად. 1960 წლიდან მუშაობდა ქ. იენაში, ფრ. შილერის სახელობის უნივერსიტეტში, სადაც 1969 წლამდე იყო ფ. პესტერმანის სახელობის ლინგვისტიკის ინსტიტუტის დირექტორი, ასწავლიდა ქართულს. 1955 წელს გამოაქვეყნა წიგნი „ენის თეორიის ძირითადი საკითხები“,

1965 წელს კი – „ჰუმბოლტი და ენათმეცნიერება“. 1970 წელს პენსიაზე გავიდა.

გერმანელი მეცნიერი საქართველოს პირველად ეწვია 1958 წელს და მას შემდეგ ჩვენი ქვეყნის ხშირი სტუმარი იყო. 1970 წელს ხანგრძლივად დარჩა თბილისში. აქ იგი კითხულობდა ლექციების კურსს ენათმეცნიერებაში. ქართული ენის, ლიტერატურისა და, საერთოდ, ქართული კულტურის დიდმა სიყვარულმა და პატივისცემამ ერთგვარად განსაზღვრა გ. პეჩის, როგორც ქართველოლოგის, შემოქმედებითი მოღვაწეობის მრავალმხრივობა. იგი იკვლევდა ისტორიის, ლიტერატურისა და ენათმეცნიერების საკითხებს. ქართული ენის სტრუქტურასა და ისტორიას ეძღვნება მისი ნაშრომები: „ფინიტური ზმნა მარკოზის სახარების ძველ ქართულ თარგმანში“ (1938), „ქართული აორისტის კონსტრუქციი“ (1952), „ინტერნაციონალიზმები ქართულ ენაში“ (1964. მიუძღვნა სერგი ჭავენტის ხსოვნას), „ქართული ანტყო დრო – ინდოევროპული გავლენა თუ საკუთარი კანონზომიერი განვითარება?“ (1967), „ქართულ სიტყვათა სტრუქტურის ანალიზისათვის“ (1968) და ა.შ. ბოლო წლებში მკვლევარი დაინტერესებული იყო ქართული ენის ფონეტიკისა და ფონოლოგიის საკითხებით. ნაშრომებში: „ქართული მუღლერი ბერების ზოგიერთი თავისებურება“ (1975), „ფონემის ცნება ქართველოლოგიაში“ (1977) გამოთქმულია მეტად საგულისხმო მოსაზრებანი. ძველი ქართული ენის შესწავლისას მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ქართულ სიტყვათა სტრუქტურისა და ეტიმოლოგიის გარკვევა.

გ. პეჩი აქტიურად თანამშრომლობდა საზღვარგარეთის ქართველოლოგიურ უურნალ-გაზეთებში, აქვეყნებდა საყურადღებო რეცენზიებს. მან ჯუმბერ გაგნიძესთან ერთად შეადგინა „ქართულ-გერმანული სამეტყველო ენის ლექსიკონი“, რომელიც დაისტამბა ციურისის ქართულ გამომცემლობაში.

ლირსსაცნობია ისიც, რომ გერმანელმა მეცნიერმა რუსთველოლოგიურ საკითხებს მიუძღვნა რამდენიმე ნაშრომი („ჰუმანიზმის გმირული სიმღერა“, „ვეფხისტყაოსნის“ შემქმნე-

## გერმანია

ლი”, „ძველი სიმღერა – ახალი ცხოვრება”, „შოთა რუსთაველი – ქართველი ერის პოეტი”, „ღმერთის ხატი და ადამიანის სახე რუსთაველიდან”...) და სხვადასხვა მხრივ გააშუქა რუსთაველის პოემასთან დაკავშირებული რთული სამეცნიერო პრობლემატიკა. 1970 წელს უურნალში „Sinn und Form” დაბეჭდა კიდევ ერთი საინტერესო წერილი – „ვეფხისტყაოსანი”, როგორც დროის ამსახველი დოკუმენტი“.

ქართული ლექსის მრავალფეროვნებასა და ენის სტრუქტურაზე დაკვირვებამ პერი ლოგიკურად მიიყვანა ქართულ მხატვრულ ნანარმოებთა თარგმნის იდეამდე. ქართველოლოგი ქალის შრომისმოყვარეობამ და ნიჭიერებამ ჩანაფიქრი სინამდვილედ აქცია. მან ქართულიდან გერმანულად თარგმნა კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა” (1969). გერმანელი მკითხველი ამ თარგმანს მოწოდებით შეხვდა, დაინერა რეცენზიები. მაგალითად, ქართველოლოგი ვინფრიდ ბოედერი წერდა: „შემიძლია კარგად წარმოვიდგინო, რა გოლიათური შრომა დაგჭირდათ, რომ ეს ნანარმოები ასე კარგად, ასე ფაქიზად გეთარგმნათ. ენობრივად იგი იკითხება როგორც გერმანულად დაწერილი რომანი. მოხარული ვარ, რომ ქართული ლიტერატურის ასეთი ბრწყინვალე ნიმუში გერმანელი მკითხველისათვის ხელმისაწვდომი გახადეთ”, ხოლო თავად დიდმა მწერალმა კ. გამსახურდიამ თავისი მადლიერება და შეფასება – მოწოდება ქ-ნ გერტრუდასთან პირად საუბარში ლაკონიურად გამოხატა ერთი ფრაზით: „არ მეგონა, ქართული თუ ასე კარგად იცოდით“.

1972 წელს გამოვიდა შ. ძიძიგურის წიგნის „ქართული ენა” პერისეული გერმანული თარგმანი მისივე ვრცელი წინასიტყვაობით, სადაც დახასიათებულია შ. ძიძიგურის ღვაწლი ქართულ ლინგვისტიკასა და კულტურის ისტორიაში.

**შენიშვნა:** 1974 წელს ამ წიგნზე რეცენზია დაწერა გერმანელმა მეცნიერმა რუდოლფ გრუდლიმა, რომელმაც ერთხელ კიდევ ხაზგასმით მიუთითა ქართული ენის ლირსება-უპირატესობაზე: „ძველი კულტურის ენა — ქართული რუსთაველის ენაა, რუსთაველისა, რომელიც მსოფლიო ლიტერატურის დიდ პოეტთა რიცხვს მიეკუთვნება... ეს ენა დღესაც აღძრავს დიდ ინტერესს. მას გერმანიის უნივერსიტეტებში ნარმატებით სწავლობენ.“

**1985 წელს გერმანელი მკითხველი მშობლიურ ენაზე გაეცნო პერის მიერ შესრულებულ „ქართლის ცხოვრების“ გერმანულ თარგმანს.** სწორედ ამ თარგმანს მიეძღვნა 1986 წლის 19 დეკემბრის საგანგებო სხდომა საქართველოს მწერალთა კავშირის მთარგმნელთა სექციაში. ქართველმა სპეციალისტებმა მაღალი შეფასება მისცეს ნაშრომს და მადლიერებით მოიხსენიეს გერმანელი მეცნიერის დიდი ღვაწლი ქართველობოგიაში.

ჭეშმარიტად დიდია გ. პერის დამსახურება ჩვენი კულტურის შესწავლა-პოპულარიზაციაში. მან ღირსეულად განაგრძო გერმანული ქართველობოგიური სკოლის ტრადიციები და თავადაც გახდა ამ ასპექტით ბევრი სასიკეთო საქმის თაოსანი. მაგალითად, მან დააარსა ქართველობოგის ცენტრი იენის უნივერსიტეტში, აღზარდა მრავალი ქართველობოგი, რომლებიც დღეს წარმატებით მუშაობენ ქართული კულტურის მნიშვნელოვან საკითხებზე.

გ. პერის შემოქმედებითი მოღვაწეობის შესაფასებლად მოვიხმობთ თავად მეცნიერის სიტყვებს: „ას წელზე მეტია, რაც დასავლეთ ევროპელმა მეცნიერებმა დაიწყეს ქართველური ენების შესწავლა. დღეს მეცნიერების ამ დარგის სამშობლო თვით საქართველოა. ჩვენ, საქართველოს ფარგლებს გარეთ მომუშავე ქართველობოგები, მჭიდროდ ვართ დაკავშირებული ამ ცენტრთან და აქედან ვიღებთ საჭირო დახმარებას. ჩვენთვის დიდი პატივია, რომ გვევალება შევასრულოთ მთარგმნელის როლი და პოპულარიზაცია გავუწიოთ ჩვენს სამშობლოში თქვენი ძველი და ახალი კულტურის ჰუმანისტურ ქმნილებებს. ამით ჩვენ ვემსახურებით კაცობრიობის უმაღლეს მიზანს: ხალხთა შორის მეგობრობისა და მშვიდობის განმტკიცებას.“

**იულის ასვალგი (1919-2001) – მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორი, ქრისტიანული აღმოსავლური კორპუსის არაბული სექციის გამგე – კითხულობდა ქართველობოგის სხვადასხვა კურსს, უმთავრესად, ძველ ქართულ ენასა და საეკლესიო მწერლობას. მას დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული კულტურის შესწავლა-წარმოჩენაში.**

## გერმანია

---

ი. ასფალგის საკვლევაძიებო სფერო მოიცავდა ეთიოპიურ, სირიულ, არაბულ, სომხურ, ქართულ ენებსა და ამ ერების ძველ მწერლობას, ვიწრო სპეციალობა კი ქართული საეკლესიო ლიტერატურა იყო. ცნობილი ქართველი ემიგრანტი მეცნიერის მიხ. თარხნიშვილის მოწაფე მასწავლებლის წყალობით ისე კარგად გაინაფა ქართულ ენაში და ეზიარა ქართულ საეკლესიო მწერლობას, რომ ცოტა ხნის შემდეგ ძველ ქართულ ენაში თავად ამზადებდა მიუნხენის უნივერსიტეტში სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტებსა და ასპირანტებს (ესენი იყვნენ: გერმანელები, ბერძნები, ბელგიელები, ავსტრიელები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები).

გერმანელი ქართველობოგი ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რაშიც დიდ დახმარებას უწევდა შემოქმედებითი კონტაქტები ქართველ მეცნიერებთან (განსაკუთრებით ალ. ბარამიძესთან), რომლებიც უწევდნენ კონსულტაციებს, აწვდიდნენ სამეცნიერო ლიტერატურას (ცნობილია, რომ ასფალგს ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა ქართველობოგიაში), სამაგიროდ, ქართველ კოლეგებს მისგან მოსდიოდათ უაღრესად საჭირო იშვიათი ლიტერატურა — ამერიკასა და ევროპაში ძნელად ხელმისაწვდომი წიგნები. ასფალგი საქართველოში იყო სამჯერ: 1960, 1965, 1966 წლებში. მონაწილეობდა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში.

მდიდარი და მრავალფეროვანია გერმანელი მეცნიერის ქართველობიური ნალვანი. მას ეკუთვნის შრომები: „ქართული სასულიერო მწერლობა“ (1957), „ძველი ქართული ენის შესწავლა საქართველოში“ (1958), „საეკლესიო წელიწადისა და ქართული ეკლესის უახლესი ისტორიის შესახებ“ (1960), „პრალაში დაცული ფრაგმენტი იაკობის უამისნირვის ძველი ქართული ტექსტისა“ (ი. იედლიჩკასთან ერთად, 1961), „ქართული ხელნაწერები“ (1963), „კიტა ჩხენკელი“ (1964), „ქართული შტუდიების შესახებ გერმანიაში“ (1965), „იარომირ იედლიჩკა“ (1966), „ძველი ქართული ენის მოკლე გრამატიკა“ (რ. ზვოლე-

ნეკთან ერთად, 1976) და სხვ. ი. ასფალგმა შეადგინა მ. თარხნიშვილის ნაშრომების პიბლიოგრაფია; იგი ავტორია მრავალი სა-ლექსიკონო სტატიისა საქართველოს, ქართული ენისა და ლიტერატურის, დამწერლობის, ეკლესიის შესახებ. განსაკუთრებით ფასულია წიგნი „ქართული ხელნაწერები“ (ავტორმა იგი უძღვნა მიხ. თარხნიშვილის სსოვნას). მასში პირველადაა აღნერილი გერმანიის წიგნსაცავებში დაცული 15 ქართული ხელნაწერი თანამედროვე მეცნიერული პრინციპებით.

კ. კეკელიძის „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“ მიხ. თარხნიშვილმა და ი. ასფალგმა გადაამუშავეს, გერმანულ ენაზე თარგმნეს და გამოსცეს 1955 წელს სახელწოდებით „ქართული საეკლესიო მწერლობის ისტორია.“ ამ წიგნის გამოსვლას ქართველოლოგიაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რაც სრულად იყო წარმოჩენილი ჩვენში თუ საზღვარგარეთ გამოქვეყნებულ რეცენზიებში: „გერმანულ გამოცემაში გამოტოვებულია კ. კეკელიძის წიგნის ზოგიერთი ნაწილი, ხოლო ზოგიც დამატებულია ავტორთა მიერ. ამ წიგნს ერთვის სხვა დიდი მნიშვნელობის გამოკვლევა — „უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში“. მიხ. თარხნიშვილისა და ი. ასფალგის ამ წიგნმა დიდი სამსახური გაუწია უცხოელ სპეციალისტებსა და დაინტერესებულ პირებს მდიდარი ქართული ლიტერატურის გაცნობასა და შესწავლაში. მან ნათლად დაანახა მთელ ქვეყანას, რომ ბევრ შემთხვევაში თვით ბერძნული დედნები დროთა ვითარებაში დაკარგულა და ეს მნიშვნელოვანი ძეგლები მხოლოდ ქართულ თარგმანებს შემოუნახავს და დაღუპვისაგან გადაურჩენია. ძველი ქართული ლიტერატურის მსოფლიო მნიშვნელობა აქაც მკაფიოდ ჩანს“ (ი. იმნაიშვილი).

1965 წელს ი. ასფალგმა გამოაქვეყნა საინტერესო ნაშრომი, რომელშიც განხილულია გერმანელი და გერმანიაში მომუშავე ქართველოლოგების მეცნიერული მემკვიდრეობა, დაფასებულია მათი დიდი ღვანლი.

ქართველი ხალხიც პატივს მიაგებს ჩვენი ქვეყნის მოამაგეს ქართველოლოგიაში განეული ესოდენ ნაყოფიერი საქმია-

## გერმანია

---

ნობისათვის და მადლიერებით მოიგონებს იულიუს ასფალგის სახელს.

**ნიკოლოზ ჯანელიძე** (ჯანესი) (1921-1993) ის ემიგრანტი ქართველია, რომლის მოღვაწეობასთან გარკვეულად დაკავშირებულია გერმანიაში ქართველობოგიური მუშაობის მასშტაბურობა და მაღალნაყოფიერება. იგი ცხოვრების უკულმართობამ გერმანიაში მოახვედრა, თუმცა მას არც ერთი დღე არ უცხოვრია საქართველოზე ფიქრის გარეშე.

6. ჯანელიძე დაიბადა სამტრედიაში. სწავლობდა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ლექციებს უკითხავდნენ პროფესორები ალ. ბარამიძე და ალ. ლლონტი. „ჩემს მოძღვრად ყოველ-თვის მივიჩნევ ამ ორ ადამიანს“, — მადლიერებით იგონებდა ხოლმე ბ-ნი ნიკოლოზი.

7. ჯანელიძემ ინსტიტუტის დამთავრების დიპლომის აღებაც კი ვერ მოასწრო, 1941 წელსვე გაიწვიეს ფრონტზე. იბრძოდა ქართველთა სასაფლაოდ აღიარებულ ქერჩში, სადაც დაიჭრა და თავის ნაწილს ჩამოშორდა. მართალია, იგი სიკვდილს გადაურჩა, მაგრამ ტყვეობის მწარე ხვედრი მაინც ერგო – თავის მამულში მუშად აიყვანა ერთმა გერმანელმა გლეხმა, რომელიც შემდგომში კეთილად განეწყო შრომისმოყვარე ჭაბუკისადმი და დაეხმარა ენის დაუფლებაში. როცა გაიგო, რომ ჯანელიძეს უნდოდა იტალიაში მ. თარხნიშვილთან ნასვლა, ხელი არ შეუშალა. მეტიც: 6. ჯანელიძემ კეთილი მეპატრონისა და იმხანად გერმანიაში მცხოვრები აკაკი გამსახურდიას დახმარებით თავი დააღნია ტყვეობას, ჩავიდა რომში და სახელგანთქმული პროფესორის, მიხ. თარხნიშვილის, ხელმძღვანელობით გაიარა ასპირანტურის კურსი. ვატიკანში მიიღო კათოლიკობა (ამ დროს მ. თარხნიშვილის მოწაფე ყოფილა გერმანელი იულიუს ასფალგი).

სწავლის დამთავრების შემდეგ 6. ჯანელიძეს მისცეს მონმობა, რომლითაც მას ეძლეოდა ქართული ენის მასწავლებლობის უფლება ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში. იგი კვლავ გერმანიაში დაბრუნდა და მოახერხა ქალალდის მეორადი გადა-

მუშავების პატარა საწარმოს გახსნა. ეკონომიურად სული მოითქვა. შემდეგ მიაკვლია ქართულ ოჯახებს და დაუმტევობრდა.

6. ჯანელიძემ მუშაობა დაიწყო ქართული ენის ლექტორად ჰამბურგის უნივერსიტეტში ქართული ენის კათედრაზე, რომელსაც განაგებდა კიტა ჩეხენცელი. შემდეგ, როცა კ. ჩეხენცელი ციურიხში გადასახლდა, 6. ჯანელიძე გადავიდა პროფ. ბერტოლდ შპულერთან ენათმეცნიერების კათედრაზე, სადაც რამდენიმე სტუდენტს ასწავლიდა ქართულ ენას. წელიწადში მას, როგორც ქართული ენის ლექტორს, ათამდე მოწაფე ჰერმან ბონი მათ შორის დღეისათვის ცნობილი ქართველოლოგი ვინფრიდ ბოედერი.

ჰამბურგის გარდა, 6. ჯანელიძე ქართულ ენას ასწავლიდა კილის უნივერსიტეტში. პარალელურად იგი მსურველებს ქართულ ცეკვასა და სიმღერასაც აზიარებდა. განსაკუთრებით დიდი მოწონება ჰქონდა მის მიერ მოთხოვნილ ქართულ ზღაპრებს საბავშვო ბალებსა და რადიოში.

... ასე თანდათან დაიპყრო 6. ჯანელიძემ გერმანელი საზოგადოების გული. ენამახვილი, იუმორით აღსავსე ქართველი ბევრს მოსწონდა, ბევრი უმეგობრდებოდა. „სადაც კი ფეხი დაადგა ბატონმა ნიკომ, ყველას ქართული გამარჯობა ასწავლა“, — ამბობდნენ იქაური ქართველები და გერმანელებიც. მის მეგობრებად აღიარებდნენ თავს პროფესორები: ბ. შპულერი და ჰ. ბრაუნი. სწორედ მათი მეშვეობით დაიწყო 6. ჯანელიძემ ჰამბურგის უნივერსიტეტში მოღვაწეობა. მალე იგი სხვაგანაც მიიწიეს ლექციების წასაკითხად.

6. ჯანელიძეს ხშირად კაპიკი არა აქვს და მანც უფასოდ მონაწილეობს საქველმოქმედო საქმეებში, — აღნიშნავდნენ მისი ნაცნობი ქართველები, თავად ნიკოლოზი კი ამბობდა: „რომ მქონდეს, ფულს იქით მივცემ, თუკი ჩემი ერის კულტურას, ენას ვინმეს შევასწავლი, რაც ჩემს სამშობლოს გამოადგება“. ახლობლების თქმით, იგი მთელი ცხოვრების მანძილზე კაპიკს კაპიკზე აწებებდა, რომ საკუთარი სახსრებით დაესტამბა ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო შედევრები, რათა ჩვენი

## გერმანია

---

ქვეყნის კულტურა გაეცნო გერმანელი ხალხისათვის. ამ საქმეში დიდ როლს ასრულებდა მის მიერ დაარსებული გამომცემლობა „საქართველო“, რომელშიც ბეჭდავდა თარგმნილ თუ ორიგინალურ ნაწარმოებებს.

6. ჯანელიძე ნაყოფიერ მთარგმნელობით საქმიანობას ეწეოდა. ერთგული მეგობრისა და თანამემნის – **ლილი პაპე – გეგელაშვილისა** და მისი ვაჟის – **ულრიხის** დახმარებით თარგმნა და საკუთარ გამომცემლობაში დასტამბა ვაჟას „შელის ნუკრის ნაამბობი“, ნაწვეტები ი. ჭავჭავაძის მოთხოვნებიდან. 1961 წელს ქ. იტცეპოეში გერმანულ ენაზე გამოსცა „**ნინო მოციქული**“, რომლისთვისაც გამოიყენა ძველ ქართულ მწერლობაში ცნობილი „ცხორებად და მოქალაქეობად ღირსისა და მოციქულთა სწორთა ნეტარისა ნინოვისი“, სადაც აღნერილია წმინდა ნინოს მიერ ქართველთა გაქრისტიანების ამბავი. ტექსტის გადათარგმნა-დადგენაში დახმარებია პროფ. მიქელ თარხნიშვილი. წიგნი დასურათებულია მირიანისა და წმინდა ნინოს პორტრეტებით, აგრეთვე, წმინდა გიორგის ქართული ხატით, სვეტიცხოვლისა და ჯვრის სურათებით.

1984 წელს 6. ჯანელიძემ გამოსცა **რუსთაველის პოემის შემოკლებული გერმანული პროზაული თარგმანი**, რომელიც შესრულებული პერიოდისა და მის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ გერმანული თარგმანები. წიგნი დასურათებულია მიხაი ზიჩისა და ირაკლი თოოიძის შესანიშნავი ილუსტრაციებით. თარგმანს ახლავს კილის უნივერსიტეტის პროფესორის პანს- პაინრიკ ნიმანის წინასიტყვაობა, სადაც მიმოხილულია ქართველი ხალხის უძველესი კულტურა, მისი თავისთავადობა და თვითმყოფადობა: „ვეფხისტყაოსანი“ შუა საუკუნეების ქართული კულტურის მწვერვალია. ამასთან ის არის მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი ქვაკუთხედი და ნიშანსვეტი.“

6. ჯანელიძემ ძვირფასი წიგნები საჩუქრად დაურიგა გამოჩენილ მოღვაწეებს, მათ შორის, **რომის პაპს** და სთხოვა სა-

შობაო და საალდგომო დღესასწაულებზე ქართულ ენაზე მი-სალმებოდა ქრისტეს მორნმუნებს. რომის პაპის წერილში ვკითხულობთ: „დიდად პატივცემულო ბ-ნო ნიკოლოზ ჯანელი-ძე! სახელმწიფო სამდივნო ადასტურებს თქვენი საყურადღებო წერილისა და მასთან ერთად გამოგზავნილ „ვეფხისტყაოსნის“ პატარა ტომის მიღებას. წმ. მამა გულითად მადლობას გიძ-ლვნით ამ კავშირისა და პატივისცემისათვის და გულწრფელად გთავაზობთ ლვთის მფარველობას თქვენი ცხოვრების მომავალ გზაზე“ (დამოწმებულია აკ. გელოვანის წერილიდან: „თბილი-სი“, 27 მარტი, 1990).

უცხოეთში დიდი პოპულარობა მოიპოვა ნ. ჯანელიძისა და ლილი პაპე-გეგელაშვილის წიგნმა „ქართული სამზარეულო“, რომელიც რამდენჯერმე გამოიცა, თუმცა ბ-ნი ნიკოლოზის მოღვაწეობის გვირგვინი არის 1974 წელს გერმანულ ენაზე გა-მოქვეყნებული „ქართული ზღაპრები“. კრებულში შესულია 29 ზღაპარი. წიგნის გარეკანს ამშვენებს ლადო გუდიაშვილის ნა-მუშევრის მიხედვით ოოპანეს კლოცის მიერ შესრულებული სურათი. მასში ჩართულია ქართულ მოტივზე შესრულებული ილუსტრაციები (რომელთა უმეტესობა ამოღებულია უურნალი-დან „დილა“). ბოლო გვერდი უჭირავს ცნობებს საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის, ბუნების, ისტორიისა და ბუნებ-რივი სიმდიდრეების შესახებ. გერმანელმა მკითხველმა გულ-თბილად მიიღო „ქართული ზღაპრები“. მრავალ რეცენზიისა და გამოხმაურებაში წარმოჩენილი იყო წიგნის ღირსება და მთარ-გმნელის დიდი დამსახურება ქართული კულტურის ისტორიაში.

1983 წელს 6. ჯანელიძემ თავის გამომცემლობაში გერმა-ნულ ენაზე დაბეჭდა ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოს მი-ხედვით შედგენილი „დედაენა“. წიგნი გამიზნული იყო ქართუ-ლი ენის შემსწავლელ სტუდენტთათვის (მის შედგენაში 6. ჯანე-ლიძის გარდა მონაწილეობა მიუღიათ კილის უნივერსიტეტიდან ულრის იუნგსა და ჰანს-ჰაინრიხ ნიმანს). გარდა ისტორიული ნარკვევისა „არგონავტებიდან დღევანდელ დღემდე“, წიგნში ვხვდებით საქართველოს რუკასა და ქართველი მეფის ფარნა-

## **გერმანია**

---

ვაზის სურათს, რომელიც ნ. ჯანელიძემ დასავლეთ გერმანიაში გაავრცელა ღია საფოსტო ბარათების სახით. მანვე შეადგინა „გერმანულ-ქართული სასაუბრო“ (მისმა სტუდენტმა ვოლ-ფგანგ ლანგემ — „გერმანულ-ქართული და ქართულ-გერმანული ლექსიკონი“).

6. ჯანელიძის უშუალო ხელმძღვანელობით ტარდებოდა მრავალი ღონისძიება, რომელიც ხელს უწყობდნენ ქართული და გერმანული ლიტერატურის, ხელოვნებისა და კულტურის დაახლოებას. მაგალითად: **1966** წელს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში აღინიშნა **შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის იუბილე**, რომელშიც დიდი წვლილი შეიტანა ნ. ჯანელიძემ. მან ამ თარიღთან დაკავშირებით ჰამბურგის უნივერსიტეტში მოაწყო საგანგებო გამოფენა და საღამო. მასში მონაწილეობდნენ გამოჩენილი დასავლეთ გერმანელი მეცნიერები: ჰ. ბრაუნი, ჰ. შტულერი, ი. ასფალგი და სხვები. იმავე წელს ქართველმა მკვლევარმა ჰამბურგში გერმანულ ენაზე გამოსცა ამ ღონისძიებათა ამსახველი მასალების კრებული. გარდა ამისა, აღსანიშნავია **1988** წლის ნოემბერში იტცეპოეში მოწყობილი **ქართული წიგნის დიდი გამოფენა**.

6. ჯანელიძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქართველ მწერლებთან, მეცნიერებთან, განსაკუთრებით აკ. გელოვანთან, რომელიც სისტემატურად უგზავნიდა გერმანიაში მეგობარს ქართულ ლიტერატურას. მეორე მხრივ, ნ. ჯანელიძე მას აწვდიდა თავის ნაშრომებსა და იქაურ კულტურულ-სამეცნიერო მუშაობის ამბებს, ცნობებს. იგი დაუცხრომლად იღვნოდა სამშობლოს კეთილდღეობისა და ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის. ამაზე მეტყველებს მეცნიერის წერილი აკ. გელოვანისადმი: „გამოფენის გახსნის დღეს მივიღე თქვენი კეთილი სიტყვებით გამოთქმული წერილი. ასე მგონია, საქართველოს მზემ ჩამოანათა ჩემს გულში! რა თქმა უნდა, მე საქართველოს მზის სხივების სითბოთი და მათი სიყვარულით ვცხოვრობ ამ ცივ უცხოეთში, ჩრდილოეთ გერმანიაში, სადაც ოდესლაც ბედმა მომახვედრა... მე ხშირად ი. ჭავჭავაძის ლექსებს ვეუბნე-

ბი გერმანელებს ლექციებზე და კელნის უნივერსიტეტის დარბაზში, სადაც განახლდა ქართული ენის კურსის სწავლება და ახალი სტუდენტები გამოჩნდნენ. „ხმალი იმოდენს ვერას იქმს, მრისხანე და ძლიერიო, რასაც იქმს მშვიდობიანი კალმის პატარა წვერიო“.

**1990 წელს** ჰამბურგის უნივერსიტეტში აღინიშნა **6. ჯანელიძის დაბადების 70 წლისთავი**. ქართველი მეცნიერის ღვანელზე გულთბილად ისაუბრეს ორიენტალისტიკის ფაკულტეტის დეკანმა ქ-ნმა ი. რალონიუმ, თეოლოგიის დოქტორმა პ. ფიშერ-აპელიმ, პროფ. პ. ბრაუნმა და სხვებმა. განსაკუთრებით საინტერესო სიტყვა წარმოთქვა 6. ჯანელიძის ღირსეულმა მოსწავლემ ვ. ბოედერმა. 6. ჯანელიძეს საიუბილეო თარიღი მიუღლოცა იტცეპოეს გაზეთმა. მან „იტცეპოელ რობინზონს“ ცოცხალი ისტორია უწოდა და ასე დაახასიათა: „ყოველთვის ხუმრობისათვის გუდამომარჯვებული, სხვისი წუხილის გამზიარებელი, დაუზარელი, ყოველთვის მოფუსფუსე.“

6. ჯანელიძემ განსაკუთრებით დიდი წვლილი შეიტანა საარბიტუკენში ქართული კულტურის დღების წარმატებით ჩატარებაში. გერმანული პრესა დიდად აფასებდა ქართველი მოღვაწის კეთილშობილურ საქმიანობას ერთა კულტურული კონტაქტების განმტკიცებაში. ამ დიდი დამსახურებისათვის 1983 წელს მას, ქართველთა შორის პირველს, მიანიჭეს დიდი მეცნიერის ალბერტ შვაიცერის მშვიდობის პრემია (მედლის გადასაცემად იტცეპოეში რომის პაპის წაპის წარმომადგენელი ჩავიდა).

6. ჯანელიძის მრავალწლიანმა მუშაობამ და კვლევამ, ჰამბურგის უნივერსიტეტის პრეზიდენტის პროფ. პ. ფიშერ-აპელის სიტყვებით, „თვალსაჩინო სარგებლობა მოუტანა სტუდენტებსა და საერთოდ მეცნიერებას, ხალხთა მეგობრობის დიდ საქმეს“.

6. ჯანელიძის ღვანელის შესაფასებლად მკითხველს ვთავაზობთ ამონარიდს 6. კაკაბაძის საგაზეთო სტატიიდან: „ბ-ნი 6. ჯანელიძე იყო „პროფესიონალი“, „მონისტური“, „არაშემთავსებელი“ პატრიოტი – ეს იყო მისი სპეციალობა, მისი პროფესია. სხვა პროფესია და სპეციალობა მას არ ჰქონდა. იგი ხარობდა

## **გერმანია**

და ლხენას ეძლეოდა, გლოვობდა და მწუხარებდა ყოველთვის და უკლებლივ სამშობლოს „კონტექსტში“. ამ მხრივ მას თითქოს „ბედიც“ ხელს უწყობდა: არასოდეს ჰყოლია არც ცოლი და არც შვილი. მთელი თავისი სიცოცხლე შეალია გერმანიაში ქართული კულტურის, ქართული ენის, ქართული ხელოვნების გერმანელებისათვის გაცნობისა და შეყვარების საქმეს“.

თავად ბ-ნი ნიკოლოზი თავმდაბლობით აცხადებდა: „ქება და დიდება კარგია, მაგრამ არ ვიცი, თუ რამეს ვიმსახურებ. ყოველ შემთხვევაში, რასაც ვაკეთებდი, სიყვარულით და პატივის-ცემით მიკეთებია. ყველაფერს საქართველოს ერთგულ შვილებს ვუძღვნი“.

6. ჯანელიძეს კარგად იცნობდნენ იტცეპოესა თუ მის მიმდებარე ქალაქებსა და სოფლებში, როგორც ქართული კულტურის, ხელოვნების, ქართული ყოფის მგზნებარე პატრიოტს.

**კარლ პორსტ შვილთი** (დ. 1929) – ბონის საენათმეცნიერო ინსტიტუტის დირექტორი, შედარებითი ინდოევროპული ენების კათედრის გამგე, მიუნისტერისა და ბონის უნივერსიტეტების პროფესორი – ცნობილი გერმანელი ქართველოლოგია.

1948 წელს დაამთავრა დესაუს გოეთეს სახელობის გიმნაზია, 1949-1956 წლებში სწავლობდა ბერლინის, კელნის, ბონის, დუძლინისა და მიუნხენის უნივერსიტეტებში. 1954 წელს ბონის უნივერსიტეტში დაიცვა **საკანდიდატო დისერტაცია** შედარებით ენათმეცნიერებაში (კელტოლოგია, ინდოლოგია), 1960 წელს კი – **სადოქტორო დისერტაცია**, რომელიც შემდგომ დაბეჭდა ცალკე წიგნად და უძღვნა თავისი მასწავლებლის დეფერსის ნათელ ხსოვნას. ეს არის გერმანელი ენათმეცნიერის მიერ მეტად საინტერესოდ შედგენილი ქართული ეტიმოლოგიური ლექსიკონი, რომელიც პირველია ამ დარგში და რომელმაც ნამდვილად დიდი ინტერესი აღძინა. წიგნის წიგნისა და შორის. წიგნის წიგნასიტყვაობაში ავტორი მადლობას უხდის ქართველ მეცნიერებს: გ. ახვლედიანს, არნ. ჩიქობავას, აკაკი და მზექალა შანიძეებს, ვ. თოფურიას, ს. ულენტს, გ. მაჭავარიანს, თ. გამყრელს.

ლიძეს, ა. ჭინჭარაულს, რომლებმაც დიდი დახმარება გაუწიეს ნაშრომის შემდგომ გადამუშავებასა და სრულყოფაში.

კ. შმიდტი 1964 წლიდან მიუნხენის უნივერსიტეტის ინდო-ერმანული ენათმეცნიერების კათედრის პროფესორია, 1966 წლიდან – ქ. ბოზუმის უნივერსიტეტის შედარებითი ენათმეცნიერების კათედრის პროფესორი. იგი ძირითადად ენათმეცნიერია. მისი ნაშრომები ეძღვნებოდა **ქართული, სომხური, ოსური ენების საკითხებს**. ესენია: „პასივი ქართულსა და ინდოგერმანულ ენებში“, „ასპექტი ქართულსა და ინდოგერმანულ ენებში“, „ინდოგერმანული მედიუმი და სათავისო ქცევა ქართულში“, „დრო ქართულსა და ინდოგერმანულ ენებში“, „გ. დეეტერსი“, „კონიუნქტივი და ფუტურული ქართულსა და ინდოგერმანულ ენებში“ და სხვ.

ქართველი კოლეგები მაღალ შეფასებას აძლევდნენ შმიდტის გამოკვლევებს, რომლებიც ძირითადად ზოგადი ენათმეცნიერული ხასიათისაა. თ. გამყრელიძის აზრით, შმიდტის „ქართველობრივი ნაშრომთაგან აღსანიშნავია ქართველურ ენათა ისტორიული შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მონოგრაფია „ქართველური ფენის ბგერითი სისტემის რეკონსტრუქციისათვის“ (ვისბადენი, 1962, ქართული თარგმანი 1964). ეს წიგნი ერთი პირველთაგანია იმ შრომათა შორის, რომლებიც მოასწავებენ ქართველურ ენათა შედარებით ისტორიული შესწავლის დარგში ახალი მიმართულების დაწყებას საერთო ქართველური ფუნდენის რეკონსტრუქციის პრობლემათა განსაკუთრებული გათვალისწინებით. შმიდტის შრომებში სპეციალური განხილვის საგანია აგრეთვე ქართველურ და ინდოევროპულ ენათა ტიპოლოგიური შედარების პრობლემა“.

გერმანელი მეცნიერი რამდენჯერმე ჩამოვიდა საქართველოში. იგი გაეცნო აქაურ სამეცნიერო დაწესებულებებს, დაუმეგობრდა ქართველ კოლეგებს. 1987 წელს საქართველოს ენათმეცნიერების ინსტიტუტის მოწვევით წაიკითხა ოთხი მოხსენება: რუსულად (ორი), გერმანულად და ინგლისურად. მომ-

## გერმანია

---

სესენებელი შეეხო კავკასიონლოგიის, არმენოლოგიისა და ინდო-ევროპული ენების ისტორიის საინტერესო პრობლემებს.

1966 წელს შოთა რუსთაველის საიუბილეო დღეებთან და-კავშირებით კ. შმიდტი კვლავ ეწვია საქართველოს, აქტიური მონაწილეობა მიიღო საზეიმო ღონისძიებებში; მაღალი შეფასება მისცა „ვეფხისტყაოსანსა“ და მის ავტორს: „მე ვიცნობ პოე-მის ღრმა ფილოსოფიურ სამყაროს, პოემის მაღალ ჰუმანისტურ იდეალებს. ამიტომ შემიძლია ვთქვა: შოთა რუსთაველი კაცობრიობის რჩეულ პოეტთა და მოაზროვნეთა რიცხვს ეკუთვნის.“

გარდა სპეციალური გამოკვლევებისა, გერმანელი მეცნიერი საზღვარგარეთის პრესაში სისტემატურად აქვეყნებდა რე-ცენზიებს საქართველოსა და უცხოეთში დაბეჭდილ სხვადასხვა ქვეყნის ქართველოლოგთა ნაშრომებზე, საგანგებო ანოტაციებითა და მიმოხილვებით აცნობდა უცხოელ მკითხველს ქართული მეცნიერების მიღწევებს.

1963 წლიდან კ. შმიდტი იყო „რევიუ დე კარტველოლოგი-სა“ და „შტუდიო კაუკაზიკას“ სამეცნიერო საბჭოს წევრი. იგი მთელს მსოფლიოში ცნობილია, როგორც ქართული კულტურის დიდი მცოდნე და პოპულარიზატორი.

გერმანელი ქართველოლოგი 1988 წელს სპეციალური მონ-ვევით ესტუმრა საქართველოს, მონაწილეობდა თბილისის სა-ხელმწიფო უნივერსიტეტის 70 წლისთავის საიუბილეო ღონისძიებაში. სწორედ ამ დღეებში ჩატარებულ ქართველოლოგთა მეო-რე საერთაშორისო სიმპოზიუმის პლენარულ სხდომაზე ოფიცია-ლურად გამოცხადდა თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილება — ქართველური, კავკასიური და ინ-დოევროპული ენების შესწავლაში შეტანილი დიდი წვლილისათ-ვის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა ბონის უნივერსიტე-ტის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორს კარლ ჰორ-სტ შმიდტს. გერმანელმა მეცნიერმა ქართულად გადაიხადა მადლობა და ქართულადვე წაიკითხა მოხსენება „ქართველური ენები გენეტიკური და ტიპოლოგიური თვალსაზრისით“. მან სამადლობელ სიტყვაში აღნიშნა: „მე ამ მაღალ ჯილდოს ვიღებ

არა როგორც პირადად ჩემი ღვაწლის აღიარებას, არამედ — მთელი გერმანული მეცნიერების დაფასებას“.

მეორე დღეს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში შმიდტმა ქართულად მიულოცა 70 წლისთავის იუბილე „თავის უნივერსიტეტს“.

„ბატონი შმიდტი ქართველოლოგთა იმ მცირერიცხოვან ჯგუფს ეკუთვნის, ვინც დიდი აღიარება მოიპოვა არა მარტო სპეციალისტთა შორის, არამედ ფართო საზოგადოებაშიც. მას შესანიშნავად ესმის ჩვენი კულტურის ფასი და მნიშვნელობა“ (გ. რამიშვილი).

**1996 წელს კ.ჰ. შმიდტი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.**

\* \* \*

გერმანიაში ქართველოლოგიური კვლევა დღეს კიდევ უფრო ფართოვდება და მასშტაბური ხდება, რაშიც უდიდესი ღვაწლი მიუძლვით ცნობილ მეცნიერებს: ვინფრიდ ბოედერს, პაინც ფენრიხს, იოსტ გიპერტს, შტეფი იუნგერ-ხოტივარს... ასევე: ქრისტინე ლიხტენფელდს, ულრიხ ბოკს, ჰუპერტ ფენზენს, უტე რიგერსს, ვოლფგანგ შულცეს, ვიქტორია რუიკა ფრანცს და სხვებს.

## საფრანგეთი

საფრანგეთში ქართველობიური კვლევა სათავეს იღებს XIX საუკუნიდან, თუმცა საქართველოს შესახებ პირველი ზოგადი ცნობები ჩნდება ჯერ კიდევ შეუსაუკუნებელი. მაგალითად, ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის ვრცელ თხზულებაში „მოგზაურობა სპარსეთისა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“ დიდი ადგილი ეთმობა საქართველოს.

ჟან შარდენი (1643-1713) იყო იუველირი, ძვირფასი ქვებით მოვაჭრე; ინგლისის ელჩი პოლანდიაში და ინგლის-ინდოეთის კომპანიის აგენტი. იგი 1671-1673 წლებში ენვია კავკასიას, 1671 წლის სექტემბრიდან 1672 წლის თებერვლის ბოლომდე იმყოფებოდა საქართველოში. მოიარა ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხე. ვრცლად აღნერა საკუთარი თვალით ნანახი უამრავი ფაქტი, მოვლენა და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, პირადი შთაბეჭდილებები შეავსო საქართველოს წარსულის შესახებ ცნობებით, რომლებიც ამოკრიბა რომაელ და სპარსელისტორიკოსთა თხზულებებიდან, ნინამორბედ ევროპელ მოგზაურთა და მისიონერთა ჩანაწერებიდან. აქვე ვხვდებით ძველი თბილისის პირველ გრაფიკულ ჩანახატს (იგი შესრულებული უნდა იყოს შარდენის თანამგზავრის მხატვარ **გრელოს** მიერ). „მოგზაურობის“ ეს ნაწილი იმითაც არის საინტერესო, რომ მასში ჩართულია ამ პერიოდში საქართველოში მოღვაწე იტალიელი მისიონერის ჯ. **ძამპის** თხზულება, რომელიც ავტორს თავად გადაუცია შარდენისათვის (ძამპისეული დედანი დაკარგულია. იგი შემოინახა მხოლოდ ფრანგი მოგზაურის ამ შრომამ).

შარდენმა მოგზაურობის შთაბეჭდილებანი გამოაქვეყნა 10 ტომად. პირველი-ორი ტომი, რომელიც დაიბეჭდა პარიზში 1723 წელს, ეძღვნება საქართველოს. იგი თავის „მოგზაურობაში“ არ შეხებია ქართულ მწერლობას, აღნერს ხელოვნების ძეგლებს, ამავე დროს ყურადღებას ამახვილებს ქართველთა ხასიათზე, ზნე-ჩვეულებებზე, რელიგიაზე, ვაჟკაცობასა და მომხიბაში.

ვლელობაზე: „ქართველების ტომი უმშვენიერესია აღმოსავლეთში და, შემიძლია ვთქვა, მთელ ქვეყანაზედაც. იქ არ მინახავს არც ერთი ცუდი სახის ქალი ან კაცი. ანგელოზებივით ლამაზებიც ბევრი შემხვდა. ქალების უმეტესი ნაწილი ბუნებას ისეთი სიკეკლუცით დაუსაჩუქრებია, რომ სხვა ასეთს ვერსად შეხვდებით. შეუძლებელია თვალი მოკვრათ იქაურ ქალებს და არ შეგიყვარდეთ. არ შეიძლება დახატოთ ქართველი ქალების სახესა და ტანადობაზე უმშვენიერესი სახე და ტანადობა: მშვენიერნი, თვალტანადნი, ნერწეტნი და კეკლუცნი. ქართველები ბუნებით მეტად ნიჭიერნი არიან.“

შეიძლება ითქვას, რომ ცივილიზებულ მსოფლიოს საქართველოს შესახებ უ. შარდენმა პირველმა მიაწოდა საინტერესო ცნობები, რომლებიც ასევე მეტად ფასეულ და სანდო მასალად იქცა ჩვენი ქვეყნის ისტორიისათვის.

ქართულ-ფრანგული კულტურული ურთიერთობის თვალსაზრისით საინტერესოა XIX საუკუნის ფრანგი მოგზაურის ეჟენ ორსოლის წიგნი „კავკასია და სპარსეთი“ (გამოქვეყნდა პარიზში 1885 წელს), რომელშიც ავტორი აღტაცებით საუბრობს საქართველოს შთაბეჭდილებებზე, ეხება ქართულ კულტურას, ისტორიას... თან დასძხნს, რომ პოეზია საქართველოში ყოველთვის დიდი პატივით სარგებლობდა, რომ თავადი ილია, დიდი პოეტი, კავკასიელი ბერანჯეაო.

ალექსანდრე დიუმას (მამა) (1802-1870) წიგნში „კავკასია“ მოგზაურის მახვილი თვალითაა დანახული და შეუფერადებლად აღნერილი საქართველო და მისი ხალხის ცხოვრება. ფრანგი მწერალი საქართველოს ენვია 1858 წლის ბოლოს. საპატიო სტუმარი ოჯახში საცხოვრებლად მიიწვია ცნობილმა ქართველმა მრენველმა იაკობ ივანეს ძე ზუბალაშვილმა, დიდებულ სასახლეში (თეატრის მოედანზე) პირველ სართულზე დაუთმო რამდენიმე ოთახი და თითქმის ორი თვე (მის თანმხლებ პირებთან ერთად) გულუხვი მასპინძლობაც გაუწია.

ა. დიუმამ დიდი ინტერესით დაათვალიერა საქართველოს სხვადასხვა კუთხე, ისტორიული ძეგლები, ღირსშესანიშნაობე-

## **საფრანგეთი**

---

ბი, გაეცნო ქართულ კულტურას, ხალხის ყოფა-ცხოვრებას; და-უახლოვდა ქართველ მწერლებსა და სხვა მოღვაწეებს.

სამშობლოში დაბრუნებულმა ფრანგმა მწერალმა, რო-მელსაც არ აკლდა მასპინძლების სითბო-თავაზიანობა და იმ-დროინდელი ქართველი ინტელიგენციის განსაკუთრებული ყუ-რადლება-გულისხმიერება, თან გაიყოლა კეთილი მოგონებანი თბილისზე, საქართველოზე და, რაც მთავარია, დარწმუნდა, რომ საქართველოს სახით კავკასიაში არსებობდა უძველესი კულტურის ქვეყანა (და არა ნახევრად ველური მხარე, როგორც თავდაპირველად ეგონა), ამიტომაც თვლიდა იგი საჭიროდ ქარ-თველი ერის საგანგებო შესწავლას, რადგან იგი „იმდენად სა-უცხოო, კეთილშობილი, პატიოსანი, მამაცი, გულუხვი („ქარ-თველ ხალხს ისევე უყვარს გაჩუქება, როგორც სხვა ხალხებს საჩუქრის მიღება“) და შემმართებელი ერია“, რომ მას სპეცია-ლური გამოკვლევა უნდა მიეძღვნასო.

**ბარონ დებაი** (1853-1931) მე-19 საუკუნის მიწურულს უ-შარდენისა და ე. ორსოლის წიგნებით გაეცნო საქართველოს კულტურას და დაინტერესდა ქართველი ხალხის ენითა და ისტო-რიით. ამ მხრივ მასზე კეთილისმყოფელი გავლენა მოუხდენია აგრეთვე ქართველ მოღვაწეს თედო სახოკიას, რომელიც გაუც-ნია პარიზში და შემდგომშიც ჰქონიათ ურთიერთობა, მიმოწერა...

ბარონ დე ბაი საქართველოში სამჯერ ჩამოვიდა, პირვე-ლად – 1897 წელს. პირადად შეხვდა და დაუახლოვდა ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილს: ი. ჭავჭავაძეს, აკ. წერეთელს, დ. სარაჯიშვილს, მხატვარ გ. გაბაშვილს და სხვებს. ფრანგმა მოგზაურმა დაკვირვებით შეისწავლა ქართველი ხალხის წარ-სული და აწმყო, მდიდარი კულტურა, ისტორია. აქაური შთა-ბეჭდილებანი დაწვრილებით გააცნო პარიზის საზოგადოებას, საქართველოზე წაკითხული ლექციების ციკლით. გარდა ამისა, თანამემამულენი დააინტერესა ქართული ხელოვნების უძვე-ლესი წიმუშებითაც; გამოსცა წიგნები: „საქართველოში“ (1899), „თბილისი“ (1900), „იმერეთში“ (1902), „აფხაზეთში“ (1904) და სხვა, რომელებშიც ასახა იმდროინდელი საქართველოს

საზოგადოებრივი ცხოვრება, გადმოცსა თავისი შთაბეჭდილებანი და ეთნოგრაფიული დაკვირვებანი, ფრანგულად თარგმნა ქართული ზღაპარ-ლეგენდა „მშვენიერება” და რამდენიმე სხვა ნაწარმოები. იგი წიგნში „კავკასიონის ქედის სამხრეთით” უცხოელ მკითხველს ქართველთა დამახასიათებელ თვისებებს ასე აცნობს: „საქართველოში მარტო მშვენიერება კი არ არის მარადიული, არამედ აგრეთვე გულკეთილობა, მამაცობა, სიპატიოსნე, სადაც ბრწყინავს გულიდან ამოსროლილი ქართველთა ეს კეთილშობილი სტუმართმოყვარეობა”.

**ჟან მურიე** – ფრანგი ფილოლოგი თავისი საქმიანობით დაკავშირებული იყო საქართველოსთან. იგი, საფრანგეთის სახალხო განათლების თანამშრომელი, დიდხანს ცხოვრობდა თბილისში. აქ მისი რედაქტორობით ფრანგულ ენაზე გამოდიოდა ჟურნალი „ილუსტრირებული კავკასია”, სადაც სისტემატურად ათავსებდა სტატიებს ქართულ კულტურაზე, აშუქებდა ჩვენი ხალხის ისტორიის, ლიტერატურის, ხელოვნების, სოფლის მეურნეობისა და სხვა მნიშვნელოვან ცალკეულ საკითხებს. 1890 წელს ხსენებულ ჟურნალში დაიბეჭდა ჟან მურიეს ვრცელი სტატია „საქართველო და ქართველები”, რომელიც საკმაოდ ფართოდ ეხება ქართველთა ცხოვრების მრავალ მხარეს: კულტურას, სარწმუნოებას, ზნე-ჩვეულებებს. ავტორი მაღალ შეფასებას აძლევდა ი. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლის საზოგადოებრივ მოღვაწეობას, მათს მხატვრულ შემოქმედებას; საგანგებოდ მიუთითებდა აკ. წერეთლის მთარგმნელობითი საქმიანობის მნიშვნელობაზეც.

ფრანგი ჟურნალისტი განსაკუთრებით მოხიბლული ყოფილა შოთა რუსთაველითა და მისი პოემით. მან დაწერა წიგნი „შოთა რუსთაველი”. „პოემის მთავარი იდეა, – წერდა იგი, – სიყვარული და მეგობრობის საკითხია. სიმართლე გვაიძულებს, გენიოსი ვუწოდოთ რუსთაველს, რადგან „ვეფხისტყაოსანი” იმ დროს დაიწერა, როცა ევროპაში ჯერ კიდევ არ არსებობდა ეპიკური ჟანრის ნაწარმოები. ჩვენ მოხარული ვართ, რომ გამოჩნდა პოეზიის ერთი გმირი, რომლის არსებობაც ჩვენ არ ვიცო-

## **საფრანგეთი**

---

დით. რუსთაველი ღირსია თავისი ადგილი დაიკავოს მსოფლიო  
დიდების პანთეონში”.

ღირსიაცნობია, რომ „ილუსტრირებულ კავკასიაში” ქვეყ-  
ნდებოდა საუკეთესო ქართულ ნაწარმოებთა ფრანგული თარ-  
გმანები. აღსანიშნავია ისიც, რომ მურიე (რომელმაც ქართული  
არ იცოდა, მაგრამ კარგად ფლობდა რუსულ, გერმანულ, ინ-  
გლისურ ენებს) თვითონაც თარგმნიდა ფრანგულად ქართული  
მწერლობის ნიმუშებს. მაგალითად, მან რუსულიდან ფრანგუ-  
ლად თარგმნა საბას იგავ-არაკები სათაურით „XVI-XVII საუკუ-  
ნების ქართული ზღაპრები”. ჟურნალმა დიდი როლი შეასრუ-  
ლა ქართულ-ფრანგული ლიტერატურულ-კულტურული ურთი-  
ერთობების ისტორიაში.

**დე ვილნევის** წიგნი „საქართველო” (გამოქვეყნდა 1870  
წელს პარიზში ფრანგულ ენაზე) უცხოელ მკითხველს ჩვენი  
ქვეყნის შესახებ საინტერესო ცნობებს აწვდიდა. თავთურცელ-  
ზე გამოხატულია საქართველოს სამეფო გერბი. წიგნს დართუ-  
ლი აქვს ქართული ანბანი და ბაგრატიონთა სამეფო სახლის გე-  
ნეალოგიური ტაბულა.

ირკვევა, რომ საუკუნეების მანძილზე ბევრი ფრანგი მოგ-  
ზაური, მწერალი (ჰიუგო, ბალზაკი, სტენდალი, შატობრიანი)  
თუ საზოგადო მოღვაწე დააინტერესა საქართველომ და მისმა  
ხალხმა, რაც მეტ-ნაკლები სისრულით აისახებოდა მათს ჩანა-  
ნერებში, სპეციალურ ნაშრომებში, წიგნებში.

ფრანგი მკითხველი ინტერესით ეცნობოდა საქართველოს  
შესახებ გამოქვეყნებულ მასალებს, პრესაში იბეჭდებოდა გა-  
მოხმაურებანი, სადაც აღნიშნული იყო, რომ „მათ თვალწინ  
წარმოუდგათ კალმით ნახატი საქართველო თავისი ხავერდოვა-  
ნი მთებით, გასაოცარი დარიალის ხეობით, მომხიბლავი დედა-  
ქალაქით თბილისით, ნათელი ცით და ნაყოფიერი მიწით, საამო  
ჰაერით, მედეგარი და ამაყი ხალხით, ლეგენდებით, ნაქარგებით,  
სამკაულებით, იარაღით, ვერცხლეულობით და სხვა მრავალი  
დიადი საუნჯით” (დ. ფანჩულიძე).

**მარი ბროსე** (1802-1880) – ფრანგი მეცნიერი, აკადემიკოსი – გამორჩეულია საქართველოს ისტორიული წარსულის მოჭირნახულეთა შორის. წინამორბედი უცხოელი მკვლევრები-საგან განსხვავებით, მან პირველმა აქცია საქართველო მეცნიერული კვლევის ობიექტად; მყარი საძირკველი დაუდო ქართული ენის გრამატიკა-ლექსიკოგრაფიის, საეკლესიო თუ საერო მწერლობის, ერის ისტორიის, ხელოვნების, არქეოლოგია-ნუ-მიზმატიკის... მეცნიერულ შესწავლას და გარკვეულად განსაზღვრა მისი შემდგომი განვითარების გზებიც. მ. ბროსე ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეში იყო აღიარებული ევროპაში ქართველოლოგის მამამთავრად და ეს სახელი მას დამსახურებულად მოუპოვა საქართველოს ისტორია-კულტურისადმი მიძღვნილმა ნაშრომებმა.

მარი ფელისიტე ქსავიე ბროსე დაიბადა ხელმოკლე ფრანგი ვაჭრის ოჯახში. რამდენიმე თვისას მამა გარდაეცვალა, მარტოხელა დედას მოუხდა დიდი ოჯახის რჩენა. როცა მარი ცოტა წამოიზარდა, დედას რომ დახმარებოდა, მუშაობა დაიწყო გამომცემლობაში კორექტორად (რის გამოც თურმე თავიდანვე დაუსუსტდა მხედველობა).

მარი ბროსე პირველად სწავლობდა ორლეანის სასულიერო სემინარიაში. 1923 წელს ჩავიდა პარიზში, კოლეჟ დე ფრანსში ისმენდა ლექციებს; განსაკუთრებით დაინტერესდა აღმოსავლური ფილოლოგიით, ჩინური ენითა და ლიტერატურით. ეს ის დრო იყო, როცა საფრანგეთში იწყებოდა აღმოსავლური კულტურის შესწავლა, იწერებოდა ორიენტალისტური ხასიათის ნარკვევები, რომლის ავტორები იყვნენ საფრანგეთში ცნობილი აღმოსავლეთმცოდნეები: **სილვესტრ დე სასი, ანტუან-ჟან სენ მარტენი, აბელ რემიუზა...** მათი ინიციატივით ჩამოყალიბდა „პარიზის აზიური საზოგადოება“ (იგივე „სააზიო საზოგადოება“ — ჟ.ფ., ი.ვ.), რომელმაც სენ მარტენის ხელმძღვანელობით გამოსცა ყოველთვიური „შურნალ აზიატიკა“. მასში ქვეყნდებოდა პოლკოვნიკ როტიესა (დიდხანს მსახურობდა კავკასიაში,

## საფრანგეთი

---

იცნობდა ქართული დამწერლობისა და კულტურის შესახებ არ-სეპულ ქართულ წყაროებს) და ჰ. კლაპროთის სტატიები.

XIX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისიდან ჭაბუკი მარის საკვლევაძიებო ინტერესები დაუკავშირდა კავკასიურ ენებს – ქართულს, სომხურს. ამის უშუალო საბაზი გახდა რუსი სწავლულის ევგენი ბოლხოვიტინვის ნაშრომი „საქართველოს პოლიტიკური, საეკლესიო და სწავლა-განათლების მდგომარეობის ისტორიული მიმოხილვა”, სადაც სხვა საკითხებთან ერთად საუბარია ქართული ენისა და მისი დამწერლობის უძველესობაზე („ქართული მატიანე ქართული დამწერლობის შექმნას მიაწერს მეფე ფარნავაზის ეპოქას”). წიგნი გამოსვლისთანავე უთარგმნიათ გერმანულ და ფრანგულ ენებზე. სწორედ ამ ფრანგული თარგმანით გასცნობია მარი ბროსე ე. ბოლხოვიტინვის თხზულებას, რომელსაც იმდენად დიდი ზემოქმედება მოუხდენია ახალგაზრდა ბროსეზე, რომ უყოყმანოდ მიატოვა სინოლოგია და მტკიცედ დაადგა ქართველოლოგის გზას უცხო ქვეყნის სრულიად ახალ მეცნიერულ სამყაროში შესასვლელად იმ დროს, როცა ევროპაში თითქმის არაფერი (ან ძალიან ცოტა) იცოდნენ საქართველოსა და ქართული ენის შესახებ. მეტიც, როგორც მოგვიანებით იგონებდა ბროსე, თანამემამულენი მას გიშსაც უწოდებდნენ, რადგან იმხანად ქართულ ენას არ თვლიდნენ მეცნიერული ყურადღების ლირსად. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, ქართველოლოგობა ფინანსურადაც ვერ უზრუნველყოფდა ბროსეს ოჯახს, ამიტომ მატერიალური არსებობისათვის იგი ხშირად იძულებული იყო მოეძებნა უბრალო სამუშაო, თუნდაც კორექტორის ადგილი გამომცემლობაში.

და მაინც, მიუხედავად არაერთი დაბრკოლებისა, ბროსეს მთელი ცხოვრების მანძილზე არასოდეს არ გადაუხვევია არჩეული გზიდან. მას ყოველთვის სწავლა, რომ „თამარის დროიდან ევროპის მატიანეთაგან მივიწყებული ქვეყანა (საქართველო) ახლა თვითონვე მიიქცევს ყურადღებას... რომ საქართველოს აეზდება სიბნელის ფარდა და იქ გაბრწყინდება ახალი ნორჩი ლიტერატურა და მაშინ ევროპელნი გაკვირდებიან, როგორ ვერ ვიცნობდით

ამ ლიტერატურას აქამდეო... დიდებული წარსულის მქონე ერს დიდებული მომავალი ექნება.” ევროპაში იმ დროს არსებული თითო-ოროლა ქართველოლოგიური ნაშრომის შეჯერების საფუძველზე ბროსემ დამოუკიდებლად ისწავლა ქართული ანბანი, თანდათან ეუფლებოდა სასაუბრო ენასაც, თუმცა გრძნობდა, რომ ქართული – ეს მეტად რთული აღნაგობის ენა – დამოუკიდებლად ადვილად დასაძლევი ვერ იქნებოდა.

კ. სალიას აზრით, მ. ბროსემ ქართველოლოგიაში მოღვაწეობა დაიწყო კრიტიკული წერილებით. მან ყურადღება მიაქცია ქართულ გრამატიკასა და ლექსიკონებს (რომლებსაც იყენებდა ქართული ენის პრაქტიკულად დაუფლების მიზნით). მარის დაკვირვებით, ს. პაოლინის, კლაპროთის, ფირალოვის... წიგნები არ იყო მეცნიერულ პრინციპზე დაყრდნობით შედგენილი და ვერ აკმაყოფილებდა ქართველოლოგიის გაზრდილ მოთხოვნებს; მათში დაშვებული იყო მრავალი შეცდომა, ამიტომ მან მიზნად დაისახა ქართული ენის სრულყოფილი გრამატიკის შედგენა.

ქართული ენის საკითხებზე მ. ბროსესა და კლაპროთს შორის გაიმართა ცხარე პოლემიკა.

**შენიშვნა:** ჰაინრიხი იულიუს ფონ კლაპროთი (1783-1835) იყო გერმანელი ლინგვისტი, ორიენტალისტი, აზიური ენებისა და ლიტერატურის პროფესორი, „სააზიო საზოგადოების“ საბჭოს წევრი. მან 1807—1808 წლებში კავკასიაში თავისი მოგზაურობა აღნერა ორტომიან წიგნში „მოზაურობა კავკასიასა და საქართველოში“ (გამოიცა 1823 წელს პარიზში) და სხვა შრომებში, ისტორიული ნარკვევი უძღვნა თბილისისა და საქართველოს სხვა კუთხებშის დახასიათებას... 1822 წელს გამოიცა ქართულ-ფრანგული და ფრანგულ-ქართული ლექსიკონი (4 ათასამდე სიტყვიანი); დაიწყო მუშაობა შრომაზე „ქართული ენის ელემენტები“, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ დამთავრა ბროსემ (1837 წელს). მიუხედავად კლაპროთის შრომებში არსებული ზოგი მეცნიერული უზუსტონისა, ამ გამოკვლევებს მაინც ჰქონდა დიდი მნიშვნელობა ქართველოლოგიაში. მას გამოეხმაურნენ ქართველი ფილოლოგები და ყოველივე ამან კიდევ უფრო შეუწყობელი ხელი უცხოელთა მხრივ ქართული ენისა და ლიტერატურისადმი ინტერესის შემდგომ გაღვიძებას, ქართული კულტურის მეცნიერულ შესაკვლას.

## საფრანგეთი

ამ პოლემიკაში გაიმარჯვა მ. ბროსემ. ეს იყო ახალი ეტაპი ევროპული ქართველოლოგიის ისტორიაში (კ. სალია). ბროსეს გამარჯვება შეუმჩნეველი არ დარჩენიათ აკადემიკოს სენ მარტენსა და აბელ რემიუზას. ისინი გრძნობდნენ, რომ ბროსეს სახით მოდიოდა დიდი მეცნიერული ძალა, რომლის სამოქმედო ასპარეზად სწორედ ქართველოლოგია იქნებოდა ყველაზე ნაყოფიერი. მათ შთააგონეს ახალგაზრდა მკვლევარს, რომ საქართველო ძველი კულტურის ქვეყანაა და საჭირო იყო მისი ფილოლოგიისა და ისტორიის საფუძვლიანი შესწავლა. ფრანგი ორიენტალისტების ერთმა ჯგუფმა აღიარა მ. ბროსეს ნაშრომების მეცნიერული ღირებულება და მნიშვნელობა. იგი **1825** წელს აირჩიეს „პარიზის აზიური საზოგადოების“ წევრად.

მ. ბროსემ ამ წლებში დაიწყო საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ისტორიული წყაროების შესწავლა-კვლევა. მათ შორის ერთ-ერთი იყო „**ცხოვრება საქართველოისა**“ ანუ ე.ნ. „პარიზის ქრონიკა“ — XVII საუკუნის 20-იანი წლების ქართული ორიგინალური ანონიმური ხელნაწერი, რომელიც მოიცავდა საქართველოს ისტორიის დაახლ. 310-წლიან პერიოდს (1377-1683). ეს ხელნაწერი მკვლევარს გადაუწერია, შეუსწავლია და ლითოგრაფიული წესით გამოუცია 1829 წელს. გარდა ამისა, მან ფრანგულ ენაზე თარგმნა ზოგიერთი სხვა ქართული ხელნაწერიც. რაც უფრო ახლოს ეცნობოდა მარი ქართულ მასალებს, იმდენად მეტად რწმუნდებოდა, რომ მას აუცილებლად სჭირდებოდა ვინმე სწავლული ქართველის დამარება. ეს აზრი მან გაუზიარა თავის მეგობარს პროფ. შარმუას, რომელიც მაშინ იყო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, მუშაობდა პეტერბურგის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებულ აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტში. შარმუამ 1830 წელს ასეთ კონსულტაციად ურჩია პეტერბურგში მცხოვრები ქართველი **თეიმურაზ ბაგრატიონი** — „კაცი ერუდიციოსა“. აქედან დაწყებული დიდი კონტაქტები დამყარდა თ. ბაგრატიონსა და მ. ბროსეს შორის. ერთობლივი მუშაობის დაწყებამდე თეიმურაზმა წერილობით შეატყობინა ბროსეს თავისი

მზადყოფნა — მომავალ მუშაობაში დახმარებოდა მას, როგორც „მოყუარესა მამულისა ენისა ჩემისასა, მე თვით გექნები შენ თანამოსაუბრე, ესე იგი კორესპონდენტი” ზოგადად ყველა დარგში — ეს იქნება საეკლესიო, საერო და სამოქალაქო საკითხები... როცა ბროსესაგან მიიღო მადლობა და თანხმობა, თეომურაზი დაპირდა, რომ გაუგზავნიდა თავის “საქართველოს ისტორიის” | წიგნს, რათა „სრული შემეცნება მიიღოთ ქვეყნისა და ერისა ჩვენისა უძველესის უამითავან ვიდრე აქამომდე.” ცოტა მოგვიანებით სულხან-საბას ლექსიკონზე ბროსეს მიერ ჩატარებული მუშაობის გამო თეიმურაზი ფრანგ მკვლევარს სწერდა: „სულხანის ლექსიკონის თარგმანი დიდად მიამა, უცხო საქმე გიქნია და რაც გასამართავი იქნება, მე არ დაგზარდები და გულისმოდგინებით გაგიმართავ...”

თ. ბაგრატიონი პირნათლად ასრულებდა დაპირებას: პარიზში მცხოვრებ ქართველოლოგს მუდმივი მიმოწერით კონსულტაციას უწევდა მისთვის საინტერესო თუ სადავო ან ძნელად გასაგები საკითხების ახსნა-დაზუსტებაში; შველოდა ნაშრომების კორექტირებაშიც, უგზავნიდა ყველა საჭირო წიგნს, მათ შორის, ქართულიდან ფრანგულად თარგმნილ ისტორიულ საბუთებს, რომლებიც იბეჭდებოდა „უურნალ აზიატიკში.”

თავის მხრივ, მ. ბროსეც უაღრესად დიდ პატივს სცემდა თავის მასწავლებელსა და მეგობარს, მაღალ შეფასებას აძლევდა თ. ბაგრატიონის სამეცნიერო ნაშრომებს, საერთოდ, მის განსწავლულობას... სწორედ მ. ბროსეს ნარდგინებით თეიმურაზი აირჩიეს პარიზის „სააზიო საზოგადოების” წევრად 1831 წელს, ხოლო შემდგომ (1837 წელს) — პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად (თ. ბაგრატიონი იყო პირველი ქართველი აკადემიკოსი).

აქვე დავსძენთ: მას შემდეგ, რაც მარი ბროსე საცხოვრებლად პეტერბურგში დამკვიდრდა, კიდევ უფრო მყარი და ნაყოფიერი გახდა მ. ბროსესა და თ. ბაგრატიონის საქმიანი ურთიერთობა, რომელიც უდავოდ უნდა ჩაითვალოს ამ ორი დიდი მეცნიერის ცხოვრების სანიმუშო და ნათელ ეპიზოდებად.

## საფრანგეთი

ცნობილია, რომ მ. ბროსე, ჯერ კიდევ 1827 წლიდან მოყოლებული, აქვეყნებდა ნაშრომებს ქართული კულტურის საკითხებზე. მას 1832 წელს დაუწყია „ვეფხისტყაოსნის” ფრანგულად თარგმნა პარიზის სამეფო ბიბლიოთეკაში არსებული ქართული ხელნაწერის მიხედვით. ბროსეს უთარგმნია მხოლოდ ნაწილი, რომელსაც ახლავს ქართული პარალელური ტექსტი. სამეცნიერო ლიტერატურაში თვლიან, რომ ბროსე იყო პირველი ფრანგი მეცნიერი, რომელმაც ცივილიზებულ ევროპას XIX საუკუნის 30-იან წლებში გააცნო შოთას უკვდავი პოემა.

**1834** წელს მ. ბროსემ ფრანგულად გამოსცა „ქართული ენის გრამატიკა” („ხელოვნება აზნაურობითი გინა ქართული-სა ენისა თუთმასნავლებელი”). შრომა შედგება 17 თავისაგან. პირველ თავში განხილულია ცნობები ქართული ანბანის შესახებ, ქართული მეტყველების თავისებურებანი. შემდგომ თავებში დაწვრილებითაა განხილული 8 მეტყველების ნაწილი. ყოველ თავს მოსდევს საილუსტრაციო მასალა თარგმანითურთ. წიგნში გათვალისწინებულია მაჯოს, ანტონის, ჩუბინაშვილის გრამატიკები. მკვლევრის ვარაუდით, ქართული ენა ეკუთვნის ინდო-ევროპულ ენათა ინდო-ირანულ შტოს. საგულისხმოა ისიც, რომ ავტორმა პირველმა სცადა ქართული ენის ნათესაობის საკითხი განეხილა არა მხოლოდ ცალკეულ სიტყვათა შეპირისპირებით, არამედ გრამატიკულ მოვლენათა ჩვენების მიხედვითაც.

1830-იანი წლების შუა ხანებში ბროსე შეუნელებელი ინტერესითა და ზედმიწევნითი სიზუსტით იყვლევდა საფრანგეთში დაცულ ქართულ ხელნაწერებსა და საარქივო მასალებს, აქვეყნებდა საყურადღებო ნაშრომებს ქართული ენის, ისტორიისა და ლიტერატურის საკითხებზე, თარგმნიდა ფრანგულად ძველი ქართულის ქრონიკებს... ევროპული და აღმოსავლური ენების ცოდნამ, ახლის ძიების დაუოკებელმა წყურვილმა, ანალიტიკურმა აზროვნებამ და მეცნიერულმა აღლომ უდიდეს შრომის-მოყვარეობასთან ერთად ბროსეს მთელს ევროპაში მაღე მოუპოვა თვალსაჩინო ქართველოლოგის სახელი და მყარად დაუმკვიდრა ადგილი სამეცნიერო წრეებში. **1834** წელს იგი აირჩიეს

„პარიზის აზიური საზოგადოების“ საბჭოს წევრად, ხოლო 1837 წელს მიინვიეს რუსეთში სანკტ-პეტერბურგის სამეფო მეცნიერებათა აკადემიის წევრად ქართულ-სომხური ფილო-ლოგიის განხრით (რითაც საფუძველი ჩაეყარა ქართველოლო-გიას პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში).

მ. ბროსე საცხოვრებლად გადავიდა რუსეთში (ძირითა-დად პეტერბურგში). ამ დროიდან დაიწყო მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის ახალი ეტაპი. პირველ რიგში, პირადად გაეცნო და დაუახლოვდა პეტერბურგში მცხოვრებ ქართველ სწავლუ-ლებს. მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო თ. ბაგრა-ტიონთან, დ. ჩუბინაშვილთან, პლ. იოსელიანთან, დიმ. ბაქრაძ-სა და სხვებთან მეცნიერული თანამშრომლობა და მეგობრობა.

ლირსსაცნობია, რომ ფრანგი მკვლევარი რუსეთში ჩას-ვლისთანავე ცდილობდა მეტი პოპულარიზაცია გაეწია ქართუ-ლი კულტურისათვის იქაურ სამეცნიერო წრეებში, განსაკუთ-რებით ზრუნავდა იმაზეც, რომ ქართული ენა შესულიყო უმაღ-ლესი სპეციალური განათლების სისტემაში. ამ მიზნით მისი პირველი პრაქტიკული ნაბიჯები ის იყო, რომ 1839 წლის სექ-ტემბრიდან საკუთარი ინიციატივით პეტერბურგში ატარებდა საჯარო ლექციებს საქართველოს ისტორიისა და ქართული მწერლობის ცალკეულ საკითხებზე იქ მცხოვრები ქართველი ახალგაზრდებისათვის. გარდა ამისა, 1841—1842 წლებში პე-ტერბურგის უნივერსიტეტში ამიერკავკასიის სტუდენტებს ას-წავლიდა ქართული ფილოლოგიისა და ისტორიის კურსს ორი სემესტრის განმავლობაში (წაიკითხა 29 ლექცია).

პეტერბურგში მ. ბროსეს ნაყოფიერმა საქმიანობამ სული-ერად გაამხნევა მოწინავე ქართველი ახალგაზრდობა. პლ. იო-სელიანმა ამ პერიოდს უწოდა საქართველოსათვის „ახალი დი-დი ეპოქის დასაბამი“.

1845 წელს ბროსეს დაუინებული მოთხოვნითა და დასაბუ-თებით პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართული ენა შემოღებულ იქნა ცალკე სასწავლო საუნივერსიტეტო დისციპლინად. ცოტა

## საფრანგეთი

---

მოგვიანებით, 1855 წელს, იქვე დაარსდა ქართული ენის კათედრა (გამგედ დაინიშნა დ. ჩუბინაშვილი, პროსეს წარდგინებით).

ფრანგი ქართველობის სახელი და ავტორიტეტი ქართველთა შორის კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც იგი 1847 წელს ეწვია საქართველოს — „თავის აღთქმულ ქვეყანას” (ი. მეუნარგია). ქართველი ინტელიგენცია გულთბილად შეხვდა საპატიო სტუმარს, რომელიც ერთი წლის განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აგროვებდა მეტად ფასეულ ისტორიულ-ლიტერატურულ მასალებს, ეპიგრაფიკულ, ნუმიზმატიკურ, დოკუმენტურ წყაროებს, როგორც ხალხის შინაგანი ცხოვრების ამსახველ ფაქტებს; დროდადრო მათ შესახებ საინტერესო ინფორმაციებს აწვდიდა რუსეთისა და ევროპის სხვა სამეცნიერო საზოგადოებებს.

აღსანიშვია, რომ ბროსეს საქართველოდან გამგზავრების შემდეგაც არ შეჩერებულა ჩვენში სიძველეთა მოძიება-შესწავლა. ეს საქმე ფრანგი მეცნიერის მითითებითა და სპეციალური ინსტრუქციით გააგრძელა დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილმა, რომელმაც მართლაც დიდი გულმოდგინება გამოიჩინა: მოიარა საქართველოს ბევრი კუთხე, შეკრებილ მასალებს პერიოდულად უგზავნიდა ბროსეს რუსეთში, ბროსე კი მათ აცნობდა სამეცნიერო წრეებს მოხსენების სახით ან კიდევ აქვეყნებდა შესაბამის ჟურნალებსა თუ კრებულებში. საბოლოოდ საქართველოში მოძიებული ეს მასალები ფრანგმა მეცნიერმა გააერთიანა და 1849—1851 წლებში ფრანგულად გამოსცა სამი ტომი „რაპორტებისა“ („მოხსენებებისა“). მათი შემწეობით და, ამასთან, საკუთრივ მატიანებში დაბეჭდილი შენიშვნებითა და განმარტებებით „გამოცდილმა ქართველობობმა საქართველოს ისტორიის მრავალი სადავო საკითხი გაარკვია, რის საფუძველზე უარყო და გაასწორა ქართულ ნარატიულ წყაროთა ბევრი წინააღმდეგობა“ (არჩ. ბარამიძე).

მ. ბროსეს შთაგონებით დაწყებულ ქართველთათვის ამ საშვილიშვილო საქმეს ცოტა ხნის შემდეგ (ბროსესთან შეთანხმებით) სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა ქართველი ისტორიკო-

სი დიმიტრი ბაქრაძე. ამ დროიდან ბროსესა და ბაქრაძის შემოქმედებითი თანამშრომლობა ემსახურებოდა ერთ საქმეს — ქართულ კულტურას, საქართველოს ისტორიას. მათი საქმიანი კონტაქტები „გვიქმნის წარმოდგენას, თუ როგორ ეყრება საფუძველი ახალი დროის ქართულ ისტორიოგრაფიას, რომლის სათავესთან იდგა მ. ბროსე, ხოლო ერთ-ერთი დამაგვირგვინებელი იყო დ. ბაქრაძე”... სხვაგვარად რომ ვთქვათ, „საქართველოს ისტორიის წყაროების... გამოვლენის, შესწავლისა და გამოცემის მხრივ ბროსე ვახტანგ მეექვსის, მის „სწავლულ კაცთა“ საქმის გამგრძელებელი იყო და ეს საქმე ახალ საფეხურზე თუ ხარისხში აიყვანა. თავის მხრივ, ბროსე წინამორბედი და აღმზრდელი იყო ქართველ ისტორიკოსთა ახალი თაობისა, მათ შორის ყველაზე გამოჩენილის — დიმ. ბაქრაძისა” (ე. ხოშტარია-ბროსე).

ქართველებისადმი ფრანგი მეცნიერის კეთილგანწყობითი დამოკიდებულების ნათელსაყოფად მკითხველს ვთავაზობთ ერთ საგულისხმო დეტალსაც: როცა საქართველოში მყოფი უცხოელი სტუმარი უშუალოდ გაეცნო ჩვენს ქვეყანას, ნიჭიერებითა და ზნე-ჩვეულებებით გამორჩეულ ხალხს, იგი გულწრფელად ამხნევებდა მასპინძლებს და მომავლის იმედად განათლების მიღებას უსახავდა: „ნუ დაგავიწყდებათ... ქვეყანაზე ახლა მეფობენ და დედოფლობენ ჰსნავლა და ხელოვნებანი. თქვენც ეცადებით, განსწავლოთ ყმაწვილნი სხვადასხვა ხელობითა.” ბროსეს შემოქმედებითი ენთუზიაზმი კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდა ქართველებზე. მისი უშუალო თანადგომითა და ხელშეწყობით კიდევ უფრო იზრდებოდა ქართველთა ინტერესი რუსეთსა და ევროპაში განათლების მიღებისა.

ცნობილია, რომ მ. ბროსეს განსაკუთრებული ღვანლი მიუძღვის ქართველოლოგიის ორი დისციპლინის — **ისტორიული წყაროთმცოდნებისა და ქართული ისტორიოგრაფიის დაფუძნება-განვითარებაში**. ისტორიული წყაროთმცოდნება იყო მისი საისტორიო კონცეფციის ქვაკუთხედი. სწორედ ამ პრობლემატიკას ემსახურებოდა ჯერ კიდევ XIX საუკუნის 20-იან

## საფრანგეთი

წლებში საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული ქართული წყაროების შესწავლა და, აგრეთვე, 1840-1850-იან წლებში პეტერბურგში ქართულ და ფრანგულ ენებზე გამოქვეყნებული ისტორიული წყაროების სერია, რომელთა შორის სხვა პირველხარისხოვანი ქართული ძეგლების გვერდით უნდა დავასახელოთ ვაუშტი ბატონიშვილის „ისტორიის“ გეოგრაფიული ნაწილი, სენია ჩხეიძის, პაპუნა ორბელიანისა და ომან ხერხეულიძის ისტორიული თხზულებები ვრცელი მეცნიერული კომენტარებით. მან ასევე ფრანგულად თარგმნა და გამოაქვეყნა იმ სომებს ისტორიკოსთა შრომები, რომლებშიც წარმოდგენილია ცნობები საქართველოს შესახებ (ე.წ. „სომხური ქრონიკა“).

1849-1858 წლებში ბროსემ ფრანგულად თარგმნა და შვიდ ტომად გამოსცა „ქართლის ცხოვრება“; 1855-1858 წლებში რუსულად დაწერა „საქართველოს ისტორია“ სათაურით „ოჩერკ კრიტიჩესკოი ისტორიი გრუზიი“ (წიგნი სანკტ-პეტერბურგიდან თბილისში ჩამოიტანა მ. ბროსეს შვილმა ლორანმა. ქართულად თარგმნა სიმონ ლოლობერიძემ). პირველი ტომი მოგვითხრობს საქართველოს უძველესი ხანის ისტორიას 1469 წლამდე, ე.ი. „განყოფამდე“, ხოლო მეორე ტომი შეიცავს საქართველოს ისტორიას სამეფო-სამთავროებად დაყოფიდან 1744 წლამდე (თეიმურაზ მეორის ქართლში და ერეკლე მეორის კახეთში გამეფებამდე).

ქართული ხელნაწერების გამომზეურება-შესწავლაში მარი ბროსეს ღვანჩლი შეიძლება გადმოვცეთ ცნობილი აკადემიკოსის ბეტლინგის მოხდენილი სიტყვებით: „ბროსემ ხელთ აიღო ქართული ხელნაწერებით აღსავსე ტომარა, გადმოატრიალა და დაცალა ისე, რომ არაფერი დატოვა შიგ რაიმე ინტერესის შემცველი.“

მართლაც დიდია ბროსეს დამსახურება ქართული კულტურის წინაშე. იგი წერდა სამეცნიერო გამოკვლევებს, თარგმნიდა ფრანგულად საქართველოს ისტორიას. მისი მრავალმხრივი მეცნიერული თვალსაწიერი სწვედებიდა როგორც ქართულ ენას, ისე ლიტერატურასაც – იკვლევდა ქართველი მწერლების შემოქმედებას, ფრანგულად თარგმნიდა მხატვრული

ლიტერატურის ნიმუშებს, რომელთა შორის ასახელებენ საბას კრებულს – „სიბრძნე სიცრუისას.“ მნიშვნელოვანი გამოკვლევები მიუძღვნა მ. ბროსემ შუა საუკუნეების ლიტერატურულ ძეგლებს: „ვეფხისტყაოსანს“, „რუსუდანიანს“, „ომანიანს“... მანვე დააყენა და გააშუქა საკითხი ქართული „რაინდული რომანის“ თავისებურებათა შესახებ. გარდა ამისა, ქართველ მეცნიერებთან – ზ. ფალავანდიშვილთან და დ. ჩუბინაშვილთან ერთად 1841 წელს პეტერბურგში ქართულ ენაზე გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“ (რომელიც ვახტანგის გამოცემის შემდეგ მეორე გამოცემა იყო); ასევე თარგმნა ბესიკის ლექსი „სევდის ბალს შეველ“.

საგულისხმოა, რომ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან კიდევ უფრო გაფართოვდა მ. ბროსეს შემოქმედებითი ურთიერთობა ქართველ ინტელიგენციასთან. ამ პერიოდში, მიუხედავად ხანდაზმულობისა და მრავალმხრივი სამეცნიერო საქმიანობისა, პეტებურგში მოლვანე ბროსე სისტემატურად ადევნებდა თვალყურს საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებს. ზ. ჭიჭინაძის თქმით, ინერდა და ეცნობოდა „თითქმის ყველა ქართულ წიგნს, წიგნაკს... უურნალ-გაზეთების ხომ არაფერი გამორჩებოდა“. ქართული კულტურის დიდ მოამაგეს გულწრფელად ახარებდა ქართველთა ეროვნული თვითშეგნების გამოფხიზლება, მწერლობისა და მეცნიერების დაწინაურება. მართალია, ბროსეს აქამდე ი. ჭავჭავაძესთან არ ჰქონია პირადი ნაცნობობა და მეგობრობა, მაგრამ ილია მისთვის იყო მწერალი, უურნალ-გაზეთების რედაქტორი, საქართველოში გამორჩეული პიროვნება – ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეური.

ბროსეს განსაკუთრებით მოსწონებია ი. ჭავჭავაძის მოთხოვნა „კაცია-ადამიანი?!” და 1876 წელს შემოდგომაზე დაუწყია მისი თარგმნა ფრანგულად. როცა ამის შესახებ ინფორმაცია დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“, ილიას დ. ბაქრაძის მეშვეობით ბროსესათვის მადლობა გადაუხდია და შეუთავაზებია დახმარება საჭირო შემთხვევაში მოთხოვნის ნებისმიერი ადგი-

## საფრანგეთი

ლის დასაზუსტებლად. ისიც ცნობილია, რომ ილია ფრანგ მეცნიერს აწვდიდა საყურადღებო განმარტებას მოთხოვნის სათა-ურის გაების თაობაზეც (შ. ხანთაძე). ბროსეს 1877 წელს დაუს-რულებია „კაცია-ადამიანის?!” თარგმანი დასაბეჭდად გამზა-დებული ხელნაწერის სახით.

რ. დოდაშვილის აზრით, „თარგმანი შესრულებულია ბრო-სესათვის დამახასიათებელი გულმოდგინებით და კეთილსინდი-სიერებით. ბროსე ცდილობდა ყოველი სიტყვა, ყოველი გამოთ-ქმა გადაეტანა ფრანგულად ისე, რომ ორიგინალის თავისებუ-რება შეენარჩუნებინა და გასაგები გაეხადა ფრანგი მკითხვე-ლისათვის... იუმორის შეგრძნებით თარგმნილი თათქარიძის სახლის აღწერა, დარევანისა და ლუარსაბის კამათი საჭმელე-ბის გამო, ბუზების თვლა”...

ჩანს, „კაცია-ადამიანის?!” თარგმნაზე მუშაობამ ბროსეს უკარნახა ახალი საკვლევაძიებო თემატიკა – დაეწერა სპეცია-ლური ნაშრომი ქართული მწერლობის შესახებ. ამის თაობაზე კიდეც განუცხადებია 1877 წლის 16 აგვისტოს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სხდომაზე მოხსენების წაკითხვისას. მან აქ საჯაროდ დაასახელა ილია, როგორც „ივერიის” რედაქ-ტორი და „კაცია-ადამიანის?!” ავტორი, თანვე დასძინა, რომ მოთხოვნის მშვენივრად დაწერილი, იუმორით გაუღენილი, ზნე-ჩვეულებების ამსახველი ნაწარმოებიაო. ბროსეს განზრა-ხული ჰქონია თავისი მთლიანი ნაშრომი გამოექვეყნებინა ორ ნაწილად: პირველში იქნებოდა ქართული ლიტერატურის ბიბ-ლიოგრაფია, მეორეში – მისი მიმოხილვა, სადაც ნავარაუდევი ყოფილა „კაცია-ადამიანის?!” კრიტიკული ანალიზიც. სამნუხა-როდ, ფრანგმა ქართველობოგმა ვერ მოასწრო მონოგრაფიის დასრულება...

1880 წლის 2 სექტემბერს საფრანგეთში გარდაიცვალა მ. ბროსე. ეს იყო უდიდესი დანაკლისი ქართველობისათვის, ჩვენი ქვეყნისათვის. ქართველმა ინტელიგენციამ დიდი პატივი მიაგო უცხოელი მოკეთის ხსოვნას. მისი მოსახსენიებელი პანაშ-ვიდები გადახდილ იქნა თბილისის სიონის ტაძარში, ქუთაისისა

და ხიზაბავრის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიებში. სიტყვები წარმოთქვეს ცნობილმა მოღვაწეებმა: არქიმანდრიტმა გრიგოლ-მა (დადიანმა), გ. წერეთელმა, ი. ლორთქიფანიძემ, ივ. გვარამაძემ... გარდა ამისა, გადაუწყვეტიათ ბროსეს სახელობის პრემიისა და სტიპენდიის დაწესება, ძეგლის დადგმა. იმავდროულად ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა გამოსათხოვარი წერილები, სადაც უსაზღვრო მადლიერებით მოიხსენიებდნენ ქართველებისათვის სათაყვანო ადამიანს, მათი კულტურის ქომაგს. ამ დღე-ებთან დაკავშირებულ საინტერესო მასალათაგან ამჯერად წარმოვადგენთ ორიოდე ამონარიდს: „ეს დაუღალავი კაცი ნახევარ საუკუნეზე მეტია, როგორც მითოლოგიური ბრიარე 50 თავით და 100 ხელით მუშაობს საქართველოს ისტორიის გამოსაკვლევად და ლიტერატურის შესასწავლად” (ი. მეუნარგია); „ბროსეს ცხოვრება სამაგალითოდ, მისაბაძად დარჩება იმ ქართველი ახალგაზრდებისათვის, რომელთა პირველი მოვალეობაა სამშობლოს უანგარო სამსახური. ამ კაცმა ჩვენი ხსენება და სახელი საუკუნო მოსახსენებლად გახადა ევროპაში” (ს. მესხი).

ი. ჭავჭავაძის „ივერიაში” მომდევნო წლებშიც დროდადრო იბეჭდებოდა წერილები ბროსეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. მ. ჯანაშვილის შეფასებით, „ბროსე იყო მიუდგომელი, კეთილსინდისიერი, დაუღალავი მშრომელი... ქართველ ერს მან დაუდგა საუკუნო ძეგლი... „ქართლის ცხოვრებას” მოუპოვა ნდობა მეცნიერებისა.”

რაც დრო გადიოდა, მით უფრო იზრდებოდა ფრანგი ქართველობის მეცნიერული მეცნიერებლის მნიშვნელობა საქართველოსათვის. განათლებული რუსეთი და, საერთოდ, ევროპა მეტ ინტერესს იჩინდა ამ უძველესი ქვეყნის მიმართ, თანდათან იმატა უცხოელ ქართველობოგთა რიცხვმაც. ისინი საქართველოს პირველად ეცნობოდნენ ბროსეს ნაშრომებით და ქართული ენის დამოუკიდებლად შესწავლას იწყებდნენ მისივე „ქართული ენის გრამატიკით.”

... ახლოვდებოდა მ. ბროსეს დაბადების 100 წლისთავი. ამ საზეიმო ღონისძიებისათვის მზადებას სათავეში ჩაუდგა ილია

## საფრანგეთი

ჭავჭავაძე, გაზეთი „ივერია“ და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება (თავმჯდომარე ი. ჭავჭავაძე). ჯერ კიდევ „ივერიის“ 1901 წლის 13 მარტის ნომერში იღიამ გადმოაბეჭდვინა კავკასიაში მოღვაწე ცნობილი ფრანგი უურნალისტის უან მურიეს (იხ. ზემოთ) ლია წერილი თბილისის მოურავისადმი. წერილში ნათქვამი იყო: სახელოვან მხედართა გვერდით კავკასიას ძეგლები უნდა დაედგა ორი სახელოვანი მეცნიერის და მწერლისათვის – **მარი ბროსესა და დიუბუა დე მონპერესათვის...** უ. მურიე ჩამოთვლის ამ ადამიანთა დამსახურებას საქართველოს წინაშე და თან თბილისის მოურავს შეახსენებს, ბროსესა და მონპერეს სახელები ენოდებინა თბილისის ქუჩებისათვის, რაც „მოასწავებდა მადლობის მცირე და სამართლიან სასყიდელს, ორის ნიჭიერის კაცის სახსოვრად გადახდილს.“

ი. ჭავჭავაძემ ზემოაღნიშნული წერილითაც გარკვეულად შეამზადა ნიადაგი, რათა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით თბილისის გამგეობის წინაშე აღეძრა შუამდგომლობა – „თბილისის ერთ-ერთ ქუჩას დაერქვას სახელი განსვენებული ისტორიკოს-არქეოლოგის მარი ბროსესი, რომელმაც ევროპელთაგან პირველმა აიღო ჩვენი ქვეყნის ისტორია და ლიტერატურა სამეცნიეროდ შესწავლის სპეციალურ საგნად და მიიცყრო მთელი განათლებული ქვეყნების მეცნიერთა ყურადღება.“ იმავდროულად იღიამ თბილისის თვითმართველობას ოფიციალურად მისწერა: „მარი ბროსეს დაბადების ასი წლისთავის შესრულების გამო, მისი ღვანლის ყურადსაღებად და სახსოვრად, საზოგადოების გამგეობას აქვს პატივი სთხოვოს ქალაქის თვითმართველობას, ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას ენოდოს მარი ბროსეს სახელი.“ ქალაქის საბჭომ დააკმაყოფილა ეს თხოვნა და დაადგინა: „ვოდოვოზნის“ ქუჩას პოლიციის მესამე უბანში ენოდოს ბროსეს სახელი.

1902 წელს ქართველმა ხალხმა დიდი პატივით აღნიშნა ბროსეს დაბადების 100 წლისთავი. პრესაში ქვეყნდებოდა წერილები, სადაც ერთხელ კიდევ იყო წარმოჩენილი მისი ღვანლი

და დამსახურება ქართველი ერის წინაშე. დ. კარიჭაშვილი „ცნობის ფურცელში” წერდა: „მანამდე უცნობი და უყურადღებოდ დატოვებული საქართველო თავის წარსულის ცხოვრებით, მწერლობითა და ხელოვნებით, საინტერესო შეიქმნა ევროპი-სათვის ბროსეს წყალობით. მან დაანახა ქვეყანას, რომ საქართველოს ჰქონდა კულტურული წარსული, რომ ის იყო საცხოვრებელი ნიჭიერის და მამაცის ერისა, რომელსაც მიუძღვის ცოტაოდენი სამსახური თვით ევროპის წინაშე, რომ ქართველთა მწერლობა და ხელოვნება ძველისძველად არის გაჩენილი... ბროსემ ჩაუდგა სული ქართულ ისტორიოგრაფიას, დაუმზადა მას ბლომად საზრდო და უანდერძა სხვებს მისგან სულჩადგმულის ისტორიოგრაფიის აღზრდა და განვითარება. ამ ღვაწლი-სათვის ბროსე საუკუნოდ მოსახსენებელია ქართველთაგან.”

1902 წლის 2 მარტს ი. ჭავჭავაძის უშუალო ხელმძღვანელობით თბილისში ქართველ კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში ფართო მასშტაბით გადაიხადეს მ. ბროსეს დაბადების 100 წლისთავის წირვა და პანაშვიდი, რომელსაც დაესწრნენ თვით ილია, ნ. ნიკოლაძე, ეპისკოპოსი კირიონი, საფრანგეთის კონსული, ქართველი საზოგადოებრიობა...

საფრანგეთის სახელოვანი შვილისადმი ქართველი ერის მადლიერება და უდიდესი პატივისცემა ილიამ იმავე დღეს დეპეშით აცნობა საფრანგეთის საერო განათლების მინისტრს უორჟ ლეგის: „დღეს მრავალი ხალხისა და საფრანგეთის კონსულის თანდასწრებით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გადაახდევინა თბილისის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიაში დაბადების 100 წლისთავის სადღესასწაულო წირვა და პანაშვიდი მოსახსენიებლად სულისა ფრანგის ბროსესა, პარიჟის აზიურ საზოგადოებისა და რუსეთის აკადემიის წევრისა, საქართველოს უნარჩინებულესის ისტორიკოსისა და საქართველოს ისტორიის გამავრცელებლისა ფრანგული ენითა. საფრანგეთის დიდებული ერი ჰქმნის დიდებულ კაცთა არა მხოლოდ საფრანგეთისათვის, არამედ ყველა ერისათვის.”

## საფრანგეთი

საიუბილეო დღის შესახებ ილია მ. ბროსეს შვილის—ლო-რან ბროსესადმი გაგზავნილ დეპეშაში წერდა: „ჩვენი მამული სამუდამოდ შეინახავს მის სახსოვარს ქართველთათვის ყოვ-ლად ძვირფას სახელთა შორის.”

კ. სალიამ 1980 წელს ბროსეს გარდაცვალების 100 წლის-თავთან დაკავშირებით, მისი ხსოვნის პატივსაცემად პარიზში „რევიუ დე კარტველოლოჟის” 38-ე ტომში გამოაქვეყნა ვრცე-ლი სტატია ფრანგი ქართველოლოგის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ (გამოკვლევას თან ერთვის ბროსეს ნაშრომების ბიბლი-ოგრაფია). ავტორი სტატიას იწყებს ი. ჭავჭავაძის სიტყვებით: „მ. ბროსე იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც მიზნად დაისახა ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და ლიტერატურის სპეციალური შეს-წავლა. მან ამით მიიპყრო ცივილიზებული მსოფლიოს ყურად-ღება.” „მართლაც, — წერს სალია, — მარი ბროსემ ქართული კულტურის შესწავლის სოლიდური ტრადიცია დაამკვიდრა საფრანგეთში, რუსეთში და საქართველოში”...

1992 წელს ბროსეს დაბადებიდან 190 წლისათვის აღსანიშ-ნავად ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსი-ტეტში გაიმართა სამეცნიერო სესია უნივერსიტეტის, საქარ-თველოს მეცნიერებათა აკადემიის, ექვ. თაყაიშვილის სახელო-ბის საისტორიო საზოგადოებისა და გიორგი შერვაშიძის საზო-გადოების თაოსნობით. აქ ერთხელ კიდევ მაღლიერებით აღი-ნიშნა ფრანგი მეცნიერის ქართველოლოგიური მოღვაწეობის უდიდესი მნიშვნელობის შესახებ.

მ. ბროსეს ნაშრომებმა, რომლებიც ითარგმნა გერმანულ, ინგლისურ, იტალიურ, ჩინურ და ესპანურ ენებზე, დიდი გავლე-ნა მოახდინა ევროპული ქართველოლოგის განვითარებაზე. მ. ბროსეს სახელი და მეცნიერული მემკვიდრეობა მარად დარჩება საინტერესო ფურცლებად ქართულ ისტორიოგრაფიაში.

**მორის ბრიერი (1881-1960)** — ფრანგი აღმოსავლეთ-მცოდნე (განათლებით მათემატიკოსი) — ეკუთვნის საზღვარ-გარეთის ქართველოლოგთა იმ მცირერიცხვან ჯგუფს, რომე-ლიც ძველი ქართული ძეგლების გამოცემასა და თარგმნაზე

მუშაობდა. ასეთები იყვნენ პაულ პეტერსი, რობერტ ბლეიკი და მიხეილ თარხნიშვილი (ა.შანიძე).

მ. ბრიერმა ქართული ენა შეისწავლა პარიზში, აღმოსავალური ცოცხალი ენების უმაღლესი სკოლაში. იქ 1926 — 1928 წლებში სპეციალური მიწვევით ნ. მარი კითხულობდა ძველი ქართული ენის თეორიულ კურსს. მისი მსმენელები იყვნენ ქართული ენის სტრუქტურით დაინტერესებული მეცნიერებიც, მათ შორის, ასურული (სირიული) ენის სპეციალისტი პროფ. მორის ბრიერი, რომელიც სტენოგრაფიულად იწერდა მარის მიერ თვეების მანძილზე წაკითხულ ლექციებს. მან ეს ჩანაწერები დაამუშავა, მოამზადა გამოსაცემად და მარის თანაავტორობით 1931 წელს პარიზში ფრანგულ ენაზე გამოაქვეყნა **800-გვერდიანი წიგნი — „ქართული ენა“**. წიგნი შედგება გრამატიკისაგან, ქრესტომათიისა და ლექსიკონისაგან. იგი ძირითადად აგებულია ძველი ქართული ენის მასალაზე, თუმცა აქა-იქ ახალი ქართულის ფორმებზეცაა საუბარი. სწორედ ამ წიგნის გამოცემის შემდეგ (1931) გახდა ცნობილი მორის ბრიერის სახელი ქართველ მეცნიერთა წრეში. ა. შანიძის აზრით, მიუხედავად ზოგიერთი ენობრივი ფაქტის არასწორი კვალიფიკირებისა, ამ სახელმძღვანელოს უცხო ენებზე გამოსულ ქართული ენის სახელმძღვანელოებს შორის საპატიო ადგილი უჭირავს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ნ. მართან საქმიანმა თანამშრომლობამ განაპირობა მ. ბრიერის საგანგებო დაინტერესება ძველი ქართული ენით. ფრანგი ქართველოლოგის ბერნარ უტიეს თქმით, „პარიზში ძველი ქართულის სწავლება უკავშირდებოდა ნ. მარის სახელს, რომელმაც ამ კათედრისათვის პირველი მეცნიერი მოამზადა მ. ბრიერის სახით“.

ფრანგი მეცნიერი საქართველოში ჩამოვიდა 1936 წელს. პირადად გაიცნო ქართველი კოლეგები: კ. კეკელიძე, აკ. შანიძე, ალ. ბარამიძე და სხვები, მიიღო მათგან საჭირო კონსულტაციები, სპეციალური გამოკლევები, წიგნები; დაესწრო „გეოგრაფიული სირთულესნის“ ტექსტის ახალი — საიუბილეო გამოცემის დამდგენი კომისიის სხდომასაც... აღსანიშნავია, რომ ქართველი მეცნიე-

## საფრანგეთი

რები დიდად აფასებდნენ უცხოელი მოკეთის შრომას ქართული მწერლობის შესწავლა—პოპულარიზაციაში, ანუდიდნენ ძველ ქართულ ხელნაწერ ტექსტებთან დაკავშირებულ ახალ-ახალ ინფორმაციებსა თუ მასალებს.

მ. ბრიერი საფრანგეთის უურნალებში აქვეყნებდა **ასურულსა და ძველ ქართულ ტექსტებს ლათინური თარგმანითურთ და კომენტარებით**. მათ შორის აღსანიშნავია ოიანეს სახარება, შატბერდის კრებული და სხვა. 1950 წელს პარიზში გამოვიდა წიგნი „იოანეს სახარება“ (ემყარება 897 წლის ხელნაწერს), ძირითად ტექსტს დართული აქვს ვარიანტები ოპიზისა (913) და ტბეთის (995) ხელნაწერთა მიხედვით, ახლავს ლათინური თარგმანი. გამოცემის ავტორები არიან რ. ბლეიკი და მ. ბრიერი. ცნობილია, რომ შატბერდის კრებულის სხვადასხვა ტექსტი ითარგმნა სხვადასხვა დროს. ყველა ეს ტექსტი (ქართული, ბერძნული და სომხური) ფრანგული თარგმანითურთ და სათანადო კომენტარებით გააერთიანეს და ცალკე წიგნად გამოსცეს 1954 წელს მ. ბრიერმა, ლუი მარიესმა და შარლ მერსიემ. მ. ბრიერისა და ამერიკელი ქართველოლოგის რ. ბლეიკის მეცნიერული თანამშრომლობა ბოლო წლებში უკავშირდებოდა ქართული ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა წიგნებს. მართალია, რ. ბლეიკის გარდაცვალების შემდეგ წიგნის გამოცემა ცოტა ხნით შეფერხდა, მაგრამ მ. ბრიერის მონდომებით იგი მაინც გამოვიდა 1961 წელს პარიზში.

ფრანგი მკვლევარი 1926-1951 წლებში ასურული ენის პროფესორი იყო. იმავდროულად 25 წლის განმავლობაში **ასწავლიდა ქართულ ენასაც ჯერ პარიზის აღმოსავლური ცოცხალი ენების უმაღლეს სკოლაში (1928-1939)**, შემდეგ პარიზის კათოლიკურ ინსტიტუტში და აქვე განაცემდა ქართული ენის კათედრას (1940-1951).

მ. ბრიერმა მ. თარხნიშვილისა და ი. ასფალგის ერთობლივ ნაშრომს - „ქართული სასულიერო მწერლობის ისტორია“ უდღვნა ვრცელი რეცენზია (დაიბეჭდა 1957 წელს უურნალ „აზიატიკში“). მან მაღალი შეფასება მისცა როგორც კ. კეკელიძის

ნაშრომს, ისე წიგნის გერმანულ თარგმანს, რომელმაც უცხოელი მკითხველისათვის, განსაკუთრებით, დასავლელ მეცნიერთათვის ხელმისაწვდომი გახადა ძველი ქართული ლიტერატურის მდიდარი ისტორია.

მ. ბრიერი ქართული კულტურის ერთგული მსახური იყო. პენსიაში გასვლის შემდეგაც აგრძელებდა ბიბლიის ტექსტების ძველი ქართული ვერსიების შესწავლა-გამოცემას, პარიზის კათოლიკურ ინსტიტუტში ქართული ენის სწავლება კი მისივე რეკომენდაციით განაგრძო შარლ მერსიემ (ბრიერის მოწაფემ).

**შორე დიუმეზილი (1898-1986)** – ფრანგი ენათმეცნიერი, აკადემიკოსი, რელიგიის ისტორიის, ეპოსისა და შედარებითი მითოლოგიის აღიარებული სპეციალისტი — გახლდათ ცნობილი ქართველოლოგი, უცხოელ კავკასიოლოგთა პატრიარქი.

ჟ. დიუმეზილმა 1916 წელს დაამთავრა პარიზის უმაღლესი ე.ნ. ნორმალური სკოლა, 1919 წელს მიენიჭა ადიუნქტ-პროფესორის წოდება, 1924 წელს კი – მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. 1925 წლიდან იყო სტამბოლის უნივერსიტეტის პროფესორი, კითხულობდა ლექციებს დათისმეტყველებაში. 1931-1933 წლებში მოღვაწეობდა უფსალის უნივერსიტეტში (შვედეთი), ხოლო 1935 წლიდან 1968 წლამდე მუშაობდა პარიზის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში.

სპეციალისტების შეფასებით, ჟ. დიუმეზილის — „ფართო პროფილის პუმანიტარის პიროვნებაში შერწყმული იყო გამორჩეული ნიჭი, მრავალმხრივი კლასიკური განათლება და საქმის ერთგულება“. იგი საკულევაძიებო საქმიანობას ანარმონებდა ძირითადად ორი მიმართულებით: ერთი მხრივ, იკვლევდა ინდოევროპელთა ცივილიზაციას და, მეორე მხრივ, სწავლობდა ანატოლიაში გადასახლებული კავკასიელების ენებსა და ტრადიციებს.

„ინდოევროპელი ხალხების შედარებითი რელიგიის კვლევაში ჟ. დიუმეზილის სახელს უკავშირდება ახალი ეტაპის შექმნა. 30-იან წლებში მან დააფუძნა თვალსაზრისი, რომ, რაკი რელიგიაში აისახება ხალხის სოციალური ნიუბის სტრუქტურა, ეს კი საშუალებას გვაძლევს გავიგოთ რელიგიურ-მითოლოგიურ

## საფრანგეთი

წარმოდგენათა სტრუქტურა, ამიტომ ამაზე დაყრდნობით, უ-დიუმეზილის მიერ წამოყენებულ იქნა „სამფუნქციური თეორია“, რომლის მიხედვით, ინდოევროპელ ხალხთა მითებსა და ფოლკლორში ხდება ამ ხალხებისათვის დამახასიათებელი სამი სოციალური ფუნქციის – რელიგიურ-მაგიურის, სამხედროსა და სამეურნეოს ასახვა-მანიფესტაცია. ამ ხაზით განსაკუთრებით ფასეულია მეცნიერის მიერ დაარსებული საყოველთაოდ ცნობილი სერია „მითები და რელიგიები“, გამოსულია 60-ზე მეტი წიგნი“ (ქ. ლომთათიძე, გ. თოფურია, რ. ჯანაშია).

უ. დიუმეზილის ფოლკლორული ინტერესი გასცდა ევროპას. იგი მოგვევლინა ოსური ხალხური შემოქმედების დიდ მცოდნედ. მასვე ეკუთვნის ამ ეპოსის ფრანგული თარგმანი.

ფრანგი მკვლევარი კავკასიითა და კავკასიური ენებით დაინტერესდა XX საუკუნის 20-იანი წლებიდან, სტამბოლის უნივერსიტეტში მუშაობის დროს. ცნობილია, რომ XIX საუკუნის 60-იან წლებში მოხდა ჩრდილო-კავკასიელ ტომთა მასიური გადასახლება თურქეთში. ანატოლიაში წარმოიქმნა ე.ნ. „მცირე კავკასია“, რომელიც მოიცავდა კავკასიის თითქმის ყველა რეგიონს. ამის გამო იყო, რომ ბევრ მეცნიერს შესაძლებლობა მიეცა უშუალოდ დაპკვირვებოდა თურქეთის მინა-წყალზე მცხოვრებ კავკასიელ ხალხთა ეთნოგრაფიას, ფოლკლორს, ენებს...

**შენიშვნა:** ანატოლიაში გადასახლებულ კავკასიელთა ცალკეული მცირე ჯგუფებისთვის, ბუნებრივია, ძნელი იქნებოდა საუკუთარი ეროვნულობის, ზენ-ჩვეულებების, ენისა თუ კულტურის შენარჩუნება. ამ მხრივ ყველაზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ კავკასიაში მცხოვრები, აფხაზი და ადილე (ჩერქეზი) ხალხების ახლო მონათესავე უბისები, რომლებიც 1864 წელს, კავკასიის ომის დამთავრების შემდეგ, მთლიანად გადასახლდნენ თურქეთში (ამჟამად კავკასიაში უბისები აღარ არიან). აქ კიდევ უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა უბისების ასიმილაციის პროცესი, ერთი მხრივ, ჩერქეზ და, მეორე მხრივ, თურქულ მოსახლეობასთან. უბისები და უბისური ენა დაადგნენ გადაშენების გზას.

თითქმის 50 წელი სწავლობდა ფრანგი მეცნიერი უბისურს. იგი პირველად უბისებს 1930 წელს ესტუმრა. ადგილზე, სოფლებში, მიაკვლია მოხუცებს, რომელთაც ჯერ კიდევ ახსოვ-

დათ დედაენა, და მათგან იწერდა მასალებს, თავადაც სწავლობდა მათს ენას.

მეორე მსოფლო ომის დამთავრების შემდეგ, უკვე საფრანგეთში მცხოვრები ჟ. დიუმეზილი, ყოველ წელიწადს მიემგზავრებოდა თურქეთში, სადაც უბისებით, ჩერქეზებითა და ლაზებით დასახლებულ რაიონებში აგროვებდა სათანადო მასალებს და მათზე დაყრდნობით აქვეყნებდა საინტერესო გამოკვლევებს. აქვე შევნიშნავთ: ამ საკითხებზე 1949 წლიდან კითხულობდა ლექციებს პარიზის კოლეჯშიც.

აკადემიკოსი ჟ. დიუმეზილი არის 70 წიგნის, ათობით სტატიის, რეცენზიისა და თარგმანის ავტორი. მისი მონოგრაფიებიდან აღსანიშნავია: „უბისური ენა“ (1931. ეს არის ამ ენის პირველი მეცნიერული აღნერა), „შედარებითი ნარკვევები ჩრდილო-დასავლურ კავკასიურ ენათა შესახებ. მორფოლოგია“ (1932), „შედარებითი ძიებანი კავკასიური ზმის შესახებ“ (1933), „უბისური ზმია“ (1975) და სხვ. თუ დღეს უბისური ენის მასალა კავკასიოლოგიური სამეცნიერო ლიტერატურის მონაპოვარია, ეს არსებითად დიუმეზილის დამსახურებაა. მან გაქრობის გზაზე მდგომი ენით დააინტერესა აგრეთვე ნორვეგიელი ქართველოლოგი ჰანს ფოგტი.

ფრანგი მეცნიერი იკვლევდა სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებსაც: ზანურს (კერძოდ, მის ლაზურ დიალექტს), ნახურ ენებს (ინგუშურს); სვანურზე დაკვირვების მიზნით 1928 წელს იმოგზაურა საქართველოში, იყო სვანეთშიც; მსჯელობდა ბასკურ-კავკასიური ურთიერთობის საკითხებზეც. მისი აზრით, ბასკურის მონაცემები ყველა მნიშვნელოვან საკითხში ეთანხმება მთის კავკასიურ ენებს... შესაბამის ნაშრომებს აქვეყნებდა როგორც ცალკე წიგნების სახით, ისე სპეციალურ ორგანოებში, როგორიცაა: „აზიური ჟურნალი“, „პარიზის ლინგვისტური საზოგადოების ბიულეტენი“, „ანთროპოსი“, „ქართველოლოგიური რევიუ“ და სხვა.

სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ჟ. დიუმეზილის შემოქმედებაში ენობრივი მასალის მეცნიერული პუბლი-

## საფრანგეთი

კაციები, მით უმეტეს, როცა საქმე ეხება გაქრობის გზაზე მდგარი ენის მონაცემთა ფიქსაციას. ჯერ კიდევ 1931 წელს გამოქვეყნებულ „უბისთა ენას“ ერთვოდა ტექსტებიც. ამ დროიდან მკვლევარი სისტემატურად გამოსცემდა აფხაზურ, ადიღეურ, უბისურ და ზანურ ტექსტებს; აქვს გამოკვლევა კავკასიელ ალბანელთა შესახებ. 1960 წელს მან დაარსა სერია „კავკასიის ტრადიციათა და ენათა ანატოლიური დოკუმენტები“. ამ ფასდაუდებელი კრებულის რამდენიმე ტომში არაჩვეულებრივი მეცნიერული სიზუსტითაა წარმოდგენილი როგორც ზანურის (ლაზურის), ისე უბისურის, აფხაზურის, ჩერქეზულის... ფოლკლორული ტექსტები კომენტარებით, გრამატიკული მიმოხილვებით, პწკარედი ლიტერატურული თარგმანებით.

ჟ. დიუმეზილის ნაშრომები აღიარებული იყო არა მარტო საფრანგეთში, არამედ სხვა ქვეყნებშიც. მკვლევარს განსაკუთრებით დიდ პატივს სცემდნენ საქართველოში, რადგან მეტად ფასეულია მისი ღვაწლი კავკასიური ენების მეცნიერულ შესწავლასა და პოპულარიზაციაში. ამისი საუკეთესო დადასტურებაა შემდეგი ფაქტიც: 1984 წელს კ. სალიას ავადმყოფობის გამო შეწყდა ჟურნალ „რევიუ დე კარტველოლოგის“ გამოცემა, მაგრამ მისი საქმიანობის გასაგრძელებლად აკად. ჟ. დიუმეზილმა და მისმა მონაფემ პროფ. გიორგი შარაშიძემ მალევე დაარსეს პარიზში ახალი ქართველოლოგიური ჟურნალი „**Revue des Etudes Georgiennes et Caucasiennes**“ (ქართული და კავკასიური ეტიუდების ჟურნალი). 1985 წელს გამოვიდა ახალი ჟურნალის პირველი ნომერი (გამოცემის დირექტორი – ჟ. დიუმეზილი, რედაქტორი – გ. შარაშიძე). მართალია, დიუმეზილი ამის შემდეგ მალე გარდაიცვალა, მაგრამ მისი საქმე ღირსეულად განაგრძეს გ. შარაშიძემ და დომინიკ გოტიე-ელიგულაშვილმა.

**შენიშვნა:** ახლად დაარსებული ჟურნალის სარედაქციო კოლეგიაში შედიოდნენ ფრანგი მეცნიერები: უან პიერ მაე, ბერნადეტ მარტინიზარი, ბერნარ უტიუ, კატერინ პარი, ნიკოლ ტიერი, უან-მიშელ ტიერი და ბელგიელი მეცნიერი მიშელ ვან ესბროკი. ჟურნალთან ჩამოყალიბებულ სამეცნიერო საბჭოში მონვეული იყვნენ მსოფლიოს ცნობილი მეცნიერები: ი. ას-

ფალგი, ვ. ბოედერი, ქ. გარიტი, დ.მ. ლენგი, გ. პეჩი, კ.პ. შმიდტი, ჰ. ფოგტი და სხვ. უურნალს აფინანსებდა საფრანგეთის ეროვნული სამეცნიერო-საკვლევი ცენტრი, საფრანგეთის აკადემია, საფრანგეთის კოლეჯი, პროფესორ ა. მეიეს ფონდი, აღმოსავლური ცივილიზაციისა და ენების ეროვნული ინსტიტუტი.

ჟ. დიუმეზილის დამსახურება ქართველოლოგიაში ისიცაა, რომ აღზარდა ცნობილი პროფესორი გიორგი (გიგ) შარაშიძე, რომელიც ენათმეცნიერებაში გაჰყვა მასწავლებლის გზას – იკვლევდა კავკასიურ ენებს, ჭანურ დიალექტს, უბისურს. აღსანიშნავია ისიც, რომ გ. შარაშიძე განაგრძობდა მუშაობას იმ მასალებზე, რომლებიც დაუმთავრებელი დარჩა ჟ. დიუმეზილს. განსაკუთრებით ბევრი რამაა დასამათავრებელ-დასაზუსტებელი უბისურთან დაკავშირებით. გარდა ამისა, გ. შარაშიძემ და გოტიე – ელიგულაშვილმა გამოსაცემად მოამზადეს დიუმეზილის მიერ დაწყებული უბისური ლექსიკონი.

უურნალი „რევიუ დეზ ეტიუდ უეორუუინ ე კოკაზიენი“ აგრძელებდა პარიზის ქართველოლოგიური უურნალის ტრადიციებს: აქ იბეჭდებოდა ქართველ და უცხოელ მეცნიერთა გამოკვლევები, სტატიები, რეცენზიები, ბიოგრაფიები და თარგმანები... ახალი უურნალის ძირითადი მიზანი იყო უცხოელ ქართველოლოგთა მჭიდრო კავშირში და მეტი კონტაქტები საქართველოს სამეცნიერო, ლიტერატურულ და კულტურულ დაწესებულებებთან. უურნალის მესამე ნომერი მიეძღვნა ჟ. დიუმეზილის დაბადების 90 წლისთავს. მასში დაიბეჭდა უურნალის დირექტორის, პროფ. გ. შარაშიძის ვრცელი სტატია ჟ. დიუმეზილის ცხოვრება-მოლგანეობაზე.

კავკასიოლოგის სარბიელზე ჟ. დიუმეზილის ნახევარსა-უკუნვან მოღვანეობას ჰქონდა არა მარტო მეცნიერული მნიშვნელობა, არამედ საზოგადოებრივიც: მისმა ნაყოფიერმა მუშაობამ უცხოეთის სამეცნიერო წრეებში გააძლიერა ინტერესი კავკასიის ხალხთა კულტურისა და ენების მიმართ.

**რენე ლაზონი (1899-1974)** — ენათმეცნიერი, ბასკოლოგი, კავკასიოლოგი, ქართველოლოგი, უურნალ „ბედი ქართლისას“ სა-

## საფრანგეთი

მეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, ბორდოს უნივერსიტეტის პროფესორი, საფრანგეთის მხატვრული ლიტერატურის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ბილბაოს აკადემიის წევრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი — ერთ-ერთი გამორჩეულია ფრანგ მეცნიერ-ლინგვისტთა შორის, რომლებმაც ქართული ენა სპეციალური კვლევის საგნად გაიხადეს.

რ. ლაფონმა 1920 წელს დაამთავრა პარიზის უმაღლესი ე.ნ. ნორმალური სკოლა, მოიპოვა უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებლის ხარისხი და გახდა ფილოსოფიის მასწავლებელი. ლექციებს კითხულობდა ორნის, პოს (ქვემო პირენეა) და ბორდოს კოლეჯებში.

მომავალი ქართველოლოგი მონაზილეობდა პირველ და მეორე მსოფლიო ომებში. 1939 წლის სექტემბრის დასაწყისში გაიწვიეს საფრანგეთის არმიაში ლეიტენანტის ჩინით, ფრონტზე იბრძოდა როგორც ქარის ოფიცერი. მისმა ნაწილმა ბევრი გერმანელი ოკუპანტი გაულიტა საფრანგეთის მიწაზე, რისთვისაც ლაფონი დააჯილდოვეს სამხედრო ჯვრით და მიაკუთვნეს საპატიო ლეგიონის კავალერის წოდება. 1940 წლის ივნისში, ერთ-ერთი ბრძოლის დროს, მისი ნაწილი მტერმა აღყაში მოაქცია. ფაშისტებმა ფრანგი პატრიოტი ოფიცერი ტყვედ წაიყვანეს. საკონცენტრაციო ბანაკში განიცდიდა სასტიკ რეპრესიებს, მაგრამ გადარჩენის იმედი მაინც არ დაუკარგავს. მალე იგი ფრანგმა და საბჭოთა პარტიზანებმა გაათავისუფლეს.

რ. ლაფონმა კვლევითი მუშაობა დაიწყო სამეცნიერო კვლევის ეროვნულ ცენტრში 1937 წლიდან. 1944 წელს სორბონის უნივერსიტეტში წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე „ბასკური ზმის სისტემა XVI საუკუნეში“ (ტ. 1-2), მიენიჭა ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი და საფრანგეთის ინსტიტუტის ვოლნეის პრემია.

1948 წლიდან ფრანგი მკვლევარი ბორდოს უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი გახდა, ხელმძღვანელობდა ბასკური ენისა და ლიტერატურის კათედრას (რომელიც იმხანად ერთადერთი იყო საფრანგეთში).

**რ. ლაფონი ქართული ენით დაინტერესდა 1926 წლიდან.** მან სამი წლის განმავლობაში საკმაოდ კარგად შეისწავლა ქართული წერა-კითხვა და ლაპარაკი. დაიწყო ქართულიდან ფრანგულ ენაზე სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურის თარგმნა. მათ შორის აღსანიშნავია: ა.შანიძის ნაშრომი „გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან” (ახლავს მთარგმნელის ახსნა-განმარტებანი). დაიბეჭდა „პარიზის საენათმეცნიერო საზოგადოების მოამბის” 58-ე ტომში), „ვეფხისტყაოსნის” ცალკეული თავები (პროზად), ვაჟა-ფშაველას მოთხრობა „მთის წყარო”, აკ. წერეთლის „სულიკო”, ირ. აბაშიძის „ხმა გოლგოთასთან” და სხვა. მადლიერებით უნდა ითქვას, რომ ფრანგმა მეცნიერ-ლინგვისტმა ამ თარგმანებითაც შეიტანა გარკვეული წვლილი ქართული კულტურის პოპულარიზაციაში. ქართველოლოგიაში რ. ლაფონს ეკუთვნის ასზე მეტი ნაშრომი, თარგმანი თუ რეცენზია, რომელთაგან სპეციალისტთა განსაკუთრებული ყურადღების საგნად იქცა „ბასკური და კავკასიური ენების შესწავლისათვის”, „ქართული ენის უკეთ შესწავლისათვის”, „ახსნა-განმარტებანი აკ. შანიძის გამოკვლევაზე, რომელიც ეხება ქართულ ზმნას”, „ქართული და ბასკური მონათესავე ენები არიან”, „თხრობის ხელოვნება „ვეფხისტყაოსნში”, „ერგატივი და პასივი ბასკურსა და ქართულში”, „კავკასიური ენათმეცნიერება საქართველოში”, „იბერიულ-კავკასიური ენები”, ნიგნი „ბასკური ენა და ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა” და სხვ.

ფრანგულ ჟურნალ „რევიუ დე კარტველოლოგის” რამდენიმე ნომერში დაიბეჭდა ლაფონის საინტერესო გამოკვლევა „ქართული ენის უკეთ შესწავლისათვის”. ნაშრომის მიზანია ფრანგ ხალხს გააცნოს ქართული ენის სტრუქტურა, მისი გრამატიკული მოვლენები, რომ სრული ნარმოდგენა ჰქონდეთ ქართულ ენაზე. ავტორის აზრით, ქართულ ენას უნდა იცნობდნენ არა მარტო საფრანგეთში, არამედ სხვა ქვეყნებშიც: „ქართული ენა ლამაზი, ორიგინალური ენაა... მას ძალიან მდიდარი ლიტერატურა გააჩნია. ქართული ენა ოსტატურად გამოიყენება თანადროულობის ყველა გრძნობისა და იდეის გამოსახატავად”.

## საფრანგეთი

საფრანგეთში ქართული ენის შესწავლის საკითხი ჯეროვან სიმაღლეზე რომ არ დგას, რ. ლაფონის დაკვირვებით, ამისი ერთ-ერთი მიზეზი მატერიალური სიძნელეებია: არ არის შედგენილი სახელმძღვანელოები, ლექსიკონები, რომლებიც მსურველთ დაეხმარებოდა ქართული ენის შესწავლაში. ამიტომაც იყო, რომ, როცა 1971 წელს ფრანგულ ენაზე გამოიცა ჰ. ფოგტის წიგნი „ქართული ენის გრამატიკა”, პროფ. რ. ლაფონი გულწრფელად მიესალმა ამ ფაქტს და უძღვნა საინტერესო რეცენზია, მადლობით მოიხსენია ავტორი ამ შესანიშნავი წიგნისათვის და ხაზგასმით მიუთითა იმაზეც, თუ რა დიდ სამსახურს გაუწევდა ეს ახალი გრამატიკა ფრანგულენოვან მკითხველს. საანალიზო ნაშრომში ფრანგი მეცნიერი ერთხელ კიდევ მსჯელობს ქართული ენის იმ საკითხებზე, რის გამოც უნდა იმსახურებდეს იგი მეტ დაინტერესებას უცხოელთა მხრიდან: „ქართული ენა, რომელიც ეკუთვნის სამხრეთ კავკასიის ენათა ჯგუფს, ქართველურ ენებს, არის ძალიან საინტერესო ენა. **ქართული ენა** კავკასიის ენებს შორის ერთადერთია, რომელიც **ამაღლებულია ცივილიზებული ენის დონემდე**. ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხმა ეს თვისება საუკუნეების განმავლობაში მოიპოვა. იგი საქართველოს სახელმწიფო ენაა.”

აღსანიშნავია, რომ რ. ლაფონს, გარდა სპეციალური გამოკვლევებისა, დაწერილი აქვს ქართველ მეცნიერთა ნაშრომებისადმი მიძღვნილი რეცენზიები, სტატიები. მან მაღალი შეფასება მისცა არნ. ჩიქობავასა და ო. ცერცვაძის წიგნს „ხუნძური ენა.“ რეცენზიაში, რომელიც გამოქვეყნდა „პარიზის სამეცნიერო საზოგადოების მოამბეში“, წერდა: „ქართველი კავკასიელები არ ზოგავენ თავიანთ ძალ-ღონეს იმისათვის, რომ შეისწავლონ ცუდად შესწავლილი ენები, ნაკლებად ცნობილი დიალექტები.“ ... „იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ რა დიდი მეცნიერული მუშაობა წარმოებს ამ უკანასკნელ ხანებში საქართველოს დედაქალაქ თბილისში, საბჭოთა კავშირსა და საზღვარგარეთ, უნდა წავიკითხოთ არნ. ჩიქობავას ახალი წიგნი „იბერიულ-კავკასიური ენათა შესწავლის ისტორია“.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონთან (I-VIტ.) და-კავშირებით, „პარიზის მოამბის“ ერთ-ერთ ნომერში დაბეჭდილ სტატიაში აღნიშნულია: „ლექსიკონი გვამცნობს ქართული ენის სიმდიდრეს, იძლევა იმ ქართულ სიტყვებსაც, რომლებიც უც-ხოური სიტყვების ფარდად იხმარება.“ რეცენზენტი იქვე გა-მოთქვამდა სურვილს – ლექსიკონს დამატების სახით დართოდა ფუძეთა საძიებელი. ცოტა მოგვიანებით ლაფონმა ვრცელი რე-ცენზია მიუძღვნა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულს, წარმოაჩინა ამ წიგნის დიდი მნიშვნელობა ქარ-თული კულტურის ისტორიაში, მადლობით მოიხსენია ამ საშვი-ლიშვილო საქმის შემსრულებელ ავტორთა კოლექტივი და მთა-ვარი რედაქტორი არნ. ჩიქობავა.

საგულისხმო დაკვირვებანია წარმოდგენილი „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ სხვადასხვა ტომში დაბეჭდილი ნაშრომების შესახებ, რომელთა ავტორები არიან თ. შარაძენი-ძე, ბ. ფოჩხუა, ქ. ლომთათიძე, გ. როგავა, ი. ქავთარაძე, ო. კახა-ძე და სხვ.

რ. ლაფონისათვის, როგორც ლინგვისტ-ქართველოლოგი-სათვის, განსაკუთრებით ფასეული იყო აკ. შანიძისა და არნ. ჩიქობავას მეცნიერული მექვიდრეობა, საიდანაც თავად იღებდა ბევრ საინტერესო ინფორმაციას ქართველური და კავკასიური ენების შესწავლის თვალსაზრისით, ამავე დროს არაერთი რე-ცენზია-გამოკვლევით აცნობდა უცხოელ სპეციალისტებს ქარ-თველ მეცნიერთა მიღწევებს, მათი კვლევის შედეგებს. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი რეცენზიები აკ. შანიძის ნაშრომებზე: „ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები“, „სუ-ბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“, „კავკასიელ ალბანელთა ენა და დამწერლობა“, „ქართული გრამატიკა“, „ქართული გრამა-ტიკის საფუძვლები“ და ა.შ. რ. ლაფონი განსაკუთრებით ვრცლად განიხილავს ამ უკანასკნელს და მიუთითებს, რომ ქარ-თველმა მეცნიერმა პირველმა „დაადგინა ზმნის კატეგორიები: ქცევა, ჯერობა, აქტი, თანამდევრობა, კონტაქტი და სხვა; აღ-

## **საფრანგეთი**

---

მოაჩინა მწკრივი და მისი ელემენტები, ქართული ზმნების ფორმების სტრუქტურაში შეიტანა მეტი სიცხადე...

თავის მხრივ, აკად. ა. შანიძე დიდად აფასებდა ფრანგი კოლეგის ნაყოფიერ საქმიანობას: „ბასკურისა და ქართულის შესწავლისა და ერთმანეთთან შედარების მხრივ ყველაზე მეტი მნიშვნელოვანი შექმნა პროფ. რ. ლაფონმა. მან ჯერ კიდევ 1929 წელს პარიზის საენათმეცნიერო უურნალში გამოაქვეყნა ნერილი ჩრდილო კავკასიურ და ქართველურ ენათა ურთიერთობების შესახებ, სადაც სწორი დებულებაა წამოყენებული: ჩრდილო კავკასიისა და ქართველურ ენათა ნათესაობა შეიძლება ნაჩვენებ იქნეს მხოლოდ მაშინ, როცა შეიქმნება მათი შედარებითი გრამატიკები, თუნდაც ზოგადი სახითო... არ შეიძლება არ აღვნიშნო, რომ პროფ. რ. ლაფონი ისე კარგად ფლობს ქართულს, რომ ჩვენ მიმოწერა ქართულად გვაქვს.”

როგორც ითქვა, რ. ლაფონი გახლდათ მთელს ევროპაში ცნობილი ქართველოლოგი და ასევე აღიარებული ბასკოლოგი. იგი საფრანგეთის უურნალ-გაზეთებში სისტემატიურად აქვეყნებდა იბერიულ-კავკასიურ ენებთან ბასკურის ურთიერთობის საკითხებისადმი მიძღვნილი ნერილების სერიას, შემდეგ კი ცალკე წიგნად გამოსცა ვრცელი ნაშრომი „ბასკური ენა”, რომელშიც ასაბუთებდა ქართული და ბასკური ენების ნათესაობას. ამ წიგნს გამოეხმაურა არნ. ჩიქობავა. მან დაწვრილებით განიხილა ქართულ—ბასკური ურთიერთობის პრობლემა ზოგად ლინგვისტიკაში, შეეხო რ. ლაფონის ზემოდასახელებულ წიგნს, დადებითი შეფასება მისცა ამ ასპექტით ავტორის მიერ განეულ შრომას და მასში წარმოდგენილ ძირითად დებულებებს. გარდა ამისა, ქართველი მეცნიერი აქვე მსჯელობს ქართულ-ბასკური ურთიერთობის პრობლემის გადასაჭრელ კონკრეტულ გზებზეც. არნ. ჩიქობავას სიტყვებით: ბასკური ენა თითქმის ორი ათასი წლის განმავლობაში მოქცეულია ინდოევროპულ ენათა გარემოცვაში ესპანეთსა და საფრანგეთში, მაგრამ იგი მკვეთრად განსხვავდება ინდოევროპულ ენათაგან არსებითი მომენტების მიხედვით: სიტყვის (სახელის, განსაკუთ-

რებით კი ზმნის) აგებულებისა და —ამის შესაბამისად —წინა-დადების სტრუქტურის მიხედვით. სწორედ ამ მომენტების მიხედვითაა, რომ შეინიშნება გასაოცარი დამთხვევები იბერიულ-კავკასიურ ენებთან... ხშირად სვამენ კითხვას — არის თუ არა ქართული ბასკურის მონათესავე? ენათა ნათესაობის გამოსავლენად ჩვეულებრივ საჭიროა ენათა ისტორიის დიდ სიღრმეზე „გათხრა.“ ბასკურ-კავკასიური კავშირები მოითხოვენ სწორედ ამ ენათა ისტორიის ღრმად გათხრა-გაბურღვას. ასეთი მუშაობისათვის საჭიროა ბასკოლოგებისა და კავკასიოლოგების თანამშრომლობა... მხოლოდ ამ გზით შეიძლება ასეთი მსოფლიო მნიშვნელობის კულტურულ-ისტორიული პრობლემების გარკვევა.

არნ. ჩიქობავა რ. ლაფონის ქართველოლოგიურ საქმიანობას მიიჩნევდა ქართულ-ფრანგული კულტურული ურთიერთობის ერთ-ერთ საინტერესო, სანდო ნაწილად, რადგან, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „პროფ. რ. ლაფონი ერთადერთი სპეციალისტია ამჟამად, ბასკურის ცნობილი მკვლევარი და ქართულ-კავკასიურის საფუძვლიანი მცოდნე... ჩვენს დროში პროფ. რ. ლაფონი ერთადერთი ბასკოლოგია, რომელსაც ხელი მიუწვდება იბერიულ-კავკასიურ ენათა, განსაკუთრებით ქართული ენის რეალიებზე... საჭიროა ითარგმნოს არა მხოლოდ ლაფონის გამოკვლევები ქართული ენისა და ლიტერატურის შესახებ, არამედ სხვა რიგი გამოკვლევებიც ბასკურისა და იბერიულ — კავკასიურ ენათა ურთიერთობის შესახებ“.

პროფ. რ. ლაფონი მეუღლესთან ერთად თბილისში ჩამოვიდა 1966 წლის სექტემბერში, აქტიური მონაწილეობა მიიღო შოთა რუსთაველის იუბილეში. მან უმაღლესი საბჭოს სხდომა-თა დარბაზში ქართულ ენაზე წარმოთქვა მშვენიერი სიტყვა: „ძვირფასო მეგობრებო, დიდად ბედნიერი და გახარებული ვარ. ამ დღეებში პირველად ვნახე თბილისი, საქართველო, კავკასია... ახლა მე ვილაპარაკებ ქართულად ქართველთა წინაშე თბილისში, რომ პატივი ვცე შოთა რუსთაველს. ნება მიბოძეთ, მოგესალმოთ თქვენი ხალხის მეგობრების, ფრანგი მეცნიერების სახელით, აგრეთვე მოგესალმოთ კარგად ცნობილი საერ-

## საფრანგეთი

---

თაშორისო სამეცნიერო უურნალის „რევიუ დე კარტველოლო-ჟის“ სახელით, რომელიც გამოდის პარიზში ნინო და კალის-ტრატე სალიების ხელმძღვანელობით და საფრანგეთის საკ-ვლევო-სამეცნიერო ცენტრის დახმარებით.

როგორ მოვახერხო ქებათა-ქება ისეთი დიდი პოეტისა, როგორიც არის შოთა რუსთაველი? მე არა ვარ ქართული ლი-ტერატურის ისტორიკოსი, არც ქართველი და არც პოეტი. მე აღელვებული ვარ... მივმართავ მეორე პოეტს – ვიქტორ ჰიუ-გოს. მისი „საუკუნის ლეგენდაში“ ასეთ სტრიქონებს ვკითხუ-ლობთ: „პოეტი – ეს არის სამყარო, რომელიც ადამიანშია ჩაკე-ტილი.“ ეს, რა თქმა უნდა, მართალია. „ვეფხისტყაოსანი“ იმყო-ფება სამყაროში... მასში ასახულია ზეცა და მიწა, ამბები, აზრე-ბი, მამაკაცისა და ქალის გრძნობები, განსაკუთრებით, სიყვა-რული და მეგობრობა, მორალური ცხოვრება, სიმხნევე, სიწმინ-დე, ერთი სიტყვით, მთელი ფილოსოფია... მასში ასახულია ქარ-თული საზოგადოების მთელი ეპოქა, მისი უდიდებულესობა... შოთა რუსთაველი არის სიყვარულის ყველაზე დიდი პოეტი, სიყვარულისა და ერთგულების უდიდესი მომღერალი სამყარო-ში. „ვეფხისტყაოსანის“ ავტორმა სამუდამოდ შეინარჩუნა ქარ-თველი ხალხის ყველა შვილისა და მეგობრის მხურვალე სიყვა-რული ენისა, ქართველთა კულტურისა და ერთგულებისა.“

1966 წლის 10 ოქტომბერს პროფ. რ. ლაფონი მიიწვიეს სა-ქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინ-სტიტუტში, სადაც შეხვდა ქართველ კოლეგებს: არნ. ჩიქობა-ვას, ვლ. ფანჩიძეს, ი. ცერცვაძეს, ქ. ლომთათიძეს, ტ. გუდა-ვას, გ. როგავას, დ. იმნაიშვილს, გრ. იმნაიშვილს და სხვებს. მე-ორე დღეს აქაურ თანამშრომელთათვის სტუმარმა წაიკითხა ლექციები ბასკური ენის შესახებ, შემდეგ კი ლექციების ციკ-ლი ჩაატარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამ ფაქტთან დაკავშირებით აკად. არნ. ჩიქობავა საგაზეთო სტატი-აში ფართო საზოგადოებას ამცნობდა: „პირველად თბილისის უნივერსიტეტში (და, საერთოდ, ჩვენი ქვეყნის უნივერსიტეტებ-ში) იკითხება ლექციების ციკლი ბასკების, ბასკური ენის, მისი

ბგერითი შედგენილობის, სიტყვის აგებულებისა და წინადადების სტრუქტურის შესახებ. ლექციებს კითხულობს ფრანგი მეცნიერი, ბორდოს უნივერსიტეტის პროფესორი რენე ლაფონი. იგი ცნობილია, როგორც ბასკური ენის უდიდესი სპეციალისტი. ”იმ დღეებში თბილისის უნივერსიტეტის გაზეთში დაიბეჭდა პროფ. რ. ლაფონის წერილი სათაურით „თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტებს”, სადაც უცხოელი გულთბილად მიესალმა სტუდენტებსა და პროფესორ—მასწავლებლებს და მოკლედ მოუთხოო მათ საქართველოში მიღებულ შთაბეჭდილებაზე: „ამ დღეებში მე და ჩემმა მეუღლემ პირველად ვინახულეთ თბილისი და საქართველო. ძალიან ბედნიერი და ღრმად აღელვებული ვართ. უკვე გაგონილით ვიცოდით, რომ საქართველო სტუმართმოყვარეა და მას უყვარს საფრანგეთი, მაგრამ სინამდვილემ გადააჭარბა ჩვენს მოლოდინს. ვნახეთ მთელი ერი შეკრებილი ქალაქებსა და სოფლებში ერთი პოეტის პატივსაცემად, რომელიც 8 საუკუნის წინათ დაიბადა. არ ვიცნობ სხვა ქვეყანას, სადაც მსგავსი დღესასწაული შესაძლებელი იყოს. საფრანგეთში ჩემი დაბრუნების შემდეგ მინდა წავიკითხო საჯარო ლექცია პარიზსა და ბორბონი რუსთაველის იუბილესა და ჩემი საქართველოში ყოფნის შესახებ.”

მართლაც, პროფ. რ. ლაფონმა საქართველოში მიღებულ შთაბეჭდილებებზე 1966 წლის 17 დეკემბერს წაიკითხა ორი ლექცია: პირველი – სორბონის უნივერსიტეტში, მეორე – „პარიზის საენათმეცნიერო საზოგადოების მოამბის“ რედაქციაში.

1967 წელს „რევიუ დე კარტველოლოჟის“ ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნდა ფრანგი ქართველოლოგის ვრცელი წერილი „კავკასიური ენების შესწავლის მდგომარეობა საქართველოში“, რომელშიც ავტორი მაღალ შეფასებას აძლევს ქართველი ხალხის კულტურას, მეცნიერებას, ლიტერატურასა და ხელოვნებას. სტატიის შესავალში პროფ. რ. ლაფონი საუბრობს საქართველოში მისი მოგზაურობის შესახებ; მაღლიერებით იგონებს პროფ. აკ. შანიძესა და სხვა ქართველ მეცნიერებს, რომლებთანაც ჰქონდა საქმიანი მიმოწერა, მაგრამ პირადად

## საფრანგეთი

არავის იცნობდა: „დაახლოებით 40 წელი მაკავშირებს აკ. შანიძესთან. იგი იყო ჩემი მასწავლებელი და არის დღესაც როგორც ქართულ ენაში, ასევე სხვა ქართველურ ენებში”. შემდეგ დაწვრილებით ჩერდება ქართველი მეცნიერების ნაშრომებზე, რომლებსაც თარგმნის ფრანგულად და ბეჭდავს იქაურ უურნალებში, განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმას, რომ „კავკასიური ენების შესწავლის საქმე თბილისში მაღალ დონეზე დგას, უპირველეს ყოვლისა, ქართულისა. ქართველებს ძალიან უყვართ თავიანთი ენა ... ყურადღებით სწავლობენ ამ ენის ძველსა და ახალ ფორმებს”. სტატიის დასასრულს ავტორი წერს: „სანამ საქართველოში გავემგზავრებოდი, მტკიცედ მწამდა, რომ ქართული სკოლა ენათმეცნიერებისა იყო საუკეთესო თანამედროვე სამეცნიერო სკოლებს შორის. ამაში კიდევ უფრო დავრწმუნდი, როდესაც პირადად ვინახულე ამ სკოლის წარმომადგენლები აკ. შანიძისა და არნ. ჩიქობავას მეთაურობით. ჩემი ვიზიტი საქართველოში ძალიან სასიამოვნო და ნაყოფიერი იყო.”

**1969** წელს პროფ. ლაფონს შეუსრულდა დაბადების 70 და პედაგოგიური მოღვაწეობის 45 წლისთავი. ამ თარიღებთან დაკავშირებით, ქართული ენის შესწავლა-პოპულარიზაციაში დიდი დამსახურებისათვის არნ. ჩიქობავას შუამდგომლობით ფრანგ ქართველოლოგს —**რენე ლაფონს მიენიჭა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება.** ჩვენში უცხოელ მეგობარს გულწრფელად ულოცავდნენ ამ ჯილდოს, ქართველ საზოგადოებას დაწვრილებით აცნობდნენ რ. ლაფონის მეცნიერულ მემკვიდრეობას. ამავე წელს გამოვიდა **ს. თურნავას** მონოგრაფია „**რენე ლაფონი და საქართველო**”. ამ წიგნთან დაკავშირებით რ. ლაფონმა ავტორს გამოუგზავნა სამადლობელი წერილი: „ძალიან ვამაყობ, რომ ერთმა ქართველმა მეგობარმა დაწერა და გამოაქვეყნა წიგნი, რომლის სათაურში ჩემი სახელი გაერთიანებულია საქართველოს სახელთან. იცით, საქართველო ღრმად მიყვარს... გავაგრძელებ ჩემს ნაშრომს ბასკური ენის, ქართული ენის და სხვა კავკასიური ენების შესახებ. დიდი სიამოვნებით გავაცნობ საფრანგეთში

(და იმ ქვეყნებში, სადაც ფრანგული ენა იხმარება) საქართველოს ენას, ლიტერატურას, მეცნიერებასა და კულტურას, ენას, რომელიც რთულია, თავისებური და მუდამ ცოცხალი.”

**1973** წელს ბასკური მუზეუმის ბიულეტენში დაიბეჭდა რ. ლაფონის უკანასკნელი ნაშრომი „**ბასკური ენა**”.

აღსანიშნავია, რომ ფრანგი მეცნიერი მრავალმხრივი მოღვაწეც იყო. იგი ყველგან და ყოველთვის ფიქრობდა და ზრუნავდა ქართველოლოგიაზე, ქართულ საქმეზე და ამას აკეთებდა მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერების მსახურებისათვის. ამგვარი კეთილშობილების ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტი გახლავთ რ. ლაფონის საქმიანი ურთიერთობა შვეიცარიელ (ციურიხელ) ქართველოლოგ ქალებთან. როცა კ. ჩხერიმელი გარდაიცვალა და „ქართულ-გერმანული ლექსიკონის“ შედგენა – გამოცემა სირთულეების წინაშე აღმოჩნდა, რ. ლაფონი პარიზიდან ამხნევებდა ციურიხელ ქალბატონებს, ხშირ-ხშირად ჩადიოდა ციურიხში, ლექსიკონის ახალ-ახალ რვეულებს ხელნაწერში კითხულობდა, სათანადო კონსულტაციებით ხელს უწყობდა ლექსიკონის სრულყოფასა და დაზუსტებას. გარდა ამისა, პრესაში აქვეყნებდა წერილებს ციურიხის ქართველოლოგიური სკოლის მუშაობის შესახებაც...

**1974** წელს მოულოდნელად გარდაიცვალა რ. ლაფონი. პრესაში გამოქვეყნებულ გამოსათხოვარ წერილებში ქართველი კოლეგები მკითხველებს ერთხელ კიდევ შეახსენებდნენ ფრანგი ქართველოლოგის საქმიანობას და გულისტკივილით დასძენდნენ, რომ ქართულმა ენათმეცნიერებამ რ. ლაფონის სახით დაკარგა დიდი გულშემატკივარი, საქართველოსა და მისი კულტურის ერთგული მეგობარი.

პროფ. ლაფონის ხსოვნას მიეძღვნა „რევიუ დე კარტე-ლოლოჟის“ 1974 წლის ნომერი. წერილის ავტორები საუბრობდნენ იმ დიდ დამსახურებაზე, რომელიც მიუძღვდა რ. ლაფონს ქართველოლოგისა და კავკასიოლოგისა წინაშე. მან წარმატებით გააგრძელა საფრანგეთში სახელგანთქმული მეცნიერის მ. ბროსეს მიერ დამკვიდრებული ტრადიციები.

**კალისტრატე (კალი) სალია** (1901-1986) გახლდათ ევროპაში ცნობილი ქართველოლოგი, უურნალ „ბედი ქართლი-სას“ რედაქტორ-დამაარსებელი, ჰამბურგის, ოსლოს, ლუვენის, ბორდოს, კამბერის უნივერსიტეტებისა და პარიზის კათოლიკური ინსტიტუტის საპატიო დოქტორი, პროფესორი, ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების აკადემიის წევრი, პარიზის სააზიო, საისტორიო და ლინგვისტური, აგრეთვე ბიზანტიოლოგიური საზოგადოების წევრი, სამეცნიერო პრესის საერთაშორისო ასოციაციის ვიცე პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსი, საქართველოს საისტორიო საზოგადოების საპატიო წევრი.

კ. სალია დაიბადა ქუთაისის გუბერნიის ზუგდიდის მაზრის სოფ. ჯგალში, ლარიბი გლეხის ოჯახში. მან სამშობლოშივე მიიღო საფუძვლიანი განათლება: თავდაპირველად სწავლობდა სოფლის ორკლასიან სკოლაში, შემდეგ – ზუგდიდის ექვსწლიან სასწავლებელში. 1916 წელს შევიდა ხაშურის საგლეხო გიმნაზიაში, რომლის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა მშობლიურ სოფელში და ერთი წელი ზუგდიდის სკოლაში მუშაობდა მასწავლებლად. 1920 წელს კალისტრატე ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე. აქ იგი ისმენდა ივ. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის, შ. ნუცუბიძის, ფ. გოგიჩაშვილისა და სხვათა ლექციებს, მაგრამ უნივერსიტეტის სრული კურსი არ გაუვლია.

1922 წლის შემოდგომაზე კ. სალია გერმანიაში ჩავიდა. იქ დაამთავრა ბერლინის უნივერსიტეტთან არსებული გერმანული ენისა და ლიტერატურის ორნლიანი ინსტიტუტი, შემდეგ კი — ქ. ჰალეს უნივერსიტეტის იურიდიულ და ეკონომიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. კალე გერმანიაში ცხოვრობდა „ევროპელ სტუდენტთა დამხმარე კომიტეტის“ ხარჯზე, მაგრამ ეს კომიტეტი მალე დაიხურა. იქ კი ამ დროს ეკონომიკური კრიზისის გამო სამუშაოზე მოწყობა ძნელი იყო, ამიტომ კ. სალია 1924 წელს გაემგზავრა **საფრანგეთში**. პირველად მუშაობა დაიწყო პარიზის ერთ-ერთი გაზეთის რედაქციაში. ცოტა ხნის შემდეგ

კალისტრატეს, როგორც ნიჭიერ, ენერგიულსა და ცოდნას მოწყურებულ ახალგაზრდას, გაზეთის რედაქციამ რეკომენდაცია მისცა და შუამდგომლობა აღუძრა სორბონის უნივერსიტეტის წინაშე. კალე გახდა ჰუმანიტარული (ისტორია-ფილოლოგიის) ფაკულტეტის სტუდენტი. 1927 წელს დაამთავრა უნივერსიტეტი და ნარმატებით დაიცვა ბაკალავრის დიპლომი.

რამდენადაც კ. სალიას უცხო ქვეყნების ქვეშევრდომობა არასოდეს არ მიუღია, მიუხედავად მისი ფართო განათლებისა, რიგიანი სამუშაო ვერ იშოვა, თუმცა ყოველთვის პატიოსანი შრომით ირჩენდა თავს. სწორედ ამ პერიოდში გაიცნო მან პოლონეთიდან პარიზში ჩასული ნინო ქურციკაშვილი. ისინი მალე შეუღლდნენ და ხანგრძლივად ენეოდნენ ცხოვრების ჭაპანს.

სალიებს არასოდეს არ ჰქონიათ ურთიერთობა გერმანელ ფაშისტებთან, ამიტომ ომის დამთავრების შემდეგ საფრანგეთის ხელისუფლების კეთილგანწყობა დაიმსახურეს, რამაც დადებითი როლი ითამაშა კალისტრატეს დიდი ხნის ოცნების აღსრულებაში — 1948 წელს კალემ და ნინომ საფრანგეთის სამეცნიერო კვლევათა ეროვნული ცენტრის ფინანსური დახმარებითა და ნებართვით პარიზში დააარსეს სამეცნიერო, ისტორიულ-ლიტერატურული უურნალი „ბედი ქართლისა“.

1948 წლის ივლისში გამოვიდა უურნალის პირველი ნომერი. შესავალ წერილში კ. სალია მკითხველს აცნობდა უურნალის დანიშნულებასა და ამოცანებს: „ბედი ქართლისა“ არის ისტორიულ-ლიტერატურული სამეცნიერო ორგანო საზღვარგარეთ მცხოვრები არაერთი წარჩინებული ქართველი მამულიშვილის გონებითი საზრდოს გამოსაქვეყნებლად... ესენი იყვნენ ბურჯი ქართული აზროვნებისა, რომელიც ეროვნული იდეალის შექმნასა და განმტკიცებას ემსახურებოდნენ.

კრებული „ბედი ქართლისა“ დაიცავს ჩვენს ისტორიას, რომელშიც ხან სევდით და ტანჯვით სავსე, ხან ძლევამოსილი მელოდია მოისმის, ორივეგან ეროვნული ენერგიით სავსე. იგი დაიცავს ქართულ მრავალსაუკუნოვან ზნე-ადათს, ქართულ სიტყვას, ქართულ ენას, რომელიც სიმდიდრისა და სიბრძნის

## საფრანგეთი

დაუშრეტელი წყაროა. იგი დაიცავს ქართულ ეროვნულ სულს, იგი დაიცავს ქართულ წარსულს, სადაც ამდენი თვალმარგალიტია დამარხული. „ბედი ქართლისა“ დაიცავს ქართულ კულტურას და შეეცდება გააცნოს იგი უცხოეთს, რომელიც მას ნაკლებად იცნობს და რომლის ისტორიაში მას პატივსადები ადგილი უნდა ჰქონდეს...

კრებული „ბედი ქართლისა“ არ არის პოლიტიკური ორგანო და არც კუთვნილება რომელიმე მიმართულებისა. მასში თანამშრომლობა შეუძლია ყველა ქართულ კულტურულ ძალას“.

შურნალის რედაქცია მოთავსებული იყო სალიების ბინაში, რომელიც იმხანად განასახიერებდა ქართული კულტურის პარიზულ კერას. „ბედი ქართლისას“ გამოცემის ყველანაირ საქმეს ასრულებდნენ მეუღლენი: კალისტრატე იყო შურნალის სული და გული – რედაქტორი, კორექტორიც კი, ნინო – გამომცემელი.

თავდაპირველად „ბედი ქართლისა“, მცირე მოცულობის (64 გვერდიანი) კრებული, გამოდიოდა წელიწადში ოთხჯერ მხოლოდ ქართულ ენაზე.

კალისტრატე და ნინო სალიების მიერ წამოწყებულ ამ საშვილიშვილო, უაღრესად ეროვნულ საქმეს დიდი მოწონებითა და სიხარულით შეხვდა ქართული ემიგრაცია, საქართველოს ინტელიგენცია...

„ბედი ქართლისას“ მეორე ნომრის (გამოვიდა 1948 წლის ოქტომბერში) მენინავე სტატია „რედაქციისაგან“ იმედიანად იტყობინებოდა: „ჩვენი შურნალის გამოსვლას ქართველობა დიდი თანაგრძნობით შეხვდა მსოფლიოს ყოველი კუთხიდან, სადაც კი იმყოფებიან ჩვენი გადმოხვენილი თანამემამულენი. მოგვდის წერილები კმაყოფილებისა და გამხნევებისა. შურნალის გეზი მოწონებულ იქნა ქართულ წრეებში, გვთხოვენ განვაგრძოთ ეს ეროვნული საქმე აღებული ხაზით. ჩვენ ვეცდებით ჩვენი მოვალეობა შევასრულოთ და ამით ჩვენდამი გამოცხადებული ნდობა თანამემამულეთა გავამართლოთ.“

შურნალის ამავე ნომერში გრიგოლ რობაქიძე ახალი კრებულის მისიას ასე განსაზღვრავდა: „ეს შურნალი არაა პოლიტი-

კური, იგი პოლიტიკაზე მაღლა დგას, როგორც ზეპოლიტიკური ორგანო. საქართველო მეტია, ვიდრე რომელიმე პოლიტიკური პარტია – ჯერ ქართველი უნდა იყო და მერე რომელიმე დაჯგუფების მიმდევარი. ეს უურნალი უნდა გახდეს კერად გადმოხვეწილ ქართველთა, კერად სულისა და გონისა“.

საბედნიეროდ, უურნალმა მალე გაამართლა იმედი. მასში თანამშრომლობდნენ ცნობილი უცხოელი ქართველოლოგები, ჩვენი თანამემამულე მეცნიერები: მიხ. წერეთელი, მიხ. თარ-ხნიშვილი, ექვ. თაყაიშვილი, გრ. რობაქიძე, კ. კეკელიძე, გ. წე-რეთელი, აკ. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ალ. ბარამიძე, ს. ყაუხჩიშვილი, ელ. მეტრეველი... კრებულში იბეჭდებოდა საინტერესო სტატიები საქართველოს ისტორიისა და, საერთოდ, კულტურის საკითხებზე, რომელთაც ინტერესით ეცნობოდა ქართველი თუ უცხოელი მკითხველი.

რამდენიმე წლის შემდეგ გამომცემლები დარწმუნდნენ, რომ მათს უურნალს უფრო მეტი წარმატება ექნებოდა, თუკი იგი დაიბეჭდებოდა რომელიმე ევროპულ ენაზე და ხელმისაწვდომი გახდებოდა უცხოელი სპეციალისტებისა თუ, საზოგადოდ, საქართველოთი დაინტერესებული ფართო მკითხველი-სათვის, რაც ბუნებრივად არ ხერხდებოდა მხოლოდ ამ ქართულენოვანი გამოცემით.

სალიებმა გაითვალისწინეს ეს გარემოება და შეცვალეს უურნალის სტრუქტურა და ფორმატიც: 1957 წლიდან უურ-ნალს ეწოდა „ბედი ქართლისა. რევიუ დე კარტველოლოგი“ („ბედი ქართლისა, ქართველოლოგიური მიმოხილვა“), გადიდდა ტირაჟიც, ყოველწლიურად გამოდიოდა 350-400-გვერდიანი ნო-მერი ფრანგულ ენაზე, ცალკეული სტატიები ზოგჯერ ინგლი-სურად, გერმანულად და იტალიურადაც იბეჭდებოდა. კრებულს აფინანსებდა საფრანგეთის სამეცნიერო კვლევითი ცენ-ტრი (კ. სალია განუწყვეტლივ ზრუნავდა უურნალის მოცულობის გაზრდაზე, სრულყოფდა მის მხატვრულ გაფორმებას და განამტკიცებდა მეცნიერულ დონეს).

## საფრანგეთი

---

ნინო და კალისტრატე სალიებმა განახლებული ჟურნალის მეშვეობით კიდევ უფრო მეტი კონტაქტები დაამყარეს ევროპის სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან, ურნალის გარშემო შემოიკრიბა გამოჩენილ უცხოელ ქართველოლოგთა ფართო წრე. მათ შორის იყვნენ „ბედი ქართლისას“ სამეცნიერო საბჭოს წევრები: ი. ასფალგი, ი. მოლიტორი, კ. შმიდტი, უ. დიუმეზილი, რ. ლაფონი, ბ. უტიე, უ. გარიტი, მ. ესპროკი, დ. ლენგი, ჰ. ფოგტი, ლ. ტარდი, გ. პეჩი... საზღვარგარეთ არსებულ ამ ერთადერთ სამეცნიერო ქართველოლოგიურ პერიოდულ გამოცემაში უცხოელებთან ერთად აქტიურად თანამშრომლობდნენ ცნობილი ქართველი მეცნიერები. აქ იბეჭდებოდა მათი გამოკვლევები და წერილები, მათივე ნაშრომების ანოტაციები, მიმოხილვები, რეცენზიები...

„რევიუ დე კარტველოლოგის“ წარმატებული საქმიანობა არაერთგზის იქნა აღიარებული ევროპის სამეცნიერო წრეების მიერ. მაგალითისათვის ამჯერად დავიმოწმებთ უცხოელი ქართველოლოგების ერთი ჯგუფის ერთობლივ წერილს, მიძღვნილს ჟურნალის დამაარსებლისა და რედაქტორის კ. სალიას დაბადების 70 წლისთავისადმი: „არ უნდა დაგვავინყდეს, რომ არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ქართველოლოგით სერიოზულად დაინტერესებულ პირთა რიცხვი საზღვარგარეთ უმნიშვნელო იყო. საქართველო არ იყო წარმოდგენილი მსოფლიო არენაზე ისე, როგორც მის ისტორიას, წარსულსა და დღევანდელობის კულტურულ სიმდიდრეს შეფერება. დღეს მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. რაც დრო გადის, უფრო მეტი და მეტი ევროპელი თუ ამერიკელი მეცნიერი სწავლობს საქართველოსა და კავკასიის სხვა ხალხების ენას, ლიტერატურას, ისტორიას და ხელოვნებას. ქართული ენა და ლიტერატურა ისწავლება მრავალ უნივერსიტეტში. კავკასიური ენების მეცნიერული კვლევა-ძიება ყველგან ვითარდება. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ურნალ „ბედი ქართლისას“ რედაქტორმა კ. სალიამ, რომელიც წელს დაბადების 70 წლისთავს ზეიმობს... მან შეძლო ჟურნალის გარშემო შემოკრიბა ყველა ქართველოლოგი და კავკასიოლოგი, დაემყარებინა აუცილებელი კონტაქ-

ტები, რომელიც მანამდე თითქმის არ არსებობდა საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ წარმოებულ კვლევა-ძიებას შორის და გაელვიძებინა მეცნიერთა ინტერესი ამ ლეგენდარული და მომხიბლავი ქვეყნის ცივილიზაციის ყოველმხრივი შესწავლისადმი“ (ს. თურნავა, „ბედი ქართლისა“).

გ. პეჩის, პ. ფოგტის, რ. ლაფონისა და სხვა ცნობილი უცხოელი ქართველოლოგების აზრით, „რევიუ დე კარტველოლო-ჟიმ“, საერთაშორისო სახელის მქონე სამეცნიერო ორგანომ, შეამჭიდროვა იზოლირებული ქართველოლოგები... მიიზიდა ევროპის გამოჩენილი მეცნიერები, დააკავშირა ისინი თბილისის ლინგვისტებთან.

დასასრულ, XX საუკუნის ქართველოლოგიაში „ბედი ქართლისა. რევიუ დე კარტველოლოჟის“ უდიდესი მნიშვნელობისა და საერთაშორისო მეცნიერული რეზონანსის დასტურად მოვიხმობთ პროფ. რ. ლაფონის სიტყვებსაც: „პირველი საფუძველი ქართველოლოგიას ჩაუყარა 1834 წელს ფრანგმა მეცნიერმა მარი ბროსემ, ხოლო, როგორც ნამდვილი მეცნიერული დისციპლინა, დასავლეთში ქართველოლოგია პირველად ჩამოაყალიბეს ისევ საფრანგეთში, „რევიუ დე კარტველოლოჟი. ბედი ქართლისას“ დაარსებით ნინო და კალისტრატე სალიებმა 1957 წლის დასაწყისში. მანამდე საზღვარგარეთ, სამწუხაროდ, ქართველოლოგია როგორც მეცნიერება არ არსებობდა“ (1971).

„ბედი ქართლისას“ ბოლო ნომერი გამოვიდა 1984 წელს. კ. სალიას ავადმყოფობის გამო მან შეწყვიტა არსებობა. ევროპის სამეცნიერო საზოგადოებას აუცილებლობად მიაჩნდა კ. სალიას ჟურნალის ტრადიციების გაგრძელება. სწორედ ამ მიზნით ფრანგმა აკადემიკოსმა უ. დიუმეზილმა და მისმა მოწაფემ პროფ. გ. შარაშიძემ 1986 წელს დააარსეს ახალი ქართველოლოგიური ჟურნალი „რევიუ დეზ ეტიუდ ჟეორჟიენ ე კოკაზიენი“ (იხ. ზემოთ).

გარდა იმისა, რომ კალისტრატე და ნინო სალიები წარმართავდნენ ჟურნალის გამოცემა-გავრცელების ყველა საქმეს, აქტიურადაც თანამშრომლობდნენ ამ კრებულში, ბეჭდავდნენ გა-

## საფრანგეთი

მოკვლევებს: ნინო – მეტწილად კულტურისა და ეთნოგრაფიის დარგში, კალისტრატე – ისტორიასა და ლიტერატურაში.

კალე საფუძვლიანად ფლობდა ევროპულ ენებს, სტატი-ებს წერდა ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზეც. მის ნაშრომთა შორის მეტად ფასეულია: „ბერები და ქართული მონასტრები საზღვარგარეთ“, „ტაო-კლარჯეთი და მისი მონასტრები საზღვარგარეთ“, „ქართული ლიტერატურა (ორ ნაწილად)“, „ბაგრატიონთა დინასტიის წარმოშობა“, „შენიშვნა ქართული ანბანის წარმოშობისა და დროის შესახებ“, „სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო“, „ქართულ-ბიზანტიურ ურთიერთობათა მოკლე მიმოხილვა“, „პროფესორი ჟერარ გარიტი ფრანკის პრემიის ლაურეატი“ და სხვ.

„რევიუ დე კარტველოლოჟის“ 1965 წლის XIX-XX ტომში დაიბეჭდა კ. სალიას ვრცელი სტატია – „ქართული ლიტერატურა“. მასში განხილულია ქართველი მწერლების: ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, ალ. ყაზბეგის, რ. ერისთავის, ვაჟა-ფშაველას, დ. კლდიაშვილის ცხოვრება-შემოქმედება. საილუსტრაციოდ მოხმობილია ბევრი საინტერესო მასალა. ცოტა მოგვიანებით კ. სალიამ სპეციალური გამოკვლევები უძღვნა აგრეთვე გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, ირ. აბაშიძის პოეზიას; კ. გამსახურდიას, ნ. ლორთქიფანიძის, ლ. ქიაჩელის, მიხ. ჯავახიშვილის მხატვრულ პროზას და ვრცლად დაახასიათა მათი შემოქმედებითი გზები.

კ. სალიას მეცნიერულ მემკვიდრეობაში დიდი ადგილი ეთმობოდა საქართველოს ისტორიული წარსულის კვლევას, რაც წარმოდგენილია რამდენიმე სხვადასხვა ნაშრომის სახით: ცალკეული სტატიებით და ბოლოს ვრცელი მონოგრაფიით. ჯერ კიდევ 1972 წელს სალიების მიერ გამოქვეყნებული „საქართველოს მოკლე ისტორია“ წლების მანძილზე ივსებოდა ახალ-ახალი საინტერესო მასალებით. კალისტრატე უცხოურ თუ ქართულ წყაროებზე დაყრდნობით ცდილობდა თვალსაჩინო გაეხადა ფართო მკითხველისათვის ქართველთა მიერ განვლილი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ძირითადი ეტაპები და უმნიშ-

ვნელოვანესი მოვლენები... ასე შეიქმნა მისი ფუნდამენტური წიგნი „ქართველი ერის ისტორია“, რომელიც გამოიცა ფრანგულ ენაზე 1980 წელს. 560-გვერდიანი მონოგრაფია შედგება 24 თავისაგან; ახლავს შესავალი და დამატებითი პარაგრაფები. შინაარსით წიგნი ეხება საქართველოს ისტორიას დასაბამიდან ვიდრე 1917 წლის რევოლუციამდე. მასში თავმოყრილია თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიით დადგენილი ისტორიული მოვლენები. გარდა ამისა, ზოგი რამ გაშუქებულია ისეთი გულახდილობითა და პირდაპირობით, როგორიც ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის ნამდვილად უცხო იყო უკანასკნელი 70 წლის განმავლობაში. კალისტრატემ მკითხველს მიაწოდა ზოგიერთ საკითხზე ბევრი ახალი ცნობა, მაგალითად, საქართველოსა და სომხეთს შორის არსებული სახელმწიფოებრივი საზღვრის შესახებ ძეველი წელთაღრიცხვის VI საუკუნის მდგომარეობით, ასევე საინტერესოა მისი მოსაზრება ალანებზე (ოსებზე) და ა.შ. ავტორის დამოწმებით, წიგნს საფუძვლად უდევს ივ. ჯავახიშვილის, ნ. ბერძენიშვილისა და ს. ჯანაშიას გამოკვლევები; ერთვის ვრცელი ბიბლიოგრაფია შრომებისა ქართულ, რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ ენებზე.

კ. სალიას ამ დიდებულ ნაშრომს დიდი გამოხმაურება მოჰყვა ჩვენში თუ ევროპის სამეცნიერო წრეებში. 1980 წელსვე „ქართველი ერის ისტორიას“ მიენიჭა საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის პრემია; დაინერა უამრავი ცალკეული თუ ავტორთა კოლექტივის ერთობლივი რეცენზია – გამოხმაურება, რომლებშიც წარმოჩენილი იყო წიგნის მეცნიერული ფასეულობა ისტორიოგრაფიაში. მაგალითისათვის ამჯერად დავიმოწმებთ ორიოდე ამონარიდს: „ფრანგი მკითხველი პირველად შეძლებს წაიკითხოს ყველასათვის მისაწვდომი სტილით დაწერილი კავკასიის უძველესი ერის ისტორია დასაბამიდან ჩვენი საუკუნის დამლევამდე... გარკვეული აზრით, კ. სალიას ეს ნაშრომი ბევრად მეტია: იგი ერის ზნეობრივი პორტრეტია“ (უან პიერ მაე – ცნობილი ორიენტალისტი, პარიზის კათოლიკური ინსტიტუტის ძველი ქართული და სომხური ენების პროფესო-

## საფრანგეთი

რი); „ეს არის შესანიშნავი ნაშრომი, რომელსაც ქართველი ერი იმსახურებს. ფრანგი მკითხველისათვის იგი შესანიშნავი საშუალებაა ძალზე წაკლებად ცნობილი ერის ისტორიისა და კულტურის შესასწავლად“ (ჰ. ფოგტი).

სპეციალისტთა აზრით, „ქართველი ერის ისტორიის“ ავტორი გამოირჩევა საკითხების ღრმა ცოდნითა და სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით. „საქართველო მეტად პატარა ქვეყანაა, გეოგრაფიულ რუკაზე რომ შეხედო. მაგრამ ქართველი ერი დიდი ერია თავისი ისტორიით, როლით, რომელსაც იგი შორეულ წარსულში ასრულებდა. საქართველო – ერთ-ერთი პირველი ქრისტიანული სახელმწიფო – არის და ყოველთვის იქნება ისტორიულ ასპარეზზე წარმოდგენილი“, — ვკითხულობთ ამ სიტყვებს და აღარ ვვიკვირს, თუ რატომ შესწირა კ. სალიამ მთელი თავისი ცხოვრება სამშობლოსა და ქართველი ერის უანგარო სამსახურს და რატომ იბრძოდა „კალამშემართული“ ასე დაუცხრომლად, თავგანწირვით საზღვარგარეთ ქართული კულტურის წარმოჩენა-პოპულარიზაციისათვის.

1983 წელს „ქართველი ერის ისტორია“ განმეორებით გამოიცა ნინო სალიას ხელმძღვანელობით. იმავე წელს ლონდონში დაიბეჭდა წიგნის ინგლისური თარგმანი, რომელიც შეასრულა ცნობილმა ქართველოლოგმა ქეთრინ ვივიანმა.

საგანგებოდ გვინდა მკითხველს შევახსენოთ კ. სალიას ერთი წერილიც — „როგორ შეხვდა ქართველი ერი ილიას სიკვდილს?“ ესაა პარიზში 1957 წელს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის 50 წლისთავთან დაკავშირებით გამართულ კრებაზე ბატონი კალისტრატეს მიერ წარმოთქმული სიტყვა (დაიბეჭდა „ბეჭი ქართლისას“ 29-ე წლის 1958 წელს), რომელიც პროფ. გ. შარაძის შეთავაზებით საქართველოში პირველად გამოაქვეყნა (მცირე შემოკლებით) გაზეთმა „თბილისმა“ (1991, 27 აგვისტო).

კ. სალია საოცრად შთამბეჭდავად წარმოაჩენს 50 წლის წინანდელ საქართველოში იმ სამგლოვიარო დღეების ტრაგიკულ ამაღლებულობას. ისე ხატოვნად, გრძნობიერად ვითარდება თხრობა ამბებისა დაწყებული წინამურის საბედისწერო გას-

როლიდან მთანმინდაზე დავანებამდე, რომ თითქოს შენც ხდები უშუალო მონაწილე ერის დიდებული თავკაცის გამოსათხოვარი დღეებისა.

გთავაზობთ ამ წერილის ჩვენეულ ინტერპრეტაციას:

...1907 წლის 30 აგვისტო. თავზარდამცემი ამბავი მსწრაფლ მოედონ თბილისს და მთელ საქართველოს. უსაზღვრო გლოვამ შეიძყრო ქართველი ერი, „შეინძრა და განრისხდა იგი“... ყოველდღიურად იმართება საეკლესიო და სამოქალაქო პანაშვიდები. გლოვობს ერთიანი საქართველოს ყველა ეროვნების წარმომადგენელი, სამშობლოს ზღვა ცრემლს თავის ცრემლსაც უმატებს უცხოეთის ქართველთა ემიგრაცია...

7 სექტემბერს საგურამოდან თბილისისაკენ დაიძრა სამგლოვიარო პროცესია. სახლიდან კუბო გამოასვენეს არტურ ლაისტმა, ივანე რატიშვილმა, ვანო აბაშიძემ, ალექსანდრე მდივანმა, იაკობ ფანცხავამ და გიორგი ზდანევიჩმა... ილიას სახლზე საგურამოს გლეხებმა ააფრიალეს უშველებელი შავი დროშა... მერე წინამური... აქაც გამოსათხოვარი სიტყვები. მთელ გზაზე თბილისამდე ილიას კუბოს ხვდებოდა ერი თუ ბერი გვირგვინებითა და შავი დროშებით... სამ საათზე პროცესია თბილისში შევიდა. წინ შავ ჩოხებში გამოწყობილი 30 ცხენოსანი მიუძლოდა. კუბოს 50 საგურამოელი გლეხი მისდევდა. ასამდე ეტლი იყო. ვერაზე ოთხი ეპისკოპოსი დახვდა დიდალი სამღვდელოებით. ისევ ლოცვა, ისევ გამოსათხოვარი სიტყვები: „საქართველოს ჭირისუფალო ილიავ, სდუმხარ? მაშ მართალია? თუ აგრეა – იგლოვეთ, იგლოვეთ მდუღარედ: შენ ალაზანო, ზვირთი ზვირთზედ აგორე, აბობოქრდი, მოჰყევი მწარე ზარს! თქვენ, ყვარლის მთებო, ნისლით შეიბურეთ მწვერვალები, ეს იქნება თქვენი ძაძა. შენ, ობოლოვაზო, აფრქვიე მწუხარე ცრემლი... ალარ გყავს გრძნობათა მოენე!! შენ კი, საქართველოვ, ახლა მაინც მიხვდი, რა ბედშავია შენი ხვედრი. დეე, ამ დიადმა წმინდა მსხვერპლმა მაინც შეაგნებინოს შენს შვილთ სამშობლოს განწირული მდგომარეობა!.“. (ილია ზურაბიშვილი).

## საფრანგეთი

**სიონის ტაძარი.** ეპისკოპოსი **ლეონიდე** თავის სიტყვაში უზომო მწუხარებასთან ერთად ქართველობას შეახსენებს: „ჩვენც ხომ არ გვიდევს წილი მის მკვლელობაში. ჩვენ რომ თავის დროზე ილია გვეცნო, ჩვენ რომ ილიას ნამცნები მოძღვრება ურთიერთის სიბრალულ-სიყვარულისა, სამშობლოსათვის თავდადების და ქართველი ერის განვითარებისა, მშობელი დედის რძესთან ერთად გვექცია ჩვენი არსებობის სისხლად და ხორცად, არც დღევანდველი მარცხი შეგვემთხვეოდა. მაგრამ, დამნაშავე ვართ ყველანი დიდიდან პატარამდე შენს წინაშე, სულო მაღალო!... გლოვით შეპყრობილნო, საყვარელო თანამემამულენო, ნიშნად გულითადი სინანულისა, ჩამოვიკიდოთ ჩვენც დღეიდან მკერდზე ლოდი სინანულისა... და მივსცეთ ჩვენს დიდებულ მიცვალებულს უტყუარი აღთქმა, რომ არ ჩამოვიხსნით ამ ტვირთს, ვიდრე ჩვენც და ჩვენი შვილებიც არ შევითვისებთ სავსებით მისგან ანდერძად დატოვებულ მაღალ მოძღვრებას.“

**...დაკრძალვის დღე, 9 სექტემბერი.** 11 საათზე ილიას ცხედარი გამოასვენეს სიონის ტაძრიდან და პროცესია დაიძრა მამადავითისაკენ, რომელსაც მხოლოდ საღამოს 6 საათზე მიაღწია. ასი ათასს აღემატებოდა პროცესიაში მონაწილეთა რიცხვი... სასახლის ქუჩაზე პროცესია შეჩერდა. წერაკითხვის საზოგადოების შენობიდან ავადმყოფი **აკაკი წერეთელი** ასე გამოეთხოვა თანამებრძოლს, თანამეკალმეს: „მშვიდობით ძმაო! გარემოებამ გადაგვაბა ჩვენ ერთმანეთს. ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთ უღელს ვენეოდით, ერთი გზით დავდიოდით. ახლა მე მარტოდ დამტოვე, დავრჩი ობოლი. შენ კი, შენი ქვეყნიური ვალი შეასრულე და განისვენე სამარადისოდ. თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები... როგორც სიცოცხლე, ისე სიკვდილი შენი გახდა მიზეზად ხალხის ამოძრავებისა...“

**მთაწმინდა.** ისევ გამოსათხოვარი სიტყვები, ზღვა ცრემლი... „ასე მიაცილა დამონებულმა და უცხო უღლის ქვეშ მგმინავმა საქართველომ სამარემდე თავისი საყვარელი შვილი და მიაბარა იგი მის სანეტარო ქვეყნის მიწას, ისეთი ღრმა და გულ-

წრფელი საყოველთაო გლოვით, ისეთი ცრემლის ფრქვევით და ისე დიდებულად, როგორც უგლოვია, უტირია და დაუმარხია თავის დამოუკიდებლობის და ძლიერების დროს მისნი სახელოვანნი და დიდი მეფენი, „ – ამ სიტყვებით მთავრდება უზომო მწუხარების გამომხატველი, მაგრამ იმავდროულად ეროვნული სიამაყის გრძნობით დამუხტული ეს შესანიშნავი წერილი კ. სალიასი.

ნინო და კალისტრატე სალიები ყოველთვის აქტიურად ეხმიანებოდნენ ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო თუ კულტურულ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებს. მაგალითად, 1966 წელს პარიზში გაიმართა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. ირ. აბაშიძის თქმით, სალიები იყვნენ ამ საქმის აქტიური მონაწილენი; მათ საკუთარი სახსრებით დაიქირავეს დარბაზი, დააგზავნეს მოსაწვევი ბარათები.

მადლიერებით უნდა აღინიშნოს, რომ კალისტრატე და ნინო უცხოეთის ცის ქვეშაც ბოლომდე დარჩნენ თავიანთი ქვეყნისა და ხალხის ერთგულნი. ისინი ახლობლებსა და მეგობრებს საიმედო დაგნენ გვერდით. მიხ. წერეთელმა და ვრ. რობაქიძემ საკუთარი მდიდარი არქივის პატრონობა მათ უანდერძეს. სალიები ინახავდნენ და უვლიდნენ საზღვარგარეთ გარდაცვლილი ზოგიერთი ქართველი მეცნიერის, მწერლისა თუ საზოგადო მოღვაწის პირად არქივებსა და საფლავებს. ვერც იმას დავივიწყებთ, რომ ნინო და კალე სალიები სანთლით ექებდნენ ქართველოლოგით დაინტერესებულ ახალგაზრდებს, საქართველოსთან აკავშირებდნენ მათ; ხელს უწყობდნენ ქართველ მეცნიერებს, რათა თავიანთი ნაშრომები „ბედი ქართლისაში“ დაებეჭდათ და ამით მათ ნააზრევს მსოფლიოს აზიარებდნენ (ც. ბიბილეიშვილი). ცნობისათვის მკითხველს შევახსენებთ ერთ ფაქტსაც: კ. სალიას ჰ. ფოგტის თხოვნით, დედანში წაუკუთხავს მისი „ქართული ენის გრამატიკა“ და სასარგებლო შენიშვნებიც მიუცია.

სალიებმა პარიზში შექმნეს ქართველოლოგიურ-კავკასიოლოგიური ბიბლიოთეკა, რომლითაც ბევრი მეცნიერი (ქართველი თუ უცხოელი) სარგებლობდა: „სალიები ისეთსავე დიდსა და კეთილშობილ საქმეს აკეთებენ ქართული მეცნიერებისა

## საფრანგეთი

და კულტურისათვის, როგორც ათონისა და სინას მთებზე მოღვაწე ძველი ქართული მწერლობის ბურჯები აკეთებდნენ ჩვენი ეროვნული კულტურისათვის“ (გრ. აბაშიძე). დიახ, ორივენი დაშვრნენ ქართული საქმის კეთებით, ყველგან და ყველაფერში იღვწოდნენ ერთგულებითა და შესაშური პასუხისმგებლობით; ღრმად მოხუცებიც კი მხოლოდ ამ გრძნობით ცოცხლობდნენ და დარაჯად ედგნენ ქართულ საქმეს უცხოეთში.

ჩვენმა ქვეყანამ თავის დროზე ჯეროვნად დააფასა სალიების მრავალმხრივი სამეცნიერო და საზოგადოებრივი ღვაწლი: მეუღლენი ერთდროულად აირჩიეს **საქართველოს საისტორიო საზოგადოების საპატიო წევრებად**, ხოლო 1983 წლის ოქტომბერში კალისტრატე სალიას ერთხმად მიანიჭეს **საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსობა**. ამ ფაქტთან დაკავშირებით კალისტრატე სამადლობელ წერილში აკადემიის პრეზიდენტს სწერდა: „უაღრესად ამაღლელვა დიდმა პატივმა, რომელიც ჩემი სამშობლოს უმაღლესმა ავტორიტეტულმა სამეცნიერო და კულტურულმა ცენტრმა დამდო ამ აღიარებით, რომელზეც ვერც კი ვიოცნებებდი. ჩემი სიცოცხლის მიმწერის უამს ეს აღმაფრთოვანებს იმისთვის, რომ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე განვაგრძო ათეული წლების წინათ საფრანგეთში ჩვენ მიერ დაწყებული საქმე.“

გთხოვთ, მიიღოთ უღრმესი მადლობა არჩევისათვის და ჩემი სახელით მადლობა მოახსენეთ აგრეთვე ყველა აკადემიკოსს, იმათ, ვინც ამ დიდი სიხარულით გამითბო დაღლილი გული.

1986 წლის 27 ივლისს, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 85 წლის ასაკში, პარიზში გარდაიცვალა კალისტრატე სალია. ლევილის მიწას დროებით მიაბარეს მისი ფერფლი, რომელიც 1988 წელს, ანდერძის თანახმად, საქართველოს მთავრობის დავალებით, იუნესკოს თანამშრომელმა პროფ. ზურაბ ლელეყვამ პარიზიდან ჩამოასვენა... „27 თებერვალს მზიანი დღე იდგა. კვლავ გახსნა გული დიდუბის მიწამ... სამარხს მშობელი ქვეყნის მინდვრებში დაკრეფილი იები ამკობდნენ... ხოლო მათ გულში, ვინც იმ დღეს ამ მშვენიერი და ამაღლებული წუთების

შემსწრენი იყვნენ, სულის განმწმენდ და სიცოცლის დამამკვიდრებელ ხმად რეკდა დიდი აკაკის სტრიქონები: „დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო“ („ჯვარი ვაზისა“). დიახ, სამშობლოს მიწამ მიიბარა ძვირფასი ნეშტი, მადლიერმა ერმა თავის ერთგულ შვილს სამუდამო განსასვენებელ ადგილად მიუჩინა დიდუბის პანთეონი. „ამიერიდან სამშობლოს სიყვარულში დაფერლილი კალე სალიას გული მშობლიურ მიწაში ჰპოვებს საუკუნო სავანეს. მეტს იგი არც ითხოვდა!“ (გ. შარაძე).

**ნელი ქურციკავალი – სალია დაიბადა 1899 წელს** თელავის რაიონის სოფელ ვარდისუბანში. ხუთი წლისა მოსკოვში წაუყვანიათ. იქ მას კარგი განათლება მიუღია. ჰირველი მსოფლიო ომის დროს მსახურობდა სანიტარულ მატარებელში მოწყალების დად.

1919 წელს ნ. ქურციკაშვილი საცხოვრებლად გადავიდა პოლონეთში. ვარშავის უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლის დასრულების შემდეგ რამდენიმე ხანს ექიმად მუშაობდა. ცოტა მოგვიანებით დაინტერესდა ჰუმანიტარული მეცნიერებით და დაამთავრა ვარშავის უნივერსიტეტი ისტორიის განხრით.

1922 წელს ნინო გაემგზავრა პარიზში. იქ 1926 წელს გაიცნო კალისტრატე სალია. შემდეგ დაქორწინდნენ და საცხოვრებლად დამკვიდრდნენ საფრანგეთის დედაქალაქში.

ქალბატონი ნინო ათეული წლების მანძილზე გახლდათ კ. სალიას ცხოვრების ერთგული მეგობარი, რომელმაც ნამდვილი მეუღლეობა გაუწია იმ ძნელ, მაგრამ მეტად საჭირო საქმიანობაში, რასაც ჰქვია მშობლიური ქვეყნის კულტურის უანგარო სამსახური. გ. შარაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ახლა ძნელი წარმოსადგენია, რას მიაღწევდა კალისტრატე სალია, რა შედეგი ექნებოდა მის თავგანნირულ შრომას და გარჯას... რომ მას და მის უურნალს იმთავითვე მხარში ბურჯად არ ამოსდგომოდა ნინო ქურციკაშვილი-სალია“.

უცხოელი მეცნიერები კალისტრატეს გვერდით ყოველთვის პატივისცემით მოიხსენიებდნენ ნინოსაც. ევროპელ ქართველო-ლოგთა ერთობლივ წერილში ნათქვამია: „უნდა აღინიშნოს იუბი-

## **საფრანგეთი**

---

ლარის მეუღლის ნინო სალიას დამსახურებაც. ნინო პირველი დღეებიდანვე დიდ დახმარებას უწევს ჟურნალს, აქვეყნებს სტატიებს ამ ჟურნალის ფურცლებზე. ორივე მოღვაწე მძიმე, მაგრამ ღირსეულ შრომას ეწევა უდიდესი თავგანწირვის ფასად. მათ უფლება აქვთ მადლობის მიღებისა მეცნიერთა სამყაროსაგან, რომელთაც გულმოდგინედ და ერთგულად ემსახურებიან.“

6. სალია იკვლევდა **ქართული ენისა და ლიტერატურის** საკითხებს. მას 40-მდე ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული, მათ შორის აღსანიშნავია: „ამირან-პრომეთე“, „მეცნიერული და ლიტერატურული მნიშვნელობა შუა საუკუნეების პოემისა „ვეფხისტყაოსანი“, „შოთა რუსთაველის უცნობი სურათი“, „ქეთევან წამებულის მარტვილობა“, „ქართული კულტურის სამსახურში“, „მამა მიქელ თარხნიშვილი“, „ზოგიერთი ახალი სამეცნიერო ლიტერატურა საქართველოში“, „ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები“, „პორტუგალიური დოკუმენტები ქეთევან დედოფლის მარტვილობაზე“, „მსოფლიო პრესის აზრი ქართულ ხალხურ ცეკვებზე“, „რენე ლაფონი“, „შალვა ამირანაშვილი“ და სხვ.

პარიზელი მკვლევარი ამირანის თქმულების ფესვებს ძველი ქართული კულტურის ისტორიაში ეძებს და მის კვალს პოულობს ფოლკლორსა და ლიტერატურაში, სახვით ხელოვნებასა და მუსიკაში, ისტორიასა და ტოპონიმიკაში, მისი აზრით, ეს ეპოპეა მნიშვნელოვანი ფენომენია მსოფლიო ფოლკლორის თვალსაზრისით.... „ამირანის ეპოპეა მიეკუთვნება შესანიშნავ მსოფლიო ეპიკურ ქმნილებებს. ამირანის თქმულება ქართველი ხალხის ქმნილებაა“.

6. სალია თავის გამოკვლევებში ეხება **რუსთველოლოგის** მრავალ საკითხს, მათ შორის რუსთაველის ფილოსოფიურ კონცეფციას და მიუთითებს, რომ პოეტი აშკარად არ ამჟღავნებს თავის მიღრეკილებას რომელიმე ფილოსოფიური მიმდინარეობისადმი, მაგრამ იგი წარმოაჩენს კავშირს პოეზიასა და სიბრძნეს შორის: „აქ მთავარი ის არის, რომ პოეზია უფრო მეტად ზეცას ეკუთვნის, ვიდრე დედამიწას. ჩვენ იმ დასკვნამდე

მივდივართ, რომ რუსთაველი არის რენესანსის ეპოქის ადამი-ანთა გრძნობებისა და ცნებების ინტერპრეტატორი“... მისივე დაკვირვებით, აღმოსავლეთმა მაშინ ბევრ რამეში გაუსწრო ევ-როპას. რუსთაველი აღმოჩნდა ამ ეპოქის დაგვირგვინება და „შეჯამება“ როგორც აღმოსავლური რენესანსისა, ისე ქართულისა. რუსთაველის პოემასთან დაკავშირებით ამგვარი მსჯელობის საფუძვლად 6. სალიას მიაჩნია ქართველი მეცნიერების: შ. ნუცუბიძის, კ. კეკელიძის, ალ. ბარამიძისა და ივ. ორბელის დებულებები.

ქალბატონი ნინო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 50 წლისთავის იუბილეს გამოეხმაურა ვრცელი სტატიით, სადაც ნათქვამია: თბილისის უნივერსიტეტის დაარსებით „აღდგენილ იქნა ქართველი ხალხის მდიდარი კულტურული ტრადიციები... ქართველი მასში ხედავდა იარაღს, რომელიც გამოაწრობდა მომავალ ეროვნულ კულტურას“. აქვე საუბარია ქართველების კონტაქტებზე საზღვარგარეთის კულტურის კერძთან, განსაკუთრებით, რომისა და ბიზანტიის ცენტრებთან. სტატიის შემდგომ ნაწილში ავტორი უცხოელ მკითხველს აცნობს თანამემამულე სახელოვანი სწავლულების – ივ. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის, ა. შანიძის, შ. ნუცუბიძის, ს. ყაუხჩიშვილისა და სხვათა მეცნიერულ მემკვიდრეობას, მათს ღვანლსა და დამსახურებას ქართული კულტურის წინაშე.

ქალბატონი ნინო დიდი პატრიოტი იყო პრაქტიკულ საქმიანობაშიც. მან მეუღლესთან ერთად ბევრი კეთილი საქმე გააკეთა. ამჯერად მხოლოდ ორიოდე ფაქტის დასახელებით დავკამაყოფილდებით:

- 6. სალიამ თბილისში კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს საჩუქრად გადასცა საკუთარი ბიბლიოთეკიდან 1400 ეგზემპლარი – ფრანგულ, იტალიურ, ბერძნულ, ლათინურ, ესპანურ და სხვა ენებზე დაბეჭდილი წიგნები და დააფუძნა იშვიათი უცხოური წიგნების უნიკალური ბიბლიოთეკა, რომელიც დიდ ღირებულებას წარმოადგენს მეცნიერების მრა-

## საფრანგეთი

ვალ დარგში მომუშავე მკვლევართათვის. მაგალითად, აქ ინახება ის გამოცემები, რომლებიც საფრანგეთში დიდი ხანია ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. ეს არის, უწინარეს ყოვლისა, „აქტა სანქტორუმი“ – „წმინდანთა საქმენი“, სადაც დიდი ფორმატის 69 ტომში თავმოყრილია შუა საუკუნეების მთელი ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა. აქვეა დაცული არქეოლოგის, ნუმიზმატიკის, ხელოვნების, ისტორიის, ფილოლოგის დარგის წიგნები, აგრეთვე ლათინური, ბერძნული, ებრაული ლექსიკონები; განმარტებითი, თეოლოგიისა და ეკლესიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ლიტერატურის ლექსიკონები, ენციკლოპედიური ლექსიკონები...

- ამ წიგნებთან დაკავშირებით 6. სალია პროფ. ელ. მეტრეველს (ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორს) სწრაფადა: „ავადმყოფობისა და მოხუცებულობის გამო ვეღარ ვახერხებ მუშაობას. ამიტომ გადავწყვიტე ჩემი სამეცნიერო ბიბლიოთეკის ერთი ნაწილი (ქართველოლოგიური და ორიენტალისტური ლიტერატურა) გადავცე თქვენდამი არსებულ ინსტიტუტს.“

მართლაც, ეს უძვირფასესი განძი უკვე რამდენიმე წელია ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში, რომელსაც ნინო სალიას სახელი მიეკუთვნა.

- ქალბატონმა ნინომ საქართველოს კულტურული და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით საფრანგეთში დააარსა ფირმა „არის ნინო“, რისთვისაც გაიღო სამ მილიონ-ნახევარი ფრანკი.
- სალიებმა მთელი თავიანთი ქონება უანდერძეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას.

მეუღლეებს უსაზღვროდ უყვარდათ სამშობლო, რომლის ხილვა აუხდენელ ოცნებად გაჰყვათ იმიერში. მშობლიურ კუთხეს ბავშვობიდან მოშორებული ნინო საოცარი გრძნობით საუბრობდა ხოლმე ახლობლებთან ამ სიყვარულზე, ზოგსაც წერილებით ატყობინებდა თავის გულისთქმას. მაგალითად, როცა 1972 წელს სალიებმა ფრანგულ და ინგლისურ ენებზე გამოაქ-  
140

## საფრანგეთი

ვეყნეს „საქართველოს მოკლე ისტორია“, ნინომ წიგნის პირველივე გვერდზე წააწერა: „ამ პატარა ისტორიას ვუძღვნი ჩემს მშობლიურ სოფელს – ვარდისუბანს, რომლის კვლავ ხილვის ბედნიერება ბავშვობის შემდეგ აღარ მქონია და რომლის სიყვარულს და ტრფიალს გულში ვატარებ, სადაც უნდა ვიყო.“

მასალებით ირკვევა, რომ ილია ჭავჭავაძე ქალბატონი ნინოსათვის ყოველთვის იყო საქართველოს სიმბოლო, სულიერი შთაგონების უშრეტი წყარო, ნათელი სხივი: „დიდო ილიავ, საქართველოს უკვდავო შვილო!“—ვკითხულობთ 1980 წლის 15 მარტს ნინოს მიერ პარიზში დაწერილ ერთ პატარა ბარათში, — ბავშვობიდან საქართველოს მოწყვეტილს ჩემი ხანგრძლივი მწარე ცხოვრების გზას მინათებდით და მამხნევებდით. ახლა ამ სოფლიდან განშორებისას გემშვიდობებით და ნუგეშად ის მიმყება, რომ მთაწმინდიდან თქვენ მოხევესთან ერთად განუყრელად მფარველობთ ჩვენს სათაყვანებელ სამშობლოს...“ იმავე წელს ქალბატონი ნინო ქართველ კოლეგას, პროფ. ილია ტაბაღუას წერილით სთხოვდა: „ძვირფასო ბატონო ილია! როდესაც გაიგებთ ჩემს სიკვდილს, გთხოვთ, საქართველოს და ილიას გამოსათხოვებლად თეთრი ყვავილები დაადოთ ილიას საფლავს, რისთვისაც წინასწარ გიხდით მადლობას.“

... 1982 წელს „ბედი ქართლისას“ მე-40 ტომში დაიბეჭდა ნინო სალიას გამოსათხოვარი წერილი: „ჩემი სიცოცხლის დასასრულს, დარჩენილი წლები ნინ რომ მიდგას, მინდა ჩემს მშობლიურ ქვეყანას, ჩემს კახეთს გამოვეთხოვო. ეს იმისათვის, რომ დღემდე ბედნიერება არ მერგო, რომ ჩემი სამშობლო მენახსა, რომლის სიყვარულსა და პატივისცემას ყოველთვის ვინახავ გულში.“

მე მინდა პოეტ ი. ნონეშვილს დავესესხო სტრიქონები ლექსიდან „კახეთი“, რომელიც შესანიშნავად გამოხატავს ჩემს აზრებს იმ ქვეყნის შესახებ, რომელზეც ეს ლექსია მიძღვნილი:

„ცივგომბორიდან სიმღერით

სიცოცხლის გადასახედი,

მოსჩანს იისფერ ნისლებში

კახეთი, ჩემი კახეთი“...

კალისტრატეს გარდაცვალების შემდეგ ღრმად მოხუცი ქალბატონი ნინო სრულიად მარტო დარჩა უცხოეთში. მან მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობა და მატერიალური ქონება მთლიანად უანდერძა საქართველოს, თავად დატოვა მხოლოდ ერთადერთი მოკრძალებული თხოვნა: „როდესაც გარდავიცვლები, გთხოვთ, ჩემი ნეშტი თბილისში ჩაიტანოთ და კალისტრატე სალიას გვერდით დამკრძალეთ“.

სამწუხაროდ, 6. სალიას მიერ 1992 წელს შედგენილი ზემოაღნიშნული ანდერძის აღსრულება არ მოხერხდა. მეტიც, ფართო საზოგადოებისათვის არც მისი გარდაცვალების თარიღი და საფლავის ადგილია ცნობილი.

**რობერ ტრიომფი** (დ. 1917) იყო სტრასბურგის უნივერსიტეტის სლავური ფილოლოგიის კათედრის გამგე, სლავური და საბჭოთა საკითხების შემსწავლელი სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორი.

პროფ. რ. ტრიომფი ქართული ენითა და ლიტერატურით დაინტერესდა 1960 წლიდან, როცა მუშაობდა საფრანგეთის მოსკოვურ საელჩოში კულტურის ატაშედ. მან მოსკოვიდან მეცნიერული კონტაქტები დაამყარა ქართველ პროფესორ ისიდორე გვარჯალაძესთან. ქართული ენის გაცნობა-შესწავლის მიზნით მისგან რეგულარულად დებულობდა ლექსიკონებსა და სახელმძღვანელოებს, მაგრამ ფრანგი მკვლევარი მალე დარწმუნდა, რომ აუცილებელი იყო საქართველოში ჩამოსვლა, ქართულ გარემოში ცხოვრება, თუნდაც მცირე ხნით... მართლაც, იგი ჩვენს ქვეყანას პირველად ესტუმრა 1968 წლის ოქტომბერში, თბილისში დარჩა 2 თვე (ამის შემდეგ კიდევ ორჯერ მოინახულა დედაქალაქი).

რ. ტრიომფმა პირადად გაიცნო ცნობილი ქართველი მეცნიერები: აკ. შანიძე, არნ. ჩიქობავა, შ. ძიძიგური, ალ. ღლონტი და სხვები. თბილისის უნივერსიტეტში ქართული ენის მასწავლებლად დაუნიშნეს დოც. ნია აბესაძე. გარდა ყოველდღიური მეცადინეობისა, მას კონსულტანტმა დამატებით მიაწოდა ქარ-

თველი მეცნიერების ძირითადი ნაშრომების შინაარსი შემოკლებული სახით. უცხოელი მეცნიერი გასაოცარი მონდომებით შეუდგა მუშაობას. შეისწავლა ქართული ენის მრავალი საკითხი ნ. მარის, ბ. რუდენკოს, კ. კეკელიძის სახელმძღვანელოების მიხედვით; გაეცნო ძველი ქართული მწერლობის ტექსტებს. საგულისხმოა, რომ იგი არანაკლებ დაინტერესდა ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურითაც; მაგალითად, გაეცნო ნ. ბარათაშვილის, გრ. ორბელიანის, ილ. ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველას ზოგიერთ ნაწარმოებს და რამდენიმე მათგანის ფრანგული პწყარედიც კი შეადგინა კონსულტანტის დახმარებით. ქართულ ლიტერატურაში მისი ძირითადი კონსულტანტები იყვნენ ალ. ბარამიძე, ბ. ულენტი და გ. ციციშვილი.

რ. ტრიომფის თბილისში ყოფნა დაემთხვა რ. ბარამიძის სადოქტორო დისერტაციის დაცვას. მან დისერტანტის დახმარებით შეძლო დისერტაციის ძირითადი შინაარსისა და მასში წარმოდგენილი პრობლემური საკითხების გაგება (წაშრომი ეხებოდა ძველი ქართული პროზის საკითხებს). სტუმარმა დაწერა დადებითი რეცენზია (წაიკითხა დაცვის დროს) და მაღალი შეფასება მისცა დისერტანტის შრომას, მისი კვლევის ახლებურ მეთოდოლოგიას.

ფრანგი მკვლევარი ერთნაირი ინტერესით სწავლობდა როგორც ქართული ლიტერატურის ისტორიის, ისე გრამატიკის საკითხებს, კერძოდ: მისი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო კავშირებითი კილოს ფუნქციებმა ძველსა და ახალ ქართულში, მომავალი დროის აღნიშვნის სპეციფიკამ, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემამ მარტივ წინადადებაში, დაინტერესდა თავისებური ქართული ბრუნვებით – მოთხოვითითა და ვითარებითით, ბრალდებითი ბრუნვის არარსებობით ქართულში და ა.შ. ამ და სხვა საკითხებზე არნ. ჩიქობავასთან საუბრისას რ. ტრიომფს ქართული ენის იმდენად კარგი ცოდნა და ენათმეცნიერული აღლო გამოუმჯდავნებია, რომ ბ-ნ არნოლდს უთქვამს: ტრიომფს აქვს საფუძველი, გახდეს ქართველოლოგიო.

## საფრანგეთი

საქართველოში ფრანგი მეცნიერის პირველი ვიზიტი მეტად ნაყოფიერი გამოდგა: ქართველოლოგიური ნაშრომების შესწავლა – გაცნობის გარდა, მან მონაწილეობა მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებებში; წაიკითხა ლექციები თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტში (ფრანგულ ენაში); ასევე ეწვია ბათუმს, ქუთაისს, შეხვდა იქაური პედაგოგიური ინსტიტუტის ფრანგული ენის ფაკულტეტის სტუდენტებს, ესაუბრა ფრანგული ენისა და ლიტერატურის საინტერესო საკითხებზე; დაათვალიერა ქუთაისისა და მისი შემოგარენის ისტორიული ძეგლები... საპატიო სტუმარს გულთბილი მასპინძლობა გაუნიერს კახეთშიც. „პირველად მომეცა საშუალება, ვყოფილიყავი კახეთში, მომესმინა ჯადოსნური კახური სიმღერები. არ შემიძლია, არ ვაღიარო, რომ კახეთში ყოფნა საქართველოში გატარებული დღეების კულმინაციური წერტილია,” – აღნიშნავდა ემოციით დატვირთული, უზომოდ კმაყოფილი სტუმარი.

პროფ. რ. ტრიომფი ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლამდეც კეთილად იყო განწყობილი ქართველი ხალხის კულტურის, ენისა და მწერლობისადმი. 1967 წელს მან სტრასბურგის უნივერსიტეტში ჩამოაყალიბა ქართული ენის შემსწავლელი ჯგუფი, რომელიც ქართულს ეუფლებოდა კ. ჩხერიმელის მიერ შედგენილი ქართული ენის სახელმძღვანელოთი. პირველივე წელს ქართული ენით უცხოელი სტუდენტების დაინტერესება იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ რ. ტრიომფის ინიციატივითა და ხელშეწყობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან სტრასბურგში ოფიციალურად მიიწვიეს პროფ. ალ. ალექსიძე ლექციების წასაკითხად. „ჩვენი მიზანი იყო, – წერდა მოვციანებით ფრანგი მეცნიერი, – აღგვედებინა ძველი ტრადიციები კავკასიური ენების სწავლებისა, პირველ მსოფლიო ომამდე რომ ჩაეყარა საფუძველი ნიკო მარის ვიზიტის დროს სტრასბურგში”. ოფიციალური წყაროების მიხედვით, ალ. ალექსიძე 2 წლის განმავლობაში კითხულობდა ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსს, ას-

წავლიდა ქართულ ენას. გარდა ამისა, მან წაიკითხა საჯარო ლექციების ციკლი „ქართული ცივილიზაცია”.

თუ როგორი წარმატებით მიმდინარეობდა ქართველო-ლოგიური საქმიანობა ამ ორი წლის მანძილზე სტრასბურგის უნივერსიტეტში, ამაზე ნათლად მეტყველებს რ. ტრიომფის ვრცელი სტატია „ქართული ენის სწავლება სტრასბურგის უნივერსიტეტში” (დაბეჭდია „რევიუ დე კარტველოლოჟის“ 28-ე წლის 1971). მკითხველს ვთავაზობთ მოკლე ამონარიდს ამ სტატიიდან: „ალ. ალექსიძე ჩამოვიდა ქ. სტრასბურგში 1969 წლის იანვარში. ქართველმა პროფესორმა მაშინვე შეადგინა ქართული ენის შემსწავლელი ჯგუფი, რომელშიც გაერთიანდა ხუთი სტუდენტი. ამავე დროს პროფ. ალ. ალექსიძე კითხულობდა და ლექციებს რუსულ ენასა და ლიტერატურაში, საჯარო ლექციებს საქართველოს ისტორიიდან. ქართველი მეცნიერი ლექციებს კითხულობდა ფრანგულ ენაზე და დიდ წარმატებასაც მიაღწია. ქართველმა მასწავლებელმა ძალიან დააინტერესა ფრანგი სტუდენტები. სწავლობდნენ კარგად... გაიზარდა ქართული ენის შემსწავლელთა რიცხვი... ალ. ალექსიძის თაოსნობით სტრასბურგის უნივერსიტეტში ყალიბდება ქართული ბიბლიოთეკა. ახლა მთავარი ამოცანა ის არის, რომ მოპოვებული წარმატებები განვამტკიცოთ, მუდმივად ვასწავლოთ ქართული ენა და ლიტერატურა ჩვენი კათედრის საკუთარი ძალებით...”

პროფ. რ. ტრიომფი სისტემატურად ადევნებდა თვალყურს ქართველი მეცნიერების, მწერლებისა და კულტურის მოღვაწეთა საქმიანობას, ეცნობოდა მათს ნაშრომებს და თავადაც იყენებდა კვლევისას. პირადს წერილებსა თუ სპეციალურ რეცენზია – გამოკვლევებში მაღალ შეფასებას აძლევდა აკ. შანიძის, არნ. ჩიქობავას, შ. ძიძიგურის, ალ. ბარამიძის, ი. იმნაიშვილის, ის. გვარჯალაძისა და სხვათა მეცნიერულ მემკვიდრეობას. მაგალითად, 1978 წელს პროფ. ის. გვარჯალაძეს დაბადების 80 წლისთავი მიულოცა ფრანგმა კოლეგამ, მადლიერებით მოიხსენია მისი უდიდესი ღვანლი, განეული წლების მანძილზე, ქართველებსა და ფრანგებს შორის მეცნიერული, შემოქმედებითი კონტაქტების

## საფრანგეთი

დასამყარებლად; უსურვა მას ჯანმრთელობა და შემდგომი წარმატებული სამეცნიერო საქმიანობა... „როდესაც თქვენს ორტომიან ფრანგულ-ქართულ ლექსიკონს ვფურცლავ, ყოველთვის აღფრთვანებული ვარ თქვენი ლექსიკოგრაფიული ცოდნით. მაოცებს თქვენი ცოდნა იდიომატიკის, ლიტერატურული და პოპულარული გამოთქმების დარგში. აქ არ ვხეხბი თქვენს სხვა წიგნებს, ანდაზურ თქმებსა და გამოცანებს, რომლებიც ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ იმაზე, რომ ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ ენებში გაურკვეველი არაფერი დაგრჩენიათ. ყველა შეცნობილი და დასაბუთებული გაქვთ. ეს იმიტომ, რომ სიტყვების უკან ხალხის სულია, რომელიც თქვენ გამოიცანით”.

ფრანგი მეცნიერის ქართველოლოგიურ წაშრომთაგან ამჯერად მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ ენათმეცნიერულ ნარკვევზე – „სუბიექტ-ობიექტის ლინგვისტური მიმართების შეცვლა: ერგატიული კონცეფცია”, რომელიც გამოსცა იუნესკომ პარიზში ინგლისურ ენაზე 1980 წელს (ქართულად თარგმნა ნ. აბესაძემ). გამოკვლევაში განხილულია ისეთი შემთხვევები, როცა ზმნებში შეცვლილია სუბიექტისა და ობიექტის ლინგვისტური მიმართება, კერძოდ, სუბიექტად ნაგულისხმევი სახელი წარმოდგენილია ობიექტის ბრუნვით და პირიქით: ობიექტი იყენებს სუბიექტის ბრუნვებს. საგულისხმოა, რომ საკითხისა ანალიზისას დამოწმებულია სხვადასხვა ენაში (მათ შორის, ჩინურსა და იაპონურში) არსებული გრძნობა-აღქმისა და ყოლაქონების შინაარსის ზმნების მონაცემები. აქვეა წარმოდგენილი საინტერესო ვარაუდი (დაკვირვება) – ერგატიული კონსტრუქციის საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს სუბიექტის ლინგვისტურ მიმართებათა შეცვლა.

დასახელებულ წარმომს მაღალი შეფასება მისცეს ქართველმა ლინგვისტებმა (შ.ძიძიგურმა, ალ. ღლონტმა, ზ. ჭუმბურიძემ, ნ. აბესაძემ და სხვ.). მაგალითისათვის დავიმოწმებთ ალ. ღლონტის რეცენზიას, რომელშიც დაწვრილებითაა განხილული ფრანგი მეცნიერის გამოკვლევა და ხაზგასმითაა მითითებული მასში წარმოდგენილი მსჯელობის აქტუალობა: „რობერ ტრი-

## **საფრანგეთი**

ომფს ხსენებული პრობლემის შესახებ გამოუთქვამს საინტერესო აზრი და თავისი დებულების გასამაგრებლად მოუშველებია ქართული მასალა, კერძოდ, „მიყვარს” ტიპის ზმნების ჩვენებანი. ნაშრომში ქართული ზმნის რთული თავისებურებანი დანახულია უცხოელი მკვლევარის თვალით, შეპირისპირებულია ისინი არამონათესავე ენათა ფაქტებთან და ნარმოდგენილია ცდა – სიახლე შეიტანოს ამ ფაქტების ინტერპრეტაციაში. ეს კი უეჭველ ინტერესს იწვევს”.

1991 წლიდან რ. ტრიომფი სტრასბურგის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი იყო. პენსიაში გასვლის შემდეგაც აგრძელებდა სამეცნიერო მუშაობას კავკასიოლოგიაში. უცხოელი მკვლევრის საქმიანობაში განსაკუთრებით ფასეულია ისიც, რომ იგი უდიდესი ინტერესით იღვნოდა ქართულ-ფრანგული კულტურული ტრადიციების შემდგომი განვითარებისათვის.

\*\*\*

დღეს რომ საფრანგეთის ქართველოლოგიური ცენტრი ერთ-ერთი ძლიერი შემოქმედებითი სკოლაა, ამაში ზემოდასახელებულ ცნობილ მოღვაწეთა გვერდით დიდი წვლილი მიუძღვით მომდევნო თაობის ნარმომადგენლებსაც: ბერნარ უტიეს, შარლ მერსიეს, უან პიერ გიუგლიელმის, ფრანსუაზა მარი ტელამონის და სხვებს.

## ინგლისი

ინგლისში საქართველოზე ზოგადი წარმოდგენა შემუშავებული უნდა იყოს მეცნიერული ქართველოლოგის ჩამოყალიბებამდე გაცილებით ადრე, შუა საუკუნეების ეპოქაში, მეტნილად ანტიკური წყაროების მიხედვით. ჯვაროსანთა ლაშქრობების მონაწილენიც რომ იცნობდნენ იმდროინდელი აღმოსავლეთის უძლიერეს ქრისტიანულ სახელმწიფოს – საქართველოს, ამაზე მეტყველებს მე-13 საუკუნის ინგლისელი ავტორების – ბართლომე ინგლისელის, მათე პარიზელისა და როჯერ ბეკონის ქრონიკები „იბერიაზე“, „კავკასიონზე – თეთრ მთაზე“, „საქართველოს სატახტო ქალაქ ტფილისზე“...

უფრო მოგვიანებით ჩვენში მოსულმა კათოლიკე მისიონერებმა, დიპლომატებმა და მოგზაურებმა არაერთი საგულისხმო ცნობა მიაწოდეს დასავლეთ ევროპას საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ.

მე-17 საუკუნიდან ჩნდება ინგლისურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის დამადასტურებელი ფაქტი: 1633 წელს ოქსფორდში ინგლისურ ენაზე დაიბეჭდა წიგნი ქეთევან დედოფლის წამებაზე.

საქართველოსადმი ინგლისის საზოგადოების ინტერესის დადასტურებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ტავერნიეს „ექვსი მოგზაურობისა“ და უან შარდენის „მოგზაურობის“ წიგნი ზედიზედ გამოიცა რამდენიმე ინგლისური თარგმანით, რომლებშიც უხვად არის წარმოდგენილი ცნობები საქართველოს შესახებ.

1665 წელს ინგლისურ ენაზე ითარგმნა პიეტრო დელა ვალეს ცნობები საქართველოს შესახებ და ირანელთა ტყვეობიდან გამოსყიდული მისი ქართველი მეუღლის — თინათინ დე ციბას თავგადასავალი, რომელიც 1627 წელს რომში იყო გამოქვეყნებული.

ქართული თემატიკა აისახა მე-18 საუკუნის ინგლისელი პოეტი-სენტიმენტალისტის უილიამ კოლინსის „აღმოსავლური ეკლოგების“ მესამე ეკლოგაში.

საქართველოს თემას გარკვეული ადგილი ეთმობა 1788 წელს ლონდონში ჯ. ედვარდსის მიერ გამოცემულ ნაშრომში „რუკა შავი და კასპიის ზღვებს შორის მოთავსებული ქვეყნების, კავკასიის ხალხთა აღწერითა და მათი ენების სიტყვარებით“. აქვეა ხშირად სახმარ ქართულ სიტყვათა ლექსიკონი, რომელიც 140 ერთეულს შეიცავს. ცალკეა ნარმოდგენილი მეგრული და სვანური ლექსიკა.

XIX საუკუნის 30-იანი წლების დამლევს ბრიტანეთის მუზეუმში უკვე ჩნდება ქართული ხელნაწერები, რომლებიც აღექსანდრიაში შეუძენიათ, ხოლო თამარ მეფის ეპოქის ქართული მონეტების აღწერილობას შეიცავდა 1823 წელს ლონდონში გამოქვეყნებული უ. მარსდენის კაპიტალური ნუმიზმატიკური ნაშრომი.

**1804** წელს ლონდონში დაარსდა **ბიბლიოური საზოგადოება**, რომელიც სხვა ქრისტიან ხალხთა მწერლობასთან ერთად ქართული ქრისტიანული ლიტერატურითაც დაინტერესდა.

პარიზის მსგავსად, **1823** წელს ლონდონშიც დაარსდა „სააზიო საზოგადოება“, რომელმაც ხელი შეუწყო ინგლისში ქართველთმცოდნეობით დაინტერესებას. ამ საზოგადოებამ, თავდაპირველად, ფრანგულიდან ინგლისურ ენაზე გადათარგმნა და თავის უურნალში პარიზის „სააზიო საზოგადოების“ უურნალიდან გადაბეჭდა ევროპული ქართველოლოგის ფუძემდებლის – მარი ბროსეს ზოგიერთი ნაშრომი და ამით ნიადაგი მოუმზადა ინგლისში ქართველოლოგის, როგორც მეცნიერული დისკიპლინის ჩამოყალიბებას (გ. შარაძე).

**სოლომონ სიზარ მალანი** (1812-1894) – ნარმოშობით შვეიცარიელი პასტორის ვაჟი – ითვლება ინგლისში ქართველოლოგის პიონერად. იგი გახლდათ ოქსფორდში მოღვაწე ცნობილი მეცნიერი, საეკლესიო ისტორიის მკვლევარი, პოლიგლოტი, რომელსაც დ. ლენგი „თავისი დროის ყველაზე უფრო უნივერსალურ ლინგვისტს“ უწოდებს. სახელგანთქმულ პოლიგლოტს აღმოსავლურ და დასავლურ ენებთან ერთად ქარ-

## ინგლისი

---

თულიც შეუსწავლია. იგი განსაკუთრებით დაინტერესებულა საქართველოსა და სომხეთის ეკლესიებით.

ს. მალანმა 1866 წელს გამოაქვეყნა პლ. იოსელიანის „საქართველოს ეკლესიის ისტორიის“ თარგმანი და თანაც დაურთო იმდენი სასარგებლო შენიშვნა, რომ იგი დღევანდლამდე ძვირფას საცნობარო წიგნად რჩება. 1867 წელს თარგმნა გაპრიელ ეპისკოპოსის (ქიქმიძის) „ქადაგებანი“, 1872 წლის მაისში ქუთაისშიც ჩამოსულა, პირადად გაუცნია გაპრიელ ეპისკოპოსი და ქუთაისის კათედრალურ ტაძარში – გელათში წირვა და ქადაგებაც ჩაუტარებია ქართულ ენაზე.

1870 წელს გაზით „დროება“ თავის მკითხველს აუწყებდა: „...ქართული ეკლესიის შესახებ ანგლიურად არის ნათარგმნი პლატონ იოსელიანის „ისტორია ქართველთ ეკლესიისა“. მეორე წიგნი არის გაპრიელ ეპისკოპოზის 15 ქადაგებების თარგმანი ანგლიურად ქართულიდამ და დაბეჭდილი ლონდონში 1867წ. ეს ორივე წიგნი გადათარგმნილია ანგლიის ეკლესიის მღვდლისაგან სოლომონ მალანისაგან“.

ოქსფორდში ს. მალანს მდიდარი ქართული ბიბლიოთეკა შეუქმნია, რის თაობაზეც 1888 წლის 20 ნოემბერს გაზით „ივერიაც“ იუწყებოდა: „ინგლისში, ქალაქს ოქსფორდში, ბ-ნს მალანს შეუდგენია ქართული ბიბლიოთეკა, სადაც თითქმის ყველა ქართული წიგნი მოიპოვება. ამ ბიბლიოთეკაში ზოგიერთი იშვიათი საშოგნი წიგნიც არის თურმე.“

ლ. თაქტაქიშვილ-ურუშაძის ცნობით, „სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მალანი მუშაობდა შრომაზე: „შენიშვნები იგავებზე“, სადაც ბიბლიური ტექსტები ილუსტრირებულია აღმოსავლური წყაროებიდან, კერძოდ, ქართულიდან აღებული ბევრი მაგალითით.

**უილიამ რიჩარდ მორზილი (1834-1909)** — ცნობილი ოქსფორდელი მეცნიერი, პროფესორი — ინგლისელ ქართველო-ლოგითა პირველი თაობის წარმომადგენელია. იგი 1880 წლიდან, პროფ. ალ. ცაგარლის წიგნების გაცნობით წაქეზებული, ოქსფორდში დამოუკიდებლად შეუდგა ქართული ენის შესწავლას,

**1888** წელს ჩამოვიდა **საქართველოში**, სადაც ცხრა დღე დაჲყო. მორფილი ეწვია თბილისის მუზეუმს, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, გაზეთ „ივერიის“ რე-დაქციას.

ინგლისში დაბრუნებულმა მორფილმა **1888** წ. 21 ივლისს უკანალ „აკადემიაში“ გამოაქვეყნა თავისი პირველი ქართვე-ლოლოგიური ხასიათის წერილი „ქართული ენა და მწერლო-ბა“. ესაა ინგლისურ ლიტერატურათმცოდნეობაში პირველი ნაშრომი, რომელშიც განხილულია ქართული ლიტერატურის განვითარების ძირითადი ეტაპები. ეს ნარკვევი იყო პირველი ცდა იმისა, რომ ინგლისელი მკითხველისთვის გაეცნო ქართუ-ლი ლიტერატურის ზოგადი სურათი. საგულისხმოა, რომ მას იქ-ვე გამოთქმული აქვს საყურადღებო **შენიშვნები ქართველური ენებისა და ბასკურის სტრუქტურული მსგავსების შესახებ**.

უ. მორფილი წლების მანძილზე აქტიურად იყო დაკავებუ-ლი ქართველოლოგის საკითხებით: 1900-1904 წლებში გამოაქ-ვეყნა რამდენიმე საინტერესო რეცენზია საქართველოს შესა-ხებ გამოსულ ნაშრომებზე. ამათგან განსაკუთრებით აღსანიშ-ნავია „ვეფხისტყაოსნის“ ა. ლაისტისეული გერმანული თარ-გმანისადმი მიძღვნილი რეცენზია; ა. ცაგარლის წიგნის რეცენ-ზიაში (1889) მიმოხილულია ქართულ ხელნაწერთა საგანძურები პალესტინაში და სინას მთაზე.

ქართველი საზოგადოებრიობა დიდ ყურადღებას იჩინდა მორფილის მოღვაწეობისადმი, ქართულ პერიოდიკაში ქვეყ-ნდებოდა მისი წერილების თარგმანები. უ. მორფილს პირადი ნაცნობობა და მიმოწერა პქონდა ი. ჭავჭავაძესთან, აკ. წერე-თელთან, ი. მაჩაბელთან, ი. გოგებაშვილთან, ალ. ხახანაშვილ-თან, ალ. ცაგარელთან, მ. ჯანაშვილთან...

**1888** წლის 10 ივლისს საქართველოდან სამშობლოში დაბ-რუნებული მორფილი წერილს უგზავნის ი. ჭავჭავაძეს: „...ვამ-ზადებ დიდ სტატიას ქართული ლიტერატურის, ისტორიისა და ენის შესახებ ერთ-ერთი ინგლისური მიმომხილველისათვის... ეხლა ყოველდღიურად ვკითხულობ ქართულ წიგნებს, რომელ-

ბიც თქვენმა (წერა-კითხვის გამავრცელებელმა) საზოგადოებამ კეთილგანწყობით გადმომცა. ვიმედოვნებ, სრულად დავეუფლო ამ ძნელ ენას...

P.S. მე ახლა ყველა ქართული წიგნი მომეპოვება. ძველი ბიბლია ჩემთვის ერთი უდიდესი განძთაგანია.“

უ. მორფილი თავისი ნაშრომებით ბევრ ახალ ცნობასა და მასალას აწვდიდა ინგლისს საქართველოს შესახებ. ქართული კულტურის ისტორიაში ყოველთვის მაღლიერებით მოიხსენიებენ მის მოღვაწეობას.

**ვლედერიკ კონიბირი (1856-1924)** გახლდათ გამოჩენილი ინგლისელი მეცნიერი, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი. მან გარკვეული წვლილი შეიტანა ქართული სასულიერო მწერლობის შესწავლასა და პოპულარიზაციაში. სპეციალობით არმენისტმა, სომხურთან ერთად შეისწავლა ძველი ქართული ენა და ქართული სასულიერო მწერლობის მკვლევარი გახდა.

**1888** წელს კონიბირი თბილისში ჩამოვიდა. ქართველ მოღვაწეებთან დაახლოებამ კიდევ უფრო გააღრმავა მისი ქართველოლოგიური ძიების ინტერესი.

**1896** წელს ინგლისურ ჟურნალებში – „აკადემიასა“ და „ფოლკლორში“ ფ. კონიბირმა ზედიზედ გამოაქვეყნა ორი შრომა, რომლებშიც შეეხო ახალი აღთქმისა და „სიბრძნე ბალავარის“ ქართულ თარგმანებს. საინტერესოა „სიბრძნე ბალავარის“ თაობაზე 1896 წელს ჟურნალ „ფოლკლორში“ დაბეჭდილი ფ. კონიბირის მიერ წაკითხული ლექციის ტექსტი, სადაც ავტორს მოჰყავს ქართული და სომხური ვარიანტები, ადარებს მათ ერთმანეთს და ქართულს თვლის უძველესად. მისი აზრით, ეს ტექსტი ქართულიდან ბერძნულად გადაუთარგმნია ათონელ ქართველ ბერს წმ. ექვთიმეს.

ფ. კონიბირმა „თეოლოგიური კვლევა-ძიების ჟურნალში“ გამოაქვეყნა წერილი ძველ ქართულ, კერძოდ, ათონურ ხელნა-წერებსა და დასავლური მეცნიერებისათვის მათს მნიშვნელობაზე. 1915 წელს მას ოლივერ უორდროპთან ერთად ქართული-დან ინგლისურად უთარგმნია წმ. იაკობის უამისწირვა.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ინგლისში იწყება ქართველობის კვლევის ახალი ეტაპი, რაც ინგლისური ქართველობის ფუძემდებლების, არისტოკრატიული გვარის წარმომადგენლების – მარჯორი და ოლივერ უორდროპების სახელთანაა დაკავშირებული.

**ოლივერ უორდროპი** (1865-1945), რომელმაც საუნივერსიტეტო განათლება ოქსფორდში მიიღო, ჭაბუკობიდანვე მოგზაურობით ყოფილა გატაცებული, მსოფლიოს მრავალი ქვეყანა ჰქონდა მოვლილი. ერთ-ერთი ასეთი მოგზაურობის დროს, 1887 წლის აპრილში, 22 წლის ოლივერმა პირველად დადგა ფეხი საქართველოს მიწაზე და მოიარა თითქმის ყველა კუთხე. ინგლისელ სტუმარს მასპინძლობას უწევდნენ ჩვენი ქვეყნის სახელოვანი შვილები, კერძოდ, ი. ჭავჭავაძე და ივ. მაჩაბელი. მათ ისე დაანახეს უორდროპს საქართველო, ისე შეაყვარეს მისი წარსული და აწყო, რომ წარუშლელი შთაბეჭდილებებით აღსავსე მოგზაურს ინგლისში დაბრუნებისთანავე დაუნერია შესანიშნავი წიგნი - „**საქართველოს სამეფო**“ (დაიბეჭდა ლონდონში 1888 წლის შემოდგომაზე), რომელიც შეიცავს საქართველოს მოკლე ისტორიას, ქართული ენისა და მწერლობის მიმოხილვასა და იმდროინდელი ჩვენი სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის აღნერა-დახასიათებას.

საკმაოდ მოზრდილი, ორასზე მეტგვერდიანი წიგნი მდიდრულად არის გამოცემული: ყდასა და სატიტულო ფურცელზე ბაგრატიონთა გერბია გამოხატული, ხოლო შიგ ჩართულია სხვადასხვა ილუსტრაცია. აქვე ვხვდებით ისტორიულ პირთა (წმინდა ნინო, თამარ მეფე, შოთა რუსთაველი, ერეკლე II) პორტრეტებს, თანამედროვეთაგან კი დაბეჭდილია გაბრიელ ეპისკოპოსის (ქიქოძის), ილიასა და ივ. მაჩაბლის სურათები; ნაშრომს დართული აქვს საქართველოს ფერადი რუკა.

წიგნმა ინგლისელი მკითხველის საოცარი ინტერესი გამოიწვია. მათი აღტაცება იმდენად დიდი ყოფილა, რომ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული ეს წიგნი თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ, 1977 წელს, ფოტოტიპურად ხელახლა გამოუციათ

ლონდონში, ამჯერად უკვე ოლივერის ვაჟის – ანდრო უორდროპის წინასიტყვაობით.

ოლივერი არ დაკმაყოფილებულა „საქართველოს სამეფოს“ გახმაურებული წარმატებით. დ. ლენგის სიტყვებით, 1888 წელს, ოცდაოთხი წლის ო. უორდროპი ბალიოლ-კოლეჯში შევიდა. ამ ნაბიჯს უდიდესი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მისი კარიერისა და ქართველთმცოდნეობის მომავალი განვითარებისათვის.

1892 წელს ოლივერ უორდროპი დაინიშნა **ბრიტანეთის ელჩის პირად მდივნად პეტერბურგში**. მას თან ახლდა უმცროსი და მარჯორი. მათ იქ გაუცნიათ პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ალ. ცაგარელი, რომელთანაც ინგლისელ ქართველოლოგ და-ძმას გაუღრმავებიათ ცოდნა ქართულ ენასა და მწერლობაში. რამდენიმე წლის დაუღალავმა შრომამ ნაყოფი გამოიღო. 1894 წლის შემოდგომაზე გამოიცა სულხან-საბა ორბელიანის „**წიგნი სიბრძნე სიცრუისას**“ ოლივერისეული ინგლისური თარგმანი. 1895 წლის 16 თებერვლის შურნალი „ათენეუმი“ წერდა: „...ეს წიგნი ძალიან ძვირფასია ფოლკლორისტებისათვის... თუ თვალყურს ადევნებთ ამ წიგნში მოქცეულს არაკების შინაარსს, ჰასავთ, რომ იგი განსხვავებულის ხასიათის არაკებია, ზოგან აღმოსავლეთურის გამჭრიახობით შემკული... აფორიზმებში აღმოსავლური ოხუნჯობა გამოსჭვივის.“

ოლივერი თავის დასთან ერთად შეუდგა ძველი ქართული სასულიერო მწერლობის უბრწყინვალესი ძეგლის – „**წმინდა ნინოს ცხოვრების**“ თარგმანზე მუშაობას, რომელიც ძირითადად 1896 წლის ზაფხულისათვის დაუსრულებიათ კიდეც. 1900 წელს ოქსფორდში გამოიცა და-ძმა უორდროპების მიერ შესრულებული „**წმინდა ნინოს ცხოვრების**“ ინგლისური თარგმანი, რომელსაც საგანგებო რეცენზიები მიუძღვნეს ალ. ხახანაშვილმა და ნ. მარმა. „ე-ნი უორდროპი და ბ-ნი უორდროპი მადლობის ღირსნი არიან... რათა ჩვენს ისტორიას სხვა მუშაკი შეუძინონ და საერთო ინტერესი აღძრან“ (ალ. ხახანაშვილი).

1890-იან წლებშივე დაინტერესებულა ოლივერი ქართული „ვისრამიანით“ და გადაუწყვეტია რუსთაველის ეპოქის ამ შესანიშნავი ძეგლის ინგლისურ ენაზე ამეტყველება. წინასწარი ცნობები ქართული „ვისრამიანის“ შესახებ და რამდენიმე თავის ფრაგმენტული ინგლისური თარგმანი მან პირველად 1903 წელს გამოაქვეყნა ლონდონში, „სამეფო სააზიო საზოგადოების ჟურნალში“.

1911 წლიდან მოყოლებული ო. უორდროპი ზედიზედ აქვეყნებს თავის ქართველოლოგიურ ნაშრომებს, მათ შორისაა: „ინგლისურ-სვანური ლექსიკონი“ (1911); 1911 წელს ინგლისის „სამეფო სააზიო საზოგადოების ჟურნალის“ ივლისის ნომერში ამავე წელს პროფ. ალ. ცაგარლის გამოკვლევის „ათონის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის“ ინგლისური თარგმანი (1911); ბრიტანეთის მუზეუმში დაცულ სომხურ და ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (რომლის სომხური ნაწილი ეკუთვნოდა ფ. კონიბირს, ხოლო ქართული – ოლივერ უორდროპს) (1913); „ვისრამიანისა“ და „გიორგი ბრწყინვალის ძეგლისდების“ თარგმანები (1914)...

ო. უორდროპის მიერ ქართულიდან შესრულებულ უკანასკნელ ინგლისურ თარგმანს წარმოადგენს ი. ჭავჭავაძის ლექსი „ქართვლის დედას“, რომელიც 1919 წელს გამოქვეყნდა თბილისში ელ. ორბელიანის რედაქტორობით გამოცემულ ინგლისურ გაზეთში, „საქართველოს მოამბე“.

პეტერბურგის ნესტიან ჰავას ცუდად უმოქმედია ოლივერ უორდროპის ჯანმრთელობაზე, რის გამოც იგი 1906 წლის შემოდგომაზე ბუქარესტში გადაუყვანიათ დიდი ბრიტანეთის კონსულად.

**შენიშვნა:** 1912 წელს ო. უორდროპმა ცოლად შეირთო ნორვეგიელი ქალი მარგარეტ კოლეტი. მათ სამი შვილი შეეძინათ და სამივეს ქართული სახელები – ფარნაოზ, ანდრო და ნინო დაარქვეს. ო. უორდროპის მეუღლემ დიდხანს იცოცხლა. მას საკმაო ღვაწლი მიუძღვის ინგლისში ქართველოლოგიური მუშაობის წინსვლაში.

და-ძმა უორდოპებსა და ო. ჭავჭავაძის ოჯახს მეგობრული ურთიერთობა და ხშირი მიმოწერა ჰქონდათ. ისინი ყველაზე რთულ პერიოდშიც კი არ წყვეტდნენ კავშირს და თავიანთ დიდ ტკივილებს წერილით უზიარებდნენ ერთმანეთს: „მე ისეთი უბედურება დამატყდა უეცრად, სიტყვას ვერ ვპოვებ, რომ გამოვთქვა, იმ უჯულოებმა ჩემი ნუგეში და თვალის სინათლე მომიკლეს... ეხლა დავრჩი მარტო ყრუ და უძლური. ნუ დამივიწყებთ, თქვენი ანბით მასულდგმულეთ. ვერ წარმოიდგენთ, რა რიგათ გულმა გაიხარა და თვალმა ისიამოვნა კითხვით... მე იმედს არ ვკარგამდი, რომ დღე გამითენდებოდა და მომიგონებდით... 1908 წლის 16 მარტი. უბედური ოლგა ჭავჭავაძისა“.

ბუქარესტში დის მოულოდნელი სიკვდილით დამწუხრებული ოლივერი ო. ჭავჭავაძეს ატყობინებს: „თქვენ ისეთი საშინელი ტანჯვა გამოიარეთ, რომ ალბათ, მთელი გულით მითანაგრძნობთ. ვაი, რომ თქვენი თანაგრძნობა ძალიან მჭირდება. ნუ-გეშად ის მაინც მექნება, რომ ჩემს უბედურებას სხვაც იზიარებს, თორემ სხვაგვარად ვერ ავიტანდი იმ საშინელ დანაკლისს, რომელიც ახლახან განვიცადე. ცხოვრება სამუდამოდ დამსხვრეული მეჩვენება.... დავკარგე ჩემი საბრალო მარჯორი – ადამიანი, ვინც სიცოცხლეს მერჩია... სიკვდილამდე სულ ცოტა ხნით ადრე სიყვარულით გიხსენებდათ, არასოდეს არ ივიწყებდა თავის ძვირფას საქართველოს.“

„გამოუტექმელია ის ტკივილი, რომელსაც განვიცდი ჩვენი ძვირფასი მეგობრის – მარჯორის გარდაცვალების გამო. თქვენმა წერილმა ნამართვა ყოველი ძალა და ისე დამამწუხრა, რომ მთელი ლამე თვალი არ მომიხუჭავს... სულმნათი მარჯორის წერილები მამხნევებდნენ და მე მათ ისე ვინახავ, როგორც ძვირფას განძს... მის მარჯორის გარდაცვალების ამბავი ხვალვე იქნება გამოქვეყნებული თბილისის ყველა უურნალ-გაზეთში... ნუ განყვეტი ჩვენს მეგობრობას.. ნუ დაივიწყებთ თქვენს ძველ მეგობარს. 1909 წლის 4/17 დეკემბერი. ოლგა ჭავჭავაძისა“.

„სამაგალითო მოყვარე ქართველის ერისა“, — ასე უწოდებს უორდროპებს დიდი ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი.

ქართული კულტურის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის 1910 წლის პირველი დეკემბრის კრებაზე ოლივერ უორდროპი აურჩევიათ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ნამდვილ წევრად, რასაც მოწმობს ოქსფორდში დაცული დიპლომი, რომელსაც ხელს აწერს ამ საზოგადოების თავმჯდომარე ექვთიმე თაყაიშვილი. „ო. უორდროპმა ეკატერინე ჩერქეზიშვილთან ერთად მოახერხა ბოდლის ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერების კატალოგიზაცია და უორდროპის კოლექციის გამდიდრება საკუთარი სახსრებით“ (მორენა ბორაშვილი - შტოიერი).

**მარჯორი უორდროპი (1869-1909)** ქართველ ხალხს, მის კულტურას გაეცნო ოლივერის წიგნით („საქართველოს სამეფო“). ყმანვილ ქალს მოსვენება დაეკარგა. მან მიზნად დაისახა: ესწავლა და საკუთარი ხელით გამოეყვანა უცნობი ლამაზი ქართულ ასოები, ენა გაეტეხა და ესაუბრა მისთვის უცნობი ხალხის ენაზე, საკუთარი თვალით ეხილა საქართველო.

მარჯორი ქართული ენის შესწავლას 1880-იანი წლების მიწურულს დამოუკიდებლად შესდგომია მ. ბროსეს „ქართული ენის თვითმასწავლებლისა“და სახარების ქართული თარგმანის მეშვეობით. ქართული ენის დასაუფლებლად მარჯორის დამოუკიდებელი მეცადინეობის პირველ ეტაპს გვამცნობს ოქსფორდში, ბოდლის ბიბლიოთეკაში, მარჯორი უორდროპისეულ წიგნებს შორის დაცული „ინგლისური ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი“, რომლის კიდევებზე მარჯორის ხელით მიწერილია ქართული შესატყვისები. ამდენად, იგი მარჯორის მიერ შედგენილ პირველ თავისებურ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონადაც შეიძლება იქნეს მიჩნეული (გ. შარაძე).

მარჯორის, ოლივერისაგან განსხვავებით, განათლება უმთავრესად ოჯახში მიუღია. მას ენების ათვისების არაჩვეულებრივი ნიჭი ჰქონია. თავისუფლად ფლობდა ექვს უცხო ენას:

## ინგლისი

---

ფრანგულს, გერმანულს, რუსულს, რუმინულს, იტალიურს, ქართულს. ამასთან, ინგლისური ენის საუკეთესო მცოდნედ ითვლებოდა.

რამდენიმე წლის დაუღალავმა შრომამ პირველი ნაყოფი გამოიღო 1894 წელს, როცა ლონდონში ზედიზედ გამოიცა „ქართული ხალხური ზღაპრების“ მარჯორისეული თარგმანი. ინგლისური პრესა მოწონებით შეხვდა ახალგაზრდა მთარგმნელი ქალის პირველ ნაშრომს, რასაც მოწმობს „ივერიის“ ლონდონელი კორესპონდენტის – ვაზიანის (ვარლამ ჩერქეზიშვილის) შემდეგი სიტყვები: „ინგლისის უურნალ-გაზეთობა დიდის თანაგრძნობით დაუხვდა ინგლისურს ენაზედ ნათარგმნ ქართულს საერო ზღაპრებს... მიხარიან განსაკუთრებით იმიტომაც, რომ ამ გარემოებამ საზოგადოების ყურადღება თქვენის მშვენიერ ქვეყნისაკენ მოაქცია.“ აღსანიშნავია ისიც, რომ „ქართული ხალხური ზღაპრების“ უორდროპისეულ ინგლისურ თარგმანს გამოეხმაურნენ არა მარტო ინგლისში, არამედ რუსეთსა და ამერიკაშიც.

ი. ჭავჭავაძის „განდეგილის“ ინგლისურად თარგმნის ფიქრს მარჯორი ადრიდანვე გაუტაცნია. 1894 წლის სექტემბერში ილიას ინგლისიდან მიუღია მ. უორდროპის ჯერ კიდევ გაუმართავი, მაგრამ მაინც მშვენიერი ქართულით დაწერილი ბარათი, რომელშიც იგი ილიას სთხოვდა მის მიერ ინგლისურად თარგმნილი „განდეგილის“ გამოქვეყნების ნებართვას: „...მე დიდი სურვილი მაქვს გავუზიარო ჩემს თანამემამულეთ ის სიამოვნება, რომელიც მე ამ ლექსმა მაგრძნობინა...“

„ივერიაში“ მაშინვე გამოქვეყნდა მარჯორის ეს წერილი, რომელსაც მეველემ (დავით მიქელაძემ) ასეთი სიტყვები წაუმდგვარა: „...ჩვენ ვერ ვნახეთ შესაძლებლად, რომ ეს მშვენიერი წერილი ინგლისელი ქალისა, რომელსაც ქართული წერა-კითხვა შეუსწავლია ძველი წიგნების საშვალებით, თავის კაბინეტში დაგვემალა და არ გაგვეზიარებინა საზოგადოებისათვის ის ჭეშმარიტი სიამოვნება, რომელიც ჩვენ იმის წაკითხვის გამოვიგრძენით.“

ი. ჭავჭავაძე საპასუხო მადლობისა და თანხმობის ბარათში ინგლისელ მთარგმნელ ქალს წერდა: „ყოველს ქართველს თავ-მო-საწინებლად ექმნება, რომ თქვენ და ოქვენს პატივცემულს ძმას ჩვენი ყველასაგან დავინუყებული ქვეყანა შეგყვარებიათ... დიდე-ბულმა და ძლიერმა ერმა ინგლისისამ სასურველია იცოდეს, რომ ამ ჩვენს პატარა ქვეყანაშიაც საქმობს გონება და იძვრის გული ადამიანურად, რომ აქაცა აქვთ თავისი ნატვრა და თავისი იმედი; რომ აქაცა არის თავისი წამება და წვალება უკეთესს დღეთათვის და არა რას კაცობრიულს არ ეუცხოებიან... ამიტომაც გადაღება ინგლისურად ჩვენის მწერლობისა გადაღებაა ჩვენის გულის-ცე-მისა, ჩვენის გულითადის ნატვრისა, ჩვენის ჭირისა და ლხინისა, ჩვენი გონების და გრძნობის ძალლონისა საყოველთაო საცნობე-ლად... ჩემი „განდეგილი“ მომირთმევია თქვენთვის და, როგორც გენებოთ, ისე იმსახურეთ. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს ნაწერს თქვენზე უკეთესს პატრონს ვერ ავუჩენდი“.

ერთი წელიც არ გასულა, რომ **1895** წლის შემოდგომაზე, ლონდონში გამოქვეყნდა ი. ჭავჭავაძის „განდეგილის“ მ. უორ-დორპისეული ინგლისური პოეტური თარგმანი, შემკული ილი-ას სურათითა და მთარგმნელის მოკლე წინასიტყვაობით. ამ თარგმანს მაღალი შეფასება მისცა ინგლისურმა პრესამ.

1891 წლიდან მ. უორდორპს დაუწყია რუსთაველის პოემის თარგმანზე მუშაობა. ეს განზრახვა მან პირველად 1894 წელს გაანდო ინგლისელ მყითხველს ლონდონში გამოცემული „ქარ-თული ხალხური ზღაპრების“ წინასიტყვაობაში: „უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საკმაოდ დიდ დროს ვუთმობ ძველი ქართული ლიტერატურის, განსაკუთრებით კი XII საუკუნის დი-დი ეპიკოსის შოთა რუსთაველის მემკვიდრეობის შესწავლას. გადაწყვეტილი მაქვს, რაც შეიძლება მაღლე მივცე შესაძლებლო-ბა ჩემს თანამემამულეებს, გაიზიარონ ის დიდი სიამოვნება, რაც პირადად, მე მომანიჭა მისმა პოემამ“.

**1894** წლის 4 დეკემბერს მარჯორი თავის ნანატრ და საყ-ვარელ ქვეყანას – **საქართველოს** ეწვია. ამასთან დაკავშირე-

## ინგლისი

---

ბით საინტერესოა ოლდა ჭავჭავაძის მიერ ცნობილი ქართველი მწერლის ეკ. გაბაშვილისადმი გაგზავნილი ბარათი:

„ძვირფასო ქალბატონო კატო! დღეს საღამოს მატარებლით ტფილისში ჩამოდის ინგლისელი ქალი მარჯორი უორდოპი, რომელსაც სურს სთარგმნოს ინგლისურად „ვეფხისტყაოსანი“ და ზოგიერთი ქართული პოეზიის შედევრები. ილია გთხოვთ ჩვენთან ერთად წამობრძანდეთ მცხეთის სადგურზე უორდოპის შესახვედრად.“

თვით მარჯორი ამ ფაქტს ასე იგონებს: „საღამოს ათი საათი იქნებოდა, როცა მცხეთაში შევედით, ძველ სამეფო დედაქალაქში, სადაც მეოთხე საუკუნეში წმ. ნინომ ქრისტიანობა იქადაგა და მეფე მირიანსა და მთელ საქართველოს მიაღებინა სარწმუნოება, რომლისთვისაც ასე მამაცურად იბრძოდა ივერიელი ერი. მცხეთაში შევხვდით რამდენიმე კეთილშობილ ქართველს... მათ შორის იყვნენ დიდი პოეტი თავადი ილია ჭავჭავაძე მეუღლით და დით და ეკატერინე გაბაშვილი, სახელგანთქმული მწერალი ქალი“...

უორდოპები საქართველოში დარჩენილან ორ თვეს: აქედან პირველი სამი კვირა თბილისში დაჰყვეს, ხოლო ბოლო დღეები და 1895 წლის იანვარი დასავლეთ საქართველოში, სახელდობრ, იმერეთსა და გურიაში გაატარეს.

თბილისში ყოფნისას უორდოპები თელავსაც ეწვივნენ. აქ მათ საუცხოო მასპინძლობა გაუწიეს. ი. ჭავჭავაძის თხოვნით, თელავში მცხოვრებმა გამოჩენილმა პედაგოგმა ივანე როსტომაშვილმა სტუმრებს დაათვალიერებინა კახეთის ისტორიული ადგილები, გააცნო ამ კუთხის მცხოვრებთა ზნე-ჩვეულებანი. გარდა ამისა, თელავის საზოგადოებამ უზარმაზარი ჭადრის ქვეშ დიდი წვეულება გაუმართა. იყო ზომიერი მოლხენა, შინაარსიანი სჯა-ბაასი... მარჯორის ძველი ქართულით მშვენიერმა საუბარმა მოხიბლა თურმე დამსწრენი. თანამედროვეთა მაშინდელი მოგონებების მიხედვით შეიძლება ვთქვათ, რომ ეს ნადიმიც გახლდათ, ერთი მხრივ, ქართველთა მრავალსაუკუნოვანი ტრადიციით ნასაზრდოები სტუმართმოყვარეობის საუკეთესო დასტური და,

მეორე მხრივ, და-ძმა უორდროპების „ქართული შთაბეჭდილებების“ წიგნის შთამბეჭდავი ფურცლები...

სწორედ ამ და სხვა მსგავსი გულთბილი მასპინძლობისა თუ საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების უფრო ახლოს გაცნობის შემდეგ ო. უორდროპი მადლიერებით წერდა: „საქართველო სიტურფით არ ჩამოუვარდება არც ნორვეგიას, არც შვეიცარიას. ბოტანიკოსი იქნება თუ გეოგრაფი, არქეოლოგი თუ ფილოლოგი – ყველასათვის საქართველოში ზღვის ოდენი მასალაა, რომელიც ჯერ ხელუხლებელია. მხატვრებისათვის საქართველო სრულიად ახალი ასპარეზია. საქართველოს უმთავრესი მიმზიდველი ძალა ქართველების ღირსებაა. ქართველი მარტო სახით კი არ არის სასიამოვნო სანახავი, ეს ხალხი მართლა საყვარელი რამ ხალხია. ვისაც უნდა გულიდან გადაიყაროს ჯავრი, წავიდეს და იცხოვროს ამ მხიარულ, გულგახსნილ, ხელგაშლილ, პატიოსან ხალხში“.

ქართული კულტურის მოამაგე ინგლისელი ქალბატონი-სადმი უდიდესი მადლიერებისა და პატივისცემის დასტურად მოვიხმობთ, აგრეთვე, მოსკოვში მოსწავლე ქართველი სტუდენტების მიერ საქართველოში მყოფი მ. უორდროპისადმი 1894 წლის 10 დეკემბერს გამოგზავნილ ღია წერილს: „...არაჩვეულებრივია, იშვიათია და ერთობ პატივსაცემია საზოგადო ღვანლი იმისთანა კაცისა, რომელსაც მიზნად დაუდვია თავის სამშობლოს ბედნიერებასთან ერთად კეთილდღეობა და ყოველი წარმატება უცხო ქვეყნისა. სწორეთ ამისთანა იშვიათ მაგალითს კი წარმოადგენთ თქვენ, დიდად პატივცემულო მარჯორ, ჩვენის, თუმცა, პანია, მაგრამ ბევრნაირ მადლით უხვად და-ჯილდოებულ ქვეყნისათვის.

წინადაც არაერთხელ და არა ერთი უცხოელი მწერალი შესდგომია ჩვენის ქვეყნის შესწავლას, მის კვლევას და ყოველმხრივ გაცნობას, ხოლო ისეთი გულსმოდგინება, გულმურვალება ჩვენ მწერლობისადმი, ისეთი თანაგრძნობა და სიყვარული ჩვენ ქვეყნისადმი, რომელსაც ეხლა ჩვენ ყველანი თქვენში ვხედავთ, ეს, მართალი მოგახსენოთ, აროდეს შეგვხვედრია...

## ინგლისი

---

საქართველო ნივთიერად ლარიბია, მაგრამ სულით კი მდიდარია... გულითად მადლობას გიცხადებთ იმ ყურადღები-სათვის, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ ჩვენ სამშობლოსადმი...“

საქართველოდან დაბრუნებული მარჯორი შემართებით განაგრძობდა მუშაობას „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე. ჩვენი ინტელიგენცია მარჯორის პირადი წერილებიდან იგებდა „ვეფ-ხისტყაოსნის“ თარგმანის დახვენისა და სრულყოფის ამბეჭს. 1897 წ. მარჯორი ანასტასია თუმანიშვილს ატყობინებდა, რომ „ვეფხისტყაოსანს“ კიდევ დასაწყისიდან გადათარგმნის, რად-გან პირველი თარგმანი არ მოსწონს. კიდევ ცხრა წელი იმუშავა მან „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ თარგმანზე, მაგრამ გამოქ-ვეყნებას მაინც ვერ ბედავდა და სიკვდილამდე ხელი არ გაუშ-ვია მისთვის.

... 1909 წლის 5 დეკემბრის გაზეთმა „დროებამ“ ქარ-თველ ხალხს ამცნო მარჯორის გარდაცვალების ამბავი. მისი სახით ჩვენმა ქვეყანამ დაკარგა გულწრფელი მეგობარი, ქარ-თულმა მწერლობამ კი – უანგარო მსახური, დიდი გულშემატკი-ვარი. მარჯორის აღარ ელირსა მისთვის „სამშობლოსავით საყ-ვარელ“ ქვეყანაში – საქართველოში ხელახლა ჩამოსვლა და ეს მონატრება მას სიცოცხლის ბოლო წუთებამდე გაჰყოლია. ოლივერის გადმოცემით, „სიკვდილის პირათ სარეცელზე მწო-ლარეს უკანასკნელ წამებში ენა ჩავარდნოდა. რაკი ენა აღარ ემორჩილებოდა, ჰაერში ხელით დახეხატნა სიტყვა „საქართვე-ლო“, სახელი იმ ქვეყნისა, რომელიც შეადგენდა მისი ზრუნვის საგანს, და სულიც განუტევებია.“

ო. უორდროპმა დიდი შრომა გასწია განსვენებული დის ყველაზე სანუკვარი ოცნების განსახორციელებლად – მან სას-ტამბოდ გაამზადა „ვეფხისტყაოსნის“ მარჯორისეული თარ-გმანი და ლონდონში გამოსცა 1912 წელს. წიგნს წინასიტყვაო-ბად წაუმდლვარა საყურადღებო რუსთველოლოგიური ნარკვე-ვი, დაურთო ბიბლიოგრაფიული შენიშვნები და რუსთველოლო-გიური ლიტერატურის სია, აგრეთვე საძიებლები. სწორედ ამ

შესანიშნავი თარგმანით გაეცნო პირველად ინგლისურ ენაზე მყითხველი საზოგადოება შოთას უკვდავ პოემას.

ქართულ პრესაში „ვეფხისტყაოსნის“ მარჯორისეულ თარგმანს პირველი გამოხმაურა ვაზიანი, იგი „სახალხო გაზეთში“ 1912 წლის 24 აპრილს წერდა: „...თარგმანი ისე უახლოვ-დება ორიგინალს, ისეთნაირად არის თითქმის სიტყვა-სიტყვით გადაღებული ინგლისურად, რომ იგი შეუდარებელია.“

1912 წლის ივნისში „სახალხო გაზეთის“ რამდენიმე წომერში გაგრძელებით დაიბეჭდა თედო სახოკიას წერილი „ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურად და მარჯორი უორდროპის ასული: „...ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურად გამოვიდა და ევროპიელ მყითხველს საშუალება ეძლევა გაიცნოს ჩვენი ერის უკვდავი შვილის თხზულება, გაიცნოს თვით ამ გენიოსის სამშობლო, მისი დიდებული ნარსული. ასეთი სიკეთე ქართულს მწერლობას ქართველთათვის მოჭირნახულება, ან განსვენებულმა მარჯორი უორდროპის ასულმა დასდო“...

მოგვიანებით უორდროპების ოჯახის შენირულობის სახელზე ოქსფორდის უნივერსიტეტში მარჯორი უორდროპის სხოვნის უკვდავსაყოფად დაარსდა ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის შესწავლის წამახალისებელი ფონდი, რომელიც ხელს უწყობს ინგლისში ქართველოლოგიური მუშაობის ნორმალურად წარმართვას. ფონდი აფინანსებს ლექციებს, კვლევითს სამუშაოებსა და შრომების გამოცემებს ქართველოლოგიის დარგში.

1986 წლამდე მ. უორდროპი ცნობილი იყო, როგორც რამდენიმე ნაწარმოების მთარგმნელი, ვიდრე გ. შარაძემ ოქსფორდის ბიბლიოთეკაში ვიზიტის დროს არ აღმოაჩინა ი. ჭავჭავაძის მოთხრობებისა და ქართველ პოეტთა ლექსების უორდროპისეული თარგმანები. გარდა ამისა, მარჯორის საქმიანობის დასახასიათებლად დავამოწმებთ ერთ მასალასაც: შორენა ბორაშვილი – შტოიერი 2008 წელს ოქსფორდის ბიბლიოთეკაში ჩატარებული კვლევის შედეგად წერს: „ბოდლის ბიბლიოთეკაში, უორდროპის კოლექციაში დღესაც შეიძლება მის მიერ მაღა-

## ინგლისი

---

ლი რანგის პირებთან (გიბრალტარის მღვდელმთავარი, პეტერ-ბურგის საგარეო საქმეთა მინისტრი) გაგზავნილი, ქართულიდან თუ რუსულიდან თარგმნილი წერილების ნახვა. იგი სიმართლეს აწვდიდა საზოგადოებას საქართველოში განხორციელებული უსამართლობის, რუსების მიერ ქართველთა ყოველმხრივი შევიწროების შესახებ და მორიცების გარეშე, საკუთარი კომენტარების, ემოციური ფრაზების ჩართვით ამხელდა მათ.“

ცნობილია, რომ 1912 წელს აკაკი წერეთელმა დაწერა და თავის კრებულში შეიტანა ლექსი „**მარჯორი უორდოპის სახ-სოვრად**“, რომელიც შემდეგ საჩუქრად გაუგზავნა ოლივერ უორდოპს. 1913 წლის 25 მარტს აღტაცებული ოლივერი პო-ეტს ატყობინებდა: „ვჩეარობ მადლობა გადაგიხადოთ იმ მშვე-ნიერი ნობათისათვის, რომელიც თქვენგან ამ დილას მივიღე-დედაქემს და მე გული აგვიჩუყა იმ დიდმა პატივმა, რომელიც თქვენ ჩვენი ძვირფასი მარჯორის ხსოვნას დასდეთ – დაუკავ-შირეთ რა მისი სახელი თქვენს თხზულებათა სრული კრებულის გამოცემას... პირადად თქვენ, თქვენს ცნობილ მეგობრებს, თქვენს სამშობლოს ვუსურვებ, რაც შეიძლება დიდ ბედნიერე-ბას. რა ხანია მინდა თქვენი ნახვა...“

დიდია უორდოპების ამაგი ქართული კულტურის წინაშე: წლების მანძილზე მათ თავი მოუყარეს ძველი ქართული ხელნა-ნერი თუ ნაბეჭდი წიგნების შესანიშნავ კოლექციას, აგრეთვე, ქართველ მწერლებთან ხანგრძლივი მიმოწერით დაგროვილ მდიდარ ეპისტოლარულ მემკვიდრეობას, რომელიც დღეს ოქ-სფორდის უნივერსიტეტის ბოდლის სახელობის ბიბლიოთეკა-შია დაცული. ამას გარდა, მათ ანდერძით გარკვეული თანხაც დატოვეს ინგლისში ქართველობის ახალი თაობების აღსაზ-რდელად და მათი ქართული ბიბლიოთეკის შესავსებად.

საგულისხმოა, რომ ინგლისში სხვა ქვეყნებთან შედარე-ბით ადრე გაიხსნა ქართული ენის კათედრები ჯერ ოქსფორ-დში, შემდეგ – ლონდონის უნივერსიტეტში.

XX საუკუნეში ინგლისის ქართველობიური ცენტრი რიც-ხობრივად კიდევ უფრო გაიზარდა, გაფართოვდა და მრავალფეროვანი გახდა მისი შემოქმედებითი საქმიანობის თემატიკა...

**პაროლდ გეილი** (დ. 1899) გახდათ ამ პერიოდის მოღვაწეთაგან ერთ-ერთი საინტერესო პიროვნება. მან სიჭაბუკე გაატარა ავსტრალიაში. 1933 წელს ოქსფორდში მოიპოვა დოქტორის ხარისხი, 7 წელი იმუშავა ლონდონში, შემდეგ კი 30 წელი მოღვაწეობდა კემბრიჯში „ქუინზ კოლეჯში“.

პროფ. ბეილის მეცნიერული მოღვაწეობის ძირითადი სფერო ინდო-ირანული სამყარო იყო. ამ საკითხმა ბუნებრივად მოითხოვა ირანის ურთიერთობის კვლევა მიმდებარე ქვეყნებთან, კერძოდ, საქართველოსთან: „თავდაპირველად ჩემი დაინტერესება საქართველოთი სხვა ქვეყნებში ირანული გავლენის, კერძოდ, ზოროასტრიზმის კვალის ძიებამ განაპირობა. ამ კვლევამ დროთა განმავლობაში უფრო ფართო ხასიათი მიიღო, განსაკუთრებით – ლინგვისტურ ასპექტში და თანდათან მოიცვა ირანულ-ქართული, შემდგომში კი საერთოდ, ირანულ-კავკასიური ურთიერთობები.“

ბეილმა ქართული ენის შესწავლა 1928 წელს გადაწყვიტა, მას შემდეგ, რაც ოქსფორდში მოისმინა ა. შანიძის ლექცია ფრანგულ ენაზე ქართული გრამატიკის შესახებ. იმ დროს ქართული ენის სწავლა ძალიან ძნელი საქმე იყო, რადგან სახელმძღვანელობი თითქმის არ არსებობდა. ინგლისელ მკვლევარს ამ მხრივ დიდი დახმარება გაუნია რუსმა ემიგრანტმა, პროფესორმა ვლადიმირ მინორსკიმ. იგი უგზავნიდა ქართულ წიგნებს და, რაც მთავარია, გააცნო გიორგი წერეთელი, რომელთანაც შემდგომში ახლო ურთიერთობა დაამყარა.

ბეილს საკუთარ ბიბლიოთეკაში ბევრი ქართული წიგნი ჰქონდა. გარდა საქართველოში გამოცემული მხატვრული თუ სამეცნიერო ლიტერატურისა, აქ იყო ევროპაში გამოსული ნაშრომები საქართველოს შესახებ და XIX საუკუნეში დაბეჭდილი მრავალი ისეთი ქართული წიგნი, რომელიც დღეს ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა.

ჰ. ბეილი პირადად იცნობდა ბევრ ქართველ მეცნიერს: გ. წერეთელს, თ. გამყრელიძეს, მზ. ანდრონიკაშვილს... იგი დაინტერესებული იყო ქართული სიტყვების სტრუქტურითა და ეტი-მოლოგით. მისი ერთ-ერთი ნაშრომი „**სილნალის ეტიმოლო-გია**“ დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უურ-ნალში „მოამბე“.

ინგლისელი პროფესორი კარგად იცნობდა ქართულ მწერ-ლობას, განსაკუთრებით მოხიბლული იყო „ვეფხისტყაოსნით“. სწორედ შოთა რუსთაველის გენის პატივისცემისა და მისი უკ-ვდავი პოემის სიყვარულის ნიშნად მას **ლათინური ასოებით ხე-ლით გადაუწერია ქართულიდან მთელი „ვეფხისტყაოსანი“ კომენტარებითურთ**, სულ შვიდი რვეული. „ვეფხისტყაოსნის“ ყველა ინგლისურ თარგმანს ვიცნობ, ყოველი მათგანი თავისე-ბურად კარგია, მაგრამ ჩემთვის ყველაზე ახლობელი მაინც მარ-ჯორი უორდროპისეული ამაღლებული, ძველებური ელფერის მქონე სტილია; ჩემი აზრით, ასეთი ენა ძალიან უხდება ამ გენია-ლურ პოემას. საქართველოში ერთხელ ვიყავი. ეს ვიზიტი სწო-რედ „ვეფხისტყაოსანთანაა“ დაკავშირებული: რუსთაველის იუ-ბილეზე მიმიწვიეს 1966 წელს. დიდი ზეიმი იყო მაშინ საქართვე-ლოში. განსაკუთრებით დამამახსოვრდა მოგზაურობა მესხეთის რუსთავში, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ქართულმა ცეკვამ, მაგრამ მთავარი სიურპრიზი გიორგი წერეთელმა მო-მიმზიადა: ეს იყო მშვენიერი ჩოხა-ახალუხი, რომელიც მან სპეცი-ალურად ჩემთვის შეაკერინა, როცა ქართული ეროვნული ტან-საცმლით დაინტერესება შემატყო. ამ სამოსმა დიდი ეფექტი მო-ახდინა ინგლისში და რამდენიმე წლის შემდეგ, როცა კოლეჯი-სათვის ჩემს პორტრეტს ხატვადნენ, თანამშრომლებმა მთხოვეს, სურათზე ქართულ ტანსაცმელში გამონყობილი ვყოფილიყავი. ეს პორტრეტი, რომელიც მხატვარმა რონალდ უეიმ შეასრულა 1972 წელს, ახლაც ჰქიდია „ქუიზ კოლეჯში“. ჩემი 90 წლის იუბი-ლესთვისაც სწორედ მისი ფოტოსალები გადავამრავლე.“

მართალია, ჰ. ბეილს არ დაუწერია ქართველოლოგიაში მრავალრიცხოვანი სამეცნიერო გამოკვლევა, მაგრამ თავისი

საქმიანობით, გარკვეული ფორმით მაინც შეიტანა წვლილი ქართული ენისა და ლიტერატურის ევროპელთათვის გაცნობაში. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კემბრიჯის უნივერსიტეტის კოლეჯში მოღვაწეობის პერიოდში მას 30-მდე მოსწავლე ლინგვისტი ჰყავდა.

ჰ. ბეილი თავადაც დარწმუნდა იმაში, რომ საქართველომ, ქართველმა კაცმა იცის თავისი მოკეთის გულწრფელი დაფასება-პატივისცემა. იგი მადლიერებით იგონებდა: „საქართველოში ყოფნისას კოლეგები „ქართველს“ მეძახდნენ. მე ამ დარგში იმდენი არ გამიკეთებია, რომ ეს სახელი დამემსახურებინა, ამიტომ უხერხულად ვგრძნობ თავს, თუმცა იმასაც ვხვდები, რომ ეს იყო ჩემი ქართული ენის ცოდნის დაფასება.“

**უილიამ დევიდ ალენი** (1901-1973) — ინგლისელი ისტორიკოსი — ნაყოფიერ ქართველოლოგიურ მუშაობას ეწეოდა. განათლება მიიღო იტონის კოლეჯში. ახალგაზრდა უილიამი დაინტერესებული იყო აღმოსავლეთის ქვეყნებით, მათ შორის, საქართველოთი. საქართველოს ისტორიის შესწავლა დაიწყო პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. იმ პერიოდში იგი, როგორც ურნალისტი, თურქეთში იმყოფებოდა. ჯერ ეცნობოდა შავი ზღვის სანაპიროს ხალხების ისტორიასა და კულტურას, შემდეგ კი უშუალოდ საქართველო გახდა მისი კვლევის ობიექტი.

უ. ალენი საქართველოს პირველად ეწვია 1926 წელს სამი თვით, 1928 წელს კი ჩავიდა ლაზეთს. „საქართველოში ყოფნის დროს, - ამბობდა იგი მოგვიანებით, — გადავწყვიტე ინგლისელებისათვის გამეცნო ეს მეტად მდიდარი წარსული კულტურის ხალხი“ (საგულისხმოა, რომ იმხანად ინგლისურ ენაზე ამგვარი წიგნი არ არსებობდა). მართლაც, 1932 წელს ლონდონში გამოიცა უ. ალენის პირველი წიგნი საქართველოს შესახებ სახელწოდებით „ქართველი ხალხის ისტორია“. მასში წარმოდგენილია ქართველი ხალხის ისტორია პრინჯაოს ხანიდან XVIII საუკუნის ბოლომდე. სპეციალისტებმა წიგნს მაღალი შეფასება მისცეს.

XX საუკუნის 30-იან წლებში უ. ალენს ახლო ურთიერთობა ჰქონდა სამეცნიერო ურნალ „გეორგიკას“ (გამოდიოდა

ლონდონში 1939 წლამდე) თანამშრომლებთან (ო. უორდროპი, ჯ. ბედელისი, ან. გუგუშვილი). ამ ჟურნალში დ. ლენგთან და რ. სტივენსონთან ერთად აქვეყნებდა წერილებს საქართველოს ისტორიაზე (ცნობისათვის: „გეორგიკაში“ იბეჭდებოდა ექვ. თაყაიშვილისა და გრ. წერეთლის სტატიებიც).

უ. ალენს ეკუთვნის, აგრეთვე, „**XVII საუკუნის პირველი ნახევრის ორი ქართული რუკა**“ (1953).

1949 წელს ალენმა თავი დაანება დიპლომატიურ სამსახურს, დაბრუნდა სამშობლოში – ირლანდიაში და უფრო ინტენსიურად განაგრძო სამეცნიერო მუშაობა, აქვეყნებდა ისტორიული ხასიათის ნაშრომებს. 1970 წელს კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობამ დაბეჭდა წიგნი „**რუსეთის ელჩიობანი ქართველ მეფეებთან 1589-1605 წე.**“ ამ ორტომეულის შემდგენელი და რედაქტორია უ. ალენი, მასვე ეკუთვნის შესავალი, დამატებითი შენიშვნები, კომენტარები და ბიბლიოგრაფია.

1926 წლის შემდეგ ინგლისელი მკვლევარი რამდენჯერმე იყო ჩვენს ქვეყანაში. 1967 წელს საქართველოში ჩამოიტანა მეფე ერეკლე მეორის ვერცხლით მოჭედილი კარგად შემონახული ცხენაკაზმულობა (რახტი). ამასთან დაკავშირებით უ. ალენი წერდა: „ეს ნივთი შევიძინე ამ ორმოციოდე წლის წინათ პარიზში – აფხაზთა დიდგვაროვანი ოჯახის ერთ-ერთი შთამომავლისაგან, რომელმაც მითხრა, რომ მათს ოჯახს მეფე ერეკლე წინაპრად ერგებოდა და ამიტომ ეს ნივთი მათ საგვარეულო რელიკვიას წარმოადგენდა. ჩემი ანდერძით გათვალისწინებული იყო ეს აკაზმულობა დარჩენილიყო ბრიტანეთში, საჭურველთა მუზეუმის საგანძურში, ლონდონის ტოუერში, მაგრამ შარშანდელმა თბილისმა, რუსთაველის საიუბილეო დღეებმა, ქართული ისტორიული ტრადიციის მემკვიდრეობითობამ დამარნმუნა, რომ ამ რელიკვიის ჭეშმარიტი ადგილი ქართული ხელოვნების მუზეუმია.“ 1967 წლის 28 აგვისტოს უ. ალენმა ეს ნივთები საზეიმო ვითარებაში გადასცა ხელოვნების მუზეუმის დირექტორს.

ქართველები დიდ პატივს სცემდნენ უ. ალენს და მას სიყვარულით „**დიდ ალენსაც**“ ეძახდნენ. საქართველოში ორი უკა-

ნასკნელი მოგზაურობის დროს უ. ალენს ახლდა მისი ძმისშვილი რობინ ალენი, რომელიც აგრეთვე დიდი ინტერესით ეცნობოდა და სწავლობდა საქართველოს ისტორიასა და კულტურას.

უ. ალენი გარდაიცვალა 72 წლის ასაკში. მას დარჩა ხელნაწერები და წიგნები საქართველოს შესახებ, რომელიც შეისყიდა ინდიანის უნივერსიტეტიმა (სადაც მოღვაწეობს პროფ. დ. კიზირია). ამ მასალებით იქ დაინტერესდა ორი ახალგაზრდა: სტივენ რაპი და ლუის პერაგალი.

უ. ალენი იყო ქართველი ხალხის მეგობარი, მისი წარსულისა და აწმყოს პატივისმცემელი.

**ეპთრის პერიოდი (1917-2010) – ინგლისელი მწერალი და მთარგმნელი, ლონდონის უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელი, ცნობილი ქართველოლოგი – ჩვენში განსაკუთრებული პატივისცემითა და მადლიერებით მოიხსენიება. იგი დაიბადა ლონდონში, განათლება მიიღო საფრანგეთში; დაამთავრა სორბონის უნივერსიტეტი ფრანგული ცივილიზაციის განხრით. შემდეგ ლონდონის უნივერსიტეტში ისმენდა მ. კავილაძისა და ა. გუგუშვილის ლექციებს აღმოსავლური და ქართული ლიტერატურის საკითხებზე. რამდენიმე ხანს ლონდონში ბელგიის საელჩოში მუშაობდა უურნალისტად და მთარგმნელად.**

ქ-ნი ქეთრინი ქართული კულტურით დაინტერესდა XX საუკუნის 60-იან წლებში, კერძოდ, იმ დროიდან, როცა გაცნო მორის ბაჟრას ნაშრომს „შთაგონება და პოეზია“, განსაკუთრებით მოიხიბლა „ვეფხისტყაოსნით“, ნაიკითხა მარჯორისეული ინგლისური თარგმანი და გადაწყვიტა, თავადაც ეთარგმნა შოთას უკვდავი ქმნილება თანამედროვე ინგლისურ ენაზე. ამ მიზნით დაიწყო ქართული ენის შესწავლა. გაიარა ქართული ენის სემინარები დევიდ ლენგის ხელმძღვანელობით ლონდონის უნივერსიტეტის ორიენტალისტიკისა და აფრიკათმცოდნეობის ინსტიტუტში. გარდა ამისა, ინგლისში მას დახმარებას უწევდნენ ცნობილი უცხოელი ქართველოლოგები, საქართველოდან კი – აკ. შანიძე, ალ. ბარამიძე, ი. გვარჯალაძე და სხვანი.

ინგლისელმა მკვლევარმა შემოქმედებითი კონტაქტები და-ამყარა ქართველ კოლეგებთან, რომლებსაც უგზავნიდა თავის ნაშრომებს. მეორე მხრივ, საქართველოდანაც აწვდიდნენ საჭი-რო ლიტერატურას. ქეთონმა საკმაოდ კარგად შეისწავლა ქარ-თული ენა (ძველი და ახალიც), რისთვისაც ყოველთვის მადლო-ბით იხსენიებდა თავის ქართველ მასწავლებლებს. ერთ-ერთ წე-რილში პროფ. ი. გვარჯალაძეს წერდა: „ჩემს მოვალეობად ვთვლი, დიდი მადლობა გადაგიხადოთ თქვენი მშვენიერი ორე-ნოვანი ლექსიკონებისათვის, რომლებმაც ძალიან გამიადვილეს ქართული ენის შესწავლა“. „როდესაც ქართული ენის შესწავლა დავიწყე, – იგონებს ქ. ვივიანი სხვა წერილში, – ხელთ მქონდა XIX საუკუნეში გამოცემული მ. ბროსეს ქართული ენის გრამატი-კის სახელმძღვანელო. არ გამაჩნდა არც ერთი ევროპულ-ქარ-თული ლექსიკონი (საუბედუროდ, რუსული არ ვიცი). ი. გვარჯა-ლაძის მიერ გამოგზავნილმა ლექსიკონებმა, განსაკუთრებით, ინგლისურ-ქართულმა და ქართულ-ინგლისურმა ქართული ენის შესწავლაში დიდი ბიძგი მომცა. მისი ლექსიკონების მიღების შემდეგ ქართული ენა ოთხჯერ უფრო სწრაფად ავითვისე.“

მომავალი ქართველოლოგი განსაკუთრებით დაინტერეს-და ძველი ქართული ლიტერატურით, პირველ ყოვლისა, „ვეფ-სისტემასნით“: ორიგინალში შეისწავლა პოემა (ტექსტის გაგე-ბაში ეხმარებოდა დ. ლენგი), ამასთანავე გულდასმით წაიკითხა მ. უორდროპის, ა. ლაისტის, გ. გვაზავას, ს. წულაძისა და ვ. ურუშაძის თარგმანები. საჭირო კონსულტაციები მიიღო ქარ-თველი მეცნიერებისაგან და ამის შემდეგ ალ. ბარამიძის ხელ-მძღვანელობით შეუდგა პოემის თარგმნას.

1972 წელს, როცა თარგმანის სამუშაო პირი დაასრულა, ქ. ვივიანი ჩამოვიდა საქართველოში, ლიტერატურის ინსტიტუ-ტის დირექტორისა და სხვა თანამშრომლების სათანადო დახმა-რებით დააზუსტა პოემაში მისთვის ძნელად გასაგები ადგილე-ბი, გაითვალისწინა კოლეგების შენიშვნები, კიდევ უფრო დახ-ვეწა და დედანს დაუახლოვა თარგმნილი ტექსტი.

1977 წელს გამომცემლობა „ფოლიო სოსაიტმა“ ლონდონში დაბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ ქეთრინ ვივიანისეული ინგლისური თარგმანი, რომელიც შესრულებულია პროზად, პროლოგი და ეპილოგი კი – ლექსად. თარგმანს ახლავს პროფ. დ. ლენგის, აკად. ალ. ბარამიძის რეცენზიები და მთარგმნელის შესავალი სტატია (წიგნი ეძღვნება ქართველ ხალხს).

შესავალ წერილში ავტორი მოკლედ მიმოიხილავს საქართველოს ისტორიას, შედარებით ვრცლად ჩერდება თამარის ეპოქაზე, იძლევა პოემის ზოგად დახასიათებას; პარალელს ავლებს რუსთაველისდროინდელ ევროპულ, სპარსულ, არაბულ ნაწარმოებებთან. მისი შეფასებით, რუსთაველი არის ეროვნული პოეტი, მაგრამ ამავე დროს უნივერსალურიც, რომელმაც შესანიშნავად იცის ანტიკური ფილოსოფია. „პოემის უნივერსალურობა, – წერს იგი, – ყველაზე უფრო თვალნათლივ ჩანს რელიგიის სფეროში. ჰუმანიზმის რუსთაველისეული გააზრება ისეთი ხასიათისაა, რომ ამით ქართველი პოეტი სცილდება შუა საუკუნეებს და რენესანსის დიად ჰუმანისტთა შორის დგება“. მთარგმნელი სტატიის ბოლო ნაწილში ვრცლად საუბრობს საქართველოში მიღებულ შთაბეჭდილებებზეც, მადლობას უხდის იმ ქართველ და ინგლისელ მეცნიერებს, რომლებმაც დახმარება გაუწიეს თარგმანზე მუშაობის დროს. დასასრულ, გულწრფელად და თავმდაბლობით აცხადებს: „მოსაზრებანი, რაც სტატიაში გამოვთქვი, საკუთრივ ჩემია. აუცილებელი არ არის სხვებმაც გაიზიარონ... ყველაფერი, რაც თარგმანში კარგია, ქართველობიდან მოდის, ნაკლოვანი მხარეები კი მთარგმნელს მიეწერება.“

ქ. ვივიანის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ ახალი თარგმანი გულთბილად მიიღო ინგლისურენოვანმა მკითხველმა. დაიწერა რეცენზია – გამოხმაურებანი, სადაც მადლიერებით მოიხსენიებდნენ მთარგმნელსა და მის ნაშრომს. საილუსტრაციოდ დავიმოწმებთ პროფ. დ. ლენგის რეცენზიის ერთ ნაწილს: „შოთა რუსთაველი და მისი რომანტიკული ეპოსი „ვეფხისტყაოსანი“ ისევე ბევრს ნიშნავს ქართველებისათვის, როგორც დანტე ალიგიერი – იტალიელებისათვის... შემთხვევითი

როდია, ყოველი ქართველი მშვენივრად გაფორმებულ ამ წიგნს, ძველი ჩვეულების თანახმად, პატარძალს მზითვად რომ აძლევდა. რუსთაველი იყო დიდი ჰუმანისტი, უნივერსალი თავისი მსოფლმხედველობითა და სულისკვეთებით... ყოველი თაობა ახლებურად კითხულობს რუსთაველს, რომლის გაცნობაც ინგლისში მ. უორდრობის პროზაული თარგმანით დაიწყო... ქეთრინ ვივიანის თარგმანი წარმოადგენს რუსთაველის, როგორც პოეტის, ბრძენისა და ამბის მთხოვნელის ინტუიტურ გააზრებას. მთარგმნელმა სცადა ახლებურად მისდგომოდა პოემის ინგლისურად გადმოღების პრობლემას, რაც განახორციელა ნაწილობრივ ამბის გადმოცემით, ნაწილობრივ ზუსტი თარგმანით. ვუწევ გულთბილ რეკომენდაციას მკითხველ საზოგადოებას".

ვივიანის ნაშრომს მაღალი შეფასება მისცეს აგრეთვე ალ. ბარამიძემ, აკ. შანიძემ, არნ. ჩიქობავამ, გ. იმედაშვილმა.

საგულისხმოა, რომ ვივიანმა პოემას უძღვნა არაერთი მეცნიერული გამოკვლევა. მაგალითად, 1980 წლის შემოდგომაზე იტალიაში, ქ. ბარიში, ქართული ხელოვნების საკითხებზე ჩატარებულ მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმზე, მან წარადგინა მოხსენება თემაზე „ვეფხისტყაოსანი“. ელემენტები ალმოსავლური და დასავლური კულტურიდან“ (დაიბეჭდა „რევიუ დე კარტველოლოჟის“ 1981 წლის 39-ე ტომში). ამ ნაშრომის მიხედვით, ქეთრინი იზიარებს ზოგიერთი ქართველი მეცნიერის მოსაზრებას (სახელდობრ, იმოწმებს ნ. კაკაბაძის ნაშრომს „შოთა რუსთაველი და ვოლფორამ ეშენბახელი“), რომ ჭეშმარიტად ქრისტიანული სულია ჩაქსოვილი რუსთაველის ნაზრევის სიღრმეში, საიდუმლოებით მოცულ ფრაზებში: „მზიანი ღამე“, „უუამო უამი“. მკვლევარი პარალელს ავლებს შუა საუკუნეების დასავლეთევროპულ ეპიკურ ქმნილებებსა და „ვეფხისტყაოსანს“ შორის. კერძოდ, იგი მსგავსებას პოულობს ვოლფრამ ეშენბახელის „პარციფალთან“, ნიზამი განჯელის „ლეილ-მაჯნუნიანთან“ და ფარხ უდინ გორგანელის „ვისრამიანთან“.

ქ. ვივიანმა ინგლისურ ენაზე **თარგმნა „რევიუ დე კარტველოლოგის“** რედაქტორის კ. სალიას მონოგრაფია **„ქართველი ერის ისტორია“** (გამოიცა ლონდონში 1983 წელს).

1981 წლის შემოდგომაზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის ე. ხინთიბიძის მოწვევით, ქ. ვივიანი მეორედ ესტუმრა ჩვენს ქვეყანას. იგი აქტიურად ჩაერთო უნივერსიტეტის ქართველოლოგიურ საქმიანობაში (ამის შემდეგ გახშირდა მისი ვიზიტები საქართველოში). ამჯერად ქ-ნმა ქეთრინმა ჩამოიტანა „ქართლის ცხოვრების“ ნაწილების ინგლისური თარგმანის სამუშაო პირი, რომლის დაზუსტებაში კონსულტაციას უწევდნენ ქართველი კოლეგები. სტუმარი თბილისში ერთი თვე დარჩა. ეს ვიზიტი მისთვის მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა როგორც მეცნიერული მუშაობის ხაზით, ისე საქართველოს უკეთ გაცნობის თვალსაზრისითაც. გაფართოვდა მისი ქართველი მეგობრების წრე. მათ შორის იყვნენ: ალ. ბარამიძე, მზ. შანიძე, მ. გიგინეიშვილი, ც. კარბელაშვილი, ს. სერებრიაკოვი, ლ. მენაბდე, ნ. ყიასაშვილი, ზ. გამსახურდია, მ. ლორთქიფანიძე, არ. ჭანტურია, ე. ხინთიბიძე, მ. ოძელი და სხვები. სტუმარმა მოინახულა საქართველოს სხვადასხვა კუთხე, დაათვალიერა ქართული კულტურის ისტორიული ძეგლები; უკეთ გაიცნო ქართველი კაცის ხასიათი, ჩვენი ადათ-წესები, ზნე-ჩვეულებანი...

1982 წლის ოქტომბერში თბილისში გაიმართა ათონის ქართული სამეცნერო-საგანმანათლებლო ცენტრის 1000 წლის-თავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. მასში მონაწილეობდა ქ. ვივიანი ნაშრომით „**თარგმანის სტატობა**“. მოხსენება მან ქართულ ენაზე წაიკითხა, იმსჯელა თარგმნითი ხელოვნების საკითხებზე. ნაშრომს ეპიგრაფად წამდლვარებული ჰერნდა იაკობ გოგებაშვილის სტრიქონები: „ათონელი ბერები ჩინებულად თარგმნიდნენ და საუცხოოდ წერდნენ“. დამსწრე საზოგადოებამ ერთხმად აღიარა ინგლისელი მეცნიერის გამოკვლევის აქტუალობა და გაიზიარა გამოტანილი დასკვნები (სტატია დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“).

ქ. ვივიანი მრავალმხრივი მოღვაწე გახლდათ: წერდა საბავშვო ლექსებსა და პიესებს, მოთხრობებსა და ზღაპრებს (მისი ზოგიერთი პიესა სცენაზეც დაიდგა). გარდა ამისა, იგი სისტემატურად თარგმნიდა ქართული კლასიკური ლიტერატურის ნიმუშებს, ინგლისურენოვან მკითხველს აცნობდა თანამედროვე ქართველი მწერლების შემოქმედებასაც. 1982 წელს ლონდონში დაიბეჭდა ქ. ვივიანის მიერ შესრულებული სულხან-საბაორბელიანის „**სიბრძნე სიცრუისას**“ ინგლისური თარგმანი. წიგნის გარეკანს ამშვენებს „მეფე და მისი შვილის“ მამია მალაზონიასეული ილუსტრაცია. ამით მთარგმნელი თავიდანვე ამახვილებს მკითხველის ყურადღებას სულხან-საბას წიგნის ლაიტ-მოტივზე – კეთილის ქმნა სიცოცხლეში სჯობს და ადამიანიც სიკეთის ქმნას უნდა დაეშუროს. საინტერესოა, რომ წიგნის სათაური ვივიანს უთარგმნია, როგორც „**ნიგნი სიბრძნისა და სიცრუისა**“.

ახალ თარგმანს დადებითი შეფასება მისცეს სპეციალისტებმა. მაგალითად, ინგლისელი ქართველოლოგი რობერტ სტივენსონი წერდა: „ვივიანს საფუძვლიანად შეუსწავლია ნაწარმოები, შეუგრძვნია საბას შეუდარებელი სტილი, გაუთვალისწინებია მისი სიბრძნე“, ხოლო დევიდ ლენგი თავის რეცენზიაში საკმაო სისრულით საუბრობს ზოგადად სულხანის შემოქმედებაზე და მაღალ შეფასებას აძლევს მის იგავ-არაკებს; ვივიანისეული თარგმანის სათაურთან დაკავშირებით შენიშნავს, რომ წიგნის სათაურად ვივიანის ინტერპრეტაცია უფრო შესაფერისი ჩანსო. „**სულხანი** გონებამახვილი კაცი იყო. მან საგანგებოდ აირჩია გარითმული სათაური, რომელიც შეიცავს ფორმულას: სიბრძნე-სიცრუე, თუმცა სიცრუე შეიძლება ნიშნავდეს „ამაოებას“, „მოჩვენებითობას“, „ჭორს“, „გამონავონს“. ზოგიერთი მთარგმნელი დააბნია სულხანისეულმა სათაურმა. მათ სათაურად ამჯობინეს „გამონავონის სიბრძნე“.

„**სიბრძნე სიცრუისას**“ ამ თარგმანს მიეძღვნა აგრეთვე რ. თურნავას ვრცელი სტატია (1983). მასში დაწვრილებით, მეცნიერული პრინციპების საფუძველზე წარმოჩენილია თარგმანის

დადებითი მხარეები, მოცემულია ზოგიერთი შენიშვნა თუ სურვილიც.

**1991** წელს ამსტერდამში გამოვიდა ვივიანის მიერ ინგლისურად თარგმნილი **ფრაგმენტები „ქართლის ცხოვრებიდან“** (ს. ყაუხჩიშვილის რედაქციის მიხედვით). ეს ნაშრომი საინტერესო სიახლეა და ამასთანავე შემდგომი სტიმული დასავლური ქართველობობის განვითარებისათვის (მ. ლორთქიფანიძე).

ინგლისელი მკვლევარი უცხოეთის პრესაში სისტემატურად ბეჭდავდა საინტერესო, საკითხის ღრმა ცოდნით დაწერილ რეცენზიებს ქართველი მეცნიერების გამოკვლევებზე, რითაც კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდიდა ჩვენი ხალხის კულტურულ მემკვიდრეობას, მეცნიერულ მიღწევებს. ღირსსაცნობია ისიც, რომ ქ. ვივიანი გახლდათ თბილისში 1992 წელს დაარსებული ქართველობოგიური სკოლის ცენტრისა და მისი სამეცნიერო ორგანოს უურნალ „**ქართველოლოგის**“ აქტიური თანამშრომელი და საინტერესო ავტორიც. ამ ცენტრის თაოსნობით ინგლისელ მეცნიერს ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის 1994 წლის დეკემბერში მიენიჭა მარჯორი უორდოპის პრემია, ხოლო ცოტა მოგვიანებით არჩეულ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად. ქ-ნმა ქეთრინმა ამ საპატიო წოდების მინიჭებისას ოფიციალურ სხდომაზე წარმოთქმული სიტყვა ასე დაინტერ: „ძვირფასო და პატივცემულო უნივერსიტეტის რექტორო, პროფესორებო, ქალბატონებო და ბატონებო! უპირველეს ყოვლისა, მსურს ყველას მოგესალმოთ სიყვარულით და ძვირფას ქართველ ერს გავუზიარო ჩემი ღრმა სიყვარული და პატივისცემა. უდიდესი სიამოგნებით გახლავართ აქ კიდევ ერთხელ თქვენს ლამაზ ქვეყანაში ქართველ ხალხს შორის, რომელიც დიდად მიყვარს.

დღევანდელი დღე ჩემთვის ნამდვილად დასამახსოვრებელია. „ან ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვანება“... შემდეგ ინგლისელმა ქალბატონმა მოკლედ ისაუბრა თავის საქმიანობაზე, კვლავ წარმოაჩინა შოთას უკვდავი პოემის მსოფლიო მნიშვნელობა და ხაზი გაუსვა იმასაც, რომ სწორედ „ვეფხის-

ტყაოსანი“ იყო მისი ქართველოლოგიური მოღვაწეობის გზაზე პირველი შთაგონების წყარო... თავისი გამოსვლის დასასრულს საპატიო სტუმარმა ერთხელ კიდევ გამოხატა კეთილგანწყობა საქართველოსადმი: „თქვენს ქვეყანას აქვთ საუცხოო წარსული და ისტორიული ძირები, რომლებისაგან შეუძლია გაზარდოს მშვენიერი მომავალი. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ დაძლევთ თქვენს დღევანდელ სიძნელეებს: „ხამს თუ კაცმან გონიერმან ძნელი საქმე გამოაგოს...“

ქართველი მეგობრების მოგონებებისა თუ ოფიციალური სტატია-წერილების, გამოკვლევების მიხედვით ირკვევა, რომ ვივიანი ჩვენში ყოველთვის იყო გარემოსილი გულწრფელი სიყვარულითა და პატივისცემით; განათლებული საზოგადოება ჯეროვნად აფასებდა თავის უცხოელ მოკეთეს, რომელიც ღირსეულად აგრძელებდა და შემოქმედებითად ავითარებდა ქართული ინგლისური კულტურული ურთიერთობის იმ ტრადიციას, რასაც ჯერ კიდევ ასი წლის წინ ჩაუყარეს მტკიცე საფუძველი უორდოპებმა. უთუოდ ამას გულისხმობდა პროფ. ლ. მენაბდე, როცა საგურამოში ილიას სახლ-მუზეუმის დათვალიერებისას ქ-ნ ქეთრინს უწოდა თანამედროვეობის მარჯორი უორდოპი.

ქ. ვივიანი, ქართული მწერლობის ეს მოულლელი მუშაკი, მასპინძელთა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა პიროვნული თვისებებითაც. დავიმოწმებთ მარიკა ოძელის სტატიიდან მცირე ამონარიდას: „ქ-ნი ქეთრინი თავის თავში დიდ ინგლისურ კულტურას ასახიერებდა. მას ძალზე მომხიბლავი და დახვენილი გარეგნობა, დიდი ინტელექტი და არაჩვეულებრივი ზუსტი ლიტერატურული ალლო ჰქონდა. შემკული იყო განუმეორებელი იუმორის გრძნობით, კლასიკური ინგლისური თავდაჭრილობითა და ახალგაზრდული სულით“.

მკითხველს გვინდა გავაცნოთ აგრეთვე რამდენიმე დეტალი ქ-ნი ქეთრინის პირტრეტისათვის: იგი იყო შესანიშნავი მოთხილამურე, მოცურავე... მედლები ჰქონდა მიღებული შოტლანდიურ ცეკვებში, ასევე გახლდათ საუკეთესო დიასახლისი (უყვარდა ქართული კერძების მომზადებაც).

ჩვენი თხრობა ქეთრინ ვივიანის ქართველოლოგიურ საქმიანობაზე გვინდა დავამთავროთ მისივე სიტყვებით: „ჩემთვის მომხიბვლელია ტკბილი ქართული ენა. ამ ენას აქვს არა მხოლოდ მშვენიერი ბერები, არამედ იგი საუცხოოდ მომართული ინსტრუმენტია, რომელსაც შესწევს უნარი გადმოსცეს ადამიანის აზრის დახვენილი ნიუანსები. ქართული ენა არის ამავე დროს ერის ისტორიის, იდეებისა და მოვლენების საგანძური.

**რობერტ სტივენსონი** (დ. 1920) – ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსი, კემბრიჯისა და ოქსფორდის უნივერსიტეტების პროფესორი – ევროპაში აღიარებულია გამოჩენილ ქართველოლოგად. იგი ჭაბუკობაში გატაცებული ყოფილა მოგზაურობით. მამის შთაგონებით, მოიარა ბევრი უცხო ქვეყანა, გაეცნო ხალხთა ყოფა-ცხოვრებასა და ზნე-ჩვეულებებს, შეისწავლა ენები, მსოფლიო ლიტერატურა და ისტორია. დაამთავრა ლონდონის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, შემდეგ – კემბრიჯის უნივერსიტეტი (1945), დაიცვა სადოქტორო დისერტაცია (1960), კითხულობდა ლექციებს კემბრიჯისა და ოქსფორდის უნივერსიტეტებში.

მომავალი ქართველოლოგი ქართული ენითა და ლიტერატურით დაინტერესდა XX საუკუნის შუა ხანებში. „ქართული ენის შესწავლისადმი ჩემი ინტერესი აღძრა ერთმა ფრაზამ, რომელიც ამოვიკითხე რენე გრუსეს ნიგნში „სტეპების ისტორია“, სადაც ნათქვამი იყო: „ქართული რაინდობა იმ ეპოქაში (XIII საუკუნის დასაწყისი) ყველაზე უკეთესი იყო“. ამის შემდეგ მე ბედმა გამიღმა. შევხვდი ოლივერ უორდრობს. ეს იყო 1948 წლის გაზაფხულზე, მისი გარდაცვალების ცოტა ხნით ადრე. მე დღესაც მაქვს ოლივერის წერილი. მან ჩაიზე დამპატიუა, როდესაც გაიგო ჩემი ინტერესი ქართული ენის შესწავლისადმი. მერე მან მაჩუქა მისი დის მიერ ინგლისურ ენაზე თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ უკანასკნელი ეგზემპლარი. იმავე წლის ზაფხულში დავიწყე ქართულის სწავლა ლონდონის უნივერსიტეტში ა. გუგუშვილის ხელმძღვანელობით“, — ასე იგონებდა მოგვიანებით რ. სტივენსონი ქართულ ენასთან მისი დაახლოების ამბავს (ინგლისელ ჭა-

## ინგლისი

---

ბუკს, ა. გუგუშვილის გარდა, პირველ ხანებში ეხმარეობოდნენ საზღვარგარეთ მცხოვრები სხვა ქართველებიც).

სტივენსონის პირველი ქართველობოგიური ნაშრომი იყო „კურტუაზიული სიყვარულის ქართული ვარიანტი“. მან ამ მოხსენებით მიიღო მონაწილეობა 1954 წელს ინგლისში ჩატარებულ ორიენტაციისტთა საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში. უცხოელი მკვლევარი თავიდანვე დაინტერესდა ძველი და შუა საუკუნეების ქართული მწერლობით და შეუდგა მათს მეცნიერულ შესწავლას. მუშაობის პროცესში ახლო (საქმიანი) ურთიერთობა ჰქონდა ქართველ კოლეგებთან. ალ. ბარამიძე, ი. გვარჯალაძე, დ. კობიძე, ალ. გვახარია, ვ. ურუშაძე, ს. თურნავა და სხვები ეხმარებოდნენ კონსულტაციებით, უგზავნიდნენ თავიანთ ნაშრომებს...

თავის მხრივ, სტივენსონი არაერთგზის მოიხსენიებდა მადლიერებით ქართველ მეცნიერებს, განსაკუთრებით ალ. ბარამიძეს: „დიდად ვარ დავალებული ალ. ბარამიძისაგან, სისტემატურად მანვდის საჭირო ლიტერატურას, მაძლევს რჩევა-დარიგებს ქართული ლიტერატურის საკითხებზე“.

სტივენსონმა ძველი ქართული მწერლობის საკითხების კვლევა დაიწყო მოსე ხონელის „ამირან-დარეჯანიანის“ შესწავლით. (ტექსტის გაგება-გაანალიზებას მოანდომა შვიდი წელი). მან 1958 წელს ცალკე წიგნად გამოსცა „ამირან-დარეჯანიანის“ ინგლისური თარგმანი, რომელსაც დაურთო შესავალი წერილი და შენიშვნები. იგი ძირითადად იზიარებს ალ. ბარამიძის დებულებას და ავითარებს იმ მოსაზრებას, რომ „ამირან-დარეჯანიანი“ ქართული წარმოშობისაა.

სპეციალისტების აზრით, ინგლისელმა მეცნიერმა „შეძლ „ამირან-დარეჯანიანის“ ჩასმა XI-XII საუკუნეების ზოგად სარაინდო-საფალავნო ჟანრის დასავლურ-აღმოსავლურ კონტექსტში და მიანიშნა ქართული თხზულების მიღწევაცა და თავისებურებაც ამ დარგში“ (ნ. ანდრონიკაშვილი); „თარგმანი კარგადაა შესრულებული, ჩვენ პატივი უნდა ვსცეთ მთარგმნელს, რომელმაც შეძლო ორიგინალის ხასიათისა და სტილის

შენარჩუნება“ (თ. ნასყიდაშვილი, პარიზელი მკვლევარი: „რევიუ დე კარტველოლოჟი“, 1969, ტ.XV-XVI).

ქართველოლოგიური უურნალის „რევიუ და კარტველოლოჟის“ 1962 წლის ნომერში დაიბეჭდა სტივენსონის სტატია „დიდმოურავიანი“ - XVII საუკუნის ეპიკური პოემა“, 1964 წელს კი – „ომანიანი“ – XVII საუკუნის ქართული რომანი“. საინტერესოა ინგლისელი მკვლევრის მოსაზრება „დიდმოურავიანის“ შესახებ. იგი ღრმა ანალიზის საფუძველზე მიდის იმ დასკვნამდე, რომ გიორგი სააკაძე იყო უანგარო პატრიოტი, რომელიც საქართველოში იბრძოდა ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების დასამყარებლად (ამ საკითხში იზიარებდა ალ. ბარამიძისა და კ. კეკელიძის შეხედულებებს).

რ. სტივენსონმა თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ რიტმული პროზით (იუნესკოს დაკვეთით წიგნი დაიბეჭდა ნიუ-იორკში 1977 წელს). თარგმანს წამდლვარებული აქვს მთარგმნელის შესავალი სტატია და შენიშვნები. სპეციალისტთა აზრით, რ. სტივენსონს შესანიშნავად შეუსწავლია რუსთაველის პოემა, რუსთველოლოგიური ლიტერატურის ბოლოდროინდელი ნიმუშები. ამიტომაცაა, რომ იგი ადვილად სწვდება რუსთველოლოგის რიგი საკითხების სიღრმეებს და მეცნიერული ანალიზის საფუძველზე იძლევა საგულისხმო მოსაზრებებს. თარგმანს ერთვის ალ. ბარამიძის სტატია „ვეფხისტყაოსანის“ ქართული პერსპექტივა“. სტივენსონისეული რიტმული პროზით ნათარგმნი „ვეფხისტყაოსანი“ მოიწონეს მსოფლიოს ლიტერატურათ-მცოდნებმა. საგანგებოდ აღინიშნა ისიც, რომ პოემის აფორიზმები ინგლისურად შესანიშნავადაა გადაღებული.

ადსანიშნავია, რომ წლების მანძილზე შოთა რუსთაველი და მისი პოემა იყო სტივენსონის სამეცნიერო კვლევის ერთ-ერთი საინტერესო ობიექტი. მის შესწავლას მიუძღვნა რამდენიმე ნაშრომი: „რუსთაველი და არიოსტო“ (1959), „ვეფხისტყაოსანის შესახებ“ (1960), „ვეფხისტყაოსანის“ თარგმანის შესახებ“ (1960), „ქართული ეპიკური პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ანუ კაცი ვეფხის ტყავში“ (1982), „ქართული ეპიკური სარაინდო პოემები“

(1982) და სხვა. ავტორი გამოკვლევაში „რუსთაველი და არიოსტო“ ადარებს რუსთაველისა და არიოსტოს ნაწარმოებთა პერსონაჟებს — ორლანდოსა და ტარიელს. მისი აზრით, ორლანდოს მწუხარება პოემაში გადმოცემულია, როგორც მანიაკის მწუხარება, რომელიც ყველგან გასართობს ეძებს, მის გაგიჟებას გონივრული საფუძველი არ გააჩნია და საბოლოოდ ქარაფშუტულადაც იკურნება. ტარიელი კი სანიმუშო მიჯნურია.

ზოგადად თუ ვიტყვით, ინგლისელი მკვლევარი არაერთგან მსჯელობს „ვეფხისტყაოსნის“ მნიშვნელოვან საკითხებზე, გამოთქვამს საგულისხმო მოსაზრებებს. მისი დაკვირვებით, ფირფოუსისა და მის მემკვიდრეთა ნაწარმოებების თაყვანისცემა არსად არ ყოფილა ისე დიდი, როგორც საქართველოში, მაგრამ ამ თაყვანისცემას ქართული ლიტერატურა არ მიუყვანია ბრმა მიბაძვადე... „მიუხედავად ამისა, რუსთაველის დროს, დიდი ხნის მერეც, ქართველები აშკარად მიიჩნევდნენ სპარსელებს ლიტერატურის დიდოსტატებად... შაჰნამესგან არის დავალებული რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ზოგი პოეტურ-მხატვრული სახე. გარკვეულ სტილისტურ ნათესაობას ამჟღავნებენ „ვეფხისტყაოსანი“ და „ვისრამიანი“. სტივენსონი ეხება ნიზამისადმი რუსთაველის დამოკიდებულებას და მიუთითებს, რომ „მიჯნურობის იდეა“, რომელიც რუსთაველმა აიღო ნიზამისაგან, „ვეფხისტყაოსანში“ ექვემდებარება „რაინდულ სამყაროს“ იდეალებს... „რუსთაველის ქმნილება დამოუკიდებელია, დიდი ქართველი პოეტის შემოქმედებითი ორიგინალობის გამოვლინებაა. ამასთანავე ვისის, რუსტამის, რამინისა და კეისის ხსენებით რუსთაველი თითქოს მიგვანიშნებს, რომ იგი, როგორც რომანისტი, დიდ სპარსავტორთა ტრადიციაში უნდა განვიხილოთ.“

ინგლისელი მეცნიერი „ვეფხისტყაოსანს“ სტრუქტურის თვალსაზრისით ადარებს იმ დროის ევროპულ სარაინდო რომანებს და ასკვნის: „საეჭვოა, რომ რომელიმე შუასაუკუნეობრივი რომანი, აღმოსავლური თუ დასავლური, გამოირჩეოდეს ისეთი მთლიანობით, საერთო ქარგის ისეთი სირთულით, როგორც ეს არის „ვეფხისტყაოსანში“.

რ. სტივენსონი სისტემატურად ეხმიანებოდა ქართველი კოლეგების სამეცნიერო გამოკვლევებს. პ. კეკელიძის, ა. შანიძის, ა. ბარამიძის, შ. ძიძიგურის, გ. ჯიბლაძის, ლ. გვახარიას, ი. გვარჯალაძისა და სხვათა ნაშრომებზე უცხოეთის პრესაში (ხშირად „რევიუ დე კარტველოლოგის“ ფურცლებზე) გამოქვეყნებული აქვს საინტერესო რეცენზიები და სტატიები. რ. სტივენსონი საგანგებოდ მსჯელობს შ. ძიძიგურის წიგნებზე, მაღალ შეფასებას აძლევს მის მონოგრაფიას „მწერლის ენას“ (მათ შორის სტატიას „დავით გურამიშვილის ენა“), ხოლო „ბასკები და ქართველები“, მისი აზრით, ძვირფასი შენაძენია ქართული ენათმეცნიერებისთვის.

მადლიერებით უნდა აღინიშნოს, რომ რ. სტივენსონის თარგმანებსა და გამოკვლევებზე აღიზარდა უცხოეთში ბევრი ახალგაზრდა მეცნიერი და ესეც ხომ ინგლისელი ქართველოლოგის ღვაწლის დიდი დაფასება და აღიარებაა.

**დევიდ მარშალ ლენბი (1924-1991)** – ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, ლონდონის უნივერსიტეტის კავკასიათმცოდნეობის პროფესორი – ინგლისური ქართველოლოგიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო.

დ. ლენგი სწავლობდა კემბრიჯის უნივერსიტეტის წმ. იო-ანეს (სმიტის) კოლეჯში, ეუფლებოდა თანამედროვე ენებს. 1939-1945 წლებში მუშაობდა ირანში ბრიტანეთის საელჩოს მდივნად. 1946 წლიდან დაიწყო რუსეთისა და კავკასიის ისტორიის შესწავლა. 1949-1980 წლებში (პენსიაში გასვლამდე) მოღვაწეობდა ლონდონის უნივერსიტეტში, განაგებდა აფრიკისა და აღმოსავლეთის სწავლების განყოფილებას, მათ შორის, ქართველოლოგიის კათედრასაც; როგორც კავკასიური შტუდიების პროფესორი, უნივერსიტეტში ასწავლიდა ქართულს.

მომავალმა ქართველოლოგმა ადრეულ ასაკში გადაწყვიტა შესწავლა ქართული ენა, რათა უკეთ გასცნობოდა ჩვენი ხალხის ისტორიასა და ლიტერატურას. იგი ხშირად ჩამოდიოდა საქართველოში, მონაწილეობდა ქართული მწერლობისა და კულტურისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებებში, მოვლილი

## ინგლისი

---

პქონდა საქართველოს არაერთი კუთხე, კარგად იცნობდა აქაურ ისტორიულ ძეგლებსა და ღირსშესანიშნაობებს, იცოდა ქართული სტუმართმოყვარეობის მადლი და ისეთი ეთნოგრაფიული სიზუსტით იცავდა ქართულ ადათ-წესებს, რომ უცნობი თვალი ვერც კი გაარჩევდა ქართველი კაცისაგან. წლების მანძილზე იგი გულით ატარებდა საქართველოს სიყვარულს, შვილებსაც კი ქართული სახელები დაარქვა...

დ. ლენგმა 1950-იანი წლების დასაწყისიდან ქართული კულტურის შესწავლასა და უცხოეთში მის პოპულარიზაციას მრავალი საინტერესო გამოკვლევა მიუძღვნა. მათ შორის აღსანიშნავია: „პეტრე იბერის ვინაობის შესახებ“ (1951), „საქართველოს წმინდანთა ცხოვრება“ (1956), „სიბრძნე ბალავარისა“ (1957). მანვე გამოავლინა ამ თხზულების ქართული იერუსალიმური ნუსხა და 1966 წელს ლონდონში გამოსცა მისი თარგმანი ინგლისურ ენაზე), „საქართველოს (ქართული) მონარქიის უკანასკნელი წლები. 1658-1832“ (1957), „ქართული წიგნის კატალოგი ბრიტანეთის მუზეუმში“ (1962), „საქართველოს ახალი ისტორია. XIX-XXსს.“ (1962), „შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურის პრობლემები“ (გამოკვლევა დაიბეჭდა 1963 წ. ორიენტალისტთა მოსკოვის XXV საერთაშორისო კონფერენციის შრომებში), „ქართული ლიტერატურის განვითარების საფეხურები“ (1966), „ხალხური და კურტუაზიული ელემენტები ქართულ ეპოსში“ (1970), „აღმოსავლური ლიტერატურის ცნობარი“ (1971), „ქართული ხელნაწერები ოქსფორდის უნივერსიტეტში“, „მამა მიქელ თარხნიშვილი“, „რუსთველიანა“ და ა.შ.

ლენგმა ნარკვევები მიუძღვნა აგრეთვე გიორგი ბრწყინვალის მეფობას, ქართველთა მოღვაწეობას ირანში სეფიანთა დინასტიის დამხობის ხანაში, ვახტანგ VI-ის ურთიერთობას საფრანგეთთან, ტოტლებენის მეთაურობით რუსთა ჯარების ყოფნას საქართველოში 1769-1774 წლებში. იგი დაინტერესდა ფერეიდნელი ქართველების ცხოვრებითაც. 1969 წელს კიდეც მოინახულა ისინი.

სპეციალისტთა მიერ აღიარებულია, რომ დ. ლენგი იყო ნიჭიერი მკვლევარი, რომელმაც, „პ. პეკელიძის ტრადიციებზე აღზრდილმა, ლირსეულად შეინარჩუნა ქართული ლიტერატურის ისტორიის განვითარების მაღალი დონე“ (ალ. ბარამიძე). ისტორიული ფაქტებისა თუ მოვლენების მიმართ იჩენდა დიდ მეცნიერულ სიფრთხილეს, აზუსტებდა და ამონმებდა მასალებს სხვადასხვა წყაროში. მაგალითად, როცა გადაწყვიტა, დაეწერა წიგნი საქართველოზე, სპეციალურად ჩამოვიდა ჩვენს ქვეყანაში, შეხვდა აქაურ კოლეგებს (ალ. ბარამიძეს, ვ. ბერიძეს, ნ. კოჭლავაშვილს...), მიიღო მათგან სათანადო კონსულტაციები და 1964 წელს დაიწყო წერა. ნაშრომი დაასრულა 1966 წელს, უწოდა „ქართველები“. ესაა მიმოხილვითი საცნობარო წიგნი, სადაც ავტორი ვრცლად ეხება საქართველოს ისტორიის, ლიტერატურისა და ხელოვნების უმნიშვნელოვანეს საკითხებს. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ქართული ნუმიზმატიკის შესწავლის ისტორიაში დ. ლენგის დამსახურების შესახებაც. ამ საკითხე მან რამდენიმე ნაშრომი დაწერა.

ცნობილია, რომ ქართული ნუმიზმატიკის მეცნიერულ შესწავლას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ამ საქმის დამწყებად ითვლებიან მიხეილ ბარათაშვილი (ბარათავი) და მარი ბროსე, ჩვენს დროში კი ამ დარგში უცხოელთაგან ყველაზე მეტი გააკეთა დ. ლენგმა. იგი დაიწერესდა ამერიკის ნუმიზმატიკური საზოგადოების ქართული მონეტებით და დაიწყო მათი შესწავლა. 1955 წელს ნიუ-იორკში გამოაქვეყნა მონოგრაფია „ეტიუდები საქართველოს ნუმიზმატიკის ისტორიიდან“. ამ ნაშრომში წარმოდგენილია ასზე მეტი ქართული მონეტა (XIX საუკუნის I მეოთხედის ჩათვლით), მოცემულია მათი დეტალური აღწერა, აქვე არის ავტორისეული ისტორიული ხასიათის კომენტარები და შესანიშნავი ფოტორეპროდუქციები.

დ. ლენგმა გამოსცა ამერიკის ნუმიზმატიკური საზოგადოების მიერ 1953-1965 წლებში შექმნილი მონეტებიც; სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა საქართველოს ფარგლებს გარეთ დაცული არაერთი იშვიათი და უნიკალური მონეტა, მათ შორის

არის თბილისის ამირას ალი იბნ ჯაფარის უნიკალური დირჰემის (მოიჭრა თბილისში XI საუკუნის დამდეგს), არაბული დირჰემის ქართული მინაბაძი, რომელიც ეკუთვნის ბაგრატ III-ს და, რაც მთავარია, დავით აღმაშენებლის უნიკალური სპილენძის მონეტა. ამ მონეტის (დაცულია დიდი ბრიტანეთის მუზეუმში) ერთ მხარეზე აღბეჭდილია დავითის გამოსახულება, მეორეზე კი – ასომთავრული წარწერა (დაზუსტებული აკად. 6. ბერძენიშვილის მიერ): „ქრისტე! დავით, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა“. როგორც სამართლიანად შენიშნავენ, მხოლოდ ამ მონეტის პუბლიკაციაც კი საკმარისი იქნებოდა, რომ დევიდ ლენგის სახელი სამუდამოდ დარჩენილიყო ქართული ნუმიზმატიკის ისტორიაში.

ღირსსაცნობია, რომ დ. ლენგის ქართველოლოგიური კალევის სფეროში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა **შოთა რუსთაველსა** და მის „ვეფხისტყაოსანს“. 1964-1965 წლებში ლენგი ლექციებს კითხულობადა ამერიკაში, კალიფორნიის უნივერსიტეტში. თავის მსმენელებს ქართველოლოგიურ დისციპლინებს ასწავლიდა და რუსთაველსაც აცნობდა. 1965 წლის აპრილში იგი აშშ-ის ალმოსავლეთმცოდნეობის საზოგადოების გენერალური ასამბლეის სხდომაზე (ჩიკაგოში) გამოვიდა მოხსენებით თემაზე „**შოთა რუსთაველი და შუა საუკუნეების ქართული ეპოხი**“. დ. ლენგის გადმოცემით, „ამ მნიშვნელოვანი საზოგადოების ისტორიაში, რომელიც ათასობით წევრს აერთიანებს აშშ-ის წამყვანი უნივერსიტეტებიდან და აკადემიებიდან, ეს გამოსვლა ქართულ ლიტერატურასთან დაკავშირებულ საკითხებზე პირველი შემთხვევა იყო და აუდიტორია დიდი ინტერესითა და კმაყოფილებით შეხვდა მას“. ინგლისელი ქართველოლოგი რუსთაველის საკმაოდ სრულ დახასიათებას იძლევა სხვა ნაშრომებშიც (ლ. მენაბდე).

დ. ლენგი გახლდათ ჩვენი ქვეყნის უცხოელი გულშემატკივარი, სწავლობდა ქართულ კულტურას, იმავდროულად საზღვარგარეთის კრებულებსა თუ უურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა საინტერესო რეცენზიებს, სტატიებს ქართველოლოგის საკით-

ხებთან დაკავშირებულ გამოკვლევებზე, აქტიურად თანამშრომალობდა „ბედი ქართლისაში“, ეხმაურებოდა ქართველი კოლეგების ნაშრომებს.

თავის მხრივ, ქართველი მეცნიერები: ალ. ბარამიძე, შ. ძიგური, გ. ჯიბლაძე ჯეროვნად აფასებდნენ ინგლისელი მეცნიერის ღვაწლს ქართველოლოგიაში, ცალკეული სტატიებითა თუ საგაზეთო წერილებით აცნობდნენ ქართველ მკითხველებს მის ქართველოლოგიური მემკვიდრეობას, რომელიც, ს. თურნავას თქმით, ქართულად არ არის თარგმნილი, საჭირო კია მათი დროული თარგმნაო.

ქართველოლოგიაში გაწეული დიდი ღვაწლისათვის **დევიდ ლენგი 1968 წელს აირჩიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად**.

დ. ლენგი მრავალი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა ლონდონის უნივერსიტეტში ქართული ენის კათედრას, ჰავავადა რამდენიმე მოწაფე — მომავალი ქართველოლოგები. კათედრა ამზადებდა კ. გამსახურდიას „დავით აღმაშენებლის“ ბრკარედულ თარგმანს... სამწუხაროდ, ლენგი მოულოდნელად გავიდა პენსიაში, ჩამოშორდა კიდეც აქტიურ მეცნიერულ-საზოგადოებრივ მოღვაწეობას (ამისი მიზეზი ოჯახური ტრაგედია გახდა: 1976 წელს უბედური შემთხვევით დაეღუპა ვაჟი. ამან სულიერად გაანადგურა მამა), თუმცა დარჩენენ მისი მიმდევრები, საქმის გამგრძელებლები: **სტივენ ჯონსონი, ჯონ რაიტი, რამაზ კლიმიაშვილი, თამარ დრაგაძე, დევიდ ბრაუნდი, რობერტ პარსონსი, რობერტ ტომპსონი, სტივენ ჯოუნსი, ლორდი ქოლინ რენფრიუ და სხვანი.**

## უცხრეთი

უნგრეთ-საქართველოს კულტურულ-ლიტერატურულ ურ-  
თიერთობას დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველწყაროებში შემო-  
ნახულია ცნობები ამ ორი ქვეყნის ხალხთა პოლიტიკური, რელი-  
გიური, დიპლომატიური თუ მეცნიერული ურთიერთდაინტერე-  
სების შესახებ.

უნგრელი ბერები და სწავლულები ყოველთვის ყურადღე-  
ბით იცქირებოდნენ კავკასიონის ქედის გადაღმა, სადაც ცხოვ-  
რობდნენ უძველესი კულტურის ქრისტიანები, რომელთა სიმ-  
დიდიდრეზე, კეთილშობილებასა და ვაჟკაცობაზე ლეგენდები და-  
დიოდა. ისინი მოგზაურობდნენ საქართველოში, აღნერდნენ  
ივერთა პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას, ზნე-ჩვე-  
ულებებს, ცდილობდნენ მშვიდობისმოყვარე ხალხთან დაახლო-  
ებას. ამ ასპექტით საყურადღებოა ჯერ კიდევ XII საუკუნეში ბე-  
რი იულიან დომინიკელის მიერ დაწერილი ნაშრომი: „მოგზა-  
ურობა კავკასიაში“.

პატერ რიკარდუსის ცნობით, 1235 წელს უნგრელი იუდია-  
ნუსი და მისი თანამგზავრები ყოფილან კავკასიაში, კერძოდ, იმ  
დროისათვის დიდად სახელგანთქმულ საქართველოში. მოგზაუ-  
რები თავიანთ მემუარებში წერენ ქართველთა ზნე-ჩვეულებების,  
გარეგნობისა და სილამაზის შესახებ (ლ. ტარდი).

შუა საუკუნეების უნგრულ ისტორიოგრაფიაში ჰიპოთეზაც  
კი წარმოიშვა უნგრელ-ქართველთა ნათესაობის შესახებ. მაგალი-  
თად, უნგრეთის მეფე მატიაშის (1458-1490) დროს არსებულა  
თვალსაზრისი, რომლის მიხედვით, უნგრელები და ქართველები  
ერთი წარმოშობის ხალხებად იყვნენ მიჩნეული. გარდა ამისა, უნ-  
გრელ პუმანისტთა მიერ შემუშავებულ იქნა ე.ნ. „სკვითური თეო-  
რია“, რომელიც უნგრელთა პირველსაცხოვრისად თვლიდა კავკა-  
სიას, კერძოდ კი – საქართველოს. უნგრელ და კავკასიელ ხალხებს  
შორის დადასტურებული ზოგიერთი მსგავსება (გარეგნობის,

## უნგრეთი

ადათ-წესების, ენის მხრივ) კვლავ ძალაში ტოვებდა ზემოაღნიშნულ თეორიას, თუმცა ამ ასპექტით ჭეშმარიტების დადგენა შემდგომი ხანის კვლევა-ძიებითაც ვერ მოხერხდა.

**შენიშვნა:** ცნობილი უნგრელი მეცნიერი ევგენი ზიჩი სერიოზულად ამტკიცებდა უნგრელ-ქართველთა ნათესაობას. ამ მიზნით მან XIX საუკუნის ბოლოს ოჯახერ მოაწყო სამეცნიერო ექსპედიცია საქართველოში, რომ შეესწავლა ადგილობრივი მოსახლეობის ისტორია, ყოფა-ცხოვრება, მოეკვლია ქართველთა და მადიართა ნათესაობის დამადასტურებელი არქეოლოგიური ნაშთები. უცხოელ სწავლულს გვარი ზიჩი მიაჩნდა ქართული ცი-ციშვილისაგან მომდინარედ (ზიჩებს თვლიდა ციციშვილების შთამომავლებად). ევგენი ზიჩი კიდეც სწვევია სტუმრად ქართლში ციციშვილებს, თქვენ უსათუოდ უნგრელები უნდა იყოთ ან მე ქართველი ვყოფილებორ იდესმერ“, უთქვამს მასპინძლებისათვის და ისინიც მიუწვევია თავის სამშობლოში.

ქართველ-უნგრელთა კულტურულ ურთიერთობაზე მეტყველებს აგრეთვე XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე ქართული სასტამბო შრიფტის შექმნაში უნგრელთა მონაწილეობა. როგორც ცნობილია, 1629 წელს იტალიაში მხედრული შრიფტით დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნი. ირკვევა, რომ ცოტა მოგვიანებით, XVII საუკუნის დასასრულს, საქართველოშიც დაბადებულა ქართული სტამბის დაარსების იდეა. ამიტომ იყო, რომ 1686 წელს მოსკოვში ჩასულ არჩილ მეფეს მაშინვე შეუკვეთია ამ-სტერდამში ქართული საბეჭდი შრიფტის დამზადება, რაც პირნათლად შეუსრულებია იქ მოღვაწე უნგრელ სახელგანთქმულ მესტამბეს **მიკლოშ კიში ტოტფალუშის** (1650-1702), მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ქართულ შრიფტს შემკვეთამდე დროულად ვერ მიუღწევია. ამის გამო არჩილ მეფის ძის - ალექსანდრე ბატონიშვილის თაოსნობით სტოკჰოლმში ხელახლა ჩამოუსხამთ ქართული შრიფტი, რომლითაც 1705 წელს მოსკოვში დაიბეჭდა ქართული წიგნი. მიკლოშ კიში ტოტფალუშის მიერ ჩამოსხმულ ქართულ მხედრულ შრიფტს მოგვიანებით მიაკვლიეს უნგრელმა მეცნიერებმა (გ. შარაძე).

ქართული ეროვნული სტამბის ერთ-ერთი მოამაგე იყო **მიკლოშ კიში ტოტფალუშის** – უნგროვლახელი (XVII საუკუნის მიწურუ-

## უნგრეთი

---

ლი – XVIII საუკუნის I მეოთხედი), მსოფლიოში ცნობილი მწიგნობრისა და მესტამპის **ანთიმოზ ივერიელის** ნამონაფარი.

**შენიშვნა:** ანთიმოზ ივერიელი (ანდრია ივერიძე – 1650-1717) – რუმინეთის საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწე, განმანათლებელი, პოლიგლოტი, მწერალი, მთავარი, მოქანდაკე, მესტამპე, ვლახეთის მიტროპოლიტი – ნარმობით ქართველი იყო. ოსმალების მიერ საქართველოდან გატაცებული ტყვე სტამბოლში გამოისყიდა იერუსალიმის პატრიარქმა. ქართველმა ჭაბუკმა პატრიარქის კარზე ბრნყინვალე განათლება მიიღო. საბოლოოდ იგი დამკვიდრდა რუმინეთში, სადაც თავისი მოღვაწეობით დიდი როლი შეასრულა სალიტერატურო ენის განვითარებისა და წიგნის ბეჭდვის საქმეში (1691 წელს ბუქარესტში გამართა სტამბა და დაბეჭდა პირველი წიგნი). სახელოვანმა მესტამპემ აღზარდა მრავალი მონაფე, რომელთაც დიდი დგანწილი დასდეს ეროვნული სტამპების შექმნას. სწორედ ანთიმოზ ივერიელმა გაავზავნა საქართველოში კულაზე კარგი მესტამპე მიხაი იშტვანოვიჩი (სტეფანე უნგროვლახელი), რითაც ერთხელ კიდევ გამოხატა თავისი დიდი სიყვარული სამშობლოსადმი. ანთიმოზ ივერიელი თავისი დროის უდიდესი მოღვაწე იყო. რუმინეთის მართლმადიდებლურმა უკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა და მის მოსახსენიებელ დღედ დააწესა 13 ივნისი.

1707 წელს მეფე ვახტანგ მეექვსემ ვლახეთიდან (ახლ. რუმინეთი) მოინვია მ. იშტვანოვიჩი. მან მეფის ხელშეწყობითა და ადგილობრივი ოსტატების მონაწილეობით 1708-1709 წლებში გამართა ქართული სტამბა და 1709 წელს დაბეჭდა პირველი წიგნები. ცოტა მოგვიანებით მანვე ჩამოასხა ნუსხური შრიფტიც. უნგროვლახელი თბილისიდან გაემგზავრა 1712 წელს.

XVIII საუკუნის უნგრულ პრესაში ხშირად იპეჭდებოდა კავკასიაში მოგზაურობის ჩანაწერები, საინტერესო ცნობები საქართველოს შესახებ, მაგრამ ლიტერატურული ხასიათის პირველ ქართველოლოგიურ ნაშრომებს მხოლოდ XIX საუკუნიდან ეცნობა უნგრელი მკითხველი. 1825 წელს უურნალში „ზემო უნგრა მინერვა“ გამოქვეყნდა უცნობი ქართველი თავადის ორი ლექსის პროზაული თარგმანი უნგრულად. უფრო მოგვიანებით ქართულ თემაზე დაინერა უნგრელი მწერლების კარიო სოტმარის, მორ იოკაის, ბერტალან ჩუდაკისა და სხვათა ნაწარმოებები, რომლებშიც გაცოცხლებულია ქართველი ხალხის გმირული ისტორია, მხატვრულადაა წარმოჩენილი კავკასიელთა

## უნგრეთი

ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. პერტა-ლან ჩუდაკი საქართველოს თაყვანის მცემელი იყო. მის ყურადღებას განსაკუთრებით იპყრობდა მთიელთა ცხოვრება, მათი მდიდარი პოეზია.

ამავე პერიოდის უნგრელ მოღვაწეთა შორის უნდა დავა-სახელოთ პოეტი **ანთალ ვერანიჩი**. სპეციალისტების აზრით, იგი იყო პირველი უნგრელი ისტორიოგრაფი, რომელიც ამიერ-კავკასიის ქვეყნებით დაინტერესდა და საქართველოსაც მიაქ-ცია ყურადღება. 1857-1875 წლებში გამოცემულ ნაშრომებში ავტორი მსჯელობს საქართველოს შესახებაც.

XIX საუკუნის დასასრულს უნგრეთში ქართული კულტუ-რის პოპულარიზაციას გარკვეულად შეუწყო ხელი უნგრელი მოგზაურების – **ევგენი ზიჩისა და მორ დეჩის** ჩანაწერებმა. უნგრულ და ფრანგულ ენებზე გამოქვეყნებულ წიგნებში ცნო-ბილი მეცნიერები სითბოთი და სიყვარულით მოუთხრობდნენ უცხოელ მკითხველს ქართველი ხალხის შესახებ, სათანადო შე-ფასებას აძლევდნენ ქართულ მითოლოგიასა და ზეპირსიტყვიე-რებას. მეორე მხრივ, საქართველოში მოპოვებული მასალებით მათ მნიშვნელოვნად გაამდიდრეს უნგრული არქეოლოგია.

უნგრეთში ქართული ენისა და ლიტერატურის მეცნიერუ-ლი შესწავლის საწყისად XX საუკუნეს თვლიან. უნგრელი ქარ-თველოლოგის ლაიოშ ტარდის სიტყვებით რომ ვთქვათ, მართა-ლია, შესანიშნავმა უნგრელმა ენათმეცნიერმა **პერნატ მუკა-ჩიმ** სიტყვათა შედარების დროს ქართული ენაც გამოიკვლია, მაგრამ მაინც უნგრული ქართველოლოგიის პიონერად ენათ-მეცნიერი ო. აშბოტი ითვლება.

**თსკარ აშბოტი** (1852-1920) — ბუდაპეშტის უნივერსი-ტეტის პროფესორი, სლავისტი კის კათედრის გამგე, სანკტ-პე-ტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრი – ქართული ენით დაინტერესებულა დაახლ. 1900 წლიდან და კიდეც დაუწყია მისი შესწავლა. ამ მხრივ მასზე უთუოდ მოახდენდა დადებით ზეგავ-ლენას პროფ. ალ. ხახანაშვილთან მეცნიერული კონტაქტები, პი-რადი მეგობრობა, საქმიანი მიმოწერა. გაზეთ „ივერიის“ (1902,

## **უნგრეთი**

---

15.12) ცნობით, აშბოტი მოსკოვში მცხოვრებ ქართველ კოლეგას სთხოვს, მას, „ამჟამად ამ ენით გატაცებულს“, აღმოუჩინოს დახმარება და გაუგზავნოს შემდეგი წიგნები: 1) დ. ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსული ლექსიკონი“; 2) გ. ნასიძის „Самоучитель грузинского языка“, 3) ი. გოგებაშვილის „დედაენა“ და „ბუნების კარი“; 4) დ. ჩუბინაშვილის „ქართული ენის გრამატიკა“.

ქართველოლოგიაში უნგრელი ენათმეცნიერის საქმიანობას მიეძღვნა ლაიონშ ტარდის სპეციალური ნარკვევი „ოსკარ აშბოტი“ (დაიბეჭდა ბუდაპეშტის პრესაში 1970 წელს). ირკვევა, რომ ო. აშბოტი შეუგროვებია მდიდარი ქართველოლოგიური მასალა (რომელიც შემდგომ განადგურებულა), საკმაოდ კარგად შეუსწავლია ახალი ენა და დაუწყია კვლევა ამ მიმართულებით, რაზედაც მეტყველებს ის ფაქტიც, რომ გერმანელ ქართველოლოგს, ადოლფ დირს, ო. აშბოტისათვის საკორექტუროდ გადაუცია თავისი ქართული გრამატიკის სახელმძღვანელო. ო. აშბოტს შესანიშნავად შეუსრულებია ეს საქმე, ადოლფ დირი წიგნის შესავალ ნაწილში მადლობით იხსენიებს უნგრელ კოლეგას და წერს: „ოსკარ აშბოტი სლავისტიკის გარდა კარგი ქართველოლოგიც არისო“.

**მიხაი ზიჩი (1827-1906)** იყო ცნობილი უნგრელი მხატვარი. მის სახელთან არის დაკავშირებული უნგრულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის შემდგომი განვითარება. იგი დაიბადა უნგრელი დიდგვაროვნის ოჯახში. უმაღლესი იურიდიული განათლება მიიღო ბუდაპეშტში. 1843 წელს გადავიდა ვენაში სწავლის გასაგრძელებლად, მაგრამ იქ აღარ გაჰყევა დედის მიერ არჩეულ პროფესიას და გახდა სამხატვრო აკადემიის პროფესორის – ფერდინანდ გეორგ ვალდემიულერის მონაცე.

მ. ზიჩიმ მალე მოიხვეჭა მსოფლიოში სახელგანთქმული მხატვრის სახელი. იგი 1847 წლიდან პეტერბურგში ცხოვრობდა. 1858 წელს რუსეთის სამხატვრო აკადემიამ მ. ზიჩის აკადემიკოსის წოდება მიანიჭა.

XIX საუკუნის 80-იან წლებში ქართველმა ინტელიგენციამ გადაწყვიტა დაებეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ ახალი, მდიდრული,

## უნგრეთი

დასურათებული გამოცემა. 1881 წელს საქართველოში მოიწვიეს მიხაი ზიჩი შოთას უკვდავი პოემის ილუსტრაციების დასამზადებლად.

მ. ზიჩიმ სიხარულითა და პატივით მიიღო ეს მოწვევა და გატაცებით შეუდგა მუშაობას. პირველ ყოვლისა, იგი ახლოს გაეცნო საქართველოს ისტორიას, კულტურას, ლიტერატურას. ქართველებიც ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს მხატვარს პოემის შინაარსის სრულყოფილად ჩაწვდომაში, მთელი წიგნი საგანგებოდ უთარგმნეს რუსულად.

რამდენიმე წლის გულმოდგინე მუშაობის შემდეგ მზად იყო 34 ილუსტრაცია (შეუკვეთეს მხოლოდ 14), მადლიერებით აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მხატვარმა არა მარტო უარი თქვა კუთვნილ ჰონორარზე, არამედ თვითონვე იკისრა ამ ილუსტრაციების დაბეჭდვა ვენაში.

**1888** წელს თბილისში დაისტამპა „ვეფხისტყაოსნის“ ქართველიშვილისეული გამოცემა, დამშვენებული მ. ზიჩის ილუსტრაციებით, რომელთაც მაღალი შეფასება მისცეს ი. ჭავჭაძემ, აკ. წერეთელმა, რ. ერისთავმა, ივ. მაჩაბელმა და სხვებმა.

გარდა ამისა, მ. ზიჩის დიდი დამსახურება მიუძღვის „ვეფხისტყაოსნის“ უნგრულ ენაზე გადათარგმნაშიც. იგი მოხიბლული იყო რუსთაველის უკვდავი პოემის ზოგადსაკაცობრიო იდეალებით და ოცნებობდა, ეხილა თავის მშობლიურ ენაზე ამეტყველებული „ვეფხისტყაოსანი“ (XIX საუკუნის დასასრულისათვის „ვეფხისტყაოსანს“ ევროპაში ნაკლებად იცნობდნენ. ამ დროისათვის ასახელებენ მხოლოდ მ. ბროსეს<sup>1</sup> ფრანგულსა და კ. ლაფრინსკის პოლონურ თარგმანებს). სწორედ მისი შთაგონებითა და დაუინებული თხოვნით შეიქმნა ქართული პოემის პირველი უნგრული თარგმანი.

საქართველო დიდად აფასებდა და პატივს სცემდა სახელოვან მხატვარს, ჭეშმარიტ მეგობარს – მ. ზიჩის. თავის მხრივ, ქართველთა გულწრფელი სიყვარულით გარემოცული ხელოვა-

<sup>1</sup> მ. ბროსემ თარგმანა მხოლოდ პოემის ნაწყვეტები.

## **უნგრეთი**

---

ნი საქვეყნოდ აღნიშნავდა: „თუკი ვინმე ქართველებს სამსახურს გაუწევს, ისინი ყოველთვის მზად არიან, გადაუსადონ მას ეს სამსახური, რითაც კი ძალა შესწევთ. თუმცა ამას აკეთებენ უნაზესი მეგობრული გრძნობით, მოკლედ, ძალიან კარგი ხალხია ქართველები.“

მ. ზიჩი იქცა ქართულ-უნგრული კულტურული ურთიერთობის ერთ-ერთ მტკიცე ბურჯად. მისი სახელი განუყრელად დაუკავშირდა შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“, რომელსაც მხატვარი „ქართველთა ბიბლიას“ უწოდებდა.

უნგრელ ხელოვანს ქართველი ხალხი ასკეცი სიყვარულით უხდის ფასდაუდებელ ამაგს. ამ სიყვარულის ერთ-ერთი ჭეშმარიტი გამოხატულება იყო 1977 წელს მ. ზიჩის დაბადების 150-ე წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე თბილისში.

ალსრულდა დიდი მხატვრის სიტყვები: „თავს არ ვიქებ, მაგრამ მგონია, რომ იქ, კავკასიაში, დავტოვე კეთილი ხსოვნა ჩემს სახელზე, ჩემს ერზე.“

**გელა ვიკარი** (1859-1945) – მწერალი, მთარგმნელი, ფოლკლორისტი, მეცნიერი, აკადემიკოსი – უნგრეთის ქართველოლოგიური სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია.

პოლიგლოტის ოჯახში აღზრდილი ბ. ვიკარი ახალგაზრდობიდანვე განსაკუთრებით გაიტაცა ხალხურმა პოეზიამ. გახდა სახელგანთქმული ფოლკლორისტი, სტენოგრაფიულად ჩაუწერია 7000-ზე მეტი ხალხური ლექსი.

**1901** წელს პარიზის მსოფლიო გამოფენაზე ხალხური ლექსებისა და სიმღერების ჩანაწერებისათვის ბ. ვიკარი ოქროს მედლითა და სიგელით დააჯილდოვეს. მას, როგორც ფოლკლორისტს, დიდი პოპულარობა მოუპოვა აგრეთვე **1906** წელს გამოცემულმა წიგნმა „ხალხური პოეზიის საიდუმლოება“.

დიდია ბ. ვიკარის დამსახურება ქართული კულტურის ისტორიაში. უნგრულ ენაზე მან პირველმა პოეტურად აამეტყველა შოთას უკვდავი პოემა, რომელსაც გაეცნო მ. ზიჩის მემვეობით. იგი ძალიან მოხიბლა მ. ზიჩის ილუსტრაციებით დასურა-

## უნგრეთი

თებულმა, მდიდრულად გამოცემულმა წიგნმა, რომელიც დაწერილი იყო მისთვის სრულიად უცნობ ენაზე.

ქართველ ხალხსა და მის მდიდარ ლიტერატურაზე შეყვარებულმა მ. ზიჩიმ შთამბეჭდავად მოუთხრო პ. ვიკარს პოემის სიუჟეტი, ზოგადად გააცნო მისი ლიტერატურული ღირებულება და პოეტური სრულყოფილება (მომხიბვლელობა) და თან დაბეჯითებით სთხოვა, ეთარგმნა იგი უნგრულ ენაზე, ეტყირთა რთული, მაგრამ მეტად საპატიო საქმე, რადგან, მისი სიტყვით, „ვეფხისტყაოსანი“ ჭეშმარიტად ღირსია ევროპული ლიტერატურის საგანძურში შესვლისაო.

მართლაც, მ. ზიჩის შთაგონებით, პ. ვიკარმა გადაწყვიტა „ვეფხისტყაოსანის“ თარგმნა. ამიტომ 1909 წლიდან (უკვე 50 წელს გადაცილებულმა) გულმოდგინედ დაიწყო ქართული ენის შესწავლა ოსკარ აშბოტის წინასიტყვაობით გამოცემული ადოლფ დირის გრამატიკით.

მეცადინეობამ გარკვეული შედეგი გამოიღო და პ. ვიკარი ერთგვარი თვითდაჯერებით შეუდგა პოემის კითხვა-დამუშავებას, მაგრამ ერთი-ორი სიტყვის მეტი ვერაფერი გაიგო. იგი მალე დარწმუნდა, რომ ქართული ენა არ ჰგავდა არც ერთ მისთვის მანამდე ცნობილ ევროპულ ენას: „ჩემი წინა მეცადინეობის საფუძველზე დავასკვენი, რომ მე რუსთაველის ძველი ენა კი არა, რომელზეც XII საუკუნეში საუბრობდნენ, არამედ ახალი ქართული ვისწავლე. ის კი მე ნაკლებად გამომადგებოდა პოემის თარგმნისათვის. ჩემთვის აუცილებელი იყო ძველი ქართული ენის კარგი ცოდნა.“

აშკარა იყო, რომ პ. ვიკარი მაშინ ვერ შეძლებდა პოემის დამოუკიდებლად თარგმნას, ამიტომ საკუთარი ხარჯით საქართველოდან უნგრეთში მიიწვია კონსულტანტად ქართული პოეზის საუკეთესო მცოდნე ესპერანტისტი გიორგი ცისკარაული (წიკლაური), უფრო მოგვიანებით – გრ. ნერეთელი და დ. თოლორაია. პოემის ტექსტის გასაგებად მთარგმნელი პირველად იყენებდა ესპერანტოს, შემდეგ კი – გერმანულს, რომელსაც კარგად ფლობდა გრ. ნერეთელი. ასეთ პირობებში უნგრელი

## უნგრეთი

მეცნიერი წლების მანძილზე სწავლობდა ქართულ ენას, ეცნობოდა საქართველოს ისტორიას, გეოგრაფიას, ხალხის ზნე-ჩვეულებებს, მდიდარ ფოლკლორსა და ლიტერატურას.

პოემის თარგმანზე დაძაბულ მუშაობაში ბ. ვიკარს მხნეობასა და ძალას ჰმატებდა რუსთაველის პოეზიის სიღიადე. მთარგმნელის სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი დასაწყისშივე დარწმუნდა, რომ ზიჩი მართალი იყო. ეს დიდი ნაწარმოები ღირსია თარგმნისა. რუსთაველი მსოფლიო გენიოსია, რომელსაც ბადალი არა ჰყავს, მის ეპოქაში მხოლოდ აღმოსავლეთს შეეძლო წარმოეშვა ასეთი მაღალი კულტურისა და ხელოვნების ადამიანი. აღსანიშნავია ისიც, რომ ბ. ვიკარი „ვეფხისტყაოსანზე“ მუშაობისას ითვალისწინებდა ცნობილი ქართველოლოგის, ჰუგო შუხარდტის, საგულისხმო კონსულტაციებს.

1912 წელს ბ. ვიკარმა ბუდაპეშტში გამოაქვეყნა ვრცელი წერილი სათაურით: „ქართველი პოეტი შ. რუსთაველი და მისი ნაწარმოები“, ხოლო 1917 წელს დაბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ სრული პოეტური თარგმანი. წიგნში ჩართულია მ. ზიჩის 26 ილუსტრაცია, გარეკანზე გამოყენებულია ქართველიშვილის ეული გამოცემის ყდის მხატვრობა.

ბ. ვიკარის ამ თარგმანს დიდი გამოხმაურება მოჰყვა საზღვარგარეთ. დაიწერა მრავალი რეცენზია, რომლებშიც მთარგმნელის წინასიტყვაობაზე დაყრდნობით საკმაო სისრულით იყო წარმოდგენილი ცნობები რუსთაველზე, საქართველოზე.

ბ. ვიკარის ღვაწლს რუსთაველოლოგიაში უნგრელი მწერალი მ. იშტვანვიჩი ასე აფასებდა: „ჩვენთვის საამაყოა, რომ რუსთაველის ფასი ერთ-ერთმა პირველთაგანმა შეიცნო ბ. ვიკარმა და არა მარტო შეიცნო, არამედ თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი წანილი უძლვნა ქართველოლოგიურ კვლევას. ამ კვლევის მწვერვალს წარმოადგენს უნგრულ ენაზე ამეტყველებული რუსთაველის ქმნილება.“

„ვეფხისტყაოსნის“ გარდა, ბ. ვიკარს ქართულიდან უნგრულად უთარგმნია ი. ჭავჭავაძის „კაკო ყაჩალი“, აკ. წერეთ-

ლის „დამურა“, ნ. ბარათაშვილის „მერანი“, ვაჟა-ფშაველასა და რ. ერისთავის ლექსები.

ბ. ვიკარი მრავალმხრივი შემოქმედი იყო. იგი ენეოდა ენათმეცნიერულ საქმიანობასაც – იკვლევდა ქართული ენის გრამატიკისა და ლექსიკოგრაფიის საკითხებს. მეცნიერის პირად არქივში აღმოჩნდა ავტორის მიერ შედგენილი ხელნაწერი „ქართულ-მეგრულ-სვანური ლექსიკონი“ (მასში ალაგ-ალაგ მოცემულია აფხაზურ-ოსური შესატყვისებებიც). იგი დათარიღებულია 1916 წლით, მიჩნეულია ქართველურ ენათა დიალექტოლოგიური პარალელური ლექსიკონის შედგენის პირველ ცდად (გ. შარაძე).

არქივში დაცული ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ ბ. ვიკარი ენათმეცნიერული თვალსაზრისით საგანგებოდ მუშაობდა ეგერის სამხედრო ტყვეთა ბანაკში. იქ მყოფი კავკასიელებისა-გან პრატიკულად ეუფლებოდა სასაუბრო მეტყველებას – ქართულს, მეგრულს, სვანურს, ოსურს და თან თეორიულად იკვლევდა მათ უნგრული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნებისა და ნათესაობის გასარკვევად.

XX საუკუნის 40-50 –იანი წლებიდან ბუდაპეშტში შეიქმნა მძლავრი ქართველოლოგიური ცენტრი, რომელიც მსოფლიოში ცნობილია თავისი მრავალფეროვანი შემოქმედებითი მოღვაწეობით. უნგრელ ქართველოლოგთა საკვლევაძიებო სფერო მოიცავს ქართული კულტურის სხვადასხვა დარგს: ისტორიას, ენასა და ლიტერატურას, ფოლკლორს, ეთნოგრაფიას, ხელოვნების ისტორიას და ა.შ. მიაჩნიათ, რომ ქართული კულტურის საკითხების ასეთი კომპლექსური კვლევა საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებში იშვიათია (გ. შარაძე).

**ლაიოზ ტარდი (1914-1990)** უნგრეთის ქართველოლოგიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი იყო სახელგანთქმული ისტორიკოსი, მწერალი, მთარგმნელი, უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობის შესანიშნავი მკვლევარი. დაიბადა ბუდაპეშტში, ინტელიგენტის ოჯახში. 1932 წელს დაამთავრა კლასიკური გიმნაზია, 1936 წელს – ბუდაპეშტის პეტერ

## უნგრეთი

---

პაზმნის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 1963 წელს კი – ფილოლოგის ფაკულტეტი.

1937 წლიდან ლ. ტარდი იწყებს სამხედრო სამსახურს. ერთხანს იგი მუშაობდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში მრჩევლის თანამდებობაზე. 50-იან წლებში მრავალ სხვა ინტელიგენტთან ერთად ლ. ტარდიც გახდა რაკოშის სისტემის მსხვერპლი. იგი რამდენიმე წელი საპატიმროში მოათავსეს. 1957 წლიდან ბუდაპეშტის სეჩენის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკის მეცნიერ-თანამშრომელია, შემდეგ – სახელმწიფო მთარგმნელობითი დეპარტამენტის დირექტორი.

ჩვენი ქვეყნისადმი ინტერესი ლ. ტარდის გასჩენია ჯერ კიდევ ჭაბუკობის წლებში, როცა ერთ-ერთ ძეველ უნგრულ უურნალში ამოუკითხავს, რომ თავისი ისტორიული წარსულით უნგრეთს შეიძლება შეედაროს მხოლოდ საქართველო – თავისუფლებისმოყვარე ხალხის ქვეყანა. აქედან მოყოლებული, ლ. ტარდი გულმოდგინედ კრებდა საქართველოსთან დაკავშირებულ ცნობებს. ამ მხრივ მეტად ფასეული აღმოჩნდა მისთვის **XIX საუკუნის უნგრულ მხატვრულ ლიტერატურაში დამკვიდრებული ქართული თემა**. მართლაც, ლანგოშ ტინოდის ლექსი „მედეა“, ანდრაშ დუგონიჩის რომანი „ოქროს საწმისის რაინდები“, მორ იოვაის რომანი „რიუმინი“, კარიო სოტმარის ისტორიული რომანი „საქართველოს უკანასკნელი დედოფალი“ და სხვანი საინტერესოდ აღწერდნენ საქართველოს ისტორიულ წარსულს, მის უმშვენიერეს ბუნებასა და ხალხის ზნე-ჩვეულებებს; უნგრელ მკითხველს მხატვრული ოსტატობით მოუთხრობდნენ კოლხი ქალის მედეასა და ბერძენი იაზონის შესახებ.

1964 წელს ლ. ტარდი გახდა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი. მისი დისერტაცია მიეძღვნა პეტერბურგის უნივერსიტეტის პირველ რექტორს, წარმოშობით უნგრელს – მიხაი ბალუძიანსკის. 60-იანი წლებიდან იგი მეცნიერის თვალით დაინტერესდა უნგრულ-ქართული ურთიერთობით. ამ მიზნით მუშაობდა რომის, მილანის, ფლორენციის, ვენის, პარიზისა და სხვა ქალაქების ბიბლიოთეკებსა და არქივებში, აგროვებდა სა-

## უნგრეთი

თანადო ისტორიულ წყაროებს ევროპის ქვეყნებში. საზღვარგარეთ მიკვლეულმა მასალებმა ლ. ტარდი დაარჩნმუნა, რომ აუცილებელი იყო მათი დაზუსტება და შემოწმება-შეჯერება საქართველოში. მართლაც, უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის მივლინებით იგი საქართველოში ჩამოვიდა, ახლოს გაიცნო ქართველი ხალხი და მისი კულტურა. პარალელურად ნ. აბესაძის ხელმძღვანელობით სწავლობდა ქართულ ენას, აინტერესებდა არა მარტო სასაუბრო ქართული, არამედ ენის ისტორია და სტილისტიკის საკითხები. ქართულის მასწავლებლის თქმით, „ტარდის აოცებდა ქართული ენის ბუნება. განსაკუთრებით მოხიბლული იყო ზრდილობიანი გამოხატვის ფორმებით.“

ხანგრძლივი კვლევის შედეგად დაინერა ლ. ტარდის სადოქტორო დისერტაცია თემაზე „შუაევროპული საზოგადოებრივი აზრი საქართველოზე და საქართველო-უნგრეთის ურთიერთობა XVI საუკუნეში“, რომელიც ავტორმა დაიცვა თბილისში 1973 წელს (აქვე დაბეჭდა წიგნად 1980 წელს). სპეციალისტებმა დისერტაციას მაღალი შეფასება მისცეს. ნაშრომის ძირითადი დასკვნა ასეთი იყო: თუ XVI საუკუნემდე ევროპაში საქართველოზე, როგორც შორეულ და იდუმალებით მოცულ ქვეყანაზე, ჰქონდათ ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა, XVI საუკუნიდან შუაევროპის საზოგადოებრივ აზროვნებაში მოხდა ძირეული გარდატეხა — ამ საუკუნის დასასრულისათვის საქართველოს თვლიდნენ ერთ-ერთ მძლავრ და ღირსეულ მოკავშირედ ოსმალების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში. ოპონენტების აზრით, დისერტაციის ეს დასკვნა სრულიად ახალი სიტყვა იყო ისტორიოგრაფიაში. ერთ-ერთი ოპონენტის – პროფ. ზ. ანჩაბაძის შეფასებით, ლ. ტარდის დისერტაციას მრავალი დადებითი ღირსება გააჩნია, „მდიდარია მისი წყაროთმცოდნეობითი ბაზა – პირველწყაროების გამოსავლენად ავტორს გაუწევია უდიდესი შრომატევადი სამუშაო ევროპის არქივებსა და ბიბლიოთეკებში, რის საფუძველზედაც გამოუვლენია უძვირფასესი მასალები საქართველოს ისტორიისათვის, რომლებიც დღემდე უცნობი და ხელმიუნვდომელი იყო მკვლევარებისათვის.“

## უნგრეთი

---

ლ. ტარდის მეცნიერულ მემკვიდრეობაში მეტად აქტუალური პრობლემაა უნგრელ-ქართველთა ნათესაობის საკითხი. მკვლევარმა არაერთი ნაშრომი მიუძღვნა წინამორბედ უნგრელ მოგზაურთა ჩანაწერების შეკრება-შესწავლას, რითაც ქართულ-უნგრული ურთიერთობის მრავალი საინტერესო ფაქტი მისაწვდომი გახადა თანამედროვე მკითხველისათვის.

1977 წლიდან ლ. ტარდი, ქ. სეგედის ატილა იოჟეფის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი, კითხულობდა ლექციებს აღმოსავლეთის ხალხების (მათ შორის ქართველების) ცივილიზაციის ისტორიაში, 1980-1981 წლებში მიჰყავდა სპეციურსი „კავკასიის სახელმწიფოთა, კერძოდ, საქართველოს შუა საუკუნეების ისტორია“. მასვე ეკუთვნის ქართულ თემაზე **1962 წელს** დაწერილი **ისტორიული რომანი „იაკუბ ბეი“**, რომელიც ერეკლე მეორის ეპოქას ეძღვნება (წიგნი 1971 წელს დასტამბა გამომცემლობა „ნაკადულმა“. ქართულად თარგმნეს მ. ქართველიშვილმა და ო. კაპოშიმ). ნაწარმოებში გადმოცემულია XVIII საუკუნის 70-80-იანი წლების საქართველოსა და მისი სამხრეთელი მეზობელი ქვეყნების მდგომარეობის ამსახველი სურათები. ეპილოგით ირკვევა, რომ ამ რომანის შექმნისას ავტორს უხელმძღვანელია უნგრელი მოგზაურის, ექიმ-გეოლოგის **იაკობ იანოშ რეინეგსის** ხელნაწერებით.

ისტორიულად ცნობილია, რომ 1778-1782 წლებში ერეკლე მეორის კარზე ცხოვრობდა უნგრელი მწერალი, ისტორიკოსი, კომერსანტი, ექიმი იაკობ რეინეგსი. იგი გასცნობია საქართველოს, მოხიბლულა მისი ბუნების სიმშვერითა და ხალხის კეთილშობილებით. სწორედ ეს შთაბეჭდილებანი ზღაპრული ქვეყნის შესახებ სათანადოდ გამოუყენებია ლ. ტარდის თავისი რომანისათვის, რომელიც, თავის მხრივ, უნგრულ-ქართული კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის კიდევ ერთი ნათელი და-დასტურებაა. რომანი „იაკუბ ბეი“ გულთბილად მიიღო ქართველმა მკითხველმა, რამეთუ წიგნის ყოველი სტრიქონი გაჯერებულია ავტორის დიდი სიყვარულით საქართველოსადმი.

## უნგრეთი

1987 წელს ლ. ტარდი კვლავ ეწვია საქართველოს. იგი ი. ჭავჭავაძის დაბადების 150-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილე ზეიმის აქტიური მონაწილე გახლდათ. უნგრელი მეცნიერი დიდ შეფასებას აძლევდა ი. ჭავჭავაძის შემოქმედებას, მის ლვანლს ქართველი ერის ისტორიაში.

საქართველოსადმი, მისი სასიქადულო მამულიშვილებისადმი დამოკიდებულება და სიმპათია გამჟღავნებული ლ. ტარდის წიგნში „კავკასიურ-უნგრული სარკე“ (1988), რომელიც ავტორს მიუძღვნია ი. ჭავჭავაძის დაბადების 150-ე წლისთავისადმი (და ეს წიგნზე ქართულადაც წაუწერია). წიგნის ანოტაციაში შთამბეჭდავადაა დახასიათებული საქართველოს თვალწარმტაცი ბუნება, ჩვენი ხალხი: „ეს ის ხალხია, რომლის დიდებული და ბუნებრივი სილამაზით შემკული მდიდარი სამშობლო შეიძლება მიგვეჩნია ერთ დროს მომთაბარე უნგრელების დროებითი შეჩერებისა და შესვენების ადგილად, ვიდრე თავიანთ სამშობლოში, უნგრეთში, საბოლოოდ გადავიდოდნენ და დამკვიდრდებოდნენ.“ შემდეგ მკითხველის თვალწინ ცოცხლდება საქართველოს ისტორიის ძნელებების ჟამი, მაშინდელი დიპლომატების, მოგზაურების საქმიანობანი, განხილულია უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხები. საგულისხმოა, რომ წიგნისათვის გამოყენებულია საქართველოს შესახებ არსებული ისტორიული დოკუმენტები, ახალი საარქივო მასალები და წყაროები.

დასასრულ, ლ. ტარდის მდიდარ ქართველოლოგიურ ნაღვანთა შორის უნდა დავასახელოთ ლინგვისტებისათვის განსაკუთრებით ფასეული ნარკვევი „პირველი უნგრელი ქართველოლოგი ოსკარ აშპოტი“ და დიორდ რადოსთან ერთად დაწერილი სტატია „საქართველო უნგრელთა თვალით“. ამ უკანასკნელში პირველადაა თავმოყრილი ცნობები იმ უნგრელთა შესახებ, რომლებიც ჩამოდიოდნენ საქართველოში წინაპართა თავდაპირველი საცხოვრისის საძიებლად.

1963 წელს ლ. ტარდისა და დიორდ რადოს ავტორობით გამოიცა წიგნი „იანოშ ბეშეს მოგზაურობა“. იანოშ ბეშე უნ-

## უნგრეთი

გრელ მოგზაურთა შორის ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელ-მაც XIX საუკუნის დასაწყისში მრავალი საინტერესო ჩანაწერი დატოვა საქართველოს შესახებ. იგი ღრმა პატივისცემით მოიხ-სენიებს ქართველი ხალხის კულტურულ-ისტორიულ მემკვიდ-რეობას: „ქართველები ნამდვილად ღირსნი არიან, რომ მათ უფ-რო ახლო გაეცნონ, დააფასონ მათი ცოდნა და გამოცდილება მეცნიერების სხვადასხვა დარგში, ხელოვნებაში. ეს შრომის-მიყვარე ხალხი შესანიშნავად ამუშავებს მიწას, დიდი სიყვარუ-ლით უვლის ვაზს და აყენებს საუცხოო ლინოს.“

მართალია, ლ. ტარდის ინტერესების სფეროს ძირითადად ისტორია წარმოადგენდა, მაგრამ მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა უნგრულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის კვლევაში, შეისწავლა და გამოავლინა ამ ორი ხალხის ლიტერა-ტურული ურთიერთობის ამსახველი მრავალი ახალი მასალა, რომელიც სამეცნიერო ბრუნვაში მის მიერ იქნა შემოტანილი. მაგალითად, მან გამოავლინა „**სიბრძნე ბალავარისას**“ უნგრუ-ლი თარგმანი, რომელიც 1830 წელს გამოქვეყნდა. იგი მიჩნეუ-ლია პირველ უნგრულ თარგმანად ქართული ენიდან.

1988 წელს ლ. ტარდის თაოსნობით უნგრეთში შეიქმნა რუსთაველის საზოგადოების ასოციაცია – პირველი საზ-ღვარგარეთის ასოციაცია ევროპის ცენტრში. ლ. ტარდი გახდა ამ საზოგადოების პრეზიდენტი.

ლ. ტარდი იყო ქართული კულტურის უაღრესად დიდი პა-ტივისმცემელი. „საქართველოსადმი ჭაბუკობის წლებში ჩანერ-გილი სიყვარული მას სიცოცხლის ბოლომდე არ განელებია“. იგი გახდა საქართველოს უანგარო მეგობარი, მისი კულტურის დაუ-დალავი მკვლევარ-პოპულარიზატორი (ამის უტყუარი დასტუ-რია უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხებზე დაწე-რილი უამრავი ნაშრომი, სპეციალური წიგნი „**მოგონებები**“ (1986) და ა.შ.) და, რაც მთავარია, უნგრეთში მრავალი ახალგაზ-რდა ქართველობის აღმზრდელი.

ჩვენი ქვეყნისადმი ლ. ტარდის - „ქართული სულის“ ადა-მიანის — უანგარო სიყვარულზე მეტყველებდა ბუდაპეშტში მი-

სი საცხოვრებელი სახლიც, რომლის კარიც მუდამ ღია იყო საქართველოდან ჩასული ყველა სტუმრისათვის. ამ სტუმართმოყვარე ოჯახმა ბევრ ქართველ ახალგაზრდა მკვლევარს გაუწოდა დახმარების ხელი უნგრეთში მუშაობის დროს (რ. ხუციშვილი).

უნგრელი მეცნიერის მდიდარ ბიბლიოთეკაში ინახება უნიკალური ქართული ლიტერატურა (როგორც მხატვრული, ისე სპეციალური). მის ბინაში მოწყობილ ქართულ მუზეუმში გამოფენილია ნაბადი, კახური და სვანური ქუდები, ქართული ჩოხა და სატევარი, კერამიკული ჭედურობა, ხალიჩები, დროშები, ყანწები, მუსიკალური ინსტრუმენტები და ა.შ. საგულისხმოა ისიც, რომ გ. შარაძის თქმით, ლ. ტარდის განზრახული ჰქონია თავისი პირადი უმდიდრესი ქართველოლოგიური არქივი გადაეცა საჩუქრად ქართველი ხალხისათვის, რომლის კულტურის შესწავლასაც უანგაროდ ემსახურებოდა წლების მანძილზე.

ლ. ტარდი იყო შესანიშნავი პიროვნება, კეთილშობილი ადამიანი, დიდად განსახლებული, რომელსაც ბუდაპეშტში სიყვარულით ეძახდნენ „ფეხით მოსიარულე ენციკლოპედიას“, მეგობრები კი „ნიგნის ჭიას“ უწოდებდნენ.

კლასიკური განათლების მქონე მკვლევარი თავისუფლად ფლობდა **ლათინურ, გერმანულ, იტალიურ, ინგლისურ, რუსულ** ენებს; საკმარისად კარგად იყენებდა **ფრანგულს, ესპანურსა და ქართულს.**

ლ. ტარდი იყო მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი, ისტორიკოსი, უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთ-მცოდნეობითი კომისიის, უნგრეთის ორიენტალისტთა საზოგადოების გამგეობისა და პარიზის სააზიო საზოგადოების წევრი, უურნალ „ბედი ქართლისას“ აქტიური თანამშრომელი და სარედაქციო კოლეგიის წევრი.

**მარტონ იშტვანოვიჩი (1929-1991)** — ფოლკლორისტი და მთარგმნელი — ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობით გამოირჩეოდა უნგრელ ქართველოლოგთა შორის. იგი ჯერ კიდევ სტუდენტობისას გასცნობია მიხაი ზიჩის ილუსტრირე-

## უნგრეთი

---

ბულ „ვეფხისტყაოსანს“ და იმდენად მოსწონებია, რომ მაშინვე გადაუწყვეტია შეესწავლა რუსთაველის ენა, ქართველი ხალხის ლიტერატურული მემკვიდრეობა (მწერლობა, ზეპირსიტყვიერება), საქართველოს ისტორია, ეთნოგრაფია და არქეოლოგია.

აკადემიკოს დიულა ორტუტაის<sup>1</sup> სათანადო დახმარებითა და თანადგომით ჭაბუკის ეს ჩანაფიქრი მაღე რეალობად იქცა — 1955 წელს სრულიად ახალგაზრდა მარტონ იშტვანოვიჩი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში ფოლკლორის განხრით და დაინყო მეცადინეობა პროფ. ქს. სიხარულიძის ხელმძღვანელობით.

მ. იშტვანოვიჩი მეცნიერულ ძიებასთან ერთად განსაკუთრებული გულმოდგინებით სწავლობდა ქართულ ენას ჭ. თევზაძის დახმარებით. მას ახლოს იცნობდნენ და კონსულტაციებს უწევდნენ აგრეთვე ცნობილი ქართველი მწერლები, მეცნიერები: კ. კეკელიძე, ა. შანიძე, გ. ჩიტაია, ალ. ბარამიძე, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, გ. ლეონიძე და სხვები.

თბილისში ყოფნის პერიოდში მ. იშტვანოვიჩმა თარგმნა ქართული ზღაპრები უნგრულ ენაზე და გამოსცა 1958 წელს სათაურით „მეცე და ტოროლა“: უფრო მოგვიანებით თარგმნა „შუშანიკის წამება“, სულხან-საბა თრბელიანის, აკ. წერეთლის, გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის თხზულებები, რომელთაც საყოველთაო მოწონება დაიმსახურეს.

1959 წელს მ. იშტვანოვიჩმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართულ ენაზე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „სქესის მეტამორფოზის სიუჟეტიანი ზღაპრის ქართული ლოკალური რედაქციის გენეზისის პრობლემა“.

სამშობლოში დაბრუნებულმა მკვლევარმა მოღვაწეობა დაინყო ბუდაპეშტის უნივერსიტეტში, კითხულობდა საჯარო

<sup>1</sup> დიულა ორტუტაის საქართველოში 1948 წელს უმოგზაურია, როგორც უნგრელ მოღვაწეთა დელეგაციის ხელმძღვანელს. აქ პირადად გასცნობია ქართველ ხალხს, მის მდიდარ კულტურას. იგი მთელი ცხოვრების მანძილზე ხელს უწყობდა უნგრულ-ქართული ურთიერთობის განვითარებას.

ლექციებს ქართული კულტურის შესახებ, ასწავლიდა ქართულ ენას, პარალელურად უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტში ხელმძღვანელობდა ფოლკლორის განყოფილებას.

1965 წელს მ. იშტვანოვიჩი კვლავ ეწვია საქართველოს შემოქმედებითი მივლინებით. ამჯერად მას განსაკუთრებით აინტერესებდა ქართული ბალადა, რომელიც მაღალ გახდა მისი სადაცეტორო დისერტაციის თემა. იგი ინტერესით იკვლევდა ამირანის ეპოსს.

1971 წლიდან მ. იშტვანოვიჩი სტუდენტებს უკითხავდა ქართული ფოლკლორის კურსსა და სპეცკურსს — „ქართული ფილოლოგიის შესავალს“ ორ ნაწილად (ქართული ენის საფუძვლები, ქართული საისტორიო მწერლობა).

მ. იშტვანოვიჩი იყო საქართველოს მეგობარი, მისი კულტურის თაყვანისმცემელი და მოამაგე. ამიტომაც 1991 წელს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოება და საქართველო-უნგრეთის ურთიერთობათა ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუნიებოდა გამოჩენილი უნგრელი ქართველოლოგის მ. იშტვანოვიჩის გარდაცვალებას.

\* \* \*

უნგრეთში წლითიწლობით იზრდება საქართველოს ისტორიის, ენისა და ლიტერატურის, საერთოდ, ქართული კულტურის შესწავლით დაინტერესებულთა რიცხვი. მათ შორის არიან: ერუებეტ ტომპოში, კარლ გამბოში, შანდორ ვერეში, უჟარაბი, რობერტ დანი, ილონა ბერკოვიჩი, მარგიტ ბირო, ლაიონშ ტაკაში, იშტვან ვინცე, ანდრაშ კომლოში, პაინალკა ბაბი-რაქი და სხვანი. მათი საქმიანობის გამოწვლილვითი შესწავლა ახალ საინტერესო ფურცლებს ჩაწერს უნგრეთის ქართველოლოგიის ისტორიაში.

## პოლონეთი

პოლონეთში ქართველოლოგიური კვლევის საწყისად მიჩნეულია 1830 წელი, როცა კ. რდულტოვსკიმ პოლონურ ენაზე პირველი წერილი უძღვნა შოთა რუსთაველს და „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტებიც გამოაქვეყნა. მას შემდეგ თანდათან იზრდებოდა პოლონელთა ინტერესი „ვეფხისტყაოსნისადმი“, საერთოდ, ქართული კულტურისადმი.

1833 წელს ცალკე წიგნად გამოიცა **იუდიუს ნოვაცკის ნაშრომი „საქართველო. მისი ბუნება და მოკლე ისტორია“**, რომელიც საინტერესოდ მოუთხრობდა პოლონელ მკითხველს ჩვენი ქვეყნის ულამაზესი ბუნების, მდიდარი ლიტერატურისა და უძველესი ისტორიის შესახებ.

1837 წელს საქართველოში ჩამოვიდა (და უმთავრესად თბილისში ცხოვრობდა) **თადეუშ ლადა ზაბოლოცკი**. იგი დაუახლოვდა ნ. ბარათაშვილს, ეკ. დადიანს, ნ. ჭავჭავაძეს, მიხ. თუმანიშვილსა და სხვა ცნობილ ქართველებს. ზაბოლოცკი მაღლი ისე საფუძვლიანად გაეცნო პოეზიის ქვეყანას, მის კულტურას, ლიტერატურას, რომ პოლონურ ენაზე დაწერა „**ნარკვევები ქართული მწერლობის შესახებ**“. ამავე პერიოდშია შექმნილი ვიოცეს პოტოცკის წიგნი საქართველოზე. საგულისხმოა ისიც, რომ კავკასიური ფოლკლორითაა ნასაზრდოები მისი სხვა მოთხოვნებიც.

საქართველოს შესახებ საინტერესო ცნობებს ეხვდებით, აგრეთვე, მწერალ ლეონ იაშევსკის, პოეტ ქსავერი პიეტრაშ-კევიჩისა და სხვათა ნაშრომებში. თავისი შემოქმედებით საქართველოსთან იყო დაკავშირებული მხატვარი **ზიგმუნდ ვალიშევსკი**. იგი კარგა ხანს ცხოვრობდა ბათუმსა და თბილისში, გაეცნო ჩვენი ხალხის ზნე-ჩვეულებებს, ადათ-წესებს. განსაკუთრებით მოხიბლული იყო საქართველოს ულამაზესი ბუნებით. ზ. ვალიშევსკის მიერ შესრულებულმა პეიზაჟებმა და ქართველ-

თათვის დამახასიათებელმა საყოფაცხოვრებო სურათებმა პოლონელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

**XIX** საუკუნის 50-იანი წლებისათვის პოლონეთში უკვე არსებობდა გარკვეული წარმოდგენა საქართველოსა და ქართველ ხალხზე, რამაც უფრო გააძლიერა პოლონელთა ინტერესი ამ უძველესი ისტორიის მქონე ქვეყნის კულტურის მიმართ. ამიერიდან უფრო ინტენსიურად დაიწყეს ქართული მწერლობის შესწავლა, თარგმნითი საქმიანობა. ამ ასპექტით პირველ რიგში უნდა დავასახელოთ **კაზიმირ ლაზარესკი** (1823-1899). იგი 1844 წელს ჩამოვიდა საქართველოში, მუშაობდა ინჟინრად, მაგრამ ხელოვნებით, ისტორიით, ლიტერატურით, ეთნოგრაფიით გატაცებული ჭაბუკი იმთავითვე დაინტერესდა ქართული ფოლკლორით, მდიდარი ზეპირსიტყვიერებით (კრებდა ანდაზებს, გამოცანებს...).

საქართველოში ყოფნისას კ. ლაფრინსკი დაუახლოვდა ცნობილ კომედიოგრაფს – გიორგი ერისთავს. მისი მეშვეობით გაეცნო ქართულ კლასიკურ მწერლობას. განსაკუთრებით მოიხიბლა შოთას უკვდავი პოემით და გადაწყვიტა, იგი აემეტყველებინა მშობლიურ ენაზე. მართლაც, რამდენიმე ხნის შემდეგ გ. ერისთავის დახმარებითა და უშუალო მონაწილეობით კ. ლაჩინსკიმ დაასრულა „ვეფხისტყაოსნის“ პროზაული სიტყვასიტყვითი თარგმანი პოლონურ ენაზე, თანვე დაურთო ვრცელი შესავალი წერილი და **1863** წელს დაბეჭდა უურნალ „ბიბლიოთეკა ვარშავსკში“. გარდა ამისა, ქართულ თემაზე ლაფრინსკის შეუქმნია თხზულებანი, რომელთა შორის აღსანიშნავია „**თბილისიდან არარატამდე**“.

**1885** წელს პოლონურ ენაზე გამოიცა **ა. ლაისტის** წიგნი „**ნარკვევები საქართველოს შესახებ**“. ერთ-ერთ წერილში ავტორი საუბრობს ქართულ ლიტერატურაზე. აქვეა გადმოცემული „ვეფხისტყაოსნის“ მოკლე შინაარსი, გზადაგზა ჩართულია მის მიერ თარგმნილი პოემის სტროფებიც.

**XX** საუკუნის დასაწყისიდან პოლონეთში იქმნება ქართველოლოგიური ცენტრი, რაშიც გარკვეული დამსახურება მიუძ-

ღვის ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორს, ქართველ ემიგრანტს გრიგოლ ფერაძეს, რომლის სამეცნიერო მოღვაწეობამ მყარი ნიადაგი მოუმზადა პოლონელი ქართველოლოგების ნაყოფიერ შემოქმედებას.

**ბრიზოლი ფერაძე**(1899-1942) გახლდათ მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერი(თეოლოგი, პალეოგრაფი, არქეოგრაფი, ტექსტოლოგი), სამაგალითო სულიერი მამა. იგი დაიბადა კახეთში, გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხეში (აქვე შევნიშნავთ, რომ გრ. ფერაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებულ მასალებში ზოგიერთი ფაქტი ქრონოლოგიურადაც განსხვავებულია). მამამისი — რომანოზ ფერაძე (ბაკურციხის მრევლის მოძღვარი) საკმაოდ განათლებული პიროვნება ყოფილა (დაუმთავრებია გორის სასულიერო სემინარია). იგი მუდამ ქადაგებდა ეკლესიისა და ხალხის ერთიანობას. ექვსი წლისა იყო გრიგოლი, როცა გარდაეცვალა მამა. მისი მომავალი ცხოვრების გზა განსაზღვრა დედამ — სალომე სამადაშვილმა. მან შვილი მამის კვალზე დააყენა. 1913 წელს გრ. ფერაძემ დაამთავრა თბილისის სასულიერო სკოლა და სწავლა განაგრძო სასულიერო სემინარიაში, რომლის რექტორი იმხანად იყო კორნელი კეკელიძე. ნიჭიერი და ბეჯითი სემინარიელი თბილისში რეპეტიტორობით ირჩენდა თავს, აგრეთვე, საბავშვო უურნალებში „ჯეჯილსა“ და „ნაკადულში“ აქვეყნებდა ლექსებს, რებუსებს, თქმულებებსა და წერილებს.

1918 წელს, სემინარიის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, გრიგოლ ფერაძე ერთხანს მასწავლებლად მუშაობდა სოფლებში: მანავსა და ხანდაკში. მაგრამ იქ დიდხანს არ დარჩენილა, დაბრუნდა თბილისში და, ნაცვლად სასულიერო აკადემიისა, შევიდა თბილისის უნივერსიტეტში სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე. ჭაბუკის ცხოვრების გზის ასეთი მოულოდნელი შეცვლა გამოუწვევია საქართველოს იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებას – ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადებას.

1921 წელს, ივ. ჯავახიშვილის წარდგენის საფუძველზე, კ. კეკელიძის შუამდგომლობით, კათალიკოს-პატრიარქ ამბროსისა

(ხელაია) და ა. ლაისტის რეკომენდაციით, საქართველოს საპატ-რიარქოს საბჭომ გრ. ფერაძე გააგზავნა სასწავლებლად გერმა-ნიაში, სადაც მას უნდა მიეღო თეოლოგიური განათლება. გრი-გოლი საზღვარგარეთ გულმოდგინედ შეუდგა მეცადინეობას. ხუთ თვეში სრულყოფილად შეისწავლა გერმანული ენა და 1922 წლის მაისში, ებრაული, ბერძნული, გერმანული ენების ჩაბარე-ბის შემდეგ, ჩაირიცხა ბერლინის უნივერსიტეტის თეოლოგიის განყოფილებაზე. იქ იგი პროფესორების: ადოლფ ფონ პარნაკის, ადოლფ დიონსმანის, კარლ ჰოლის, კარლ ბროკელმანისა და ბრე-ნო მაისნერის ხელმძღვანელობით მეცადინეობდა თეოლოგიასა და ორიენტალისტიკაში (ებრაულ, ასირიულ, არაბულ, კოპტურ, სომხურ, ბერძნულ ენებზე). ქართულს ასწავლიდა ცნობილი გერმანელი ქართველობი პროფ. რ. მეკელაინი.

ბერლინის უნივერსიტეტში გრ. ფერაძე განსაკუთრებით დაინტერესდა ადრექრისტიანული ქართული სასულიერო მწერ-ლობით, სურდა სამეცნიერო ხარისხის დასაცავად წარედგინა ნაშრომი ათონის მთაზე მოღვაწე გიორგი პაგეორითის (1000-1065) შესახებ. ამ პერიოდში იგი, რ. მეკელაინის რჩევითა და მეშვეობით, დაუახლოვდა ბონის უნივერსიტეტის პროფესორს, გამოჩენილ ორიენტალისტს, დოქტორ ჰენრის გუსენს. 1924 წლის საშობაო არდადეგების 14 დღე გრიგოლმა გუსენთან ერ-თად გაატარა. მუშაობდა მის პირად ბიბლიოთეკაში, სადაც მო-ინია ბევრი საინტერესო მასალა საქართველოში მონაზვნობის ისტორიასთან დაკავშირებით; შესაბამისად შეცვალა სადისერ-ტაციო თემის მიმართულებაც.

1925 წელს გრ. ფერაძე სწავლის გასაგრძელებლად გადა-ვიდა ბონის უნივერსიტეტში ფილოსოფიის განყოფილებაზე, საფუძვლიანად დაუუფლა რელიგიის ისტორიასა და აღმოსავ-ლურ ენებს პ. კალეს, ა. ბაუმსტარკისა და ჰ. გუსენის ხელ-მძღვანელობით. 1926 წელს დაამთავრა ბონის უნივერსიტეტი და მალევე დაიცვა ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი თემა-ზე: „მონაზვნობის დასაწყისი საქართველოში“ (სხვა ცნობით: „მინდანებად შერაცხული ქართველი ბერების ცხოვრება“). ავ-

## პოლონეთი

---

ტორის დაკვირვებით, ქართულ ბერმონაზვნობაში განდეგილობის ფორმა ჩამოყალიბდა უშუალოდ საქართველოს გაქრისტიანების შემდეგ, IV საუკუნეშივე. ჩვენში ბერული ცხოვრების ფუძემდებლად ითვლება 13 ასურელი მამა. ნაშრომში დაწვრილებითა გაანალიზებული ქართველი ბერების ცხოვრება და ღვანლი. სპეციალისტების აზრით, დისერტაციის მიერ გამოტანილი დასკვნები მეტად მნიშვნელოვანი და ფასეულია ქართული ბერმონაზვნობის ისტორიისათვის. **სადისერტაციო შრომამ საერთო შეფასება „ძალიან კარგი“** მიიღო. მისი ფრაგმენტების პუბლიკაციის შემდეგ, 1927 წლის 17 დეკემბერს, შედგა სადოქტორო ხარისხის მინიჭების ცერემონიალი.

ამ პერიოდისათვის ფერაძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა უცხოელ და ქართველ მეცნიერებთან. მასზე განსაკუთრებით დიდი გავლენა მოუხდენია **6. მართან შეხვედრებსა და ხანგრძლივ გულთბილ საუბრებს**, რომლებიც შეეხებოდა ქართველი ერის, მისი ენის მომავლის საკითხებს.

ხარისხის მოპოვების შემდეგ გრიგოლს სურდა სამშობლოში დაბრუნება, რათა ემსახურა ეკლესიაში ან უნივერსიტეტში. ამის თაობაზე თხოვნაც გაგზავნა საბჭოთა საელჩოში, მაგრამ პასუხი არ ჩანდა.

**1926** წელს გრ. ფერაძე ცოდნის გასაღრმავებლად მიემგზავრება **ბრიუსელში** კათოლიკური თეოლოგიის შესასწავლად ლუვენის უნივერსიტეტში. ესწრებოდა ლექციებს, სწავლობდა ბოლანდისტთა მდიდარ ბიბლიოთეკაში დაცულ ძველ ქართულ წიგნებს, მუშაობდა ცნობილი ბელგიელი ქართველოლოგის პ. პეტერსის ხელმძღვანელობით, საუბრობდა მასთან ქართული პალეოგრაფიისა და ეკლესიის ისტორიის საკითხებზე... აღსანიშნავია, რომ გრ. ფერაძისათვის პ. პეტერსთან მეგობრობა და მეცნიერული თანამშრომლობა არაერთი სამეცნიერო ნაშრომის შექმნის სტიმული გახდა.

გრ. ფერაძე ლუვენის უნივერსიტეტში იღრმავებდა ცოდნას ფრანგულში, ეცნობოდა ფლამანდრიურ ხელოვნებას და მოგზაურობდა. იგი ბელგიიდან გადავიდა ინგლისში, სადაც

ოქსფორდისა და ლონდონის უნივერსიტეტებში იკვლევდა ქართულ ხელნაწერებს, პარალელურად ინტენსიურად ეუფლებოდა უცხო ენებს.

1927 წელს დოქტორ პ. კალეს თხოვნითა და რეკომენდაციით, ბონის უნივერსიტეტში პროფესორ პ. გუსენის გარდაცვალების შემდეგ მისი ლექციების ნასაკითხად ძველ ქართულსა და ძველ სომხურ ლიტერატურაში მიიღვიეს გრ. ფერაძე. ამიერიდან იწყება ქართველი მკვლევრის ნაყოფიერი მეცნიერული მოღვაწეობა. გერმანული, ფრანგული, ინგლისური, ლათინური, ძველი სლავური, რუსული, ებრაული და სხვა აღმოსავლური ენების საფუძვლიანი ცოდნა უხსნიდა მას გზას, პრაქტიკულად აეთვისებინა მსოფლიო ლიტერატურის მიღწევები. იგი აქტიურად ჩაება გერმანიის სამეცნიერო ცხოვრებაში. გარდა ამისა, ბონში ძირითადი სამუშაოს მიუტოვებლად გრიგოლი მოგზაურობს გერმანიის, ინგლისის, ავსტრიის, საფრანგეთის, საბერძნეთის, იტალიის, რუმინეთის, ბულგარეთის ქალაქებში, სადაც კითხულობს ლექციებს საქართველოსა და სომხეთის ისტორიაზე. ახალგაზრდა მკვლევარმა განსაკუთრებული ყურადღება გადაიტანა ბიზანტიის პერიოდის ქართულ ლიტერატურაზე, რომელსაც რამდენიმე ბრწყინვალე ნაშრომი მიუძღვნა. მისი წერილები და სტატიები ხშირად იძეჭდებოდა საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყანაში. მას უკვე ერთხმად აღიარებდნენ, როგორც ახლო აღმოსავლეთის ადრინდელი ქრისტიანობის ერთ-ერთ გამოჩენილ მკვლევარს. უცხოელთა თქმით, 1928 წელს ბონში ორიენტალისტთა ერთ-ერთ პაექრობაზე გრიგოლს მოუხიბლავს დამსწრენი თეოლოგიის ცოდნითა და მჭევრმეტყველებით.

მადლიერებით უნდა აღინიშნოს, რომ ევროპაში გრ. ფერაძის ცხოვრება და სამეცნიერო მუშაობა, რომელიც ძირითადად მიმართული იყო უცხოეთში დაცული ქართული წერილობითი ძეგლების მოძიება-შესწავლისაკენ, თავიდანვე ემსახურებოდა მხოლოდ და მხოლოდ მშობლიური ქვეყნის მდიდარი კულტურული წარმოჩენა-პოპულარიზაციას. თვალსაჩინოე-

## პოლონეთი

---

ბისათვის ამჯერად დავიმოწმებთ ერთ ფაქტს: 1928 წელს გრ. ფერაძემ ვენაში ჩატარებულ ორიენტალისტთა კონფერენციაზე წაიკითხა მოხსენება საქართველოს პრებიზანტიური ლიტურგიის შესახებ. კონფერენციის ბოლო დღეს ქრისტიანული აღმოსავლეთის სექციის მონაწილეებმა მიიღეს დადგენილება: „ძველი ქართული, მისი ჯერ კიდევ წინარებიზანტიური ლიტერატურის ძეგლებისა და ლიტურგიკული ტექსტების მნიშვნელობიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მზრუნველობით მოვეკიდოთ ქართული კულტურის შესწავლის საქმეს“.

1929 წელს გრიგოლი ბერლინში დაპატიმრეს. გათავისუფლების შემდეგ გერმანიაში აღარ დაედგომებოდა და სცადა ინგლისში გადასვლა, მაგრამ ვიზა ვერ მიიღო, ამიტომ გადასახლდა საფრანგეთში. 1929 წელს პარიზში დაარსა წმ. ნინოს სახელობის ქართული ეკლესია (რომელიც დაახლ. 2000 წლამდე იყო ერთადერთი ქართული ეკლესია ევროპაში). 1931 წელს ბერად აღიკვეცა ლონდონში, მალე მღვდლად ეკურთხა და შეუდგა მღვდელმსახურებას. იმავე წელს იგი დაინიშნა პარიზში ქართული სამრევლოს წინამდღვრად და ჩატარა პირველი წირვა 31 მაისს. აქვე დაარსა სამრევლო უურნალი – მეცნიერული წელიწერული „ჯვარი ვაზისა“, რომელიც 1931-1934 წლებში გამოდიოდა მისი რედაქტორობით.

სამეცნიერო მოლვანეობის გარდა, გრ. ფერაძე საფრანგეთში საქველმოქმედო საქმიანობასაც ეწეოდა: წირავდა და ქადაგებდა იქაურ ეკლესიებში. წირვის დროს მსმენელებს გალაკტიონის ლექსებსაც უკითხავდა თურმე (მას განსაკუთრებით ჰყვარებია გ. ტაბიძის პოეზია. გალაკტიონს თვლიდა თანამედროვეობის უდიდეს პოეტად). სახელოვანი მამულიშვილი პარიზის ქართულ სამრევლოს ერთგულად და თავდადებით ემსახურებოდა მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე, მიუხედავად იმისა, რომ თავად პოლონეთში ცხოვრობდა.

1932 წელს გრ. ფერაძე მიიწვიეს ოქსფორდის უნივერსიტეტში. აქ იგი სათავეში ჩაუდგა მართლმადიდებლური თეოლოგიის კათედრას და კითხულობდა ლექციებს ქართული ეკ-

ლესის ისტორიაში, ბიბლიის ძველ თარგმანებსა და ქართულ სასულიერო მწერლობაში. 1933 წელს კი, სრულიად პოლონეთის მიტროპოლიტის დიონისეს წარდგინებით, გრიგოლმა ახალი მიწვევა მიიღო ვარშავის უნივერსიტეტისაგან. ამეირიდან იგი სამუდამო საცხოვრებლად გადავიდა პოლონეთში და დაიწყო მოღვაწეობა ვარშავის უნივერსიტეტში თეოლოგიურ განყოფილებაზე პატროლოგიის პროფესორად, უძლვებოდა ამ საგნის სემინარსაც. იგი ხელმძღვანელობდა ვარშავის უნივერსიტეტის „მართლმადიდებლური თეოლოგიის სტუდენტური საზოგადოების“ სამეცნიერო სექციას, კითხულობდა მოხსენებებს აღმოსავლურ პატროლოგიაში და უაღრესად ერთგული იყო ეკლესიის მამათა ტრადიციებისა (დ. მელიქიშვილი).

პოლონეთი იქცა ქართველი მეცნიერის მეორე სამშობლოდ. გრ. ფერაძე გახდა ვარშავის ორიენტალისტიკის სამეცნიერო საზოგადოების აქტიური წევრი, დაარსა ჟურნალი „პატროლოგია“, 1934 წელს ლონდონის წმ. სოფიის საკათედრო ტაძარში აკურთხეს არქიმანდრიტიად.

1935 წლიდან გრ. ფერაძე კვლავ მოგზაურობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო ცენტრებსა და ბიბლიოთეკებში უძველესი ქართული ხელნაწერების გამოსავლინებლად და შესასწავლად. მან ათონზე აღმოაჩინა 5 ქართული წიგნი და 13 ხელნაწერი. ზოგიერთი ცნობით, გრიგოლმა ათონზე შეიძინა 15 ქართული ხელნაწერი, მათ შორის, დიონისე არეოპაგელის ნაშრომები. სოფიის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოიძია გრ. ბაკურიანის პეტრიონინის მონასტრის ტიპიკონის ქართული ტექსტი და სხვა ხელნაწერები. ამ აღმოჩენების შესახებ იმავე წელს აცნობა მსოფლიოს სამეცნიერო საზოგადოებას პოლონურ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე.

1936 წელს გრ. ფერაძემ იმოგზაურა პალესტინაშიც: „მხოლოდ 1936 წლის გაზაფხულის არდადეგების დროს შევძლი განმეხორციელებინა მრავალწლოვანი სწრაფვა – მენახა წმინდა მიწა, რომელიც არის როგორც უდიდესი ტრაგედიების, ასევე მთელი კაცობრიობის ისტორიის შესანიშნავი ფურცლე-

## პოლონეთი

---

ბის მოწმე. მე აქეთკენ გული მეწეოდა არა მარტო როგორც სა-სულიერო პირს, არამედ როგორც ქრისტიანული ისტორიისა და ლიტერატურის მკვლევარს. სწორედ პალესტინა და, კერძოდ, ბეთლემი, სადაც იშვა მესია, წარმოადგენს სამშობლოს იმ მეც-ნიერებისა, რომელსაც მე ვემსახურები.

არანაკლები როლი შეასრულა იმანაც, რომ ამ მიწამ მიმიზიდა მე, როგორც ქართველი... იერუსალიმის პატრიარქის სტუმრად ყოფნის დროს მე ძალიან გამახარა უწმიდესი პატრიარქის ტიმოთეს შემდეგმა სიტყვებმა: ჩვენს საპატრიარქოს თქვენს (საქართველოს) ეკლესიასთან მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებსო".

1937-1938 წლებში გრ. ფერაძე დიონისე არეოპაგელის ნაშრომზე რამდენიმე თვით მუშაობდა იტალიის ქალაქებში (ფლორენცია, ნეაპოლი, ვენეცია, რომი). მის მოღვაწეობაში ეს წლები მეტად ნაყოფიერი იყო. თავისი შესანიშნავი გამოკვლევებით ფართო პროპაგანდას უწევდა საზღვარგარეთ ქართულ კულტურას, ისტორიას, ენასა და ლიტერატურას.

მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ გრ. ფერაძემ შეწყვიტა პედაგოგიური მოღვაწეობა. თავის ბინაში ცხოვრობდა სრულიად მარტო, მხოლოდ ქართული სასულიერო მწერლობის შესწავლას აგრძელებდა. იგი 1942 წლის 6 სექტემბერს გესტაპომ დააპატიმრა.

**შენიშვნა:** დაპატიმრების უშუალო მიზეზად ასახელებენ გრიგოლის მიერ ფაშისტებისაგან დევნილი ებრაელების დახმარებას, ოფიციალური ცნობით — პოლონელ იატაკევეშელებთან თანამშრომლობას. ამ დროს მის ბინაში ჩატარებული ძირფესვიანი ჩირეკის შედეგად დაკარგულა მეტად ფასეული ძველი ქართული ხელნაწერებიც.

გრ. ფერაძე ჯერ მოათავსეს ვარშავის ჰავიაკის ციხეში, შემდეგ გადაიყვანეს მაუთპაუზენის საკონცენტრაციო პანაკში, აქედან კი — ოსვენციმის ბანაკში, სადაც, ოფიციალური გერმანული ცნობების თანახმად, დაიღუპა 1942 წლის 6 დეკემბერს (სხვა ვერსიით: 1943 ან 1945 წელს). ჭეშმარიტი ინტელიგენტი გაზის კამერაში თავისი სურვილით შევიდა ერთ-ერთი ტყვე პო-

ლონელი ებრაელის ნაცვლად. „შენ დიდი ოჯახი გაქვს. ცოლი, ხუთი შვილი... შენ უნდა იცოცხლო მათთვის... მე კი შენს მაგივრად მოვკვდები მათი მომავლისათვის“, — უთხრა გრიგოლმა ტყვე ამხანაგს და კიდეც აღესრულა მოწამებრივი სიკვდილით.

გრ. ფერაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით არსებობს სხვა ვერსიაც: 1942 წლის დეკემბრის სუსხიან დღეს ოსვენციმის ბანაკის სამი ბარაკიდან ეზოში გამოუყვანიათ პატიმრები და ყინვაში, თითქმის შიშვლები, დაუყენებიათ მუქარით — მანამ გააჩერებდნენ გარეთ, სანამ არ აღიარებდნენ, ვინ მოკლა გერმანელი ოფიცერი (მეორე ვერსიით: ვინ მოიპარა პური). იდგა სრული სიჩუმე... არქიმანდრიტი გრიგოლი წინ გამოსულა (დანაშაული თავის თავზე აულია) და გესტაპოს ოფიცრისათვის მიუმართავს: „შეასრულეთ თქვენი საქმე“. შემდეგ მიბრუნებულა ჩამწკრივებული პატიმრებისაკენ და უთხოვია, ელოცათ მისთვის. ნაცისტებს დასასჯელად ჯერ ძალები მიუსევიათ, მაგრამ, როცა ძალებს პირი არ დაუკარებიათ მსხვერპლისათვის, ცეცხლი ნაუკიდებიათ და დაუწვავთ.

**შენიშვნა:** ამ ორი ვერსიიდან უფრო სარწმუნოდ მიაჩნიათ პირველი, რადგან ეს ამბავი გამოუტანია იმ ბანაკის ერთ-ერთ გადარჩენილ ტყვეს, რომელსაც თან შეუნახავს გრიგოლის ჯვარი და შემდეგ იგი გადაუცია მიტროპოლიტ დიონისესათვის.

გრ. ფერაძე დიდებული ადამიანი იყო. იგი პარმონიულად უთავსებდა ერთმანეთს ეკლესის სამსახურს – სულიერ საწყისებსა და მეცნიერულ მოღვაწეობას. სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ინარჩუნებდა სახარების ჭეშმარიტებისადმი ერთგულებას. მისი სიცოცხლის დასასრულიც იყო განსახიერება იესო ქრისტეს სიტყვებისა: „არა არს რა იმ სიყვარულზე უმეტესი, ვიდრე ვინმემ დათმოს სული თვისი თვისთა მოყვასისათვის.“

პოლონელმა ხალხმა ღირსეული პატივი მამა გრიგოლის ღვანლს. მისი სახელი და გვარი ამოტვიფრულია რამდენიმე მემორიალურ დაფაზე (ვარშავის უნივერსიტეტისა და წმინდა იოანე კლიმაკის (იოან კლემაქსის) სახელობის ეკლესის კედლებზე), რაც ჩვენი სასიქადულო შვილის უკვდავების დას-

ტურია. მადლიერებით უნდა აღინიშნოს, რომ პოლონელებმა წლობით სათუთად ატარეს ჩვენი თანამემამულის ხსოვნა და შთამომავლობას გადასცეს სიყვარული და პატივისცემა შორეული საქართველოსი, მისი ხალხისა.

გრ. ფერაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას მიეძღვნა მრავალი მეცნიერული ნაშრომი, მათ შორის: გრიგოლის პოლონელი მონაფის – მამა **ნიკოლაი ლენჩევსკის** მიერ დაწერილი გრ. ფერაძის ბიოგრაფიული ნარკვევი. მის შემოქმედებითს თემატიკას იკვლევდნენ, აგრეთვე, ჟ. გარიტი (ბელგიაში), ი. ასფალგი (გერმანიაში), მიხ. კვალიაშვილი (პოლონეთის ერთ-ერთი მუზეუმის თანამშრომელი) და სხვ.

განსაკუთრებით დიდი ამაგი დასდო მამა გრიგოლ ფერაძეზე ცნობების, დოკუმენტებისა და სხვა მასალების შეგროვებას პოლონელმა მწერალმა **ჰენრიკ პაპროცკიმ** (რომელიც ფლობს ქართულ სასაუბრო ენას, შესანიშნავად იცნობს ქართულ მწერლობას). მან გამოაქვეყნა ვრცელი შრომა „**არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე**“. აღსანიშნავია, რომ ჰ. პაპროცკის მონდომებითა და უშუალო მონაწილეობით გრ. ფერაძეს მთლიანად მიეძღვნა უურნალ „Revie des Etudes Georgien-hesel caucasiennes“-ის 1988 წლის ერთი ნომერი.

მიუხედავად ხანმოკლე სიცოცხლისა, გრ. ფერაძის სახელი სამუდამოდ ჩაიწერა მსოფლიო მეცნიერებაში. მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა მეტად მდიდარი და მრავალმხრივია. უცხოეთის უურნალ-გაზიერებში სხვადასხვა ენაზე გამოქვეყნებული აქვს 64-ზე მეტი ნაშრომი, რომელთაგან აღსანიშნავია: „ძველი ქართული ლიტერატურა და მისი პრობლემები“, „ძველი ქრისტიანული ლიტერატურა ქართული თარგმანებში“, „ბიბლიის ქართული თარგმანის საკითხისათვის“, „ძველი საეკლესიო მწერლობის პრობლემა“, „ბიზანტიამდელი ქართული ლიტერატურის საკითხისათვის“, „ქართველი ბერები და მონაზვნები პალესტინაში“, „ქართული ელემენტების გავლენა ბალკანეთის ხალხების კულტურაზე“ და სხვ.

თვით უცხოელი სწავლულებიც ერთხმად აღიარებდნენ გრ. ფერაძის მეცნიერულ დამსახურებას და თვალნათლივ წარმოაჩინდნენ მისი მოღვაწეობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას საზღვარგარეთის ქართველობისაში: „გერმანიაში ქართველობის გამოკვლევებმა ფართო გაქანება პოვეს იმ მომენტიდან, როცა ქართველ ფერაძეს მიენიჭა დოქტორის ხარისხი... უურნალი „ორიენტ ქრისტიანუს“ გრ. ფერაძის ნაშრომის გამოქვეყნებით აგრძელებს იმ ტრადიციებს, რომლებსაც საფუძველი ჩაუყარეს: ა. ბაუმსტარკი, თ. კლუგემ, ჰ. გიორგენმა, გრ. ფერაძემ, მიხ. თარხნიშვილმა და სხვებმა.”

გრ. ფერაძე უცხოეთში მეგობრობდა თვალსაჩინო მწერლებთან, მეცნიერებთან, ცნობილ მოღვაწეებთან. მათ შორის იყვნენ: ჰ. პეეტერსი, ა. ბაუმსტარკი, მ. იასტრონი, მიხ. თარხნიშვილი, მიხ. ნერეთელი, რ. ინგილო-ივანიცკი, ზ. ავალიშვილი, გ. გვაზავა, კ. სალია, ექვ. თაყაიშვილი (რომელსაც თავგამოდებით ეხმარებოდა საფრანგეთში გატანილი ქართული განძულობის დაცვა-დაბრუნებაში).

**შენიშვნა:** ცნობილია, რომ გრ. ფერაძემ უდიდესი ძალისხმევით და ზოგჯერ სიცოცხლის რისკის ფასად არაერთი ქართული ხელნაწერი გადაარჩინა დაღუპვას, მათ შორის, ექვ. თაყაიშვილის მიერ საფრანგეთში გატანილი ქართული საეკლესიო განძულობაც. გრიგოლი იყო გერმანელების ექსპერტი ამ უკანასკნელის შეფასებისას. მისი დასკვნით, ეს განძი არავითარ მატერიალურ ღირებულებას არ წარმოადგენდა, მხოლოდ ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა. სინამდვილეში, ერთი ყუთიც რომ გაეხსნათ, ფერაძეს სიკვდილი არ ასცდებოდა. ამგვარი შემთხვევა სხვაც ბევრი იყო თურმე ამ სასიქადული მამულისშვილის ცხოვრებაში....

გრ. ფერაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მეტად საყურადღებო ცნობებია წარმოდგენილი ვიქტორ ნოზაძის ერთ-ერთ წერილში: „განსვენებული გრ. ფერაძე ბრძანდებოდა ერთადერთი ქართველი დოქტორი თეოლოგიაში, პროფესორი პატროლოგისა ვარშავის უნივერსიტეტში და არქიმანდრიტი მართლმადიდებელი ეკლესიისა, მაგრამ ამავე დროს იყო ცნობილი იყო ვით მკვლევარი ქართული ისტორიისა და მწერ-

## პოლონეთი

---

ლობის დარგებიდან. გრ. ფერაძე იყო უმწიკვლო ადამიანი, განუსაზღვრელად სპეტაკი და ღრმად მორწმუნე...

გრ. ფერაძეს ჰქონდა უძვირფასესი მეცნიერული წიგნსა-ცავი, სადაც ინახებოდა ტყავზე დაწერილი ხელნაწერები, ქართული პალიმფსესტები. ერთი ეტრატი წარმოადგენდა მეხუთე თუ მეტვიდე საუკუნის ქართულ ისტორიულ საბუთს, რომელსაც იგი თავზე ევლებოდა. მონიწებით ემთხვეოდა ხოლმე და იტყოდა: ხელთ ჩამივარდა ყველაზე უძველესი საბუთიო. ამას გარდა, მას ჰქონდა (არ მახსოვს რომელი საუკუნისა) ძვირფასი ქართული გარდამოხსნა, რომელშიც ათასობით ოქროს აძლევდნენ, მაგრამ არ ჰყიდდა. საქართველოს მუზეუმს უნდა მივართვაო.

გრ. ფერაძეს ჰქონდა დაწერილი დიდი გამოკვლევა იოანე ბატონიშვილისა და იოანე ხელაშვილის შესახებ. ხელნაწერი დაახლოებით 300 ფურცელს შეიცავდა. მას ჰქონდა აგრეთვე ბიბლიის ნაწილთა ეპრაული ენიდან ახალი თარგმანები და ნარკვევები (ეს-სეი) სხვა კერძო მეცნიერულ საკითხებზე.

გრიგოლი წერდა რელიგიური ხასიათის ლექსებს, რომელ-თავან მხოლოდ რამდენიმე დავბეჭდე კრებულში „ქართლოსი“. ამას გარდა, გაქრა მისი მნიშვნელოვანი „დღიური“. ქართულად დაწერილი... აღარაფერს ვამბობ მისი ბიბლიოთეკის შესახებ, რომელსაც იგი ლუკმაპურის მოკლებით, დიდი ზრუნვით იძენდა და ქართულ უნივერსიტეტში პროფესორობა.

დაბეზღების შედეგად და გესტაპოს ულმობლობით ეს ჩვენთვის დიდი კაცი დაიღუპა. მასთან ერთად გაქრა მისი ქონებაც. გადარჩენილი მცირე და უმნიშვნელო ნაწილი წიგნთა, ბატ. თენგიზ დადეშქელიანმა კეთილი ნებით ვარშავიდან ქართულ ეკლესიას პარიზში რომ მიუტანა, იყო მხოლოდ უბადრუკი ნაშთი გრ. ფერაძის ძვირფასი ბიბლიოთეკისა.“

წერილის დასასრულს ვ. ნოზაძე სთხოვს პარიზის საბჭოს, მიმართოს დასავლეთ გერმანიის რესპუბლიკის შინაგან საქმე-თა სამინისტროს შუამდგომლობით, რათა ინებოს და გრ. ფერაძის ქონების ძებნას შეუდგეს: „მას უნდა მოხსენდეს, რომ პა-

ლიმფსესტები, გარდამოხსნა, ხელნაწერები და ბიბლიოთეკა ქართველი ერისათვის დიდსა და დაუფასებელ განძს წარმოადგენს და გერმანიის მთავრობა ღვაწლს ნუ დაიშურებს, უდანაშაულოდ დაღუპული ქართველი მეცნიერის ქონება ქართველ ერს მოუპოვოს და დაუპრუნოს.“

მიუხედავად უდიდესი სურვილისა, გრ. ფერაძე ვერ ელირსა სამშობლოში დაპრუნებას. იგი იძულებული გახდა „შეჰებოდა ემიგრანტის მძიმე ხვედრს“. სამწუხაროა, რომ სამშობლომდე ვერც გრ. ფერაძის უმდიდრესმა ბიბლიოთეკამ, პირადმა არქივმა და მეცნიერულმა მემკვიდრეობამ ვერ მოაღწია, თუმცა თავის დროზე საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებს ცდა არ დაუკლიათ, რომ გადაერჩინათ ჩვენი ერისათვის ეს დიდი და დაუფასებელი განძი.

გრ. ფერაძე გახლდათ ლრმად განსწავლული შემოქმედი, მეცნიერი, მშობლიური კულტურის დიდი მოამაგე, მოყვასისათვის მონამებრივი სიკვდილით წმიდანობამდე ამაღლებული პიროვნება.

საქართველოსა და პოლონეთის მართლმადიდებელი ეკლესიების მიერ გრ. ფერაძე წმინდანადაა შერაცხული. ვარშავაში ყოველწლიურად 6 დეკემბერს, ფერაძის ხსენების დღეს, იმართება ქართველოლოგიური სესია.

**შენიშვნა:** დღეისათვის გრ. ფერაძის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ ჩვენში საკმაოდ ბევრი ინფორმაცია დაგროვდა. გამოქვეყნებულია სპეციალური გამოკლევები... ამ მხრივ ფასეულიათ. ჭუმბურიძის ნაშრომები, სადაც საარქივო წყაროებზე დაყრდნობით გამოვლენილია აქამდე უცნობი მასალებიც.

პოლონეთში ქართველოლოგიური კვლევის ძირითადი ობიექტი ყოველთვის იყო ქართული ლიტერატურა და განსაკუთრებით „ვეფხისტყაოსანი“. 1937 წელს ვარშავაში გამოვიდა კრებული სათაურით „შოთა რუსთაველი“, რომელშიც წარმოდგენილია დოქტორ იეჟი ნაკაშიძის სტატია, პოლონელი პოეტების: იულიან ტუვიმის, სოფიო ვოდნიკუვნას და კაზიმეჟ ვონიევიჩის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტები.

პოემის პროლოგის ტუვიმისეულ თარგმანს მაღალი შეფა-  
სება მისცეს სპეციალისტებმა. ტუვიმს სურდა მთლიანად  
ეთარგმნა ქართული პოეზიის ეს უკვდავი ქმნილება, მაგრამ  
აღარ დასცალდა... მალე გარდაიცვალა.

უფრო მოგვიანებით, 1961 წელს, დაიბეჭდა „ვეფხისტყა-  
ოსნის“ პოლონური თარგმანი, შესრულებული პოეტი იგორ სი-  
კირიცკის მიერ (დედნად გამოყენებულია პოემის რუსული  
თარგმანი ნ. ზაბოლოცკისა). ამ დროისთვის ასახელებენ აგ-  
რეთვე გ. გებძარსკისეულ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანსაც.

**ივაზი ზაგურსკი** (დ. 1907) — პოეტი და დრამატურგი,  
თეატრალური კრიტიკოსი, მთარგმნელი — XX საუკუნის პო-  
ლონელ ქართველოლოგთა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომად-  
გენელია. დაამთავრა ვილნიუსის უნივერსიტეტის იურიდიუ-  
ლი ფაკულტეტი 1936 წელს. ლიტერატურული მოღვაწეობა და-  
იწყო 30-იანი წლებიდან. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე პოე-  
ტური კრებული, რომლებშიც შესულია ლექსების ციკლი საქარ-  
თველოზე. გარდა ამისა, ი. ზაგურსკიმ თანამემამულეებს გააც-  
ნო აღ. აბაშელის, ირ. აბაშიძის, ს. ჩიქოვანის, გ. ლეონიძის, გ.  
შატბერაშვილის ლექსები, მაგრამ ქართველოლოგიაში მას გან-  
საკუთრებული პოპულარობა მოუპოვა პოლონურ ენაზე „ვეფ-  
ხისტყაოსნის“ სრულმა პოეტურმა თარგმანმა.

ი. ზაგურსკი ქართული კულტურით დაინტერესდა ახალ-  
გაზრდობიდანვე. იგი რამდენჯერმე ესტუმრა საქართველოს,  
ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქართველ მწერლებთან, მეცნიე-  
რებთან. საკმაოდ კარგად შეისწავლა ქართული ენა და ქართუ-  
ლი მწერლობა, რომლის პოეტური გვირგვინი „ვეფხისტყაოსა-  
ნი“ მიაჩნდა მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ ეპიკურ შედევ-  
რად. რადგან ჯერ კიდევ არ არსებობდა შოთას პოემის სრული  
პოეტური თარგმანი პოლონურ ენაზე, ი. ზაგურსკი 50-იან  
წლებივე შეუდგა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნას ი. ბრაუნის  
დახმარებით: „ავითვალისწინე ჰეტრენკოს, შ. ნუცუბიძისა და  
ნ. ზაბოლოცკის თარგმანები. იან ბრაუნის კონსულტაციებმა  
სწორ გზაზე დამაყენა. მომცა საშუალება, რომ პოემა დედნიდან

მეთარგმნა. ამას გარდა, დახმარება გამინიეს ს. ჩიქოვანმა, ირაკლი და გრიგოლ აბაშიძებმა, ბ. ულენტმა, ი. ნონეშვილმა. თარგმნისას ხელთ გვქონდა 4 სხვადასხვა გამოცემა“.

პოლონურ პრესაში პერიოდულად ქვეყნდებოდა თარგმანის ნაწყვეტები. მწერლები, კრიტიკოსები, მკითხველები გამოთქამდნენ შენიშვნებსა და ნინადადებებს, რომელთაც ითვალისწინებდა მთარგმნელი.... და ასე თანდათან მკითხველის თვალწინ შეუნელებელი შრომითა და გულმოდგინებით იქმნებოდა „ვეფხისტყაოსნის“ პოეტური თარგმანი, რომელიც 1966 წელს დაიბეჭდა შემოკლებული სახით, სრულად კი გამოიცა 1975 წელს. წიგნს ერთვის მთარგმნელის ვრცელი წერილი და კომენტარები. მათში მოკლედ, მაგრამ ნათლად არის ნარმოჩენილი საქართველოს ისტორია. წიგნი გამოცემულია მდიდრულად, გამოყენებულია XVII საუკუნის ცნობილი მხატვრის – მამუკა თავქარაშვილის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები.

ი. ზაგურსკის თარგმანს მაღალი შეფასება მისცეს როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. ამ მხრივ საგულისხმოა პოლონური ენის სპეციალისტის, სტანისლავ რავიჩის, სიტყვები: „პოემა ისე ულერს, როგორც დედანში. თარგმნილია ოსტატურად, შენარჩუნებულია დედნის ხმა. ი. ზაგურსკის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მისი ნამუშევარი დღემდე არსებულ ყველა თარგმანზე მაღლა დგას“. ზ. ჭუმბურიძის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ ახალი თარგმანი საბუთია იმისა, თუ როგორ იზრდება მსოფლიოს ხალხთა ინტერესი ქართული ლიტერატურისა და, საერთოდ, ქართული კულტურისადმი.

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან პოლონეთში ფართო მასშტაბის ქართველოლოგიური მუშაობის გაშლა და კავშირებულია ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორ იან ბრაუნის მოღვაწეობასთან.

**იან ბრაუნი** დაიბადა 1926 წელს ლოდში, მასწავლებლის ოჯახში. 1939 წელს დაამთავრა დაწყებითი სკოლა. სწორედ იმ ხანებში ლოდი დაიკავეს გერმანელმა ფაშისტებმა. მათ იან ბრა-

## პოლონეთი

---

უნის ოჯახი ქალაქიდან გააძევეს. იანმა ოკუპაციის წლები გაატარა კრაკოვის მახლობელ სოფელში.

1947 წელს იან ბრაუნი შევიდა ლოძის უნივერსიტეტში კლასიკური ფილოლოგიის განხრით აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე. სტუდენტობისას განსაკუთრებით დაინტერესდა კავკასიური ენებით და უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1951 წელს, ჩაირიცხა თბილისის უნივერსიტეტის ასპირანტურაში. მეცადინეობა დაიწყო ა. შანიძისა და არნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობით. სწორედ ამ დროს გაიცნო და დაუმეგობრდა ა. შანიძის მეორე ასპირანტს ზ. ჭუმბურიძეს. იანს მაშინ სცოდნია მხოლოდ რამდენიმე ქართული სიტყვა, რუსულადაც უჭირდა თურქე ლაპარაკი. იან ბრაუნთან მეგობრობის 50-წლიანი ისტორიიდან ბევრი კეთილი მოგონება დღემდე შემორჩა ცნობილ ქართველ მეცნიერს – ზ. ჭუმბურიძეს: „1951 წლის შემოდგომის წვიმიანი დღე იყო. უნივერსიტეტის პრორექტორის სერგი ჟლენტის კაბინეტში გავიცანი იანი. ერთი წელი გავატარეთ ერთ ქარქვეშ, სტუდენტების ერთ პატარა ოთახში. იანი წყნარი და კეთილი, კარგი სამეგობრო კაცი აღმოჩნდა...“ ბ-ნი აკაკი შანიძის რჩევით, იანმა პირველ წელს ზაფხულის არდადეგები გაატარა შუაგულ ქართლში, სოფელ მეჯვრისხევში. მასპინძლობა გაუწია ერთი მჭედლის ოჯახმა. იანი მეტად კმაყოფილი იყო სოფელში გატარებული არდადეგებით, განსაკუთრებით სასაუბრო ენის დაუფლების თვალსაზრისით. მართლაც, მან მოკლე დროში სრულყოფილად შეისწავლა ქართული და რუსული ენები, რაშიც ქართველ მეგობრებთან ერთად დიდად დაეხმარა გულმოდგინება და ენათმეცნიერის ბუნებრივი ალლო.

ბრაუნმა ოთხი წელი დაჲყო საქართველოში, ბრწყინვალედ შეისწავლა ძველი და ახალი ქართული ენა, ლიტერატურა, საქართველოს ისტორია, ეთნოგრაფია, ხელოვნება, კულტურა. პარალელურად ინტენსიურად მუშაობდა საღისერტაციო თემაზე („ქართული ზმნის მრავალპირიანობა“), რომელიც 1955 წელს წარმატებით დაიცვა თბილისში ქართულ ენაზე და მოი-

## პოვა ფილოლოგის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი...

აღსრულდა ჭაბუკური ოცნება: „ლოძში უნივერსიტეტში სწავლისას დავინტერესდი ძველი საბერძნეთისა და მცირე აზიის უძველეს სახელმწიფოთა შორის ენობრივი და კულტურული ურთიერთობით... სამეცნიერო ლიტერატურაში არის მოსაზრება, რომ ქართული ენა ერთ-ერთი უძველესი კავკასიური ენაა და მას კავშირი აქვს ძველი აღმოსავლეთის ენებთან. გადავწყვიტე შემესწავლა ქართული ენა და ეს მიზანი შევასრულე კიდეც.“

1955 წელს ბრაუნი დაბრუნდა სამშობლოში და დაიწყო ვარშავის უნივერსიტეტში პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობა ჯერ ზოგადი ენათმეცნიერების, შემდეგ კი ძველი აღმოსავლეთის ფილოლოგის კათედრაზე. მას მიჰყავდა ლექციების კურსი ზოგად ენათმეცნიერებაში, შემეროლოგიასა და ე.წ. აზიანიკური ენების შედარებით გრამატიკაში; იკვლევდა იბერიულ-კავკასიურ ენებს, ბასკურ-კავკასიურ ენათა ურთიერთობას, ხელმძღვანელობდა ქართული ენის ლექტორატს, რომელიც მისი თაოსნობით ჩამოყალიბდა ვარშავის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში 1961 წელს. გარდა ამისა, ბრაუნმა საგანგებო ყურადღება მიაქცია პოლონეთში დაცულ ქართულ ხელნაწერებს, რომელთა შორის სამი ეტრატზე არის ნაწერი და გამოირჩევა სიძველით, მოიძია და მეცნიერულად აღწერა ისინი. ეს მასალები პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიამ სომხური ხელნაწერების აღწერილობასთან ერთად ცალკე წიგნად გამოსცა 1958 წელს.

პოლონელი მეცნიერი ავტორია არაერთი გამოკვლევისა, რომლებიც შეეხება ქართველურ, ბასკურ, ურარტულ და შუმერულ ენებს. იგი ჯერ კიდევ თბილისში ასპირანტობის დროს განსაკუთრებით დაინტერესდა ბასკური და იბერიულ-კავკასიური ენების ურთიერთმიმართების ჰიპოთეზით და ამ ხაზითაც დაიწყო საკვლევაძიებო მუშაობა. ამ თემაზე პირველი მოხსენებაც თბილისის უნივერსიტეტში ასპირანტთა კონფერენციაზე წაიკითხა.

აღსანიშნავია, რომ იანი ქართულთან ერთად სრულყოფილად ფლობდა ბასკურ ენასაც. იგი 1976 და 1977 წლებში თბილისის უნივერსიტეტში ორჯერ იყო მოწვეული ბასკოლოგის კურსის წასაკითხად. მაგნიტოფონზე ჩაწერილი ლექციების კურსი — „ბასკოლოგის შესავალი“, არნ. ჩიქობავას რედაქციითა და წინასიტყვაობით, ცალკე წიგნადაც გამოსცა **1984** წელს (იგი დღესაც ასრულებს დამხმარე სახელმძღვანელოს როლს).

1980 წელს ბილბაოში ჩატარდა საერთაშორისო კონგრესი ბასკოლოგის საკითხებზე. ბრაუნმა აქ წარადგინა საყურადღებო მოხსენება თემაზე: „**ქართულ-ბასკურ ენათა გენეტიკური ნათესაობის შესახებ**“. მან ქართველური და ბასკური ენების ისტორიულ-შედარებითი შესწავლის საკითხებს მიუძღვნა რამდენიმე წარომი, რომლებიც საბოლოოდ გააერთიანა მონოგრაფიად და **1991** წელს წარადგინა ვარშავის უნივერსიტეტის ნეოფილოლოგის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად.

წაშრომის ოფიციალურმა ოპონენტებმა აღნიშნეს ზოგად ლინგვისტიკაში დასმული პრობლემების აქტუალობა და დადებითად შეაფასეს დისერტაციის ძირითადი დასკვნები. სამეცნიერო საბჭომ მაღალი შეფასება მისცა იან ბრაუნის წაშრომს და მის ავტორს მიანიჭა **დოქტორის ხარისხი**.

„**ბასკურ და კავკასიურ ენათა ნათესაობის პრობლემა, რასაკვირველია, ჯერჯერობით საბოლოოდ გადაჭრილად ვერ ჩაითვლება, მაგრამ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იან ბრაუნის წაშრომებს თვალსაჩინო წვლილი შეაქვთ ამ პრობლემის კვლევაში, რის შედეგადაც ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზის მომხრეთა რიცხვი თანდათან იზრდება.** იან ბრაუნი ამჟამად ერთ-ერთი თვალსაჩინო სპეციალისტია, რომელიც საფუძვლიანად იცნობს როგორც ქართველურ ენებს, ისე მრავალრიცხოვან ბასკურ დიალექტებსაც. მის მიერ დამოწმებული ქართული მასალა აბსოლუტურად სანდოა და მისი ინტერპრეტაციაც - დამაჯერებელი“, – ნათქვამია პროფ. ზ. ჭუმბურიძის რეცენზიაში.

## პოლონეთი

**შენიშვნა:** ი. ბრაუნი ბასკური ენის შესწავლაში ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის არჩეულია ბასკური ენის სამეფო აკადემიის საპატიო წევრად (2001).

ბრაუნი არის პოლონეთში ქართული კულტურის დაუცხოობის პროპაგანდისატი. მას ეკუთვნის სტატიები პოლონურ ენციკლოპედიაში ქართული ენისა და ლიტერატურის შესახებ. მანვე მიაწოდა ცნობები ქართველ მწერლებზე მსოფლიოს მწერალთა ლექსიკონს, რომელიც 1968 წელს გამოიცა ვარშავაში. გარდა ამისა, იგი თარგმნის ჩვენი კლასიკოსი მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებებს. მაგალითად, პოლონელი მკითხველი დედაენაზე გაეცნო ნ. ბარათაშვილის, აკ. წერეთლის, გ. ლეონიძის ლექსებს, სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკებს, ქართული ფოლკლორის ნიმუშებს (ეს უკანასკნელი ორჯერ გამოიცა ვარშავაში ცალკე წიგნად); იან ბრაუნის კონსულტაციითა და უშუალო მონაწილეობით შეიქმნა „ვეფხისტყაოსნის“ პირველი სრული პოეტური თარგმანი პოლონურ ენაზე. იგი სისტემატურ დახმარებას უწევდა იეჟი ზაგურსკის, როგორც პნკარედის მთარგმნელი, მეცნიერ-კონსულტანტი და რედაქტორი.

**შენიშვნა:** „ვეფხისტყაოსნის“ ამ თარგმანს მიეძღვნა ახალგაზრდა ქართველი პოლიონისტის გოჩა შათირიშვილის დისერტაცია, რომელიც ავტორმა ნარმატებით დაიცვა 1995 წელს ვარშავის უნივერსიტეტში იან ბრაუნის ხელმძღვანელობით.

ი. ბრაუნის კონსულტაციით პოლონურ ენაზე ითარგმნა და გამოიცა რამდენიმე წიგნი: დ. ლენგის „ქველი საქართველო“ (1972), დავით ყოლბაიას - „მოქცევად ქართლისავ“, ი. სიკირიცკის მიერ შედგენილი „ქართული პოეზიის ანთოლოგია“ (1985) და სხვ.

იანი საქართველოს ხშირი სტუმარი იყო. იგი აქტიურად მონაწილეობდა ქართული კულტურისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებებში, სამეცნიერო კონფერენციებში. 1966 წელს, რუსთაველის საიუბილეო დღეებში, პოლონეთის დელეგაციის სახელით ქართულ და რუსულ ენებზე ნარმოთქვა შესანიშნავი სიტყვა, რომელიც დააბოლოვა გრ. ორბელიანის ლექსით „სხვა საქართველო სად არის...“

## პოლონეთი

---

1987 წელს თბილისის პუშკინის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (ამჟამად ილიას უნივერსიტეტი) პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა შეხვედრა მოუწყვეს ქართული ენათმეცნიერების პატრიარქის ა. შანიძის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავი ზემის მონაწილე უცხოელ ქართველოლოგებს. აქ იან ბრაუნმა თავის სიტყვაში ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ქართველებსა და პოლონელებს დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს. იგი მომავალშიც ისევე შეურყეველი იქნება, როგორც „ქართული მრავალური“.

1988 წელს პოლონელი მეცნიერი საგანგებოდ ეწვია ჩვენს ქვეყანას, ამჯერად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო ზემიში მონაწილეობის მისაღებად. გამოთქვა უსაზღვრო მადლობა უნივერსიტეტისადმი, სადაც მოხდა ქართველოლოგიაში მისი მეცნიერული ნათლობა და წრთობა. „მე თქვენი ვარ, „გაქართველებული პოლონელი“. მოვლილი მაქს საქართველოს თითქმის ყველა კუთხე, კარგად ვიცნობ ხალხს, ქართულ წეს-ჩვეულებებს. გარდა წმინდა მეცნიერული მუშაობისა, თარგმნილი მაქს ქართული პოეზიის ნიმუშები. ახლაც სიამოვნებით ვაცნობ პოლონელ მკითხველს ქართულ ლექსს“, – განაცხადა სტუმარმა ერთ-ერთ ინტერვიუში.

იან ბრაუნი ჩვენი ხალხის ჭეშმარიტი მეგობარია. მან ქართველ საზოგადოებას გააცნო ფაშიზმის წინააღმდეგ პოლონეთის ომში დაღუპულ ქართველთა გვარები. მათ შორისაა ვარშავის ავგანების მონაწილე 16 წლის ქართველი გმირი გოგონა ირინე სხირტლაძე. მხოლოდ იანის დახმარებით მოხერხდა ირინე სხირტლაძის საფლავის მოძებნა და მისი ბიოგრაფიის დადგენა.

ი. ბრაუნის თაოსნობით **1989** წლის მაისში პოლონეთის ქალაქ პოზნანში გაიმართა ესპანისტიკის პოლონემებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო ცენტრებიდან წარგზავნილი 50-ზე მეტი მეცნიერი (მათ შორის იყვნენ ქართველი ბასკოლოგები გ. ჩანტლაძე და მ. ღლონტი). სიმპოზიუმზე კვლავ დაისვა ქართულ-ბასკური ურთიერთობის

პრობლემა, გამოიკვეთა ბრაუნის თვალსაზრისი, რომ ბასკური არის ერთ-ერთი ქართველური ენა.

ბრაუნი, მიუხედავად სოლიდური ასაკისა, აგრძელებს შემოქმედებით ცხოვრებას. 2004 წელს კვლავ ესტუმრა საქართველოს. წაიკითხა მოხსენებათა ციკლი ქართულ-ბასკურ ენობრივ ურთიერთობათა თემაზე, 2006 წელს კი მონაწილეობა მიიღო ბათუმის საერთაშორისო სიმპოზიუმის მუშაობაში მეტად საინტერესო მოხსენებით „ბასკურ-ქართული ენობრივი შეხვედრები“. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ვიზიტების დროს ჩვენმა სტუმარმა ქართველ კოლეგებთან ერთად მოინახულა მესხეთჯავახეთი, აჭარა და ლაზიკის ნაწილი.

პროფ. იან ბრაუნი მაღალი მეცნიერული დონის მეტად ხელხვავიანი ქართველოლოგია. იგი პოპულარიზაციას უწევს ქართულ კულტურას არა მხოლოდ საკუთარი ნაშრომებით, არამედ ქართველ მეცნიერთა გამოკვლევების, მწერალთა ნაწარმოებების თარგმანებითა თუ გამოხმაურება-რეცენზიებით.

საქართველომ ჯეროვნად დააფასა პოლონელი მეგობრის ღვაწლი: იგი არჩეულია საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრად, გელათის მეცნიერებათა აკადემიის წევრად; 1998 წელს ენათმეცნიერების ინსტიტუტის ინიციატივით მიენიჭა არნ. ჩიქობავას სახელობის პრემია.

2006 წელს საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით ვარშავის უნივერსიტეტში ფართოდ აღინიშნა ღვაწლმოსილი მეცნიერის იან ბრაუნის დაბადების 80 წლის იუბილე, თბილისში ამ თარიღს მიეძღვნა სამეცნიერო კონფერენცია, რომლის მასალები გამოქვეყნდა 2007 წელს „კავკასიურ კრებულში“ (აქვეა დაბეჭდილი იან ბრაუნის გამოკვლევა „პროტოქართველური ენა“).

პოლონეთში ქართველოლოგიურ საქმიანობასთან დაკავშირებით მკითხველს გავაცნობთ ორიოდე ინფორმაციასაც: 1988 წელს პოლონურ ენაზე გამოვიდა „საქართველოს ისტორია“, რომლის ავტორები არიან ბოგდან და ქშიშტოფ ბარანოვსკები. ამ წიგნით პოლონელმა მკითხველმა მშობლიურ ენა-

ზე პირველად იხილა საქართველოს ისტორია გეოგრაფიულ-ეთნიკური და ბიბლიოგრაფიული ცნობარით.

**ჟურნალისტმა ივაზი იასენსკიმა** ქართული ხელოვნების შესახებ ბევრი საყურადღებო ცნობა მიაწოდა პოლონელ მკითხველს: „ქართული ხელოვნება სათუთა, ნატიფი, დახვეწილი, ხალასი და თანაც რაღაცნაირად ამაყი. ეს თვისებები მუდავნდება ხელოვნების ყველა დარგში... საქმარისია, შეხვიდეთ მუზეუმში, რომ დარწმუნდეთ, რაოდენ ძველი, მდიდარია და დიდებული ქართული კულტურა... ქართული კულტურის მუზეუმში თქვენ ნახავთ ვერცხლის მოჭედილობას, წმინდა ქართულ ორნამენტს – ვაზის ფოთოლს, ნატიფად ნაკეთებ ხატებს, უმშვენიერეს მინანქარს, რომლის მსგავსს ვერ იპოვით მსოფლიოში.

კინოეკრანივით გაივლის თქვენს თვალწინ ცხოვრება მამაცი, ნიჭიერი, კულტურული ხალხისა, რომელიც თავისი ისტორიის გარიურაჟიდან მოყოლებული ებრძოდა მტერს, მაგრამ, ნაომარი და ნანამები, მარად ამაყი და თავისუფალი რჩებოდა“.

კითხულობ ამ სტრიქონებს და სიამაყის გრძნობა გეუფლება. თანაც უსაზღვრო მადლობას უთვლი მის ავტორს – ჩვენს უცხოელ მოკეთეს – ქართული ხელოვნების ნიმუშების პირუთვნელი შეფასების გამო.

პოლონეთში ქართველობოგიური კვლევის ტრადიცია ნაყოფიერად გრძელდება.

## ჩეხოსლოვაკია

ჩეხოსლოვაკიაში კავკასიის ქვეყნებით რამდენიმე საუკუნის წინათ დაინტერესებულან.

1874 წელს საქართველოში იმოგზაურა მწერალმა **სვატოპლუსკ ჩეხიმ** (1846-1908). იგი უცხოეთში განცდილსა და ნანახს საყურადღებო წერილების სახით აქვეყნებდა ჩეხურ ჟურნალ-გაზეთებში, 1884 წელს კი გამოსცა წიგნი „**მოგზაურობა კავკასიაში**“, სადაც საქართველოს დაუთმო მნიშვნელოვანი ადგილი.

ლირსსაცნობია, რომ მცირერიცხოვან ხალხთა ენით, ლიტერატურითა და კულტურით პირველად სწორედ ამ ქვეყანაში დაინტერესდნენ: „ჩეხმა მწერლებმა უნდა იკისრონ მცირერიცხოვან და მივიწყებულ ხალხთა ენების შესწავლა, მათთან კავშირის დამყარება, მათი ეროვნულობის დაცვა. მსოფლიო ენებს ხალისით სწავლობენ, რადგან ეს ყოველ კაცს სარგებლობას მოუტანს, მაგრამ ჩეხი მწერლები მხოლოდ პირად სარგებლობაზე არ უნდა ფიქრობდნენ. ისინი უნდა აკეთებდნენ იმას, რაც მათგან თავდადებას, თავგანწირვას მოითხოვს“, — ამ სიტყვებით მიმართა თანამოკალმეებს 1874 წელს ჩეხმა მწერალმა **იოზეფ გოლეჩეკმა**.

პირველი ვრცელი ქართველოლოგიური გამოკვლევები ჩეხოსლოვაკიაში უფრო მოგვიანებით დაიწერა. თანამედროვეთა ცნობით, ჩეხოსლოვაკიაში ქართული ენის პირველი მცოდნე და ქართულიდან მთარგმნელი იყო მწერალი **მ. ვეტი** (ეს პირველი ჩეხია, რომელმაც „ვეფხისტყაოსანი“ ქართულ ენაზე წაიკითხა).

1912 წელს ჩეხურ ენაზე დაიბეჭდა ო. ვეტის მიერ თარგმნილი აკ. წერეთლის მოთხოვა „**ბაში-აჩუკი**“. წიგნის წინასიტყვაობაში ავტორმა მოკლედ, მაგრამ საქმის ცოდნით მიმოიხილა ქართული მწერლობა (ვეტისეულ ქართულ წიგნებზე მიწერილი ყოფილა მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანი შენიშვნები, კომენტარები).

**იარომირ იედლიჩკა** (1901-1965) სამართლიანად ითვლება მსოფლიოში სახელგანთქმულ ქართველოლოგად. იგი და-

## ჩეხოსლოვაკია

იბადა პრაღაში. მისი მამა იყო ცნობილი ენათმეცნიერი, კლასიკური ენებისა და ფილოლოგის მკვლევარი. მართალია, მამა ვაჟის დაბადებამდე ორი თვით ადრე გარდაიცვალა, მაგრამ ოჯახურმა ტრადიციამ მაინც დიდი გავლენა იქონია მომავალი მეცნიერის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე, საკვლევაძიებო ინტერესის გამოკვეთაზე. ვაჟის აღზრდა მთლიანად წარმართა დედამ – ცნობილმა ფილოლოგმა და ბელეტრისტმა.

ი. იედლიჩკა მონაფეობიდანვე გამოირჩეოდა განსაკუთრებული ნიჭიერებით, გასაოცარი შრომისმოყვარეობითა და ენებისადმი მიდრეკილებით. 17 წლისას შეუსწავლია უნგრული ენა. ბავშვობიდანვე დაუწყია მოთხრობებისა და ლექსების წერა. 1920 წელს დაამთავრა პრაღის აკადემიური გიმნაზია, 1925 წელს – პრაღის უნივერსიტეტის ინგლისურ-სლავური ფილოლოგიის განყოფილება, 1927 წელს – ლონდონის უნივერსიტეტი. 26 წლისამ პრაღაში დაიცვა საღოქტორო დისერტაცია თემაზე „რეალიზმის თეორია და პრაქტიკა ჯონ გოლსუორთისა და არნოლდ ბენეტის თხზულებებში“.

ახალგაზრდა მკვლევარმა 1930 წელს დამოუკიდებლად დაიწყო სომხური ენის შესწავლა, 1933 წლიდან კი ეუფლებოდა ძველსა და ახალ ქართულ ენას და რამდენიმე წლის შეუნელებელი მუშაობის შემდეგ თითქმის სრულყოფილად აითვისა სასაუბრო ქართული, კარგად ერკვეოდა ჩვენი ენის გრამატიკულ თავისებურებებშიც.

ქართული ენით იედლიჩკას დაინტერესება გამოწვეული ყოფილა ი. გოგებაშვილის „დედაენით“. ამ წიგნის მშვენიერ ქართულ მელოდიას ძალზე მოუხიბლავს ჩეხი ჭაბუკი, ხოლო, როცა პირველად მოუსმენია, თუ როგორ უდერდა რუსთაველის უკვდავი პოემა, მის თვალწინ სრულიად ახალი სამყარო გადაშლილა.

ქართულ ენაში საკმაოდ განსწავლული იედლიჩკა თარგმნიდა ქართული მხატვრული ლიტერატურის კლასიკურ ნიმუშებს, წერდა მეცნიერულ გამოკლევებს. გარდა ამისა, რეცენზიებითა და შენიშვნებით ეხმაურებოდა კავკასიური ენებისა და

ქართული ლიტერატურის საკითხებზე უცხოეთში დაბეჭდილ ნაშრომებს.

მალე იედლიჩკამ ქართული ენისა და ლიტერატურის პოპულარიზაციის მიზნით დაიწყო პრაქტიკული საქმიანობაც: ქართულს ასწავლიდა ჯერ პრაღის სავაჭრო აკადემიაში (1939-1945), შემდეგ კი (1946-1948) – აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. ერთხანს იგი პრაღის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მსახურობდა, მაგრამ 1953 წლიდან კვლავ დაუბრუნდა თავის საყვარელ საქმეს – მოღვაწეობდა პრაღის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, როგორც ქართული და სომხური ენების პროფესორი.

1961 წლიდან ი. იედლიჩკას დაენიშნა პენსია, თუმცა სახელგანთქმული სწავლული კვლავ განაგრძობდა მეცნიერულ მუშაობას, მთარგმნელობითს საქმიანობას. იგი იყო ფართო ერუდიციის მქონე მკვლევარი, პოლიგლოტი. უნგრულის, გერმანულის, ინგლისურის, ესპანურის, ქართულის, სომხურის, რუსულის საფუძვლიანი ცოდნა საშუალებას აძლევდა, უშუალოდ გასცნობოდა სხვადასხვა ქვეყნისა და ხალხის მეცნიერულ მემკვიდრეობას.

ი. იედლიჩკა ისე ზედმინევნით ფლობდა ქართულ ენას, რომ თბილისში გამართულ სამეცნიერო სესიებზე მოხსენებებს ქართულად კითხულობდა. იგი მოხიბლული იყო ჩვენი ენის ბუნებითა და გამომსახველობით ძალით. „ქართული ენა თავისი უღერადობით მსოფლიოს ყველაზე მელოდიურ ენათა ჯგუფს განეკუთვნება, თავისი ლექსიკის სიმდიდრით კი – სამხრეთ ევროპის კლასიკური ქვეყნებისას. ჭეშმარიტად მხოლოდ ამ ენაზე შეიძლებოდა შექმნილიყო სწორუპოვარი „ვეფხისტყაოსანი“, – წერდა მეცნიერი და კიდეც დიდი ინტერესით იკვლევდა ძველსა და თანამედროვე ქართულ ენას. მას გამოქვეყნებული აქვს მრავალი საყურადღებო ნაშრომი: „გამოკვლევა ძველ ქართულ ზმნისართებზე“, „ძველი ქართული ენის სტრუქტურა“, „სიტყვანარმოება და ბრუნება ძველ ქართულში“, „აფხაზურისა და ქართული ენის ურთიერთობის შესახებ“, „ქართული ეტიმო-

## ჩეხოსლოვაკია

ლოგიები“, „ი. ჭავჭავაძის მოთხრობათა გმირები“, „ქართული ხალხური ზღაპრები“, „ძველი ენის სწავლება საქართველოში“, „იაკობის ჟამის წირვის ხელნაწერი პრაღაში“ და სხვა. გამოსცა ძველი ქართული ტექსტები და მათი აღწერილობანი.

ჩეხურ-ქართული კულტურული ურთიერთობის თვალსაზრისით ფასეულია, აგრეთვე, ი. იედლიჩკას მიერ ელ. ერისთავთან<sup>1</sup> ერთად ქართველთათვის შედგენილი **სახელმძღვანელო „ჩეხური ენა“** (დაბეჭდა საქართველოში 1972 წელს გ. ახვლედიანის რედაქციით). წიგნის ძირითადი ნაწილი შეიცავს 30 ლექციას, რომელსაც ახლავს ჩეხურ-ქართული და ქართულ-ჩეხური ლექსიკონი.

დიდია ი. იედლიჩკას ღვანლი მთარგმნელობით საქმიანობაშიც. მან თანამემამულეებს მშობლიურ ენაზე გააცნო ქართული მწერლობის ბევრი შესანიშნავი წარმომადგენელი; განსაკუთრებით უყვარდა შოთა რუსთაველი, მას გენიოსად თვლიდა: „მე თუ გამოვთქვამ ჩემს აღტაცებას „ვეფხისტყაოსნის“ გამო, რა თქმა უნდა, ორიგინალობას ვერ დავიჩიმებ. „ვეფხისტყაოსანი“, შ. რუსთაველი მთელ მსოფლიოს მოსწონს... პოემა თავისი ფორმით, სტილით, ენითა და მხატვრულობით ცხოვრებისეულია, სიბრძნითა და ადამიანური ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნით მაღალი პოეზიის უკვდავი ნიმუშია.“

ჩეხი მეცნიერი შეუწელებელი ინტერესით თარგმნიდა „ვეფხისტყაოსანს“. იმდროინდელი ჩეხური პრესის ცნობით, მას ომის დროს თავშესაფარში მიჰქონდა პოემა და ყუმბარების ხმაურშიც კი თარგმნიდა. ი. იედლიჩკამ „ვეფხისტყაოსანი“ ჯერ პროზაულად თარგმნა, ხოლო შემდეგ (1958) დაბეჭდა პოემის პოეტური თარგმანი (ვრცელი წინასიტყვაობით), რომელსაც

<sup>1</sup> ელ. ერისთავი იყო ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას ძმისშვილი. მან ახალგაზრდობა ემიგრაციაში გაატარა. ცხოვრობდა თურქეთში, საფრანგეთში, ჩეხოსლოვაკიაში. დაამთავრა პრაღის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი, ზედმინევნით დაეუფლა ჩეხურ ენას, რომელსაც შემდგომ ასანავლიდა თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტში. ელ. ერისთავმა ი. იედლიჩკასთან ერთად დიდი შრომა გასწია ჩეხური ენის სახელმძღვანელოს შესაქმნელად.

ქართველმა სპეციალისტებმა მაღალი შეფასება მისცეს: „მასში შენარჩუნებულია დედნისეული რიტმი და მუსიკალობა. დაცულია მაღალი და დაბალი შაირი; კარგადაა გადატანილი მეტაფორები, მაჯამები, აფორიზმები და ა.შ. (შ. გვინჩიძე). საგულისხმოა ისიც, რომ თარგმანს ერთვის მთარგმნელის ნარკვევი, სადაც საინტერესოდაა მოთხოვილი რუსთაველის ბიოგრაფია, აღნერილია პოემის შედგენილობა და მხატვრული მხარე. ფაქტობრივად ეს იყო „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ ჩეხურ ენაზე პირველი ვრცელი ნარკვევი, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი რუსთაველის პოპულარიზაციას ჩეხეთში. „ჩეხურმა კულტურამ საკუთარი, უშუალო კონტაქტები დაამყარა ქართულ კულტურასთან მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“ ჩეხური თარგმანის გამოქვეყნების შემდეგ“ (ვ. ჩერნი). გარდა ამისა, ი. იედლიჩკას თარგმანებით გაეცნო დედაენაზე ჩეხი მკითხველი სულხან-საბა თრბელიანის, დ. გურამიშვილის, დ. ჭონქაძის, აკ. წერეთლის, ლ. ქაჩელის, გ. ლეონიძის და სხვათა თხზულებებს, აგრეთვე, ხალხურ ზღაპრებს, რომელიც ნორჩი მკითხველის ძვირფასი საჩუქარი იყო. წინასიტყვაობაში მთარგმნელი ჯერ შთამბეჭდავად აღნერს საქართველოს ულამაზეს ბუნებას, შემდეგ კი მკითხველი შეჰყავს ზღაპრულ სამყაროში: „ზღაპრები, რომლებიც აქაა წარმოდგენილი, წარმოიშვა მსოფლიოს ერთ-ერთ ულამაზეს ქვეყანაში. წარმოიდგინეთ პალმების ჭალები შავი ზღვის სანაპიროზე, ალპური საძოვრები, დაბურულ ხშირ ტყეებს რომ გადმოჰყურებს, მათ ზემოთ კავკასიის მთების თოვლიანი მწვერვალები და ქვემოთ სამხრეთის მზიანი მთის კალთები, რომლებზეც შეფენილია თვალწარმტაცი ბალ-ვენახები. ეს ბალ-ვენახები ბარისაკენ ეშვება, რომელსაც თავისი მკერდი მშრალი აზიური ქარების შესახვედრად გადაუშლია. ამ მრავალფეროვნებამ და მომხიბლავმა სილამაზემ, შემჭიდროებულმა და უხვად მოფენილმა ისეთ მცირე ფართობზე, როგორიცაა საქართველო, თავისი მხატვრული გამოხატულება ჰპოვა ამ ქვეყნის ლიტერატურულ ნაწარმოებებში.

## ჩეხოსლოვაკია

საქართველო ჯადოქრული გზაჯვარედინია დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის... ქართული ხალხური ზღაპრები ქართული ზეპირსიტყვიერების უდიდეს და უმდიდრეს ნაწილს შეადგენს...“

ვკითხულობთ ამ სიტყვებს და ვგრძნობთ, რომ მხოლოდ დიდ შემოქმედს ხელენიფება, შორიდან – ოდენ წიგნების მეოხე-ბით, ასე გაითავისოს თვალით უხილავი ქვეყნის გეოგრაფიული არეალი თვალწარმტაცი ბუნებით, ამოიცნოს ხალხის ზნე-ჩვეულებანი და სხვასაც შეაგრძნობინოს იგი. თუმცა, როცა 1957 წელს ი. იედლიჩკა პირველად ეწვია საქართველოს, ჩვენი ხალხის სტუმართმოყვარეობითა და ქვეყნის სილამაზით მოხიბლულმა, გულწრფელად აღიარა: „აი, ახლა საქართველოს მიწა-წყალზე შემოვდგი ფეხი და ბედნიერად ვთვლი თავს. სინამდვილემ მთელს ჩემს წარმოდგენას გადააჭარბა.“

სპეციალისტებისათვის საინტერესოა აგრეთვე ი. იედლიჩკას „ეტიმოლოგიური ძიებანი“, სადაც განხილულია სიტყვები: ა) დიდუბე, დუბელა, დაბა, უდაბნო, დაბალი, ტბა, ტბორე; ბ) თოკი, თიკანი, ციკანი, ბატკანი, ბოტი, ვაცი, ვაციკი, თხა, თოხლი; გ) მზე, ბჟუტვა, ბლვერა, ბლუარ, ადრე, დრო, თვე, მთვარე, თვალი და სხვა.

ი. იედლიჩკა გამორჩეული იყო თავისი პიროვნული თვისებებითაც. მას ბევრი ქართველი მეგობარი ჰყავდა როგორც უცხოეთში, ისე ჩვენში. მეცნიერული კონფაქტები და პირადი მეგობრობა აკავშირებდა საქართველოში კ. კეკელიძესთან, ა. შანიძესთან, ს. ულენტთან. ალ. ბარამიძესთან, ი. მეგრელიძესთან, მიხ. ჩიქოვანთან... საგულისხმოა ისიც, რომ იგი ქართველ კოლეგებსა და თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკას სისტემატურად (და დროულად) აწვდიდა უცხოეთში გამოსულ ქართველოლოგიურ ლიტერატურას. მეორე მხრივ, თანამშრომლობდა უურნალში „ბედი ქართლისა“, პირველი ეხმაურებოდა უცხოეთში გამოსულ ქართველოლოგიურ ნაშრომებს, უძღვნიდა ვრცელ რეცენზიებს. მაგალითად, უცხოელ ქართველოლოგთაგან ი. იედლიჩკამ პირველმა შეაფასა მეცნიერულად კ. ჩხენკელის „ქართული ენის შესავალი“, წარმოაჩინა ამ წიგნის უდიდესი

მნიშვნელობა-ღირებულება. მან ცნობილ ორგანოში „არხივ ორიენტალი“ გამოაქვეყნა რეცენზიები ჟ. დიუმეზილის („კავკასიური ენების შესახებ“), ი. ასფალგის („გერმანიაში არსებულ ხელნაწერთა აღნერილობა“), ჰ. ფოგტის („უბიხური ლექსიკონი“) ნაშრომებზე, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულზე... იედლიჩკას შეუდგენია ქართველ მოღვაწეთა ენციკლოპედია (400-გვერდიანი).

ი. იედლიჩკა ახლოს იცნობდა ქართველ ლინგვისტთა მეცნიერულ მიღწევებს და დიდ შეფასებას აძლევდა მათ: „ლინგვისტიკაში ქართველ მეცნიერებს მოწინავე ადგილი უჭირავთ... აქ წყვეტენ მრავალ პრობლემას, რომლებიც ეხება არა მარტო თვით ქართული ენის ისტორიას, არამედ ქართველური ენების მთელ ოჯახს, აგრეთვე კავკასიოლოგიასა და ურთიერთობას წინა აზის მკვდარ ენებთან.“

სიცოცხლის ბოლო წლებში ი. იედლიჩკა მუშაობდა კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მეორე ტომის თარგმანზე, რომელიც გერმანულად უნდა გამოსულიყო ი. ასფალგის თანაავტორობით.

**შენიშვნა:** ი. იედლიჩკა ი. ასფალგს გაეცნო 1960 წელს მოსკოვში გამართულ ორიენტალისტთა 25-ე საერთაშორისო კონგრესზე. მას შემდეგ დამყარდა ამ ორ ქართველოლოგს შორის ახლო ურთიერთობა, მეცნიერული კონტაქტები, გამოიკვეთა საკულტურაძიებრი სფეროში საერთო ინტერესები... მაგრამ მათი თანამშრომლობა დიდხანს არ გაგრძელებულა.

სამწუხაროდ, ჩეხ ქართველოლოგს არ დასცალდა კ. კეკელიძის მონოგრაფიის თარგმნა. იგი გარდაიცვალა 63 წლის ასაკში. „თავზარდამცემი ცნობა მივიღეთ დღეს იარომირ იედლიჩკას გარდაცვალებისა... დიდი მეგობარი დაკარგა საქართველომ. მისი დაკარგვა საშინელი დანაკლისია ჩვენთვის“, — მწუხარებით იუნიებოდა „ბედის ქართლისას“ რედაქტორი კ. სალია. ქართველი მეგობრებიც გულისტკივილით წერდნენ: „იედლიჩკა იყო გულმართალი მოქალაქე, სათნო და ხალხთა მოყვარული ადამიანი. ჩვენი ერის დიდი მეგობარი და კულტურის მკვლევარი. მისი გარდაცვალება დიდი დანაკლისია ჩვენთვის. დაე, მისი შრომა

## ჩეხოსლოვაკია

იყოს მისაბაძი მისი თანამემამულეებისათვის, ხოლო ჩვენი მადლიერი ხალხი მის ღვანლს არ დაივინყებს“. ი. იედლიჩკას, ცნობილ მეცნიერსა და გამორჩეულ ქართველოლოგს, აღ. ბარამიძემ სამართლიანად უწოდა ქართული ენის მცოდნე პროფესორი, ლინგვისტი და პოეტი.

დიდია იედლიჩკას დამსახურება საზღვარგარეთულ ქართველოლოგიაში იმ მხრივაც, რომ მან შექმნა ჩეხ ქართველოლოგთა ძლიერი სკოლა, რომელიც ღირსეულად აგრძელებს მასნავლებლის მიერ დაწყებულ შემოქმედებით საქმიანობას. ამ მხრივ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ვაცლავ ჩერნი, ივო ვაცულინი, ივო პეტუკი და სხვები.

**ვაცლავ ჩერნი** (დ. 1931) ბავშვობის ასაკში გაეცნო ქართულ ენასა და ქართულ მწერლობას. იგი გიმნაზიაში სწავლობდა იარომირ იედლიჩკას ვაჟიშვილთან. ამ დროს ცნობილი მეცნიერი იარომირი პრალის აღმისავლური ენების ინსტიტუტში ასწავლიდა ქართულსა და სომხურს. მისი ოჯახის ბიბლიოთეკაში ბევრი ქართული წიგნი იყო. ვ. ჩერნიმ პირველად იქ ნახა ქართული წიგნი, მოეწონა ასოები და კიდეც გადაწყვიტა კავკასიური ენების შესწავლა. ამ ფაქტს ვ. ჩერნი მოგვიანებით ასე იგონებდა: „ქართულ კულტურასთან მიმიყვანა რომანტიკულობამ... 15 წლისამ დავინყე ქართული ენის შესწავლა. ჩემი პირველი მასწავლებელი იყო ქართველოლოგი იარომირ იედლიჩკა... ჩემი პირველი ქართული წიგნი იყო რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“, რომელმაც, ეტყობა, ისე მომხიბლა, რომ ლაპარაკი ძველი ქართული ენით დავინყე.“

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ჩერნი ჩაირიცხა პრალის უნივერსიტეტში ახლადგახსნილ ქართული ენის განყოფილებაზე. იგი იედლიჩკას ხელმძღვანელობით სხვა კავკასიურ ენებსაც გულმოდგინედ სწავლობდა. ევროპული ენების გარდა შესანიშნავად ფლობდა ქართულს, ადილეურს (საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა ადილეური სინტაქსის საკითხებზე), იცოდა აგრეთვე სომხური, ჩერქეზული, აფხაზური, ხუნძური ენები.

ვ. ჩერნი მეცნიერულ მოღვაწეობას იწყებს პრაღის აღმო-სავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, მაგრამ 1968 წლიდან თავს ანებებს ოფიციალურ სამსახურს და **ხდება თავისუფალი ლიტე-რატორი** (რომელიც არსად არ მუშაობს და მხოლოდ ლიტერატუ-რით ცხოვრობს).

ჩეხი ქართველობოგი საქართველოს ხშირი სტუმარი იყო, მოგზაურობდა ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში, ზედმიწევნით იც-ნობდა ქართველი ხალხის ბუნებას, მის ხასიათსა და სულს. სწო-რედ საქართველოს სიყვარულმა შთააგონა მას, უცხოეთში პოპუ-ლარიზაცია გაეწია ქართული ენისა და ლიტერატურისათვის, მშობლიურ ენაზე აემეტყველებინა ი. ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, მ. ჯავახიშვილის, კ. გამსახურდიას, ნ. ლორთქიფანიძის, ნ. დუმბა-ძის, რ. ინანიშვილის, ა. კალანდაძის, გ. ფანჯიკიძის, ოთარ და თა-მაზ ჭილაძების, მ. მაჭავარიანის, ჭ. ამირეჯიბის, ჯ. ჩარკვიანის, რ. ჭეიშვილის, თ. ბიბილურისა და სხვათა ნაწარმოებები.

ვ. ჩერნის განსაკუთრებით **ხიბლავს ვაჟას პოეზია:** „ჩემი აზრით, ვაჟა ყველაზე დიდი პოეტია საქართველოსი... შოთა რუსთაველი უფრო ზოგადკაცობრიული, უფრო მსოფლიო მოვ-ლენაა, ხოლო ვაჟას პოეზიაში სუფთა ქართული სული ჭარ-ბობს. ევროპელ მკითხველს უფრო დიდ ინფორმაციას აძლევს ქართველი ხალხის, მისი ფსიქოლოგიის, მისი ყოფის შესახებ“.

ჩერნის დაკვირვებით, ქართული ლიტერატურა ერთ-ერთი უძველესია და, ბუნებრივია, მისი დიდი ტრადიციები თავისებურ გაგრძელებას პოულობს დღევანდელ მწერლობაში. ქართული მოთხოვნის, ქართული რომანის დონე დღეს იმდენად მაღალია, რომ მისი თარგმნა სასურველია ყოველი ხალხის ენაზე: „ქართულ წიგნებს მარტო იმიტომ კი არ ვთარგმნით, რომ გვიყვარს საქარ-თველო, მისი ბუნება, მისი ადამიანები, მოგვწონს ქართული ყო-ფა... არა, აქ მთავარია სიახლოვე ლიტერატურული ინტერესებისა. ჩეხი მკითხველი თქვენს ლიტერატურაში ხედავს რაღაც სხვაგ-ვარს, ამაღლებულს და თანაც პასუხს ეძებს მისთვის საინტერესო, თანამედროვე პრობლემებზე.“ ჩერნისათვის თარგმანი ისეთივე შემოქმედებითი შრომის ნაყოფია, როგორც ორიგინალის შექმნა.

## ჩეხოსლოვაკია

ვაცლავის ოცნება იყო „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა. „ჩეხურ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ ერთი თარგმანი გვაქვს ი. იედლიჩკასი. მაგრამ მასში უფრო ნაწარმოების შინაარსია გადმოცემული, ვიდრე პოემის ღრმა ფილოსოფიური აზრი. მე კი ჩემს მკითხველს რუსთაველი მინდა ნარვუდგინო, როგორც დიდი მოაზროვნე და ფილოსოფოსი“, — ნერდა იგ.»

ვ. ჩერნი მეტად ნაყოფიერი და ხელხვავიანი მთარგმნელ-შემოქმედია. მის გასაოცარ შრომისმოყვარეობას ამშვენებს სიტყვის ხიბლის განსაკუთრებული ალლო და ნიჭი: „ვაცლავს ისეთი ინტუიცია აქვს ენის მიმართ (და განსაკუთრებით როცა საქმე ქართულს ეხება), რომ ის, თუნდაც არ იცოდეს სიტყვის ზუსტი შესატყვისი, გუმანით იქცერს ფრაზის აზრს და პოულობს ეკვივალენტს ჩეხურში“ (თ. ჯვარიძე).

მრავალმხრივია უცხოელი მეცნიერის მოღვაწეობის სფერო ქართველობობიაში. 1976 წელს პრაღაში დაისტამბა მისი მონოგრაფიული ნაშრომი „ქართული ენის საფუძვლები“ („ზავლადი გრუშინშტინი“), რომელიც ითვლება ქართული ენის პირველ სახელმძღვანელოდ ჩეხურ ენაზე. იგი განკუთვნილი იყო ჩეხებისათვის, მაგრამ ამ პატარა მოცულობის წიგნმა პოპულარობა მოიპოვა არა მარტო ჩეხებში, არამედ ქართული ენით დაინტერესებულ სლავისტებშიც. უფრო მოგვიანებით ვ. ჩერნიმ ახალგაზრდა ქართველობოგთათვის (თავისი მონაფეებისათვის) საგანგებოდ შეადგინა და გამოსცა სახელმძღვანელო „ქართული ენის თვითმასწავლებელი“.

ვ. ჩერნის ეკუთვნის სტატიები ქართული ლიტერატურის შესახებ იუგოსლავიის ლიტერატურული ენციკლოპედიისა და ჩეხური ლიტერატურული ლექსიკონისათვის, იუნესკოს დაკვეთით სტატიები ქართველ მწერლებზე და ა.შ.

საგულისხმოა ისიც, რომ ჩერნი ქართულ ენასა და ლიტერატურას პოპულარიზაციას უწევს არა მარტო თარგმანებით, მეცნიერული მოღვაწეობით, არამედ მთელი თავისი ყოველდღიური ცხოვრებითაც. ახლობლების თქმით, მას გამოწერილი აქვს ყველა ქართული ლიტერატურული ჟურნალი და გაზრით. ვ. ჩერ-

## ჩეხოსლოვაკია

ნის კარ-მიდამო პრაღის ცენტრში პატარა ქართული სამყაროა, სადაც ქართულად ლაპარაკობენ კიდევ და საქართველოსადმი სიყვარულით ცხოვრობენ. ამიტომ სამართლიანად უწოდებენ ვაცლავს „პრაღელ ქართველს“, ხოლო მის სამყოფელს – „ქართულ კუნძულს“: „ამ სახლში მოსულს გეუფლება განცდა, რომ ოჯახი საქართველოთი ცხოვრობს, საქართველოს იგონებენ, საქართველოზე ოცნებობენ, საქართველოს აცნობენ იმათ, ვინც ჩვენში არასოდეს ყოფილა. მათ სუფრაზე ჩვეულებრივი ამბავია ქართული სანელებლებით შეზავებული კერძები, ჩვენებური ტყემალი, ჩვენებური ჩურჩელა და ჩირი“ (თ. ჯვარიძე).

ქართველი მეგობრების დახასიათებით, „კარგი ქართველი“ – ვაცლავ ჩერნი ისე ახლოს იცნობდა ქართულ ყოფას, ზნე-ჩვეულებებს, ადათ-წესებს, ხალხურ ზეპირსიტყვიერებასა და განსაკუთრებით ქართულ ხალხურ სიმღერებს, რომ ერთმანეთისაგან ადვილად არჩევდა ყველა კუთხის სიმღერას.

წლების შემდეგ ვაცლავ ჩერნი კვლავ დაუბრუნდა სამეცნიერო საქმიანობას, პრაღის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე ასწავლიდა ქართულ ენას.

1990 წელს თბილისში შეიქმნა „მასარიკ-რობაქიძის“ ჩეხეთ-საქართველოს საზოგადოება, რომლის ჩეხური ნაწილის თავმჯდომარე ვაცლავ ჩერნი გახლდათ.

ქართველი ხალხი ყოველთვის ღირსეულად აფასებს თავისი უცხოელი მოკეთების ღვანწლასა და ამაგს. ამის ერთ-ერთი ჭეშმარიტი გამოხატულებაა 1993 წელს ქართულ ენასა და კულტურაზე ფანატიკურად შეყვარებული ჩეხის – ვაცლავ ჩერნისათვის ივ. მარიაბლის სახელობის პრემიის მინიჭება. ოფიციალურ მასალაში აღნიშნულია: ვაცლავ ჩერნის ეს პრემია მიენიჭა ქართული ღიტერატურის ჩეხურ ენაზე თარგმნის საქმეში დიდი დამსახურებისა და ქართულ-ჩეხური კულტურული და ღიტერატურული ურთიერთობის განვითარებაში უმნიშვნელოვანესი ღვანწლისათვის.

1991 წელს ჩეხური უურნალისათვის მიცემულ ინტერვიუში ჩვენმა უცხოელმა მეგობარმა ერთხელ კიდევ ხაზგასმით წარმოაჩინა თავისი სულიერი სიახლოვე კავკასიელი ხალხების კულ-

## ჩეხოსლოვაკია

ტურასთან, ერთგვარად შეაჯამა განეული მუშაობა და სამომავლო გეგმებიც დასახა: „რამდენიმე ქართველ პოეტთან თანამშრომლობით ჩეხურ ენაზე ვთარგმნე 25 წიგნი... მივაღწიეთ იმას, რომ ჩეხებმა სხვა ხალხებზე უკეთ გაიცნეს ახალი ქართული ლიტერატურა. ვაღიარებ, რომ მე ვამაყობ ამით, მაგრამ მთავარი დამსახურება ეკუთვნით მათ (ქართველებს – უ.ფ., ი.ვ.). რომ ასეთი არაჩვეულებრივი ლიტერატურა არ შეექმნათ, ჩემი შრომა ფუჭი იქნებოდა.

კავკასიონი თავის ხალხების სიმრავლითა და ამავე დროს მაინც საერთო ცივილიზაციითა და კულტურით მომეჩვენა როდოსის კუნძულად, რომელზედაც შემიძლია იმდენი ვიცეკვო, სანამ არ დავიღლები. ქართულის გარდა ვკითხულობ ექვს კავკასიურ ენაზე. ჯერჯერობით ფილოსოფიურ ფაკულტეტზე ვასწავლი ქართულ ენასა და ვოცნებობ იმაზე, რომ პრაღაში გაიხსნება კავკასიოლოგის ცენტრი...“

ლირსასაცნობია, რომ ამჟამად ჩეხოსლოვაკიაში ძალზე გაიზარდა ინტერესი საქართველოსადმი, ქართული ენისა და კულტურისადმი, ბევრი ჩეხი ახალგაზრდა სწავლობს ქართულ ენას. ამაში უდავოდ განუზომელია დამსახურება ვაცლავ ჩერნისა და მისი ქართული სახლისა, რომლის ხშირი და სასურველი სტუმრები არიან ივო პეტშიკი, ივო ვაცულინი, კამილ ხრობაკი, მილან ტოკარი, ვლადიმირ ნოვოტნი და სხვანი.

**ივო პეტშიკი** – მსოფლიოში ცნობილი ჩეხი ფოტოხელოვანი, ქართველი ხალხის დიდი მეგობარია. იგი საკუთარი ინიციატივით რამდენჯერმე ეწვია ჩეხენს ქვეყანას. მოიარა კახეთი, ქართლი, მესხეთი, სვანეთი, იმერეთი. შეაგროვა აქაური ბუნებისა თუ ისტორიული ძეგლების ამსახველი დიდძალი ფოტომასალა, რომელიც უცხოელებმა გულთბილად მიიღეს.

სწორედ საქართველოს სიყვარულმა დაუახლოვა პეტშიკი ვაცლავ ჩერნის. ჩეხი ქართველოლოგები ერთობლივად ამზადებდნენ წიგნს საქართველოს შესახებ. პეტშიკის ფოტოებით დასურათებული ეს წიგნი იქნება ჩეხი მეგობრების თვალით დანახული საქართველო.

ი. პეტრიკი აღფრთოვანებული იყო არა მარტო ჩვენი ხალ-სის კულტურით, ზნე-ჩვეულებებით, არამედ საქართველოს ულამაზესი ბუნებითაც. „წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემში სვანეთის და, კერძოდ, უშგულის ხილვამ. მთები ჩემთვის უცხო არაა. მოვლილი მაქვს პამირი, ჰიმალაი... მაგრამ სვანეთი მაინც სხვაა... ზვიადი საგვარეულო კოშკები, ჩემი აზრით, მსოფ-ლიო უნიკალური მოვლენაა. უნდა ვეცადო და უახლოეს წლებში კიდევ ვესტუმრო სვანეთს არა მარტო მთებისა და კოშკების, არამედ ხალხის გადასაღებად. საოცრად მხიბლავს ქართველი ხალხის მოსიყვარულე ბუნება. ვცდილობ, როგორმე ფოტოებში შევინარჩუნო ბუნებისა და ხელოვნების ძეგლთა ის საოცარი ჰარმონია, აქ რომ ყოველ ნაბიჯზე გვხვდება“, – აღნიშნავდა ფო-ტოხელოვანი ჯერ კიდევ 1980-იანი წლების დასაწყისში.

**033 ვაცულინი** – ცნობილი ჩეხი ქართველოლოგი (და კავკასიოლოგი) – გახლდათ ი. იედლიჩკას მოწაფე და მისი შთაგო-ნებით შეიყვარა ქართული ენა და ლიტერატურა. იგი ხშირად სტუმრობდა ჩვენს ქვეყანას, საქმაოდ კარგად დაეუფლა ქართულ ენას. ჩეხურ უურნალ-გაზეთებში სისტემატურად აქვეყნებდა რე-პორტაჟებს საქართველოს შესახებ, წერდა კრიტიკულ ნაშრო-მებს, თარგმნიდა ქართული კლასიკური მწერლობის ნიმუშებს. ქართულიდან მისი პირველი თარგმანი იყო „**სიბრძნე სიცრუისა**“.

ივო ვაცულინმა საინტერესო გამოკვლევა უძლვნა „**ვეფ-ხისტყაოსანს**“. მან თანამემამულებს გააცნო რუსთაველის ცხოვრება, მისი პოემის სიდიადის საფუძველი: „მხოლოდ პოეტ-თა მცირე რიცხვს რგებია ისეთი დიდი პატივი, როგორიც შოთა რუსთაველს, რომელიც უდიდესი სიყვარულით სარგებლობს ქართველთა შორის. ეს შეიძლება ევროპელთ გადაჭარბებად ეჩ-ვენოთ, მაგრამ იმ ხალხისათვის, რომელსაც მთელი ისტორიის მანძილზე თავისი არსებობისათვის უბრძოლია, სამშობლოს ყო-ველი მტკაველი სიცოცხლის ფასად შეუნარჩუნებია, სისხლით გადარჩენილი ძველი კულტურის, მისი ყოველი ძეგლის მნიშვნე-ლობა ფრიად ბუნებრივი და გასაგებია“.

## ჩეხოსლოვაკია

**კამილ ხროპავი** – პრაღის ერთ-ერთი უდიდესი გამომცემლობა „ოდეონის“ განყოფილების გამგე, ვ. ჩერნის „ქართული სახლის“ აქტიური წევრი — საქართველოს პირველად ესტუმრა 1980 წელს. ახლოს გაიცნო ჩვენი ხალხი, მისი ენა და მდიდარი ლიტერატურა, დაუმეგობრდა ქართველ კოლეგებს და ამიერი-დან მის შემოქმედებითს მოღვაწეობაში ქართველოლოგიურმა საქმიანობამაც დაიჭირა ჯეროვანი ადგილი.

გამომცემლობა „ოდეონშა“ კ. ხრობაკის თაოსნობით დაბეჭდა რამდენიმე ქართული წიგნი, რომელთა შორის აღსანიშნავია ვაჟა-ფშაველას პოემები და ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუ-თაშხია“. ორივე წიგნს ჩეხი მკითხველი მოწონებით შეხვდა. თავად ხრობაკიც კმაყოფილებით აღნიშნავდა: „ვაჟა-ფშაველას წიგნს „გველისმჭამელი“ ჰქვია. კრებული მშვენივრადაა გაფორმებული. 1980 წელს საქართველოდან გამგზავრებისას თან წავიღე ფშავური ორნამენტების ფოტოები. ჩვენმა მხატვარმა წიგნი ამ ორნამენტების მიხედვით გააფორმა და საზოგადოების მოწონება დაიმსახურა. ჭ. ამირეჯიბის წიგნი 11 ათასი ტირაჟით გამოიცა. ჩვენთან წიგნების ჩვეულებრივი ტირაჟი ორი ათასიდან ხუთი ათასამდეა. ეს ფაქტი ნათლად მოწმობს ჩვენი მკითხველის დაინტერესებას ქართული ლიტერატურით.“

გარდა საგამომცემლო საქმიანობისა, კ. ხრობაკი თანამედროვე ქართული მწერლობის შესახებ საყურადღებო გამოკვლევებსაც აქვეყნებდა. მაგალითად, მან საინტერესო რეცენზიები უძღვნა არჩ. სულაკაურისა და ოთ. ჭილაძის პროზას, ჭ. ამირეჯიბის „დათა თუთაშხიას“...

\* \* \*

თანამედროვე ეტაპზე მიღან ტოკარის, იარომირა ნედლას, ვაცლავ პოლკი ჩეხის, ალენა ჩეხოვას, ვლადიმერ ნოვოტნის, პავოლ უიგოს, ვ. ტემნოვოვასა და სხვათა დაინტერესება ქართული კულტურის შესწავლით უდავოდ უნდა ჩაითვალოს ჩეხოსლოვაკიაში ქართველოლოგიური კვლევის მდიდარი ტრადიციების თვალსაჩინო გაგრძელებად.

## პელგია

ბელგიაში მეცნიერული ქართველოლოგია სათავეს იღებს XX საუკუნის დამდეგიდან. მის ფუძემდებლად ითვლება პაულ პეტერსი, რომლის საქმიანობა წარმატებით განაგრძეს ჟ. გარიტმა, მ. ესბროკმა და სხვებმა. პირველი ქართველოლოგები – ბოლანდისტთა საზოგადოების წევრები – სწავლობდნენ წმინდანთა ცხოვრებას (უცხოეთის სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ ადრექტრისტიანული ჰაგიოგრაფიული მწერლობის ძეგლებს კრებდნენ, იკვლევდნენ და გამოსცემდნენ). მალე მათთვის აშკარა გახდა, რომ აღმოსავლეთის ქრისტიანული ქვეყნების უძველესი ხელნაწერი ტექსტების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მარტივილთა ცხოვრების არა თუ მეცნიერული შესწავლა, არამედ წმინდანების ჩამოთვლაც კი. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა ბელგიელ მკვლევართა განსაკუთრებული დაინტერესება ქართული ენით, მისი უძველესი მწიგნობრული კულტურით.

ბელგიელი ქართველოლოგები ევროპული ენების გარდა ფლობდნენ აღმოსავლურ ენებსაც, მათ შორის, ძველსა და ახალ ქართულს; დედანში კითხულობდნენ ასომთავრულ-ნუსხურით დაწერილ ხელნაწერებს; ქართულ მასალებს უდარებდნენ სხვაენოვან წყაროებს და გამოპქონდათ საყურადღებო დასკვნები. ბელგიის ქართველოლოგიურმა სკოლამ დამსახურებულად მოიპოვა საქვეყნო აღიარება.

**აკულ პეტერსი** (1870-1950) – აღმოსავლეთმცოდნე, ფილოსოფიის დოქტორი, ქართველოლოგი – გახლდათ ევროპაში ცნობილი მეცნიერი. იგი აქტიურად თანამშრომლობდა სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო საზოგადოებებში. იყო ბელგიის სამეცნო აკადემიის წევრი, საფრანგეთის კოლეჯის საპატიო პროფესორი, საფრანგეთის მხატვრული ლიტერატურის ინსტიტუტის წევრი, სტრასბურგისა და ლუვენის უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი თეოლოგიაში, „ორიენტალისტური შტუდიებისა“ და ბოლანდისტთა საზოგადოების წევრი, ამ საზოგადოების პრე-

## **ბელგია**

---

ზიდენტი. ბრიუსელის უნივერსიტეტში წლების მანძილზე კითხულობდა ლექციებს ძველ ქართულ ლიტერატურაში.

პ. პეტერსის მრავალმხრივი საკვლევაძიებო საქმიანობის ერთ-ერთ საინტერესო სფეროს წარმოადგენდა ჰაგიოგრაფიული მწერლობის შესწავლა, ძველი ხელნაწერების გამოცემა. სწორედ ამ მიმართულებით მუშაობამ დააკავშირა იგი საქართველოსთან, მის უძველეს კულტურასთან.

პეტერსმა ქართველობიური კვლევა დაიწყო საქართველოს პრეისტორიულ წარმართთა პანთეონის ღრმა მეცნიერული შესწავლით, შეეხო ქართულ ფოლკლორს, პოლიტიკურ გეოგრაფიას, რელიგიას, ტოპონიმიკას, არქეოლოგიას, ნუმიზმატიკას, ქრისტიანულ ხელოვნებას, ლიტერატურასა და საქართველოს ისტორიას. იგი 40 წლის განმავლობაში ემსახურებოდა ქართულ კულტურას, წერდა გამოკვლევებს ლათინურ და ფრანგულ ენებზე, ამ ენებზე თარგმნიდა ძველი ქართული ლიტერატურის ტექსტებს. პეტერსი ამ ასპექტით კონკრეტულ საქმიანობას შეუდგა 1910-იანი წლებიდან საზღვარგარეთ არსებულ ძველ ქართულ სამონასტრო კულტურულ ცენტრებში დაცული ხელნაწერების გამოცემით. მისი მრავალრიცხოვანი (160-მდე) ქართველობიური ნაშრომიდან აღსანიშნავია: „დიონისე არეოპაგელის ავტობიოგრაფიის ქართული თარგმანი“ (1912), „წმ. ილარიონ იბერიელი“ (1914), „ქართული მონასტრების ისტორია“ (1917-1919), „დიონისე არეოპაგელის ავტობიოგრაფიის იბერიულ-სომხური ვერსია“ (1921), „წამება წმიდა მონამეთა თევდოროსი და ივლიანოსი და ევბულოსი და მალკამოსი და მოკიბოსი და სადამონესი“ (1926), „კლებანიოსის ქართული ეკლესია საკვირველ მთაზე“ (1928), „გარლამ და იოპსაფის პირველი ლათინური თარგმანი და მისი ბერძნული ორიგინალი“ (1931), „ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში ჰაგიოგრაფიული წყაროების მიხედვით“ (1932), „თორნიკ ბერის ქართული მინაწერი“ (1932), „ხაზარები აბი ტფილელის მარტვილობაში“ (1934), „წმინდა შუშანიკი ქართველებისა და სომხების მარტვილი“ (ქართულ-სომხური ტექსტების ლათინური თარგმანითურთ) (1935), „ქართულ

ხელნაწერთა ისტორია“ (1942), „ძიებანი აღმოსავლური ფილო-ლოგის ისტორიიდან“ (1951) და სხვა. გარდა ამისა, ლათინურად თარგმნა კ. კეკელიძის მიერ გამოცემული ქართული ჰაგიოგრა-ფიული თხზულებების კიმენურ რედაქციათა ორტომეულის ტექ-სტების ნაწილი.

პ. პეტერსი XX საუკუნის 20-იანი წლებიდან დაუკავშირდა საქართველოში კ. კეკელიძეს, ივ. ჯავახიშვილს, ა. შანიძეს და სხვ. მათგან ღებულობდა კონსულტაციებს, ცალკეულ ნაშრო-მებს. თავის მხრივ, იგი ევროპის სამეცნიერო გამოცემებში აქ-ვეყნებდა რეცენზიებს ქართველი კოლეგების გამოკვლევების შესახებ, სისტემატურად აწვდიდა მათ უძველეს ხელნაწერებთან დაკავშირებულ საინტერესო ინფორმაციებს, სტატიებსა თუ სხვა მასალებს.

პ. პეტერსის მეცნიერული მემკვიდრეობის შესახებ საგუ-ლისხმო ცნობებია წარმოდგენილი ფრანგი მკვლევრის მარკ იბე-რის ნაშრომში „პოლ პეტერსი და ქართველოლოგია“, სადაც გამოკვეთილია მისი დამსახურება ქართველოლოგიაში. მ. იბე-რის თქმით, „პეტერსმა მიზნად დაისახა ძნელი ამოცანა – ძვე-ლი, მივიწყებული ქართული ძეგლების შესწავლა. მეცნიერი მთე-ლი მგზნებარებით გადაეშვა ამ ახალ ფათერაკები, მოიმარჯვა ლექსიკონები, თარგმნილი ტექსტები და კიდევ სხვა იარაღი. მან გაიმარჯვა თავისი გენით, გახდა ქართველოლოგი“. ფრანგი მეცნიერი მიუთითებს, რომ პეტერსმა ჯეროვნად შეისწავლა ქართული ენა და ლიტერატურა. იცნობდა ქართველი მეცნიერე-ბის: კ. კეკელიძის, ივ. ჯავახიშვილის, თ. უორდანიას, გ. ახვლედი-ანის, აკ. შანიძის. დ. ჩუბინაშვილის, ალ. ცაგარელის, ექვ. თაყაიშ-ვილის, ნ. მარის, პ. ინგოროვებას ნაშრომებს, რომლებიც პეტერ-სის თაოსნობით დაცული იყო ბოლონდისტთა ბიბლიოთეკაში. მათ შორისაა ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“ (ავ-ტორმა იგი უსახსოვრა ბელგიელ კოლეგას წარწერით: „ღრმად პატივცემულ ბატონ პროფესორ პოლ პეტერსს ავტორისაგან. 1924 წლის 8 იანვარი“).

## ბელგია

---

განუზომლად დიდია პ. პეტერსის — ევროპის სამეცნიერო წრეებში ორიენტალისტთა „მეფედ“ მიწნეული მეცნიერის — ლვანლი აღმოსავლეთის ქვეყნების ჰაგიოგრაფიული მწერლობის შესწავლაში. მან გამოავლინა და სამეცნიერო მიმოქცევაში ჩართო ძველი ქართული მწერლობის პრველხარისხოვანი ძეგლები, შეძლო გარკვეულად ამოეცნო რთული და მეტად საინტერესო ბუნება ქართული ენისა, რომელშიც, მისი შეფასებით, „ჩაქსოვილია მომხიბლავი საიდუმლოება და ძლევამოსილება“.

**ერნესტ პონიგმანი (1892-1954)** – ბელგიელი მეცნიერი, ბიზანტიისტი — იკვლევდა აღმოსავლური ქრისტიანული რელიგიისა და ბიზანტიურ-ქართული კულტურული ურთიერთობის საკითხებს.

ე. პონიგმანის სახელთანაა დაკავშირებული დასავლეთ ევროპაში პეტრე იბერისა და ფსევდოდიონისე არეოპაგელის იდენტიფიკაციის პრობლემის დაყენება. მან 1946 წელს, შ. ნუცუბიძისაგან დამოუკიდებლად, წამოაყენა ეს ჰიპოთეზა, 1952 წელს კი ბრიუსელში გამოაქვეყნა ნაშრომი, „პეტრე იბერიელი და ფსევდოდიონისე არეოპაგელის თხზულებანი“, სადაც დაასაბუთა, რომ თხზულებათა ავტორი არის არა დიონისე არეოპაგელი, არამედ V საუკუნის ქართველი ეპისკოპოსი პეტრე იბერიელი. პონიგმანის ნაშრომი, რომელიც ემყარება ევროპისა და სხვა ქვეყნების დიდ ქალაქებში მოძიებულ საარქივო მასალებს, მრავალწლიანი შრომის შედეგი იყო.

რადგანაც ზემოაღნიშნული ჰიპოთეზა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წამოაყენა ორმა დიდმა მეცნიერმა — შ. ნუცუბიძემ და ე. პონიგმანმა, თანამედროვე ისტორიოგრაფიაში იგი შევიდა ნუცუბიძე-პონიგმანის სახელით და დადებითი გამოხმაურება პოვა მთელს მსოფლიოში.

**ურარ გარიტი (1914-1992)** – ბელგიელი ორიენტალისტი, ქართველობიგი, არმენისტი, ბელგიის სამეფო აკადემიის წევრი, აღმოსავლეთმცოდნეობის უურნალ „მუზეონის“ დირექტორი — გახლდათ აღმოსავლური ქრისტიანული მწერლობის სახელგანთქმული მკვლევარი, ევროპაში აღიარებული მეცნიერი.

ჟ. გარიტი 1926-1931 წლებში სწავლობდა ლუვიერის პროვინციის კოლეჯში (ინსტიტუტში). აქ იგი განსაკუთრებულ ინტერესს იჩინდა უცხოური ენებისადმი. დაეუფლა ძველ ბერძნულს, ლათინურს, არაბულს, გერმანულს, ინგლისურს; საფუძვლიანად გაეცნო ანტიკურ ლიტერატურას. 1936 წელს წარჩინებით დაამთავრა ლუვენის უნივერსიტეტი. სტუდენტობის წლებში გულმოდგინედ სწავლობდა კლასიკურ ფილოლოგიას, აღმოსავალეთის ძველ ქრისტიანულ ლიტერატურას. „ოთხი წლის განმავლობაში ოთხჯერ ჩააბარა გამოცდა წარმატებით, გაიმარჯვა საუნივერსიტეტო კონკურსში... ოთხჯერ მიიღო შეფასება „ფრიადი“. 1934-1936 წლებში საუნივერსიტეტო კონკურსში გამარჯვებულებს შორის პირველი ლაურეატი იყო“ (ეტიენ ლამოტი). სტუდენტი გარიტი თავიდანვე ამჟღავნებდა მეცნიერული კვლევის უნარს, ახლის ძიების უდიდეს სურვილს, რითაც მალე მიიპყრო ფილოსოფიისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ცნობილ პროფესორთა ყურადღება.

1939 წელს ჟ. გარიტი გააგზავნეს რომში, სადაც 6 წელიწადს მუშაობდა ბელგიის ინსტიტუტსა და აკადემიაში; იმავდროულად ვატიკანის ბიბლიოთეკაში ეკავა მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობა. ვატიკანის ბიბლიოთეკა იქცა მისი ცხოვრების მეორე სკოლად. იქ მოძიებული მასალები (ხელნაწერები, კატალოგები, ლექსიკონები...) სანდო წყაროები გახდა მომავალი მეცნიერის შემდგომი კვლევა-ძიებისათვის.

**1946 წლიდან ჟ. გარიტი ლუვენის უნივერსიტეტის პროფესორია.** იგი წლების მანძილზე კითხულობდა ბერძნულ პალეოგრაფიას, ბიზანტიის ისტორიას, კოპტურ ენას, ბიზანტიის ტექსტოლოგიას და სხვა კურსებს.

1950 წელს გარიტი, უკვე ცნობილი ქართველოლოგი, მიინვიეს ქართულ ხელნაწერთა შესასწავლად ვაშინგტონის კონგრესის ბიბლიოთეკის ექსპედიციაში სინას მთაზე, წმინდა ეკატერინეს მონასტერში (მეორედ იყო 1957 წელს). მან აქ 75 დღის განმავლობაში დიდი შრომა გასწია: შეისწავლა აღმოსავლური ფონდები და გადაიღო ქართული ხელნაწერების მიკროფილმები.

## ბელგია

მკულევარმა განსაკუთრებული ამაგი დასდო ქართულ ხელნაწერებს; აღნერა იქ არსებული 85 ხელნაწერი (IX-XI საუკუნეებით დათარიღებული), თარგმნა ფრანგულ-ლათინურ ენებზე და დაურთო კომენტარები. სწორედ ამ გზით გახდა მისაწვდომი ქართული ხელნაწერები არა მარტო ქართველი სპეციალისტებისათვის, არამედ ბიზანტიოლოგების, პატროლოგების, უცხოელი ქართველოლოგების, კავკასიოლოგებისა და სხვათათვის.

საგულისხმოა, რომ უ. გარიტის ქართველოლოგიური ნაშრომები მაღე მოექცა ევროპის მეცნიერთა საკულევაძიებო ყურადღების სფეროში.

1950-იანი წლებიდან ბელგიელი მეცნიერი ლირსეულად აგრძელებდა თავისი მასწავლებლის პ. პეტერსის სამეცნიერო საქმიანობას: აქვეყნებდა სხვადასხვა ენაზე დაცულ ქრისტიანული მწერლობის ძეგლებს, ბეჭდავდა ქართულ ხელნაწერ ტექსტებს, რომლებიც ინახებოდა ქართული კულტურის საზღვარგარეთულ კერძებში, თარგმნიდა მათ ევროპულ ენებზე სათანადო შენიშვნებითა და გამოკვლევებით. იგი შესანიშნავად ფლობდა როგორც ძველ ქართულ ენასა და ლიტერატურას, ისე ახალსაც.

უ. გარიტის გამოქვეყნებული აქვს **400-ზე** მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, **20** დიდტანიანი წიგნი. ქართველოლოგიური გამოკვლევებიდან განსაკუთრებით საინტერესოა: „პალესტინურ-ქართული კალენდარი სინური ხელნაწერის №№34-ის მიხედვით“, „სინის მთის ქართული ლიტერატურული კატალოგი“ (ქართულ ხელნაწერთა აღნერილობა), „იოანე ზოსიმეს X საუკუნის კალენდარი“, „მოციქულთა საქმის ქართული ვერსიები“, „წმ. მართას ცხოვრების ქართული ვერსია“, „სვიმეონ მესვეტისა და ეფრემ ასურის ცხოვრება“<sup>1</sup>, „მიქელ თარხნიშვილი“, „ქართული ლიტერატურა და შუა საუკუნეების კულტურის ისტორია“, „ძველი ქართული ენის ძეგლები“, „ფსალმუნთა კრიტიკული გამოცემა“, „მანგანას კოლექციის ქართული ფურცლები სილი-იოუკში“ (ბირმინგე-

<sup>1</sup> უ. გარიტის მოწმობით, ჯერ კიდევ 30 წლის წინ ამ ძეგლს გასცნობია პ. პეტერსი რ. ბლეიკის მიერ გადაღებული ფოტოპირებიდან, შეუსანავლია იგი და გამოკვლევაც დაუწერია.

მი), „სამი ბაბილონელი ყრმის მოქცევა“, „ქართული სასულიერო ლიტერატურა ფრანგულ სასულიერო ლექსიკონებში“ და ა.შ.

**1956** წელს ფრანგულ ჟურნალში დაიბეჭდდა ბელგიელი მკვლევრის ნაშრომი „**სინის მთის ქართული ხელნაწერები**“, რომელიც მიუძღვნა ფრანგ მეცნიერს ანრი გრეგუარს (რომელ-მაც 1906 წელს იმოგზაურა სინის მთაზე). გამოკვლევა იმითაც არის საყურადღებო, რომ მისი ავტორი მოიხსენიებს ცნობილ მეცნიერებს (პ. პეტერს, რ. ბლეიკს, პ. უსპენსკის, კ. ტიშენ-დორფს, ალ. ცაგარელს, ნ. მარს, ივ. ჯავახიშვილს) და მკითხველს აცნობს თითოეული მათგანის დამსახურებას ამ ხელნაწერების შესწავლასთან დაკავშირებით.

**1958** წელს ჟ. გარიტმა გამოსცა ფუნდამენტური ნაშრომი „**პალესტინურ-ქართული კალენდარი სინური ხელნაწერის №34-ის მიხედვით**“ (წიგნი შეიცავს 485 გვერდს). ტექსტს ახლავს ავტორისეული წინასიტყვაობა, ფრანგული თარგმანი და ვრცელი გამოკვლევა. წინასიტყვაობაში უცხოელი მკითხველისათვის ახსნილია ქართული კალენდრის რაობა: „წინამდებარე ქართული კალენდარი წარმოადგენს კომენტირებულ გამოცემას. იგი უნიკალური ძეგლია თავისი მოცულობით, სიძველითა და შინაარსის ხასიათით. კალენდარი შეიცავს 1100-ზე მეტ წმინდანის ხსოვნის ღირსსახსოვარ დღეს, რაც განაწილებულია ყველა თვეზე პირველი იანვრიდან 31 დეკემბრამდე... კალენდარი დაინტერა პალესტინში X საუკუნეში... კალენდარი გვაწვდის უძვირფასეს ცნობებს დადგენილი დღესასწაულების შესახებ.... ჩვენს კალენდარში ცოცხლადაა შემონახული ადგილობრივი ლიტერატურული ცხოვრების ყველა მხარე, რომელიც ბიზანტიზაციის მოძრაობას დავიწყებისათვის უნდა მიეცა.“

ბელგიელი მეცნიერის ამ ნაშრომს დიდი გამოხმაურება მოჰყვა მთელს მსოფლიოში. სპეციალისტები ერთხმად აღიარებდნენ მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას აღმოსავლური ქრისტიანული კულტურის შესწავლაში. XX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს უძველესი ხელნაწერთმცოდნეობის ისტორიაში ჟ. გარი-

## ბელგია

---

ტის თვალსაჩინო ნაყოფიერ მოღვაწეობას განათლებული ევროპა, სამეცნიერო წრეები მაღალ შეფასებას აძლევდნენ.

1959 წელს ჟ. გარიტს მიანიჭეს ბელგიის სამეფოს უმაღლესი ჯილდო – ფრანგის პრემია, რომელიც პირადად გადასცა მეცების ბოდუენმა (ბელგიაში ამ პრემიით აჯილდოებენ აღმოსავლეთის ძველი ქრისტიანული ლიტერატურის ყველაზე დიდ მცოდნებს). ამ ფაქტთან დაკავშირებით კ. სალიამ უურნალ „რევიუ დე კარტველოლოჟის“ 1959 წლის VI-VII ტომში გამოაქვეყნა წერილი „უერარ გარიტი ფრანგის პრემიის ლაურეატი.“ მასში ვრცლადაა მიმოხილული ჟ. გარიტის მეცნიერული მემკვიდრეობა. სტატიის ბოლოს კ. სალია მადლიერებით დასძენს: „უერარ გარიტმა უდიდესი სამსახური გაუწია ქართულ მწერლობას. იგი დაუღალავად, განსაკუთრებული სიყვარულით, ზუსტი მეცნიერული მეთოდებითა და პუნქტუალობით ეწევა მეცნიერულ მუშაობას; მტვერს აცლის დღემდე უცნობ ქართულ ხელნაწერებს, აცნობს მათ უცხოეთის ხალხს და ამით დიდი წვლილი შეაქვს ქართული კულტურის პრობლემების შესწავლაში.“

ჟ. გარიტის, როგორც ქართველოლოგის, ჩამოყალიბებაში პ. პეტერსის გარდა დიდი დამსახურება მიუძღვდა მიხ. თარ-ხნიშვილს – მის დიდ მასწავლებელსა და მეგობარს, რომელმაც თავის მონაფეს ჭეშმარიტი მოძღვრის თვალით დაანახა ქართველოლოგის საინტერესო სამყარო და იქ შესასვლელად გაუწია კეთილი მეგზურობა. ამიტომაც ჟ. გარიტი ყოველთვის მადლიერებით იგონებდა თავის მასწავლებელს, რომლის ხსოვნას უძლვნა სპეციალური ნაშრომი „მიქელ თარხნიშვილი“, სადაც თავისი პირუთვნელი შეფასებით კიდევ უფრო საჩინო გახდა უცხოელი მკითხველისათვის მ. თარხნიშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობა და დიდი დამსახურება ქართული ფილოლოგის ისტორიაში.

1960 წელს ჟ. გარიტს, რომელიც ლუვენის უნივერსიტეტში სტუდენტობიდანვე ითვლებოდა ერთ-ერთ უაღრესად განათლებულ, ნიჭიერ და საოცრად შრომისმოყვარე ახალგაზრდად, გადაუხადეს დაბადების 45 წლისთავის იუბილე. ამ დღის აღსანიშ-

ნავად ლუვენის უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-  
სტიტუტის პრეზიდენტის – ეტიენ ლამოტისა და ფილოსოფიისა  
და ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანის თაოსნობით ჩატარდა  
სამეცნიერო სესია. ე. ლამოტიმ მოხსენებაში „უერარ გარიტი“  
საინტერესოდ აღწერა ჟ. გარიტის სამეცნიერო ცხოვრების გან-  
ვლილი გზა, მაღალი შეფასება მისცა მის საქმიანობას: „მე არ შე-  
ვუდგები ჟ. გარიტის ქებას. ეს მიზანშეწონილი არ იქნებოდა. მე  
მხოლოდ ფაქტებს ავალაპარაკებ, რომლებიც თავისთავად მჭევ-  
რმეტყველია. ჟ. გარიტს წარმატებისათვის ბრმად არ მიუღწევია,  
პროტექციისა და ინტრიგების შედეგად, არამედ – თავისი დაძა-  
ბული, ენერგიული მუშაობით. მისი კარიერა ლიბანიდან დაიწყო,  
ამ ქვეყნის ნაყოფიერი მიწიდან...“

ჟ. გარიტი მოვიდა ლუვენის უნივერსიტეტში სწავლისათ-  
ვის და ისწავლა კიდეც. ახალგაზრდა დოქტორი არ კმაყოფილ-  
დებოდა მიღწეული წარმატებით, პირიქით, კრიტიკულ დამოკი-  
დებულებას იჩენდა თავის თავისადმი. ჩვენი უერარი კვლავ  
ღრმად სწავლობდა ბერძნულ ენას, რომ ფართოდ გაეღო ანტი-  
კური სამყაროს კარები საერთოდ და ქრისტიანული აღმოსავლე-  
თისათვის... თვით ეგვიპტეც, რომელიც მისთვის ახლობელი იყო,  
შეუცნობელი არ უნდა დარჩენოდა მისი ლიტერატურა და ქრის-  
ტიანული კოპტური ენა. ჟ. გარიტი კეთილმოსურნე მეცნიერის მ.  
ლეფორის ხელმძღვანელობით ოცი წლის განმავლობაში მთელი  
მგზებარებით სწავლობდა ეგვიპტის ქრისტიანთა კოპტურ ენას.  
ეჭვს გარეშეა, რომ ჟ. გარიტი შეჯდა ჯოჯოხეთის ცხენზე, რო-  
მელსაც მეცნიერი ეგვიპტელ ქრისტიანთა კოპტური ენიდან –  
არაბულამდე, არაბულიდან – სირიულამდე, სირიულიდან – სომ-  
ხურამდე და სომხურიდან ქართულამდე უნდა მიეყვანა... მან გა-  
მოიჩინა დიდი ენერგია, შეისწავლა ინდოევროპული და კავკასი-  
ური ენები და ამასთან ერთად მკვდარი ენებიც“.

გარიტი საქართველოს დიდი მეგობარი იყო, წლების მან-  
ძილზე ახლო საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა ქართველ კოლე-  
გებთან, სისტემატურად ღებულობდა მათგან კონსულტაციებს,  
საჭირო ლიტერატურას; ეცნობოდა ნაშრომებს, რომელთა შესა-

## **ბელგია**

---

ხებ აქვეყნებდა რეცენზიებს, გამოკვლევა-გამოხმაურებებს ევ-როპის ჟურნალ-გაზეთებში. მაგალითად, მან შეადგინა და ფრანგულ ენაზე გამოსცა აკადემიკოს კ. კეკელიძის **სამეცნიერო შრომების სრული ბიბლიოგრაფია (1905-1962)**, რომელსაც ახლავს შემდგენელის წინასიტყვაობა, სადაც გადმოცემულია ქართველი მეცნიერის მოღვაწეობის მთავარი მომენტები; ხაზგასმითაა მითითებული, რომ კ. კეკელიძის ნაშრომებს აქვს მსოფლიო მნიშვნელობა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩეულია მისი „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“.

გარდა ამისა, ბელგიელმა ქართველოლოგმა ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა აკადემიკოს აკ. შანიძის სამეცნიერო მოღვაწეობას; გამოსცა მისი ნაშრომების ბიბლიოგრაფიაც, რასაც დაურთო შესავალი წერილი (დაიბეჭდა „მუზეონის“ ფურცლებზე 1967), ხოლო მომდევნო წელს „რევიუ დე კარტველოლოგის“ 1968 წლის 25-ე ტომში გამოაქვეყნა ვრცელი ნაშრომი სათაურით - „აკაკი შანიძე – ქართველოლოგთა მასწავლებელი“, სადაც დაწვრილებით მიმოიხილავს ქართველი მეცნიერის ძირითად ნაშრომებს. უ. გარიტის შეფასებით, „საკვირველი ინტუიციის და შორსმჭვრეტელობის მეშვეობით აკ. შანიძემ მეცნიერების რამდენიმე საკვლევი დარგი განაახლა“.

უ. გარიტმა დიდი ამაგი დასდო თავისი ქართველი კოლეგისა და მეგობრის ილია აბულაძის ნაშრომების პოპულარიზაციას ევ-როპაში. 1969 წელს ფრანგულ ჟურნალში დაბეჭდა ვრცელი სტატია „ილია აბულაძის ხსოვნას“. შესავალში ავტორი საუბრობს მკვლევრის ბიოგრაფიაზე, შემდეგ კი დაწვრილებით აანალიზებს მის მეტად მდიდარ მეცნიერულ მემკვიდრეობას: „პროფესორ ილია აბულაძის ნაშრომებს აქვს დიდი მეცნიერული ღირებულება. მის ნაშრომებში ყველაზე შეიმჩნევა დიდი ობიექტურობა, ფილოლოგიური და პალეოგრაფიული კვლევის დიდი უნარი, ლინგვისტური სიზუსტე, უნაკლო ერუდიცია და კრიტიკული აზრის გამჭრიახობა და სილრმე. დიდია ილია აბულაძის დამსახურება. მეცნიერმა ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები ხელმისაწვდო-

მი გახადა ამ დარგში მომუშავე ბევრი უცხოელი მკვლევარისათვის, რის გამოც ისინი ძალიან მაღლიერნი არიან...“

გარიტი მაღალ შეფასებას აძლევდა პროფ. ივანე იმნაიშვილის ცალკეულ ნაშრომებს, მონოგრაფიებს („სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში“, „ქართული ოთხთავის სიმფონია - ლექსიკონი“...). განსაკუთრებით ხაზგასმით მიუთითებდა სიმფონია-ლექსიკონის მნიშვნელობაზე: „ამ ლექსიკონში წარმოდგენილია ყველა სიტყვა, ყველა შემთხვევაში მოტანილია კონტექსტი და თუ საჭიროა, ვარიანტებიც. „სიმფონია“ დიდ დახმარებას გვინევს კლასიკური ლექსიკის შესწავლისათვის“. გარდა ამისა, ჟ. გარიტი ახლოს იცნობდა ალ. ბარამიძის, ელ. მეტრეველის, მზ. შანიძის, თ. გამყრელიძის, შ. ძიძიგურის, ზ. ჭუმბურიძისა და სხვა ქართველ მკვლევართა ნაშრომებს, რომლებიც მეტად ფასეული იყო უცხოელი ქართველოლოგებისთვისაც. თავის მხრივ, ქართველი კოლეგები თავიანთ საკვლევაძიებო მუშაობაში იყენებდნენ ჟ. გარიტის ნაშრომებს, როგორც მეცნიერულად სანდო მასალებს. მაგალითად, ივ. იმნაიშვილმა გამოაქვეყნა „პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები“ და „სინური მრავალთავი“ (გამოკვლევა და ლექსიკონი), რომელშიც იმნების ჟ. გარიტის სტატიებს; 1975 წელს პროფ. ვ. იმნაიშვილმა გამოსცა „მამათა ცხოვრებანი“ (ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერი მე-11 საუკუნისა). ტექსტს დართული აქვს გამოკვლევა და ლექსიკონი. ქართველი მკვლევარი ამ წიგნში ასახელებს ჟ. გარიტის ორ ნაშრომს და საკითხის განხილვისას მსჯელობს ბელგიელი მეცნიერის მოსაზრებებზეც...

ჟ. გარიტი 1966 წელს საქართველოში ჩამოვიდა, მონაწილეობდა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის დღე-სასწაულში, მშვენიერი წერილი უძღვნა „ვეფხისტყაოსანსა“ და მის ავტორს.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქართველი ხალხის მეგობარს, ქართული კულტურის დიდ მოამაგეს ახლოს იცნობდნენ არა მხოლოდ სამეცნიერო წრეებში, არამედ ფართო საზოგადოებაშიც. მის შესახებ სისტემატურად იბეჭდებოდა სპე-

## **ბელგია**

---

ციალური სტატიები პერიოდულ პრესაში, სამეცნიერო კრებულებსა და უურნალებში. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიჩინეოდა ს. თურნავა, რომელსაც აკავშირებდა უ. გარიტან საქმიანი ურთიერთობა, პირადი ნაცნობობა. მან ბელგიელი ქართველოლოგის ცხოვრება-მოღვაწეობას უძღვნა არაერთი ცალკეული სტატია, საინტერესო ვრცელი გამოკვლევები.

ქართველი კოლეგები გულწრფელ მადლობას გამოხატავდნენ უ. გარიტის მიერ ქართველოლოგიაში განეული უდიდესი შრომისათვის: „ბელგიაში წელი არ გავა, რომ უ. გარიტის მეთაურობით არ გამოიცეს ქართული ენისა და ლიტერატურის რაიმე მნიშვნელოვანი ძეგლები, არ დაიწეროს გამოკვლევა და წიგნი ქართული ენისა და ლიტერატურის ამა თუ იმ საკითხის შესახებ“ (ივ. იმნაიშვილი); „უ. გარიტი მთელი იმ მეცნიერული საქმიანობის კურსში იმყოფება, რასაც ქართველოლოგები ეწევიან ჩვენში თუ საზღვარგარეთ. მას მჭიდრო კონტაქტები აქვს დამყარებული სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო ცენტრებთან, უურნალების რედაქციებთან, ცნობილ ქართველოლოგებთან, ნაყოფიერად იკვლევს ქართული ქრისტიანული კულტურისა და მწერლობის საკითხებს. ბელგიელი მეცნიერი დიდად უწყობს ხელს მათი შესწავლის კიდევ უფრო გაღრმავებასა და პოპულარიზაციას საზღვარგარეთ“ (შ. ძიძიგური, ზ. ჭუმბურიძე, ს. თურნავა).

**მიშელ ვან ესპროპი** (1934-2003) – ევროპაში სახელგანთქმული ორიენტალისტი, არმენოლოგი, თეოლოგიისა და ფილოლოგიის დოქტორი, რომის პაპის აღმოსავლური ინსტიტუტის პროფესორი, მიუნხენის ლუდვიგი მაქსიმილიანის სახელობის უნივერსიტეტის ქრისტიანული აღმოსავლური ფილოლოგიის კათედრის გამგე, გერმანიის მეცნიერებათა აკადემიის პატრისტიკული კომისიის წევრი, ბოლანდისტთა საზოგადოების წევრი – ბელგიის ქართველოლოგიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო.

დაიბადა ბელგიაში, ქ. მალინში, ნახევრად ფლამანდრიული და ნახევრად ფრანგული ნარმოშობის ოჯახში. მისი გვარი – ვან ესპროპი ფლამანდრიულია, საოჯახო ენა ფრანგული იყო. მაგ-

რამ, რადგანაც მიშელის მამა – პროფესორი გუილიამ (ჟიულიენ) ვან ესბროკი გეოლოგიაში ეწეოდა მეცნიერულ მუშაობას კოლუმბიის უნივერსიტეტში 1921-1923 წლებში, ხოლო დედა – იდა ბრუსელმანი 1914-1918 წლებში ლონდონში სწავლობდა, ამის გამო ესბროკების ოჯახში ინგლისურადაც საუბრობდნენ. ამასთან დაკავშირებით ბ-ნი მიშელი ასე იგონებდა: „მართალია, ჩემი გვარი ფლამანდრიული წარმოშობისაა, ჩემს ძარღვებში კი ფრანგული სისხლი ჩქეფს. ოჯახშიც ფრანგულად ვლაპარაკობდით, როს გამოც მრავალ წინააღმდეგობას ვაწყდებოდით მეზობლების მხრიდან. კარგად მახსოვს მეორე მსოფლიო ომი, ტანკების გრუსუნი, ქვემეხების გრიალი და, რაც მთავარია, ის საფრთხე, ფლამანდრიული წარმოშობის გამო ჩვენს ოჯახს რომ ემუქრებოდა.“

მ. ვან ესბროკი ბავშვობიდანვე შრომისმოყვარე და ბეჯით ყოფილა. როცა მისი თანატოლები თამაშით ერთობოდნენ, იგი ჩაიკეტებოდა ოთახში და საინტერესო წიგნებს კითხულობდა. ენების შესწავლის სურვილმაც ადრეული ასაკიდანვე გაიტაცა. მის ირგვლივ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები ცხოვრობდნენ, ამიტომ ბავშვობიდანვე ადვილად აითვისა რამდენიმე ევროპული ენა. დაწყებითი და საშუალო განათლება ბრიუსელში მიიღო. 1951 წელს დაამთავრა წმ. მიხეილის ბერძნულ-ლათინური კოლეჯი (სასულიერო სემინარია), შემდეგ სწავლა განაგრძო ბრიუსელის წმ. ლუის სასწავლებელში სამართლის ფაკულტეტზე, მაგრამ აქ მხოლოდ ერთი წელი დარჩა.

1953 წელს მიშელი შეუერთდა იეზუიტთა საზოგადოებას სამხრეთ ბელგიის პროვინციაში, სადაც იმყოფებოდა 1955 წლამდე. 19 წლის ჭაბუკი გახდა იეზუიტთა ორდენის წევრი და სიცოცხლის ბოლომდე არ უდალატია არჩევანისათვის.

საგულისხმოა, რომ მომავალი ქართველობოგი ამ წლებში პარალელურად ემზადებოდა კლასიკურ ფილოლოგიაში, ფილოსოფიაში. მან სამი წელი დაჰყო წმ. ალბერტ დე ლუვენის პაპის (ეპისკოპალურ) ინსტიტუტში, რათა მიეღო ხარისხი ფილოსოფიაში. 1959 წელს დაწერა ნაშრომი და აიღო კლასიკური ფილოლოგიის სახელმწიფო ლიცენზია. **1960** წლიდან მ. ესბროკი ბერ-

## ბელგია

---

ძნულ-ლათინური ენების პროფესორია. გაიარა ერთწლიანი სამხედრო სამსახურიც.

1962 წელს მიშელი გახდა ბოლანდისტთა საზოგადოების ბიბლიოთეკის წევრი. სწორედ აქ პირველად მიეცა საშუალება შესწავლა წმინდანთა ცხოვრება, მაგრამ იგი იმთავითვე დარწმუნდა, რომ ქართული ტრადიციების ცოდნის გარეშე ქრისტიანული აღმოსავლეთის ლიტერატურის კვლევა შეუძლებელი იქნებოდა. სწორედ ამ ფაქტორმა ძირითადად განსაზღვრა ესბროკის სამუდამო დაკავშირება ქართულ ენასა და მწერლობასთან, თორემ ვიზუალურად იგი უფრო ადრე გაეცნო ქართულ ანბანს, როცა ოჯახურ ბიბლიოთეკაში შემთხვევით აღმოაჩინა ფურცელი, რომელზედაც ქართული ანბანი და რამდენიმე ქართული სიტყვა ეწერა. მიშელის მამას ეს ანბანი ჩაუწერია XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში ორი ქართველი სტუდენტისაგან. მართალია, ქართული ასოები მაშინვე მოსწონებია ახალგაზრდა მიშელს, მაგრამ მისი შესწავლა იმჯერად არ დაუწყია. ეს მოხდა უფრო მოგვიანებით, 1960 წელს: „ერთ მშვენიერ დღეს, მაშინ ბერძნულ-ლათინური ენების პროფესორი გახლდით, საჭირო წიგნისათვის შესვლა მომიხდა ბოლანდისტთა საზოგადოების ბიბლიოთეკაში. გადავშალე ერთი მათგანი და შემომანათა პაულ პეტერსის მიერ გამოცემული ქართული ტექსტის ლამაზმა ასოებმა. ახლა იმდენად მომხიბლა ამ ასოებმა, რომ მტკიცედ გადავწყვიტე, საფუძვლიანად შემესწავლა ქართული ენა.“

ამ დროს ბელგიაში მოღვაწეობდა სახელგანთქმული ქართველოლოგი შ. გარიტი. მიშელს ნება დართეს დასწრებოდა შ. გარიტის ლექციებს ლუვენის უნივერსიტეტში, როგორც თავისუფალი მსმენელი ძველი ქართული და ძველი სომხური ენების შესასწავლად.

ერთი წლის შემდეგ ესბროკისათვის ცხადი გახდა ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის სირთულე და მრავალმხრივობა. მისი სრულყოფილი შესწავლა ძნელი იქნებოდა პირველი ათასწლეულის მხოლოდ ორი აღმოსავლური ენით (ძველი ქართულითა და ძველი სომხურით). ამის გამო ახალგაზრდა მკვლევარს დართეს ნე-

ბა, დაუფლებოდა არაბულსა და სირიულ ენებს ბეირუთის წმ. ჯოზეფის უნივერსიტეტში, მაგრამ აქ იგი დიდხანს არ დარჩინილა; 1964 წელს უკან, ლუვენში, გაიხმეს თეოლოგის შესასწავლად.

**1970** წელს ესბროკმა მიიღო **დოქტორის ხარისხის თეოლოგიაში** და აკურთხეს მღვდლად. პირველ ხანებში იგი ეწეოდა აქტიურ სასულიერო მოღვაწეობას, „შემდეგ კი, — იგონებს ბ-ნი მიშელი, — მიგხვდი, რომ ღმერთს სურდა, ჩემი ცხოვრება წმინდანთა ცხოვრების შესწავლისა და ძველი ხელნაწერების დაზუსტებისათვის მიმედვნა, რის გამოც მივატოვე აქტიური სამოძღვრო მსახურება და ბერული ცხოვრებით დავკმაყოფილდი, რამაც ჩემი ორდენის ზოგიერთი ძმის უკმაყოფილება გამოიწვია.“ აქვე შევნიშნავთ, რომ ბ-ნი მიშელი უფრო მოგვიანებითაც აღიარებდა: „ძველი ხელნაწერების შესწავლამ ისე გამიტაცა, რომ ჩემი ცხოვრება მთლიანად მას მიუძღვენი. მე ვთვლი, რომ ძველ ტექსტებზე „მონადირე“ ვარ“.

**1972** წელს პარიზიდან ბელგიაში დაბრუნდა მამა ფრანკო პალკინი და თან ჩაიტანა ქართული ათონური 11 ხელნაწერის ფოტოები. ეს დოკუმენტები გადაღებული იყო პარიზის ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლის მარსელ რიჩარდის მიერ. იმ დროს პარიზში მისი წაკითხვა არავის შეეძლო. ამ რთულ საქმეს ხელი მოჰკიდა ესბროკმა. მან გადაწერა მთლიანი კოდექსი (მოახდინა ტრანსკრიფციერება) და დარწმუნდა, რომ იგი მიეკუთვნებოდა იმ კრებულის კატეგორიას, რომელსაც ეწოდა „მრავალთავი“.

მეცნიერული სიზუსტისათვის მთავარი და უპირველესი ამოცანა იყო ამ ხელნაწერების შედარება სხვა ეგზემპლარებთან, ამიტომ ბ-ნი მიშელი **1972 წელს ჟ. გარიტის რეკომენდაციით გამოგზავნილ იქნა საქართველოში.** იგი 15 დღე ცხოვრობდა თბილისში, მუშაობდა ხელნაწერთა ინსტიტუტში. ამ დროიდან იწყება მ. ესბროკის მეგობრობა და საქმიანი თანამშრომლობა ქართველ კოლეგებთან. სხვადასხვა დროს საქართველოზე უზომოდ შეყვარებულ სტუმარს კეთილ მასპინძლობას უწევდნენ: ელ. მეტრეველი, ალ. ბარამიძე, ლ. მენაბდე, თ. მგალობლიშვილი, ზ. სარჯველაძე, ლ. ბერიძე და სხვანი.

## ბელგია

---

27 წლის ასაკიდან მ. ესპროკი პროფ. უ. გარიტის მოწაფე იყო. მოძღვრისა და ღირსეული შეგირდის საქმიანი მეცნიერული ურთიერთობა წლების მანძილზე გრძელდებოდა. სწორედ მათ შესახებ შეიძლება გავიმეოროთ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ნათქვამი: „ჭეშმარიტი სულიერი შვილი მსგავსი მამისად, კეთილმონაფედ, ნაცვალი მოძღვარისად“ (ლ. ბერიძე). უ. გარიტის ხელმძღვანელობით იქცა მ. ესპროკის მეცნიერული კვლევის ძირითად მიმართულებად ქრისტიან წმინდანთა ცხოვრების შესწავლა, კერძოდ: ბიზანტიის ჰაგიოგრაფია, ძველი ქართული და სომხური სასულიერო მწერლობა.

ლვითისაგან მომადლებული ნიჭიერება-გულისხმიერების, ენებისადმი განსაკუთრებული მიღრეკილებისა და საქმის სიყვარულის წყალობით ესპროკმა მოკლე დროში საფუძვლიანად შეისწავლა ქართული ენა, განსაკუთრებით გაიწაფა ძველ ქართულში, თავისუფლად კითხულობდა და იკვლევდა უძველეს ქართულ ხელნაწერებს. ყოველივე ეს იმდენად საინტერესო და მიმზიდველი აღმოჩნდა ბ-ნი მიშელისათვის, რომ თავისი სულიერი მოძღვრის, პროფ. უ. გარიტის, ხელმძღვანელობით დაიწყო მუშაობა სადღიქტორო დისერტაციაზე, რომელიც ეძღვნებოდა უძველეს ქართულ ხელნაწერებს. 1972 წლისათვის მ. ესპროკის დისერტაცია უკვე მზად იყო, მაგრამ უ. გარიტის მძიმე ავადმყოფობის გამო მისი დაცვა დროებით გადაიდო...

**1975** წელს ბ-ნმა მიშელმა უ. გარიტის თანდასწრებით ბელგიაში დაიცვა **სადღიქტორო დისერტაცია თემაზე: „უძველესი ქართული მრავალთავები“**. მასში გაანალიზებულია IX-X საუკუნეების ექვსი უმნიშვნელოვანესი ძეგლი (სინას, უდაბნოს, ათონის, კლარჯეთის, სვანეთის, პარზლის მრავალთავები); დაძებნილია მათი ყველანაირი შესაძლებელი უცხოური წყარო, პარალელი; მითითებულია არსებული ლიტერატურა. ნაშრომში ავტორი განიხილავს ქართული მრავალთავის სტრუქტურას, მისი განვითარების ისტორიას, კრებულში შემავალ პომილეტიკურ მასალას, დოგმატიკური ანალიზის საფუძველს, გამოჰყოფს მრავალთავის უძველეს პლასტის (Vb.), განსაზღვრავს მის მნიშვნელობას

როგორც ძველი ქართული მწერლობის, ისე ბიზანტიისა და ქრისტიანული აღმოსავლეთის ლიტურგიკისა და პომილეტიკის ისტორიის შესასწავლად.

ზემოაღნიშნული მონოგრაფია ბელგიაში გამოსცეს ცალკე წიგნად ლუვენის კათოლიკურმა უნივერსიტეტმა და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა 1975 წელს. ნაშრომს მაღალი შეფასება მისცეს ქართველმა და უცხოელმა სპეციალისტებმა; შესაბამისად, მან ავტორს საქვეყნოდ მოუტანა ჭეშმარიტი მეცნიერული აღიარება.

საგულისხმოა ისიც, რომ მ. ვან ესბროკის ამ საინტერესო ნაშრომს და საერთოდაც ამ მიმართულებით მის მეცნიერულ კვლევა-ძიებას უდიდესი ღირებულება აქვს, რადგან მრავალთავის ტიპის კრებული უკვე აღარ არსებობს და, ამდენად, **ქართული მრავალთავები პირველწყაროს მნიშვნელობას იძენს.** უძველესი ქრისტიანული ლიტერატურის შესწავლა-კვლევისას სწორედ მათი მეშვეობით ხდება შესაძლებელი ისტორიული ფაქტების დადგენა-დაზუსტება. ავტორის მეცნიერულ დამსახურებად ითვლება აგრეთვე იმის აღიარება, რომ მრავალთავში ძირითადი და პირველადი არის პომილეტიკური მასალა, ჰაგიოგრაფია კი გვიანდელი დანამატია, რომ უძველეს კრებულთა არქეტიპი უკვე ვახტანგ გორგასლის დროს უნდა თარგმნილიყო.

მეითხველს რომ უფრო სრული წარმოდგენა შეექმნას მ. ესბროკის ამ ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებაზე, დავიმოწმებთ პროფ. ელ. მეტრეველის ვრცელი რეცენზიის ძირითად დასკვნებს. რეცენზენტი, პირველ ყოვლისა, მოკლედ საუბრობს ქართული მრავალთავის შესწავლის ისტორიაზე: საერთოდ მრავალთავის შესწავლით დაინტერესებული იყვნენ ნ. მარი, გრ. ფერაძე, მ. თარხნიშვილი. ჟ. გარიტი (გამოქვეყნებული აქვთ სტატიებიც), ხოლო სპეციალური გამოკვლევები უძლვნეს აკ. შანიძემ და ილ. აბულაძემ. წინამდებარე ნაშრომი ესბროკისა პირველი მონოგრაფიაა ქართულ მრავალთავზე. მასში შესანიშნავადა გაანალიზებული ამ ძეგლის დიდი მნიშვნელობა პატრისტიკული და ლი-

## **ბელგია**

---

ტურგიული ლიტერატურის შესწავლაში. უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით:

- ავტორმა გამოავლინა სიმდიდრე და მნიშვნელობა ქართული თარგმნილი პატრისტიკული ჰომილეტიკისა, რომელიც დაუცავს ექვს ყველაზე ძველ „მრავალთავს“;
- მოიძია იშვიათი ჰომილეტიკური ტექსტები და ისეთი ტექსტები, რომელთა ორიგინალები დაკარგულია;
- წარმოადგინა უძველესი „მრავალთავის“ თავდაპირველი სტრუქტურა: გამოყო ძირითადი ფენა, რომელიც უნდა თარგმნილყო არაუგვიანეს V საუკუნის დასასრულისა და რომლის დედანი არსებობდა ბერძნულ ენაზე დამოუკიდებელი ლიტურგიკული კრებულის სახით. ამასთანავე აჩვენა ის ევოლუცია, რომელიც განიცადა ამ თავდაპირველმა ფენამ დროთა განმავლობაში იერუსალიმისა და კავკასიის პოლიტიკურ-რელიგიურ სიტუაციათა შესაბამისად;

- გამოიყვანა ქართული ჰომილეტიკური ლიტერატურა ერთგვარი იზოლაციიდან. მანვე განსაზღვრა მისი მნიშვნელობა და მიუჩინა საპატიო ადგილი სხვა ადრექტისტიანულ ბერძნულ, სომხურ, ქრისტიანულ-არაბულ, სირიულ, კოპტურ მწერლობათა შორის. ახალი და ყველაზე მნიშვნელოვანი აქ ის არის, რომ ავტორს მრავალთავი წარმოუდგენია როგორც ერთი მთლიანი ლიტერატურული კრებული, გარკვეულ ისტორიულ-სარწმუნოებრივ სიტუაციაში წარმოქმნილი.

ქართველ მკვლევართა აღიარებით, ამის შემდეგ ეს ძეგლი (ქართული „მრავალთავი“) გვერდს დაუმშვენებს ისეთ უნიკალურ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებს, როგორიცაა: იერუსალიმური ლექციონარი, უძველესი ქართული იადგარი და საპატიო ადგილს დაიკავებს ბიზანტიურ პატრისტიკაშიც.

1975 წლიდან ესბროკი ბელგიის ხელისუფლებისადმი საკუთარი თხოვნით ჩაერთო საბჭოთა კავშირსა და ბელგიას შორის მკვლევართა გაცვლით პროგრამებში. მან ბევრჯერ მიიღო მონანილეობა ამ პროგრამებში; ეძებდა ჰაგიოგრაფიულ თხზულებებს

მოსკოვში, ლენინგრადში, თბილისსა და ერევანში. ამდენად, მას მიეცა საშუალება შექსნავლა თანამედროვე რუსული, ქართული და სომხური ენებიც.

1982 წელს ბ-ნი მიშელი მიიწვიეს რომში პაპის აღმოსავლურ ინსტიტუტში, რათა ესწავლებინა ძველი ქართული და ძველი სომხური ენები. 1985 წელს, ერთი წლის განმავლობაში, მუშაობდა პარიზის კათოლიკურ ინსტიტუტში, 1987 წელს კი აირჩიეს მიუწენის უნივერსიტეტის ქრისტიანული აღმოსავლური ფილოლოგიის კათედრის გამგედ. იგი ამ თანამდებობაზე მუშაობდა პენსიაში გასვლამდე, 1999 წლის 31 ივლისამდე.

ღირსასაცნობია ისიც, რომ ვ. ესბროკმა ევროპის წიგნსაცავებში აღმოაჩინა ექვთიმე ათონელის მიერ შესრულებული თარგმანების დედნები (რომლებზედაც თავის დროზე კ. კეკელიძეს ვერ მიუწვდა თურმე ხელი). ექვთიმეს თარგმანისა და დედნების შეჯერების საფუძველზე ესბროკმა დაწერა საინტერესო გამოკვლევა „ექვთიმე ათონელის თარგმანის მეთოდი“. მოხსენება წაიკითხა 1986 წელს თბილისში, ხელნაწერთა ინსტიტუტში, სადაც ამჟამად დაცულია ესბროკის მიერ გადაღებული თარგმანების დედნების (ორიგინალების) ასლები.

პენსიაში გასვლის შემდეგ ბ-ნი მიშელის ძირითადი საქმიანობა შემოიფარგლა წმინდა მეცნიერული კვლევა-ძიებით; მთელი ცხოვრების მანძილზე ენეოდა იგი აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას: მეცნიერული კონტაქტები და ახლო პირადი ურთიერთობა ჰქონდა უცხოელ ქართველოლოგებთან, ნაყოფიერად თანამშრომლობდა ქართველოლოგიურ ჟურნალებში („ბედი ქართლისა“, „ქართული და კავკასიური ეტიუდების ჟურნალი“...), აქვეყნებდა საინტერესო გამოკვლევებს, წერდა რეცენზიებსა და მიმოხილვებს ქართველ მეცნიერთა ნაშრომებზე. იგი არის ავტორი წერილებისა ქართული ლექციონარის, აპოკრიფული და ჰაგიოგრაფიული ძეგლების შესახებ (საგულისხმოა ისიც, რომ გამოკვლევებს თან ერთვის ძეგლთა თარგმანები ფრანგულ ენაზე); სისტემატურად მონაწილეობდა ქართველოლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმებში.

## **ბელგია**

---

ესბროკის სამეცნიერო ნაშრომების ბიბლიოგრაფიული ნუსხა (2002 წლის მონაცემებით, ავტორის მიერ შედგენილი) ითვლის 9 წიგნს, 231 გამოკვლევას, 27 საპოლემიკო სტატიას. მათი უმრავლესობა ეძღვნება უძველესი ქართული ხელნაწერების შესწავლას.

განსაკუთრებით დიდია ბ-ნი მიშელის ღვანილი ქართული კულტურის ისტორიაში იმ მხრივაც, რომ იგი წლების მანძილზე სიყვარულითა და რუდუნებით ეძიებდა უცხოურ წყაროებსა და სიძველეებში გაბნეულ ქართულ მასალებს, იკვლევდა და მეცნიერული კეთილსინდისიერებით უწევდა მათ პოპულარიზაციას უცხოეთში, უძველესი ქართული ქრისტიანული მწერლობის ძეგლებს ხელმისაწვდომს ხდიდა ევროპელ და ქართველ მეცნიერთათვის. მაგალითად, მან ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა ფონდში დაცული პალიმფსესტის ქვედა ფენა პირველმა ამოიკითხა და დაადგინა, რომ ეს იყო IX საუკუნის ქართული მრავალთავის ერთი ნაწილი. აგრეთვე სინას მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტრის საცავში (რამდენიმე წუთით შესულმა) იპოვა **სინური მრავალთავის აქამდე დაკარგული IV ნაწილი**, რომელიც იქაურ ბერებს სომხური ეგონათ. ამ ხელნაწერის შესახებ ქართველმა მეცნიერებმაც პირველი ცნობა სწორედ ესბროკისაგან მიიღეს.

ბ-ნი მიშელი იყო საქართველოს დიდი მეგობარი. 1972 წლიდან მოყოლებული იგი ჩვენს ქვეყანას 13-ჯერ ეწვია. საინტერესო მოხსენებებით აქტიურად მონაწილეობდა საქართველოში გამართულ სამეცნიერო-საიუბილეო ღონისძიებებში, თავისუფალ დღებში კი დაკავებული იყო მუზეუმებსა თუ ინსტიტუტებში დაცული უძველესი ხელნაწერების შესწავლით.

ბელგიელმა ქართველოლოგმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იუბილეზე **1988** წელს წარმოადგინა მოხსენება – „**პეტრე იბერი და დიონისეს კორპუსი: ახალი მონაცემები**“. მკვლევარმა მასში წამოაყენა ზოგიერთი ახალი მოსაზრება, როთაც ერთხელ კიდევ დაასაბუთა ე. პონიგმანის თეზისი. „**რაც შეეხება პეტრე იბერს, ძალიან მომწონს ის, რომ იბერი წმინდა მონა-**

ზონი და ფილოსოფოსი იყო, – აღნიშნავდა იგი, – ჩემი აზრით, მისთვის ნარმართული ფილოსოფია და ქრისტიანული მონაზ-ვნობა ერთი და იგივეა“.

ქართველი ინტელიგენცია, სამეცნიერო საზოგადოება სა-თანადოდ აფასებდა ქართული კულტურის ღირსეულ მოამაგე უცხოელ ქართველოლოგს. მ. ვან ესპროკი გახლდათ **საქართვე-ლოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი;** 1988 წელს, დეკემბერში, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწი-ფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის კათედრამ ქარ-თველოლოგიაში გაწეული ღვანილისათვის მას მიანიჭა ფრანგი ქართველოლოგის მარი ბროსეს სახელობის პრემია.

სიცოცხლის ბოლო წლებში მიშელი დაინტერესდა **ქარ-თველი წმინდანების ცხოვრებით.** ამ მხრივ მისთვის მეტად ფა-სეული აღმოჩნდა ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზე-უმში დაცული მასალები. ამ უძველეს ხელნაწერთა გადმოწერა-დამუშავების მიზნით იგი 1999 წლიდან ყოველწლიურად სტუმ-რობდა საქართველოს.

2003 წლის აგვისტო-სექტემბერშიც ეწვია თბილისის ხელ-ნაწერთა ინსტიტუტსა და ქუთაისის ეთნოგრაფიულ მუზეუმს სა-თანადო მასალებისათვის (სექტემბრის თვეში მონაწილეობა მი-იღო სომხეთში გამართულ სამეცნიერო სიმპოზიუმის მუშაობა-ში). ეს იყო მისი უკანასკნელი ვიზიტი საქართველოში. 2003 წლის 22 ნოემბერს მოულოდნელად გარდაიცვალა მიუნხენში.

ბ-ნი მიშელი გამოირჩეოდა არა მარტო ფართო ერუდიცი-ით, ჟეშმარიტი მეცნიერული სილრმითა და კვლევის საგულის-ხმო შედეგებით, არამედ თავისი სულიერებითა და ადამიანური ღირსებითაც. მას პირადად შევხვდით 2002 წლის მაისში, აღმოჩ-ნდა, რომ საქართველოში მისი იმუამინდელი ვიზიტი უკავშირდე-ბოდა თბილისის სამეცნიერო სიმპოზიუმსა და ქუთაისის ისტო-რიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულ უძველეს ქართულ ხელნაწერებზე მუშაობას.

ბ-ნი მიშელი მაშინ ორი კვირა დარჩა ქუთაისში. ჩვენც ვი-სარგებლეთ ამით და უფრო ახლოს გავეცანით. რამდენჯერმე

## **ბელგია**

---

მოვინახულეთ მუზეუმში მომუშავეც. იგი ძალიან გახარებული და კმაყოფილი იყო, რომ ქართველი წმინდანების შესახებ უკვე ხელთ ჰქონდა ახალი მასალები, რომლებიც საინტერესო კვლევის ობიექტად ესახებოდა. ყოველთვის გატაცებით საუბრობდა უძველესი ქართული ხელნაწერების მეცნიერულ ღირებულებაზე: „მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მუზეუმებში, არქივებსა და საცავებში უამრავი ხელნაწერია დაცული ძველ ქართულ ენაზე, რომელიც მოითხოვს შესწავლასა და გამომზეურებას. ჩვენი – როგორც ქართველი, ისე უცხოელი მკვლევრების – ვალია თანამედროვე მკითხველს მათთვის გასაგები ენით მივაწოდოთ ეს უნიკალური ხელნაწერები, რომლებითაც მრავალი დიდი ქვეყანა იამაყებდა.“

მართალია, მ. ვან ესბროკი პოლიგლოტი გახლდათ (იცოდა ფრანგული, გერმანული, ინგლისური, იტალიური, ბერძნული, ლათინური, ქართული, რუსული, სომხური, არაბული, კოპტური, ეთიოპიური, სირიული), მაგრამ ქართული ენა მაინც გამორჩეული იყო მისთვის, რასაც ხშირად სიამაყით აღიარებდა: „ძალიან მიყვარს ქართული წერაც და ლაპარაკიც. ქართული ენა თითქოს ბერძნულს მაგონებს. მაგრამ, მე ვიტყოდი, რომ ქართული არის უფრო სრულყოფილი, მწყობრი და ნათელი ენა. აქ არც იმდენად ბევრი თანხმოვანია, როგორც სომხურში და თანაც ყველაფერი გაცილებით ზუსტი და განსაზღვრულია. ერთი სიტყვით, ნათელი ენაა. საერთოდ თავიდანვე ძალიან დამაინტერესა ძველმა ენებმა, განსაკუთრებით კი მომხიბლა ძველმა ქართულმა თავისი განსაკუთრებული ულერადობითა და მრავალფეროვანი ლექსიკით... ბელგიასა და გერმანიაში, სადაც ძირითადად ვიმყოფები, იშვიათად ვლაპარაკობ ქართულად. როგორ მინდა, რომ მთელი დღის განმავლობაში კონფერენციები მოვისმინო ქართულად.“ მისი აზრით, ენების ცოდნა არის მძლავრი იმპულსი, საუკეთესო საშუალება მეცნიერული კვლევისათვის.

ბ-ნი მიშველი ღვთიური მადლით უხვად იყო დაჯილდოებული, უყვარდა პოეზია და მუსიკა, სიამოვნებით კითხულობდა ქართველი პოეტების ლექსებს, მოხიბლული იყო „ვეფხისტყაოს-

ნით“, ზეპირადაც იცოდა სტროფები... გატაცებით უკრავდა მუ-სიკალური იძსტრუმენტზეც. დავიმოწმებთ ნაწყვეტს ერთი საგა-ზეთო სტატიიდან: „შუშანიკის წამების“ იუბილე იყო. სხდომის დამთავრების შემდეგ უნივერსიტეტის სააქტო დარბაზიდან ყვე-ლანი გაიკრიფნენ. მხოლოდ ბ-ნი მიშელი არ აპირებდა წასვლას, რადგან როიალი შენიშნა. საერთოდ იგი ყოველთვის ეძებს ინ-სტრუმენტს და, როცა პოულობს, უდიდესი სიამოვნებით უკ-რავს. მაშინაც, როგორც ჩანს, დაკვრის სურვილი დაეუფლა და... უკვე შინ წასასვლელად გამზადებული საზოგადოება გატაცე-ბით უსმენდა ვან ესბროკს, რომელიც მთელი არსებით მუსიკაში ჩაძირულიყო. დარბაზი ისევ გაიკვის“.

ერთი დეტალიც უცხოელი მეგობრის პორტრეტისათვის: „შემოვლილი მაქვს თითქმის მთელი საქართველო. მოხიბლული ვარ ქართული ტაძრების დახვენილი ხუროთმოძღვრებით. დიდე-ბული და განუმეორებელია გელათი. მომაჯადოვა ქართულმა ფრესკებმა. ვსწავლობ მათს რეპერტუარს, საერთოდ ფერწერა ძალიან მიყვარს“ (მ. ვ. ესბროკი).

ბ-ნი მიშელი იყო საოცრად ერთგული მეგობარი. მისმა თბილისელმა კოლეგამ და მუდმივმა მასპინძელმა თ. მგალობ-ლიშვილმა ჩვენთან საუბარში მათი ხანგრძლივი (30 წლიანი) თა-ნამშრომლობიდან არაერთი საინტერესო ეპიზოდი გაიხსენა: „ბ-ნი მიშელი, პირველ ყოვლისა, გახლდათ კეთილი და უმწიკვლო, ბავშვივით გულწრფელი, საქმისადმი საოცრად თავდადებული. მისი შემოქმედებითი ენთუზიაზმი გადამდები იყო. იგი ყოველ-თვის გრძნობდა საქართველოში დიდ სიყვარულსა და პატივის-ცემას ქართველი კოლეგების მხრიდან და ასეთივე ყურადღებია-ნი გახლდათ თავადაც უცხოეთში როგორც მასპინძელი ჩვენს მი-მართ. განსაკუთრებული მადლიერებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბ-ნი მიშელი XX საუკუნის 70-იან წლებშიც კი ცდილობდა, ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ქართველი მეცნიერები აქტიურად ჩართულიყვნენ საერთაშორისო სიმპოზიუმების მუ-შაობაში; უცხოეთში ჩვენი გამგზავრებისათვის საჭირო დოკუ-მენტაციის მოგვარებაზეც კი ზრუნავდა; მისივე რეკომენდაციი-

## **ბელგია**

---

თა თუ სპეციალური რეცენზიებით იბეჭდებოდა უცხოეთის სამეცნიერო კრებულებში ქართველთა ნაშრომები.“

ჭეშმარიტ მკვლევარს სხვაგვარად არც შეეძლო მოქცეულიყო, რადგან თავადაც კარგად უწყოდა ამგვარი ორმხრივი მეცნიერული თანამშრომლობის დადებითი შედეგების შესახებ. „მე, კათოლიკე მღვდელსა და მეცნიერს, ახლო ურთიერთობა მაქვს მრავალ ქართველ მართლმადიდებელ მეცნიერთან. ჩემთვის მეტად საინტერესოა მათთან ერთად მუშაობა. ვფიქრობ, ეს მეგობრობა და თანამშრომლობა ორივე მხარისათვის სასარგებლო და ნაყოფიერია“, – აღნიშნავდა იგი ერთ-ერთ ინტერვიუში.

მ. ვან ესბროქს გამორჩეულად უყვარდა საქართველო: „საქართველოში პირველად ჩამოვედი გასული საუკუნის 70-იან წლებში. ქვეყანა, რომელსაც ასეთი უკვდავი და ლამაზი ენა აქვს, ადრიდანვე მხიბლავდა. აქ ჩამოსვლამდე უამრავ ქართულ ხელნაწერსა და უძველეს ქართველ მწერალთა თხზულებებს ვიცნობდი. აღტაცებული ვიყავი მათი მხატვრული და მეცნიერული ღირებულებით. ინტუიციამ არ მიღალატა. მე აღმოვჩნდი ძველი ტრადიციების მქონე ულამაზეს კუთხეში. ქართველები ნიჭიერი, სტურმართმოყვარე და რაღაც თავისებური ხიბლის მქონე ხალხია, თითქმის ყველა მეორე პოეტი და მომღერალია.

საქართველოს 12-ჯერ ვესტუმრე და ვთვლი, რომ საქართველო, განსაკუთრებით თბილისი, ჩემი მეორე სამშობლოა“.

როგორც აღნიშნეთ, ბ-ნი მიშელის პიროვნებაში ძალუმად იყო მოჭარბებული თავმდაბლობა და უმნიკვლო ერთგულება ადამიანებისა თუ საქმის მიმართ: იგი, როგორც ქართველოლოგი, თავის პირველ მასწავლებლად აღიარებდა პ. პეტერსს. სწორედ მისმა ქართველოლოგიურმა ნაშრომებმა პირველად გაუნათეს გზა ჭაბუკ მიშელს ქართველოლოგისაკენ, პირველად შეიყვანეს იგი უძველესი ქართული სასულიერო მწერლობის რთულსა და საინტერესო სამყაროში, ხოლო შემდგომ, უ. გარიტის ხელმძღვანელობით, ბ-ნი მიშელი ჩამოყალიბდა, როგორც სახელგანთქმული ქართველოლოგი, ორიენტალისტი, ძველი და ახალი აღმოსავლური ენების მცოდნე ფართოდ ერუდირებული მკვლევა-

რო. ამიტომაც იყო, რომ იგი ყოველთვის სიამაყით იგონებდა მას-ნავლებლებს და მადლიერებით დასძენდა: „მე დიდად დავალებული ვარ ჩემი მასწავლებლებისაგან. მათ ხსოვნას მუდამ სათუ-თად ვატარებ“.

ბ-ნი მიშეღის დასახასიათებლად მკითხველს გავაცნობთ ერთ ფაქტსაც: 1977 წელს სალიებმა თავიანთი უძვირფასესი ბიბლიოთეკა გადასცეს თბილისის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს. საჭირო იყო უამრავი წიგნის თუთიის ყუთებში ჩაღავება, სათანადო შეფუთვა და საფრანგეთიდან საქართველოში გამოგზავნა. ფიზიკურად ეს მძიმე სამუშაო დი-დი გულმოდგინებითა და საქმის სიყვარულით შეასრულეს მი-შეღ ესბროკმა და მისმა მეგობარმა – ფრანგმა ქართველოლოგ-მა ბერნარ უტიერ.

... 2002 წლის 30 მაისს ქართული ენის კათედრის თაოსნო-ბით მ. ესბროკი მიიწვიეს ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტ-ში. მან აქ ქართულ ენაზე წაიკითხა მოხსენება თემაზე – „რას წარმოადგენდა თავდაპირველად ძველ ქართულ ლიტურგი-კულ წყაროებში მოხსენიებული ვარდობის დღესასწაული.“

საინტერესო მოხსენებითა და დასმული შეკითხვების პასუ-ხებით გაირკვა, რომ ვარდობის დღესასწაული, რომელსაც 13 მა-ისს აღნიშნავდნენ, უძველესი დროიდან მოდის. ეს საკითხი, რა-ზედაც ბევრი მეცნიერი მუშაობდა, ყოველთვის საპოლემიკო სა-განი იყო. განსხვავებული თვალსაზრისებია გამოთქმული რო-გორც ქართველი, ისე უცხოელი მკვლევრების მხრიდან. „ბუნებ-რივია, მეც დამაინტერესა ამ საკითხმა, გამოვიკვლიე მრავალი ხელნაწერი ქართულ თუ ძველ აღმოსავლურ ენებზე. ბედმა გამი-ღიმა და სინაის მთის ხელნაწერთა კოლექციაში წავაწყდი XII სა-უკუნის არაბულ ტექსტს, რომელიც ძალიან დამეხმარა და ფაქ-ტობრივად აღმოჩნდა გასაღები მრავალი საჭოჭმანო საკითხის დასადგენად, რაც ვარდობის დღესასწაულს შეეხებოდა. კერძოდ: ნათელი გახდა, რომ იგი დაკავშირებულია რომის იმპერატორ ფოკთან, რომელმაც IV საუკუნეში რომის პანთეონში ააგო ღვთისმშობლის ეკლესია. პანთეონში საკულტო ნაგებობის აგება

## **ბეჭდია**

---

მართლაც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რამაც უთუოდ განაპირობა ვარდობის დღესასწაულის აღნიშვნა 13 მაისს, ეკლესიის კურთხევის დღეს.“

ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების შეხვედრა ბ-ნ მიშელთან იყო საინტერესო, საქმიანი და ამავე დროს მეტად გულთბილი, რასაც განაპირობებდა არა მარტო, ერთი მხრივ, დამსწრე საზოგადოების აკადემიურობა და, მეორე მხრივ, ქართული სტუმართმოყვარეობის ტრადიცია, არამედ თვითონ სტუმრის პიროვნული თვისებებიც.

მ. ვან ესბროკთან პირველი შეხვედრიდანვე იგრძნობდით, რომ იგი გახლდათ გულისხმიერი, საოცრად გულდია, ხალისიანი მოსაუბრე; ადვილად შეეძლო სითბოსა და სიყვარულის გამომჟღავნება; იგრძნობდით, რომ სიკეთისა და სულიერების მადლი ამშვერებდა მის საქმესაც. ბ-ნი მიშელის შემართება და შემოქმედებითი ენთუზიაზმი, საქმის სიყვარული და ერთგულება ადვილად შესამჩნევი და ერთგვარად გადამდებიც იყო. ყველა ეს დადებითი თვისება მისი ხასიათის მუდმივი ნიშანი გახლდათ, რამეთუ იგი ერთნაირად გულწრფელი ჩანდა როგორც კერძო საუბარში, ისე ფართო აუდიტორიის წინაშეც. სწორედ ამგვარი ემოციური მუხტი იგრძნობოდა უნივერსიტეტში შეხვედრის დროსაც.

აქვე, შეხვედრაზე, უნივერსიტეტის რექტორმა პროფ. ა. ნიკოლეიშვილმა გამოითქვა სურვილი – მ. ვან ესბროკი ქართული კულტურის ერთგულებისათვის, ჩვენი ენისა და ლიტერატურის უანგარო სამსახურისათვის მომავალში აგვერჩია უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად. ბ-ნი მიშელი ძალიან კმაყოფილი იყო უნივერსიტეტში სტუმრობით. მან მადლიერებითა და ჩვეული თავმდაბლობით განაცხადა: „ქუთაისის უნივერსიტეტის გაცნობა ერთ-ერთი უბედინიერესი ეპიზოდი იქნება ჩემს ცხოვრებაში. ახლა უცხოეთში გავემგზავრები თქვენთან კვლავ შეხვედრის სურვილით.“

ბ-ნი მიშელი 2003 წლის სექტემბერში ცოტა ხნით ეწვია ქუთაისს. კვლავ ვინახულეთ, ხალისიანი და იმედიანი განწყობით ლაპარაკობდა სამომავლო გეგმებზე: 4 ოქტომბერს გერმა-

ნიაში მიფრინავდა, მაგრამ მალევე აპირებდა საქართველოში დაბრუნებას.

...სამწუხაროდ, ვეღარ შეძლო დანაპირების შესრულება. მოულოდნელად გარდაიცვალა. თითქოს სიმბოლური იყო მისი სიკვდილიც. როგორც ამბობენ, ბოლანდისტთა საზოგადოებაში ინახებოდა მისი უნიკალური და უმდიდრესი ბიბლიოთეკა, რომელსაც, უკვე პენსიაში მყოფი, ნაწილ-ნაწილ ეზიდებოდა მანქანით საკუთარ ბინაში. თურმე სწორედ ამ წიგნებზე დამხობილმა დალია სული და შეუერთდა ზეციურ საუფლოს.

ბ-ნი მიშელისათვის საქართველო ყოველთვის იყო გულ-თბილი მასპინძელი, მისი მეცნიერული ნაღვანის პირუთვნელი დამფასებელი. ყოველივე ამას თავადაც კარგად გრძნობდა და ცდილობდა, რომ მისი ქართველოლოგიური გამოკვლევები ფიზიკურადაც არსებულიყო საქართველოში, რათა იგი ხელმისაწვდომი გამხდარიყო დაინტერესებულ პირთათვის, მკითხველი საზოგადოებისათვის. ამისი ერთ-ერთი დასტური გახლავთ მ. ეს-ბროკის ნაშრომთა უამრავი ქსეროასლი და ამონაბეჭდი, რომლებიც ამჟამად საჩუქრის სახით ინახება თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტში, თბილისელი კოლეგების პირად არქივებში.

ბ-ნ მიშელს არ დავიწყებია არც ქუთაისის უნივერსიტეტი. საქართველოში უკანასკნელი ვიზიტის დროს გერმანიიდან ქუთაისისათვის საგანგებოდ ჩამოიტანა სათანადო მასალები — 54 დასახელების სამეცნიერო გამოკვლევა ამონაბეჭდებისა და ქსეროასლების სახით, სადოქტორო დისერტაცია წიგნად გამოცემული, მოკლე ბიოგრაფიული ცნობები და 2002 წლის ჩათვლით ნაშრომთა ბიბლიოგრაფია (გამოკვლევების ძირითადი ნაწილი ფრანგულ ენაზეა დაწერილი, მცირე ნაწილი — გერმანულად და ინგლისურად). ყველა ეს მასალა, ავტორის თხოვნით, ინახება ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის ბიბლიოთეკაში. დაინტერესებულ პირებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ მათი გამოყენება.

**შორებ პურიშევი** (დ. 1915) — ბელგიელ ქართველოლოგთა შორის ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობით გამოირჩევა. 1937 წელს დაამთავრა ლიეჟის უნივერსიტეტის ფილოსოფია

## ბელგია

---

– ლიტერატურის ფაკულტეტი. მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში. იგი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა XX საუკუნის 40-იან წლებში. მას შემდეგ თავისი მხატვრული სიტყვით იბრძოდა პროგრესული იდეებისათვის, არასოდეს უღალატია ჰუ-მანიზმის პრინციპებისათვის. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა 1955 წელს მის მიერ დაარსებული ჟურნალი „ლა დრიად“, რომელშიც ფართოდ აშუქებდა მსოფლიო ლიტერატურის მიღწევებს, ბეჭდავდა საინტერესო მასალებს ამა თუ იმ ქვეყნის კულტურის საკითხებზე.

ჟ. ბუიონმა სახელი გაითქვა მოთხოვებით, რომანებითა და ჰუბლიცისტური წერილებით. იგი იყო ბელგია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების პრეზიდენტი, ასევე საზღვარგარეთის მრავალი სამეცნიერო აკადემიისა და საზოგადოების წევრი.

ბელგიელი მწერალი საქართველოს ისტორიითა და კულტურით დაინტერესდა გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან, კერძოდ, მას შემდეგ, რაც გაიცნო და საქმიანი კონტაქტები და-ამყარა ბელგიის საელჩოში მომუშავე ქართველებთან – გივი და ეკა მაისურაძეებთან. მან რამდენჯერმე იმოგზაურა საქართველოში, ინახულა ქართლი, კახეთი, გურია, სამეგრელო, მესხეთ-ჯავახეთი და სხვა ადგილები. ჟ. ბუიონი — „პატიოსანი კაცი, დი-დი ჰუმანისტი... დიალოგის კარგი ოსტატი“ (კლოდ როსი) – ადვილად დაუახლოვდა ქართველ მეცნიერებსა და მწერლებს: გრ. აბაშიძეს, ი. ნონეშვილს, გ. ბუაჩიძეს, ს. წულაძეს, პ. ინგოროვას, მ. ლებანიძეს, შ. ძიძიგურს, ს. თურნავას და სხვ.

როცა ჩვენი ქვეყნის ულამაზესი ბუნებითა და ხალხის სტუმართმოყვარეობით მოხიბლული უცხოელი უფრო ახლოს გაეცნო ქართულ კულტურას, პოეზიასა და მწერლობას, მიზნად დაისახა მისეული თვალით დანახულ-აღქმული ეს ულამაზესი მხარე, თავისი ნიჭიერი და შემოქმედი ხალხით, ცნობილი გაეხადა თანამემამულეთათვისაც... და მრავალი წლის დაძაბული შრომის შედეგად ქართველი კოლეგების კონსულტაციებითა და ხელშეწყობით დაიწერა ჟ. ბუიონის შესანიშნავი წიგნი „საქართველო – ოქროს საწმისის ქვეყანა“ (1978). შესავალში ავტორი წერს: „წიგნს

არა აქვს მეცნიერული ნაშრომის პრეტენზია, არამედ აქ არის უბრალო თხრობა უცხოელი მკითხველისათვის ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე... ჩემი მიზანი იყო მეთქვა სიმართლე საქართველოზე, გამეცნო მსოფლიოს ხალხებისათვის ქართული კულტურა და მემხილა ცილისმნამებლები.“

ჟ. ბუიონმა ნაშრომში საინტერესოდ განიხილა ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების გზები, დაწყებული ძველი დროიდან თანამედროვეობამდე (წყაროებად გამოყენებულია ქართველი მწერლებისა და მეცნიერების ნაშრომებიც).

**შენიშვნა:** ჟ. ბუიონის აღნიშნული წიგნი დაწერილებითაა მიმოხილული ს. თურნავს მონოგრაფიაში „ქართული კულტურის საზღვარგარეთელი მეცნიერები“ (თბ., 1999). ამჯერად ზოგადი ინფორმაციისათვის ჩვენ მხოლოდ რამდენიმე საკითხზე შევჩერდებით.

...ბელგიილი მწერალი საგანგებოდ მსჯელობს ქართული მწერლობის უძველესობაზე. მისი დაკვირვებით, ამ სიძველის მაჩვენებელია, პირველ ყოვლისა, ქართული ანბანი, რომელიც შეუმუშავებიათ და შეუფარდებიათ ქართული ენისათვის ჩვენი წ.აღ.-ის წინა საუკუნეებში. ძველი ქართული მწერლობიდან განსაკუთრებით ვრცლად აანალიზებს „ვეფხისტყაოსანს“, ეხება პოემის სიუკეტის სადაურობასთან დაკავშირებულ სადაც საკითხსაც. მიაჩნია, რომ „სპარსული ამბავი“ რუსთაველმა შენიდბევისათვის გამოიყენა; პოემის გმირები ნამდვილი ქართველები არიან... ჟ. ბუიონის აზრით, „ვეფხისტყაოსანის“ პერსონაჟები-დან ტარიელი ყველაზე მაღლა დგას. მის პერსონაში დომინანტობს მიწიერი სიყვარულის დიდი გრძნობა... თავად „რუსთაველმა ქართულ პოეზიაში სამუდამოდ დაიმკვიდრა დიდოსტატის ტიტული. XVIII საუკუნის დიდი ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის აღმაფრთოვანებელი სიტყვები რომ ვიხმაროთ, რუსთაველმა დარგო ხე, რომლის ფესვები ღრმად ჩასწვდა ქართულ პოეზიას, მიიღო უხვი მოსავალი, რომელიც გრძელდება საუკუნეების მანძილზე... „ვეფხისტყაოსანი“ დიდი საერო ნაწარმოებია... ბერძნებს აქვთ „ილიადა“, იტალიელებს — „ღვთაებრივი კომედია“, ქართველებს — „ვეფხისტყაოსანი“. პომეროსი, დანტე,

## **ბელგია**

---

რუსთაველი – ეს ბედნიერი მოკვდავები იყვნენ და დღესაც არიან თავიანთი ხალხების სარკე“.

ჟ. ბუიონის წიგნი „საქართველო — ოქროს საწმისის ქვეყანა“ გულთბილად მიიღო უცხოელმა მკითხველმა, პირადი წერილებითა თუ ოფიციალური რეცენზიებით გამოთქვამდნენ მადლობას ავტორის მიმართ: „წავიკითხე წიგნი „საქართველო — ოქროს საწმისის ქვეყანა“. ძალიან ბევრი რამ გავიგე საქართველოზე, საოცარ ქვეყანაზე. ძალიან კმაყოფილი დავრჩი“ (ანდრე გლოდი); „ჟ. ბუიონის წიგნში ნათლად ჩანს მისი დიდი ნიჭი და მდიდარი ერუდიცია. ეს წიგნი გზამკვლევია, ვისაც სურს საქართველოს გაცნობა“ (ს. თურნავა)...“

ბელგიელი მწერალი იყო ქართველი ხალხის დიდი მეგობარი. იგი სისტემატურად აქვეყნებდა უცხოეთის უურნალ-გაზე-თებში ნარკვევებსა და რეცენზიებს ქართველი მწერლების, მეცნიერების ნაშრომებზე და ევროპელებს აცნობდა ქართულ კულტურას. მაგალითად, მან დაწერა ვრცელი რეცენზია შ. ძიძიგურის წიგნზე „ქართული ენა“ (გამოსცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ ფრანგულ ენაზე); 1979 წელს ბელგიურმა უურნალმა „ბელუქ ურს მაგაზინმა“ გამოაქვეყნა წერილი „სულხან-საბა ორბელიანის, „სიბრძნე სიცრუისა“; დაიბეჭდა ბუიონის რეცენზიები აგრეთვე კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაზე“ (1981), ს. წულაძის ნაშრომზე „ქართული პოეზის ანთოლოგია“ (1983), ნ. ღუმბაძის „მარადი-სობის კანონზე“ (1983).

\*\*\*

დღეს საქართველო-ბელგიის კულტურული ურთიერთობა კიდევ უფრო მრავალფეროვანი ხდება, იზრდება ქართველოლოგის საკითხებით დაინტერესებულთა რიცხვი.

## ამერიკის შეართებული შტატები

ამერიკაში ქართველობით სათავეს იღებს XX საუკუნის დასაწყისიდან, ევროპის ქვეყნებთან შედარებით გაცილებით გვიან.

**რობერტ ბლეიკი** (1886-1950) ითვლება შეერთებულ შტატებში ქართველობიური კვლევის მესაძირკვლედ. ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, კალიფორნიის უნივერსიტეტის დოქტორი, სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო აკადემიების წევრი აღიარებული იყო, როგორც ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარი.

რ. ბლეიკმა 1908 წელს დაამთავრა კალიფორნიის უნივერსიტეტის კლასიკურ-ბერძნული განყოფილება; 1910 წელს ერთდროულად სწავლობდა ჰარვარდისა (აშშ) და ბერლინის უნივერსიტეტებში. 1912 წელს იმოგზაურა რუსეთსა და ამიერკავკასიაში. ფაქტობრივად ამ შემთხვევამ განსაზღვრა ბლეიკის შემოქმედებითს ცხოვრებაში ქართველობიური კვლევის მიმართულება: გახდა პეტერბურგის უნივერსიტეტის თავისუფალი მსმენელი. ისმენდა მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერების – ნ. მარის, ნ. ადონცის, პ. კოკოვცოვის, ვ. ბენეშევიჩის, დ. აინალოვისა და სხვათა ლექციებს.

რ. ბლეიკმა სამაგისტრო გამოცდები ჩააბარა ქართული სიტყვიერების დარგში. მისი პირველი სამეცნიერო ნაშრომი დაიბეჭდა 1916 წელს ნ. მარის უურნალში – ორიენტალისტურ ორგანო „ხრისტიანსკი ვოსტოკში“. 1918 წელს იგი მიავლინეს კავკასიაში. საქართველოში ყოფნის დროს ახლოს გაეცნო ქართველი ინტელიგენციას, წაიკითხა საჯარო ლექციები მაშინდელ სასწავლო სამეცნიერო ცენტრებში (რევოლუციამდელ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ქალთა უმაღლეს კურსებზე), 1918 წელს კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ამერიკელი პროფესორი ოფიციალურად მოიწვია ბიზანტიის ისტორიის კურსის ნასაკითხად. იმავდროულად ასწავლიდა ბერძნულ ენასაც. მართა-

ლია, მაშინ თსუ-ში რ. ბლეიკის მოღვაწეობა მხოლოდ 2-3 წელს გაგრძელდა, მაგრამ იგი სიცოცხლის ბოლომდე ემსახურებოდა ქართულ მეცნიერებას.

რ. ბლეიკის ქართველოლოგიური ნაშრომების ძირითადი თემატიკა იყო **საქართველოს ისტორია და ლიტერატურა**. იგი 1921 წლიდან, აშშ-ში დაბრუნების შემდეგ, გახდა ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი (1929-1937 წლებში პარალელურად მუშაობდა ამავე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორად); დიდი ინტერესით იკვლევდა ქართულ ბიბლიურ ტექსტებს (ოთხთავი, წინასწარმეტყველთა წიგნები, ჰაგიოგრაფიული ძეგლები), რომლებიც გამოსცა ლათინური თარგმანითურთ. 1934 წელს ლონდონში დაბეჭდა ეპიფანე კვიპრიელის თხზულების „პატიოსან თუალთათვის“ ქართული თარგმანი; ინგლისშივე მიაკვლია „რიფსიმერანთა მარტვილობის“ ქართულ ფრაგმენტს. დაწერა საყურადღებო გამოკვლევები გელათში დაცულ უძველეს წიგნებზე, კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ I ტომზე; ჰარვარდის უნივერსიტეტის უურნალ „მიმომხილველში“ გამოაქვეყნა კატალოგი იმ ქართული წიგნებისა, რომლებიც კემბრიჯის უნივერსიტეტშია დაცული... გამოსცა „**ბალავარიანის**“ ვრცელი რედაქცია.

რ. ბლეიკის ნაშრომებიდან ქართული კულტურის ისტორიისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „**იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრისა და ათონ-მთაწმინდის ივერთა მონასტრის ხელნაწერების**“ რამდენიმე კატალოგი; მეცნიერულად აღნერა პალესტინასა და ათონზე დაცული ხელნაწერები; გამოავლინა მრავალი მანამდე უცნობი თხზულება, რომლებიც მხოლოდ ამ გზით გახდა მისაწვდომი მსოფლიოს სამეცნიერო წრეებისათვის.

სპეციალისტთა აზრით, ბლეიკის აღნერილობანი გამოირჩევა მეცნიერული სილრმითა და სიზუსტით. გარდა ამისა, ამერიკელი ქართველოლოგის უდიდეს დამსახურებად თვლიან იმასაც, რომ მან თურქეთის ქართულ პროვინციაში პირველმა აღმოაჩინა „**ბერთის ოთხთავი ანუ სახარება**“ და გამოაქვეყნა ცნობები მის

შესახებ (ესაა ერთ-ერთი უძველესი ქართული სახარება, რომელ-საც ათარიღებენ X საუკუნით, შ. ამირანაშვილს კი – VIII-IX საუკუნეების ძეგლად მიაჩნია).

ცნობილია, რომ ძველი ქართული ბიბლიური ტექსტების თარგმნა-გამოცემაში ამერიკელი მეცნიერი თანამშრომლობდა ფრანგ ქართველოლოგ მორის ბრიერთან. იგი ქართულ კულტურას ემსახურებოდა იმ მხრივაც, რომ საქართველოს ისტორიის საკითხებში კონსულტაციას უწევდა ვებსტერის ბიოგრაფიულ ენციკლოპედიას (1955 წლის გამოცემა, გვ. VII); გარდა ამისა, იმ დროს, როცა თავმჯდომარეობდა ბიზანტიის ინსტიტუტს, იქ გამოსცა ივ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი კრებულის – „არილის“ (1925) მსგავსი კრებული „არისი“ პროფ. კრუმის პატივსაცემად, სადაც მოათავსა საკუთარი გამოკვლევა – „ერთი ტაძარი ქართული ტიბისა თებეს ნეკროპოლში“.

რ. ბლეიკის ქართველოლოგიურმა მოღვაწეობამ ამერიკაში დიდი პოპულარიზაცია გაუნია საქართველოსა და მის კულტურას. ამ ასპექტით მნიშვნელოვან ცენტრად იქცა ჰარვარდის უნივერსიტეტი, სადაც XX საუკუნის შუა ხანებიდან პრაქტიკულადაც ისწავლებოდა ქართული ენა. აქ მოღვაწეობდა აგრეთვე ცნობილი ქართველოლოგი ლუის ფრენსის სოლანო.

**ლუის ფრენსის სოლანო** – იყო შუასაუკუნეების ფრანგულ-პროვანსული ლიტერატურის მკვლევარი. ამ ეპოქის ფრანგული ლიტერატურის მეცნიერულმა შესწავლამ სოლანო დააკავშირა ქართულ მწერლობასთან, პირველ რიგში, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანთან“.

ლ. სოლანო საქართველოს პირველად ეწვია 1968 წელს, როგორც მეცნიერებათა აკადემიისგან მოწვეული ოფიციალური სტუმარი. მონაწილეობა მიიღო ნიკოლოზ ბარათაშვილის იუბილეში. თბილისში იგი შეხვდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის პოეტებს, მწერლებს, რამაც კიდევ უფრო გააფართოვა ამერიკელი პროფესიონალის მეცნიერული თვალსაწიერი ქართველოლოგიური ასპექტით.

რუსთაველთან დაკავშირებული ლიტერატურის საფუძვლიანად გაცნობისა და მისთვის საინტერესო მასალების მოძიების მიზნით უცხოელი მკვლევარი რამდენჯერმე ეწვია საქართველოს. მან იმავდროულად ინტენსიურად დაიწყო ქართული ენის შესწავლა, კითხულობდა დედანში „ვეფხისტყაოსანს“, აანალიზებდა შუა საუკუნეების ქართული პოეზიის ნიმუშებს...

შოთას უკვდავი პოემა ჭეშმარიტად იქცა სოლანოსათვის ქართველოლოგიური კვლევის საძირკვლად. როგორც თავად აღნიშნავდა, საქართველოში ჩამოსვლამდე საგანგებოდ არ დაინტერესებულა ქართული ენით: „არასოდეს არავისგან არ მომისმენია ქართული ენის გაკვეთილები. არასოდეს არ მქონია შემთხვევა, მელაპარაკა ქართულად. რუსთაველის გენია მიძლოდა წინ, ჩემი ნელი წინსვლით იმედი უნდა გამცრუებოდა, რომ რუსთაველი არ ყოფილიყო შუამავალი. რუსთაველის პოემა სულიერ სიმხენეებს მმატებდა და მე მეტი სისწრაფით მივიწევდი წინ.“

მართლაც, „ვეფხისტყაოსანის“ გაცნობის შემდეგ სოლანოსათვის ნათლად გამოიკვეთა სრულიად ახალი კვლევის სფერო ქართული კულტურის, მისი ენისა და ლიტერატურის სახით. კითხვაზე – რაშია „ვეფხისტყაოსანის“ მიმზიდველობა, რა ატყვევებს, რა აჯაღოებს ადამიანს მასში? – სოლანო ასე პასუხობს: „კაც-თმოყვარეობა, ჰუმანიზმი არის ძირითადი ნიშანი პოემისა... თუმცა რუსთაველი ფაბულის დიდი ოსტატია, მაგრამ იგი მაინც ფილოსოფოსია. მისი ძირითადი საზრუნავია სიყვარული, მიჯნურობა. შოთას პოემა ფიქრს ფიქრზე იწვევს. მისი პოეტური სიტყვა სიამოვნების დაუშრეტელი წყაროა მათთვის, ვინც ბეჭინერია ქართული ენის ცოდნით. მეც ვცდილობ, ერთი მათგანი ვიყო.“ ამერიკელმა პროფესორმა არაერთი გამოკვლევა მიუძღვნა „ვეფხისტყაოსანს“. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „მიჯნურობა შუა საუკუნეთა პოეზიაში“, სადაც ავტორმა უცხოელ მკითხველს ბევრი საინტერესო და საგულისხმო ინფორმაცია მიაწოდა ქართული მწერლობის შესახებ.

ლ. სოლანო XX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში ფართო პოპულარიზაციას უწევდა ქართულ კულტურას იმ მხრივაც,

რომ რუსთაველის შესახებ საჯარო ლექციებს კითხულობდა ისეთ აუდიტორიებში, რომლის მსმენელები იყვნენ ასპირანტები და ცნობილი პროფესორებიც კი, რომელთაც მანამდე არ გაეგონათ რუსთაველი. სოლანოს ინიციატივით, ჰარვარდის უნივერსიტეტში სპეციალურ კურსად შემოღებულ იქნა „შუა საუკუნეთა პროვანსული პოეზია. მისი წყაროები და ანალოგიები“. აქ ერთი სემესტრის განმავლობაში იკითხებოდა „ვეფხისტყაოსანი“.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ სოლანომ ბლეიკის შემდგომ მყარი ნიადაგი შეუქმნა ქართველოლოგიურ კვლევას ამერიკაში. გარდა სპეციალური ნაშრომებისა, იგი თავისი ლექციებით, ქართული ენისა და ლიტერატურის სიყვარულითა და ერთგული სამსახურით უცხოელ (მეტნილად ამერიკელ) სტუდენტებსა თუ ფართო საზოგადოებაში კიდევ უფრო აძლიერებდა ინტერესს ქართული კულტურისადმი. ამიტომ იყო, რომ XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ბევრმა ამერიკელმა ახალგაზრდამ დაიწყო არა მარტო ქართული ენის პრაქტიკული შესწავლა, არამედ სწორედ ქართველოლოგია აირჩია მეცნიერული კვლევის ობიექტად. მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ რობერტ თომისონი, ჰოვარდ არონსონი, ალის (ალისა) ქერმაილ ჰარისი, დი ენ ჰოლისკი, კევინ ტუიტი, სტივენ რაპი და სხვები.<sup>1</sup>

**რობერტ თომისონი** — ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, არმენოლოგი, ვაშინგტონის ბიზანტიოლოგიური ცენტრის დირექტორი — წარმოშობით ინგლისელია. სწავლობდა კემბრიჯის უნივერსიტეტში. თავდაპირველად გატაცებული იყო ძველი საბერძნეთითა და ანტიკური ფილოსოფიით, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ანტიკური ქვეყნების ისტორიის საფუძვლიანი შესწავლა შეუძლებელი იქნებოდა ძველი აღმოსავლური ენების ცოდნის გარეშე.

<sup>1</sup> რადგანაც აშშ-ში, ევროპული ქვეყნებისაგან განსხვავებით, ქართველოლოგიურ კვლევის ისტორია არ არის ხანგრძლივი და, შესაბამისად, პირველი პერიოდის ქართველოლოგთა რიცხვიც შედარებით მცირეა, ამიტომ გამონაკლისის სახით ვახსასიათებთ იმ ქართველოლოგთა საქმიანობასაც, რომლებიც დღესაც აგრძელებენ სამეცნიერო კვლევას.

რ. თომსონი ერთი წელი ბელგიაში, ლუვენის უნივერსიტეტში, სწავლობდა ქართულ და სომხურ ენებს ცნობილი ქართველობის ჟ. გარიტის ხელმძღვანელობით, ცოტა მოგვიანებით კი თავადაც ასწავლიდა ქართულ ენას ჰარვარდის უნივერსიტეტში. მაგრამ ქართული ენითა და საქართველოთი იგი განსაკუთრებით დაინტერესდა XX საუკუნის 70-იანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც დაიწყო „ქართლის ცხოვრების“ მეცნიერული კვლევა. ამ მიზნით რ. თომსონი რამდენჯერმე ეწვია ჩვენს ქვეყანას, მუშაობდა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ძველ ქართულ ხელნაწერებზე.

**1988 წელს რ. თომსონმა მონაწილეობა მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იუპილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის მუშაობაში, წაიკითხა მოხსენება „ქართლის ცხოვრების ადაპტაცია“. რაც უფრო ახლოს ეცნობოდა თომსონი ქართულ სინამდვილეს, მით უფრო ფართო ადგილს იკავებდა მის სამეცნიერო მოღვაწეობაში ქართველოლოგიური საქმიანობა. „ბევრს ვკითხულობ ქართულად. ქართული ენის ცოდნა მე ენათმეცნიერულად კი არ მაინტერესებს, არამედ მინდა კარგად გავიგონ ბევრი რამ საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ“, –აღნიშნავდა იგი ერთ-ერთ ინტერვიუში.**

რ. თომსონი ქართულ კულტურას პოპულარიზაციას უწევდა ვამინგტონში არსებული ბიზანტიოლოგიის ინსტიტუტის მეშვეობითაც. ცნობილია, რომ ამ ინსტიტუტის ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო რ. ბლეიკი, რომელმაც იმთავითვე გამოკვეთა ამ ცენტრის კავკასიოლოგიურ მიმართულებაში ქართველოლოგიური ხაზი და ბევრი რამ გააკეთა ამ ასპექტით. 1984 წლიდან ბიზანტიოლოგიის ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა რ. თომსონი. მან აღადგინა და ღირსეულად გააგრძელა ბლეიკის დროინდელი ტრადიცია ქართული კულტურის შესწავლისა.

აშშ-ში ქართველოლოგიური კვლევა განსაკუთრებით მრავალფეროვანი და მასშტაბური გახდა XX საუკუნის 70-იანი წლებიდან, როცა ამ ქვეყნის დიდ უნივერსიტეტებში ქართული ლიტერატურისა და ისტორიის გარდა საგანგებო ყურადღება გამახ-

ვილდა ენათმეცნიერულ საკითხებზე, შეიქმნა ქართული ენის კათედრები და ქართული ენა შემოღებულ იქნა დამოუკიდებელ სასწავლო დისციპლინად.

**პიმ პრეიტვეიტი (დ. 1932)** ცნობილი ამერიკელი ქართველობისა. დაამთავრა იუტას უნივერსიტეტი ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. მოგვიანებით გადავიდა ტეხასის შტატში, გაიარა ასპირანტურის კურსი ლინგვისტიკის განხრით. შემდეგ დასახლდა არიზონაში, სადაც ასწავლიდა ინგლისურ სტილისტიკასა და ლინგვისტიკის შესავალ კურსს.

კ. ბრეიტვეიტი ქართული ენით დაინტერესდა ჯერ კიდევ ბავშვობისას, როცა ნახა ამერიკაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტის – გიორგი პაპაშვილის წიგნი „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“. გარდა ამისა, დიდ ენციკლოპედიაში – „ბრიტანიკა“ წაიკითხა ქართული ანბანის ცხრილი (ტაბულა). ამ უკანასკენელმა იგი იმდენად მოხიბლა, რომ გადაწყვიტა ქართული ენის შესწავლა, მაგრამ იმ ხანად (XX საუკუნის 40-50-იან წლებში) ამერიკაში ძნელი იყო ქართული ენის მასწავლებლის შოვნა, ამიტომ ბრეიტვეიტმა მაშინვე ვერ მოიყვანა თავისი განზრახვა სისრულეში, თუმცა ქართული ენისადმი ინტერესი არ განელებია, პირიქით.... ამ საქმეში მას დიდი დახმარება გაუზია კიტა ჩხენკელის წიგნებმა (ქართული ენის სახელმძღვანელო და ლექსიკონი). იგი გაერკვა ქართული ენის ძირითად საკითხებში და ამერიკელ ქართველებთან უშუალო კონტაქტებით ასევე კარგად დაუფლა სასაუბრო ქართულსაც.

**1978** წელს ბრეიტვეიტმა პროფ. ჰ. არონსონის ხელმძღვანელობით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ქართული ზმნის საკითხებზე. იგი ქართულ ენას ასწავლიდა არიზონის უნივერსიტეტში: 1986 წელს ქ. ტუსონშიც დააარსა ქართული ენის შესწავლელი კურსები: „ეს იყო 1986 წლის გაზაფხულის სემესტრში, ერთგვარი ექსპერიმენტული კურსი მთელი სემესტრის მანძილზე, რვა სტუდენტი მყავდა, ერთი მათგანი ჩემი ქალიშვილი – ჯინი იყო. ვიყენებდი ჩიკაგოს უნივერსიტეტის სლავისტის ჰ. არონსონის სახელმძღვანელოს „ქართული ენის გრამატიკას“...

საკმაოდ კარგად გავიარეთ კურსი, სტუდენტებმა მაღალი შეფასებები მიიღეს“.

1987 წელს, ოქტომბერში, კ. ბრეიითვეიტი სტუმრად ეწვია საქართველოს, მონანილეობდა ი. ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილ სესიაში. იგი სიტყვით გამოვიდა ქართულად, საუბრობდა ნელა და გამართულად: „ამიხდა დიდი ხნის ოცნება – საქართველოში ჩამოსვლა მეღირსა. ამ დილით ავედი მამადავითზე, ვნახე მგლოვიარე მუზა და მიხაკი დავდე ილიას საფლავზე. ვერ აგინერთ, რა გრძნობები დამეუფლა...“ ქართულ ენაზე მისმა გამოსვლამ მსმენელთა მქუჩარე ტაში დაიმსახურა. იმ დღეებში თბილისში მყოფი ამერიკელი ქართველოლოგი ერთერთ ინტერვიუში აღნიშნავდა: „დიდი ლიტერატორი არ გახლავართ... ვერ დავიჩემებ, რომ კარგად ვიცი ილია. ორიგინალში გავეცანი „კაცია-ადამიანს?!“, რამდენიმე ლექსს, პუბლიცისტიკას. შედარებით უკეთ ვიცნობ თანამედროვე მწერლობას. ერთგული აბონენტი ვარ რამდენიმე ქართული ჟურნალისა და გაზეთისა. დიდი დაგვიანებით, მაგრამ სისტემატურად ვღებულობ „ცისკარს“, „მნათობს“, „ლიტერატურულ საქართველოს“, ბოლო დროს ძალიან მომენტონა ნ. დუმბაძის „მარადისობის კანონი“, გ. ფანჯარიძის „აქტიური მზის წელინადი“, „სპირალი“. საკვირველია, რომ ეს ნანარმოები თქვენში საჯაროობამდე დაიბეჭდა... თუ რომელიმე ამერიკული გამომცემლობა დამიკვეთავს, სიამოვნებით ვთარგმნი ინგლისურ ენაზე „სპირალს“.

ბრეიითვეიტი მოიხიბლა საქართველოთი, ქართველი ხალხის სტუმართმოყვარეობით. იგი ერთ-ერთ წერილში წერდა: „მადლობა მინდა ვუთხრა საქართველოს და ქართველებს ილიას დღეებში მოწვევისათვის. მადლობა იმისათვისაც, რომ ასეთი სიყვარულითა და სტუმართმოყვარეობით მიგვიღეთ. ამერიკის დასავლეთში დავიბადე და აღვიზარდე და, როცა იქ, არიზონის უნივერსიტეტში, ქართულ ენას ვასწავლი და საქართველოს ისტორიაზე ველაპარაკები სტუდენტებს, მიხარია... მთაწმინდაზე, ილიას საფლავთან, ცრემლი მომერია. აკი გითხარით, ილია ჭავჭავაძე, წმინდა ილია, ჩემთვის ნიშნავს საქართველოს წარ-

სულს, მის ალორძინებას, მის მომავალს. უკვდავი ილია ჩემ-თვის ნიშნავს ქართულ ენას, ქართველ ერს“.

კიმ ბრეიითვეიტი თავის თანამემამულე ქართველოლოგებ-თან ერთად ერთგულად ემსახურებოდა ქართულ კულტურას.

ამერიკაში ენათმეცნიერული ქართველოლოგის განვითა-რება და შემდგომი წარმატება დაკავშირებულია პ. არონსონის სახელთან.

**პოვარდ პროცესონი** (დ. 1936) გახლავთ ცნობილი ქარ-თველოლოგი. მან 1958 წელს დაამთავრა ინდიანის უნივერსიტე-ტის მაგისტრატურა ხელოვნების განხრით, 1958-1959 წლებში გაიარა კვალიფიკაცია მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1961 წელს გახდა ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი. სპე-ციალობით სლავისტია. მუშაობდა სლავური ენების პროფესო-რის ასისტენტად 1961-1962 წლებში მედისონის უნივერსიტეტში, 1962-1965 წლებში – ჩიკაგოს უნივერსიტეტში, სადაც 1965-1966 წლებში სლავური ენების პროფესორის თანაშემწეა, ხოლო 1973 წელს არჩეულ იქნა სრულ პროფესორად. იმავდროულად (1966-1967) იყო: ბალკანური და სლავური ენების ცენტრის ნამდვილი დირექტორი, ჩიკაგოს უნივერსიტეტის ენათმეცნიერების განყო-ფილების თავმჯდომარე (1970-1973), ხელმძღვანელობდა ქარ-თული ენის კათედრას.

ამერიკელი ლინგვისტი 1960-იანი წლებიდან კავკასიური ენებითაც დაინტერესდა. მან უცხოეთთან კავშირის საქართვე-ლოს საზოგადოების მეშვეობით 1969 წელს თხოვნით მიმართა ქართველ მეცნიერს – ის. გვარჯალაძეს, დახმარებოდა ქართუ-ლი ენის შესწავლაში. ქართველმა კოლეგამ სრული მხარდაჭერა აღუთქვა: სისტემატურად აწვდიდა ინგლისურ-ქართულ და ქარ-თულ-ინგლისურ ლექსიკონებს, სახელმძღვანელოებს. სწორედ ამ წიგნებით დაიწყო არონსონმა ქართულის შესწავლა, ზოგადად გაეცნო მის გრამატიკულ სისტემას. მას შემდეგ იგი რამდენ-ჯერმე ჩამოვიდა საქართველოში, დაამყარა საქმიანი ურთიერ-თობა მეცნიერებათა აკადემიასთან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან; პირადად იცნობდა და მეგობრობდა ქართველ

მეცნიერებთან. აკ. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ივ. იმნაიშვილი, ივ. ქავთარაძე, ალ. ღლონტი, ი. მეგრელიძე, ზ. სარჯველაძე, ზ. ჭუმბურიძე, ბ. ჯორბენაძე, ს. თურნავა და სხვები მას სისტემატურად უწევდნენ კონსულტაციებს და ეხმარებოდნენ ქართული ენის შესწავლაში.

...წლების მანძილზე დროდადრო ქართულ გარემოში ცხოვრებამ, საოცრად ორიგინალური სტრუქტურის მქონე ენის გრამატიკულ სისტემაში გარკვევის უდიდესმა სურვილმა და ქართველი კოლეგების გულისხმიერმა დამოკიდებულებამ შეაძლებინა ამერიკელ მეცნიერს საქმაოდ სრულყოფილად დაუფლებოდა ქართულ სასაუბრო ენასაც და ძირითადად სწორად მოხდინა ამ ენის ენათმეცნიერული ანალიზიც. მაშინ უცხოელ სტუდენტთა მხრიდან იმდენად დიდი იყო ქართული ენით დაინტერესება ჩიკაგოს უნივერსიტეტში, რომ აქ არონსონის ინიციატივით ქართული ენა შემოღებულ იქნა ცალკე სასწავლო დისციპლინად და კიდეც გაიხსნა შესაბამისი კათედრა.

ჰ. არონსონს, როგორც ლინგვისტს, განსაკუთრებით აინტერესებდა ქართული ენის სტრუქტურული თავისებურებანი, რაც ამ ენას აშკარად გამოარჩევს ევროპულ ენათაგან. მკვლევრის აზრით, მსოფლიომ უფრო ფართოდ უნდა გაიცნოს ქართული ენა. მისი სილრმისეული კვლევა ფასეული იქნება ზოგადი ლინგვისტიკისთვისაც. არონსონი ფართო პოპულარიზაციას უწევდა ქართულ კულტურას თავის საჯარო გამოსვლებსა თუ სპეციალურ გაკვეთილებზე, ლექციებზე, რომლის მსმენელები იყვნენ როგორც სტუდენტები, ისე ასპირანტები და ცნობილი მეცნიერებიც კი. აქვე შევნიშნავთ, რომ სწორედ არონსონის რჩევით, რეკომენდაციითა და ხელმძღვანელობით ჩიკაგოს უნივერსიტეტის ბევრმა ასპირანტმა თავისი მომავალი სამეცნიერო მუშაობის გზა დაუკავშირა ქართველოლოგიას; მეტიც: ქართულ ენას და, საერთოდ, საქართველოს არონსონის პრაქტიკული საქმიანობითა და სახელმძღვანელოებით გაეცნო ბევრი უცხოელი არა მარტო აშშ-ში, არამედ ევროპაშიც.

XX საუკუნის 70-იანი წლებიდან, ერთი მხრივ, ქართული ენისა და კულტურისადმი გაზრდილმა ინტერესმა უცხოელთა მხრიდან და, მეორე მხრივ, წლების მანძილზე წარმოებულმა პრაქტიკულმა საქმიანობამ ქართული ენის სწავლების ასპექტით, არონსონი დაარწმუნა, რომ უცხოელთათვის აუცილებელი იყო ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელო. სწორედ ამ მიზნით მან 1978 წელს ჩიკაგოში ცალკე წიგნად გამოსცა „ქართული ენის გრამატიკა“ | კურსის სტუდენტთათვის, რომელიც 1982 წელს კვლავ გამოიცა ვრცელი (შევსებული) სახით. ავტორმა ამ წიგნში ფაქტობრივად გააქრთიანა მრავალნიანი პრაქტიკული პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება და ქართული გრამატიკის თეორიული საკითხების საფუძვლიანი ცოდნის წყალობით შექმნა შესანიშნავი სახელმძღვანელო, რომელიც დღესაც დიდ სამსახურს უწევს როგორც ლინგვისტებს, ისე ქართული კულტურით დაინტერესებულ უცხოელებს.

„ქართული ენის გრამატიკის“ ძირითადი სტრუქტურა ასეთია: 526-გვერდიანი წიგნი შედგება 15 ლექციისაგან. პირველ ლექციაში განხილულია ფონოლოგის საკითხები, დანარჩენში კი ძირითადია ზმნური ფორმების ანალიზი, თუმცა პარალელურად საუბარია სხვა მეტყველების ნაწილებზეც. თავის მხრივ, ყოველი ლექცია თემატურადაც მრავალფეროვანია: ინგლისურ ენაზე დაწერილ სათანადო თეორიულ მასალას ქართულად ახლავს შესაბამისი სავარჯიშოები (მოხმობილი ნიმუშების ნაწილი არის ანდაზა ან ფრაზეოლოგიური ერთეული), რომლებსაც მოსდევს ახალი სიტყვებისა და მთლიანი წინადადების ინგლისური თარგმანი.

წიგნის ღირსებად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ თითოეულ ლექციას ბოლოში დართული აქვს **საცნობარო ტექსტები** (სათანადო სურათებით) ქართული სინამდვილიდან. მაგალითად, ასეთებია: კავკასიური ენები, ძველი თბილისის მოკლე ისტორია, ქუთაისი, საქართველოს მოსახლეობა, საქართველოს მეფეები, რეპორტაჟი საქართველოდან, მოხევეების საოჯახო ყოფა, ძველი ქართული თარიღები, ასოებით რიცხვების გამოხატვის წესი ძვე-

ლად და წელთაღრიცხვის სისტემა საქართველოში, ზაქარია ფალიშვილი, ნიკო ფიროსმანაშვილი... გარდა ამისა, წარმოდგენილია ნაწყვეტები „ვეფხისტყაოსნიდან“ (აქვეა მისი ინგლისური თარგმანი შესრულებული მარჯორი უორდოპის მიერ) და ნ. დუმბაძის რომანიდან „მზიანი ლამე“, ნახსენებია ქართველი კლასიკოსი მნერლები და პოეტები...

წიგნს საინტერესოს ხდის ისიც, რომ ყოველ ლექციაში ჩართულია საქართველოს ეკლესია-მონასტრების, მნიშვნელოვანი კულტურულ-ისტორიული ძეგლების სურათები, უძველესი წარწერები, ნ. ფიროსმანაშვილის ნახატები, ირ. თოიძის ილუსტრაციები „ვეფხისტყაოსნიდან“ და ა.შ.

ჰ. არონსონის „ქართული ენის გრამატიკა“ წმინდა ლინგვისტური საკითხების გარდა ერთგვარად ენციკლოპედიური შინაარსის მქონეა. ეს წიგნი ქართულ ენასა და საქართველოს ისტორიას აცნობს არა მარტო ამერიკას, არამედ მთელ ინგლისურენოვან სამყაროს.

**შენიშვნა:** ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა, უშუალოდ გავცნობოდით ჰ. არონსონის ამ საინტერესო წიგნს ქუთაისში მცხოვრები იტალიელი ქართველოლოგის, ლუიჯი მანტოვანის, პირად ბიბლიოთეკაში არსებული ეგზემალარით.

ამერიკელი ქართველოლოგის სახელმძღვანელოს მაღალ შეფასებას აძლევდნენ ქართველი მეცნიერები: „უდავოა ამ წიგნის მეცნიერული და პედაგოგიური ლირებულება. პროფ. ჰ. არონსონის წიგნი მსოფლიო ქართველოლოგიის ახალი საინტერესო მონაპოვარია“ (ლ. ბახტრიონელი); „ჩვენ ისლა დაგვრჩენია, მივულოცოთ სწავლულს ეს ბრწყინვალე გამარჯვება და ვუსურვოთ ახალ-ახალი წარმატებები თავის კეთილშობილურ მოღვაწეობაში“ (ის. გვარჯალაძე).

გარდა ამისა, ჰ. არონსონმა დოდონა კიზირიასთან ერთად შეადგინა და გამოსცა ქართული ენის სახელმძღვანელოს მეორე ნაწილი – ქრესტომათია. ორივე წიგნი დღეს უცხოეთში ძალზედ პოპულარულია და პრაქტიკულად გამოყენებული.

ჰ. არონსონი დღეისათვის მსოფლიოში ერთ-ერთი ცნობილი ქართველობოგია. მას ეკუთვნის მნიშვნელოვანი გამოკვლევები ქართული ბრუნებისა და ულვლილების ფორმალური და სემანტიკური ანალიზის, აგრეთვე, ჰიპოტაქსის საკითხებზე: „ქართული ბრუნების ფორმალური ანალიზისთვის“, „გრამატიკული სუბიექტი ძველ ქართულში“, „ქართული სუბიექტის საოცარი ბრუნვა“, „ზოგიერთი შენიშვნა მიმართებითი წინადადების შესახებ ქართულში“, „ქცევის, როგორც გრამატიკული კატეგორიის სტატუსისათვის ქართულში“, „ფუნქციის ფორმალური კორელატები ქართულ ბრუნვაში“ და ა.შ.

ჰ. არონსონი გამოიჩინა თავისი პიროვნული თვისებებითაც. იგი ყოველთვის მადლიერებითა და პატივისცემით მოიხსენიებს ქართველ კოლეგებს, რომლებმაც პირადი კონტაქტებითა თუ მეცნიერული ნაშრომებით სწორი მიმართულება მისცეს ამერიკელ პროფესორს ქართველობოგიურ კვლევაში. მისი აზრით, „თუ კავკასია ენათა მთა არის, მაშინ საქართველო „ლინგვისტთა ერი“ უნდა იყოს...“ „იშვიათია, რომ მეორე ასეთივე მცირე ერმა ამდენი შესანიშნავი ლინგვისტი მოგვცეს, — წერს არონსონი ა. შანიძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კრებულის (ჩიკაგო, 1986) შესავალ სტატიაში, — მათ შორის აკაკი შანიძის სახელი პირველ ადგილზე უნდა დავაყენოთ. არავის გაუკეთებია იმდენი ქართული გრამატიკის სირთულეთა სისტემატიზაციისათვის როგორც სინქრონიულად, ისე დიაქრონიულად. იგი მართლაც ეროვნული გმირია თავის მშობლიურ საქართველოში და მეცნიერთა შორის ერთ-ერთი ყველაზე უფრო პატივცემული საბჭოთა კავშირში...“

ჩვენ, დასავლეთის მკვიდრნი, რომლებიც კავკასიის ენათა და კულტურათა მდიდარ მასალაზე ვმუშაობთ, დიდად დავალებული ვართ მისგან და მისი მეცნიერული შრომებისაგან, რომლებმაც ამ სამყაროს კარი გაგვიდეს. მისმა გამოკვლევებმა ამ რთული ენის შესახებ მისაწვდომი გახადა იგი იმათვის, ვისთვისაც ქართული მშობლიური ენა არ არის. მან წესრიგში მოიყვანა ის, რაც ერთი შეხედვით, ქაოსს წარმოადგენდა ქართულ ენაში

და გაგვაგებინა ბევრი რამ როგორც ძველი, ისე ახალი, როგორც მეცნიერული, ისე მხატვრული დიდი და მდიდარი ლიტერატურის შესახებ.

1985 წლის 16-18 მაისს ჩრდილო ამერიკელ და დასავლეთ ენათმეცნიერთა და კავკასიის კულტურათა სპეციალისტების ჯგუფი შეიკრიბა ჩიკაგოს უნივერსიტეტში, საბჭოთა კავშირის ენებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომლის ქართველური და კავკასიური ენათმეცნიერების სექცია და მეორე კონფერენცია (კავკასიის კულტურათა საკითხების შესახებ) მიეძღვნა აკაკი შანიძეს. ამით ჩვენ გამოვხატეთ ჩვენი პატივისცემა მისი განსაკუთრებული მეცნიერული მიღწევებისადმი და იმ დიდი სამსახურისადმი, რომელიც მან გაუწია ქართულ და ქართველურ ენათა შესწავლას..."

ჰ. არონსონი მაღალ შეფასებას აძლევდა აგრეთვე ის. გვარჯალაძის მეცნიერულ მემკვიდრეობას. სწორედ ბ-ნი ისიდორე იყო საქართველოში არონსონის პირველი გულთბილი მასპინძელი და გულისხმიერი მასწავლებელიც ქართული ენისა. არონსონმა პროფ. გვარჯალაძეს საიუბილეო თარიღი მიულოცა შემდეგი სიტყვებით: „სულითა და გულით გილოცავთ დაბადების 80 წლისთავის შესრულებას. გისურვებთ ჯანმრთელობას და ნარმატებს თქვენს მეცნიერულ საქმიანობაში. ჩვენ, უცხოეთში მცხოვრები ქართველობითი და ქართული ენის შემსწავლელი სტუდენტები, კარგად ვიცნობთ და ვაფასებთ თქვენს ღვაწლს, რომელიც მიგიძლვით უცხო ენათა შესწავლის საქმეში საქართველოში და ასევე, ქართული ენის შესწავლისათვის უცხოეთში. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თქვენი შესანიშნავი ლექსიკონები. ამ ლექსიკონების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ქართული ენის შესწავლა იმ ქვეყნებში, სადაც ინგლისურად ან ფრანგულად მეტყველებენ.

თქვენ, ამ თქვენი ლექსიკონების მეშვეობით, ქართული კულტურის ელჩი ბრძანდებით ჩვენს ქვეყანაში. და კალავაც გაგრძელდეს თქვენი კულტურული და ლექსიკოგრაფიული მოღვაწეობა“ (1978 წელი, 18 მარტი, ქ. ჩიკაგო).

ჰ. არონსონი გვარჯალაძის ამაგისა და დამსახურების შესახებ აღნიშნავდა სერგო თურნავასადმი გაგზავნილ წერილებშიც: „ისიდორე გვარჯალაძის გარდაცვალება დიდი დანაკლისია არა მხოლოდ საქართველოსა და ქართველი მეცნიერებისათვის, არამედ – მსოფლიოს მეცნიერებისათვისაც. ვიცი, პირადად, რომ ქართულ ენას ვერ ვისწავლიდი, მისი ჩინებული ლექსიკონები რომ არ მქონოდა. ბატონ ისიდორეს ლექსიკოლოგიური ნაშრომებს კარი გაუღიათ გულლიად ყველასათვის ქართული ენისა და კულტურის სწავლის საქმეში, ყველა იმ პიროვნებისათვის, ვინც ინგლისურად ან ფრანგულად მეტყველებს...“

მე ინგლისურენოვან სამყაროსათვის ქართული ენის სახელმძღვანელო რომ დავწერე, ამას ბატონ ისიდორე გვარჯალაძეს ვუმადლი. მისმა ლექსიკონებმა და სახელმძღვანელოებმა ჩემს სტუდენტებს ძალიან გაუადვილა ქართული ენის სწავლა...

ბატონი ისიდორე გვარჯალაძე იყო არა მარტო დიდი მეცნიერი, არამედ დიდი კეთილშობილი ადამიანიც“ (1983 წელი, 4 მარტი).

დიდია ჰ. არონსონის დამსახურება ქართველოლოგიაში. მისი ხელმძღვანელობითა და სახელმძღვანელოებით სწავლობენ ქართულ ენასა და ლიტერატურას ინგლისურენოვან სამყაროში. აშშ-ის სხვადასხვა უნივერსიტეტში მოღვაწეობენ ჰ. არონსონის მონაცემები — ცნობილი ქართველოლოგები.

**ალის (ალისა) კარმაიკლ ჰარისი (დ. 1947) – ამერიკელი ენათმეცნიერი, ქართველოლოგ-კავკასიოლოგი, ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორი — ქართველური და მთის კავკასიური ენების მკვლევარია. იგი ქართული ენით დაინტერესდა XX საუკუნის 70-იან წლებში. მის შესასწავლად საქართველოში ჩამოვიდა 1974 წელს. აქ ორი წლის განმავლობაში ეუფლებოდა ქართულ ენას და, როცა ძირითადად გაერკვა ქართული გრამატიკის უმთავრეს საკითხებში, სადოქტორო დისერტაციის თემად კიდეც აირჩია „ქართული ენის სინტაქსი“ (რელაციური გრამატიკის თვალსაზრისით).**

ალის ჰარისის წლების მანძილზე სრულყოფდა ცოდნას ქართველობიაში, იყვლევდა დისერტაციასთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებს და შედეგებს აქვეყნებდა როგორც ამერიკულ, ისე ქართულ სამეცნიერო ორგანოებში. მაგალითად, 1981 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უურნალ „მაცნეში“ (ენისა და ლიტერატურის სერია) ქართულ ენაზე დაიბეჭდა ა. ჰარისის საინტერესო გამოკვლევა „ვნებითი ქართულში“. საკითხი განხილულია ევროპული ენების მონაცემებთან შეპირისპირებით და სათანადო მასალების საფუძველზე გამოტანილია საყურადღებო დასკვნა: ქართული ენის ვნებითი არ არის ყოველთვის პასივი, როგორც ეს მიჩნეულია ქართულ ლინგვისტიკაში უნივერსალური განსაზღვრის მიხედვით. ნამდვილ პასივად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ აღწერილობითი ვნებითი; კონფიქსიანი ვნებითი არ არის პასივი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაშრომში ზოგი რამ შეიძლება სადავოც იყოს, ქართული ზმნის ვნებითი გვარის ასეთი ახლებური ანალიზი მაინც მეტად ფასეულია თანამედროვე ქართულ ლინგვისტიკაში.

ჰარისის მიერ წლების მანძილზე ქართველობიაში წარმოებული მეცნიერული კვლევის შედეგები გამთლიანებულია **სადოქტორო დისერტაციაში**, რომელიც ავტორმა დაიცვა ჰარვარდის უნივერსიტეტში 1981 წელს. ნაშრომს მაღალი შეფასება მისცეს როგორც უცხოელმა, ისე ქართველმა სპეციალისტებმა. იმავე წელს სადისერტაციო ნაშრომის გადამუშავებული ვარიანტი ცალკე წიგნად გამოსცა კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობამ. „ქართული ენის სინტაქსი“ 327 გვერდიანია; შედგება წინასიტყვაობის, შესავლის, 16 თავისა და ეპილოგისაგან; წამდლვარებული აქვს რამდენიმე აუცილებელი განმარტება.

ავტორი თავდაპირველად მკითხველს აცნობს ქართულ ანბანს, მის ფონეტიკურ ეკვივალენტებსა და ტრანსლიტერაციას, იძლევა მოკლე ცნობებს ქართული ენის სტრუქტურულ თავისებურებათა შესახებ. რამდენადაც ქართულში წინადაღებათა შედგენილობა-მექანიზმის თავისებურებათა წყაროა სახელისა და ზმნის ურთიერთობა, ამდენად, მკვლევარიც, პირველ ყოვლისა,

ჩამოთვლის და განიხილავს ზმნისა და სახელის იმ კატეგორიებს, რომლებიც სინტაქსური მოვლენების ასახსნელადაა აუცილებელი.

საგულისხმოა, რომ ქართული ენის სინტაქსი ჰარისის წიგნში განხილულია ე.წ. **რელაციური გრამატიკის თვალსაზრისით**, გრამატიკისა, რომელიც გამომუშავდა აშშ-ში XX საუკუნის 70-იან წლებში და რომელიც წარმოადგენს გენერატიული (წარმომშობი) ლინგვისტიკის ახალ საფეხურს. მართალია, ავტორი აანალიზებს ქართული ენის გრამატიკის ტრადიციულ საკითხებს (სუბიექტი, ობიექტი, ქცევა, კაუზაცია, პასივიზაცია, ინვერსია, გარდამავლობა, ერგატიული სისტემა და ა.შ.). მაგრამ ქართული ენის სინტაქსური კონსტრუქცია რელაციური გრამატიკის პრინციპებით აქამდე არავის უკვლევია.

ა. ჰარისის დაკვირვებით, ქართული, როგორც არაინდოევროპული ენა, შეიძლება აღინიეროს ზოგადლინგვისტური (უნივერსალური) ნესების მიხედვით. „ეს და სხვა საინტერესო დასკვნები, რომელიც უხვადაა წარმოდგენილი „ქართული ენის სინტაქსში“, წამრომს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს უნივერსალური გრამატიკის თვალსაზრისით“ (გ. ნებიერიძე).

ჰარისის „ქართული ენის სინტაქსი“ „სპეციალისტებისთვის ორი თვალსაზრისით არის საინტერესო: 1) იგი წარმოადგენს ენათმეცნიერების ერთ-ერთი ახალი მიმდინარეობის – რელაციული გრამატიკის პრინციპების შემოწმებისა და დანერგვის ცდას; 2) ქართული ენა აღწერილია ახალი მეთოდის მომარჯვებით, რამაც, ა. ჰარისის ვარაუდით, უნდა წარმოაჩინოს და ახსნას ქართული ენის რიგი თავისებურება და, ამასთანავე, ამან გარკვეული როლი უნდა ითამაშოს ენობრივი უნივერსალიების დადგენის თვალსაზრისით“ (ლ. ენუქიძე).

ლირსსაცნობია ისიც, რომ ა. ჰარისი (სხვა ბევრი უცხოელი ქართველოლოგის მსგავსად) საფუძვლიანად ფლობს არა მარტო ქართულ ენას და მის გრამატიკულ სისტემას, არამედ კარგად იცის ქართული ენის მონათესავე ენები და ქართველური დიალექტებიც; თავისუფლად ერკვევა ლაზურის სინტაქსურ კონ-

სტრუქციებშიც. ერთ-ერთ ნაშრომში „ლაზური ჰიპოტაქსისათვის“ განხილულია რთული ქვეწყობილი ნინადადების საკითხი და გამოტანილია საგულისხმო დასკვნები.

ქართველურ-კავკასიურ ენათა შესახებ ა. ჰარისის ზემოდასახელებული ნაშრომების გარდა აღსანიშნავია აგრეთვე: „რიცხვში შეთანხმება თანამედროვე ქართულში“ (1978); „ერგატივიდან აქტივივისაკენ ქართულში“ (1982); „კითხვითობა. ქართული ენა“ (1984); „დიაქრონიული სინტაქსი. ქართველური ბრუნვა“, „სინტაქსი და სემანტიკა (1985); „არტიკლისაგან ნაწარმოები ბრუნვები ქართველურ ენებში და ენობრივი უნივერსალიები“ (1988); „ქართველურ ენათა ისტორიის მიმოხილვა“ (1991); „მეგრული“ (1991); „ისტორიული სინტაქსი ენათა გადაკვეთის პერსპექტივაში“ (ლილ კამბელთან ერთად) (1995) და სხვ.

ქართველი სპეციალისტების აზრით, ამერიკელი ქართველოლოგი ჰარისი ერთ-ერთი ნიჭიერი და დაკვირვებული მკვლევარია. იგი აქტიურად მონაწილეობს ქართველოლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციებში ჩვენში თუ საზღვარგარეთ.

**დი ენ ჰოლისპი** (დ. 1948) – ამერიკელი ენათმეცნიერი, ქართველოლოგი – ვაშინგტონის ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის პროფესორია. ქართული ენით მისი დაინტერესება განსაზღვრა შემდეგმა ფაქტმა: როცა დ. ჰოლისკი ჩიკაგოს უნივერსიტეტის ასპირანტი გახდა, ლინგვისტიკის განხრით ასპირანტებისათვის მაშინ სავალდებულო იყო რომელიმე არაინდოევროპული ოჯახის ენის შესწავლა. არონსონის შეთავაზებით, დი ენმა აირჩია კავკასიური ენები, მათ შორის ქართულიც. მან ამერიკაშივე დაიწყო ქართულის შესწავლა არონსონის ხელმძღვანელობით, შემდეგ შვეიცარიელ ქართველოლოგებთან განაგრძო ამ ენაზე მუშაობა. ამიერიდან ქართული ენის სახით ახალგაზრდა მკვლევრის ნინაშე გადაიშალა მეტად საინტერესო სტრუქტურის მქონე, ევროპულისაგან სრულიად განსხვავებული ენობრივი სამყარო, რომელმაც განსაზღვრა მომავალი ქართველოლოგის სამეცნიერო კვლევის ძირითადი თემატიკა, მაგრამ იმთავითვე ნათელი

გახდა, რომ მისთვის აუცილებელი იყო საქართველოში ჩამოსვლა, აქაურ სამეცნიერო წრეებთან დაკავშირება და კავკასიურ ენებზე უშუალო დაკვირვება.

დ. პოლისკი თბილისში ჩამოვიდა 1974 წელს. ერთი წელი ცხოვრობდა ჩვენს ქვეყანაში. ქართულ ენას სწავლობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში შუქია აფრიდონიძის ხელმძღვანელობით. ინტენსიური მუშაობით შეძლო მოკლე დროში პრაქტიკულადაც დაუფლებოდა სასაუბრო ქართულს... მას შემდეგ იგი საქართველოს ხშირი სტუმარი გახდა. კარგად ერკვევა ქართული ენის გრამატიკის თეორიულ საკითხებში. გარდა ამისა, ამერიკელმა მკვლევარმა 10 წელი დაუთმო ქართული ენის დიალექტების შესწავლას. იგი წოვათუშურის სპეციალისტიცაა.

დ. პოლისკი თავიდანვე განსაკუთრებით დაინტერესდა ქართული (და საერთოდ კავკასიური) ენის ზმნის სპეციფიკურობით და სწორედ ამის მიხედვით შეარჩია **სადოქტორო დისერტაციის თემად „ასპექტი და მედიალური (საშუალი გვარის) ზმნები ქართულში“**. დისერტაცია ძირითადად დაინტერა თბილისში, დაცვა შედგა ჩიკაგოს უნივერსიტეტში 1981 წელს. მაშინვე გამოიცა ცალკე წიგნად ნიუ-იორკში (ქართული თარგმანი და-იბეჭდა 2000 წელს).

სპეციალისტთა აზრით, პოლისკის ზემოაღნიშნული მონოგრაფია (შედგება 4 თავისაგან, დართული აქვს დამატებები, სხვადასხვა სახის საძიებელი და ბიბლიოგრაფია) ერთ-ერთი საუკეთესო გამოკვლევაა ლინგვისტიკაში. წიგნისათვის ავტორი მასალად იყენებს ენას, რომელზედაც ამჟამად მეტყველებს თბილისის ქართულენოვანი მოსახლეობა. საგულისხმოა ავტორისეული დაკვირვება იმის თაობაზე, რომ, რამდენადაც თბილისი საქართველოს დედაქალაქია და მასში თავს იყრის ყველა კუთხის წარმომადგენელი, ამის გამო (მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ქართული ნორმირებული სალიტერატურო ენაა) თბილისის მკვიდრთა სამეტყველო ცნობიერებაში აქტუალურად არის წარმოდგენილი სხვადასხვა დიალექტური ფორმა. გარდა ამისა, ქარ-

თველები დიდ პატივს სცემენ თავიანთ ხანგრძლივ ლიტერატურულ ტრადიციას, ამიტომ არქაული ფორმები და გამოთქმები შეადგენენ ქართველთა პასიური და ხშირად აქტიური ენობრივი მარაგის მნიშვნელოვან ნაწილს. ამ საკითხთან დაკავშირებით მკვლევარი ასკვნის: თანამედროვე თბილისური მეტყველება, ამ სხვადასხვა ელემენტისაგან შემდგარი, გარკვეული აზრით, ნარევი ენაა. ამის გამოც, სტანდარტიზაციის მისაღწევად ჰოლისკი იყენებს თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენის ძირითად ლექსიკონებს.

სარეცენზიონი წიგნის ტერმინოლოგია და სტრუქტურა ძირითადად ემყარება ა. შანიძის გრამატიკულ მოძღვრებას. საშუალი გვარის ზმნათა ანალიზისას პირველად დაწვრილებითაა განხილული გაიოზის, მ. ბროსეს, ა. დირის, ნ. მარის, მ. ბრიერის, აკ. შანიძის, კ. ჩხერიმელის, ჰ. ფოგტის, არნ. ჩიქობავას, ლ. ნოზაძის თვალსაზრისები.

ჰოლისკის ნაშრომს მაღალი შეფასება მისცეს სპეციალისტებმა, დაინტერა რამდენიმე რეცენზია, მ. მაჭავარიანის აზრით, დ. ჰოლისკი მიზნად ისახავს ძირითადად ორი საკითხის გადაჭრას: ერთი მხრივ, მას აინტერესებს ყოველი ცალკეული საშუალი გვარის ზმნა; თითოეულ მათგანს სხვადასხვა ასპექტით ამონ-მებს ინფორმატორებთან და სალექსიკონო განმარტებების მიხედვით, რის შედეგადაც გამოყოფს მედიალური ზმნების ცხრა (ერთმანეთისაგან ფორმობრივ-სემანტიკურად განსხვავებულ) კლასს; მეორე მხრივ, ავტორი ეძიებს ზოგად, ყველა საშუალი ზმნისათვის საერთო, არსებით-ინტეგრალურ თვისებას. პირველი მიზნის განსახორციელებლად იგი გამოყოფს მედიალურ ზმნათა კლასების განმასხვავებელ მახასიათებლებს, დასკვნით ნაწილში კი, ამის საპირისპიროდ, ადგენს მედიალურ ზმნათა მთელი კლასის ზოგად მახასიათებლებს, რომელნიც განასხვავებენ მას არამედიალურ ზმნათაგან.

ნაშრომი „ასპექტი და მედიალური ზმნები ქართულში“ უტყუარი დასტურია იმისა, რომ მისი ავტორი სიღრმისეულად ფლობს ქართულ ენას, ზუსტად სწოდება ქართულ საშუალ ზმნა-

თა მნიშვნელობების ფაქტიზ ნიუანსებს, აქვს მდიდარი ენობრივი ინტუიცია. ამიტომაცაა, რომ ამერიკელი ქართველოლოგი ადვილად ახერხებს დაინახოს (და მართებულად ამოხსნას) სტრუქტურულ-სემანტიკური სხვაობა ქართული და ევროპული ენების ზმნებს შორის.

დ. ჰოლისკის ქართველოლოგიური გამოკვლევებია: „სტატიკური ზმნები ქართულსა და სხვაგან“ (1978); „ასპექტის თეორია და ქართული ასპექტი“ (1981); „გარდაუგალი ზმნის სუბიექტის ბრუნვა წოვათუშურში (ბაცბურში)“ (1987); „ლაზური“ (1991) და სხვ.

**კევის ტური** – ამერიკელი ქართველოლოგი, ენათმეცნიერი და ეთნოლოგი, პროფესორი – სწავლობდა ჩიკაგოს „ჩრდილო-დასავლეთის“ უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტზე. 1980 წელს ჩაირიცხა ამავე უნივერსიტეტის ენათმეცნიერების ფაკულტეტზე. სპეციალობად აირჩია გრამატიკა (მორფოლოგია, სინტაქსი), ფსიქოლინგვისტიკა და ქართველური ენები.

კ. ტუიტმა ასპირანტურის კურსი გაიარა ჩიკაგოს უნივერსიტეტში პროფ. ჰ. არონსონის ხელმძღვანელობით. დაწერა სადოქტორო დისერტაცია თემაზე — „ბრუნვებისა და პირის ნიშნები ქართველურ ენებში“. იგი ხშირად სტუმრობდა საქართველოს. ენის შესწავლაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეხმარებოდნენ ახალი ქართული ენის კათედრის წევრები: ე. ბაბუნაშვილი, შ. აფრიდონიძე, მ. ნიკოლაიშვილი, რ. ნიშნიანიძე. კევინი საკმაოდ კარგად დაუუფლა ქართულს: თავისუფლად მეტყველებს, წერს გამოკვლევებს და თარგმნის ქართველ მნერალთა ნაწარმოებებს, მეცნიერული კონტაქტები აქვთ ქართველ კოლეგებთან.

ამერიკელი მკვლევარი, როგორც ლინგვისტი, განსაკუთრებით დაინტერესდა ქართული ენის ქვემდებარის საკითხით. მისი აზრით, მონოპერსონალურ ევროპულ ენებში ქვემდებარის კატეგორია ძალიან ნათელია და მარტივიც, ქართულისაგან განსხვავებით. ქართველურ ენებში, სადაც ზმნა მრავალპირიანია (პოლიპერსონალურია), უფრო რთული ვითარებაა. ამდენად, გა-

სარკვევია ქართული ქვემდებარის როგორც ფორმალური, ისე ფუნქციური ურთიერთობის საკითხი. ქართული გრამატიკის ეს და სხვა მსგავსი პრობლემა იყო თავიდანვე ტუიტისათვის საყურადღებო კვლევის ობიექტი. გარდა ქართულისა, იგი დაინტერესდა **სვანური ენითაც**, რომელიც ზ. ჭუმბურიძის ხელმძღვანელობით საკმაოდ კარგად აითვისა. ამავე დროს შეისწავლა სვანი ხალხის კულტურა, ისტორია.

კ. ტუიტის ქართველობოგიური ნაშრომებია: მონოგრაფია „ქართველური მორფოსინტაქსი“. შეთანხმება რიცხვში და მორფოსინტაქსური ორიენტაცია სამხრეთ კავკასიურ ენებში“ (1998), სტატიები: „ირიბი გარდამავალი ზმნები ქართულში“ (1987), „ქართული ყე-ს გეოგრაფია“ (1989), „პრეფიქსი ს ძეველ (ადრინდელ) ქართულში“ (1990), „რიცხვის კატეგორია საერთო ქართველურში“ (1192), „პარადიგმების აღდგენა ქართულში“ (1996), „სვანური ენა“ (1997), „შენიშვნები სვანურ ზმნაზე“ (1998), „დეპონენსური ზმნები ქართულში“ (2002), „ქართველური სერიების ნიშნები“ (2003) და სხვ.

ამერიკელი მკვლევარი იმდენად მოიხიბლა ქართული ფოლკლორით, რომ სასურველ აუცილებლობად მიიჩნია ქართული ფოლკლორის ქრესტომათის გამოცემა უცხოელი მკითხველისათვის. მან თარგმნა და გამოსცა **ქართული ხალხური პოეზიის ანთოლოგია** (I გამოც. 1994, II-2003).

უკვე მრავალი წელია, ტუიტი ნაყოფიერად მოღვაწეობს ქართველობობისაში და მის თანამემამულე უფროს კოლეგებთან ერთად მეცნიერულად იკვლევს ქართულ კულტურას და ამ მიმართებით ახალ საინტერესო ინფორმაციებს აწვდის უცხოელ მკითხველს.

**სტივენ რაპი** გახლავთ ამერიკელი ისტორიკოსი. საქართველოს შესახებ პირველად შეიტყო ინდიანის უნივერსიტეტში პროფ. დოდონა კიზირიასგან. იგი ძალიან დაინტერესდა საქართველოს ისტორიული წარსულით, ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ცალკეული პერიოდებით. დაწერა მოხსენება „**დავით ალმაშენებლის საეკლესიო რეფორმები**“ (წაიკითხა ინდიანის უნი-

ვერსიტეტის კონფერენციაზე), სადაც ისე ღრმად, გონივრულად გააანალიზა იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური ვითარება, ისე ზუსტად აღწერა დავით აღმაშენებლის პორტრეტი და შეაფასა მისი მსოფლმხედველობა, რომ მოხსენების შემდეგ დარბაზმა ფეხზე ადგომითა და ტაშით მიაგო პატივი ქართველთა უპირველეს მეფეს.

სტივენი საქართველოს პირველად ეწვია 1987 წელს მცირე ხნით, 1990 წელს კი უფრო ხანგრძლივი სტუმარი იყო. იგი იმხანად მუშაობდა ბიბლიოგრაფიული ხასიათის წიგნზე, რომელიც აღწერს საქართველოს შესახებ არსებულ თითქმის ყველა ისტორიულ დოკუმენტს, წიგნს, ხელნაწერს.

ამასთან დაკავშირებით დავიმოწმებთ თვით რაპის სიტყვებს: „ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ინდიანის უნივერსიტეტმა შეისყიდა ირლანდიელი მეცნიერის – ისტორიკოს უილიამ ალენის უძვირფასესი ბიბლიოთეკა. სწორედ ამ უმდიდრესმა ბიბლიოთეკამ გადამაწყვეტინა გამეკეთებინა ბიბლიოგრაფიული აღწერილობა. ნაშრომში უამრავი მასალა შესული. აქ არის ორიგინალების, უძველესი ხელნაწერების, ცნობილ ქართველ მოღვაწეთა შემოქმედების დაწვრილებითი აღწერა... ასე რომ, ვფიქრობ, ეს 300- გვერდიანი ნაშრომი სასარგებლო უნდა იყოს ამ ქვეყნით დაინტერესებულ პირთათვის.“

სტივენ რაპის სახით საქართველოს ჟყავს უცხოეთში კიდევ ერთი გულშემატყივარი, რომელიც ინტერესითა და სიამოვნებით შრომობს საქართველოს ისტორიისათვის, რათა მსოფლიომ უკეთ გაიგოს, რას წარმოადგენს ეს ქვეყანა, მისი ხალხი; „არადა, იგი ყოველმხრივ იმსახურებს ყურადღებასა და ინტერესს“ (ს. რაპი).

\* \* \*

აშშ-ი ქართველოლოგის თანამედროვე დონის შექმნაში მონაწილეობენ აგრეთვე სტივენ ჯონსონი, ადამ სმითი, რონ გორნი, რობერტ დრიუსი, კრეგ მელჩერთი, ჯინ გრეგო, ლუის პერაგალო, დენიელ ჰამფრისი, გუდვინ ქუქი, პოლ ჰედვიკი და სხვ.

## შვეიცარია

შვეიცარიაში პირველი ქართველოლოგიური ნაშრომი — „მოგზაურობა კავკასიაში“ ეკუთვნის სიძველეთა მკვლევარს ფრედერიკ (ფრანსუა) დიუბუა დე მონპერეს (1798-1850). ექვსატომიან წიგნში, რომელსაც ერთვის დიდი ატლასი, თავმოყრილია ძვირფასი ფაქტობრივი მასალა ქვეყნის ბუნებისა და სიძველეთა შესახებ. ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხებს, ქართულ და სომხურ ხუროთმოძვრულ ძეგლებს. მიუხედავად ზოგიერთი უზუსტობისა, ამ ნაშრომს გარკვეული მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით, ისტორიული თვალსაზრისით.

შვეიცარია რომ განათლება-კულტურის ერთ-ერთი თვალსაჩინო კერა იყო ევროპაში, ამის შესახებ ადრიდანვე კარგად უწყოდნენ საქართველოშიც. იქაურ უმაღლეს სასწავლებლებში სხვადასხვა დროს სწავლობდნენ ცნობილი ქართველი მწერლები: ლეო ქიაჩელი, გერონტი ქიქოძე, ივანე მაჭავარიანი, არისტო ჭუმბაძე, მიხეილ ჯავახიშვილი და სხვები.

XX საუკუნიდან კიდევ უფრო გაძლიერდა შვეიცარია-საქართველოს კულტურული კონტაქტები მას შემდეგ, რაც 1937 წელს საქართველოში ფართოდ აღინიშნა გენიალური ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლისთავი. ეროვნულმა ზეიმმა მსოფლიო მასშტაბი მიიღო. უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ავტორის ფართო საზოგადოებისათვის ახლოს გაცნობის უდიდესი სურვილი გამოიკვეთა ევროპის დიდი ქალაქების სამეცნიერო წრეებში. მაგალითად, 1937 წელს უენევის უნივერსიტეტში აღინიშნა რუსთაველის დაბადების 750 წლისთავი. საზეიმო სხდომაზე რუსთაველისა და ქართული კულტურის შესახებ ისაუბრეს გამორჩენილმა მეცნიერებმა და სახელმწიფო მოღვაწეებმა.

„ვეფხისტყაოსნის“ მიმართ ამ პათოსმა უფრო ფართო გამოხატულება პოვა 1966 წელს რუსთაველის დაბადების 800

**ნლის იუბილესთან** დაკავშირებულ ღონისძიებებში. კერძოდ: უნივერსიტეტის მეცნიერმა, პოეტმა **ლუი პლაშომ** ფრანგულ ენაზე თარგმნა „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეული ეპი-ზოდები; 1966 წელს შვეიცარიელი მეცნიერების: ალბერ მალ-შეს, უან მარტენის, შარლ ბორჟოს, პოლ კარისა და სხვათა ინი-ციატივით გამოიცა ზემოაღნიშნული საზეიმო სტდომის მასა-ლების კრებული სათაურით „**შოთა რუსთაველი უნი-ვერსიტეტში**“.

კრებულში შესულია საინტერესო ინფორმაციები და სტა-ტიები, რომელთაგან დავიმოწმებთ ორიოდე მოკლე ამონარიდს: „ჩვენ ბედნიერი ვართ, რომ რუსთაველზე ბევრი რამ გავიგეთ. ამ გენიოსი პოეტის ნანარმოები აუდერდება შვეიცარიაში“... (ალბერ მალშე, სახელმწიფო მოღვაწე), „საერთოდ ცნობილია, რომ აღნიშნავენ დიდი ადამიანების დაბადების 100 წლისთავს. მათი იუბილე მეორდება ერთი საუკუნის შემდეგ, მაგრამ უფრო მოგვიანებით უმრავლესობა დავიწყებას ეძლევა. იშვიათად არიან ისეთები, რომელთაც დაბადებიდან 750 წლისთავზე იხსე-ნიებდნენ. რუსთაველი იყო ერთ-ერთი ყველაზე დიდი პოეტი. დიდმა კრიტიკოსებმა კარგად იციან ეს და ყოველგვარი ეჭვის გარეშე ადარებენ მას დანტეს, შექსპირს და გოეთეს. მაგრამ როგორ უნდა ვეზიაროთ ამ ეპიკური პოემის მომხიბვლელობას? ქართული ქლერადი ენა ჩვენთვის დღემდე უცნობია... იგი უნდა ითარგმნოს ფრანგულად“ (უან მარტენი, უურნალ „დე უნევის“ რედაქტორი).

მეცნიერულ ქართველოლოგიას ციურიხში უფრო მოგვია-ნებით ჩაეყარა საფუძველი.

**პიტა ჩხენკელი** (1895-1963) ითვლება ციურიხში ქარ-თული ენისა და ლიტერატურის შემსწავლელი მძღავრი ცენ-ტრის დამაარსებლად.

ქართველ ხალხს სამართლიანად შეუძლია იამაყოს თავისი სახელოვანი შვილით – კ. ჩხენკელით. ეს ის ემიგრანტი ქართვე-ლია, „რომელმაც მარტომ, პირადი გარჯითა და რუდუნებით, მოახერხა ამერიკული ნარმოების საბეჭდი მანქანა ვერიტაპე-

## შვეიცარია

---

რისათვის (მანქანას ქართულის გარდა ყველა დამწერლობის შრიფტით შეეძლო ბეჭდვა) დაემატებინა მეთოთხმეტე – ქართული დამწერლობა“ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1989, 17/II).

კიტა (პეტრე) ჩხერიელი დაიბადა ქუთაისში, სასულიერო პირის ოჯახში. მის მშობლებს, რომლებიც პირველად ხონში ცხოვრობდნენ, ცხრა შვილი ჰყავდათ. კიტას უფროსი ძმა იყო ქართველი პოლიტიკური მოღვაწე აკაკი (კაკი) ჩხერიელი.

1912 წელს კ. ჩხერიელმა წარმატებით დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. 1913 წელს სწავლა განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტში, დაეუფლა სამართალსა და მსოფლიო ლიტერატურას. 1918 წელს დაბრუნდა საქართველოში. 1920 წელს იგი სახელმწიფო ხარჯით გააგზავნეს გერმანიაში ცოდნის გასაღრმავებლად. ჰალესა და ჰამბურგის უნივერსიტეტებში სწავლობდა ფილოსოფიას, პოლიტიკონომიას, სოფლის მეურნეობას. ამ დროიდან, როგორც ემიგრანტი, საცხოვრებლად დამკვიდრდა გერმანიაში.

1936 წელს კ. ჩხერიელმა დაიცვა **სადოქტორო დისერტაცია პოლიტიკურ ეკონომიაში თემაზე „სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოში“**, მიიღო დოქტორის ხარისხი და დაიწყო მოღვაწეობა ჰამბურგის უნივერსიტეტში, სადაც მაშინვე დაავალეს რუსული ენის სწავლება, ერთი წლის შემდეგ კი – ქართული ენის კურსის წაკითხვაც.

მართალია, კ. ჩხერიელს არ მიუღია უმაღლესი ფილოლოგიური განათლება, მაგრამ იგი დიდი ინტერესითა და გულმოდგინებით შეუდგა ენათმეცნიერულ საქმიანობას და, რაც მთავარია, მას აქ მიეცა საშუალება, სინამდვილედ ექცია სანუკვარი ოცნება – მისაწვდომი გაეხადა ევროპულთათვის ქართული ენა, რომლის ორიგინალური აღნაგობა უკვე დიდი ხანია იწვევდა უცხოელი ლინგვისტების ინტერესს.

კიტას მოღვაწეობის ამ პერიოდს ქართველი ემიგრანტი თამარ ჰაპავა ასე იგონებს: „კ. ჩხერიელს მძიმე და აუტანელი დაბრკოლებები და გაჭირვება უნდა გადაელახა, რომ თავი გაე-

ტანა და უნივერსიტეტში წარმატებით მუშაობაც ეწარმოებინა. ასეთ სიდუსჭირეში გაპეონდა მას თავი, მაგრამ ერთი წუთითაც არ ეშვებოდა ფიქრს და ზრუნვას სამშობლოზე. ეწეოდა ჩვენი კულტურის გაცხოველებულ პროპაგანდას, მის წარმატებაზე ოცნებობდა და მისთვის იღვწოდა... თავისი დაუღალავი და ბეჯვითი შრომით და საგნის სიყვარულით დიდი ყურადღება დაიმსახურა და უნივერსიტეტებმა ის ქართული ენის ლექტორად მიიწვიეს. აღფრთოვანებით უსმენდნენ ენთუზიაზმით სავსე მის ლექციებს და ქართულით დაინტერესებულთა წრე ყოველწლიურად იზრდებოდა.“

მრავალი ენის საფუძვლიანი ცოდნისა და განსაკუთრებული ნიჭიერების წყალობით კ. ჩხერის მალე მოიპოვა საუკეთესო სპეციალისტის სახელი. იგი პირველი რიგის ამოცანად თვლიდა ქართული ენის სახელმძღვანელოსა და ქართულ-გერმანული ლექსიკონის შედგენას უცხოელი სტუდენტებისათვის. ეს სამური საქმე კ. ჩხერის 1938 წლიდან ინტენსიურად დაიწყო და მოკლე ხანში შეაგროვა სათანადო მასალებიც, რომლებიც, სამწუხაროდ, 1943 წელს, ჰამბურგის დაბომბვის დროს, მის მდიდარ პირად ბიბლიოთეკასთან ერთად განადგურდა. უსახსროდ, უსახლკაროდ დარჩენილი, თანაც ჯანგატეხილი (დაბომბვის დროს ფეხებში მოსვლია შოკი, მოძრაობა უჭირდა) კიტა 1945 წელს გადავიდა შვეიცარიაში და ციურიხში დასახლდა, საადაც დაიწყო მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ახალი პერიოდი. პირველ ხანებში თავს ირჩენდა რუსულის კერძო გაკვეთილებითა და თარგმანით, შემდეგ ერთდროულად მიიწვიეს ციურიხის უნივერსიტეტსა და კონფედერაციულ ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებელში. რუსული ენის გარდა მას თრივეგან დაევალა ქართული ენის სწავლებაც, რაც სრულიად ახალი რამ იყო მთელს შვეიცარიაში. კ. ჩხერის ციურიხის უნივერსიტეტში ჩამოაყალიბა ქართული ენის კათედრა, რომელიც მალე იქცა მძლავრ სამეცნიერო ქართველოლოგიურ ცენტრად. აქ აღიზარდა მრავალი ქართველოლოგი.

## შვეიცარია

---

ციურიხში კ. ჩხენკელი დაუბრუნდა თავის საყვარელ საქ-  
მეს – ქართული ენის სახელმძღვანელოსა და ქართულ-გერმანუ-  
ლი ლექსიკონის აღდგენას. მართლაც, უკვე ხანდაზმულმა, ჯან-  
მრთელობაშერყეულმა, მაგრამ გასაოცარი „მხნეობით და უკი-  
დურეს წინააღმდეგობათა დამძლევი ენერგიით, როგორსაც ალ-  
ბათ მხოლოდ მის სამშობლო კავკასიაში შეხვდებით, დაინტე მან  
ციურიხში... ყველაფრის თავიდან აშენება“ (პროფ. ერნსტ რიში)   
და თავისი ერთგული მოწაფეების: იოლანდა მარშევის, რუთ ნოი-  
კომის, ლეა ფლურის დახმარებით მოკლე დროში სასტამბოდ გა-  
ამზადა ქართული ენის სახელმძღვანელო წიგნი, მაგრამ მაშინ  
შვეიცარიაში ქართული სტამბა არ არსებობდა, ამიტომ კ. ჩხენ-  
კელმა შვეიცარიის ხელისუფალთა ნებართვითა და ნივთიერი  
ხელშეწყობით ციურიხში დააარსა **ქართული გამომცემლობა „ამირანი“**. ამ მიზნით გამოიყენა ამერიკული სპეციალური სა-  
კანცელარიო მანქანა. თავად მოაწყო სტამბა, რომლის შრიფტის  
მშვენიერი გარნიტური საკუთარი ხელით ჩამოასხა და ორი წლის  
დაძაბული მუშაობის შემდეგ, 1958 წელს, თავისი მოწაფეების  
თანადგომით თვითონვე დაბეჭდა მონუმენტური ნაშრომი (თით-  
ქმის 1500-გვერდიანი) „ქართული ენის შესავალი“ გერმანუ-  
**ლად, სავარჯიშოები და ტექსტები კი – ქართულად.**

საქმისადმი ერთგულებამ, გაუტეხელმა ნებისყოფამ და  
მშობლიური ენის უსაზღვრო სიყვარულმა ფრთები შესახა კ.  
ჩხენკელის ოცნებას. რაინდული ბუნების მამულიშვილი უკიდუ-  
რესი მატერიალური ხელმოკლეობის პირობებშიც კი მხნედ იღ-  
ვნოდა საშვილიშვილო საქმისათვის. „საშუალოდ მიხდება დღი-  
ურად 14-15 საათი განუწყვეტელი და სასტიკი მუშაობა“, —  
წერდა იგი თავის ქართველ მეგობარს, პროფ. ი. მეგრელიძეს, —  
ასევეა ჩემი თანაშემწების მდგომარეობა. მატერიალურად არ-  
ცერთი ჩვენგანი არ არის უზრუნველყოფილი. ამიტომ იძულე-  
ბული ვართ, ჩვენი დროის ერთი ნაწილი მოვანდომოთ ლუქმა-  
პურის შოვნას. დანარჩენი დრო ხმარდება ქართული წიგნების  
გადაფურცვლ-გადმოფურცვლას, ლექსიკონის მასალის დაგ-

როვებას, მის დამუშავებას, მას შემდეგ მის აწყობასა და გამომცემლობის საქმეების მოვლას“.

მონოგრაფიის პირველი ნაწილი თეორიულია, მეორე კი – პრაქტიკული (სავარჯიშოებითა და ქრესტომათით); საილუსტრაციო მაგალითები ამოკრებილია ქართველი კლასიკოსი მწერლების ნაწარმოებებიდან.

„ქართული ენის შესავალმა“ დიდი გამოხმაურება და სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურა როგორც საზღვარგარეთ, ისე ჩვენში. მის შესახებ 50-ზე მეტი რეცენზია დაიბეჭდა ესპანეთში, საფრანგეთში, აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, იტალიაში, ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიაში, ავსტრიაში, კოლუმბიაში, შვეიცარიაში, არგენტინაში, ბელგიაში, შვედეთში... რეცენზენტები (ჰ. ფოგტი, ი. იედლიჩკა, რ. ლაფონი, კ.ჰ. შმიდტი, უ. ალენი, ი. მოლიტორი, მიხ. ნერეთელი, ე. რიში, მ. ვ. ესბროკი, კ. რეგამეი, ჟ. გარიტი, ი. ასფალგი, ნ. ყაუხებიშვილი, დ. მ. ლენგი, რ. სტივენსონი, ა. გუგუშვილი და სხვ.) ერთხმად აღიარებდნენ სახელმძღვანელოს მაღალ თეორიულ დონესა და მის პრაქტიკულ ღირებულებას. „ქართული ენის შესავალმა“ შეძლო არა მარტო დახმარება გაეწია ქართული ენის შემსწავლელი ბევრი უცხოელისათვის, არამედ ჩაენერგა დიდი სიყვარული ქართული ენის, ანბანის, მწერლობისა და კულტურისადმი — ასეთი იყო ძირითადი დედააზრი ამ რეცენზიებისა. ამჯერად მოკლედ დავიმოწმებთ რამდენიმე მათგანს.

კ. ჩხენკელის „ქართული ენის შესავალს“ ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ჩეხი ქართველოლოგი იედლიჩკა. იგი ხაზგასმით მიუთითებდა ამ სახელმძღვანელოს მნიშვნელობაზე საზღვარგარეთულ ქართველოლოგიაში, იძლეოდა ნაშრომის ლინგვისტურ ანალიზს. რეცენზენტის აზრით, ქართული ენის გარეშე წარმოუდგენელია კავკასიონლოგიის (ამ საყოველთაოდ ცნობილი, მაგრამ საკმაოდ მივიწყებული დარგის) შესწავლა, რადგან ქართული ენა გასაძებია დანარჩენ კავკასიურ ენათა ჯგუფისა. რეცენზენტი „ქართული ენის შესავლის“ ღირსებასა და უპირატესობას ხედავდა მისი მეთოდური ნაწილის სიზუსტე-

## შვეიცარია

---

სა და საფუძვლიანობაში: კ. ჩხენკელი ამ ნაშრომით ცდილობს ნათელი შეიტანოს იმ ენის შეცნობა-შესწავლაში, რომლის სტრუქტურა ესოდენ მოქნილი და რთულია.

რ. ლაფონის ლაკონიური შეფასებით, „ეს არის ქართული ენის ბრწყინვალე სახელმძღვანელო“; ფოგტის დასკვნით, „ქართული ენის შესავლის“ გამოსვლა ევროპულ ენაზე დიდი მოვლენაა. დღემდე ამ ენის სახელმძღვანელოები არ გვქონდა საკმარისი. ეს ნაშრომი ავსებს ხარვეზს. ახლა ხელთა გვაქვს დიდად სასარგებლო სახელმძღვანელო, რომელიც ხელს უწყობს ქართული ენის შესწავლას. კავკასიური ენის ასეთი სახელმძღვანელო სხვა არა გვაქვს“.

კ. ჩხენკელის გრამატიკის აღნაგობა და ძირითადი დებულებები დაწვრილებითაა მიმოხილული პროფ. შ. შათირიშვილის რეცენზიაში „ქართული ენის სახელმძღვანელო გერმანულად“. მასში ნათქვამია: I ტომის შესავალი ნაწილი ეთმობა ქართული ენის ფონეტიკურ სტრუქტურას; აქვეა ქართული ანბანის აღნერილობა და ნიმუშები, შემდეგ კი მთელს 600 გვერდზე გამონვლილვითაა წარმოჩენილი ქართული ენის მორფოლოგიური აგებულება. უფრო გასაგები და ადვილად ასათვისებელი რომ გახდეს უცხოელთათვის ქართული ენის ბუნება, წიგნის ავტორი ხშირად მიმართავს ქართულ-გერმანული მასალების შეპირისპირებას. გარდა ამისა, საგანგებოდაა გამახვილებული ყურადღება ქართულისათვის დამახასიათებელ ისეთ თავისებურებებზე (ზმინის მრავალპირიანობა, შუალობითი კონტაქტის ფორმათა წარმოება, ერგატიული კონსტრუქცია...), რომლებიც ევროპულ ენებს არა აქვს და ისინი უცხოელთათვის გათვალსაჩინოებულია მოხერხებული მაგალითებით. II ტომი ქრესტომათია. აქ მასალა შერჩეულია ქართული კლასიკური მწერლობიდან, საგულისხმოა ისიც, რომ ქართული ტექსტის პარალელურად მოცემულია მისი გერმანული თარგმანი.

1958 წელს გაზითი „ნოიე ციურიხერ ცაიტუნგი“ „ქართული ენის შესავლის“ ორტომეულზე წერდა: „ეს ნაშრომი წარმოადგენს თანამედროვე ქართული ენის სისტემატურ გრამატიკად მოცემულია მისი გერმანული თარგმანი.

კას, რომელიც აღსავსეა მაგალითებით. ავტორმა თვალსაჩინოდ წარმოგვიდგინა თავისი მშობლიური ენის გრამატიკული კანონები უცხოელთათვის. წიგნში წარმატებითაა დაძლეული ვერბალური სისტემის სიძნელეები. აქ ენათმეცნიერები იხილავენ იმას, რასაც სხვა სახელმძღვანელოებში ვერასოდეს ვერ წასავენ. ეს სახელმძღვანელო ქართული ენის პრაქტიკულად შესწავლის შესაძლებლობას გვაძლევს (პროფ. კ. რეგამეი).

„ქართული ენის შესავალი“ ერთ-ერთი საუკეთესო წიგნია ქართველოლოგიაში. უცხოელი მკითხველი მასში გრამატიკას-თან ერთად ეცნობა ლიტერატურასაც. წიგნმა ავტორს დიდი მეცნიერული აღიარება მოუპოვა მთელს მსოფლიოში. სწორედ ამ შრომისათვის ციურიხის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტმა კ. ჩხენკელს 1961 წლის 28 აპრილს მიანიჭა ფილოსოფიის საპატიო დოქტორის (პონორის კაუზას) ლირსება — „დასაფასებლად ქართული ენის ღრმად და ფართოდ წარმოდგენისა და დაუღალავი ერთგულებისათვის, რომლითაც მან მისი კავკასიური სამშობლოს დედაენა, ადრექრისტიანული დროიდან მომავალი ლიტერატურით, უცხო ქვეყნებისათვის მისაწვდომი გახადა და ამით მრავალი წლის განმავლობაში მსხვერპლის გაღებითა და თავდავინწყებით მეცნიერული შრომის გაწევის მაგალითი მოგვცა“ (პროფ. ერნსტ რიში).

უცხოეთში გადახვეწილი მამულიშვილი იღვნოდა მხოლოდ და მხოლოდ მშობლიური ენის განსაღიძებლად და არა სახელის მოსახვეჭად... არასოდეს არ უძებნია ამქვეყნიური ფუფუნებითი ცხოვრება, მეტიც: „ბერივით დაყუდებულს“, გარემო სინამდვილისაგან მოწყვეტილსა და ქართული ენის ფოლიანტებში ჩაფლულს, არც კი გაუგია თავისი წიგნის დაჯილდოების შესახებ. თუ როგორი მოულოდნელი იყო მშრომელი, თავმდაბალი და უპრეტენზიო მოღვანისათვის ასეთი დიდი დაფასება, ამაზე მეტყველებს პროფ. ი. მეგრელიძისადმი გამოგზავნილი კ. ჩხენკელის პირადი ბარათის ერთი ნაწყვეტი: „28 აპრილს... ციურიხის უნივერსიტეტმა საპატიო დოქტორის ხარისხი მიბოძა. თურმე ყველამ გაიგო ეს ამბავი, თურმე თვით ჩიტებიც აჭიკჭი-

## შვეიცარია

---

კებულან (როგორც შემდეგ ერთმა ნაცნობმა პროფესორმა მითხვა) და ჩვენ კი – არც მე და არც ჩემს ასისტენტებს არაფერი არ გაგვიგია... დეკანმა წინასწარ მომწერა, აუცილებლად უნდა დაესწროთო ზეიმს. თქვენ ვალდებული ხართ მოხვიდეთო! ძალიან გამაკვირვა ასეთმა „უდიერმა“ კილომ. დავჯექი და ვუპასუხე: მაპატიეთ, რომ აქამდე არ ვესწრებოდი უნივერსიტეტის დაარსების დღესასწაულს, მაგრამ არ მაქვს თავისუფალი დრო, ვიარო ასეთ დღეებზე. რაღა დამრჩენია, ამ შემთხვევაში იძულებული ვარ, შევასრულო თქვენი სურვილი-თქო.

როგორც შემდეგ გამოირკვა, დეკანს თურმე შიში ჰქონია, ვაითუ გაიგო წინასწარ, შენს მტერს, არ მოვა და ცუდ მდგომარეობაში ჩავცვივდებითო.

ზეიმის დროს დეკანმა თავის ახლოს დამსვა, მაგრამ საიდუმლოება არ გამიმულავნა, ფილოსოფიური ფაკულტეტის ერთხმად მიღებული გადაწყვეტილება არ მაცნობა. და აი, როცა პირველ რიგში გამოიძახეს შვეიცარიის ცნობილი საგარეო მინისტრი და შემდეგ გამოჩენილი ამერიკელი მწერალი ვალდერი, მე ჩავჩირჩულე დეკანს ყურში: „ახლა მესმის, თუ რატომ ასე და-შინებით მოითხოვდით ჩემს დასწრებას, თურმე ასეთი დიდი ხალხის ჩვენება გინდოდათ. და მართლაცდა ჩემს დღეში არ ვაპატიებდი ჩემს თავს, რომ ასეთი შემთხვევა ხელიდან გამეშვა, გიძლვნით გულწრფელ მადლობას!“

„კარგად მიხვდითო“, — მიპასუხა ღიმილით დეკანმა. ერთი სიტყვით, ჩვენში რომ იტყვიან, გამაპამპულეს რაღა! და აი, უცებ ნამოდგა ჩემი დეკანი და გაეშურა კათედრისაკენ, თან მომაძახა: მაპატიეთ, რომ გტოვებთ, მაგრამ ჩემი განცხადების ჯერი დადგაო.

მხოლოდ მაშინ მივხვდი! ასეთმა მოულოდნელმა ამბავმა ლამის დიდ საცოდაობაში ჩააგდო ჩემი გული. თურმე გული-სათვის უეცარი სიხარული ისეთივე მავნეა, როგორც უეცარი მწუხარება. თან მე ხომ ფეხები მაქვს გაფუჭებული, ცოდვით დავდივარ... გამიჭირდა ფეხზე ადგომა, დიდი ვაივაგლახით წა-

მოვდექი და მივცოცდი კათედრისაკენ... გამოვართვი საპატიო დოქტორის დიპლომი და დავჯექი რჩეულთა რიგში“.

სწორედ ამისთანებზე იტყვიან: საქმემან შენმან გამოგა-ჩინოსო. საქმემ გამოაჩინა კ. ჩხენკელის ღვაწლი, მადლიერმა მკითხველმაც ჯეროვნად დააფასა იგი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ქართული ენის შესავლის“ ასეთმა აღიარებამ, მისმა მეცნიერულმა ღირებულებამ განსაზ-ღვრა წიგნის ინგლისურად თარგმნა, რომელიც შეასრულა კ. ჩხენკელის მეცნიერმა და ერთ-ერთმა პატივისმცემელმა, ინ-გლისური ენის ბრწყინვალე მცოდნემ ელისაბედ მარშევმა (იო-ლანდა მარშევის დედამ).

1960 წლიდან კ. ჩხენკელი შეუდგა მეორე დიდი ნაშრომის — „ქართულ-გერმანული ლექსიკონის“ ნაკვეთებად დაბეჭ-დვას, მაგრამ მხოლოდ 6 წიგნაკის გამოქვეყნება მოასწორ.... იგი გარდაიცვალა 68 წლის ასაკში, ბრონქოპნევმონიის სწეუ-ლებით. დაკრძალულია ციურიხში (კ. ჩხენკელის ცხოვრება – საქმიანობის შესახებ ვრცლად იხ. ვ. იმნაიშვილის სტატიაში „ქურუმი დედაენის ტაძრისა“).

„უცხოეთში განისვენებს კ. ჩხენკელის ტანჯული (მრავალ გაჭირვებას გამოვლილი) სხეული, მაგრამ სული ალბათ კვლავ მზრუნველობით დასტრიალებს თავის მამულიშვილურ საქმია-ნობას. უღვთო იყო მისი სიკვდილი!“ — ასე შეაფასა ქართულმა ემიგრაციამ დვანლი კაცისა, რომელიც საზღვარგარეთ 30 წელზე მეტ ხანს ერთგულად ქომაგობდა ქართულ მწიგნობრო-ბასა და კულტურას.

მასწავლებლის მიერ დაწყებული საქმე (ლექსიკონის ბეჭ-დვა) განაგრძეს მისმა ერთგულმა მოწაფეებმა და დაასრულეს 1974 წელს (ი. მარშევის რედაქტორობით). თუმცა აქამდე მის-ვლას გრძელი გზა და მეტისმეტად მძიმე შრომა დასჭირდა... და კიდევ: რომ არა ვ. ნოზაძის თანადგომა და გულისხმიერება კ. ჩხენკელის მეცნიერული მემკვიდრეობის მიმართ, ალბათ, ავ-ტორის მიერ დიდი ენთუზიაზმით დაწყებული საქმე განუხორ-ციელებელ ოცნებად დარჩებოდა (ლექსიკონის ყველა (20) წიგ-

## შვეიცარია

---

ნაკის გამოცემის წინ ვ. ნოზაძე საგანგებოდ ჩადიოდა ციურიხ-ში სამ-სამი თვით, ლექსიკონზე მომუშავე ქალბატონებს ეხმა-რებოდა ავტორიტეტული კონსულტაციებით და თანვე ახდენდა ნაშრომის საბოლოო რედაქტირებას).

მკითხველს რომ უფრო სრულყოფილი ინფორმაცია მიე-ნოდოს კ. ჩხენკელის ლექსიკონის შედგენა-გამოცემაში ვ. ნო-ზაძის როლის შესახებ, მოვუსმინოთ თავად ციურიხელ ქალბა-ტონებს: „როდესაც 1963 წელს კ. ჩხენკელი გარდაიცვალა, თავ-დაპირველად ისე ჩანდა, თითქოს მის მიერ წამოწყებულ ქარ-თულ-გერმანულ ლექსიკონზე მუშაობა უნდა შეწყვეტილიყო. ეს იქნებოდა ფრიად სამწუხარო, რადგან ამ ნაშრომის პირველი ექვსი რვეულის გამოქვეყნებამ ცხადჰყო მათი საჭიროება ქარ-თულ ლექსიკოლოგიაში – მით უფრო, რომ ენათმეცნიერების სამყაროში მას დიდი სიხარულით და მაღლობით შეეგებნენ.

გარნა ასე მოხდა, რომ ჩვენს მიერ აქამდე არნახული დოქ-ტორი ვიკტორ ნოზაძე ციურიხში ჩამოვიდა – თავისი ახალგაზ-რდობის მეგობრის და სტუდენტობის დროის ამხანაგის კიტა ჩხენკელის საფლავის მოსანაზულებლად – მისთვის უკანასკნე-ლი პატივის მისაზღვებლად და, როგორც ამგვარ გარემოებაში უნდა მომხდარიყო, ჩვენი საუბარი შეეხო გარდაცვალებულის მუშაობას და იმ სამწუხარო უპერსპექტივობას, რომელიც ამ მუშაობის გაგრძელებას ესახებოდა.

დოქტორი ვ. ნოზაძე გვისმენდა და ბევრს არას ამბობდა. ჭარბი სიტყვათა მოუბარი კაცი არ იყო. მხოლოდ თავისი უკან გამგზავრების წინ, ჩვენდა ფრიად გასაკვირვებლად, გამოგვიც-ხადა: „თუ თქვენთვის მისალებია, გიშველით ლექსიკონის დას-რულებას“-ი. დღეს შეუძლებელია სიტყვებით გამოთქმა იმისა, თუ რამდენად ბედნიერი ვიყავით ამ წინადადებით. მალე გამო-აშკარავდა, რომ ჩვენ შესანიშნავი თანამშრომელი შევიძინეთ, რომელიც სამუშაოს დასრულებამდე (1974), თავზედ აღებულ ამოცანისადმი უტეხი ერთგულებით და სამაგალითო თავდადე-ბით ჩვენ გვერდით გვედგა, ჩვენ ვიცოდით, რომ ძნელი უნდა ყოფილიყო მისი ხანდაზმულობის გამო (გარდაიცვალა 1975

ნელს, 82 წლის ასაკში – უ.ფ. ი.ვ.), მაგრამ ყოველი მისი მოსვლა ჩვენთან მუდამ გასახარელ შეხვედრას წარმოადგენდა. ახალი ბეჭითობით და დროის დაუკარგავად, კვლავ განახლდებოდა ლექსიკონზე მუშაობა. ჩვენ თანა გვყავდა ადამიანი, რომელიც თავისი დიდი უნარით მხარში გვედგა და მუდამუამ თავისებურ თავაზიანობით ცდილობდა ჩვენთვის ამოცანის სიძნელე გაეადვილებინა“.

თავის მხრივ, ვ. ნოზაძე მაღალ შეფასებას აძლევდა ციურიხელი ქართველოლოგების საქმიანობას: „დიდად თავდადებული ადამიანები არიან ეს ციურიხელი ქალები და უანგაროდ ენევიან ამ დიდსა და მნელ საქმეს. მეც ვალდებული ვარ, მივეხმარო მათ... დიდი საქმე კეთდება ციურიხში ლექსიკონის გამოცემით და უნივერსიტეტში ქართული ენის კათედრით. დიდ დროს მართევს აქვე ციურიხში მუშაობაც, მაგრამ როგორ ვთქვა უარი, როცა ციურიხელი ქალები თავდადებულად ემსახურებიან ქართულ საქმეს, ისე, როგორც ქართველი ქალები მონასტერში ღმერთს ემსახურებოდნენ და ქართულ წიგნებზეც ზრუნავდნენ“ (ვიქტორ ნოზაძის წერილები: „ლიტ. საქ.“, 1987, 27.01).

აქვე დავსძნთ: ლექსიკონის გამოცემას დიდი ამაგი დასდო აგრეთვე ფრანგმა ქართველოლოგმა რენე ლაფონმა.

„ქართულ-გერმანული ლექსიკონი“ ვრცელი და მრავალმხრივია. საერთო მოცულობა 2500 გვერდს აღწევს. შედგება 26 ნაწილისაგან ანუ რვეულისაგან. წყაროებად გამოყენებულია ძირითადად ქართველი ლექსიკოგრაფების (ს. ორბელიანის, დ. ჩუბინაშვილის, რ. მეკელაინის, ე. ჩერქეზის, ქ. დათიკაშვილის და სხვ.) ნაშრომები, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეული.

კ. ჩხერიმელის ლექსიკონს საინტერესო რეცენზია უძლვნა ლ. კაიშაურმა. იგი მაღალ შეფასებას აძლევს ნაშრომს და მოკლედ აყალიბებს ლექსიკონის აგების პრინციპებს, იძლევა მის შინაარსობრივ-სტრუქტურულ დახასიათებას.

ლექსიკონში შედის თანამედროვე ქართული ენის ლექსიკის ძირითადი მარაგი, ანბანის რიგზე შეტანილი აგრეთვე ტოპონი-

## შვეიცარია

---

მიკური, ეთნონიმური და ონომასტიკური ერთეულები... მცენარე-ებისა და ცხოველების სახელწოდებათა გერმანულ თარგმანს დართული აქვს მათი ლათინური შესატყვისები. სალექსიკონი ერთეულებს ხშირად ახლავს საილუსტრაციო ნიმუშები, აღებული ჩვეულებრივი სიტყვათხმარებიდან. ლექსიკონში გამოყენებულია აგრეთვე ფრაზეოლოგიური გამოთქმები.

„ქართულ-გერმანული ლექსიკონი“ მეტად ფასეულია არა მარტო წმინდა ენათმეცნიერული თვალსაზრისით, არამედ ზოგადი ასპექტითაც. აქ შეიძლება კვლავ გავიმეოროთ წიგნის ერთ-ერთი რეცენზენტის, პროფ. ე. რიშის, მოხდენილი ნათქვამი: „დაე, ამ ნაშრომის დასრულება საძირკველი ყოფილიყოს შემდეგი კვლევა-ძიებისა ქართულ სფეროში და ამგვარად აღსრულებულიყოს მთავარი საზრუნავი ამ ნაშრომის წამომწყებისა, რომ ენა ქართველი ხალხისა და მისი მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურა მის ორიგინალურ კულტურასთან ერთად შეძლებისამებრ ფართო წრეთათვის გამხდარიყოს ხელმისაწვდომი.“

მართლაც, „ქართულ-გერმანული ლექსიკონის“ გამოცემა იქცა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენად ქართული კულტურისა და, საერთოდ, ქართველოლოგიის ისტორიაში. ნაშრომს მაღალი შეფასება მისცეს რ. ლაფონმა, ჟ. გარიტმა, ჰ. ფოგტმა, კ. ჰ. შმიდტმა, ი. ასფალგმა, რ. სტივენსონმა, არნ. ჩიქოპავამ, ალ. ლლონტმა, ა. შანიძემ, ი. მეგრელიძემ, ივ. ქავთარაძემ და სხვებმა.

ციურისის მთავრობამ ლექსიკონის დამთავრებისა და მასზე განვითარებული უდიდესი შრომისათვის ქართველოლოგი ქალები – ი. მარშევი, რ. ნოიკიმი და ლ. ფლური სათანადოდ დააჯილდოვა. ამასთან დაკავშირებით ლეა ფლურის მიერ ქართულ ენაზე დაწერილ ბარათში ვკითხულობთ: „1974 წლის 17 დეკემბერს ციურისის კანტონის მთავრობამ მოგვანიჭა სამივეს ჯილდო ლექსიკონის დამთავრებისათვის. ქ. ციურისის თვითმმართველობის შენობაში გადაიხადეს ოფიციალური მიღება. მოულოდნელი იყო ეს ჩვენთვის და, რასაკვირველია, მეტად გაგვახარა. ეს ჩვენს საქმიანობაში ერთ-ერთი სასიხარულო ამბავია. ამით შესრულდა ჩვენი დაუვიწყარი კიტას გეგმა... „ქართული ენის

## შვეიცარია

შესავლისა“ და „ქართულ-გერმანული ლექსიკონის“ შემწეობით შეიძლება ქართული ენის სწავლა და თქვენი დიდებული ლიტერატურის გადათარგმნა.“

კ. ჩხენკელი გამორჩეული იყო თავისი პიროვნული თვისებებითაც. „კიტა იყო მეცნიერი (თუმცა პოლიტიკური გამოსვლაც შეეძლო), ძმასავით ზრდილობიანი და თავმდაბალი... ქართული ენის სფეროში მისი ღვაწლი დიდია. განსვენებულ კიტას ჰქონდა უნარი და არაჩვეულებრივი მიმზიდველობა, რათა ქართული სიტყვა შეეყვარებინა უცხოელთათვის, ქართული ენით დაეინტერესებინა ევროპელი მრავალრიცხოვანი მსმენელი“ (გრ. წერეთელი).

სწორედ ასეთად – მეტისმეტად კეთილშობილ, მაღალი სულის პიროვნებად იცნობდნენ კ. ჩხენკელს უცხოელი ქართველოლოგებიც. მაგალითისათვის, ვფიქრობთ, საკმარისია პროფ. ი. მეგრელიძისადმი მიწერილი ჩეხი ქართველოლოგის, ი. იედლიჩკას სიტყვებიც: „ბერძნული ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი (ძვირადლირებული) ჩვენთან არ იშოვება. მისწერეთ პროფ. კ. ჩხენკელს. მართალია, ღარიბია, მაგრამ გულისხმიერი ადამიანია და გამოგიგზავნით.“

თანამედროვეთა თქმით, ეკონომიკურად ხელმოკლედ მცხოვრები კ. ჩხენკელი თავის მეგობრებს (უცხოელ თუ ქართველ მეცნიერებს) სისტემატურად ამარავებდა საზღვარგარეთ გამოსული სამეცნიერო ლიტერატურით.

დასასრულ, კ. ჩხენკელის ღვაწლის შესაფასებლად გავიმეორებთ პროფ. ი. მეგრელიძის ნათქვამს: „ცოდნა, რასაც მეცნიერი სხვას ვერ გადასცემს, დაკარგულია. უმონაფო მასწავლებელი უძეოდ კვდება... კ. ჩხენკელმა აღზარდა ქართველოლოგები, რომლებიც მასწავლებლის მეცნიერულ საქმეს განაგრძობენ... ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ: კ. ჩხენკელის სახელის უკვდავსაყოფად მისი უბადლო „ქართულ-გერმანული ლექსიკონი“ კმარა.“

ქართული კულტურის პოპულარიზაციაში დიდი როლი შეასრულა აგრეთვე კ. ჩხენკელის მიერ საკუთარი ხელით მოწყო-

## შვეიცარია

---

ბილმა გამომცემლობამ – „ამირანმა“. ამის შესახებ მეცნიერი თავადაც აღნიშნავდა: „ამირანის“ გამომცემლობას კომერციასთან არავითარი კავშირი არა აქვს. მისი ამოცანა არის მხოლოდ გზა გაუხსნას ქართულ ენას უცხოეთში. ერთ-ორ უნივერსიტეტში მოხერხდა კიდეც ქართული ენის შემოღება და იმედი მაქვს, რომ მომავალში კიდევ უფრო გაიდგამს ფეხს ქართულის სწავლა.“

მართლაც, საამაყო მამულიშვილის მიერ საზღვარგარეთ დათესილმა მარცვალმა სასიკეთო ნაყოფი გამოიღო – ციურიხში დაარსდა ქართველობოგიური სკოლა, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა რიცხობრივად და თვისებრივადაც. შვეიცარიელი ქართველობოგები ქართული ენის მეცნიერული კვლევის გარდა მთარგმნელობით მუშაობასაც ეწეოდნენ – ევროპელებს მშობლიურ ენაზე აცნობდნენ ქართული კულტურისა და ლიტერატურის მიღწევებს.

ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩეულია ლეა ფლურის, რუთ ნოიკომისა და იოლანდა მარშევის ღვაწლი. მათი სახელები ქართველ საზოგადოებას პირველად გააცნო პროფ. ქს. სიხარულიძემ (მან 1966 წელს შვეიცარიაში მოგზაურობის დროს მოინახულა ეს შესანიშნავი ქალბატონები): „გამაოცა და დიდად აღმაფრთოვანა შვეიცარიელი ქალების ტკბილმა ქართულმა, მათმა დახვენილმა მეტყველებამ ჩემს დედაენაზე... მუდამ მემახსოვრება ამათი კეთილშობილური ღიმილი, საოცრად ანთებული თვალები, რომლებშიც ჩემი სამშობლო ქვეყნის სიყვარული ამოვიკითხე.“

ციურიხის მარცვალმა ქალბატონებმა კ. ჩხერიმელისაგან – მათი სულიერი მოძღვრისაგან – შეისწავლეს საქმისადმი უსაზღვრო ერგულება, სხვა ხალხის კულტურის სიყვარული და პატივისცემა და იქცნენ ქართული ენისა და ლიტერატურის მოუღლელ მსახურებად. მათ მეცნიერული კონტაქტები ჰქონდათ დამყარებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებთან, პირადად მეგობრობდნენ ქართველ კოლეგებთან. ისინი საქართველოს პირველად ესტუმრნენ 1968 წელს თბილისის უნივერსიტეტის დაარსების 50-ე

ნლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ზეიმში მონაწილეობის მისაღებად. აკ. შანიძის მოწვევით მათ მონახულეს ფილოლოგიის ფაკულტეტის კათედრები და კაბინეტები, დაათვალიერეს ძველი ქართული ენის კაბინეტში დაცული იშვიათი გამოცემები და ხელნაწერები, გაეცვნენ ბოლნისის სიონისა და მცხეთის ჯვრის ნარწერებს. შვეიცარიელ სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიისა და ფოლკლორის კათედრის წევრებმა. განსაკუთრებით საინტერესო იყო მათთვის რუსთაველის კაბინეტის დათვალიერება და მისი ისტორიის გაცნობა. მასპინძლებსა (ალ. ბარამიძე, ლ. მენაბდე, ქს. სიხარულიძე, მიხ. ჩიქოვანი ...) და სტუმრებს შორის გამართულ საუბარში გამოიკვეთა აზრი, რომ შემდგომში კიდევ უფრო უნდა განმტკიცდეს და გაფართოვდეს მეცნიერული კავშირი ქართველ და შვეიცარიელ ქართველოლოგებს შორის.

უცხოელი ქალბატონები სამი კვირის განმავლობაში ეცნობოდნენ ჩვენს სამშობლოს. საგანგებოდ მონახულეს კ. ჩხენაველის მშობლიური ქალაქი ქუთაისი, დაათვალიერეს ბაგრატი, გელათი, გეგუთი, ოქროს ჩარდახი, რიონის ხეობა... საქართველოს თვალწარმტაცი ბუნებით, მისი ძირძველი კულტურითა და ხელოვნებით მოხიბლული ვერ ფარავდნენ განსაკუთრებულ აღფრთოვანებას: „ყველგან, სადაც კი ფეხი დავდგით საქართველოში, დიდი სიყვარული და მოწინება გვხვდება“. ქართული მუსიკის მოსმენითა და ხალხური ცეკვების ხილვით აღტაცებული ამბობდნენ: „ესოდენ ლამაზი, მდიდრული, მომხიბვლელი ხელოვნება იშვიათად თუ გვინახავს. მართალი ბრძანდებოდა ჩვენი სულიერი მამა, ბატონი კიტა, როცა იტყოდა: „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა...“

შვეიცარიელი ქალბატონები რამდენჯერმე ეწვივნენ საქართველოს და, როცა უფრო ახლოს გაეცვნენ ჩვენს უმდიდრეს ენას, ლიტერატურას, კულტურას, ქართველ კოლეგებთან თავიანთი მომავალი მუშაობის მიმართულება ასე ჩამოაყალიბეს: „ჩვენ გავაძლიერებთ ქართულის სწავლებას შვეიცარიაში. ჩვენ ვიცით, სად რამდენი ქართველი ცხოვრობს სპარსეთის ფერი-

## შვეიცარია

---

დანში, ძველ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ვიცით, ვინ არიან და როგორ ცხოვრობენ ჭანები (ლაზები). ვიცნობთ ბევრ ქართველს ევროპაში. ვეცდებით ყველას, ყველას – ზოგს პირა-დად და ბევრს პრესით — ვაუზყოთ ჩვენი აღფრთოვანება სა-ქართველოთი და ქართველი ხალხით. ქართველს, რომელსაც ქართული ენა არ ეცოდინება, შევარცხვენთ.“

ციურისხელი ქართველოლოგები ზედმინევნით იცნობდნენ ქართულ მწერლობასა და კულტურას, სისტემატურად ეხმიანებოდნენ ჩვენი ფილოლოგების მეცნიერულ მემკვიდრეობას. საზღვარგარეთის ჟურნალ-გაზეთებში ათავსებდნენ რეცენზიებსა თუ საგანგებო გამოკვლევებს. მაგალითად, მათ გულთბილად მიულოცეს აკად. ალ. ბარამიძეს დაბადების 80 წლისთავი და გერმანულენოვანი სამყაროს წინაშე ხაზგასმით წარმოაჩინეს მხცოვანი მეცნიერის დიდი დამსახურება ქართველოლოგიაში.

**იოლანდა მარშევი** (დ. 1920) ბავშვობიდანვე ეუფლებოდა ინგლისურს, იტალიურს, ფრანგულს; მეცადინეობდა მუსიკაშიც – უკრავდა ვიოლინოზე (მუსიკოსის კარიერაც ერთობ იზიდავდა თურმე).

ი. მარშევმა **1945** წელს დაამთავრა ციურისხის უნივერსიტეტი, რომანისტიკისა და კლასიკური ფილოლოგიის განხრით. **დაიცვა დისერტაციაც**. წლების განმავლობაში ასწავლიდა უცხო ენას ციურისხის საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში. პირველ ხანებში პარალელურად კერძო გაკვეთილებსაც ატარებდა მუსიკაში (საარსებო საშუალების მოსაპოვებლად).

როგორც თავად იგონებდა ქ-ნი იოლანდა, მას ჰქონდა ენების ათვისების განსაკუთრებული მიღრეკილება, თუმცა ძალიან უყვარდა მუსიკაც. ასე რომ, ერთხანს ვერ გადაეწყვიტა, ძირითად პროფესიად რომელი აერჩია – ენათმეცნიერება თუ მუსიკა. იმ ხანად რუსული მუსიკის სიყვარულით განუზრახავს რუსული ენის შესწავლა კერძო მასწავლებელთან. ამ საქმისათვის ახლობლებმა ურჩიეს კიტა ჩხენკელი, რომელიც რუსულს ასწავლიდა იქაურ უმაღლეს სასწავლებელში. ასე გახდა ი. მარშევი კ. ჩხენკელის მოწაფე, შემდგომ კი — მისი ერთგული თანაშემწედ და მეგო-

ბარი. „რუსულის პირველივე გაკვეთილზე მივხვდი და ვიგრძენი, რომ ჩემ წინ არა მარტო მცოდნე და შესანიშნავი პედაგოგი იდგა, არამედ გამორჩეული ადამიანი, განსაკუთრებული ხასიათითა და პიროვნული თვისებებით“ (ი. მარშევი). მალე კ. ჩხენკელმა ენების მცოდნე ნიჭიერ ქალიშვილს შესთავაზა ასისტენტობა „ქართული ენის შესავლის“ მომზადებაში, თანვე განუმარტა: „მე თქვენ ფულს ვერ გადაგიხდით, თუ ჩემი მეცნიერული ასისტენტი გახდებით ქართული ენის გრამატიკის გამოსაცემად მომზადების-თვის, მე გპირდებით, რომ მოგამზადებთ კარგ ქართველოლო-გად და თქვენ საშუალება მოგეცემათ, შეაბიჯოთ თქვენთვის სრულიად უცხო სამყაროში, შემდეგ კი ქართული ენა და კულ-ტურა დასავლეთს გააცნოთ, სხვებიც აზიაროთ მათს მონაპოვ-რებს“. იოლანდა სიამოვნებით დაეთანხმა მასწავლებლის წინა-დადებას; დაინტერ მათი ერთობლივი საქმიანობა: ერთი მხრივ, იოლანდა ისმენდა კ. ჩხენკელის გაკვეთილებს რუსულსა და ქარ-თულ ენებში, მეორე მხრივ, თავად ეხმარებოდა მოძღვარს წიგ-ნის მომზადებაში, როგორც ასისტენტი.

ცოტა ხნის შემდეგ კ. ჩხენკელმა რუსულის ლექციებისა და კერძო გაკვეთილების მსმენელთაგან კიდევ შეარჩია ორი ციუ-რიხელი ახალგაზრდა ქალი — ლეა ფლური და რუთ ნოიკომი, რო-მელთაც გამოხატეს მასწავლებლის მიერ წამოწყებულ სამეცნიე-რო საქმიანობაში მონაწილეობა — დახმარების დიდი ინტერესი.

კ. ჩხენკელმა ამ ახალგაზრდების თანადგომით შექმნა ძლიერი, ერთიანი მუშა ჯგუფი, რომელმაც მალე გაითქვა სახე-ლი არა მხოლოდ ციურისში, არამედ მთელს ევროპაში და რომე-ლიც ჩამოყალიბდა, როგორც ერთ-ერთი შემოქმედებითად გა-მორჩეული ქართველოლოგიური ცენტრი შვეიცარიაში.

მართალია, კ. ჩხენკელის თანაშემწები ერთ საერთო საქ-მეს ემსახურებოდნენ, მაგრამ მასწავლებელთან შეთანხმებით თითოეულს მაინც თავისი კონკრეტული სამუშაო სფეროც ჰქონ-და. ი. მარშევი კიტასთან ერთად უშუალოდ მონაწილეობდა ჯერ „ქართული ენის შესავლისა“ და შემდეგ — „ქართულ-გერმანული ლექსიკონის“ მასალების მომზადებაში. ამიტომაც იყო, რომ კ.

## შვეიცარია

---

ჩხენკელის გარდაცვალების შემდეგ ციურიხის უნივერსიტეტის სელმძღვანელობამ ი. მარშევს მიანდო ლექსიკონის დასრულება და მისი მთლიანი რედაქტორება, აგრეთვე, მასწავლებლის საქმის გამგრძელებლად მიიწვია უნივერსიტეტში, სადაც **1964-1988** წლებში ი. მარშევი განაგებდა ქართული ენის კათედრას, ას-ნავლიდა ქართულ ენას, კითხულობდა ლექციებს ქართული ენის სტრუქტურისა და ლიტერატურის ისტორიის საკითხებზე. მადლიერებით უნდა აღინიშნოს, რომ ი. მარშევმა უდიდესი პასუ-ხისმგებლობით აღასრულა მინდობილი ორივე საქმე.

პენსიაზე გასვლის შემდეგაც (1988) არ შეუწყვეტია ღვან-ლმოსილ ქალბატონს შემოქმედებითი საქმიანობა. 1990 წლიდან დაიწყო ინტენსიური მუშაობა „გერმანულ-ქართული ლექსი-კონის“ შედგენაზე. ნაშრომი ძირითადად დაასრულა 1996 წელს, მაგრამ ნიგნის გამოცემამდე „ლექსიკონის დასახვერად და ქართული ნაწილის გასაკონტროლებლად იოლანდამ და ბერნის უნივერსიტეტის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ხელ-მძღვანელმა...“ ციურიხში კონსულტანტად ერთი წლით მიიწვი-ეს თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი ვ. იმნაიშვილი. ლექსიკონი დაიბეჭდა გერმანიაში 1999 წელს. გარდა ამისა, აღ-სანიშნავია მისი მონოგრაფია „ქართული ენის მორფემები“ (დაიბეჭდა ციურიხში 1986 წელს), გამოსაცემად მოამზადა ილი-ას „მგზავრის წერილებისა“ და „განადეგილის“, აკაკის „ბაში-აჩუკის“, ვაჟას მოთხოვნებისა და პოემების, ალ. ყაზბეგის „ხე-ვისბერი გოჩასა“ და „ელგუჯას“, მიხ. ჯავახიშვილის მოთხო-ბების... გერმანული თარგმანები.

დიდია ი. მარშევის ღვანლი ქართული კულტურის წინაშე. სწორედ ამ დამსახურებისათვის **2008** წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემი-ურმა საპქომ ი. მარშევს უნივერსიტეტის საპატიო დოქტო-რობა მიანიჭა. „ეს იყო მთელი ჩემი ცხოვრების ნატვრა,“ — ასე გამოხატა მან თავისი დიდი სიხარული, რადგან კიტა ჩხენკელის სამშობლოში ჩათვალეს, რომ იოლანდა მარშევმა თავისი თავ-დადებული მოღვაწეობით უცხოეთში ქართული ენისა და ლი-

ტერატურის პოპულარიზაციის საქმეში დიდი მოძღვრის (ასე უნიდებს იგი კიტას) მიერ დაწყებული საქმე ღირსეულად მიიყვანა ბოლომდე“ (ც. იმნაიშვილი).

ი. მარშევი ამჟამად ცხოვრობს ამერიკაში.

**რუთ ნოიკომი (1920-2001)** სწავლობდა ციურიხის უნივერსიტეტში ფრანგული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, დაეუფლა აგრეთვე გერმანულ ლიტერატურას, ხელოვნების ისტორიას. 1945 წელს დაამთავრა ციურიხის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი, იქვე დაიცვა დისერტაცია თემაზე „ბოროტი სულები ფრანგულ ტრაგედიაში“, მოიპოვა დოქტორის ხარისხი. 1945-1949 წლებში ციურიხში ასწავლიდა უცხოენებს, იმავდროულად წერდა რეცენზიებს.

1949 წლიდან რუთ ნოიკომი კ. ჩხენკელის მონაფე და მისი ერთ-ერთი აქტიური თანამშრომელია. ლეა ფლურისა და ი. მარშევის გვერდით მთელი ცხოვრების მანძილზე იყო ქართული კულტურის უანგარო მსახური.

გარდა იმისა, რომ რუთი, როგორც კ. ჩხენკელის ერთიანი გუნდის წევრი, უშუალოდ მონაწილეობდა „ქართული ენის შესავლისა“ და „ქართულ-გერმანული ლექსიკონის“ მომზადება-გამოცემაში, იგი განსაკუთრებულ ინტერესს ამჟღავნებდა მთარგმნელობითი საქმიანობისადმი, რაც კიტას ფხიზელ თვალს შეუმჩნეველი არ დარჩინია და **1957** წელს მასწავლებელ-მონაფის ერთობლივი შრომით ციურიხში გამოიცა „ვისრამიანის“ მოკლე რედაქციის გერმანული თარგმანი. ნიგნი ლამაზად არის გაფორმებული თვითონ რუთ ნოიკომის მიერ ძველ ქართულ მინიატურათა მოტივებზე შექმნილი ილუსტრაციებით (გ. შარაძე). ევროპელმა მკითხველმა მოიწონა ახალი თარგმანი და ქებით მოიხსენია მთარგმნელები. ნიგნზე დართულ მთარგმნელთა ბოლოსიტყვაობაში ვრცლადაა მოთხოვნილი ქართული ლიტერატურის განვითარების გზებზე, ქართველი ხალხის ისტორიისა და ქართველთა სამეცნიერო მუშაობის შესახებ სინასა და ათონის მონასტრებში, სადაც შეიქმნა ძველი ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ძეგლები.

## შვეიცარია

---

საგულისხმოა მთარგმნელთა მსჯელობა ქართული ენის საკითხებზეც. აქ მოხსენიებულია მ. ბროსეს, ჰ. შუხარდტის, ნ. მარის, ა. ჰარნაკის, გ. დეეტერსის, ჰ. ფოგტისა და სხვათა ნაშრომები, წარმოჩენილია მათი უდიდესი დამსახურება ქართული კულტურის ისტორიაში: „ისინი იკვლევდნენ ქართულ ენას იმ შეგნებით, რომ გაედოთ ხიდი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის და სარგებლობა მოეტანათ მსოფლიოსათვის.“ მთარგმნელები იმოწმებენ პეეტერსის საინტერესო ნაშრომს – „გამოკვლევები ორიენტაციისატურ ისტორიასა და ფილოლოგიაში“, სადაც ავტორი წერს: „ჩვენდა სამარცხვინოდ, დასავლეთის მეცნიერებს დიდი ხნის განმავლობაში ქართული კულტურა დავიწყებული ჰქონდათ.“

უცხოელმა მკითხველმა გულთბილად მიიღო რუთ ნოიკომის მიერ 1970 წელს გამოცემული კრებული „თანამედროვე ქართული მოთხოვნები“, რომელშიც წარმოდგენილია მ. ჯავახიშვილის „ყბაჩამ დაიგვიანა“, „ეშმაკის ქვა“, „ტყის კაცი“, ნ. ლორთქიფანიძის „თავსაფრიანი დედაკაცი“, კ. გამსახურდიას „ხოგაის მინდა“, ლ. გოთუას „ყინწვისის ანგელოზი“, გრ. ჩიქოვანის „დაბრუნება“ და სხვ.

ნიგნს ახლავს მთარგმნელის სტატია, რომელშიც მიმოხილულია ქართული ლიტერატურის ისტორია დასაბამიდან დღემდე. პარიზულმა ჟურნალმა „რევიუ დე კარტველოლოჟიმ“ მაღალი შეფასება მისცა აღნიშნულ თარგმანებს: „რუთ ნოიკომი არის მთარგმნელობითი ხელოვნების კარგი ოსტატი, შესანიშნავად ფლობს ქართულსა და გერმანულ ენებს, კარგად ესმის ქართველ მწერალთა ენა და სტილი... თარგმანი შესრულებულია უმაღლეს დონეზე, ძარღვიანი გერმანული ენით“ (ს. თურნავა).

განსაკუთრებული წარმატება მოიპოვა „ვეფხისტყაოსნის“ პროზაულმა თარგმანმა, რომელზედაც მუშაობა დაიწყეს კ. ჩხენკელმა და ნოიკომმა „ვისრამიანის“ გამოცემის შემდეგ, მაგრამ მასწავლებლის გარდაცვალების გამო ეს საქმე რუთმა დროულად ვეღარ დასრულა, თუმცა წლების მანძილზე უდიდესი ინტერესითა და პასუხისმგებლობით აგრძელებდა მუშაობას. გან-

საკუთრებით ფასეული აღმოჩნდა მისთვის ვიქტორ ნოზაძის კონსულტაციები პოემის ტექსტის გაგებისა და თარგმანის დახვეწის თვალსაზრისით.

1974 წელს ციურიხში დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულენოვანი ახალი პროზაული თარგმანი. წიგნი იღუსტრირებულია XVII საუკუნის ქართველი მხატვრისა და კალიგრაფის – მამუკა თავქარაშვილის მინიატურებით.

რ. ნოიკომი თარგმანის ბოლოსიტყვაობაში ვრცლად საუბრობს პოემის ზოგადსაკაცობრიო ხასიათზე, მის მხატვრულ მხარეზე: „ამ ეროვნულ ეპოსს საქართველოსათვის ისეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ჰომეროსის თხზულებებს საბერძნეთისათვის. ეს იყო ქართული ლიტერატურის განვითარების უმაღლესი მწვერვალი. ეს პოემა არის ქართული ლიტერატურის სიმდიდრის დადასტურება. ეს კულტურა ძველი კოლხეთიდან მოდის და სათავეს იღებს ანტიკურ ხანაში.“

შესანიშნავად გაფორმებულ „ვეფხისტყაოსნის“ ნოიკომისეულ თარგმანს, რომელიც, სპეციალისტების აზრით, ძალიან ახლოსაა დედანთან, ნილად ხვდა საყოველთაო მოწონება და აღიარება. უცხოეთის პრესაში დაიბეჭდა არაერთი რეცენზია-გამოხმაურება. „ქართული ენის უაღრესად კარგმა ცოდნამ საშუალება მისცა რუთ ნოიკომს იშვიათი წარმატებით ეთარგმნა პოემის აფორიზმებიც“ (ს. თურნავა).

რ. ნოიკომი სისტემატურად აქვეყნებდა წერილებს საქართველოსა და ქართული ლიტერატურის შესახებ გაზეთში „ნოიკიურიხერ ცაიტუნგ“. მაგალითად, 1981 წლის დასასრულს დაიბეჭდა მისი ვრცელი სტატია „ქართული ლიტერატურა“. მასში ავტორი მეტად საინტერესოდ მოუთხრობდა გერმანულენოვან სამყაროს ქართული ლიტერატურის განვითარების გზებზე V საუკუნიდან მოყოლებული XX საუკუნის 70-იან წლებამდე. საგულისხმოა, რომ ამ გაზეთის მეორე გვერდზე წარმოდგენილია ილიას, ვაჟას, გ. ლეონიძის, გ. ტაბიძის ზოგიერთი ლექსის რუთისეული თარგმანები. ერთი წლის შემდეგ, ამავე გაზეთის (1982) მეორე ლიტერატურულ დამატებაში დაიბეჭდა რ. ნოიკო-

## შვეიცარია

---

მისა და ო. მარშევის ერთობლივი ნაშრომი „აკ. წერეთლის ცხოვრება და შემოქმედება“ აკაკის „ჩემი თავგადასავლიდან“ გერმანულად თარგმნილი ნაწყვეტებითურთ, 1986 წლის 28 ნოემბერს – კი სტატია „ი. ჭავჭავაძე – საქართველოს დიდი მენტორი“. აქვეა წარმოდგენილი ნაწყვეტები „განდეგილიდან“ და „აჩრდილიდან“. ავტორები ვრცლად მსჯელობები პოეტის ცხოვრება-შემოქმედებაზე. მათი შეფასებით, „ი. ჭავჭავაძე იყო პიროვნება, რომელსაც ღვთიური გამოსხივება ჰქონდა. ის მონაწილეობდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში და ყველაფერში სულიერ აღმატებულებას ამჟღავნებდა... ილია იქცა მაშინდელ საქართველოში ყველაფერის მამოძრავებელ ძალად.“

**1990** წელს ციურიხის გამომცემლობა „მანასემ“ დასტამბა გერმანულ ენაზე თარგმნილი **აკ. წერეთლის „ჩემი თავგადასავალი“**. მთარგმნელები – რ. ნოიკომი და ო. მარშევი — წიგნის ბოლოსიტყვაობაში საქმის ცოდნით, მაღალ პროფესიულ დონეზე ახასიათებენ დიდი ქართველი პოეტის აკ. წერეთლის შემოქმედებას, ისინი „საქართველოს ბულბულს“ XX საუკუნის უდიდეს ორფეოსად მიიჩნევენ.

ნოიკომი სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად ემსახურა ქართულ კულტურას როგორც კ. ჩხენკველთან თანაშემწეობით, ისე საინტერესო გამოკვლევებითა და მშვენიერი თარგმანებით. „რუთ ნოიკომის სიკვდილით დაირღვა ის დიდი სამეული, რომელიც შორეულ შვეიცარიასა და მის მიმდებარე ქვეყნებშიც ქართულ სიტყვას, ქართულ მწერლობას, ზოგადად, ქართულ კულტურას ედგა ჭირისულად“ (ვ. იმნაიშვილი).

**ლეა ფლური (1916-2009)** ციურიხის ქართველოლოგიური სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. იგი საფუძვლიანად ფლობდა უცხო ენებს: ფრანგულს, იტალიურს, ინგლისურს. ერთხანს მუშაობდა ციურიხში სხვადასხვა ბიუროში მდივნად.

ლ. ფლური ქართული ენით დაინტერესდა გასული საუკუნის 40-იან წლებში, კერძოდ, **1947** წელს ციურიხის უნივერსიტეტში დაინყო ქართული ენის შესწავლა კიტა ჩხენკველთან. სწო-

რედ ამ დროიდან დაუკავშირდა მისი საქმიანობა ქართველოლო-  
გიას. იგი გახდა კ. ჩხერის საუკეთესო მოწაფე და ერთგული  
თანაშემწე განსაკუთრებით სასტამბო მეურნეობის მოწესრიგე-  
ბასა და წიგნის აწყობაში. ცნობილია, რომ „ქართული ენის შესავ-  
ლის“ გამოსაცემი ხარჯების შესამცირებლად ლ. ფლურიმ ერთი  
ამერიკელი მეგობრის დახმარებით სპეციალურად შეისწავლა  
პოლიგრაფია და 1953 წლიდან შეუდგა წიგნის აწყობას.

ლ. ფლური მასწავლებლის გარდაცვალების შემდეგ (კი-  
ტას ანდერძის თანახმად) გამომცემლობა „ამირანის“ დირექ-  
ტორი იყო, მრავალი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა საგა-  
მომცემლო საქმიანობას: ბეჭდავდა ქართველი მეცნიერებისა  
და მწერლების ნაშრომების გერმანულ თარგმანებს და ავრცე-  
ლებდა გერმანულენოვან სამყაროში.

ციურის ქართველოლოგებზე საუბარი გვინდა დავამ-  
თავროთ ქართველი ემიგრანტის – მიხ. ქავთარაძის – გულთბი-  
ლი სიტყვებით: „ქართული კულტურა სრულიად დავალებულია  
ამ სამი შვეიცარიელი მანდილოსნის მიმართ, რომელთაც უნმი-  
დესი კეთილშობილებით და, ზედმეტი არ არის ვთქვათ, გმირუ-  
ლი ხელგამოღებით, ყოველგვარი ნივთიერი დაინტერესების გა-  
რეშე, მათი მასწავლებლის – კ. ჩხერის მძიმე ტვირთი მისი  
გარდაცვალების შემდეგ თვითონ იტვირთეს და არაჩვეულებ-  
რივი მხნეობით ბოლომდე მიიტანეს. ი. მარშევის, ლ. ფლურის,  
დოქტ. რ. ნოიკომის – ჩვენი ალტაცებული და მადლობით ალ-  
სავსე სალაში.“

\*\*\*

... ლირსსაცნობია, რომ შვეიცარიაში ქართველოლოგიუ-  
რი საქმიანობის მდიდარი ტრადიცია დღესაც გრძელდება —  
ბევრი ახალგაზრდა სწავლობს ქართულ ენას. ისინი ინტერესით  
ეცნობიან და მეცნიერულადაც იკვლევენ ჩვენი კულტურის  
წარსულსა და აწმყოს.

## ნორვეგია

**პანს ფოდტი** (1903-1986) — ცნობილი ნორვეგიელი ქართველობოგი — გახლდათ მეცნიერული კვლევის ნორვეგიის საბჭოს წევრიცა და პრეზიდენტიც, საენათმეცნიერო საზოგადოების პრეზიდენტი, ოსლოს უნივერსიტეტისა და ცივილიზაციის შედარებითი კვლევის ოსლოს ინსტიტუტის, ნორვეგიის ლინგვისტიკის ინსტიტუტის წევრი; პარიზისა და ამერიკის საენათმეცნიერო საზოგადოებების საპატიო წევრი, დანის სამეცო აკადემიის წევრი, ჟურნალ „ბედი ქართლისას“ რედაკტორი.

ჰ. ფოდტი 1921 წელს მიიღო ბაკალავრის ხარისხი. 1928 წელს დაამთავრა ოსლოს უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, შეისწავლა რომანული ენები (ფრანგული, ლათინური, ბერძნული) და შედარებითი ინდოევროპული ენათმეცნიერება. 1924-1925 წლებში პარიზში ისმენდა ა. მეიეს, უ. ვანდრიესის, უ. მარუზოს ლექციებს. აქვე დაეუფლა ინდოევროპული ენების შედარებით გრამატიკას. იგი პარიზშივე დაინტერესდა კავკასიური ენებით და კიდეც დაიწყო ჯერ ძველი და ახალი სომხურის, შემდეგ ქართულის შესწავლა იქ მცხოვრები ქართველების დამარებით. მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ სტრუქტურულად სრულიად განსხვავებული ენის სრულყოფილი შესწავლა დამოუკიდებლად ადვილი არ იქნებოდა.

1932-1934 წლებში ჰ. ფოდტი საქართველოში ცხოვრობდა. ისმენდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ჩვენს ქვეყანაში გატარებული პერიოდი ნორვეგიელი მკვლევრისათვის მეტად ნაყოფიერი გამოდგა: ქართული ენის ისტორიას აცნობდა ა. შანიძე, ახალ ქართულს ასწავლიდა ი. აბულაძე, მეგრულში კონსულტაციას უწევდა მ. ხუბუა, სვანურში ეხმარებოდა ვ. თოფურია (პანსს თან ჰქონია ერთი პატარა საბეჭდი მანქანა, იწერდა საუბრებს და დროდადრო იმეორებდა...). იგი სალიტერატურო ქართულის გარდა სწავლობდა ამ ენის დია-

ლექტებსაც, იმავდროულად დაინტერესდა სხვა კავკასიური ენებითაც (უბისურით, ოსურით, ბასკურით...). ჩანს, ჰ. ფოგტი ისე კარგად გაერკვა ქართული ენისა და მისი დიალექტების ენობრივ სისტემაში, მის თავისებურებებში, რომ წერდა ცალკეულ გამოკვლევებს, რომლებშიც წარმოდგენილი იყო საინტერესო დაკვირვებანი და იგრძნობოდა ავტორის ფართო ზოგადენათმეცნიერული განათლება, ზუსტი ენობრივი აღლო.

1936 წელს ოსლოს უნივერსიტეტში ჰ. ფოგტს მიანიჭეს ლინგვისტის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი ნაშრომისათვის „ახალი ქართული ენის გრამატიკის ნარკვევები“.

1936-1938 წლებში სწავლობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში ზოგად ენათმეცნიერებასა და ამერიკელი ინდიელების ენას, ე. სეპირთან ეუფლებოდა აგრეთვე ანთროპოლოგიას. 1941 წლიდან ჰ. ფოგტმა ოსლოს უნივერსიტეტში კვლავ განაგრძო ქართულ ენაზე მუშაობა, სისტემატურად სრულყოფდა თეორიულსა თუ პრაქტიკულ ცოდნას. 1941-1943 წლებში ოსლოს უნივერსიტეტში კითხულობდა ზოგადი ენათმეცნიერებისა და ძველი ფრანგულის კურსებს, 1946-1959 წლებში ასწავლიდა ზოგად ენათმეცნიერებას, 1960-1973 წლებში კი – ქართულს, სომხურს, უბისურს.

თანამედროვეთა აღიარებით, ფოგტი დაჯილდოებული იყო ენების შესწავლის საოცარი ნიჭით. მან, როგორც პოლიგლოტენათმეცნიერმა, მარტო სამეტყველო ენა კი არ იცოდა, არამედ თითოეულს იკვლევდა მეცნიერულადაც. ჰ. ფოგტი ისეთივე ავტორიტეტული ლინგვისტი იყო, როგორიც მისი თანამედროვე უცხოელი ფილოლოგები: რ. ბლეიკი, ჟ. გარიტი, დ. ლენგი...

ჰ. ფოგტი გახლდათ მრავალმხრივი მოღვაწეც: 1958-1963 წლებში იყო ოსლოს უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, 1964-1969 წლებში – ამ უნივერსიტეტის რექტორი.

განუზომელია ნორვეგიელი მეცნიერის ქართველოლოგიური ნაშრომების მნიშვნელობა. იგი თავისუფლად ერკვეოდა ქართული ენის რთულ სტრუქტურაში, ზედმიწევნით ფლობდა როგორც ძველ, ისე ახალ ქართულსა და კარგად იცნობდა მრა-

## **ნორვეგია**

---

ვალსაუკუნოვანი მწერლობის ძეგლებს, ცოცხალ დიალექტებს. გარდა ამისა, ქართულ ენას ყოველთვის იკვლევდა მეგრულ-ჭანურსა და სვანურ ენებთან კავშირში, ამიტომაც ითვლება სანდოდ და ყურადსალებად მისი კვლევის შედეგები.

ჰ. ფოგტის ქართველოლოგიური ნაშრომებია: „ხმოვან-თმონაცვლეობის შესახებ ქართულში“ (1939), „ბრუნვათა სისტემა ძველ ქართულში“ (1947), „ზმნის სუფიქსები ძველ ქართულში“ (1947), „ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა“ (1958), „სომხური და ქართული“ (1961), „ქართული ენის ისტორიის საკითხები“ (1964), „ნაცვალსახელების რეფლექსებზე ქართულში“ (1972), „ქართული ეტიმოლოგია“ და სხვები. ზემოჩამოთვლილ ნაშრომთა ფასეულობის ნათელსაყოფად დავი-მოწმებთ სპეციალისტთა შეფასებებს: „ჰ. ფოგტის ნაშრომი „ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა“ ბრწყინვალე გა-მოკვლევაა, რომლიდანაც მკითხველს შეუძლია სრული წარ-მოდგენა იქონიოს თანხმოვანთა დისტრიბუციის შესახებ“ (გ. წერეთელი); „ჰანს ფოგტის ლინგვისტური კონცეფცია შეიძლება დავახასიათოთ როგორც გონივრული და ჯანსაღი სინთეზი კლასიკური ენათმეცნიერების ტრადიციებისა და თანამედროვე სტრუქტურული ლინგვისტიკის პრინციპებისა და მეთოდებისა; მან წამოაყენა და თავისი პოზიციიდან დაასაბუთა ქართული და ქართველური ენების სინქრონიისა და დიაქრონიის არაერთი ფუნდამენტური საკითხი“ (გ. მაჭავარიანი); „საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის თვალსაჩინო დამსახურება, რომელიც მიუძღვის ნორვეგიელ ჰ. ფოგტის ქართული ენის სტრუქტურის შესწავლა-ში“ (გ. თოფურია)...

ფოგტის მდიდარი ქართველოლოგიური მემკვიდრეობი-დან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ქართული ენის გრამა-ტიკა“, რომელიც ფრანგულ ენაზე გამოქვეყნდა 1971 წელს. ესაა მნიშვნელოვნად გადამუშავებული და გაღრმავებული ვა-რიანტი მისი სადოქტორო დისერტაციისა (წიგნი გამოსცა ცივი-ლიზაციის შედარებითი კვლევის ოსლოს ინსტიტუტმა საკუთა-რო ხარჯით). ავტორმა წიგნი მიუძღვნა თავისი მასწავლებლისა

და ერთგული მეგობრის ი. აბულაძის ხსოვნას. შესავალში ჰ. ფოგტი მადლობას უხდის ყველას, ვინც დაეხმარა მუშაობაში, განსაკუთრებით კ. სალიას, რომელსაც ნაშრომი დედანში წაუკითხავს და სასარგებლო შენიშვნებიც მიუცია. „მე ვისარგებლე ა. შანიძის ნაშრომებით, – განაგრძობს ავტორი, – ამ მეცნიერის წინაშე დიდად დავალებული ვარ. თბილისში ჩემმა მეგობრებმა თუ კოლეგებმა, მოხუცებმა თუ ახალგაზრდებმა როგორც უნივერსიტეტში, ისე აკადემიაში, ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ მესწავლა, გამოვსულიყავი ლინგვისტი“.

მკვლევარ-ლინგვისტთა აზრით, ამ წიგნში ქართული გრა-მატიკის ბევრი მოვლენა ახლებურად არის გააზრებული, შესაბამისად, მიღებული დასკვნებიც უთუოდ გასათვალისწინებელია. „ქართული ენის გრამატიკა“ დაწერილია საკვლევი ობიექტის საფუძვლიანი ცოდნით, ამიტომაც მოიპოვა მან დიდი პოპულარობა როგორც ჩევნში, ისე საზღვარგარეთის ლინგვისტურ წრეებში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ წიგნმა გზა გაუკვალა ქართული ენის მეცნიერულ შესწავლას უცხოეთში, დღესაც ანგარიშგასაწევია ქართველური ენების ყველა სპეციალისტისათვის. „ჰ. ფოგტის „ახალი ქართული ენის გრამატიკის“ ტოლფასი არც ერთ უცხოელს არ შეუქმნია“ (ი. მეგრელიძე).

ჰ. ფოგტის ნაშრომები რამდენიმე ძირითადი პრობლემის გარშემო იყრის თავს. ესენია: 1) ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი კვლევა; 2) ქართულ და ქართველურ ენათა ლექსიკის ისტორიისა და ეტიმოლოგიის საკითხები; 3) ქართულ და სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა გენეტიკური ურთიერთობა, მათი კონტაქტები არამონათესავე ენებთან და სხვ.

ჰ. ფოგტი გახლდათ ავრეთვე ცნობილი კავკასიოლოგი, არმენოლოგი. საყურადღებო შრომები აქვს ოსური და სომხური ენების შესახებაც. სრულიად განსაკუთრებულია მისი ღვანლი უბისური ენის შესწავლაში. მან თურქეთში იმოგზაურა 2-ჯერ (1959 და 1963 წლებში), შეაგროვა მასალები, დაამუშავა და ფრანგ მეცნიერ ჟ. დიუმეზილთან ერთად აღადგინა გაქრობის

## **ნორვეგია**

---

გზაზე დამდგარი უბისური ენა. პ. ფოგტმა 1963 წელს ოსლოში ფრანგულ ენაზე გამოსცა უბისური ენის ლექსიკონი, რომელ-საც ერთვის შესავალი (ფონოლოგიური გამოკვლევა), ფრან-გულ-უბისური ინდექსი და უბისური ტექსტები (ფრანგული თარგმანითურთ). ესაა ფასდაუდებელი ნაშრომი იბერიულ-კავ-კასიურ ენათმეცნიერებაში.

იბერიულ-კავკასიურ ენათა კვლევისას პ. ფოგტი ბასკუ-რი ენით დაინტერესდა. ბასკოლოგიის პრობლემებს მან რამდე-ნიმე გამოკვლევა უძღვნა. იგი სწორედ იბერიულ-კავკასიურ ენათა მასალებს მიმართავდა ზოგადენათმეცნიერული პრობ-ლემატიკის კვლევისას.

ნორვეგიელი ქართველოლოგი სისტემატურად ადევნებდა თვალს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურას, აქტიურად ეხმა-ურებოდა ამ სფეროში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებს, სა-ინტერესო ფაქტებს, წერდა რეცენზიებს და ბეჭდავდა უცხოურ ჟურნალ-გაზეთებში, ნაყოფიერად თანამშრომლობდა ქართვე-ლოლოგიურ ჟურნალში – „ბედი ქართლისა“.

პ. ფოგტი გულწრფელი სიხარულით შეხვდა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულის გამოსვლას და საყურადღებო რეცენზიაც უძღვნა: „ეს ლექსიკონი ფრიად მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერს ჩვენი დროის ერთენოვან ლექ-სიკონებს შორის. ეს არის ძეგლი, აღმართული ენისა და მისი ძველი, ათასეუთასაწლოვანი ლიტერატურის სადიდებლად, და საამაყოა მათთვის, ვინც ჩაიფიქრა ეს სასიქადულო საქმე და ვინც განახორციელა იგი.“

პ. ფოგტი მონაწილეობდა 1966 წელს საქართველოში გა-მართულ შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისადმი მიძ-ღვნილ საიუბილეო დღეებში. იგი ქართულად მიესალმა საზოგა-დოებას და გამოხატა თავისი კეთილი განწყობა „ვეფხისტყაოს-ნისა“ და მისი ავტორისადმი, დაახასიათა ამ უკვდავი პოემის მნიშვნელობა მსოფლიო პოეზიის ისტორიაში.

**1966** წელს პ. ფოგტი ქართული ენის შესწავლაში თვალსა-ჩინო დამსახურებისათვის აირჩიეს თბილისის სახელმწიფო

**უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად.** 28 ოქტომბერს, დიპლომის გადაცემისას, სტუმარმა სამადლობელი სიტყვა წარმოთქვა მშვენიერი ქართულით, მოკლედ ისაუბრა ქართული ენათმეცნიერების განვითარებაზე, ამ ენის სადღეისო პრობლემებზე, მოკრძალებით აღნიშნა ქართველოლოგიაში მისი „მცირე“ დაწყლის შესახებაც: „ოცდაათი წლის წინათ, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, მე თითქმის ერთადერთი უცხოელი ვიყავი, რომელიც დაინტერესებული იყო ქართული ენით. ახლა ასეთები ბევრნი არიან. ქართული ენა, მისი სტრუქტურა და ისტორია, მისი ურთიერთობა და კავშირი სხვა კავასიურ ენებთან, მცირე აზის მკვდარ ენებთან, ინდოევროპული ოჯახის ენებთან — ეს არის საკითხები, რომელიც დღეს საერთაშორისო ზოგად და შედარებით ენათმეცნიერებას აინტერესებს. ეს განვითარება ყველას გვიხარია. ეს შედეგია აქაური მეცნიერების შესანიშნავი მუშაობისა. დიდად მოხარული ვარ, ქართული კულტურის პროპაგანდის საქმეში მცირედი წვლილი რომ მეც მიმიძღვის. ყოველთვის სიამოვნებით ვმუშაობდი ქართველოლოგიაში. რაც მე ამ დარგში შემიქმნია, ძალიან ცოტაა. ჩემი შრომები ქართველი ხალხისადმი სიყვარულის გამოხატულებაა.“

ჰანს ფოგტი გამორჩეული იყო თავისი პიროვნული თვისებებითაც. თავმდაბალ, სათნო, გულწრფელ და მეცნიერებაზე უსაზღვროდ შეყვარებულ უცხოელ სტუმარს საქართველო ყოველთვის გულთბილად და გულღიად მასპინძლობდა. კოლეგების გარდა, ჩვენში მას ჰყავდა უამრავი ნაცნობ-მეგობარი – მწერლები, პოეტები, მხატვრები, მსახიობები, ლიტერატორები, მეცნიერ-მკვლევრები და ა.შ.: მ. ჯავახიშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, ი. გრიშაშვილი, ა. განერელია, ბ. ულენტი, ს. ჩიქოვანი, ლ. გუდიაშვილი, დ. კაკაბაძე, ე. ახვლედიანი, ქ. მალალაშვილი, ვ. ანჯაფარიძე, ს. ზაქარიაძე, თ. ჯავახიშვილი, ს. თაყაიშვილი... ხანგრძლივი მეგობრობა აკავშირებდა ი. მეგრელიძესთან, ჰქონდათ სისტემატური მიმოწერა. უცხოელი სტუმარი ინტერესით აკვირდებოდა ქართველთა ზნე-ჩვეულებებს. იოსებ გრიშვაშვილის მეშვეობით ახლოს გაიცნო ძველი თბილისი, ყარაჩო-

## **ნორვეგია**

---

ღელები, ნავით უცურავიათ მტკვარზეც... არაერთხელ მოინა-სულა ტაძრები და სხვა ისტორიული ადგილები, თეატრშიც ხში-რად დადიოდა, სულ ხალხში ტრიალებდა და უშუალოდ იწერდა ცოცხალი მეტყველების ნიმუშებს. სამეგრელოსა და სვანეთში მოგზაურობის დროს ესაუბრებოდა ადგილობრივ გლეხებს... ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ მან შედარებით ადვილად შეძლო როგორც სალაპარაკო ქართულის დაუფლება, ისე მისი საფუძვლიანი კვლევაც.

საქართველო და მისი ხალხი ყოველთვის კეთილმოსაგონ-რად რჩებოდა სახელგანთქმული ქართველოლოგის ცხოვრებაში. აკი თავადაც ხშირად იმეორებდა თურმე: დიდხანს ვიცხოვრე საფ-რანგეთში, გულითადი მეგობარი ვერ გავიჩინე. შედარებით ცოტა ხანს ვიცხოვრე საქართველოში, მეგობრებით გავმდიდრდი, რაც ქართველი ხალხის დიდბუნებოვნებას უნდა მიეწეროსო.

ქართველი ხალხი მუდამ პატივისცემითა და მადლიერე-ბით მოიხსენიებს ჰანს ფოგტის სახელს ქართველოლოგიაში გა-წეული უდიდესი ღვანლისათვის.

**Zhuzhuna Peikrishvili  
Iveta Vashakidze**

## **Materials for the History of International Kartvelian Studies**

### **Summary**

Cultural relationships between Georgia and foreign countries take precedence over hundreds of years. Descriptive records about Georgia stem from the antique epoch entailing the works of Greek and Roman historians and writings of European travelers of the following period. However, Kartvelian (Georgian) Studies in Europe started since the 17<sup>th</sup>-18<sup>th</sup> centuries, when foreign scholars launched special investigations of the origin of the Georgian language and writing, of specific issues of early Christian and later literature... To that extent, the Georgian books, printed in Italy, played a crucial role in bringing the nature and structural peculiarities of the Georgian language to public notice of Europeans... Gradually, Kartvelian Studies became a new and interesting concern for foreign scholars.

Since the 19<sup>th</sup> century, Kartvelian Studies became more diverse. Centers for Kartvelian Studies were established at many universities in European countries, leading to the growth of the number of Kartvelologists, to the emergence of interesting works... Georgian culture occupied a stable position in the world's scholarly thought.

Rather voluminous data concerning international Kartvelian Studies have been accumulated to date, which can be transformed into a history of international Kartvelian Studies. It should provide a chronological description of developments of Kartvelian Studies in various countries. This is the principal focus of the present book *Materials for the History of International Kartvelian Studies*. The book entails productive activities by Kartvelologists from 11 countries (Italy, Germany, France, England, Hungary, Poland, Czechoslovakia, Belgium, USA, Switzerland, and Norway). It also reflects the great contribution of Georgian scholars in establishing of the present-day level of international Kartvelian Studies.

## ლიტერატურა

### იტალია

გიორგაძე ბ. – ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელის წერილები საქართველოზე, თბ., 1964.

გიორგაძე ბ. – დონ პიეტრო ავიტაბილეს ცნობები საქართველოზე, თბ., 1977.

გიორგაძე ბ. — დონ კრისტოფორო დე კასტელი – ცნობები და აღბომი საქართველოს შესახებ, თბ., 1977.

გოგუაძე ე. – უახლესი ცნობები რაფიელ ინგილოს შესახებ: „სახ. განათლება“, 1988, 1.02.

თამარაშვილი მ. – ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902; II გამოცემა 2011.

თამარაშვილი მ. – პასუხად სომხის მწერლებს... ტფ., 1904.

თამარაშვილი მ. – ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995.

თურნავა ს. – საზღვარგარეთული ქართველობობია, თბ., 1978.

თურნავა ს. — მეგობრობა გზად და ხიდად: „ლიტ. საქ.“, 1988, 4.03.

თურნავა ს. — XX საუკუნის საზღვარგარეთული ქართველობობია (წიგნი პირველი), თბ., 1999.

ლომსაძე შ. – მ. თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი, თბ., 1984.

მაგაროტო ლ., ტაბალუა ი. – იტალიელი ავტორის მიერ შედგენილი ქართული ენის გრამატიკა: წელიწეული, 1979, №6.

ტაბალუა ი. , მაგაროტო ლ. - იტალიელი ავტორის მიერ შედგენილი ქართული ენის გრამატიკა: წელიწეული, 1979, №6.

ტაბალუა ი. – დიდებული საქმე იტალიაში: „თბილისი“, 1990, 10.05.

ტაბალუა ი. — საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, თბ., 1987.

ტაბალუა ი. – პიეტრო დელა ვალე – საქართველოს მეგობარი: „კომუნისტი“, 1987, 23.08.

ტაბალუა ი. – უცნაური კაცი (მ. თარხნიშვილი): „თბილისი“, 1990, 11.02.

ტაბალუა ი. – თეატრინელ მისიონერთა სკოლა ოზურგეთში 355 წლის წინათ: „განათლება“, 1993, 30.07.

ტორეზანი ს. – გოლდონი ქართულად: „თბილისი“, 1989, 5.07.

უთურგაძე თ. – ქართული ენის შესწავლის ისტორია, თბ., 1999.

ფეირიშვილი ჟ. – ქართველობოგიური კვლევა უცხოეთში, თბ., 1996.

ფეიქრიშვილი ჟ. – ქართული ენის გრამატიკა იტალიურად (ლ. მანტოვანი): „ბურჯი ეროვნებისა“, 1997, №8–9.

ფეიქრიშვილი ჟ. – პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი (გამოცემის ისტორიისთვის): ენათმეცნიერული ძიებანი, თბ., 2009.

ფეიქრიშვილი ჟ. – ფიქრები მიხეილ თამარაშვილზე, თბ., 2012.

ფოცხიშვილი ალ. – „რა მოხდა?“: „წიგნის სამყარო“, 1988, 11.05.

ფოცხიშვილი ალ. – ქართული ენა, თბ., 2000.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.

ქართული ენა. ენციკლოპედია, თბ., 2008.

ღლონტი ალ. – ქართული ლექსიკოგრაფის საკითხები, თბ., 1983.

შამელაშვილი რ. – პირველი ნაბეჭდი ქართული წიგნი: „ქუთაისი“, 1988, 21.01.

შარაძე გ. – ძვირფასი განძი ჩვენი წარსულისა: „განთიადი“, 1978, №5.

შარაძე გ. – შალვა ბერიძე: „სახალხო განათლება“, 1989, 18.01.

შარაძე გ. – მიხეილ თარხნიშვილი: „სახალხო განათლება“, 1990, 3.01.

ჩიქობავა არნ., ვათერშვილი ჯ. – პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები, თბ., 1983.

ჭუმბურიძე თ. – მ. თარხნიშვილი — ქართველოლოგი: „მაცნე“, 1989, №2.

ხუბულური ლ. – საინტერესო აღმოჩენა: „კომუნისტი“, 1957, 6.07.

### გერმანია

აპაშმაძე გ. – ქართული ზღაპრები გერმანულად: „სამშობლო“, 1975, №6.

ბარათელი ც. – ქართული ზღაპრები გერმანულად: „კომუნისტი“, 1981, 13.02.

ბარამიძე ალ. – ქართული ლიტერატურის ისტორია გერმანულ ენაზე: „ლიტ. საქ.“, 1965, 13.04.

ბეჭედიშვილი ალ. – ილია ჭავჭავაძე და პუგო შუხარდტი: „მნათობი“, 1958, №1.

გელოვანი აკ. – მადლის სიკეთე (ნ. ჯანელიძე), „თბილისი“, 1989, 27.03.

გელოვანი აკ. — იტცეპოელი რობინზონი (ნ. ჯანელიძე): „ერი“, 1991, 27.03.

გელოვანი აკ. – ვეფხისტყაოსნის პროზაული თარგმანი: „წიგნის სამყარო“, 1984, 23.05.

ზექალაშვილი რ. – საზღვარგარეთის ქართველოლოგიას ეძღვნება: „ქუთაისი“, 1988, 16.12.

- თოფურია გ., იმნაიშვილი ვ. – კარლ ჰორსტ შმიდტი: „ბურჯი ეროვნებისა“, 2000, №5.
- თურნავა ს. – მსოფლიოს ქართველოლოგიური ცენტრები: „დროშა“, 1988, №2.
- თურნავა ს. – „ვეფხისტყაოსანი“ ბავშვებისათვის გერმანულად: „წიგნის სამყარო“, 1989, 23.09.
- თურნავა ს. – საზღვარგარეთული ქართველოლოგია, თბ., 1978.
- თურნავა ს. – XX საუკუნის საზღვარგარეთული ქართველოლოგია, თბ., 1999.
- იმნაიშვილი ივ. – იულიუს ასფალგი: „ლიტ. საქ.“, 1968, 19.07.
- იმნაიშვილი ივ. – იულიუს ასფალგი: „სამშობლო“, 1971, 10.09.
- იმნაიშვილი ვ. თოფურია გ. – კარლ ჰორსტ შმიდტი: „ბურჯი ეროვნებისა“, 2000, №5.
- იმნაიშვილი ვ. – არდავინწყება მოყვრისა, თბ., 2006.
- კაკაბაძე ნ. – ნიკოლოზ ჯანელიძე: „ქართული ფილმი“, 1990, 17.01.
- კაკაბაძე ნ. – ნიკოლოზ ჯანელიძე (ნეკროლოგი): „სამშობლო“, 1993, №4 (აპრილ-მაისი).
- პეჩი გ. – დაბადების 70 წლისთავი: წელიწდეული (იკე), 1980, ტ.7.
- პეჩი გ. იმნაიშვილი ვ ქართველი ერის სულიერი საუნჯე: გაზ. „თსუს უნივერსიტეტი“, 1968, 15.11.
- რევიშვილი შ. – ქალბატონი გერტრუდა პეჩი: „სამშობლო“, 1970, 25.09.
- რევიშვილი შ. – ჰუგო ჰუპერტი: „სამშობლო“, 1971, 26.03.
- რევიშვილი შ. – გ. დეეტერსი და ქართული ლიტერატურა: „უცხო ენები სკოლაში“, 1973, №3.
- სარჯველაძე ზ. – ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.
- ფეიქრიშვილი ჟ. – ზოგადი ენათმეცნიერებისა და ქართველოლოგიის საკითხები, თბ., 2006.
- ქართული ლიტერატურა ევროპულ მეცნიერებაში (ე. ხინთიბიძის რედ.), თბილისი, ქართველოლოგი, 2003.
- ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.
- ქართული ენა. ენციკლოპედია, თბ., 2008.
- შამელაშვილი რ. – უნიკალური წიგნი და მისი ავტორი (მეცნიერება): „ქუთაისი“, 1974, 21.09.
- შამელაშვილი რ., ზექალაშვილი რ. – ნიკოლოზ ჯანელიძე: „სამშობლო“, 1991, №11-12.

- შამელაშვილი რ., ზექალაშვილი რ. – სად წაიყვანს სადაურსა: „სამშობლო“, 1988, №17.
- შანიძე ა. – ჰუგო შუხართი: „კომუნისტი“, 1927, 08.05.
- შანიძე მ. – მოლიტორი (1903-1978): „მრავალთავი“, 1980, ტ.7.
- შარაძე გ. – შორეული ცის ქვეშ, თბ., 1991.
- შმიდტი კ.პ. – ასპექტი და დრო ძველ ქართულში: წელიწდეული (იკე), 1985, №12.
- შმიდტი კ.პ. – როგორც ძველ სახლში: „თბილისი“, 1987, 13.09.
- შმიდტი კ.პ. – უნივერსიტეტის მე-8 საპატიო დოქტორი: „სამშობლო“, 1988, ოქტომბერი.
- ჩიტაია გ. – დოქტორ რ. ბლაიხშტაინერის შრომების მიმოხილვა: თსუ შრომები, ტ. 227, 1982.
- ჩიქობავა არნ. – იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965.
- ჭიჭინაძე ს. – ქართველოლოგი რიპარდ მეკელაინი: „კომუნისტი“, 1867, 25.08.
- ჭუმბურიძე თ. — იულიუს ასფალგი: „ბურჯი ეროვნებისა“, 1999, №1.
- ხოტივარი ა. – კვალი ნათელი. რ. მეკელაინი – ქართველოლოგი: „წიგნის სამყარო“, 1984, №19.
- ჯინორია ოთ. – ბუდენზიგი რუსთაველის ქვეყანაში: „ლიტ. საქ.“, 1972, 09.06.
- ჰუპერტი ჰ. – ინტერვიუ პოეტან: „კომუნისტი“, 1966, 2.10.

### საფრანგეთი

- ალექსიძე ალ. – გესალმებით და გემშვიდობებით, ბატონო კალისტრატე: „კომუნისტი“, 1988, 22.02.
- ასფალგი ი., გარიტი ჟ., ლაფონი რ. – ლვანლმოსილი: „ლიტ. საქ.“, 1971, 30.07.
- ბარამიძე ალ. – მარი ბროსე – ქართული მწერლობის მკვლევარი: „მაცნე“ (ერისა და ლიტერატურის სერია), 1982, №3.
- ბარამიძე ალ., მეტრეველი ელ., ჯანაშია რ. — კ. სალია 80 წლისაა: „მაცნე“, 1981, №3.
- ბარამიძე ალ. – დაღლილი გული (კ. სალია): „ლიტ. საქ.“, 1988, 4.03.
- ბარამიძე არჩ. – ვით ღვიძლი შვილი საქართველოსი (მარი ბროსე-190): „თბილისი“, 1992, 16.12.
- ბარონ დე ბაი და ჩვენი ქვეყანა: „ივერია“, 1901, №166.

- ბიბილეიშვილი ც. – ნინო და კალისტრატე სალიების არქივიდან: კრებ.  
 „ქართველოლოგია“, 2008, №12.
- ბუაჩიძე გ. — მარი ბროსე: „ახეომი“, 1982, 21.10.
- გელეყვა ზ. – ნინო სალიას სახელითა და დავალებით: „თბილისი“, 1988, 1.03.
- დოდაშვილი რ. – მარი ბროსე ქართული მწერლობის მკვლევარი, თბ., 1962.
- ვარაზაშვილი მ., სალია თ., — კალისტრატე სალიას ნაშრომი „ქართველი ერის ისტორია“: „მამული“, 1991, №12.
- ზექალაშვილი რ. – საზღვარგარეთულ ქართველოლოგიას ეძღვნება: „ქუთაისი“, 1988, 16.12.
- თურნავა ს. – საზღვარგარეთული ქართველოლოგია, თბ., 1978.
- თურნავა ს. – რენე ლაფონი და საქართველო, თბ., 1969.
- თურნავა ს. – XX საუკუნის საზღვარგარეთული ქართველოლოგია (წიგნი პირველი), 1999.
- თურნავა ს. – „ბედი ქართლისა“, თბ., 1991.
- თურნავა ს. – ნინო სალია – მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე: „სახ. განათლება“, 1989, 22.09.
- თურნავა ს. — გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე: „განთიადი“, 1991, №9.
- თურნავა ს. – დიდი პატრიოტი (კ. სალია): „ლიტ. საქ.“, 1991, 13.09.
- თურნავა ს. — ქართული კულტურის ფრანგი მეგობარი (რ. ტრიომფი): „წიგნის სამყარო“, 1987, 23.12.
- თურნავა ს. – მარი ბროსეს მხატვრული ბიოგრაფია: „მნათობი“, 1985, №5.
- თურნავა ს. – მოყვარე ჩვენი ენისა (რ. ლაფონი): „თბილისი“, 1989, 14.10.
- იოსავა ნ. – ზმანა მ. ბროსეს „ქართული ენის თვითმასწავლებელში“: „ენათმეცნიერება“, თსუ, შრ., ტ. X, 1986.
- კარბელაშვილი ა. — თბილისზე შეყვარებული ფრანგი (დე ბაი): „თბილისი“, 1985, 4.12.
- კასრაძე ო. – უცხოეთში დაბეჭდილი ქართული წიგნები: „განთიადი“, 1986, №1.
- კილანავა ბ. – მორის ბრიერი: „კომუნისტი“, 1982, 17.09.
- ლომთათიძე ქ., თოფურია გ., ჯანაშია რ. – კავკასიოლოგიის დიდი დანაკლისი (ჟ. დიუმეზილი): „ლიტ. საქ.“, 1987, 20.02.
- მახათაძე ნ. – ქართული კულტურის კერა პეტერბურგში, თბ., 1967.

მგალობლიშვილი შ. – შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავა-  
ლეთის ქვეყნებში, თბ., 1978.

მეგრელიძე ი. – კალისტრატე სალია: „სამშობლო“, 1971, 13.08.

მეტრეველი ელ. – დაბრუნება (კ. სალიას ნეშთი): „კომუნისტი“, 1988,  
28.02.

სალია კ. – როგორ შეხვდა ქართველი ერი ილიას სიკვდილს?: „თბილი-  
სი“, 1991, 27.08.

სილოვავა ვ. – მარი ბროსე: „ლიტ. საქ.“, 1983, 3.06.

სიტყვა ზეიმის საპატიო სტუმრებს: „სახ. განათლება“, 1988, 14.09.

ტაბალუა ი. – ქართული კულტურის კერძო საფრანგეთში XIX საუკუ-  
ნის II ნახევარში: „ცისკარი“, 1978. №1.

ტაბალუა ი. – ლირსეული მამულიშვილი (კ. სალია), „სახ. განათლება“,  
1988, 16.09.

ტრიომფი რ. – წერილი სტრასბურგიდან: „სამშობლო“, 1991, №13.

უტიე ბ. – ქართველობობია საფრანგეთში: „ლიტერატურათმცოდნე-  
ბა“, თსუ შრ., ტ. 237, 1983.

უტიე ბ. – კავკასიოლოგია საფრანგეთში: „ლიტერატურათმცოდნეო-  
ბა“, თსუ შრ., ტ. 237, 1983.

ფანჩულიძე დ. – ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთო-  
ბის ისტორიისათვის, თბ., 1969.

ფეიქრიშვილი ჟ. – ზოგადი ენათმეცნიერებისა და ქართველობოგის  
საკითხები, თბ., 2006.

ფეიქრიშვილი ჟ. – ილია ჭავჭავაძე და მარი ბროსე: კრებ. „ლიტერატუ-  
რული დიალოგები“, ქუთ., 2007.

ქართული ლიტერატურა ევროპულ მეცნიერებაში (ე. ხინთიბიძის  
რედ.), თბილისი, ქართველობოგი, 2003

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.

ქართული ენა. ენციკლოპედია, თბ., 2008.

ქაჯაია ნ. – შენ გიცხოვრია როგორც უნდოდა (კ. და ნ. სალიები): „თბი-  
ლისი“, 1988, 11.04.

შამელაშვილი რ. – გამოჩენილი ფრანგი ორიენტალისტი და ქართვე-  
ლობოგი (მ. ბროსე): „უცხოური ენები სკოლაში“, 1989,  
№2.

შანიძე ა. — პროფესორი მორის ბრიერი: „ლიტ. გაზეთი“, 1960, 6.05.

შანიძე ა. — რენე ლაფონი — ქართული უნივერსიტეტის საპატიო დოქ-  
ტორი: „სამშობლო“, 1969. №1.

შარაძე გ. — ილია ჭავჭავაძე, თბ., 1987.

- შარაძე გ. – მარი ბროსე და ვეფხისტყაოსანი, თბ., 1989.
- შარაძე გ. – უცხოეთის ცის ქვეშ, თბ., 1991.
- შენგელია ვ. – გარდაიცვალა ჟ. დიუმეზილი: „კომუნისტი“, 1987, 4.02.
- ჩიქობავა არნ. – „რენე ლაფონი და საქართველო“ (რეცენზია წიგნზე): „სამშობლო“, 1970, 12.06.
- ჩიქობავა არნ. – პროფ. რ. ლაფონის ლექციები ბასკური ენის შესახებ: „კომუნისტი“, 1966, 15.10.
- ჭავჭავაძე ნ. – პარიზელი ქართველი კაცის სარკე: „რესპუბლიკა“, 1990, 14.08.
- ხანთაძე შ. – მარი ბროსე, თბ., 1966.
- ხანთაძე შ. – ევროპული ქართველოლოგის ისტორიიდან: „სამშობლო“, 1969, №21.
- ჯანაშია ნ. – საჩუქრად ქართველ ხალხს: „თბილისი“, 1977, 5.04.
- ჯვარი ვაზისა — დაბრუნება(კ. სალია), 1988, 1.

### ინგლისი

- აბესაძე ნ. — უორდროპი ო. – ინგლისურ-სვანური ლექსიკონი: წელიწ-დეული (იკე), 1982, ტ.9.
- ანდრონიკაშვილი ნ. — რობერტ სტივენსონის ქართველური ძიებანი, თბ., 1988.
- გვარჯალაძე ი. — „სიბრძნე სიცრუისა“ ინგლისურად: „თბილისი“, 1982, 16.07.
- ბორაშვილი – შტოიერი შ. – მარჯორი სკოტ უორდროპი, ინგლისელი მთარგმნელი, ქართული კულტურის დამფასებელი: 2012 (ინტერნეტის მასალა).
- ვაშაყმაძე მ. – ვეძებთ მარჯორისა და ოლივერის თვალით დანახულ საქართველოს: „თბილისი“, 1990, 24.03.
- თურნავა ს. — ჩვენი უცხოელი მეგობარი (რ. სტივენსონი): „მნათობი“, 1982, №12.
- თურნავა ს. – ქ. ვივიანი: „ლიტ. საქ“, 1987, 27.02.
- თურნავა ს. – რ. სტივენსონი 70 წლისაა: „სამშობლო“, 1990, №19.
- თურნავა ს. – რ. სტივენსონი: „თბილისი“, 1991, 31. 07.
- თურნავა ს. – საზღვარგარეთული ქართველოლოგია, თბ., 1978.
- თურნავა ს. – XX საუკუნის საზღვარგარეთული ქართველოლოგია, თბ., 1999.
- ოძელი მ. — კვალი ნათელი — ქეთრინ ვივიანი: ინტერნეტის მასალა: [www.kartvelologi.tsu.ge](http://www.kartvelologi.tsu.ge).

- ტაბალუა ი. – უილიამ ალენი: „სამშობლო“, 1973, №23-24.
- ფეიქრიშვილი ჟ. – ზოგადი ენათმეცნიერებისა და ქართველოლოგის საკითხები, თბ., 2006.
- ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.
- ქართული ენა. ენციკლოპედია, თბ., 2008.
- ქართული ლიტერატურა ევროპულ მეცნიერებაში (ე. ხინთიძის რედ.), თბილისი, ქართველოლოგი, 2003.
- შარაძე გ. – ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე, თბ., 1984.
- ჩიქოვანი ვ. – ქართველოლოგის დღე ლონდონში: „თბილისი“, 1991, 26.06.
- ცაიშვილი ს. – პროფ. დევიდ ლენგი: „ლიტ. საქ.“, 1991, 28.06.
- ცაიშვილი ს. – დევიდ ლენგის ქართველოლოგიური მოღვაწეობის შესახებ: „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1992, №6.
- ხეცურიანი ნ., ვაშაყმაძე გ. – ჩოხოსანი ინგლისელი (პაროლდ ბეილი): „სამშობლო“, 1990, №8.
- ჯაფარიძე გ. – დევიდ მარშალ ლენგი: „ერი“, 1991, 10.07.

### უნგრეთი

- ბარამიძე ალ. – ასკეცი სიყვარულით: „კომუნისტი“, 1977, 14.10.
- ბარამიძე ალ. — ლაიოშ ტარდი: „სამშობლო“, 1989, №22.
- თურნავა ს. — „ვეფხისტყაოსანი“ უნგრულად: „კომუნისტი“, 1959, 27.08.
- თურნავა ს. – საზღვარგარეთული ქართველოლოგია, თბ., 1978.
- რუხაძე ტ. – ქართულ-უნგრული ურთიერთობის სათავეებთან: „ლიტ. საქ.“, 1967, 15.09.
- სალაძე მ. – ლაიოშ ტარდი: „ლიტ. საქ.“, 1990, 16.02.
- სიხარულიძე ქს. – მარტონ იშტვანოვიჩი: „ლიტ. საქ.“, 1970, 13.11.
- ტარდი ლ. — „გამამარჯვებინებს თქვენი სიყვარული: „სამშობლო“, 1969, 28.02.
- ტარდი ლ. – უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1968.
- ფეიქრიშვილი ჟ. – ქართველოლოგიური კვლევა უცხოეთში, თბ., 1996.
- ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.
- შარაძე გ. – ქართული სიძველენი უნგრეთში: „სამშობლო“, 1973, №15.
- შარაძე გ. — ლ. ტარდის ქართველოლოგიური მოღვაწეობა: „მნათობი“, 1980, №2.
- შარაძე გ. – უანგარო მეგობარი (ლ. ტარდი): „კომუნისტი“, 1989, 17.10.

- შარაძე გ. — მიხაი ზიჩი და ქართული კულტურა, თბ., 1978.
- შარაძე გ. — მასალები ბელა ვიკარის არქივიდან, თბ., 1981.
- შარაძე გ. — მიკლოშ კიში ტოტფალუში და ქართული სტამბა, თბ., 1982.
- ჩიმაკაძე გ. — უნგრეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობა: „ლიტ. საქ.“, 1964, 6.11.
- ხუციშვილი რ. — ლ. ტარდი და ქართველოლოგია, თბ., 1992.
- ხუბულური ლ. — უნგრეთი და ჩვენი კულტურა: „კომუნისტი“, 1973, 25.09.

### პოლონეთი

- ბარამიძე ც. — იან ბრაუნი — 80: კავკასიოლოგიური კრებული, თბ., 2007.
- ბრაუნი იან — ბასკური და კავკასიური ენების ნათესაობის ჰიპოთეზა: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების (იკე) წელიწელეული, ტ. VIII. 1991.
- ბუზუკაშვილი დ. — „თავი ჭირსა არ დამრიდად“ (გრ. ფერაძე): „ლიტ. საქ.“, 1974, 17.06.
- გელაშვილი ნ. — გრ. ფერაძე (ჰენრიკ პაპროცკის ნაშრომი): „ერი“, 1991, 20.06.
- დავიდოვი რემ — გაზის კამერიდან უკვდავებაში: „კომუნისტი“, 1990, 31.01.
- თურნავა ს. — მსოფლიოს ქართველოლოგიური ცენტრები: „დროშა“, 1988, №2.
- თურნავა ს. — საზღვარგარეთული ქართველოლოგია, თბ., 1978.
- თურნავა ს. — საინტერესო დისერტაცია ვარშავის უნივერსიტეტში: „ლიტ. საქ.“, 1991, 23.08.
- მეგრელიძე ი. — გრ. ფერაძე: „სამშობლო“, 1969, №6.
- მეგრელიძე ი. — საახალწლო არმალანად უცხოელ ქართველოლოგებს: „სამშობლო“, 1973, №25-26.
- მელიქშვილი დ. — წმინდა მღვდელმონამე არქიმანდრიტი გრ. ფერაძე: „ბურჯი ეროვნებისა“, 1997, №12.
- ნინუა ც. — პოლონელი ქართველოლოგი იან ბრაუნი: „ქუთაისი“, 1980, 27.09.
- ნოზაძე ვ. — არქიმანდრიტი გრ. ფერაძე (იხ. გ. შარაძე — მეცნიერის თავალსაწირი): „ლიტ. საქ“, 1987, 17.07.
- ფეიქრიშვილი ქ. — ქართველოლოგიური კვლევა უცხოეთში, თბ., 1996.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.

ქართული ენა. ენციკლოპედია, თბ., 2008.

ლლონტი აღ. – ქართველოლოგიური კერები უცხოეთში: „კომუნისტი“, 1990, 15.04.

შარაძე გ. – მეცნიერის თვალსაწიერი: „ლიტ. საქ.“, 1987, 17.07.

ჩანტლაძე გ. – პოლონეთში კვლავ გველიან: „თბილისი“, 1989, 27.06.

ჭუმბურიძე ზ. – ჩვენი პოლონელი მეგობარი (იან ბრაუნი): „სამშობლო“, 1974, №8.

ჭუმბურიძე ზ. – ჩვენი მეგობარი იან ბრაუნი: „ლიტ. საქ.“, 1976, 14.05.

ჭუმბურიძე ზ. – ჩვენი პოლონელი მეგობარი იან ბრაუნი: კავკასიოლოგიური კრებული, თბ., 2007.

ჭუმბურიძე თ. — გრიგოლ ფერაძის ცხოვრების გზა: ინტერნეტის მასალა.

ხუბულური ლ. – ჩვენი კულტურის მეგობარი – იან ბრაუნი: „კომუნისტი“, 1972, 5.06.

ხუბულური ლ. – ვინ იცნობდა ირინეს?: „ცისკარი“, 1973, №5.

### ჩეხოსლოვაკია

ბარამიძე ალ — იარომირ იედლიჩკა საქართველოში: „ლიტ. გაზეთი“, 1957, 28.06.

ბიბილური თ. – ვაცლავ ჩერნის ფენომენი: „ლიტ. საქ.“, 1992, 20.03.

გვინჩიძე შ. – ქართველი კლასიკოსები ჩეხურ ენაზე: „ლიტ. გაზეთი“, 1959, 13.03.

დემეტრაშვილი დ. – ბრატისლაველი ქართველოლოგი: „სამშობლო“, 1990, 6.02.

ვაცლინი ი. – ლეგენდარული პოეტის კულტი: „ლიტ. საქ.“, 1967, 7.09.

იედლიჩკას არქივიდან: „თბილისი“, 1988, 3.03.

თურნავა ს. – საზღვარგარეთული ქართველოლოგი, თბ., 1978.

თურნავა ს. – მსოფლიოს ქართველოლოგიური ცენტრები; „დროშა“, 1988, №2.

ლეზავა გ. – საქართველო მეგობრის თვალით: „ლიტ. საქ.“, 1984, 24.02.

ლეზავა გ. – ვაცლავ ჩერნი 60 წლისაა: „საქ. რესპუბლიკა“, 1991, 24.07.

მეგრელიძე ი. – ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრები. იარომირ იედლიჩკა: „სამშობლო“, 1970, 14.08.

მეგრელიძე ი. – ჩეხი ქართველოლოგი იარომირ იედლიჩკა და მისი ბარათები: „განთიადი“, 1991, №8.

მენაბდე ლ. – რუსთაველი საზღვარგარეთულ ლიტერატურაში, თბ., 1990.

მენაბდე ლ. — რუსთაველი ჩეხოსლოვაკიაში: „ცისქარი“, 1976, №2.

მილტერი ვლ. – საუბარი ვაცლავ ჩერნისთან: „ლიტ. საქ.“, 1991, 26.07.

ნანიტაშვილი ვ. – ჩვენი მეგობარი ვ. ჩერნი: „თბილისი“, 1985, 19.08.

საყურადღებო ტრადიცია: „ლიტ. საქ“, 1967, 7.04.

ფეიქრიშვილი ჟ. – ქართველოლოგიური კვლევა უცხოეთში, თბ., 1996.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.

ჩერნი ვ. – უკვდავი წიგნი: „კომუნისტი“, 1966, 4.10.

ჩერნი ვ., ვაცულინი ი. – „ქართული ლიტერატურა რომანტიკულია“: „ლიტ. საქ.“, 1983, 30.09.

ჩერნი ვ., პეტრიშვილი ი. – ჩვენი საქართველო: „ლიტ. საქ.“, 1980, 3.10.

ხრობაკი კ. — ქართული მწერლობა ჩეხოსლოვაკიაში: „ლიტ. საქ.“, 1983, 2.12.

ჯვარიძე თ. – პრაღა: ვაცლავ ჩერნი: „ლიტ. საქ.“, 1986, 3.10.

### ბელგია

ბერიძე ლ. — გაიდო სამეცნიერო ხიდი (ბელგია-საქართველო): „სამშობლო“, 1989, №25.

ესბროკი მიშელ ვან – ქართული ნათელი ენაა: „სამშობლო“, 1990, №15.

თურნავა რ. – ქართულ ხელნაწერებს იკვლევს უცხოელი: „თბილისი“, 1986, 6.12.

თურნავა ს. – XX საუკუნის საზღვარგარეთული ქართველოლოგია, თბ., 1999.

თურნავა ს. – ქართული კულტურის საზღვარგარეთელი მეგობრები, თბ., 1999.

თურნავა ს. – კეთილი სურვილები საქართველოდან: „თბილისი“, 1991, 31.01.

იმნაიშვილი ი. – უერარ გარიტი: „სამშობლო“, 1971, №10

კარბელაშვილი ან. – ჩვენი უცხოელი მოკეთეები: „თბილისი“, 1991, 6.03.

ლაპარაკობენ სტუმრები (მ.ვ. ესბროკი): „კომუნისტი“, 1988, 12.10.

მგალობლიშვილი თ. – მ.ვ. ესბროკის გამოკვლევები ქართულ „მრავალთავზე“: თბილისის ხელნაწერთა ინსტ. კრებ. მრავალთავი, 1975, №4.

მეტრეველი ელ – ახალი ნაშრომი ქართულ მრავალთავზე: მაცნე, 1976, №4.

მუხიგულაშვილი – ვან ესპროკი: „კომუნისტი“, 1980, 3.06.  
სამეგობროდ გადაშლილი გული: „კომუნისტი“, 1989, 19.05.  
სარჯველაძე ზ. – ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.  
ფეიქრიშვილი ჟ. – ბელგიელი ქართველოლოგი მიშეღ ვან ესპროკი: ქართული ენის მოამაგენი, თბ., 2006.  
ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.  
ძიძიგური შ., ჭუმბურიძე ზ., თურნავა ს. – გამოჩენილი ბელგიელი ქართველოლოგი (ჟ. გარიტი) 70 წლისაა: „ლიტ. საქ.“, 1984, 22.06.  
ჯვარი ვაზისა – გამოჩენილი ბელგიელი ქართველოლოგი ჟ. გარიტი: „ჯვარი ვაზისა“, 1984, №2.

### ამერიკის შეერთებული შტატები

აფრიდონიძე შ. – კოლინს თბილისში ელიან (დი ენ ჰოლისკი): „თბილისი“, 1984, 29.05.  
ბახტრიონელი ლ. – ჰოვარდ არონსონი: „სახ. განათლება“, 1983, 21.01.  
ბერიძე ლ. – რობერტ თომსონი – ბლეიკის მემკვიდრე: „სამშობლო“, 1989, №19.  
გვარჯალაძე ის. – ჰ. არონსონი – ქართული ენის სახელმძღვანელო ინგლისურად: „თბილისი“, 1982, 20.11.  
ენუქიძე ლ. – ალისა პარისი („ქართული ენის სინტაქსი“): წელიწდეული (იკე), 1989, ტ.16.  
ვაშაკიძე თ. – დი ენ ჰოლისკი (ასპექტი და ქართული საშუალი ზმნები): იკე, 29-ე, 1990.  
თურნავა ს. – XX საუკუნის საზღვარგარეთული ქართველოლოგია, თბ., 1991.  
თურნავა ს. – ამერიკელი მეცნიერის ნაშრომი (ბელგიაში გამოსვლის გამო): „წიგნის სამყარო“, 1989, 12.07.  
თურნავა ს. – ქართველოლოგიური ცენტრები საზღვარგარეთ: „სოფლის ცხოვრება“, 1991, 31.05.  
კიმ ბრეიტვეიტი – ინტერვიუ: „ლიტ. საქ.“, 1987, 30.10.  
მაჭავარიანი მ. – დი ენ ჰოლისკი: წელიწდეული (იკე), 1989, ტ. 16.  
მარდალეიშვილი ვ. – ქართული ენის სიყვარულით: „კომუნისტი“, 1989, 29.08.  
მენაბდე ლ. — რუსთაველი ამერიკაში: „მაცნე“, 1972, №3.  
ნებიერიძე გ. – ქართველოლოგის შენაძენი: „კომუნისტი“, 1981, 13.09.

- სოლანო ლ. – რუსთაველის გენია მიძღვდა: „ლიტ. საქ.“, 1970, 9.10.
- ტუიტი კევინ — (ინტერვიუ): „თბილისი“, 1985, 26.09.
- ფეირიშვილი ჟ. – ზოგადი ენათმეცნიერებისა და ქართველოლოგის საკითხები, თბ., 2006.
- ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.
- ქართული ენა. ენციკლოპედია, თბ., 2008.
- ლლონტი ალ. – ქართველოლოგიური კერები უცხოეთში: „კომუნისტი“, 1990, 15.04.
- ჩიქოვანი თ. – მომხიბლავი პროფესორი ამერიკიდან: „თბილისი“, 1990, 15.05.
- ჭუმბურიძე ზ. – ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ (რ. ბლეიკი), თბ., 1983.
- ჯანიკაშვილი ლ. — ქევინ ტუიტი: „სამშობლო“, 1988, №6.
- ჯოხარიძე ნ. – კიმ ბრეითვეიტი: „თბილისი“, 1987, 26.10.
- ჰარისი ა. – ვნებითი ქართულში: „მაცნე“, 1981, №3.
- არონსონი ჰ., ჰამპი – გესალმებათ ქართველოლოგები: „სამშობლო“, 1985, 9.08.

### **შვეიცარია**

- ამაგდარ ქართველოლოგთა არქივებიდან: „მწიგნობარი“, 2008.
- „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გერმანული თარგმანი: „სამშობლო“, 1975, №1.
- ზექალაშვილი რ. – ზმნა კ. ჩხერიმელის „ქართულ-გერმანულ ლექსიკონში“: ბ. ჯორბერაძის საზოგადოების IV სამეცნიერო კონერნციის მასალები, 1997.
- ზექალაშვილი რ. – ზმნების კლასიფიკაცია და ინდექსაცია კ. ჩხერიმელის ნაშრომებში: კრებ. „საენათმეცნიერო ძიებანი“, XXVIII, 2008.
- თურნავა ს. – იოლანდა მარშევი: „ლიტ. საქ.“, 1980, 13.06.
- თურნავა ს. – ციურიხელი ქართველოლოგი რუთ ნოიკომი: „ნიგნის სამყარო“, 1981, №8.
- თურნავა ს. – ლეა ფლური – ქართული კულტურის დიდი მეგობარი: „ლიტ. საქ.“, 1986, 12.09.
- თურნავა ს. – მსოფლიოს ქართველოლოგიური ცენტრები: „დროშა“ 1988, №2.
- თურნავა ს. – XX საუკუნის საზღვარგარეთული ქართველოლოგია, თბ., 1988, 1999.

- თურნავა ს. – ქართული კულტურის საზღვარგარეთელი მეგობრები, თბ., 1999.
- იედლიჩკა ი. – კ. ჩხენჯელის ქართული ენის გრამატიკა: „მნათობი“, 1958, №11.
- იმნაიშვილი ვ. – ლეა ფლური: „ბურჯი ეროვნებისა“, 1998, №3.
- იმნაიშვილი ვ. – ქურუმი დედაენის ტაძრისა: „ბურჯი ეროვნებისა“, 1998, №7-10.
- იმნაიშვილი ვ. – რუთ ნოიკომის სიკვდილით დაირღვა დიდი სამეული: „ჩვენი მწერლობა“ (ეპოქა), 2001, 13-20.07.
- იმნაიშვილი ვ. – იოლანდა მარშევი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორი: *Грузинская русистика*, Тб., 2008.
- კაიშაური ლ. – ქართულ-გერმანული ლექსიკონი: ნელინდეული (იკე), 1977, №4.
- მამულაშვილი მ.- „ქართული ენის შესავალი“ გერმანულ ენაზე ორ ტომად: „წიგნის სამყარო“, 1969, 28.05.
- მეგრელიძე ი. – კ. ჩხენჯელის ბოლოთქმა: „სამშობლო“, 1972, 9.06.
- მეგრელიძე ი. – ქართული ენის მოამაგე შვეიცარიელი ქალები: „სამშობლო“, 1974, 12.
- მეფისაშვილი გ. – ქუთაისელი მეცნიერი შვეიცარიაში: „ქუთაისი“, 1991, 10.12.
- ნოზაძე ვ. – წერილები: „ლიტ. საქ.“, 1987, 27. 01.
- პაპავა თ. – გაბნეული საფლავები, თბ., 1990.
- სიხარულიძე ქს. – თორმეტი დღე შვეიცარიაში: „ლიტ. საქ.“, 1967, 13.01.
- სიხარულიძე ქს. – შვეიცარიელი ქართველოლოგები: „საქართველოს ქალი“, 1967, №3.
- სიხარულიძე ქს. – ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრები: „სამშობლო“, 1971, №8.
- ფეირიშვილი ქ. – ქართველოლოგიური კვლევა უცხოეთში, თბ., 1996.
- ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.
- ქართული ენა. ენციკლოპედია, თბ., 2008.
- შათირიშვილი შ. – ქართული ენის სახელმძღვანელო გერმანულად: „სკოლა და ცხოვრება“, 1961, №6.
- შარაძე გ. – მადლობით მოგონება გვმართებს: „თბილისი“, 1989, 26.06.
- შარაძე გ. – უცხოეთის ცის ქვეშ, თბ., 1991.
- ციურიხელი ქართველოლოგები: გაზეთი „თსუ უნივერსიტეტი“, 1968, 15.11.

## **ნორვეგია**

- გიგინეიშვილი ბ. – ჰანს ფოგტი 75 წლისაა: მრავალთავი, ტ.7, 1980.  
თოფურია ვ. – ქართული ენისა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი,  
თბ., 1965.
- თურნავა ს. – ქართული კულტურის დიდი მეგობარი (ჰ. ფოგტი): „ლიტ.  
საქ.“, 1983, 26.08.
- თურნავა ს. – საბჭოთა ქართველოლოგის მიღწევები დასავლეთ ევ-  
როპის პრესაში, თბ., 1990.
- თურნავა ს. – XX საუკუნის საზღვარგარეთული ქართველოლოგია  
(წიგნი პირველი), თბ., 1999.
- მეგრელიძე ი. – ქართველოლოგი ჰანს ფოგტი 70 წლისაა: „სამშობლო“,  
1973, სექტემბერი.
- მეგრელიძე ი. – ქართველოლოგი ჰ. ფოგტი: „კომუნისტი“, 1986, 23.10.
- მეგრელიძე ი. – ქართველოლოგი ჰანს ფოგტი და ზოგი მისი ბარათი:  
ურნ. „განთიადი“, 1991, №3.
- მაჭავარიანი გ. – ჰანს ფოგტის შრომები ქართული ენის შესახებ: „მი-  
მომხილველი“, 6-9, თბ., 1972.
- ფოგტი ჰ. – ქართულ-ფრანგული ლექსიკონი: „სამშობლო“, 1974, 14.09.
- ფოგტი ჰ. – დაბადების 75 წელთან დაკავშირებით: წელიწდეული (იკე),  
1979, ტ. VI.
- ფოგტი ჰ. – (მისი სიტყვის სტენოგრამა): „მაცნე“, 1966, №5.
- ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.
- ქართული ენა. ენციკლოპედია. თბ., 2008.
- ძიძიგური შ., თურნავა ს. – ჰანს ფოგტი: „ლიტ. საქ.“, 1983, 23.03.
- ძიძიგური შ., ლომთათიძე ქ., თოფურია გ., ჩართოლანი ნ. – ქართული  
კულტურის მეგობარი: „ლიტ. საქ.“, 1987, 09.01.
- წერეთელი გ. – ჰ. ფოგტი: „საბჭოთა ხელოვნება“, 1872, №2.

## შინაარსი

ნინათქმა .....	5
იტალია .....	9
კათოლიკე მისიონერები (10), კარლ გოლდონი (19), მატეო რიპა (19), ლორენცო ერვასი (20), მიხეილ თამარაშვილი (20), რაფიელ ინგილო-ივანიცკი (25), მიხეილ თარხნიშვილი (26), შალვა ბერიძე (31), ბერნარდო ბარბიელინი (34), ლუიჯი მანტოვანი (36)	
გერმანია .....	44
გოტფრიდ ლაიბნიცი (44), ფრანც ალტერი (44), ფრანც ბოპი (45), გეორგ როზენი (45), ფრიდრიხ მიულერი (46), ჰუგო შუხარდტი (46), ადოლფ ჰარნაკი (54), არტურ ლაისტი (54), ჰაინრიხ გუსენი (57), ფრიდრიხ ცორელი (57), ადოლფ დირი (57), რიხარდ მეკელაინი (58), რობერტ ბლაიხშტაინერი (60), გერჰარდტ დეეტერსი (62), ჰერმან ბუდენზიგი (64), იოსებ მოლიტორი (66), ჰუგო ჰუპერტი (66), გერტრუდ პერი (70), იულიუს ასფალგი (73), ნიკოლოზ ჯანელიძე (76), კარლ ჰორსტ შმიდტი (82).	
საფრანგეთი .....	86
ფრანგი მოგზაურები (86), მარი ბროსე (91), მორის ბრიერი (106), უორჟ დიუმეზილი (109), რენე ლაფონი (113), კალისტრატე სალია (124), ნინო ქურციკაშვილი-სალია (137), რობერ ტრიომფი (142).	
ინგლისი .....	148
სოლომონ მალანი (149), უილიამ მორფილი (150), ფრედერიკ კონიბირი (152), ოლივერ უორდროპი (153), მარჯორი უორდროპი (157), ჰაროლდ ბეილი (165), უილიამ დევიდ ალენი (167), ქეთრინ ვივიანი (169), რობერტ სტივენსონი (177), დევიდ ლენგი (181).	

<b>უნგრეთი.....</b>	<b>186</b>
უნგრელი მოგზაურები (186), მიკლოშ კიში ტოტფალუში (187), მიხაი იშტვანოვიჩი (187), ოსკარ აშპოტი (189), მიხაი ზიჩი (190), ბელა ვიკარი (192), ლაიოშ ტარდი (195), მარტონ იშტვანოვიჩი (201).	
<b>პოლონეთი.....</b>	<b>204</b>
კიზიმირ ლაფრიძისკი (205), გრიგოლ ფერაძე (206), იეჟი ზაგურსკი (218), იან ბრაუნი (219), იეჟი იასენსკი (226).	
<b>ჩეხოსლოვაკია.....</b>	<b>227</b>
ო. ვეტი (227), იარომირ იედლიჩკა (227), ვაცლავ ჩერნი (234), ივო პეტშიკი (238), ივო ვაცულინი (239), კამილ ხრობაკი (240).	
<b>ბელგია.....</b>	<b>241</b>
პაულ პეეტერსი (241), ერნესტ ჰონიგმანი (244), უერარ გარიტი (244), მიშელ ესპროკი (252), უორჟ ბუიონი (267).	
<b>ამერიკის შეერთებული შტატები.....</b>	<b>271</b>
რობერტ ბლეიკი (271), ლუის ფრენსის სოლანო (273), რობერტ თომასონი (275), კიმ ბრეითვეიტი (277), ჰოვარდ არონსონი (279), ალის ჰარისი (285), დი ენ ჰოლისკი (288), კევინ ტუიტი (291), სტივენ რაპი (292).	
<b>შვეიცარია.....</b>	<b>294</b>
კიტა ჩხენელი (295), იოლანდა მარშევი (310), რუთ ნოიკომი (313), ლეა ფლური (316).	
<b>ნორვეგია .....</b>	<b>318</b>
ჰანს ფოგტი (318).	
<b>Materials for the History of International Kartvelian Studies (Summary).....</b>	<b>325</b>
<b>ლიტერატურა.....</b>	<b>326</b>

## CONTENTS

<b>P r e f a c e .....</b>	<b>5</b>
<b>Italy .....</b>	<b>9</b>
Catholic missionaries (10), Carl Goldoni (19), Matteo Ripa (19), lorenzo Ervasi (20), Michael Tamarashvili (20), Rapiel Ingilo-Ivanitsky (25), Michael Tarkhnishvili (26), Shalva Beridze (31), Bernardo Barbiolini (34), Luigi Mantovani (36)	
<b>Germany.....</b>	<b>44</b>
Gottfried Leibnitz (44), Franz Alter (44), Franz Bopp (45), Georg Rosen (45), Friedrich Müller (46), Hugo Schuchardt (46), Adolf Harnack (54), Arthur Leist (54), Heinrich Gussen (57), Friedrich Zorell (57), Adolf Dirr (57), Richard Mecklein (58), Robert Bleichsteiner (60), Gerhardt Deeters (62), Herman Buddensig (64), Josef Molitor (66), Hugo Huppert (66), Gertrude Pätsch (70), Julius Asfalg (73), Nikolaus Janelidze (76), Karl-Horst Schmidt (82)	
<b>France .....</b>	<b>86</b>
French travelers (86), Marie Brosset (91), Maurice Brière (106), Georges Dumézil (109), René Lafon (113), Kalistrat Salia (124), Nino Kourtsikichvili-Salia (137), Robert Triomphe (142)	
<b>England.....</b>	<b>148</b>
Solomon Malan (149), William Morphill (150), Frederic Connypeer (152), Oliver Wardrop (153), Marjory Wardrop (157), Harold Bailey (165), William David Allen (167), Katharine Vivian (169), Robert Stevenson (177). David Lang (181)	
<b>Hungary.....</b>	<b>186</b>
Hungarian travelers (186), Miklós Kis Tótfalusi (187), Mihály Istvanovic (187), Oskar Asbot (189), Mihály Zichy (190), Béla Vikár (192), Ljos Tardy (195), Martin Istvanovic (201)	
<b>Poland .....</b>	<b>204</b>
Kazimierz Lapczinski (205), Grigol Peradze (206), Jerzy Zagórski (218), Jan Braun (219), Jerzy Jasieński (226)	
<b>Czechoslovakia.....</b>	<b>227</b>
O. Vett (227), Jaromír Jedlička (227), Václav Černý (234), Ivo Petrík (238), Ivo Vaculin (239), Kamil Chrobak (240)	
<b>Belgium.....</b>	<b>241</b>
Paul Peeters (241), Ernest Honigmann(244), Gérard Garitte (244), Michel van Esbroek (252), Georges Boullion (267)	

<b>USA .....</b>	<b>271</b>
Robert Blake (271), Louis Francis Solano (273), Robert Thomson (275), Kim Braithwaite (277), Howard Aronson (279), Alice Harris (285), Dee Ann Holisky (288), Kevin Tuite (291), Steven Rapp (292)	
<b>Switzerland.....</b>	<b>294</b>
Kita Tschenkeli (295), Yolanda Marchev (310), Ruth Neukomm (313), Lea Flury (316)	
<b>Norway.....</b>	<b>318</b>
Hans Vogt (318)	
<b>Materials for the History of International Kartvelian Studies (Summary).....</b>	<b>325</b>
<b>References .....</b>	<b>326</b>



გამომცემლობა „უნივერსალი“

---

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, : 222 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge